ახალ და მოულოდნელ გამოწვევას-პანდემიას საზოგადოება, სახელმწიფო, მეცნიერება გონივრულად უმკლავდება და ამასთან ერთად ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება-განმტკიცების ღონისძიებათა მწყობრი, მომავალზე ორიენტირებული სისტემა მოქმედებს, პანდემიის შემდგომი პერიოდის გამოწვევებიც რეალურად ჩანს. ვგრძნობთ, რომ მუდმივად მობილიზებულ რეჟიმში მოგვიწევს ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა. გაცნობიერებული გვაქვს, რომ მეცნიერება, განსაკუთრებით აგრარული მეცნიერება მორიგი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება.

საჭიროა ჯერ კიდევ შენარჩუნებული სამეცნიერო პოტენციალით, პანდემიის პერიოდში შემენილი გამოცდილებით, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებით რეალურად განვსაზღვროთ ქვეყნის აგრარული მეურნეობის განვითარების პერსპექტივა. ამ მიზნით აუცილებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების რთული პროცესი მიზნობრივი პროგრამებით წარიმართოს.

თუ როგორ კონცეფციასა და მექანიზმს დაეფუძნება განვითარების მომავალი სტრატეგია, აკადემიის წევრების მოსაზრებებს და რეკომენდაციებს (რომლებიც საგანგებო რეჟიმის პირობებში გამოკითხვის წესით დაფიქსირდა) აქვე ვაქვეყნებთ.



**აკად. გურამ ალექსიძე**

სასოფლო – სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის ერთ – ერთი ძირითადი პრობლემა ეს მცენარეთა მავნებლები, დაავადებები და სარეველებია, რომლებიც ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ჯერ მცენარეს და შემდეგ კი მთლიანად სოფლის მეურნეობას. ზოგადი გათვლებით ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც მათ მიერ გამოწვეული ზარალი მინდვრის პირობებში 30%-ს აღწევს, ხშირად კი გაცილებით მეტიცაა. ამას ემატება შენახვის პირობებში მიყენებული ზარალი, ეს კი დამატებით 10-12%-ს შეადგენს. მცენარეთა მავნებლების გამრავლების და მათგან გამოწვეული დაზიანების კარგი მაგალითია საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელებული ინვაზიური სახეობები და მათგან მიყენებული ზარალი, ასეთებია - ამერიკული თეთრი პეპელა, აზიური ფაროსანა და სხვები.

მცენარეთა დაცვის თანამედროვე სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების განხორციელებას, რომელიც მიმართულია მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის შეკავებასთან მავნეობის ზღვრის ქვევით,

აგროცენოზების წონასწორობისა და გარემოს უსაფრთხოების ფონზე. ინტეგრირებული სისტემები ითვალისწინებს ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების შეზღუდვას სხვა არაქიმიური, განსაკუთრებით კი ბიოლოგიური ღონისძიებების ფართოდ გამოყენებით. ასეთი სისტემების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის სასურველია ვიცოდეთ – მაგნე და სასარგებლო ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულება, მათზე გარემო ფაქტორების მოქმედება, მათი განვითარების დინამიკა და პროგნოზირება; პესტიციდების გავლენა მაგნე და სასარგებლო ორგანიზმებზე; მაგნეობის ეკონომიკური ზღვრები და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ყოფილი კვლევითი ინსტიტუტების მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულია ასეთი სისტემები: ვაზის, ხეხილის, ციტრუსოვანი კულტურების, ბოსტნეულ – ბალჩეულის, მინდვრის კულტურების, კარტოფილის, რომლებიც რეკომენდაციის სახით გამოქვეყნებულია აკადემიის მიერ, თუმცა სამწუხაროდ მათი პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება. ამის მიზეზი რამოდენიმეა, მათგან აღსანიშნავია ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე. გამომდინარე აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს (აკადემიის ინიციატივა) მათი კვალიფიკაციის ამაღლების გზით, რომელიც უკანასკნელ ხანს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწყებული იქნა, თუმცა საკითხს სჭირდება ბოლომდე მიყვანა.

მეორე. თანამედროვე პირობებში დიდი პრობლემაა ეს ბიოლოგიური ბრძოლის საშუალებების სასარგებლო მწერების, ტკიპების, პათოგენური ორგანიზმების სიმცირე. უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულ წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა ბიოლოგიური ბრძოლის 5 საწარმოო ბიოლაბორატორია, რომელთგან დღესდღეობით აღარცერთი აღარ არსებობს, საჭიროა ლაბორატორიების აღდგენა, თანამედროვე დონეზე მოწყობა (შესაბამისი ტექნიკით), სპეციალისტებით დაკომპლექტება და სხვადასხვა აგროკლიმატის ზონაში განლაგება.

მესამე. მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მცენარეთა დაცვის სპეციალისტების ნაკლებობა. საქართველოში 3000-ზე მეტი სოფელია, სადაც თითოეულზე ჩამოსათვლელია მცენარეთა დაცვის სპეციალისტები. მისასაღმებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ამერიკის საელჩოს აქტიურობა ამ მიმართულებით, თუმცა აუცილებელია დროულად გადაიღახოს ბიუროკრატიული ბარიერები და აგრარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში გაფართოვდეს და შეიქმნას მცენარეთა დაცვის მიმართულების სპეციალობები.

მეოთხე. უნდა გაძლიერდეს კვლევითი სამუშაოები შესაბამის კვლევით ინსტიტუტებში, რათა მოხდეს ახალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაგნე მერების წინააღმდეგ ახალი ატრაქტანტული ან ანტიფიდანტური და რეპელენტური თვისებების მქონე პრეპარატების შექმნა. ასეთი ბიოტექნიკური საშუალებების გამოყენება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მაგნე მწერების გამოჩენის პროგნოზირება და შემდგომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავება.

მესუთე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბიოპრეპარატების წარმოება. წარსულ წლებში და ახლაც, ჩვენს ქვეყანაში შემოდის 6 დასახელების ბიოლოგიური პრეპარატი, რომლებიც ხასიათდებიან ადამიანზე და გარემოზე ნაკლები უარყოფითი თვისებებით. ამჟამად უკვე დაწყებულია ჩვენში მათი წარმოება, საჭიროა ამ ღონისძიებების მხარდაჭერა და კიდევ უფრო გაფართოება, რადგან ისინი ინტეგრირებული დაცვის ერთ – ერთ ძირითად რგოლს წარმოადგენენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს სრული მასშტაბით გამოვიყენოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემები და ამით დავიცვათ მცენარეები და გარემო დაბინძურებისაგან.



### აკად. რევაზ ასათიანი

საქართველოში მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური, კერძოდ კი სასურსათო პრობლემის ნაწილობრივ მაინც შემსუბუქების მიზნით, მისი რეგულირება უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის/ნედლეულის წარმოება - დამუშავება/გადამუშავება - შენახვა - რეალიზაცია/ვაჭრობის ერთიან ღირებულებათა ჯაჭვში. შესაბამისად, წარმოდგენილი რეკომენდაციები, სახელმწიფოს მიერ ამ ეტაპისთვის პრიორიტეტული მხარდამჭერი მიმართულებებისა და განსახორციელებელი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების შესახებ, შემოთავაზებულია ღირებულებათა ჯაჭვის ამ რგოლების მიხედვით.

ეკონომიკური ღონისძიებები:

#### ა. წარმოება

- ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით დახმარება საქართველოს ყველა რეგიონში საკარმიდო ნაკვეთებისა და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების (0.75 ჰა-მდე) მფლობელებს ნებისმიერი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანისთვის, როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტზე;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასაქირავებელი ხარჯების ასანაზღაურებლად დახმარება საშუალო (0.75-3.5 ჰა) და მსხვილი (3.5 ჰა-ზე მეტი) ფერმერული მეურნეობების მფლობელებს:
  - კახეთში, ქვემო და შიდა ქართლში - ხორბლისა და ქერის მოვლა-მოყვანისთვის;
  - იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში - სიმინდის მოვლა-მოყვანისთვის;
  - სამცხე - ჯავახეთში, სვანეთსა და აჭარაში - კარტოფილის მოვლა-მოყვანისთვის;

- ✓ საქართველოს ყველა რეგიონში მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმების მფლობელებს მათ საკუთრებაში არსებული პირუტყვის/ფრინველის სულადობის შესანარჩუნებლად საჭირო საკვები კულტურების (სიმინდი, სოიო, რაფსი, იონჯა და სხვა) მოვლა-მოყვანისა და საკვების დამზადებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება;

**ბ. დამუშავება/გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია**

- ✓ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხორბალი, ქერი, სიმინდი, სოიო, რაფსი, იონჯა, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, რძე) გადამამუშავებელი და დამმუშავებელი/შემნახველი საწარმოების ინვენტარიზაცია და გეოგრაფიულად ახლომდებარე ფერმერულ მეურნეობებთან ინტეგრაციისთვის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება - თანადაფინანსება;
- ✓ ერთწლიანი მარცვლეული, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ხარისხიანი სათესლე მასალის სტაბილური წარმოებისთვის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება - თანადაფინანსება;
- ✓ სხვადასხვა სავაჭრო ქსელებში (სავაჭრო მაღაზიები, აგრარული ბაზრები) ნატურალური სახით სარეალიზაციო პროდუქციისთვის სასაქონლო სახის (დასუფთავება, დამუშავება, შეფუთვა, ეტიკეტირება) მისაცემი მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება - თანადაფინანსება;

**მართვის ორგანიზაციულ - ეკონომიკური/ფინანსური მექანიზმი**

**ა. ორგანიზაციული მექანიზმი:**

- ✓ რეკომენდაციები უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს სახელით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების საშუალებით; სახელმწიფო პროგრამები უნდა განხორციელოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებულმა იურიდიულმა პირმა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ“ (შემდგომში - სააგენტო). იგი თავისი მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების (სსს) საშუალებით, ადგილზე უზრუნველყოფს პროგრამებში მონაწილეობის მსურველთათვის განაცხადების მიღების, კონსულტირების (რასაც დღესაც ანხორციელებ), განაცხადების განხილვის, დაფინანსების/არ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მონიტორინგის პროცედურებს;
- ✓ ასეთი ორგანიზაციული მექანიზმი აამაღლებს კონკრეტული რეგიონებისა და ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების ეფექტიანობას, დაზოგავს პროექტების მართვისთვის საჭირო დამატებით შრომით და ფინანსურ რესურსებს, აამაღლებს ადგილობრივი სსს - ების პასუხისმგებლობას პროექტების შერჩევისა და მათი წარმატებით განხორციელების მიმართულებით;

**ბ. ეკონომიკური/ფინანსური მექანიზმი:**

- ✓ სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ეკონომიკური/ფინანსური მექანიზმი უნდა ეფუძნებოდეს მის კომბინირებულ, ანუ აგროსაკრედიტო-საგრანტო სქემას;
- ✓ აგროსაკრედიტო-საგრანტო სქემიდან აგროსაკრედიტო კომპონენტი უნდა განხორციელდეს ქონებრივი და ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე სახელმწიფოს მიერ შექმნილი „სპეციალიზებული/აგრარული საინვესტიციო ფონდიდან“. აგროკრედიტის გამოყოფაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (აგროკრედიტის ხანგრძლივობის, მოცულობის და გაცემის პირობების მექანიზმი შემუშავდება პრინციპული თანხმობის შემთხვევაში) ბენეფიციარი ასევე დაფინანსდება თანმდევი გრანტით (გრანტების ხანგრძლივობის, მოცულობის და გაცემის პირობების მექანიზმი ასევე შემუშავდება პრინციპული თანხმობის შემთხვევაში).

**სოციალური ღონისძიებები:**

- ✓ 5 ჰა და მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელების მიწის გადასახადისგან განთავისუფლება 2021 წლამდე;
- ✓ მიწების რეგისტრაციის ღონისძიებებისთვის საჭირო გადასახადებისგან განთავისუფლება 2021 წლამდე;
- ✓ ფერმერების განთავისუფლება სამელიორაციო (საირიგაციო და სადრენაჟო) მომსახურების გადასახადისგან 2021 წლამდე;
- ✓ ფერმერების განთავისუფლება სამელიორაციო (საირიგაციო და სადრენაჟო) მომსახურებისთვის 2020 წლამდე დაგროვილი დავალიანების გადახდისგან დაფინანსების წყაროები:
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ✓ კომერციული სტრუქტურები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები;
- ✓ კერძო ფიზიკური პირები.
- ✓



**აკად. ნუგზარ ბალათურია, აკად. პაატა კოლუაშვილი**

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება უნდა დავიწყოთ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენით, რადგანაც სწორედ ეს დარგი ქმნის მოთხოვნილებას ადგილობრივ ნედლეულზე, ასაქმებს მოსახლეობას სოფლად და ქალაქად, მოხსნის ქვეყანაში არსებულ სოციალურ დაძაბულობას. პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს რეალურად არსებული საკვები მცენარეული ნედლეულის რესურსების გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა კომპლექსური და უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებით.



კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ყურძნის გადამუშავების კომპლექსური, უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ძირითადი პროდუქტის - ღვინის ხარისხი, ყურძნის გადამუშავებისას დარჩენილი ყოველი 1 ტონა მყარი ნარჩენებიდან დამატებითი პროდუქტის სახით შეიძლება ვაწარმოოთ 10 000 აშშ დოლარის ღირებულების სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტი - ყურძნის პასტა.

**სულ საქართველოში, საშუალოდ, გროვდება 30 - 35 ათასი ტონა ყურძნის მეორადი ნედლეული.**

იგივე მეორადი ნედლეული საზღვარგარეთ გამოიყენება ქრომატოგრაფიულად სუფთა ფენოლური ნაერთების მისაღებად. ჩვენთან ყოველი 100 ათას ტონა ყურძნის გადამუშავებისას ნარჩენებში იყრება 500-700 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია - მძლავრი ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფენოლური ნაერთები. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით სამრეწველო გადამუშავებაზე მიდის 200-220 ათასი ტონა ყურძენი.

ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ტექნოლოგიის შესაბამისად, გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული ყოველი 1 ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფების გადამუშავებისას მიიღება მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი 2 პროდუქტი: 500 კგ მანდარინის პასტა (1 კგ ღირებულება - 10 აშშ დოლარი), 100 კგ მანდარინის ჰიდროლატი (1 კგ ღირებულება შეადგენს 40 აშშ დოლარს). ანუ, 1 ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფების გადამუშავებით მიიღება 9 000 აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია.

**სულ ქვეყანაში გროვდება 30-40 ათასი ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფები.**

ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ჭაჭის არყის მიღების უნარჩენო ტექნოლოგია უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის ბრენდის მიღებას, ფრანგულ კონიაკთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს. ტექნოლოგია არის უნარ-ჩენო და გულისხმობს მყარი და თხევადი ნარჩენების სრულ უტილიზაციას ყურძნის პასტის, ასევე ყურძნის ბიოაქტიური ექსტრაქტერბის მიღებას.

**ყოველი 1 ტონა გადამუშავებული ყურძნიდან მიიღება 10- 15 % ჭაჭის სპირტი ( 74-76 მოც.%), 200 კგ ყურძნის პასტა, როლის 1 კგ-ს ღირებულება შეადგენს 10 აშშ დოლარს.**

დაუქანგავი ღვინოები განეკუთვნება სუფრის უმაღლესი ღვინოების კატეგორიას. საქართველოში ფართოდ უნდა დაინერგოს ინსტიტუტის მიერ მოდიფიცირებული კოლხური დაუქანგავი ღვინოების წარმოების ტექნოლოგია, რომელსაც მსოფლიო მეღვინეობის პრაქტიკაში ანალოგი არ გააჩნია. როგორც ევროპის, ასევე დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებისათვის არაფერის მთქმელია ქართული ღვინოების - ქინძმარაულის, ხვანჭკარას და ა.შ. დასახელებები. გაცილებით უფრო მოთხოვნადი იქნება მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი ასორტიმენტის სახით გავიდეთ კოლხური დაუქანგავი ღვინით, რომელიც ევროპელებისათვის ცნობილი და აღიარებული იყო ჯერ კიდევ ჩვ.წ.ა. ს მე-10 საუკუნეში.

მსოფლიო პრაქტიკაში პირველად იქნა დამუშავებული ხილ-კენკროვანთა ანტიოქსი-დანტური წვენების მიღების ტექნოლოგია ნატურალური ეთეროვანი ზეთების გამოყენებით. ტექნოლოგია ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი წარმოების სასმელების მიღებას და გამორიცხავს ხელოვნურ დანამატზე დამზადებული უაღკოპოლო სასმელების იმპორტის აუცილებლობას.

**პერსპექტივაში, აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიით შეიძლება ვაწარმოოთ 120-150 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია;**

ინსტიტუტის მიერ დაპატენტებულია შაქრის სორგოდან თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგია. შაქრის სორგო გვალვამდლე მცენარეა, ის შეიძლება გავაშენოთ გარე კახეთში არსებულ დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებზე. სორგო ახდენს ამ ნიადაგების განმარილიანებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასეთი გამოუყენებელი მიწების ფართობი, საშუალოდ, შეადგენს 200 ათას ჰექტარს, აქ შეიძლება ვაწარმოოთ 50 ათასი ტონა სამამულო შაქარი.

მთელს მსოფლიოში პურის გასაუმჯობესებლად გამოიყენება ხელოვნური, გენმოდიფიცირებულ სოიოზე დამზადებული დანამატი გლუტენი, რომელიც იწვევს უმძიმეს დაავადებას - ცელიაკიას. პირველად მსოფლიო პრაქტიკაში ინსტიტუტის მიერ დაპატენტებულ იქნა გლუტენის სრულფასოვანი ნატურალური შემცვლელი - ჰიდრატოპექტინი ხილ-კენკროვანთა არასტანდარტული ნაყოფებისა და მეორადი ნედლეულის რესურსების გამოყენებით.

**აღნიშნული ნატურალური საკვები დანამატის გამოყენება უზრუნველყოფს პურისა და პურპროდუქტების უვნებლობას, მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების გაზრდას, რასაც აქვს დიდი სოციალური მნიშვნელობა. შეიძლება ვაწარმოოთ 100 ათასი ტონა ჰიდრატოპექტინი, რაც გარკვეულწილად შეამცირებს იმპორტირებულ ხორბალზე მოთხოვნილებას.**

ინსტიტუტში შექმნილი ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შეიძლება ვაწა-როთ 500-600 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ნატურალური საკვები დანამატები და მათზე დამზადებული ალკოჰოლიანი და უაღკო-ჰოლო ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტები.

ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენება უნდა მოხდეს მოსახლეობის უშუალო ჩართვით წარმოების პროცესში, ანუ მოსახლეობას უნდა დაურიგდეს მინი ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები კულტურული და ველურად მზარდი მცენარეებიდან ნახევარ-ფაბრიკატების მისაღებად. საბოლოო პროდუქტის წარმოება მოხდება ცენტრალიზებულ, საამისოდ აღჭურვილ ქარხნებში. ამ სქემით ფუნქციონირებს კონიაკის წარმოება საფრანგეთში, ეთეროვანი ზეთების წარმოება ავსტრალიაში და ა.შ. ანუ, ფერმერი სახლიდან გაუსვლელად ყიდის არა ნედლეულს, არამედ მისგან მიღებულ ნახევარ-ფაბრიკატს და ადგილზე იღებს გასამრჯელოს.

**ინოვაციური ტექნოლოგიების საწარმოო გამოცდისა და ქვეყნის მასშტაბით შემდგომი გავრცელების მიზნით, უნდა აღდგეს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნები.**

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადების სისტემის სრულყოფის მიზნით ინგლისის, იტალიის,

სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების გამოყენებით უნდა აღდგეს კვების მრეწველობის სფეროში ეროვნული სამეცნიერო - კვლევითი - სასწავლო ინსტიტუტი, სადაც მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადება მოხდება ცენტრალი-ზებულად, ტექნოპარკის სისტემის შესაბამისად.



### აკად. ჯემალ გუგუშვილი, პროფ. გიული გოგოლი

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო, რეგიონული და კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკაში, მის სასურსათო უსაფრთხოებაში.

ზოგადად ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისას, ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ მთლიანი შიდა პროდუქტში აგრარული სექტორის წილი მხოლოდ 4-5% (საქართველოში 7,2%) შეადგენს და ამ სფეროზე ყურადღებაც შესამამისი უნდა იყოს.

ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, საფუძველშივე მცდარია. რამეთუ სწორედ ამ 4-5%-ზე დგას მშპ-ის, ანუ ნებისმიერი სხვა ეკონომიკური საქმიანობის დანარჩენი 95-96%, ზოგადად კი სახელმწიფოს მომავალი, მისი სტრატეგიული უსაფრთხოება.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ აგრარული სექტორის პრაქტიკულად ყველა სტრატეგიულ მიმართულებაში (მევენახეობისა და მეფრინველეობის გარდა) აღინიშნება რეცესია.

დღეს ძირითადი აქცენტი აღებულია მოსახლეობის რძითა და მისი პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტაზე, საშუალო და მსხვილი ინდუსტრიული ფერმების მოწყობას და მათი უცხოეთიდან შემოყვანილი მეწველი სულადობით დაკომპლექტების გზით. ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები, მეცხოველეობის საერთო დაფინანსების თითქმის 70-80%-ის ფარგლებშია.

ამასთან, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ბოლო 10 წლის მანძილზე სულ შემოყვანილია 5 ათასამდე სული სანაშენე ჯიშის პირუტყვი, რომელიც განაწილებულია რამდენიმე ასეულ საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე; მათზე მოდის ქვეყანაში წარმოებული რძის საერთო მოცულობის დაახლოებით 4-5. დანარჩენი 95% რძის მწარმოებლები, მათ შორის 10 სული და მეტი ფურის მყოფე 13 ათასი ფერმერი, ბედის ანაბარადაა დატოვებული.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ყველა სახეობის ცხოველთა მომშენებელი მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესებას (სადგომების რეკონსტრუქციის, ფერმის მოწყობილობებისა და დანადგარების შექმნის, საკვებწარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის და სხვა).

დიდი რესურსები გვაქვს მეცხოველეობისა და მეთხეობის დარგში.

*ნებისმიერ ქვეყანაში მეცხოველეობის მდგრადი განვითარების საფუძველია სანაშენე სამსახურის მიზანმიმართულად მუშაობა. ასეთი სამსახური კი საქართველოში არ ფუნქციონირებს უკვე 16 წელია (2006 წლიდან).*

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარდგენით მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის აღდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებით წინადადება შეტანილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში (ღონისძიება 3.4.6. სანაშენე საქმის განვითარება), მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით განვლილ პერიოდში არაფერი გაკეთებულა.

ამ თემაზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ:

- ევროგაერთიანებაში შესვლის პრეტენზიის მქონე კანდიდატი ქვეყნის მოთხოვნების ჩამონათვალში აგრეთვე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად, სხვა პირობებთან ერთად ქართული მხარის მიერ შესასრულებელია მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის სამართლებრივი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში აგრარული სექტორის პრობლემების გადასაწყვეტი პირველადი ამოცანების ჩამონათვალში შეტანილი იქნას:*



- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების ფარგლებში მეტი რესურსები დაეთმოს ადგილობრივი ჯიშების მომშენებელი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერას (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას);
- მიღებულ იქნას დადგენილება ქვეყნის მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის პროგრამის მიღების შესახებ.



#### აკად. ალექსანდრე დიდებულიძე

ექსპერტთა შეფასებით, არსებული კრიზისი მსოფლიოში ამცირებს სურსათის როგორც მიწოდებას (წარმოება შეზღუდულად ოპერირებს და მიწოდების ჯაჭვები შეფერხებულია), ისე მოთხოვნას (შემოსავლების, სამუშაო ადგილების დაკარგვა). ვირუსის შეჩერების ვადებზე გაურკვეველობა პროგნოზირებას ართულებს, რადგან არ არსებობს შესადარი ისტორიული მაგალითი. თუმცა საქართველოს ეკონომიკას შოკებთან გამკლავების ბევრი წარმატებული მაგალითი აქვს, თუნდაც, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მაინც სწრაფი ტემპით გაიზარდა. ამის გათვალისწინებით, თუმცა უახლოეს


პერიოდში მოსალოდნელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება, პანდემიამ დადებითად უნდა აისახოს საქართველოს სოფლის მეურნეობაზე (იხ. დიაგრამა, ნახ.1, ა და ბ); ამავე დროს, პოსტპანდემიური მოკლე პერიოდის განხილვისას აუცილებელია იმ ნეგატიური ეფექტების გათვალისწინება, თუნდაც კლიმატის არასასურველი მოვლენების (ნახ.2) და ნავთობზე ფასების მკვეთრი შემცირების გამო, რაც საქართველოსთვის მთლიანობაში როგორც ნავთობ იმპორტიორი ქვეყნისთვის ხელსაყრელია. ნავთობის ფასების მნიშვნელოვან შემცირებას უარყოფითი ეფექტიც აქვს, ღვინის რუსეთისა და ხორცის ბაზრებზე სამხრეთში წვდომის თვალსაზრისით და ამით ემუქრება სექტორს. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ თურქეთში ფაროსანას შეტევის გამო მოსალოდნელია ამ ქვეყანაში თხილის წარმოების 30%-იანი შემცირება.



ა

ბ

ნახ. 1. COVID-19-ის მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ა) და მის სექტორებზე (ბ). წყაროები: საქსტატი და Galt & Taggart, 03.2020.



ა

ბ

ნახ. 2. საქართველოს აგრარული სტრესის ინდექსი: ა. 20.04.2020; ბ. 20.04.2019. წყარო: FAO GIEWS Earth Observatory, წითელი ფერი შეესაბამება საგანგაშო სიტუაციას.

ნახ. 2 ა და ბ-ს შედარება ნათლად მეტყველებს, რომ კახეთსა და ქვემო ქართლში მხოლოდ წვიმების იმედზე არ უნდა ვრჩებოდეთ და აუცილებელია მელიორაციული ღონისძიების დროული ჩატარება.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის უახლოეს პერიოდში განვითარებას, უნდა გაგრძელდეს მუშაობა საქართველოს აგრარული პროდუქციის ექსპორტის გასაძლიერებლად ( იხ. ცხრილი 1).

საქართველოს აგრარული ექსპორტისა და იმპორტის 30 ძირითადი პოზიცია, მლნ აშშ დოლარი, 2015 და 2019 წლები

ცხრილი 1.

#	პოზიცია და HS	ექსპორტი		იმპორტი		ბალანსი
		2015	2019	2015	2019	
1	ყურძნის ნატურალური ღვინოები (2204)	95.8	222.9	1.9	3.5	219.4
2	მინერალური წყლები (2201)	82.2	133.6	0.2	0.1	133.5
3	სპირტი ეთილის და სპირტ. სასმელ. (2207-8)	65.0	129.5	44.7	47.8	81.7
4	თხილი და სხვა კაკალი (HS0802)	176.4	66.7	4.2	14.6	52.1
5	ცოცხალი მრკ (0102)	20.1	22.4	1.0	3.6	18.8
6	კურკოვნები და სხვა (0809-10)	4.7	20.0	3.2	4.0	16.0
7	ხორცი ცხვრის (0204)	0.1	15.2	0	0.1	15.1
8	ცოცხალი ცხვრები (0104)	19.7	13.9	3.4	3.1	10.8
9	ხმელი სუნელი. დაფნის ფოთოლი (0910)	8.0	10.7	0.5	1.3	9.4
10	ხორცის ფქვილი და გრანულები (2301)	10.1	9.8	0.3	0.4	9.4
11	ციტრუსები (0805)	13.4	21.4	10.9	12.6	8.8




1						
1 2	ლიმონათის მაგვარი (2202)	18.8	27.5	21.1	19.2	8.3
1 3	ცხიმები თევზის (1504)	5.3	5.1	0.1	0	5.1
1 4	პარკოსნების ფქვილი (1106)	4.3	3.1	0.2	0.5	2.6
1 5	მცენარეები პარფიუმერ. და ფარმაც. (1211)	1.9	3.0	0.3	0.7	2.3
1 6	ვაშლი. მსხალი. კომში (0808)	0.8	4.8	3.9	2.6	2.2
1 7	ბოსტნეული.გარდა პომ.კარტ. კიტრ (0709)	6.0	6.1	7.3	6.9	-0.8
1 8	ფრინველის კვერცხი (0407)	1.9	1.2	0.1	2.9	-1.7
1 9	კარტოფილი (0701)	0.4	1.0	5.2	2.4	-1,4
2 0	პომიდორი (0702)	0.3	2.3	6.3	5.5	-3.2
2 1	ფქვილი (1101)	3.2	0.1	10.5	4.8	-4.7
2 2	ჩაი (0902)	1.9	4.4	6.7	9.7	-5.3
2 3	კოპტონი (2304-6)	8.3	8.8	22.3	17.8	-9.0
2 4	სიმინდი (1005)	4.4	1.1	14.9	18.5	-17.4
2 5	თევზი ახალი და გაყინული (0302-05)	9.5	2.9	32.9	33.1	-30.2
2 6	შაქარი (1701)	0.5	0	49.3	50.3	-50.3
2 7	თამბაქო (2401-2403)	7.3	74.1	109.1	125.5	-51.4
2 8	ხორცი ფრინველის (0207)	0.1	5.7	53.0	65.2	-59.5
2 9	რძე და რძის პროდუქტები (0401-0406)	3.2	3.2	43.8	72.4	-69.2
3 0	ხორბალი და მესლინი (1001)	0.2	0.9	119.4	105.1	-104.2
	<b>ექსპორტი/იმპორტი სულ HS2400-ნად</b>	<b>2204.7</b>	<b>3771.4</b>	<b>7281.3</b>	<b>9063.2</b>	<b>-5291,8</b>
	<b>აგრარული ექსპორტი/იმპორტი BEC</b>	<b>612.2</b>	<b>895.3</b>	<b>905.6</b>	<b>1246.6</b>	<b>-351.3</b>
	<b>აგრარულ ექსპორტი ჯამურში, %</b>	<b>27.8</b>	<b>23.7</b>	<b>12.4</b>	<b>13.8</b>	<b>6.6</b>

აგრარული ექსპორტი:იმპორტზე	0.663	0.718			
----------------------------	-------	-------	--	--	--

წყარო: საქსტატის <http://www.geostat.ge>: მონაცემების ავტორისეული ინტერპრეტაცია

ცხრილი 1-ის ანალიზი (მ.შ. უფრო ადრინდელი მონაცემებისაც) გვიჩვენებს, რომ 2012 შედარებით საქართველოს აგრარული პროდუქციის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან მკვეთრად უმჯობესდება და 0,7-ს აღემატება, რაც, უდავოდ, დადებითად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, აუცილებელია შემდეგ ოთხ, ჩემი აზრით ძირითად) კითხვაზე პასუხის გაცემა:

1. რატომ დავთმეთ პოზიცია ფრინველის კვერცხთან დაკავშირებით (18);
2. რა უნდა გაკეთდეს, რათა საქართველო გახდეს სიმინდის, ჩაის, კარტოფილის და ბოსტნეულის ექსპორტიორი?
3. რატომ სათანადოდ არ გრძელდება მოწვევასთან ბრძოლა და ა.შ.;
4. რატომაა საქართველოში ხორბლის ფქვილი (და ასევე პური) 1.7-ჯერ ძვირი მეზობელ სომხეთთან შედარებით (იხ. ნახ.3)?



ნახ.3. სავაჭრო ქსელში ხორბლის ფქვილის ფასი, \$/კგ. წყარო: ფაო, GIEWS, 03.2020.

საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში მოხმარების მესამედი სურსათია (8% ევროკავშირში), ხოლო სურსათზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე ტურისტები საქართველოში ჩვენს შინამეურნეობებზე 5-ჯერ ნაკლებს ხარჯავდნენ, ამიტომ სურსათის მოხმარება კრიზისის პირობებში ნაკლებად დაეცემა, ეკონომიკური იზოლაციის პირობებში სურსათის ადგილობრივი წარმოების აქტივობისთვის სტიმულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსის გახანგრძლივების შემთხვევაში მოსალოდნელია მსოფლიო ბაზარზე სასაქონლო ფასების შემცირება, შესაბამისად საქართველოში ფასების მკვეთრ ზრდას არ უნდა ველოდოთ, რასაც ასევე სუსტ მოთხოვნაც შეაკავებს.

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა დაეცემა. კრედიტი, თუნდაც უპროცენტო, აღებული უნდა იქნეს განვითარებაზე და არა ხელფასზე. მცირე საწარმოები შეამცირებენ ხელფასებს ან სრულადაც გააჩერებენ წარმოებას, რაც ასევე გასათვალისწინებელია, რასაც უნდა ველოდოთ მაის-ივნისის თვეებში, ხოლო მთლიანად რეცესია გაგრძელდება 1,5-2 წლის განმავლობაში.

## 2030 წლის მოკლე პროგნოზი, განვითარების სტრატეგია

პირველ რიგში, ცოდნის ეკონომიკის განვითარების პირობებში, სწორედ ცოდნა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მამოძრავებელ რესურსად. აუცილებელია გავითვალისწინოთ საქართველოს სივრცით-ტერიტორიული განვითარება. ამოქმედდება ანაკლიის პორტი, დამთავრდება ფოთის პორტის რეკონსტრუქცია, რაც მკვეთრად გააადვილებს ჩვენს ექსპორტსა და იმპორტსა, მთელი სიმძლავრით ამოქმედდება ბაქო-ყარსის რკინიგზა, გაგრძელდება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი და ადგილი ექნება თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების მაქსიმალურ გამოყენებას - საქართველოს ისლანდიასთან, სინგაპურთან, პერუსთან, ჩილესთან, სამხრეთ კორეასთან და შვეიცარიასთან ერთად ასეთი რეჟიმი აქვს როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან და მან ამით უნდა მაქსიმალურად ისარგებლოს. ამის და ცხრილი 1-ის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ახალი ეკონომიკური მოდელის შემუშავება - იმ პოზიციების იდენტიფიცირება/წახალისება, სადაც მეტნაკლებად გვაქვს წარმოების პოტენციალი როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე ექსპორტისთვის.


საქართველოში სოფლის მეურნეობას ექნება კარგი პერსპექტივები მხოლოდ შემდეგ ფაქტორთა კომბინაციის წყალობით:

- მიზანმიმართული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა;
- შესაბამისი, სასურველია მაგისტრის განათლების მქონე, ინფორმირებული და ინოვაციური ფერმერები, მათთვის **ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფა**;
- გადამამუშავებელი და შემნახველი ავტომატიზებული საწარმოები;
- საიმედო ცენტრალიზებული ენერჯო- და გაზომომარაგება;
- სამელიორაციო ქსელის გაძლიერება;
- გამართული ინფრასტრუქტურა.

ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, 2030 წლისათვის შეიქმნება შემდეგი მდგომარეობა: სოფლის მეურნეობა ინტეგრირებულია ქვეყნის ტერიტორიის დაბალანსებულ და მდგრად განვითარებაში, საწარმოო ფუნქციის გარდა გაძლიერდა მისი ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის მოვლის, სტუმართმოყვარეობის, ენერგეტიკული და სასაზღვრო დაცვის ფუნქციები, ამ მულტიფუნქციურობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ შეიმუშავა მოტივირების ხერხები; მოზიდული იქნა ინვესტიციები (გადასაწყვეტია მიწის ფლობის საკითხი), აღარაა საჭირო დარგის სუბსიდირება; ჩამოყალიბდა მსხვილი ფერმერული მეურნეობები, განვითარდა ფერმერთა ასოციაციები, ვერტიკალური კოოპერატივები, შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოები, პროდუქცია შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტებს, Codex Alimentarius სტანდარტების და სახელმძღვანელო მითითებების (მ.შ. HACCP-ის), ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს; ვრცელდება ინოვაციური ტექნოლოგიები და ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნიკა, მ.შ. დრონები, გეოსაინფორმაციო და დისტანციური ზონდირების სისტემები; ტარდება სავარგულების გაუმჯობესების ღონისძიებები, სამელიორაციო სისტემები რეაბილიტირებულია და მოწყობილია ახალი; უპირატესად ბიოპრეპარატების გამოყენებით ტარდება მცენარეთა დაცვის ღონისძიებები, გაიზარდა ბიორგანული პროდუქციის მოცულობა; გრძელდება ცხოველთა პასპორტიზაცია, ვაქცინაცია, შედეგად შემცირდა ეპიზოოტიების საშიშროება; შეიქმნა ხელოვნური განაყოფიერების პუნქტები, მაღალმთიანეთში აშენდა მეცხოველეობის მცირე ფერმები; გაძლიერდა საკვებწარმოება, მოხდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების ინტროდუქცია, გაიზარდა სასათბურე

მეურნეობების ფართობები; წარმოებული კონკურენტუნარიანი პროდუქცია, მ.შ. მწვანელი და სუნელები წარმატებით გადის ექსპორტზე; დარგში დასაქმებულია ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრები, მოქმედებს ფერმერთა ექსტენციის სერვისი და ლოკალური აქტიურობის ჯგუფები, შეიქმნა პროფესიული ასოციაციები; განვითარდა ბუნებრივი კატასტროფების მართვის სისტემა, ქარსაცავი ზოლები აღდგენილია, ჩატარდა მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები, გაძლიერებულია აგროდაზღვევა; განვითარდა პრეციზიული მიწათმოქმედება და რესურსების მდგრად გამოყენებაზე დაფუძნებული ორგანული სოფლის მეურნეობა, მკვეთრად გაიზარდა ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქციის მოცულობა, ტექნოლოგიურ პროცესებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მზის ენერჯია, მცირე მექანიზაციის საშუალებები, ელექტროლოტურები და ხელის ელექტროსათიბელები; გაუმჯობესებულია საძოვრები, დაცულია პირუტყვის ძოვების ნორმები და ეროზია შეჩერებულია; ცხოველების სადგომებში უზრუნველყოფილია ოპტიმალური მიკროკლიმატი; თაფლი ფართოდ ვრცელდება შიდა და გარე ბაზრებზე, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გადასინჯულია ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმებისადმი მიძღვნილი კანონმდებლობა, მეფრინველეობაში გამოიყენება გენმოდირეცირებული სოია, სულ უფრო დიდი რაოდენობით გადის მსოფლიო ბაზარზე ქართული გმ ყვავილები.

**ქვეყანა გახდა აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორი.**



**აკად. ვაჟა კვალიაშვილი**

**სოფლის მეურნეობა ქვეყნის ბუნების ნაწილია და ემორჩილება სამყაროს კანონზომიერებას: - მოუფლი ბუნებას – მოგივლის შენ!**

-ეს წესი არ ექვემდებარება განსხვავებულ, ხელოვნურად შექმნილ ცნებებს, საზოგადოების ან პარტიულ დებულებებს. ბუნების, გარემოს დაცვა და ს/მეურნეობის განვითარება ერთ მთლიანობაშია და ასე უნდა განიხილებოდეს.

**ეპიდემიის პერიოდში საჭიროა:**

**-უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა;**

**-გლეხი, ფერმერი არ უნდა ჩამოდიოდეს პროდუქციის გასაყიდად ბაზარში!**

-სოფლებში, ადგილებზე, სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქცია, მუნიციპალიტეტის მიერ ოფიციალურად გამოყოფილმა პირებმა (აღრე არსებული **კოოპერაციების** მსგავსად) შეისყიდონ მოსახლეობისგან და ფერმერებისგან და გაუკეთონ რეალიზაცია ქალაქებსა და ბაზრობებზე. გლეხს და ფერმერს უნდა ჰქონდეს რწმენა და გარანტია, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია სათანადოდ ანაზღაურდება, რაც მისთვის უკეთ მუშაობის სტიმულია.

-მთავრობამ წლის ბოლომდე მიიღოს დადგენილება **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული საწარმოს ჩამოყალიბების** და მისთვის სოფლის ტერიტორიაზე

არსებული სახელმწიფო სავარგულების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რაც ს/მეურნეობის ინტენსივიკაციის გარანტია.

-ნათესი კულტურების და ბალ-ვენახების მოვლა-პატრონობა და მოსავლის აღება-დაბინავება ჩვეულებრივ გაგრძელდეს - აგრო-წესების და უსაფრთხოების დაცვით. დაიწყოს მიწების ხვნა-დამუშავება, დარგვა, თესვა და სხვა.

### ეპიდემიის შემდგომ პერიოდში:

-ეპიდემიით ჩვენზე მეტად დაზარალებული ქვეყნები უწინდელივით ვეღარ დაგვიდგებიან მხარში და ქვეყნისათვის საჭირო სურსათის საწარმოებლად აქედანვე აუცილებელია:

*-მოვხნათ და მოვაწესრიგოთ სოფლის სახნავ-სათესი მიწები, მათ შორის, ადრულ წლებში გამოყენებული მთის ფერდობები და დღეს მიგდებული და გაჯაგებული მიწები; ასევე, - დაუმუშავებული პრივატიზებული და უცხოელებზე გაყიდული მოუფლელი მიწები და მოვამზადოდ ხორბლის, სიმინდის, ქერის, შვრიის, ლობიოს, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის და მეცხვლეულების საკვები კულტურების დასათესად.*

*-სამუშაო მდგომარეობაში მოვიყვანოთ და რაციონალურად გამოვიყენოთ ტრაქტორები, სას. სამ. მანქანები და დამხმარე ტექნიკა. საჭიროების შემთხვევაში გამავიყენოდ კერძო სექტორის ტექნიკაც.*

*-მოწესრიგდეს სამელიორაციო -სარწყავი სისტემები; მოსაწყობი და ბევრგან გასაკეთებელია სარწყავი წყლის ჭაბურღილები.*

*- აუცილებელია: შეიქმნას მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მეთესლეობის, ხეხილოვანთა და ვაზის სანერგე სპეციალიზებული სახელმწიფო (ან კოოპერაციული) მეურნეობები; მცენარეთა ჯიშთაგამოცდის, მც. დაცვის და ზოოვეტ სადგურები. -სხვაგვარად ქაოსი გაგრძელდება ქვეყანაში!*

*-თვალსაჩინოა აგრონომების, მცენარეთა დამცველების, აგროქიმიკოსების, ზოოვეტ და სხვა სპეციალისტების ნაკლებობა, როგორც სოფლად, ისე რაიონულ რგოლებში (და სამინისტროშიც).*

*-სოფლის პროდუქტების საკმაოდ დიდი ნაწილის ტექნოლოგიური გადამუშავება ბიზნესის ხელშია, რომელიც არ, ან ნაკლებად იზიარებს გლეხის და ფერმერის ინტერესებს, სოფლის გასაჭირს. ამიტომ უნდა შეიქმნას სააქციო საზოგადოებები, -მასში ტექნოლოგიური საწარმოს და მისი პროდუქციის შესაბამისი ნედლეულის მწარმოებელი გლეხებისა და ფერმერების, ან საწარმოს და მთელი სოფლის გაერთიანებით, რომელშიც სოფლის მოსახლეები მეპაიე მემკვიდრე-წევრები იქნებიან.*

*-ჩვენი ხილი მხოლოდ ნედლად არ უნდა მოვისმაროთ. მისი გამორჩეული, უცხოურისგან განსხვავებული გემოს და სურნელის უპირატესობა უფრო უკეთ და მომგებიანად უნდა იქნეს გამოყენებული. არსებობს საიმისო ნედლეულის წარმოების ბაზა და სურვილიც. საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია და*

მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას როგორც ბაღების მოვლაზე და ეკოლოგიურად სუფთა ხილის წარმოების გაზრდაზე, ისე პროდუქციის რაციონალურად გამოყენება-გადამუშავებაზე. სხვაგვარად ჩვენი ხილი ვერ გაუძლებს კონკურენციას და ვერ დამკვიდრდება უცხოეთის ბაზრებზე.

-ხილის 100% ნატურალური (ხელოვნურად შექრის შეტანის გარეშე) და ეკოლოგიურად სუფთა, სიდრის ტიპის დვინომასალების და ვაშლის პორტგვინის, ასევე - ცუკატის - წარმოების საკითხის დროულად და დადებითად გადაწყვეტა სოფელს და ქვეყანას მოუტანს მნიშვნელოვან მოგებას.

ასეთი ტიპის სააქციო საზოგადოების შესაქმნელად, სსმმ აკადემიის მონაწილეობით შეიქმნა და 2003წ. „დაპატენტდა“ (გერმანიაში, პოლონეთში, ბელორუსიაში და ბალტიისპირეთში აპრობირებული და მოთხოვნადი) ხარისხოვანი მაჩვენებლებით მსგავს ვეროპულზე უკეთესი, იაფი და მაღალმომგებიანი პროდუქციის საწარმოს პროექტი, რომელიც დღემდე ქაღალდზეა და განუხორციელებელია. /იხ. ბროშ. „ხილი მხოლოდ ნაყოფი არ არის“-სსმმ აკადემია. 2017წ. /.



**აკად. როლანდ კოპალიანი, პროფ. ვახტანგ ქობალია,  
პროფ. მაყვალა ფრუიძე**

მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ბევრმა ქვეყანამ გააკეთა განცხადება სასურსათო პროდუქტების სხვა ქვეყნებისათვის მიწოდების შეწყვეტაზე, რაც სამომავლოდ პრობლემებს შეუქმნის ჩვენს ქვეყანას, ვინაიდან 80-85% - ით იმპორტ დამოკიდებული ვართ. პანდემიამ მთელ მსოფლიოს აშკარად დაანახა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანას ჰქონდეს უნარი (შესაძლებლობა) უზრუნველყოს მოსახლეობაში გენერირებული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ანუ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის დაუყოვნებლივი ზომების მიღება.

**პანდემიის პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები:**

- რეგიონებში არსებულმა საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებმა წარმოადგინონ შესაბამისი რუქები, რომელი ფართობები მუშავდებოდა და რა კულტურები ითესებოდა ამ ფართობებზე, რათა მომზადდეს უმოკლეს ვადაში მათ ათვისებისათვის საჭირო პირობები.
- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ან მასთან შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ უნდა შეისწავლოს სოფელში თითოეულ ფერმერს რა სახის სასოფლო-სამეურნეო



საქონელი (სასუქები, შხამქიმიკატები და ა.შ.) სჭირდება და უზრუნველყოს მათი მიწოდება;

- მუნიციპალიტეტის გამგებელმა ან მასთან შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით შექმნას, 2-3 კაციანი ჯგუფები სპეციალისტებისაგან, რომლებიც შესაბამის ტექნიკას გაიყვანს ზემოთ მითითებული ფართობების დასამუშავებლად. აღნიშნული ჯგუფი სავსე პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ღამის გასათევი ნაგებობებით, საწვავ-საცხებით, სათესი მასალით, საკვები პროდუქტებით, შესაბამისი ანაზღაურებით. აუცილებლად ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- სოფელში წარმოებული აგრარული პროდუქტის ორგანიზებული შესყიდვა შესაბამისი ორგანიზაციების (საბითუმო სავაჭრო ქსელები, ონლაინ გაყიდვების მაღაზიები და ა.შ.) მიერ.
- მსხვილ ფერმერულ მეურნეობებს გაეწიოს დახმარება წარმოებული პროდუქციის გასაღებაში და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფაში;

პანდემიის შემდგომ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები:

- შესწავლილი უნდა იქნას საქართველოს ბაზარზე არსებული იმპორტირებული საქონელის ხვედრითი წილი და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩანაცვლებული იქნას ქართული სასოფლო სამეურნეო ნაწარმით,
- პირველ რიგში უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სასოფლო სამეურნეო მიწების შესახებ, დაუმუშავებელი მიწის ყოველ მონაკვეთზე უნდა დაწესდეს მკაცრი ფინანსური სანქციები; მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს და დაფინანსდეს ოჯახები, რომლებიც გადაწყვეტენ სოფელში დაბრუნებას (განსაკუთრებით ახალგაზრდები);
- საჭიროა ფერმერებისა და სოფლის მეურნეობით დაკავებული პირებისათვის ელემენტარული მცირე ბიზნესის განვითარებისთვის გრანტებისა და დაბალპროცენტიანი კრედიტების დაფინანსების გაზრდა;
- აღდგენილი იქნას ცხიმ -ზეთების წარმოება- მზესუმზირისაგან, სიმინდისა და სოიოსაგან, ლაქ- საღებავების ტუნგოსაგან და სხვა მცენარეებისაგან, ეთერზეთების წარმოება- ვარდის, რეჰანის, ფაჩულის, ვეტივერიის, ჟასმინის და სხვა ეთერზეთოვნებისაგან და მათი გამოყენებით კოსმეტიკური საშუალებების წარმოება.
- აუცილებელია სოფლის მეურნეობაში საიჯარო და დაზღვევის სისტემების კიდევ უფრო განვითარება;
- აღდგენილი და გაფართოებული იქნას ჩაისა და თამბაქოს წარმოება რომლის მოსაყვანად საქართველოში ხელსაყრელი ნიადაგურ კლიმატური პირობებია და ჩვენს ბაზარზე მისი რაოდენობის 80-90 % იმპორტირებულია.

- ხელი შეეწყოს მარცვლეული კულტურების მოყვანა გადამუშავებას, რათა საქართველოს მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებული არ იყოს იმპორტირებულ ნედლეულზე.
- ხელი შეეწყოს საქართველოს თვითდასაქმებულ მოსახლეობას გააფართოონ საკუთარი წარმოება და ჭარბი ნაწარმი მიაწოდონ ბაზარს;
- გაფართოებული იქნას საქართველოს სამაცივრო წარმოება რათა ხელი შეეწყოს მაღლფუჭადი კენკროვანი კულტურების( მარწყვი, ჟოლო, მაცვალი, მოცვი) შენახვას, მათ გეგმიურ გადამუშავებას და რეალიზაციას;
- გაფართოვდეს და აღდგენილი იქნას სანერგე მეურნეობები, გამოყენებული იქნას ნერგების გამოყვანის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები.გამოყენებული იქნას სუბტროპიკული ზონის უნიკალურობა, რომელიც იშვიათია მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის.
- მიზნობრივი პროგრამებით ხელი შეუწყოს საექსპორტო პროდუქციის ახალი ბაზრების ათვისებას და ახალი აგროტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების დანერგვას;
- საჭიროა სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირებისა და ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების ასათვისებელი ტრენინგების ან სხვა ადვილად მისაწვდომი ღონისძიებების მასობრივი ორგანიზება;
- სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მომსახურების ცენტრების განვითარება ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი საირიგაციო სისტემების (წვეთოვანი, დაპკურება და სხვ.) მოწყობა; სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
- სოფლის მეურნეობის სფეროში უმაღლესი განათლების ხარისხობრივი გაუმჯობესება; ყველა სოფელში აგრარული სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის (აგრო-კონსულტანტის) შტატის შექმნა;
- აღდგენილი იქნას სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები რომლებიც ხელს შეუწყობს ციფრული ტექნოლოგიების, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო მიღწევების განვითარებას, რაც საბოლოოდ დააჩქარებს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას, რაც ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის საფუძველია;

მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების ერთიანი ხედვის და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს და დაფუძნებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ პრაქტიკაზე, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და სოფლის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას.



## აკად. თ. კუნჭულია, აკად. პ.კოლუაშვილი

ჯერ კიდევ 15 წლის წინ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) და მსოფლიო ბანკმა (მ.ბ) დაანონსეს მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში სურსათის წარმოების შემცირებისა და მისი გაძვირების შესახებ.

კორონავირუსის პანდემიამ, რომელიც მსოფლიოში უმწვავესი ფორმით მიმდინარეობს, განაპირობა სახელმწიფოების მიერ წარმოების განვითარების, მათ შორის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიების გადახედვა, საკუთარი წარმოების პროდუქციით მოსახლეობის დაკმაყოფილების მიმართულებით, მიუხედავად პროდუქციის წარმოების ეფექტურობისა.

ადრე გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, საქართველომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს როგორც საექსპორტო, ისე ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების ზრდის ხარჯზე. ასევე, გასათვალისწინებელია ტურიზმის მკვეთრი შემცირება და საქართველოდან მიგრირებული მოსახლეობის მიერ უცხო ქვეყნებში სამუშაოს დაკარგვის გამო, მათ მიერ სავალუტო გადმორიცხვების შემცირება და მათი უკან დაბრუნება და სამუშაოთი უზრუნველყოფა.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წინაშე მდგარი რთული ამოცანის გადაწყვეტისთვის აუცილებელია:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის „მწვანე ბაზრის“ აღდგენა, რომელიც შეწყდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში და რომელიც, ითვალისწინებდა მსხვილ სოფლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემსყიდველი პუნქტების მოწყობას, შესაბამისი მუნიციპალური სათაო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა სამაცივრე კამერებით, დამხარისხებელი და შემფუთავი დანადგარებით. ქ.თბილისში გათვალისწინებული იყო მწვანე ბაზრის მშენებლობა, სადაც განთავსდებოდა გადამამუშავებელი საამქრო სპეციალიზირებულ მაღაზიებში სასაქონლო სახედაკარგული პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებისათვის;
- უნდა შედგეს 10-მდე დასახელების პროდუქციის სია და მათი წარმოება განაწილდეს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებში პროდუქციის წარმოების მოცულობის და ტექნოლოგიის მითითებით, ეს, კი მოთხოვს თითოეული სახის პროდუქციის წარმოებისათვის ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავებას.

საქართველოში ხორბლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი წლების მიხედვით მერყეობს 8-18%-ს შორის. მისი გაზრდა შესაძლებელია 60-65%-მდე. ეს, ითვალისწინებს ნათესების გაზრდას, მოსავლიანობის ამაღლებას, ხორბლის

შესყიდვას და შენახვას სერთიფიცირებულ საწყობების მიერ. ეს უკანასკნელი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში მონაწილეობენ ხორბლის მწარმოებლები, სერთიფიცირებული საწყობის მეპატრონეები და კომერციული ბანკები, რომლებიც სესხებს გასცემენ ფერმერებზე სერთიფიცირებულ საწყობებში მათ მიერ შენახული ხორბლის საგირავნო ქონებად გამოყენების საფუძველზე.

მსგავსი სქემის გამოყენება შესაძლებელია სხვა მარცვლეულის მიმართაც და რაც მთავარია, აღნიშნულ პროცესში არ მონაწილეობს სახელმწიფო. მისი ფუნქცია შემოიფარგლება პარლამენტის მიერ ასეთი საქმიანობის დაშვებით.

- **სერიოზული თანხა უნდა გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის** (ტრაქტორების, კომბაინების, გუთნების, სათესების, მარცვლის დმხარისხებლები დანადგარების და სხვა) შესასყიდი ფასების სახელმწიფო სუბსიდირებისათვის. დეფიციტურ საქონელზე იგი უნდა იყოს არანაკლებ 50%-ისა;
- თესლის, ნერგის, პესტიციდების შესყიდვაში სახელმწიფოს მონაწილეობა;
- **სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის ერთ-ერთ გზად გადამამუშავებელ წარმოებასთან ინტეგრირება ითვლება;**
- კოოპერატივების ჩამოყალიბებისას ვერტიკალური ინტეგრაცია ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც დარგობრივ ისე სათემო კოოპერატივებში;
- ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის ფინანსური დახმარებების ან შეღავათების დაწესება, რამაც საუკეთესო შედეგები გამოიღო;
- **უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საგირავნო ფოდის მოცულობა;**
- **სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს** თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის, ფრინველის მწარმოებელი მეურნეობების სერთიფიცირების პირობების შემუშავება და მინიჭების წესების დადგენა;
- **საქართველოში მკვეთრად შემცირდა ხორცის წარმოება.** ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრინველის ხორცის წარმოებას. მისი განვითარება შესაძლებელია პროცესში წვრილი ფერმების ჩართვით. პერსპექტიულია ასეთი ფერმების კოოპერირება მსხვილ მეურნეობებთან, რაც ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელთა წარმოების ამაღლებას;
- **ღორის ხორცის წარმოება ძირითადად კონცენტრირებული უნდა იყოს ოჯახურ მეურნეობებში** (ღორის ტყეში შენახვის საფუძველზე). ღორის ხორცის წარმოების ორგანიზება წარმატებითაა შესაძლებელი კახეთის რეგიონში და აგრეთვე დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში;
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებისათვის გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სქემა:** შედარებით მსხვილი მეურნეობები ხელშეკრულებას აფორმებენ წვრილ მეწარმეებთან შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სათიბებისა და სამოვრების გადაცემა. შესაძლებელია საკვებწარმოების კოოპერატივების

ჩამოყალიბება. აღნიშნული სქემით შესაძლებელია წვრილი მეურნეობების შემოსავლების გაზრდა;

- **უნდა იქნეს გამოყენებული ჯავახეთის რეგიონის პოტენციალი, სადაც შესანიშნავი პირობებია სალუდე ქერის წარმოებისათვის და იქ ლუდის ქარხნების მიერ ისეთივე ნედლეულის მისაღებად, როგორც ეს გერმანიაშია ორგანიზებული. ეს, ეხება სვიისა და ლუდის წარმოებისათვის საჭირო სხვა კომპონენტების დამზადებასაც, ამისათვის კი საქართველოში შესანიშნავი ბუნებრივი და ეკოლოგიური პირობები არსებობს;**



### **აკად. გოგოლა მარგველაშვილი**

FAO – ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით მსოფლიოში პანდემიის შემდგომ პერიოდში მოსალოდნელია სასურსათო კრიზისი. იგივე ორგანიზაციების ექსპერტების პროგნოზით 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 3 მილიარდით გაიზრდება. მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას მოახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც. სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად ბუნებრივი რესურსები მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მოსალოდნელია მწვავე სასურსათო კრიზისი, რომლის ნეგატიური შედეგები უპირველესად სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებზე აისახება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე, მიუხედავად ბოლო წლებში აგრარულ სექტორში განხორციელებული მნიშვნელოვანი დადებითი ძვრებისა, სასურსათო უსაფრთხოების ვერცერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

**„გაეროს“** რეზოლუციის შესაბამისად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია. საქართველოში - სურსათის 70% იმპორტირებულია;

**ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი განსაკუთრებული ფაქტორი ნიადაგია.**

ჩვენს ქვეყანაში 90-იანი წლებიდან დაწყებული ნიადაგი სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა და დღეისათვის მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%-ზე მეტს შეადგენს.

ამიტომ არის, რომ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში მიწის მნიშვნელოვანი ფართობები დაუმუშავებელი და დაუთესავია. 1990 წელთან შედარებით, როცა ნათესი ფართობი 701,9 ათასი ჰა იყო, 495,2 ათასი ჰექტრით არის შემცირებული ნათესი ფართობი 2019 წელს. ამრიგად, **500 ათასამდე ჰა მიწა დაუთესავი, მიტოვებული, გაუდაბნობის საფრთხის ქვეშ მყოფია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ**

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი არ არიან კარგად ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ ვერანაირი რეფორმა სოფლის მეურნეობის დარგში ვერ იქნება წარმატებული თუ არ დავიწყეთ იგი პირველ რიგში ჩვენი დეგრადირებული ნიადაგების, ჩვენი მიწის ფონდის მოწესრიგებით.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხორბლის რაოდენობრივი მაჩვენებელია.

ამ თვალსაზრისით საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პურით ცდილობს შეივსოს დღიური რაციონი. საქართველოში პურპროდუქტების ნაწარმი შეადგენს ენერგეტიკული ღირებულების საკვების 62%-ს, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს ციფრი 15%-ს არ აღემატება.

პურით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყველა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია, მით უმეტეს, თუ მას შესაბამისი რესურსები გააჩნია. ეს პრობლემა ყველაზე უფრო „მოკლევადიან“ გადაწყვეტას ექვემდებარება. საქართველოში იმის რეალური შესაძლებლობებია, რომ საკუთარი წარმოების მარცვლით მოსახლეობის 80-100%-იანი უზრუნველყოფის საკითხი უახლოეს წლებში გადაიჭრას. იგი თავისი მნიშვნელობით სიღარიბის დაძლევის ტოლფასია. ამჟამად მიტოვებული, დაუთესავი 500 000 ჰექტარი სახნავი მიწის გაკულტურება, სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშების გამოყენება წარმატებით გადაწყვეტს ადგილობრივი წარმოების ხორბლით ქვეყნის დაკმაყოფილებას, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარი გარანტიაა.

საქართველოში ხორბლის წარმოების გაზრდა უნდა მოხდეს: 1. - ნათესი ფართობის – 230-250 ათას ჰა-მდე გაზრდით; 2. - გენეტიკის მიღწევების ხარჯზე და 3. - აგროტექნოლოგიის დახვეწისა და გაუმჯობესების ხარჯზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინტენსიური მიწათმოქმედება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ: - ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიაროს.

– ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული დაბალნაყოფიერი ნიადაგების (ეროზირებული, დამლაშებული, ბიცობი, დაჭაობებული, მჟავე და ა.შ.) ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენება სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის დინამიური განვითარების მთავარი რეზერვაა. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე, მიწაზე მფლობელობის ფორმის მიუხედავად, სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

აუცილებელია შემუშავებულ იქნეს საქართველოს ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა.

აღდგენილ იქნეს ადრე არსებული „ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სახელმწიფო სამსახური“ თავისი ლაბორატორიით.

გამოცხა



აღდგენილ იქნეს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ნიადაგმცოდნეობის და აგროქიმიის ს/კ ცენტრი.

ასეთი სტრუქტურები არსებობს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დღემდე შენარჩუნებულია ორივე ეს სტრუქტურა. ერთადერთი ქვეყანა პოსტ საბჭოთა სივრცეში სადაც გაუქმდა იგი საქართველოა.



### აკად. რევაზ მახარობლიძე

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას. აგროსაინჟინრო სფერო კი, მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არის სოფლის მეურნეობის ძირეული რეფორმების ლოკომოტივი.

**სატრაქტორო ენერგეტიკა** საქართველოში, ძირითადად შეისყიდება საზღვარგარეთიდან. საჭიროა თანდათანობით გაიზარდოს ისეთი ტრაქტორების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან როგორც უკანა, ისე წინა დაკიდების სისტემებით, ასევე როგორც უკანა, ისე წინა და გვერდითი სიმძლავრის ამრთმევი ლილვებით (სალ). გარდა ამისა, ამ ტრაქტორებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ტვირთამწეობა. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელია კომბინირებული ტექნოლოგიური მანქანების დააგრეგატებისათვის.

**ნიადაგის დამუშავების დარგში** უნდა დამუშავდეს დიფერენცირებული ზონალური სისტემა ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ნალექების რაოდენობის, ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლივობის, რელიეფის, ტემპერატურისა და ქარის რეჟიმის, ასევე თესლბრუნვისაგან დამოკიდებულებით. ჩვენში მიღებული „ტოტალური“ ხვნა ყოველ რეგიონში, იწვევს ნიადაგის დეგრადაციას, ჰუმუსის მინერალიზაციას და ფერდობის პირობებში - ეროზიის ზრდას. ფრთიანი გუთნებით ხვნა რეკომენდებულია იმ რეგიონებში, სადაც ნალექების რაოდენობა 300...400 მმ მეტია. ის შეუცვლელია ასევე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, ასევე სიდერატებისა და სარეველების ჩახვნისათვის. პერიოდულად ხვნა საჭიროა ასევე ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის პირობებშიც. ამიტომ ხვნის ტექნოლოგია და გუთნის კონსტრუქცია წარმოადგენს მუდმივი კვლევის საგანს. საჭიროა გაიზარდოს საბრუნო გუთნების რაოდენობა პროგრამული გლუვი ხვნისათვის და მოხდეს მისი კონსტრუქციული სრულყოფა ღრმად გამაფხვიერებელთან კომბინაციაში ფერდობების ეროზიის საწინააღმდეგო დამუშავების

ტექნოლოგიისათვის. სასურველია, რომ ამ გუთნებს ჰქონდეს საცვლელი კორპუსები და აგებული იყვნენ ბლოკ-მოდულური პრინციპით სხვადასხვა წევითი კლასის ტრაქტორებზე აგრეგატორებისათვის.

**სოფლის-მეურნეობის ქიმიზაციის დარგში** დანერგვისა და კვლევის საგანს წარმოადგენს სამანქანო ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებანი სასუქების დოზირებულად, ზოლურად და ლოკალურად შეტანისათვის. საქმეისკის კვლევებმა აჩვენა, რომ პნევმოდინამიკური ეფექტის გამოყენებით შესაძლებელია მოვახდინოთ ღრმა ლოკალური და ზოლური შეტანა მინერალური და თხევადი ორგანული სასუქებისა ნიადაგის გაფხვიერებასთან ერთად მრავალწლიან კულტურებში. ამ დარგში სტრატეგიულად მიშვნელოვანია სამუშაოები სასუქების დიფერენცირებულად შეტანისა და შხამქიმიკატების შეფრქვევის მიმართულებით „კოორდინატული მიწათმოქმედების“ სისტემაში.

**თესვის მექანიზაციის დარგში**, მაღალი ტექნოლოგიების ათვისების კვალობაზე, საჭიროა შევიდინოთ და შევქმნათ ე.წ. „სათესი კომბაინები“, რომლებიც აგრეგატორებიან, საშუალო და მცირე სიმძლავრის ტრაქტორებზე იმ მიზნით, რომ ერთი გავლით შევასრულოთ ნიადაგის ფინიშური დამუშავება, სასუქების შეტანა, სხვადასხვა მცენარეების თესვის შეთესვა და მათი რიგთაშორისებში მიტკეპნა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ასეთი ტექნიკური გადაწყვეტის პირობებში მცირდება: ნიადაგის გამკვრივება, საჭირო მანქანების რაოდენობა 2,5-ჯერ, მანქანების ლითონტევადობა 30...60 %, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება 10...15%.

**მარცვლის ამლები კომბაინების** შექმნის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მეცნიერულად დასაბუთებული თანაფარდობა მოსავლიანობასა და კომბაინის გამტარუნარიანობას შორის. როცა მარცვლეულის მოსავლიანობა 25 ც/ჰა-ზე მცირეა, რეკომენდებულია 3 კგ/წმ გამტარუნარიანობის (მიწოდების) კომბაინები, როცა საშუალო მოსავლიანობაა 25...40 ც/ჰა - 5...6 კგ/წმ კლასის კომბაინები, ხოლო როცა მოსავლიანობა მაღალია (40 ც/ჰა და მეტი) - 9...12 კგ/წმ კლასის კომბაინები. მცირე მოსავლიანი და წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის არსებობენ მისაბმელი კომბაინები. ასეთი კომბაინების ენერგეტიკული ნაწილი (ტრაქტორები) შეიძლება დავტვირთოთ მთელი წლის განმავლობაში სხვა ოპერაციებზე. საჭიროა სამუშაოების გაფართოება მცირე ფერმერულ მეურნეობებში, სამთო პირობებში და მცირე კონტურიან ნაკვეთებში თავთავიანი და სათოხნი კულტურების მოსავლის აღების ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნის მიმართულებით.

**მეზოსტნეობის მექანიზაციის დარგში** აუცილებელია ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიების ათვისება (მათ შორის ჩითილების კასეტური რგვა) და ასეთ ტექნოლოგიებზე მორგებული მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დამუშავება. ბოსტნეულის აღების, დახარისხების და ტრანსპორტირების დროს შრომის პირობების შემსუბუქებისათვის საჭიროა დამუშავდეს დაბალჩარჩობიანი პლატფორმები. საჭიროა ასევე გამოიძებნოს საშუალებანი მაღალშპალერიანი (4-მ-მდე) ბოსტნეული კულტურების მექანიზებული მომსახურებისათვის დაცულ გრუნტებში.

**მებაღეობისა და მევენახეობის მექანიზაციის დარგში** პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება სხვადასხვა ოპერაციების (მცენარის გასხვლა, ნაყოფის კრეფა, ორმოების ამოთხრა, დატვირთვა-გადმოტვირთვა, დასხურება-დაფრქვევა, ბომბების დასობა ა.შ.) შემსრულებელი აგრეგატების შექმნა, რომლებიც შედგენილი იქნებიან სწრაფად მოსახსნელი მოდულებისაგან. ასეთი აგრეგატების შექმნის ბაზად შეიძლება გამოდგეს საქმეესკ-ში დამუშავებული უნივერსალური ფრონტალური საკიდი მექანიზმი ამწე მოწყობილობით, რომელიც აგრეგატირდება სხვადასხვა კლასის ტრაქტორზე.

**მეჩაიეობის მექანიზაციის დარგში** საჭიროა გაგრძელდეს სამუშაოები სტანდარტული ჩაის პლანტაციებიდან ჩაის დუყის მოვლა-მოყვანის და კრეფის ტექნოლოგიური პროცესების შემსრულებელი სერიული მანქანების მწარმოებლობის და საიმედოობის მახასიათებლების ამაღლებისათვის. ამ მიმართულებით მკვეთრი წინსვლა შეიძლება მოხდეს, თუ ჩაის შპალერის ოვალური ფორმირებიდან გადავალ ბრტყელ ფორმაზე. ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მაღალი მწარმოებლობის როტაციული ტიპის სასხლავ-საკრეფი უნივერსალური მანქანა და მკვეთრად შევამციროთ საჭირო ტექნიკური საშუალებების ნომენკლატურა და რაოდენობა.

**კარტოფილის წარმოების მექანიზაციის დარგში** საჭიროა გადავიდეთ დაბაზოება-დაკვალვის ტექნოლოგიაზე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ბაზოებში უკეთესად ინახება ტენი, ხოლო წვიმის პირობებში კვალი გამოიყენება ზედმეტი ტენის მისაღებად და გასატარებლად. ბაზოებში ხდება ერთნაირი სახის კარტოფილის ტუბერების ფორმირება. აღების დროს იხარჯება ნაკლები ენერჯია და ნაკლებად ზიანდება ტუბერები.

**მეცხოველეობისათვის საკვებწარმოების მექანიზაციის დარგში** ჩვენში გამოყენებული ბალახების მოთიბვის და მათი მოზნეული სახით 17...18 % შრობის ტექნოლოგია ითვლება ყველაზე არარაციონალურ ტექნოლოგიად, რადგან მისი გამოყენების დროს ადგილი აქვს საკვები ნივთიერების 33...38 % დანაკარგებს (მაგალითად, კარატინის 90%-მდე), რის შედეგად მკვეთრად მცირდება საკვების ხარისხი. აქამდე ყველაზე უფრო პროგრესულ ტექნოლოგიად ითვლება „შეფუთული სენაჟი“. ცნობილია, რომ სენაჟი არის საკვები, რომელიც დამზადებულია ადრეული ვეგეტაციის ფაზის ბალახისაგან, რომელიც შეჭკნობილია 45...55% და შენახულია ანაერობულ პირობებში. სენაჟის კონსერვირება ხდება წყლის შემცველობის უკმარისობის შედეგად შეჭკნობილ მდგომარეობაში, როდესაც ბაქტერიების უმრავლესობას არ შეუძლია ამოწოვოს თავისი ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელი წყალი, გარემოს ე.წ. ფიზიოლოგიური სიმშრალის გამო. ამის გამო სენაჟში მჟავიანობის წარმოქმნის პროცესი შეზღუდულია, სუსტად ვითარდებიან სიდამპლის და მჟავე ზეთის გამომწვევი ბაქტერიები, რაც ხელს უწყობს საკვებში ნივთიერებების და, პირველ რიგში, შაქრის შენახვას. თუმცა სასენაჟე მასაზე კარგად ვითარდებიან ობის სოკოები. მათი განვითარების აღკვეთისათვის საჭიროა მოვახდინოთ სასენაჟე მასის

იზოლირება ჰაერისაგან სპეციალური შემფუთავი აპკების გადახვევით. ასევე მცენარეული უჯრედების სუნთქვა და თერმოფილური ბაქტერიების განვითარება, რომელიც იწვევს მასის გადახურებას.

სენაჟირების დროს მშრალი ნივთიერებები ნაკლებად იკარგებიან, ვიდრე თივისა და სილოსის დამზადების დროს. კარგად დამზადებული სენაჟი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულებით უახლოვდება ახლად მომკილი ბალახისას და შეიცავს საკვები ნივთიერებების 80...84% საწყისიდან.

„შეფუთული სენაჟის“ ტექნოლოგია შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი ტექნოლოგიური ოპერაციებისაგან: ბალახის მოთიბვა და მისი ერთდროული დატლეჟა სპეციალური რეზინის ვალცებით. ბალახის მასის გადაბრუნება და აბურცება; ღვარეულების წარმოქმნა; ღვარეულებიდან აღება და დაწნევა მაღალი სიმკვრივის რულონებად; სენაჟის რულონების შეფუთვა სპეციალურ აპკებში; რულონების დაქუცმაცება და მისი ცხოველებისათვის საკვებად დარიგება.

მთიანი რეგიონებისთვის, მცირეკონტურიანი, გზისმიერი და ტყისმიერი ნაკვეთებისათვის და მცირე ფერმერული (გლეხური) მეურნეობებისათვის საქმეესკში დამუშავებულია შესაბამის პირობებზე მორგებული „შეფუთული სენაჟის“ ტექნოლოგია მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების და სტაციონალური დამწნეხ-შემფუთავი დანადგარის გამოყენებით.

ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მდიდარი გამოცდილება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედის **სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები**, რომელთა რეკომენდაციებით ხდება სოფლის მეურნეობის მართვა.

ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროში ინოვაციისადმი სისტემური ზემოქმედებისათვის, კერძოდ სამეცნიერო-ტექნიკური ფუნქციების შესასრულებლად აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს **აგროსაინჟინრო სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი** (რამდენიმე საინჟინრო სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ორგანიზაციების გაერთიანება), რომელიც შეასრულებს სამეცნიერო კვლევების, მანქანების დაპროექტების, დამზადების, გამოცდის და სამუშაოების ნორმირების ფუნქციებს. ცენტრის რეკომენდაციით მოხდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებებით გადაიარაღება მაღალი ტექნოლოგიების თანდათანობით ათვისებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი ტექნოლოგიით (ოპერაციული) კომპლექსური მექანიზაციის დონეზეც რომ გადავიარაღდეთ, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იქნება კონკურენტუნარიანი საკუთარ ბაზარზეც კი და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება მოსალოდნელ ეფექტს არ მოგვცემს.



## აკად. წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი, აკად. ელგუჯა შაფაქიძე

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელმაც წარმატებით გაუძლო ისტორიის მკაცრ ქართველობებს და სამართლიანად ითვლება ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო მაგალითად. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა ქვეყანაში.

საქართველოში, მეაბრეშუმეობა განიხილებოდა, როგორც ქვეყნის განმტკიცების, მიწისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების გადიდების წყარო, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და მუდმივი ზრუნვის საგანი. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი, დიდი პატივისცემით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა, ხოლო 2017 წელს ახალი გზაც (ბაქო-თბილისი) შევიდა ექსპლუატაციაში.

XX საუკუნის 60-იან წლებში, თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელებამდე, საქართველოს მეაბრეშუმეობის სისტემაში იწარმოებოდა ცოცხალი პარკი\_4,0\_4,4 ათასი ტონა; გრენა\_4,6-5,1 ტონა, მათ შორის 80 კგ სუპერელიტური; ხამი ძაფი\_450\_500 ტონა; ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი \_ 4,5\_5,0 მლნ. მეტრი; თუთის თესლი (საექსპორტო) - 2,5\_3,0 ტონა; მილიონამდე ძირი თუთის ნერგი და ა.შ. ქვეყანაში იყო 8,4 ათასი ჰა თუთის პლანტაცია და 9,0 მილიონ ძირზე მეტი ერთეული ნარგაობა.

მეაბრეშუმეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ათობით მილიონი მანეთი, წარმატებით ავსებდა ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტს და სოფელიც მომძლავრებული იყო.

სამწუხაროდ, სწორედ დარგის აღმავლობის პერიოდში, გავრცელდა თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭე, განადგურდა 15 მილიონ ძირზე მეტი ჯიშიანი თუთის მცენარე და ჩვენი უყაირათობის ხელშეწყობით მეაბრეშუმეობა, როგორც ნაციონალური მეურნეობის დარგი განადგურებულია და თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი.

დარგის აღდგენა და განვითარება საწყის ეტაპზე სახელმწიფოს ჩარევის გარეშე არ მოხერხდება, ვინაიდან საჭიროა დარგის სუბსიდირება, თუთის პლანტაციებით გაშენებულ ნაკვეთებზე ყადაღის მოხსნა, სანერგე მეურნეობების აღდგენა ან არსებულის გაფართოება, სარგავი მასალებით ახალი პლანტაციების და ერთეული ნარგაობის გაშენება, საგრენაჟო ქარხნების რეაბილიტაცია (საწყის ეტაპზე ჩოხატაურის საგრენაჟო ქარხანა), მოსახლეობაში მეაბრეშუმეობის ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და ცენტრალიზებული ან გამსხვილებული გამოკვეთების ჩატარება, თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვეთის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დანერგვა, მიღებული პარკის იმავე ფერმერულ მეურნეობაში გაწმენდა-დახარისხება და ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა, რითაც

მოიშლება ზღვარი სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას შორის, ფერმერი უშუალოდ გადის ბაზარზე საბოლოო პროდუქტით - აბრეშუმის ძაფით (რაშიც მას სახელმწიფო უნდა დაეხმაროს), რაც ეკონომიურად ფერმერული მეურნეობისათვის მეტად მომგებიანი იქნება.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეაბრეშუმეობას, როგორც დარგის აღდგენას, გარდა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა, აქვს სოციალური მნიშვნელობაც (სოფლად მაცხოვრებლები მაის-ივნისი თვეებში არ არიან დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით და მეაბრეშუმეობიდან მიღებული შემოსავალი ძალზე მასტიმულირებლად მოქმედებს დარგის განვითარებაზე, აგრეთვე ამ დარგით ამავე პერიოდში დაკავებულნი არიან მოსწავლე-ახალგაზრდობა და საშუალო ასაკს გადაცილებული ადამიანები, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია).

პარალელურად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მეაბრეშუმეობის სამსახურის ჩამოყალიბებაზე (ყოფილი „საქაბრეშუმის“ მსგავსი), მიზანშეწონილია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე, სადაც იქ დღეისათვის რამოდენიმე პროფესიონალი მეცნიერი არის დასაქმებული; აღნიშნული სამსახური უნდა დაკომპლექტდეს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კადრებით, აგრონომებით, ეკონომისტებითა და მენეჯერებით, რომლებიც ქვეყანაში დარგის აღდგენა-განვითარებას უხელმძღვანელებენ.

ქვეყანაში შექმნილი კორონავირუსის ეპიდემიის აღმოფხვრის პერიოდში და შემდეგ წლებში მეაბრეშუმეობის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამა (რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში“) უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- შეიქმნას სამთავრობო კომისია შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო, საფინანსო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. კომისიამ მეაბრეშუმეობაში არსებული მდგომარეობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2020-2030 წლებისათვის);
- ეთხოვოს საქართველოს მთავრობას:
  - ა). განიხილოს ხონის მეთუთეობის მეურნეობის (ადრინდელი მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგური) 40 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულის (მ.შ. 10 ჰა-მდე საცდელი-საკალმე-სადედე პლანტაცია) და შენობა-ნაგებობების ყადაღისაგან გათავისუფლების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარების მატერიალურ-ორგანიზაციული ბაზის შექმნას;
  - ბ). საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის (ყოფილი მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტი)



ტერიტორიაზე დარჩენილი ქონებიდან დღემდე შემორჩენილი 4,5 ჰა საცდელი ნარგაობა და შენობა-ნაგებობა არ დაექვემდებაროს პრივატიზებას.

გ). მეაბრეშუმეობა, როგორც მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლად) დასაქმების მნიშვნელოვანი ფორმა და ეროვნული მეწარმეობის ტრადიციული დარგი აღიარებული იქნას პრიორიტეტულად და ეს სტატუსი აისახოს მიზნობრივ პროგრამაში.

- **მეაბრეშუმეობის მიმართულებით ჩასატარებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, განსაკუთრებით კი სასელექციო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი (სახელმწიფო დაფინანსებით), რომელიც უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით და დარგში მიმდინარე პროცესების კოორდინაციით კონტროლს გაუწევს ქვეყანაში მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენა-განვითარების მიმდინარეობის პროცესს;**

**ეთხოვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:**

- ა) განიხილოს მეაბრეშუმეობაში დასაქმებული საოჯახო მეურნეობების, ფერმერების, კოოპერატივების და სხვა ფორმებისათვის მიზნობრივი კრედიტების გამოყოფის შესაძლებლობა;
- ბ) შეიმუშაოს მეაბრეშუმეობის პროდუქციის (გრენა, პარკი, ძაფი და ა.შ.) საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტები;
- **მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის აღდგენის მიზნით ჩამოყალიბდეს მეაბრეშუმეობის სანერგე მეურნეობა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე;**
- **დამუშავდეს საგრენაჟო ქარხნების რეაბილიტაციის პროექტი, აგრეთვე მომზადდეს ინიციატივა ჩოხატაურის საგრენაჟო ქარხნის აღდგენის მიზნით;**
- **ჩამოყალიბდეს მეაბრეშუმეობის საპილოტე ფერმერული მეურნეობები ახმეტაში, სიღნაღში, ხონში და აჭარის ა/რ; გამოიყოს ფინანსირება მათი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის მიზნით (მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, მარტივი ტიპის ძაფსაღები დანადგარები და სხვა);**
- **განხორციელდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საინვესტიციო პროექტები ხონისა და ვანის რაიონებში;**
- **უნდა აღდგეს მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტი, აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის“ ფაკულტეტზე მომზადდეს საბაკალავრო პროგრამა „მეაბრეშუმეობა“ და აღდგეს სტუდენტების მიღება აღნიშნულ სპეციალობაზე.**



## აკად. გურამ პაპუნძი

კორონავირუსის პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას. რა თქმა უნდა მათ შორის პანდემიამ საქართველოს და მის სოფლის მეურნეობას შეუქმნა დიდი პრობლემები.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგი სუბტროპიკული კულტურებია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის ოჯახური ბიუჯეტის შევსების საქმეში.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მეციტრუსეობის ზონა მდებარეობს ამ კულტურის გავრცელების უკიდურეს ჩრდილოეთით და აქედან გამომდინარე შექმნილი პრობლემები თოვლი, სეტყვა და მოყინვა, რის გამოც შენახვის უნარიანობის ხანგრძლივობის სიმცირის გამო აუცილებელია შემჭიდროებულ ვადებში, დაახლოებით ერთ თვეში მოხდეს ციტრუსის დამზადება და ნედლი სახით სწრაფი რეალიზაცია ან კიდევ მისი სამრეწველო გადამუშავება.

პრობლემა რომლითაც ხასიათდება ნედლი სახით ციტრუსის რეალიზაცია არის ის, რომ მოსავლის მომეტებული ნაწილის გადატვირთვა ხდება ქვეყნის გარეთ, რაც პანდემიის დროს სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

ციტრუსის დამზადების სასაქონლო და სამრეწველო გადამუშავების პროცესში პანდემიის რაღაც დოზით არსებობის პირობებში საჭიროა მოხდეს აპრობირებული მეთოდების გამოყენება, რომელიც ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კარგად არის შესწავლილი და დამუშავებული.

პირველ რიგში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ციტრუსის ნაყოფის სამრეწველო გადამუშავების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნატურალური წვენების კონცენტრატების დამზადებას, რომლის რეალიზაცია მოხდება თანდათანობით სეზონთშორის პერიოდში და რისგანაც რეალიზაციის ადგილებზე დამზადდება ალდგენილი ნატურალური წვენები, უალკოჰოლო მსუბუქი და გაზირებული სასმელები.

ციტრუსის ნედლეულის ნატურალური წვენების კონცენტრატებად გადამუშავება მითუმეტეს აუცილებელია იმიტომ, რომ ნედლეულის მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 50%-ზე მეტი შეადგენს არასტანდარტულ ნაყოფს, რომლის ზომა არ შეესაბამება სტანდარტს და რომელიც თავისი ქიმიური და ორგანოლექტიკური თვისებებით არ ჩამოუვარდება სტანდარტულ ნაყოფს.

ნედლი სახით ციტრუსის ნედლეულის რეალიზაციისას საჭიროა მისი დახარისხება ზომების მიხედვით და სხვადასხვა კომპოზიციებით ზედაპირის დაფარვა შენახვის უნარიანობის გახანგრძლივების მიზნით, ასევე ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სამაცივრო საშუალებები. ასევე რეკომენდაცია უნდა გაეწიოს ისეთ ფართოდ გავრცელებულ ციტრუსის ნაყოფის ოჯახურ პირობებში შენახვის მეთოდს,

როცა მეწარმე ნედლეულს ინახავს რამოდენიმე თვის განმავლობაში მათ მიერ მოწყობილ შესაბამის სათავსოებში, სადაც შედარებით დაცულია, როგორც ტემპერატურა, ასევე ტენიანობა და ჰაერის დოზირებული ვენტილაცია. ასეთ შემთხვევაში ფერმერი თანდათანობით მოახდენს ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციას შედარებით მისაღებ ფასებში.

ამასთან ერთად საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ოჯახურ პირობებში პირადი მოხმარების მიზნით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე ნატურალური კვების პროდუქტების დამზადების პრაქტიკა. ამ კუთხით საინტერესოა ციტრუსის ნაყოფი, რომლისგანაც ოჯახურ პირობებში შეიძლება დამზადდეს ნატურალური წვენები, მურაბები, ჯემები, მინახარში და სხვა პროდუქტები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ციტრუსის ნაყოფის და სხვა ხილის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით დამატებით უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ამ მიმართულების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას, ეს უაღრესად ხელმისაწვდომია ყველა ოჯახისათვის, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითქმის ყველა ოჯახი უზრუნველყოფილია და სარგებლობს ბუნებრივი აირის გამოყენების უპირატესობით და ამასთან ერთად ყველას თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონფიგურაციის მინის ქილის, ხუფების და სხვა დამხმარე მასალების შექმნა.

ასევე აღნიშნული პრაქტიკა ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კვების ბლოკების, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების პირობებში. მითუმეტეს ცნობილია ის, რომ ასეთი ობიექტები წარმატებით ახორციელებენ ადგილზე სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტების დამზადებას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან და ამით უზრუნველყოფენ კლიენტების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ერთ-ერთი საინტერესო ღონიძობაა ციტრუსის ნედლეულისაგან ისეთი პრესტიჟული პროდუქტების დამზადება, როგორცაა ცუკატები, რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც პირდაპირი სარეალიზაციო პროდუქტი, ასევე მისი როგორც ნახევარფაბრიკატის გამოყენება შეიძლება საკონდიტრო, ნაყენის, რძის მრეწველობასა და სხვა მიმართულებით.

ამას ემატება ისეთი ფართოდ გავრცელებული საკონსერვო პროდუქტების დამზადება, როგორცაა მურაბები, ჯემები, მინახარში და სხვადასხვა სახის ნახევარფაბრიკატები საკონდიტრო მრეწველობისათვის.

ასევე ციტრუსის ნედლეულისაგან შეიძლება დამზადებული იქნეს სნეკების ტიპის ფართო სპექტრის პროდუქტები და ნახევარფაბრიკატები, რომლის რეალიზაცია და სხვადასხვა მიმართულებებით გამოყენება განუსაზღვრელია.

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებულია ციტრუსის ნედლეულის ნატურალურ წვენებად გადამუშავების შედეგად დარჩენილი ნაწინები ფრაქციის ე.წ. მეორადი ნედლეულისაგან „ხორხოშელას“ დამზადების ტექნოლოგია, რომელიც სრულფასოვნად ცვლის ყურძნის ქიმიშის და

რომელიც ფართოდ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც საკონდიტრო და რძის მრეწველობაში, ასევე ნაყენის წარმოებაში.

ციტრუსის მეორადი ნედლეულისაგან ასევე შეიძლება კომპლექსურად დამზადდეს სამედიცინო პრეპარატი ვიტამინი „პ“ და პექტინი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ფარმაცევტულ და საკონდიტრო მრეწველობაში.

ინსტიტუტის ერთ-ერთი მიმართულებაა მემბრანული ფილტრების სინთეზი და შესაბამისი დანადგარების შექმნა. მემბრანების გამოყენება ძირითადად ხდება წყლისა და თხევადი პროდუქტების გაფილტვრის მიზნით. რაც შეეხება კორონავირუსის პანდემიისაგან ადამიანების დაცვის მიზნით მემბრანების პრაქტიკას ეს ინსტიტუტს არ გააჩნია. ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიის განყოფილება შეუდგა ფართომასშტაბიან სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებას, შესაბამისი მემბრანების შერჩევისა და გამოცდის მიზნით, რათა მოხერხდეს უახლოეს პერიოდში სპეციალური დაცვის საშუალებების დამზადება, რომელიც ადამიანს დაიცავს კორონავირუსის პანდემიისგან.

რაც შეეხება სუბტროპიკული ხურმის ნედლეულს, საჭიროა პირველ რიგში მისი რეალიზაცია ქვეყნის გარეთ ნედლი სახით, რომლის განხორციელება შეიძლება როგორც ადგილზე მოყინვით ან კიდევ რეალიზაციის ადგილზე შესაბამისი სამაცივრო საშუალებებში შენახვის გზით, ხოლო ტრანსპორტირება განხორციელდეს ავტორეფრეჟერატორების საშუალებით.

ამასთან ექსტრემალურ სიტუაციაში, როდესაც გართულდება მისი გადატვირთვა ქვეყნის გარეთ, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მეწარმეების მიერ ხურმის ბუნებრივი შრობის მეთოდები. ეს უკანასკნელი კარგად არის ათვისებული მოსახლეობაში. ხურმის ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მიმართული იქნეს სამრეწველო გადამამუშავებაში. ხურმის ნედლეულისაგან მზადდება სხვადასხვა სახის გახეხილი სტერილური პროდუქტი, რომლის გამოყენება შეიძლება, როგორც საკონდიტრო მრეწველობაში, ასევე ბავშვთა კვების პროდუქტებში შემავსებლის სახით, ასევე საინტერესოა სხვადასხვა კონფიგურაციის მშრალი და სნეკის ტიპის პროდუქტების დამზადება.



**აკად. თემურ რევიშვილი**

ახალი გამოწვევების შესაბამისად აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მომზადება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და

პანდემიის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შიდა მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარულ საკითხებში ქვეყნის მთავრობის მთავარი მრჩეველის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინადადებები კრიზისული და პოსტკრიზისული პერიოდებისთვის მოცემული უნდა იყოს პროგრამული სახით - საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა კრიზისული და პოსტკრიზისული პერიოდებისთვის "აგრო 2020 - 2024", რომლის კოორდინაციის ფუნქცია აკადემიას დაეკისრება.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების წარმოების ინტენსიფიკაცია, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური საშუალებების შემუშავება და სრულყოფა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში უნდა იქნას გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. მიწათსათსარგებლობა და მელიორაცია;
2. მარცვლოვანი, პარკოსანი, ბოსტნეულ-ბაღჩეული და ტექნიკური კულტურები, კარტოფილი;
3. მევენახეობა და მეღვინეობა, მეხილეობა;
4. მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და სუბტროპიკული კულტურები;
5. მეცხოველეობა, ვეტერინარია და საკვებწარმოება;
6. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავება და სურსათის უვნებლობა;
7. სატყეო მეურნეობა;
8. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია.



აკად. გურამ ტყემალაძე

დღეს, გლობალური დათბობის სულ უფრო და უფრო მზარდი საშიშროების პირობებში, მცენარეულმა სამყარომ, რომელსაც თავად ემუქრება არანაკლები საშიშროება, განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ადამიანისა და, საერთოდ, ეკოსისტემის გადასარჩენად. გაეროს მონაცემებით უკვე 95%-იანი ალბათობით დადასტურდა, რომ სამყაროს გლობალური დათბობა ადამიანის ანთროპოგენური საქმიანობით არის გამოწვეული და განპირობებულია, ე.წ. სათბურის ეფექტით.

რამდენიმე წლის შემდეგ კაცობრიობა აღმოჩნდება მისთვის უჩვეულო და საშიშ სამყაროში. კონტროლს დაუქვემდებარებელი ინფექციური დაავადების ხარჯზე, გაიზრდება ახალი დამლუპველი ეპიდემიები. თბილი და ტენიანი კლიმატი, რომელიც დამყარდება პლანეტაზე მომავალში, კიდევ უფრო გააძლიერებს ამ და სხვა მრავალი პროგნოზის მართებულობას.

ცხადია, უპირველესი საზრუნავი ადამიანია, მაგრამ ვერც ადამიანი და ვერც ცხოველი ვერ იარსებებს მცენარის გარეშე. ამავე დროს, ადამიანი, ცხოველი და თვით მცენარეც ვერ იარსებებს ენერჯის გარეშე. ე.ი. საკვების მიღების გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია მოძრაობა, გამრავლება, უფრო მეტიც, სუნთქვა, აზროვნება, ინფორმაციის შენახვა და გადაცემა. მოკლედ, შეუძლებელია სიცოცხლე. ადამიანი, ცხოველი და მცენარე ენერჯიას მზიდან იღებს – მცენარე უშუალოდ მზისგან, ხოლო ადამიანი და ცხოველი მცენარისაგან. ეკოლოგიური, ე.წ. ბუნებრივი კვებითი ჯაჭვის სისტემაში: მზე - მცენარე - ცხოველი - ადამიანი ყველაფრის გამორიცხვა შეიძლება მზის გარდა. მზის ენერჯია, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, არ გამოიღვევს კიდევ  $\approx 4,5$  მლრდ. წელი. (თვით მზე იმდენივე წლისაა). ამ მხრივ, საფრთხე პრაქტიკულად არ არსებობს, თუმცა თეორიულად ყველაფერია მოსალოდნელი.

გლობალური დათბობის საშიშროება, რადგან, ძირითადად, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატებასთან არის დაკავშირებული, ცხადია, პრობლემის გადაჭრის და, აქედან გამომდინარე, ცოცხალი სამყაროს გადარჩენის საკითხიც იმ საშუალებების ძიებაში უნდა მდგომარეობდეს, რომლებიც გადაარჩენს მცენარეულ სამყაროს და შემდეგ ადამიანსა და ცხოველებს. ცნობილია რომ მაღალ ტემპერატურებს ყველაზე ცუდად მცენარეები ეგუება. მაღალ, ისევე როგორც ძალიან დაბალ, ტემპერატურებს ადამიანი, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აიტანს, მაგრამ მცენარე ვერა – ვერსად „გაიტყვევს“, თავს ვერ უშველის. მცენარეს მხოლოდ ადამიანი თუ გადაარჩენს.

აღვნიშნავთ, რომ ყველა ცოცხალი აერობული ორგანიზმი ენერჯიას, ძირითადად, აწარმოებს ატფ-ის სახით (კიბერნეტიკული პირდაპირი და უკუკავშირის მექანიზმებით) სუნთქვის, ანუ ბიოლოგიური (უჯრედული) ჟანგვის შედეგად. ბუნებამ ისე ინება, რომ მხოლოდ მცენარეული სამყარო (მიწისზედა მცენარეები, წყალმცენარეები, აგრეთვე ლურჯი და წითელი ბაქტერიები) გარდა განუწყვეტელი სუნთქვისა, მზის სინათლის გავლენით, ატმოსფერული ნახშირორჟანგისაგან და წყლისაგან აწარმოებს ნახშირწყლებსაც და ენერჯიასაც და, მასთან, გაცილებით მეტს, ვიდრე ადამიანი ან ცხოველი. აღვნიშნავთ, რომ თვით საკუთარი ნახშირწყლების წვის შედეგად მცენარე იღებს დამატებით ენერჯიას. საინტერესო ის არის, რომ მაღალი ტემპერატურების მიმართ სუნთქვა უფრო მდგრადი პროცესია, ვიდრე ფოტოსინთეზი, ანუ მაღალი ტემპერატურები, უპირველესად, აზიანებს მცენარეთა ფოტოსინთეზურ აპარატს.

ცხადია, გარემოს ტემპერატურის გარკვეულ დონემდე აწევის პირობებში, მეტი ენერჯიის წარმოება შეეძლება მცენარეს. უფრო ამაღლდება მისი ბიოლოგიური პოტენციალი. გაიზრდება სიცოცხლისუნარიანობა, იმუნური შესაძლებლობები, მოსავლიანობა და კვებითი ღირებულებაც. მაგრამ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ „ვაიძულოთ“ მცენარე გაუძლოს მაღალი ტემპერატურის გავლენას? კვების რა რეჟიმი, რომელი მიწ-რალური და ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და როგორი პროცენტული თანაფარდობით, რომელ ნიადაგზე და როგორი გარემო პირობები შევუქმნათ მცენარეს, როგორ ვცვალოთ აგროქიმიური, აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებები,



რომ მცენარემ ნორმალურად იმუშაოს შეცვლილ პირობებში? რა გენეტიკურ-სელექციური ღონისძიებები უნდა გატარდეს დასახული ამოცანის გაადვილების მიზნით? და ა.შ.

**მეთოდოლოგიური მხარე ამ და სხვა მსგავსი კვლევებისა თავად მეცნიერებმა უნდა განსაზღვრონ.** ზოგადად, მიდგომა ასეთია: ჯერ უნდა დადგინდეს რომელ მცენარეზე, როგორ არასასურველ გარემო პირობებში, როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა მზარდი ტემპერატურები მცენარის ფიზიოლოგიურ, მორფოლოგიურ და ანატომიურ მახასიათებლებზე, მათს ზრდა-განვითარებაზე. პარალელურად უნდა იქნეს შესწავლილი მცენარის ძირითადი ბიოქიმიური პარამეტრები, მაგალითად, სუნთქვისა და ფოტოსინთეზის მახასიათებლები.

უნდა დადგინდეს რადიკალური წერტილები – რომელ ტემპერატურაზე იწყება და წყდება ფოტოსინთეზი და სუნთქვა, რომელ ტემპერატურაზე აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობებს, ე.ი. კვლევა უნდა ტარდებოდეს ისე, რომ იცვლებოდეს ტემპერატურაც, ექსპოზიციაც და მოქმედების პერიოდიც.

განგარიშები გვიჩვენებს, რომ მცენარეებს შეუძლია გამოიყენოს მათ მიერ შთანთქმული ენერჯის 30%-მდეც. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, მკვეთრად გაიზრდება მცენარეული ბიომასაც და მისი კვებითი ღირებულებაც. გასული საუკუნის ბოლოსთვის ენერჯის მსოფლიო მოხმარებაში მცენარეული ბიომასის წილი არ აღემატებოდა 14%-ს.

ფოტოსინთეზის ჯერ კიდევ უცნობი ბიოქიმიური მექანიზმების შესწავლა საფუძველს ჩაუყრის ისეთი იდეალური, იაფი და ეკოლოგიურად სუფთა საწვავის სამრეწველო მასშტაბებით წარმოებას, როგორცაა წყალბადი. აღსრულდა გენიალური ჟიულ ვერნის სიტყვები: „მე ვფიქრობ, ოდესღაც წყალს გამოიყენებენ როგორც საწვავს, რომ წყალბადი და ჟანგბადი, რომლებიც შედის წყლის შედგენილობაში, იქნება გამოყენებული ერთად ან ცალკე და გახდება სინათლისა და სითბოს ამოუწურავი წყარო“. ასე რომ, ბუნების დაცვა, თავისი საკაცობრიო მნიშვნელობით, ჩვენი დროის უპირველესი ამოცანაა მშვიდობის შენარჩუნებასთან ერთად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთი ხე ჟანგბადით უზრუნველყოფს 5 ადამიანს (ზრდასრული ჯანმრთელი ადამიანი დღეღამეში ჩაისუნთქავს  $\approx 10 \times 10^3$  ლ ჰაერს, ანუ  $\approx 2 \times 10^3$  ლ ჟანგბადს).

ყველა ცოცხალი ორგანიზმი გენეტიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან – ერთნი შედარებით ადვილად ეგუება გარემო პარამეტრების ცვლილებებს, მეორენი – შედარებით ძნელად. ასე რომ, ბუნებრივი გადარჩევის პროცესი გრძელდება.

არა მარტო გლობალური დათბობის შიშის გამო, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის, უბრალოდ, ჩვენი და ცოცხალი სამყაროს სიცოცხლისთვის აუცილებელია დღეიდანვე: მინდვრების, საძოვრების, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, ტბორების, გზების, დასახლებული პუნქტების, მეცხოველეობის ფერმების, დიდი და მცირე ქალაქების გარშემო, ლეღებსა და ხეებში, ხრამებსა და მთის გახრიოკებულ ფერდობებზე, რკინიგზის, ავტომაგისტრალებისა და სარწყავი არხების გასწვრივ, ყველგან, სადაც ეს ფიზიკურად შესაძლებელია, ტყის დამცავი ზოლებისა და ხეთა რიგების შექმნა. მხოლოდ ამ გზით, ნაწილობრივ მაინც, გახდება შესაძლებელი ჰაერში გაფრქვეული ნახშირორჟანგის კონცენტრაციების შემცირება.

რადგან, გლობალურ დათბობას უპირობოდ მოჰყვება ხანგრძლივი გვალვიანობა, ბუნებრივია, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ გვალვაგამძლე მცენარეების გაშენება.

გვალვაგამძლე მცენარე ადვილად იტანს გაუწყობებასა და გადამეტხურებას, შედარებით ნაკლებად ექვემდებარება მეტაბოლურ, მაგალითად, ენერგეტიკულ და ფოტოსინთეზურ შესაძლებლობების შემცირებასა და სუბუჯრედული სტრუქტურების რღვევას, რასაც უშუალოდ მოსდევს მცენარეთა დაღუპვა.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ნიადაგი დარჩა სახელმწიფოს ყურადღების მიღმა. დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%. კერძოდ, ეროზირებულია მლნ 3ა, დაჭაობებულია 220 ათასი 3ა, დამლაშებული და ბიცობიანია 205 ათასი 3ა, გაუდაზნოებულია 300 ათასი 3ა და ა.შ. ცხადია, აგრარული სექტორის განვითარება წარმოუდგენელია ასეთი დეგრადირებული ნიადაგის მქონე ქვეყნისათვის.

საქართველოში ათასობით ტონა მანდარინი ღებება და ხდება გამოუსადეგარი. უფრო მეტიც, იმარხება ნაგავსაყრელზე. აღნიშნულის გამო, ზარალდება, ერთი მხრივ, ქვეყნის ბიუჯეტი, მეორე მხრივ, ეკოლოგიური გარემო. და ეს მაშინ, როდესაც ციტრუსოვან მცენარეთა ქერქი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეგრადირებული ნიადაგების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით (როგორც ეს გაკეთდა კოსტარიკაში, სადაც ციტრუსოვანთა ქერქის ნარჩენების საშუალებით მოხდა ნიადაგის სასწაულებრივად განახლება). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯანსაღი მანდარინისა და ფორთოხლის ქერქი, როგორც ნარჩენი, წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად, აგრეთვე არომატიზებული სპირტისა და არყის საწარმოებლად.



### აკად. ზაურ ფუტყარაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს.

აღნიშნულის მიზეზად შეიძლება განხილული იქნას მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი:

- ძირითადი პრობლემა, რომელიც სოფლის მეურნეობაში გვაქვს არის დაბალი კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ დარგში დასაქმებულს უნდა ჰქონდეს;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის არარაციონალური მართვა; რეფორმის შედეგად მიწების დაქუცმაცება - ფრაგმენტაცია;
- სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების ეკონომიკურ ბრუნვაში არასრული ჩართვა (რაც გამოწვეულია რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით);
- სტრატეგიულ კულტურებზე მიზნობრივი სახელმწიფო მხარდაჭერის არ არსებობა;
- სასოფლო სამეურნეო წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა; აგროსაინჟინრო სექტორის არასტაბილური განვითარება;

სოფლად მცხოვრები ფერმერები ჯერ კიდევ ძველი ტრადიციული მეთოდებით აგრძელებენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების მოვლა მოყვანას, ნაკლებად ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, შესაბამისად ვერ ღებულობენ უხვ და კონკურენტუნარიან პროდუქციას, რაც საბოლოოდ ვერ აუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და დაინტერესებას შემოსავლების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ რეგიონის ფერმერების სოციალურ-ეკონომიური დონე ამაღლდეს, გაიზარდოს შემოსავლები და მიიღონ მეტი სარგებელი, ამისათვის საჭიროა სოფლად საკონსულტაციო და ექსტენციის მომსახურება გაძლიერდეს.

1992 წლის მიწის რეფორმის შედეგად მოხდა სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზაცია წვრილ ფერმერებზე, რამაც გამოიწვია სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაცია (დანაწევრება), რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახა ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამჟამად პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საკითხი არის მიწების კონსოლიდაცია.

კონკურენტუნარიანი და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემების განვითარება. ტრადიციული მეურნეობებით შეუძლებელია, რომ უპასუხო დარგში არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად ფერმერებმა უნდა დანერგონ ინოვაციური მიდგომები წარმოებაში. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ფერმერს შეუძლია მოახდინოს რესურსების ოპტიმიზაცია და გაზარდოს მოგება.

ზოგადად, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარება, აგროსაინჟინრო სექტორის (სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მელიორაცია, გადამამუშავებელი ტექნოლოგიები) გარეშე წარმოუდგენელია.

- ჩვენი აზრით უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილი და საშუალო ბიზნესის დაინტერესებას სოფლის მეურნეობით.



### აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძე

უნდა გამოცხადდეს მოქმედი მექანიზატორებისა და იმათიც მობილიზაცია, რომლებიც ადრე მუშაობდნენ სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე. უნდა შევთავაზოთ მათ მაღალი ანაზღაურება, ადგილებზე შევუქმნათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები და სასწრაფოდ დავიწყოთ დარჩენილი ფართობების დამუშავება. (ცნობისათვის - სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოსულია თბილისში და შემთხვევითი სამუშაოებით ირჩენენ თავს);

ოპერატიულად გამოგავლინოთ ქვეყანაში არსებული ტექნიკის რაოდენობა (ყველა სექტორში), შევთავაზოთ მათ მფლობელებს შესაბამისი პირობები და ჩავაბათ სას.სამეურნეო სამუშაოებში;

იმ ზონებში, სადაც თავმოყრილი იქნება ტექნიკა, გაიხსნას ტექნიკის შესაკეთებელი პუნქტები. აქ სამუშაოდ (დეფიციტის შემთხვევაში) შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტოპროფილაქტიკაში მომუშავე სპეციალისტები;

ათვისებული იქნას ყველა ის ნაკვეთი (თუ სხვა დანიშნულებით არ არის გამოყენებული), რომელზეც ადრე ითესებოდა მარცვლეული (ძირითადად ხორბალი და სიმინდი). ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას სტუდენტური რაზმები; უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებს მოუწევთ საჭირო ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმებში;

აღირიცხოს კერძო საკუთრებაში არსებული დაუმუშავებელი ნაკვეთები და გატარდეს ღონისძიებანი მათი ათვისებისათვის;

შეიქმნას ცენტრალური შტაბი (სამინისტროსთან), რომელიც უხელმძღვანელებს და გააკონტროლებს სამუშაოების მიმდინარეობასა და შესრულების ხარისხს.

საზოგადოებრივმა და კერძო ტელევიზიებმა სპეციალური გეგმის მიხედვით გააშუქონ სამუშაოების მიმდინარეობა და რეკლამა გაუკეთონ ამ პროცესებს.

პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში მიზანშეწონილია:

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი დაკავებულები იქნან მხოლოდ ძირითადი სამუშაოებით. ამ

მიზნით ადგილზე შეიქმნას მათი მომსახურების ჯგუფები, რომლებიც წარმოებისთვის საჭირო ყველა მასალას მიაწოდებენ, ხელს შეუწყობენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას და სხვა;

გაიზარდოს სოფლის მეურნეობის მომსახურეთა შტატები - ვეტექიმიები, აგრონომები, მცენარეთა დამცველები სხვა;

აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებანი კერძო სექტორში მეფრინველეობის და მელორეობის განვითარებისთვის;

იმისათვის, რომ გვექონდეს სრულყოფილი ინფორმაცია სხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებულ მდგომარეობაზე, იმპორტ-ექსპორტზე, პროდუქციის ფასებზე და ა.შ. მიზანშეწონილია უცხოეთში საქართველოს ყველა საელჩოსთან შეიქმნას სოფლის მეურნეობის ატაშეს შტატი, რომელსაც დააფინანსებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვინაიდან მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ თვითნებურად გააუქმა სოფლის მეურნეობის პროფილის სამივე უმაღლესი სასწავლებელი, აგრეთვე დაიქსაქსა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მათი შტატები დაიყვანეს მინიმუმამდე (ზოგ ინსტიტუტში 8-10 კაცამდე დაიყვანეს), ჩამოართვეს მატერიალური ბაზა, საცდელი ნაკვეთები და პოლიგონები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებანი; კვალიფიციური და დიპლომიანი სპეციალისტების კატასტროფული დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ჩვენი აზრით, ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან, რომლებიც უნდა დაუბრუნდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, შეიქმნას ინსტიტუტის შესაბამისი პროფილის სასწავლო ცენტრები (სწავლების ვადა 4 წელი), რომლებიც მოამზადებენ შესაბამისი კვალიფიკაციის და პროფილის სპეციალისტებს.

ვინაიდან სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალობა აღარაა პოპულარული, სასურველი იქნება მათი მიზნობრივი დაფინანსება მოახდინოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთ ინსტიტუტში მოახდინონ ფასიანი სექტორების გახსნა (ალბათ, უფრო ტექნოლოგიური მიმართულებით).



**აკად. ომარ ქეშელაშვილი**

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ახალი რეალობების, გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დადგა, რაც ეფუძნება ერთის მხრივ უნიკალურ და ხშირ შემთხვევაში ზონალურად მკვეთრად განსხვავებულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და მეორეს მხრივ, რასაც განაპირობებს ქვეყანაში

შექმნილი დიდი წინააღმდეგობები მისი თითოეული დარგის გაძღვლასა და განვითარებაში. ეს უპირატესად აისახება მატერიალურ-ტექნიკური და განსაკუთრებით შრომითი რესურსების დაბალ პოტენციალში და მისი გამოყენების შეზღუდულობაში, სასურსათო უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელ უზრუნველყოფაში, ამასთან გაპირობებულია ახალი, პროგრესული, უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენების, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის მიღწევის აუცილებლობით.

ასეთი, ფუნდამენტური მოთხოვნების დაცვისა და რეალიზაციის გარეშე მომავლის სოფლის მეურნეობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებზე მორგებული, მარკეტინგულად გააზრებული მოდელი ვერ იქნება აგებული და მიუღწეველი დარჩება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი წარმოების რაციონალური განვითარება.

**მომავლის სოფლის მეურნეობა სრულიად ახლებურად უნდა იქნეს გაგებული-ახსნილი.** იგი, პროგრამირებულ სოფლის მეურნეობად უნდა იქცეს და ამ პრინციპს უნდა მოერგოს როგორც მისი პრიო-რიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ასევე მათ სარეალიზაციოდ გამიზნული კომპლექსური ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

**სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც, ახლა, სოფლის მეურნეობის მდგრადი და სტაბილური განვითარების პრიორიტეტის განმსაზღვრელია,** უწინარეს ყოვლისა აუცილებელი ხდება შეიცვალოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია (დარგობრივი სტრუქტურა) იმ თვალსაზრისით, რომ ამა-დღდეს მემარცვლეობის, განსაკუთრებით მეხორბლეობის ხვედრითი წილი. ამჟამად, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემარცვლეობას (მეხორბლეობას, მესიმინდეობას და სხვა) თუ უკავია 11,8%, ახალი პროგნოზული გათვლებით (2025 წლამდე პერიოდში) იგი უნდა ამაღლდეს 14-15 %-მდე. თვალსაწიერ პერსპექტივაში ხორბლის ნათესმა, 43,1 ათასი ჰექტრის ნაცვლად უნდა დაიკავოს 125,0 ათასი ჰა. სიმინდისამ-72,8 ათასი ჰექტრის ნაცვლად 131,0 ათასი ჰა.

თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს (შედეგად მოსავლიანობის ამაღლებას), ხორბლის წარმოებამ 107,1 ათასი ტონის ნაცვლად უნდა მიაღწიოს 500,0 ათას ტონას, სიმინდისამ 194,2 ათასი ტონის ნაცვლად 890,8 ათას ტონას. ეს საშუალებას მოგვცემს, ადგილობრივი მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა მარტო ხორბალზე ამჟამინდელი 22,6 %-იდან ამაღლდეს 105,1 %-მდე.

იმ შემთხვევაში თუ სასწრაფოდ გატარდება ტექნოლოგიის სრულყოფის სახელმწიფოებრივი ღონისძიებები (რაც, ფართობის რეალურად შესაძლო ზრდასთან ერთად, უპირატესად გულისხმობს მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვას, წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორების რეგულირებულ და მკაცრად მიზნობრივ გამოყენებას, მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლას, პროდუქციის შენახვისა და გადაამუშავების სისტემის მოგვარებას) ამ პერიოდმა (2025 წ) შეიძლება 2023 წლისთვის გადმოიწიოს.



მეორეს მხრივ, პროგნოზული გათვლებით, ხორბლით თვითუზრუნველყოფა ადგილობრივი მოსა-ხლეობისა და ტურისტებისათვის, 2025 წლისთვის, მიაღწევს 45.1 %, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ვიზიტორებსაც, მიაღწევს მხოლოდ 31.7%. მაგრამ ტურისტებისა და ვიზიტორების მზარდი რიცხოვნობის გათვალისწინებით, თვითუზრუნველყოფა ამ პროდუქციაზე 50-55 % ზე მეტად ვერ ამაღლდება. ასე, რომ ამ თვალსაზრისით (ტურისტებისა და ვიზიტორების გათვალისწინებით) საქართველო, ხორბლის იმპორტ-ტზე მაინც იქნება დამოკიდებული.

თავისთავად, ტურიზმიდან, დამსვენებელთა, სამკურნალო კერებში მყოფთა და ვიზიტორების მხრიდან შემოსული შემოსავლებით შესაძლოა დაიფაროს ის ხარჯი რაც ხორბლის იმპორტს დასჭირდება, თუმცა ამაზე ორიენტაცია არ არის გარანტირებული და საიმედო, და მასზე დაყრდნობა არც შეიძლება. ეს, მხოლოდ ერთი შეხედვით (თეორიულ-მეცნიერული) პასუხობს მარკეტინგულ მოთხოვნებს. თანამედროვე მსოფლიოში ამის უტყუარი გარანტია თითქმის აღარ არსებობს.

ჩვენ არ უნდა გამოვედგინოთ და არ უნდა გაგვიტაცოს ადგილობრივი წარმოების ხორბლით სრულად თვითდაკმაყოფილების (ტურისტებისა და ვიზიტორების ჩათვლით) კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გადაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და გვკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრობიოლოგიურად ვარგისი სახორბლე ნაკვეთები უნდა დაიკავოს მხოლოდ ხორბალმა, სასიმინდე-სიმინდმა, სავენახე-ვენახმა; სახეხილე-ხეხილოვანმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები-სწორედ ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბაღჩე-ბოსტნეულ-ბაღჩეულმა; საკარტოფილე-კარტოფილმა; საბალახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი განლაგება და განაწილება ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს დავუჯერებთ და მივყვებით, მას ზედმიწევნით მოერგება და შეეთანაწყოება მთელი ტექნოლოგიური არსენალი და პოტენციალი, შესაბამისად საწარმოო ინფრასტრუქტურა და საბოლოო შედეგად წარმოების მაღალი ეკონომიკური უკუგება.

მომავალ ორ სამ წელიწადში, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზით ყველაზე მთავარი და გამორჩეული პრიორიტული მიმართულებების-ხორბლის წარმოების სტაბილურობისა და მდგრადობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარცვლული მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ამოსავალი მეცნიერული პარადიგმა უნდა გახდეს ივანე ჯავახიშვილის დასკვნა-დებულება: “თუ საქა-რთველოში სწორი სახელმწიფოებრივი ხედვა იქნება, ხორბლის მარცვალი სახელმწიფოებრივი დამოუკი-დებლობის გარანტი გახდება”.

-ხორბლის წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულირება ძირითად უნდა ეყრდნობოდეს:

-მეთესლეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემასა და ამ მხრივ მისაღებ პოზიციებს;

-ჯიშთაგამოცდის მონაცემებსა და მოთხოვნებს;

- თესლის ხარისხის შემოწმებასა და სერტიფიცირებას;
- ხორბლის წარმოების სწორ და დასაბუთებულ სტრატეგიას, რაც უპირატესად -
- გულისხმობს: იმპორტის ნაწილობრივ ჩანაცვლებას;
- ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდას; ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას;
- ხორბლის მოვლა-მოყვანის ზონალურად დიფერენცირებულ ტექნოლოგიურ პროგრამულ რეკომენდაციებს, რომელშიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავენ მაღალი და უნარჩუნო ტექნოლოგიები, აგრეთვე პროდუქციის ტექნოლოგიური ხარისხის მართვა.
- ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშების უპირატესობის აღიარებასა და მათი ფართობების ზრდას და ამის შესაბამისად სასელექციო მუშაობის გაფართოება-გაძლიერებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხორბლის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის სამეცნიერო კვლევის გაფართოებას და ამ მხრივ მეცნიერების ხელშეწყობას.

ამ ხაზით ჩასატარებელი გამოკვლევები უნდა მოიცავდეს მთელ რიგ მნიშვნელოვან დონისძიებასა და ტექნოლოგიურ პროცესს. ამ მხრივ უნდა გამოიყოს:

- ნიადაგის დამუშავების ნიადაგდაცვითი სისტემის დამუშავება, რომელიც გამორიცხავს, ანდა მინიმუმამდე დაიყვანს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის უარყოფით გავლენას. ეს სისტემა შეიძლება დაინერგოს 40 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე;
- გამოკვლევების გაფართოება მცენარეთა მინერალური კვების მიმართულებით, რაც უნდა შეესაბამებოდეს მცენარეთა ზრდის ფაზებს, ჯიშობრივ სპეციფიკას, ბიოლოგიურ თავისებურებებს და რამაც უნდა უზრუნველყოს მინერალური სასუქების, ზონების მიხედვით დიფერენცირებული და მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება;
- მიწათმოქმედების პროდუქტიულობის ამაღლებასა და მდგრადობის მიმართულებით უნდა დამუშავდეს და სრულყოფილი გახდეს მარცვლეულის მ.შ. ხორბლის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიური სისტემები, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს ახალი, მაღალეფექტური ჯიშებისა და ჰიბრიდების, მე-ქანიზაციის ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობების, მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენების რაციონალიზაციას, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებას;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისათვის გადამწყვეტი ფაქტორია მცენარის პრინციპულად ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა, რომელიც უნდა ესადაგებოდეს ინტენსიური მიწათმოქმედების სამომავლო ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს და რომლებიც გამოირჩევიან უარყოფითი გარემო ფაქტორებისადმი მედეგობით, მაღალმოსავლიანობითა და ხარისხობრივი მაჩვენებლებით;

აღნიშნულის გარდა, საერთოდ, უახლოეს წლებში, სოფლის მეურნეობის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელი და გადაუდებელია ისეთი ღონისძიებების გატარება როგორცაა:

➤ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩატარდეს მიწის რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი, რაიონულ და საწარმოთა დონეზე აღრიცხვა და დადგინდეს მათი მიწათმოსარგებლეთა მიხედვით განაწილების მდგომარეობა. ეს არის საფუძველთა საფუძველი სოფლის მეურნეობის სწორი და გამართული განვითარებისათვის და ამ მიმართულებით დასახულ კომპლექსურ ღონისძიებათა გასატარებლად;

➤ უნდა შემუშავდეს პერსპექტიული დარგის-მეჩაიეობის (აღრე მაპროფილებელი), აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, მისი უზრუნველყოფის ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმის ასახვით. ამის აუცილებლობა დასტურდება დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული წითელმიწა, ყვითელმიწა და ეწერ-ტიპის ნიადაგებით, რომელიც დღეს არაეფექტურად არის გამოყენებული და მისი სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება მხოლოდ მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის გავითარებითაა შესაძლებელი;

➤ ასეთივე სახელმწიფოებრივი პროგრამები უნდა დამუშავდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების: მეხილეობისა და მევენახეობის, აგრეთვე საადრეო მებოსტნეობის, სასათბურე მებოსტნეობისა და საადრეო მეკარტოფილეობის მიხედვით, მათი კვების მრეწველობასთან ინტეგრირებული (შეთანაწყობილი) განვითარების გათვალისწინებით;

➤ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მეაბრეშუმეობა. ამ დარგს, საქართველოში, განვითარების დიდი ტრადიციები გააჩნია, თუმცა, უკვე რამდენიმე ათეული წელია არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამ მხრივ კი ფართო შესაძლებლობები არსებობს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შესაძლებელია გაშენდეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული თუთის პლანტაციები. ეს აუცილებელს ხდის დამუშავდეს მეაბრეშუმეობის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. ამას საფუძველად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხაზით მომზადებული ფუნდამენტური ნაშრომი მეაბრეშუმეობის განვითარებისა და აღდგენა-რეაბილიტაციის შესახებ;

➤ თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში ქართული ფუტკრის ფენომენის აღიარებას, პერსპექტიულ და დიდი შესაძლებლობების დარგად ითვლება მეფუტკრეობა, რომელსაც გავრცელების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია. ამის შესაბამისად, ასევე აუცილებელი ხდება მეფუტკრეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამის შემუშავებაც;

➤ უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები სატბორე მეთევზეობის განვითარების შესახებ. საქართველოში ამ დარგის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს, რასაც განაპირობებს ბუნებრივი ტბებისა და წყალსაცავების ფართო ქსელი;

➤ თბილისის საგარეუბნო ზონაში და ქვეყნის მსხვილი რეგიონული ცენტრების (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვა) სიახლოვეს, ეკონომიკურად და

სტრატეგიულად გამართლებულია შეიქმნას მერბეულ-მეხორცული ტიპის მესაქონლეობის სახელმწიფო კომბინატები და მეკვერცხულ-მეხორცული ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკები, სადაც განთავსდება ჯიშობრივი პირუტყვი (ფრინველი) და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და უახლესი, ელექტიფიცირებული ტექნოლოგიებით. ასეთი კომბინატები (ფაბრიკები) ინტეგრირებული უნდა იყოს კვების მრეწველობასთან და იქ ერთიან ციკლში უნდა მოექცეს პროდუქციის წარმოება, გადამუშავება (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავება), შენახვა (მ.შ. სამაცივრო), რეალიზაცია. მათ უნდა გააჩნდეთ საკვლევი სამსახური, სპეციალური (ქიმიურ-ტექნოლოგიური) ლაბორატორია, მონიტორინგისა და მარკეტინგული სამსახურები, საკუთარი საბაზრო სეგმენტები. ასეთი მიდგომის რეალიზაციას მომავლის სოფლის მეურნეობა მოითხოვს, რაც აამაღლებს სა-ხელმწიფოს როლსა და ფუნქციას ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში;

➤ უნდა შედგეს სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო ფინანსური დახმარების პროგრამა, რომელშიც მთავარი საკითხი უნდა გახდეს კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაკრედიტება, როდესაც სესხები შეიძლება მიეცეს თამასუქის ქვეშ, მომავალი მოსავლის რეალიზაციის ამონაგებიდან დაფარვის პირობით. ამასთან, ფასწარმოქმნაში გამოყენებული უნდა იქნეს თუნდაც ერთი სამეურნეო წლის მანძილზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასების დონე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელ რესურსებზე, მანქანებზე, ინვენტარზე, ნავთობპროდუქტებზე, სასუქებსა, პესტიციდებსა და ჰერბიციდებზე გამორიცხული არ უნდა იქნეს სამრეწველო საქონლის აგრარულ სექტორის პროდუქციაზე გაცვლის საკონტრაქტო სის-ტემის გამოყენებაც;

➤ უნდა შეიქმნას, სახელმწიფოს დახმარებით, საინვესტიციო ბანკების (სახელმწიფო, სააუქციონო და კოოპერაციული) ფართო ქსელი. მათი მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს კომერციულ საფუძველზე მთელი საინვესტიციო ფინანსური ბრუნვის ორგანიზაცია, საწარმოთა იჯარით გადაცემა, აქციების ყიდვა-გაყიდვა, გრძელვადიანი სესხების გაცემა და ა.შ. დღეს რეალურად არ მოქმედებს გრძელვადიანი დაკრედიტების ინსტიტუტი, რომლის გარეშეც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხსნა შეუძლებელია;

➤ მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სუბსიდიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და იგი უნდა შეიცვალოს სესხებით, ამით გაიზრდება ფულის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;

სოფლის მეურნეობის სტაბილური და მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ცალკე უნდა გამოიყოს და ახალი მიდგომებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს:

-ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები, მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით. ეს სამუშაოები უნდა მოიცავდეს განახლებული აგროქიმიური კარტოგრაფების შედგენას;

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნე ორგანიზმებთან და სარეველა მცენარეებთან ბრძოლის ზონა-ლურ-დიფერენცირებული ინტეგრირებული რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით;
- წყლის რესურსების მართვის (მელიორაციისა და ირიგაციის) ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ზონალურ-დიფერენცირებული, მაღალი სამანქანო ტექნოლოგიები, შესაბამისი კრიტერიუმებისა და ნორმატიული ბაზის ასახვით;
- მეცხოველეობის თითოეული დარგის მოვლა-შენახვის ზონალურ-დიფერენცირებული ზოოტექნიკური და ვეტერინარულ-ჰიგიენური რეკომენდაციები, შესაბამისი ნორმატიული ბაზის ასახვით;
- აგროტექსერვისის განვითარების პროგნოზირებული სისტემური მოდელი, ოპტიმიზირებული ორგანი-ზაციული სტრუქტურისა და ზონალურ-დიფერენცირებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური სტრატეგიული რეკომენდაციები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კერძო და კოოპერირებული ტიპის მექანიზებული სტრუქტურების ფუნქციონირება;
- ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები ჯიშთაგამოცდის, მეთესლეობის, სანერგე მეურნეობის, სანაშენე საქმის განვითარების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ;
- ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე სამაცივრო და შენახი მეურნეობების განვითარებისა და რეკონსტრუქციის შესახებ.

გადაუდებელია ისეთი პრობლემის გადაწყვეტა როგორცაა მთიანი რაიონების განვითარების სტრა-ტეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების შემუშავება, რომელშიც აისახება მათი, ბარის რაიონებთან შესაძლო ინტეგრაციის ღონისძიებები, ეკონომიკური ბერკეტების მორგებულ გამოყენებაზე დაყრდნობით. ამ სამუშაოების მთავარი ორიენტირი და მოტივაცია უნდა იყოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიგრაციული პროცესების შერბილება და ეკონომიკური ზრდა. მთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დროული გადაწყვეტა მთელი საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გლობალური ტიპის ამოცანაა.

აღნიშნული სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებების თანმიმდევრული რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს სწრაფად გამოვიდეთ არსებული და უახლეს ხანს კვლავ მოსალოდნელი (დასაშვები) კრიზისიდან და საქართველოს სოფლის მეურნეობამ შეძლოს საწარმოო-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების გზით ეკონომიკური ზრდის თანდათანობით უზრუნველყოფა.



## აკად. ზაურ ჩანქსელიანი

ა) კრიზისულ პერიოდში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო):

საჭიროა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან (მუნიციპალიტეტების მიხედვით) მივიღოთ ინფორმაცია იმ ფართობებზე, რომლებშიც გათვალისწინებულია საშემოდგომო ხორბალის დათესვა, რათა გამოვიკვლიოთ ისინი ნიადაგის ნაყოფიერების თვალსაზრისით და შევიმუშაოთ რეკომენდაციები მაქსიმალური (დაახლოებით 5 ტ/ჰა) მოსავლის მისაღებად პოსტკრიზისული პერიოდისათვის;

ამავე პერიოდში შეგვიძლია გამოვიკვლიოთ იმ კულტურების (ბოსტნეული, საადრეო ხილი და სხვა) პროდუქციის ხარისხი მათი დაბინძურების თვალსაზრისით (მძიმე მეტალები, რადიონუკლიდები).

ბ) პოსტკრიზისული პერიოდისათვის (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი): გავაგრძელოთ იმ ფართობების გამოკვლევას, სადაც უნდა დაითესოს საგაზაფხულო ხორბალი და ბოსტნეული კულტურები. ამავე პერიოდში შესაძლებელია დაბინძურების თვალსაზრისით (მძიმე მეტალები, რადიონუკლიდები) მეცხოველეობის საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქციის (რძე) შემოწმება და მასალების მიწოდება სამინისტროსათვის.



## აკად. ნოდარ ჩხარტიშვილი

მიმდინარე და მომავალ წლებში აქტიურად უნდა წარიმართოს სავენახე ნიადაგის მომზადება ახალი ვენახების გასაშენებლად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ამ შემართებას თან ახლავს ხელშემშლელი შეფერხებები: ქვეყანაში დეფიციტურია სარგავი მასალის - ნამყენი ნერგის წარმოება, რაც გამოწვეულია ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედის დეფიციტით, ამიტომ იგი ქვეყნის გარედან (უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი, ესპანეთი, სერბეთი) შემოაქვთ. ინდივიდუალური (ოჯახური) ნერგის მწარმოებლები საძირე მასალას მიტოვებული ვენახებიდან აგროვებენ, უმეტესწილად არასტანდარტულია (ჯიშობრივად უცნობია და დაავადებულია). უნდა შემუშავდეს ნამყენი ნერგის წარმოების გადიდების მიზნობრივი პროგრამა.



## აკად. ვალერიან ცანავა

აუცილებელია ჩაის მიტოვებული პლანტაციების გაწმენდა და აგროტექნიკური მოთხოვნებით გასხვლა;

აუცილებელია ამუშავდეს სპეციალიზებული საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის ნასხლავის სამრეწველო გადამუშავებას.



## აკად. ზურაბ ცქიტიშვილი

- 2020 წელს მსოფლიოში „აღმოცენებული რისკი“ - კორონავირუსის პანდემიის აფეთქება, როგორც ჩანს მომავალში, ყოველგვარი ვარაუდის მიღმა არსებულ ფარულ პრობლემებს გამოავლენს, მთავრობა არა მარტო მიმდინარე გამოწვევებს ებრძვის ეფექტურად, არამედ ქმნის „პოსტკორონასეული“ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს (პლაცდარმს)...ეს უტყუარი ფაქტია და მომავალში სათანადოდ შეფასდება.
- მიმდინარე პერიოდის შედეგები გვამცნობს, რომ სახელმწიფო ვერტიკალი მოქმედებს გამართულად, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების, უვნებლობის და კომუნიკაციის მიმართულებებით.
- არსებითია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ურთულესმა სისტემამ, საერთაშორისო ტრენინგების, მუდმივად განახლებადი მეთოდოლოგიების სწავლების, გამოცდილების და თანამედროვე ცოდნის „სიმბიოზზე“ დაფუძნებული, „სუპერ“ სისტემური მიდგომის, ეფექტიანი მექანიზმები შექმნა და პრაქტიკაში მისი რაციონალური გამოყენება უზრუნველჰყო.
- „პოსტკორონასეული“ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, „რისკის ანალიზის“ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებიდან, რისკის შეფასების მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნებას, გაძლიერებას და მეცნიერთა სტიმულირების ძლიერი მექანიზმების ამოქმედებას უკავშირდება, რადგან მეთოდოლოგიების სიღრმისეული ცოდნა საშუალებას იძლევა, დადგენილი იქნეს რისკის, არა მხოლოდ დონეები, არამედ ვარიანტობა და განუსაზღვრელობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მმართველების მიერ რისკის სიდიდეების მისაღებ დონეზე დაყვანის სათანადო ღონისძიებების დასაგეგმად

### რა უნდა გაკეთდეს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“) მუდმივად უნდა განხორციელდეს:



- რისკის შემფასებელ მეცნიერთა, წინასწარ დაგეგმილი მიზნობრივი თემატიკის შესაბამისი ტრენინგები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და მუდმივად განახლებადი მეთოდოლოგიების სწავლება;
- გრძელვადიან პერიოდისათვის, რისკის შეფასების მექანიზმების ცოდნის, გაღრმავების და გავრცელების სისტემის დანერგვა, რისთვისაც შესაძლებელია ბრძანებით ან ხელშეკრულებით დადგინდეს, დატრენინგებული და სემინარ გავლილი პირების მიერ ცოდნის გაზიარების მიზნით, დაგეგმილი „პრეზენტაციის“ წარდგენის ვალდებულება და სხვა (ამჟამად ამ მიმართულებით არანაირი სისტემა და პასუხისმგებლობა არ არსებობს);
- საერთაშორისო ურთიერთობის ფორმატით 2019 წელს, სურსათის უვნებლობის ევროპულ უზენაეს ორგანოსა (EFSA) და გერმანიის რისკის შეფასების ფედერალურ ინსტიტუტთან (BFR) გაფორმებული მემორანდუმის პირობებით განსაზღვრული ღონისძიებების იმპლემენტაცია („სამეცნიერო ცოდნის ასამაღლებლად ტრენინგები, ვიზიტები, ერთობლივი სემინარები, ლექციები და სხვა..) და 2018-2019 წლების ანალოგიურად გააგრძელოს „თბილისის საერთაშორისო კონფერენციების“ ინიცირება და ორგანიზებაში თანამონაწილეობა (2020 წლის ნოემბერში, დაგეგმილ ღონისძიებაში ცენტრი აქტიურად მონაწილეობს)

გადაუდებელი რისკების შეფასება.

- „პოსტკორონავირული“ უახლოეს პერიოდში, მიკრობიოლოგიური ან ქიმიური ხასიათის სავარაუდო ინციდენტის, „სწრაფი“ რისკის შეფასებისათვის, წინასწარ უნდა შემუშავდეს სხვადასხვა წარმოსახვითი სცენარების კონცეპტუალური მოდელები და „კრიზისის პროტოკოლი“, როგორც ცენტრის, ასევე რისკის მართვის ორგანოების როლის და მათი ურთიერთობის ფორმის განსაზღვრისათვის.

მონიტორინგი და ეპიდემიური კვლევა.

მიმდინარე და წინა პერიოდების ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემები (წლის განმავლობაში რამოდენიმე ათეული ათასი დიარეას დაფიქსირებული შემთხვევები, (როგორც წესი ერთი ამდენი დაუფიქსირებული) და მონიტორინგით გამოვლენილი სურსათისმიერი აგენტების კანონთან შეუსაბამობის ერთეული მაჩვენებლები, აშკარად არათავსებადია და ვერ უზრუნველყოფს მოხმარებულ მავნებელ სურსათსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია:

ცენტრმა სოფ. ჯილაურაში მშენებარე ობიექტზე, რისკის შეფასების მიზნებისათვის გაითვალისწინოს და დაგეგმოს, სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის სფეროებში საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან, კრიტერიუმებთან და კვლევის მეთოდებთან ჰარმონიზირებული და დადასტურებული კომპეტენციის მქონე ლაბორატორიებისათვის, მიზნობრივი ფართის გამოყოფა და შესაბამისი ლაბორატორიული დანადგარებით და გამზომი ხელსაწყოებით აღჭურვა

რისკების შეფასების სანდო საქმიანობის განხორციელების მიზნით:

- მეცნიერთა ჯგუფის წევრების რაოდენობა უნდა დადგინდეს დარგობრივი (სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია მცენარეთა დაცვა, სტატისტიკა, ბიონფორმატიკა და სხვა) სპეციალისტების გათვალისწინებით და გაიზარდოს იმ სამეცნიერო დისციპლინების მეცნიერებით რომლებიც ფარავენ სფეროებს „მინდვრიდან სუფრამდე“;
- „კარგი სამეცნიერო პრაქტიკის წესების“ დაცვა, რომელიც მოიცავს საქმიანობას, სისტემური მიდგომის შესაბამისად, შედეგების დოკუმენტირებას, მაღალ კეთილსინდისიერებას და ეთიკური ნორმების დაცვას თანამშრომლების, პარტნიორების, კონკურენტებისა და წინამორბედების წვლილთან მიმართებაში, სტრუქტურის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობას და ახალგაზრდა მეცნიერების ცოდნის დონის ამაღლების კოორდინირებას, პირველადი მონაცემების დაცვა - შენახვას, რისკის შეფასების შედეგებზე სამეცნიერო პუბლიკაციებს და სხვა;

სისტემური ოპერაციები, საჯაროობა, სუბიექტივიზმის მინიმიზირება:

- რისკის შეფასების „ინიცირების პროცედურები“-ს იმპლემენტაციის დამკვიდრება, როგორც პრაქტიკული გამოყენების ისეთ სისტემური კონსტრუქცია, რომელიც ანგრევს სუბიექტივიზმს, უზრუნველყოფს საჯაროობას და ქმნის რისკის შეფასებისადმი სანდოობის საფუძველს;
- ცენტრმა, რისკის შეფასება განხორციელოს ევროპის რისკის შეფასების ორგანო EFSA-ს მიერ „ფაქტიური კვების,“ კვლევის დამუშავებული მეთოდოლოგიით, მიღებული მონაცემების საფუძველზე.



აკად. ნოდარ ჭითანავა

დღეს საქართველოში მრავალ გამოწვევას შორის მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის კომპლექსური, რაციონალური გამოყენება უმთავრესი და ეროვნული ეკონომიკის სისტემური განვითარების უპირობო პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს (ხელისუფლებას), უნდა ჰქონდეს მართვის ისეთი სისტემა (მექანიზმი), რომელიც ამ სიმდიდრის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება სასურსათო უსაფრთხოების დაცვის, ეკონომიკის შესაბამისი დარგებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, შრომითი რესურსების კვლავწარმოების სტაბილურობის, საბოლოოდ, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა. ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების მიზანშეწონილობაც ამ ნიშნით უნდა განისაზღვროს.

მიწის რესურსების არაეფექტურად გამოყენების მთავარი მიზეზებია: მოქალაქეებმა, საერთოდ, საზოგადოებამ და თავად სახელმწიფომ გამოწვევების ადეკვატურად ვერ გააცნობიერეს მიწის რესურსული პოტენციალის როლი და მნიშვნელობა. უხეში შეცდომები დავუშვით მიწის პრივატიზაციის პროცესში; დღემდე ვერ მოგვარდა მიწის

აღრიცხვა; მოგვიწოდებენ მიწის ბაზარი უნდა განვითარდესო, მაგრამ მიწის ნაკვეთი ბაზრის მოთხოვნისამებრ რეგისტრირებულიც არ აღმოჩნდა; სოფელი დაცარიელდა, 1994-2018 წლებში სოფლის მოსახლეობა 722 ათასი კაცით შემცირდა; მიწების დატაცებამ, მსხვილი მასივების წვრილკონტურიან ნაკვეთებად დაქუცმაცებამ, სამეცნიერო და სამრეწველო პოტენციალის, კადრების მომზადების სისტემის მოშლამ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქვეყნის გარეთ გატანამ (სოფლის მეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალისა და კავის ამარად დარჩენამ) განაპირობა წარმოების კატასტროფული დაცემა. 2017 წელს ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 42,2%-ს შეადგენდა.

**დღესაც არ ვიცით რამდენი გვაქვს მიწის ფართობი. მიწის ბოლო ბალანსი 2005 წელს შედგა. არ მოგვეპოვება სანდო ინფორმაცია მიწის სახელმწიფო ფონდში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.** არ ვიცით როგორია სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსული პოტენციალი. რა მდგომარეობაშია ნიადაგის დეგრადაციის, მეორადი დაჭაობების, გაუდაბნობის პროცესები. არ გვაქვს მიწის კადასტრიც. არც ის ვიცით, უცხოელებზე რამდენი ათასი ჰექტარი მიწის ფართობია გასხვისებული, იჯარით გაცემული მიწები როგორ გამოიყენება. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რესურსების (წიაღისეულის, ტყის, წყლის, რეკრეაციული რესურსების და სხვ.) მხრივაც.

**ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე ეფექტიანი მართვის გარეშე დარჩა მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსებიც. მიწის მართვაზე პასუხისმგებელი კი სახელმწიფოა.**

**შეცდომა იყო 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, 1996 წლიდან შექმნილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმება.** მისი ძირითადი ფუნქციების იუსტიციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებზე გადანაწილებისას მთავარი გამორჩათ: ვინ შეადგენდა მიწის ბალანსს. ასევე შეცდომა იყო საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებულებით 1996 წელს შექმნილი მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის (რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა) გაუქმებაც. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მიწის მართვის პროცესიდან სახელმწიფოს (მთავრობის) თანდათანობით ჩამოცილებას.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის გარეშე დარჩა მიწის ფართობების უდიდესი ნაწილი, ამიტომ მისი შედეგების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების დონის ობიექტურად შეფასება ვერ მოხერხდება.

**გვაქვს უფრო საგანგაშო მონაცემებიც. 1990 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა შეადგინა 701,9 ათასი, 1997 წელს - 577,6 ათასი, 2003 წელს - 561,7 ათასი, 2012 წელს - 259,6 ათასი, 2018 წელს - 207,1 ათასი ჰექტარი. ე.ი. 28 წლის მანძილზე ნათესი ფართობები 494,8 ათასი ჰექტრით, ასევე, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები (1990-2017 წლებში) 202 ათასი ჰექტრით შემცირდა. ბუნებრივია, ასეთმა პროცესმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა. შედეგებს ვიმკით. დიდხანია ქვეყანა უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქციით იკვებება. საკუთარი ინტენსიური მიწის ფართობები კი დეგრადაციას განიცდის.**

მდგომარეობა არასტანდარტულია. ამიტომ, მიწის გონივრულად გამოყენებისათვის საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო.

არის საშიშროება, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპები და ეროვნული ეკონომიკის რესურსული პოტენციალის სწორად გამოყენება მავანთა ინტერესებმა კვლავაც არ დაბლოკოს. ჩვენ ბევრი მწარე მაგალითი გვახსოვს, როცა უცოდინარობა და ანგარებასთან შერწყმული უპასუხისმგებლობა განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

სახიფათო განზრახვებს შეიცავს ამასწინათ გავრცელებული ინიციატივა (თუ რეკომენდაცია), რომ დღევანდელ ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფოს ბალანსზე აღრიცხული მიწის ფართობი სასწრაფოდ აუქციონზე გაიტანონ ან იჯარით უნდა გაიცეს. ამის გაკეთება არ შეიძლება. მიწასთან დაკავშირებით შეცდომების დაშვება უნდა გამოვრიცხოთ.

უნდა გავიგოთ, რომ ეროვნული ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანას გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციურ მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება. იგი გულისხმობს იმას, რომ საჭიროა ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია და მათი მიზნობრივი პროგრამებით გამოყენება. კრიზისიდან დაჩქარებით გამოსვლისათვის აუცილებელია შევიმუშაოთ 2021-2025 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური მოდელი). პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

**პირველი.** განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყნის სოფლის მეურნეობა. სწორი პასუხი ამ კითხვაზე საჭიროა იმისთვის, რომ გაცხადდეს, როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე და სხვ.

**მეორე.** საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი). ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა, არამედ გლობალურ სივრცეში სხვათა ინტერესების შესწავლა-შეფასება, მათი თანხვედრის თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამოწვევებისა და მუქარების განსაზღვრა, რათა განვითარების მიმართულებები სწორად ჩამოყალიბდეს;

**მესამე.** როგორ, რა რესურსებით და რა პერიოდულობით გავითვალისწინოთ დასახული მიზნის მიღწევა. ამისათვის საჭიროა სწორად შეირჩეს განვითარების სტრატეგიის და ამოცანების განხორციელების ადეკვატური ფორმები, მექანიზმები, დაფინანსების წყაროები და სხვა.

პროგრამაში უნდა აისახოს სოფლის მეურნეობის მაღალი ტემპებით განვითარების, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების, დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების, სპეციალიზაციის, კოოპერაციის ინვესტიციებისა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორების მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობები. ამასთან უნდა განისაზღვროს განვითარების ნატურალური პარამეტრები, სასურსათო უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები (რა გვაქვს დღეს, რას ვისახავთ მიზნად). შესაბამისად უნდა განისაზღვროს სტრატეგიულ მიზანს დაქვემდებარებული ამოცანები (საკანონმდებლო ბაზა, ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო, საინვესტიციო პოლიტიკა,

პროგნოზირებისა და დაგეგმვის მექანიზმი, მართვის სისტემა, რეგიონების განვითარების პრინციპები და სხვა).

პროგრამის ამოსავალი საწყისი უნდა იყოს იმის გაცნობიერება, რომ აგრარული მეურნეობა მუდამ იქნება ქვეყნის ეკონომიკის იერსახის სიმბოლო (არა იმდენად ეკონომიკაში მონაწილეობის დონით, არამედ ყველა დარგისაგან გამორჩეული - ექსკლუზიური როლითა და ფუნქციებით). ამიტომ აგრარული მეურნეობის ეფექტიანი განვითარება უნდა იქნას განხილული ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უპირობო ფაქტორად.

**მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით საჭიროა:**

ამოცანები ორ ნაწილად დაიყოს: **ოპერატიული**, რომლის მიხედვითაც მიმდინარე და მომავალ წელს ავითვისოთ მიწის ფართობები იმ მოცულობით, რომელიც 2005 წლის ბალანსით გვქონდა და **პერსპექტიული** - დაჩქარდეს მთლიანად სახელმწიფო მიწის ფონდის ინვენტარიზაცია (სისტემური რეგისტრაცია). მის გარეშე მიწის ფონდის ობიექტური სურათი არ გვექნება.

მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს სტატუსის ამღლება და მისი საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა - მოქმედების მასშტაბის გაფართოება, მასზე მთლიანად სახელმწიფო მიწის ფონდის (საკუთრების ფორმების მიუხედავად) რაციონალურად გამოყენებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა მართვის უმაღლეს დონეზე მოითხოვს კოორდინაციის გაძლიერებას. მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული სამსახური უშუალოდ დაექვემდებაროს პრემიერ-მინისტრს. იგულისხმება, რომ ცალკეულ სამინისტროებში მიწის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები კვლავაც დარჩება. მაგალითად, მიწის რეგისტრაციის ფუნქციებს შეასრულებს იუსტიციის სამინისტრო, მიწის პრივატიზაციის ფუნქციას - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მიწის ეკონომიკური შეფასებისა და დაბეგვრის ფუნქციას - ფინანსთა სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაციონალურად გამოყენების ფუნქციას - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღნიშნული სააგენტოს სტრუქტურაში უნდა იყოს შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციებიც (კერძო სექტორის მონაწილეობით). სააგენტოს რეგიონებში უნდა ჰქონდეს მართვის შესაბამისი სტრუქტურები.

მიწის ფართობების ინვენტარიზაცია (სისტემური რეგისტრაცია) უნდა წარიმართოს წინასწარ შედგენილი პროექტების შესაბამისად. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ფართობების დაზუსტება. სტრატეგიულ ამოცანად უნდა ჩაითვალოს სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა.

გასათვალისწინებელია მრავალწლიანი ნარგავების არა მხოლოდ მასივებად, არამედ ადგილზე არსებულ პირობებზე მორგებით ერთეული ნარგავების სახით (ტერასები) გაშენება, სამოვრების (სათიბების) კატეგორიებად დაყოფა, გადასარეკი ტრასების მოწესრიგება, მიწის სახელმწიფო მარაგების შექმნა და სხვ. მიწის ნაკვეთების

ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის კონსოლიდაციის წინაპირობების შექმნას (განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის შესაბამისი ფორმების გამოყენებას). ინვენტარიზაციის საფუძველზე თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით უნდა შეიქმნას მიწის შესახებ ინფორმაციული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის (როგორც ტერიტორიის) სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური განვითარების გრძელვადიანი (5-7 წლიანი) პროგრამების შედგენას (მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური განვითარება ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იქნას მიჩნეული).

იმის გათვალისწინებით, რომ წვრილი ოჯახური მეურნეობები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმთავრეს ფორმას (98%), მათი კოოპერატივებში ინტეგრირება უნდა მივიჩნიოთ წარმოების ინტენსიფიკაციის სტრატეგიულ მიმართულებად. თითოეულ მუნიციპალიტეტში წარმოების სპეციალიზაციის ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით უნდა განისაზღვროს კოოპერაციის ფორმების (მიწის ფართობების დამუშავება, ნედლეულის გადამუშავება, რეალიზაცია, შენახვა და სხვ.) გამოყენება. მიზანშეწონილია სამეცნიერო გაერთიანებებთან (მაგალითად, ლომთაგორის ტიპის მეურნეობები), ასევე ქვეყანაში არსებულ მსხვილ საწარმოებთან (წისქვილების, ელევატორების, სამაცივრო მეურნეობების, გადამამუშავებელი საწარმოების და სხვ.) საოჯახო მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტეგრირება (ადგილზე არსებული პირობების შესაბამისად).

დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია რეგიონთაშორისი კოოპერაციის - განსაკუთრებით მთისა და ბარის ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისი (მაგალითად, ზაფხულისა და ზამთრის სამოვრების ერთობლივად დატვირთვა, სამკურნალო მცენარეების გადამუშავება, რეკრეაციული რესურსების ათვისება და სხვ.) ფორმების მიზნობრივად (დიფერენცირებულად) დამკვიდრებას.

თანამედროვე პირობებში, როცა ეკონომიკაში რეალურად ყალიბდება პლურალიზმი, კოოპერაციის (ინტეგრაციის) რთული პროცესების რეგულირება შესაბამისი პირობების მომზადებასთან ერთად საჭიროებს დროსა და სივრცეში სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას. კონკრეტულ სიტუაციაში არ უნდა გამოვრიცხოთ სახელმწიფო ჰოლდინგების (კორპორაციების) გამოყენება დაუმუშავებელი მიწის მასივების ათვისებაში (შირაქი, კოლხეთის დაბლობი და სხვა).

ახლა მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფო პროგნოზირების (დაგეგმვის) და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია. ისინი ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. საქართველოს მაგალითზეც დავრწმუნდით, რომ სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის დონე მათი ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით განისაზღვრება. პრობლემების პროგრამებით გადაწყვეტის მეთოდი დღეს ყველაზე რაციონალური მეთოდია. კორონავირუსთან ბრძოლის პირველი გამოცდილებაც ამას გვიჩვენებს.

თითქმის 30 წელი ეროვნული ეკონომიკა (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) „ვითარდებოდა“ არა მეცნიერულად გააზრებული სტრატეგიის მიხედვით, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (თანაც სწრაფი მონაცვლეობით) ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნიშნით.

ეპიდემიასთან ბრძოლის ორგანიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინფორმაციამ. ასეა ეკონომიკაშიც. სახელმწიფომ (ბიზნესმა) უნდა იცოდეს სოციალურ-

ეკონომიკური სისტემის „ანატომია“, რათა დროის მოთხოვნების შესაბამისად, პროგნოზირება და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია შეძლოს. ამისათვის საჭიროა სტატისტიკურ მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც მიმდინარე რთული პროცესების სისტემური ანალიზისა და შეფასების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, დახვეწას მოითხოვს ქვეყანაში ეკონომიკის (სოფლის მეურნეობის) ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში პროგნოზირების და სტრატეგიული დაგეგმვის როლის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების (პირველ რიგში მიწის) გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში შეიქმნას პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი. მან უნდა განსაზღვროს არსებული რესურსების გამოყენების ოპტიმალური მიმართულებები, ეტაპების განვითარების ინდიკატორები და კოორდინაცია გაუწიოს ამ სფეროში სახელმწიფო, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშაოს პროგნოზები და ა.შ.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამჟამინდელი დონის (სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოძველებული ტექნოლოგიები, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვ.) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სპეციალიზებული საადგილმამულო ბანკის ან სხვა ორგანიზაციული ფორმის - მსოფლიოში ცნობილი სპეციალიზებული კოოპერატიული აგროსაკრედიტო სისტემის ანალოგების შექმნა. ასეთმა მრავალფუნქციურმა სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის რაციონალური გამოყენების ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

მიწის ფართობების დეგრადაციის შესაჩერებლად (შესაბამისი დონისძიებები 1990 წლიდან არ ტარდება), მიზანშეწონილია შედგეს მიწის დეგრადაციის (ეროზიის, მეორადი დაჭაობების, გაუდაზნობის, დაბინძურების და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო, მელიორაციული, ჰიდროტექნიკური და ა.შ.) გენერალური სქემა 2030 წლამდე პერიოდისათვის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების დონე უკიდურესად დაბალია. 90-იანი წლებიდან მოიშალა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო მომსახურება, კადრების მომზადების სისტემა, სტიქიურად ხდება იმპორტით მინერალური სასუქების შემოტანა და ადგილზე გამოყენება. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გაუაზრებელი გარდაქმნებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამეცნიერო მომსახურება ფაქტობრივად შეწყდა. უნდა შემუშავდეს „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა“, რომელშიც განისაზღვრება ორგანულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა.

ქვეყნის ეკონომიკის (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დარგების) კვალიფიციური კადრებით უარუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას სამთავრობო (მუდმივმოქმედი) კომისია (საბჭო), რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების, სამინისტროების,



არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით მოამზადებს ინოვაციურ განათლებაზე გადასვლის გრძელვადიან (10-15 წელი) პროგრამას.

პრაგმატულად აუცილებელია დაწესდეს საქართველოს ბიზნესმენებისათვის სტიმულირების (მატერიალური, მორალური) ისეთი ფორმების გამოყენება, რომელიც დააჩქარებს კაპიტალის დაბანდებას ეროვნულ ეკონომიკაში, მიწის ინტენსიურ გამოყენებაზე გადასვლას. გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის მოსახლეობის მიგრაციის თავისებურებანი. მიზანშეწონილია შეიქმნას ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობის, მათი შთამომავლობის ღირსეულად დაბრუნების პირობები და ამ მიზნით (ასევე სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით) სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მიწის მარაგები.

პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს სოფლის ტერიტორიების კომპლექსურ განვითარებას, მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების დიფერენცირებულად და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის უპირატესად გამოყენებას.

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია წარმოების სხვა ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) როლის გამოყენების თავისებურებათა ურთიერთმოქმედების მექანიზმის სწორად განსაზღვრა და ობიექტურად შეფასება. ეს რთული ამოცანა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს.

აგრარულ სფეროში საგრანტო თემატიკის (პროექტის) განსაზღვრის (შედგენის) ფუნქცია უნდა დაეკისროს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად, სამეცნიერო, არასამთავრობო და უმაღლესი სკოლის მონაწილეობით დაამუშავებს საკვლევ თემატიკას და წარუდგენს ზემდგომ ინსტანციას, რომლის მოწონების (დამტკიცების) შემდეგ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოაცხადებს კონკურსს. გრანტების განსაზღვრის ასეთი წესი ხელს შეუწყობს აგრარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნობრივად წარმართვას.



აკად. რეზო ჯაბინძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კადრების კომპეტენტურობას, გამოცდილებასა და შესრულებული პროექტებისა თუ ქვეპროგრამების ეკონომიკურ ანალიზს, რომლის გარეშე ამა თუ იმ დარგში,

განხორციელებული ღონისძიების აკვარგანობაზე საუბარი, რომელიც არც თუ ისე იშვიათია, დღევანდელი გადმოსახედიდან უხერხულადაც კი გვეჩვენება;

**ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ქართული სოფლის განვითარებაში ასეულობით მილიონი თანხაა დახარჯული, მაგრამ სასიკეთო ძვრები შესამჩნევი არ არის.** სოფლებიდან მიგრაციული პროცესები კვლავ გრძელდება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიგა წარმოება არ იზრდება, უფრო მეტიც, ზოგიერთ სახეობაში იმპორტმა 90 %-ს მიაღწია.

-სუბტროპიკულ ზონაში გლეხურ-ფერმერული მეურნეობების სავარგულების დაკავება მონოკულტურითცვენი აზრით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. აქ ჩაისა და ციტრუსებს პრიორიტეტული ადგილები უკავიათ, რაც განპირობებულია იყო იმით, რომ ტრადიციულად ამ კულტურათა პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება მოთხოვნილება. მნიშვნელოვანია აგრეთვე თხილის, აქტინიდიის (კივი), ფეიჰოას, სუბტროპიკული ხურმის, ტუნგის, დაფნის, მოცვის, თუთას და ბამბუკის კულტურათა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვალს, ბოსტნეულ-ბალჩეულს, ვაზს, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის განსავითარებლად .

**სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გრძელვადიანი, საშეღავათო პერიოდიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტების გამოყოფა აუცილებელია,** მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ განხორციელდება იგი. თანადაფინანსება თითქმის ყველა პროექტისა და პროგრამის ძირითადი პირობაა, მნიშვნელობა აქვს მის განხორციელებას. საფინანსო ორგანოებიც გლეხს არა ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ.

**თანადაფინანსება თითქმის ყველა პროექტისა და პროგრამის ძირითადი პირობაა.** ეს ნიშნავს, რომ რა რაოდენობის თანხას ითხოვენ, იმდენივე ან მისი ნახევარი, შენივე უნდა გქონდეს. ეს ვითომდა ბიზნეს გეგმის საიმედოობის გარანტიაა. დონორი, რომ უმრავლეს შემთხვევაში ფულს პირდაპირ არ იძლევა, ესეც თურმე უსაფრთხოების გარანტიის მიზნით კეთდება. მთხოვნელს ფული ხელზე, რომ მივცეთ, თავისი საჭიროებისამებრ დახარჯავს და წარმოებისათვის არაფერს გააკეთებსო.

ეს პროგრამები და პროექტები სხვა გარანტიებსაც ითხოვს, რომელიც უფრო სახელმწიფოს მოსაგვარებელია. მაგალითად: სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, საკუთრების ხელშეკრულება, მიწის მფლობელობის მოწესრიგება, ტარიფები და ა. შ. სხვა შემთხვევაში ვერაფერსაც ვერ მიიღებ მათგან.

- სოფელს უნდა მიენიჭოს სამართლებრივი სტატუსი და ადგილობრივ თვითმმართველობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა შეეძლოს სოფლის საჭირობოროტო საკითხების ჩაურევლად გადაწყვეტა, ფინანსების მოძიება და დამოუკიდებლად განკარგვა;

- მიზანშეწონილია დაჩქარდეს სისტემური რეგისტრაციის მეთოდის გამოყენება, რომელსაც ვფიქრობ ალტერნატივა არ აქვს, რომელიც მოიცავს როგორც სასოფლო, ასევე არა სასოფლო - სამეურნეო, როგორც კერძო ასევე სახელმწიფო და მუნიციპალურ მიწებს.

- საოჯახო მეურნეობების მხარდასაჭერად საჭიროა ისეთი ღონისძიებების განხორციელება რომლებიც უზრუნველყოფს პესტიციდებზე, აგროქიმიკატებზე სხვადასხვა წარმოების საშუალებებზე, მათ შორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მოკლევადიან პერიოდში, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში შეიქმნას სოფლად საოჯახო მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაში ხელშემწყობი პირობები.

- გრძელვადიან პერსპექტივაში ყველა უწყებამ, რომელიც პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებაზე, ქვეყანაში თავიანთ სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიებში მაქსიმალურად უნდა ასახონ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხები, რათ კრიზისების დროს დაცული იყოს მოსახლეობა.



### აკად. გივი ჯაფარიძე, აკად. გიორგი გაგოშიძე

ახალი კორონავირუსის პანდემიამ, როგორც მთელი მსოფლიო, ისე საქართველო ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის მკაცრი, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი წესრიგისადმი ადაპტირების საჭიროების წინაშე დააყენა. ძირითადი დარგებისა და მეცნიერების უმთავრესი სფეროების ფუნქციონირება ახალი გამოწვევებისადმი ქვეყნის ხელისუფლების ოპერატიულმა და სწორმა მიდგომებმა განაპირობა. იმ სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრებს შორის, რომლებსაც საქმიანობა ახალი წესრიგის პირობებში, მცირე პერიოდითაც კი არ შეუწყვეტიათ, ღირსეულად არის წარმოდგენილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც.

აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და მათ შორის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც აკადემიის დებულებითა და განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმით რეგულირდება, საყოველთაოდ აუცილებელი – ონლაინ რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება, დანარჩენ შესაბამის განყოფილებებთან ერთად, აგრძელებს ყოველდღიურ ონლაინ საქმიანობას, საქართველოს ხელისუფლების მიერ და აკადემიის დებულებით დადგენილი წესის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილებაში მომზადდა დოკუმენტი ახალი კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში სატყეო დარგში არსებული პრობლემებისა და მათი საპრევენციო ღონისძიებების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს ხელისუფლებას. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საქართველოს ბუნებრივი წარმოშობისა და უნიკალური ბიომრავალფეროვნების მქონე ტყეების ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი ღირსებისა, არსებული რეალობის მიხედვით დღეისათვის საქართველოს სატყეო მეურნეობის წინაშე რამდენიმე გამოკვეთილი პრობლემა დგას, კონკრეტულად:

– უმთავრესი და უპირველესი, ჯერ კიდევ სუსტი და ნაკლებეფექტური საკანონმდებლო ბაზაა. მართალია საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა „ტყის კოდექსის“ ახალი ვარიანტი, მაგრამ მისი რეალურად ამოქმედება ჯერჯერობით ვერ ხერხდება;

– ნაკლებად სრულყოფილია საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი;

– პრობლემაა ტყეების აღრიცხვა–ინვენტარიზაციის ტემპების დაბალი დონე, თუმცა ამ კუთხით მუშაობა დაწყებულია;

– ჯერ კიდევ ახლო წარსულში კარგად აპრობირებული და ბევრად ეფექტური ინსტიტუციების (სატყეო მეურნეობები) გარდაქმნა სუსტ და უუნარო წარმონაქმნებად;

– სატყეო–სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისას ტყის ძირითადი ფასეულობების ნაკლებად გათვალისწინება ან საერთოდ იგნორირება;

– საკადრო პოლიტიკაში ნებისთ თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები;

– საქართველოს ტყის ფონდის მიწების ჯერ კიდევ დაუზუსტებელი საზღვრები, რაც ხშირად გაუგებრობების მიზეზი ხდება;

– ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვის, მოვლისა და მათი გენეტიკური რესურსების კვლავწარმოების დაბალი–დონე, თუმცა აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტი, რომელიც 2014-2020 წლების პერიოდზეა გათვლილი – მიღებულია, მაგრამ ნაკლებად ეფექტურია;

– საზოგადოების ნაკლებად განსწავლულობა და დაბალი ინტერესი ტყის ეროვნული ფასეულობების ღრმად გააზრებისა და მათ მიმართ ზრუნვის თვალსაზრისით;

– არსებული დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებასა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის მასივებისათვის, დაცულის სტატუსის მინიჭების მხრივ არსებული ხარვეზები;

– სატყეო სექტორის არასაკმარისი დაფინანსება;

– ტყიდან დამხმარე და მათ შორის არამექნული რესურსებით სარგებლობის დაბალი დონე;

– საქართველოში დღემდე თითქმის არცერთ სატყეო უბანს არ გააჩნია სანერგე ფართობები ტყის დეგრადირებული მასივების კულტივირებისათვის, მაშინ როდესაც

ოფიციალური მონაცემებით, დაბალი სიხშირის, მეჩხერი და ზოგადად დაბალპროდუქტიული ტყეების ფართობი 500,000 ჰა-ზე მეტს შეადგენს;

– ჯერ კიდევ არ აქვს სტატუსი ყოფილ ე.წ. „საკოლმეურნეო ტყეებს“, რაც აუცილებელია მათი რეაბილიტაციისა და სატყეო-სამეურნეო ფუნქციების აღდგენის მიზნით;

– სატყეო უბნებში დღემდე მოძველებული ტექნიკით ტარდება სატყეო-სამეურნეო სამუშაოები, რაც ნაკლებად ეფექტურს ხდის და ცუდად მოქმედებს ტყეების ბუნებრივ განახლებასა და სხვა ბიოლოგიურ პროცესებზე (მაგალითად ხე-ტყის დამზადება, მორთრევა და მსგავსი სამუშაოები მასიურად ანადგურებს აღმონაცენ-მოზარდს და ა.შ.)

– საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე პრაქტიკულად აღარ არსებობს დაცვითი, კერძოდ კი ქარსაფარი ტყის ზოლები, რის გამოც პრობლემები ექმნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების არამხოლოდ მოსავლიანობას, არამედ მათ ფიზიკურად არსებობასაც კი;

– ფაქტიურად გაუქმებულია კავკასიაში ერთადერთი სამთო პროფილის სატყეო სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი, რაც ამავე პროფილის სამეცნიერო კვლევების ხარისხს ნაკლებად ეფექტურს ხდის;

– საქართველოს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში აღარ არსებობს არათუ ტრადიციული და მაპროფილებელი სატყეო – სამეურნეო ფაკულტეტი, არამედ ტყეთმცოდნეობა – მეტყვეობის დეპარტამენტიც კი, რაც საქართველოს უმთავრესი ბუნებრივი სიმდიდრის – ტყისა და მისი ეკოსისტემების დაცვის, მოვლისა და აღდგენა-კვლავწარმოების პროფილის სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს;

– დღემდე არ არსებობს სახელმწიფო სატყეო უწყებებში (ეროვნული სატყეო და დაცული ტერიტორიების სააგენტოები, შესაბამისი რეგიონული და მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულებით) დასაქმებული მეტყვე – სპეციალისტების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები, რაც აუცილებელია მათი პროფესიონალიზმის სისტემატიური სრულყოფისათვის.

აღნიშნული პრობლემებისა და არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, ქვეყნის სატყეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპებია – ტყით მუდმივი სარგებლობის მართვის, ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნების და ტყის რესურსებით მოსახლეობის თანაბრად სარგებლობის განხორციელების პრინციპები. ო

მისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ზემოთ მოყვანილი ხარვეზების გამოსწორება, კორონავირუსის პანდემიის შემდგომი პერიოდისათვის აუცილებლად მიგვაჩნია:

– საქართველოს ტყეებში სრულფასოვანი და სრულმასშტაბიანი ტყეთმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რათა სრულად აღირიცხოს მისი ბუნებრივი პოტენციალი და დაიგეგმოს სწორი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები-ტყის რესურსების გეგმაზომიერი,

მართლზომიერი, რაციონალური და უწყვეტი გამოყენების მიზნით, რაც ამასთანავე გულისხმობს, ტყის გენეტიკური რესურსების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მათი კვლავწარმოების უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს;

- უნდა მოხდეს სატყეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტის სრულყოფა მისი კანონის რანგში რეალურად აყვანის მიზნით, რაც გულისხმობს მისი სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებასა და შესაბამის ლეგიტიმაციას საკანონმდებლო დონეზე;

- უნდა დაიხვეწოს ტყეების მართვისა და კონტროლის მექანიზმი, რაც გულისხმობს დროში აპრობირებული და ეფექტური სამეურნეო სტრუქტურების აღდგენა-ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

- საკადრო პოლიტიკა ორიენტირებული იყოს სწორ საკადრო პრინციპებზე, ყველა რგოლში მხოლოდ პროფესიონალების დასაქმებით;

- უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობისა და მათი შეგნების დონის ამაღლება-საქართველოს ტყეების დაცვისა და მისი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისადმი, ცივილური და მზრუნველი დამოკიდებულების დამკვიდრების მიზნით;

- საქართველოს ტყის ეკოსისტემებში სრულყოფილი სატყეო – საკულტურო სამუშაოების საწარმოებლად, უნდა განხორციელდეს სატყეო-სანერგე მეურნეობების აღდგენა- თუნდაც ცალკეული რეგიონების მასშტაბით;

- აუცილებელია ყოფილი „საკოლმეურნეო ტყეებისათვის“, ქვეყანაში არსებული წესის ფარგლებში შესაბამისი სტატუსის მინიჭება და რეალური ღონისძიებების გატარება, ტყის დეგრადირებული მასივების აღსადგენად;

- დასაჩქარებელია აგროსავარგულებზე დაცვითი ტყის ზოლების დარჩენილი ფრაგმენტების ინვენტარიზაცია და მათ აღდგენა-რეაბილიტაცია;

- დიდი მნიშვნელობა აქვს სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის აღდგენას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მისი საქმიანობის სრულყოფისა და უკეთ კოორდინირების მიზნით;

- მნიშვნელოვანია სატყეო დარგის სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ცენტრის შექმნა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე;



**თავი 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის საქართველოს და ადგილობრივ აბრარული  
მიმართულების ორბანიზაციებთან, რეგიონებთან და ფერმერებთან  
თანამშრომლობა**

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა საერთაშორისო დღე	სახეიმო სხდომა	11 თებერვალი	სამეცნიერო განყოფილებები	
2	ველური ბუნების მსოფლიო დღე	სემინარი	3 მარტი	სამეცნიერო განყოფილებები	
3	ტყის საერთაშორისო დღე	სემინარი	21 მარტი	სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება	
4	წყლის რესურსების მსოფლიო დღე	სემინარი	22 მარტი	სამეცნიერო განყოფილებები	
5	მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე	სემინარი	23 მარტი	სამეცნიერო განყოფილებები	
6	დედამიწის საერთაშორისო დღე	მრგვალი მაგიდა	22 აპრილი	სამეცნიერო განყოფილებები	
7	ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღე	სხდომა	29 აპრილი	მეცხოველეობის და ვეტერინარიისა სამეცნიერო განყოფილება	
8	ფუტკრების საერთაშორისო დღე	სემინარი	20 მაისი	მეცხოველეობის და ვეტერინარიისა სამეცნიერო განყოფილება	
9	ბიოლოგიური მრავალფეროვნების დღე	სემინარი	22 მაისი	სამეცნიერო განყოფილებები	
10	მთის მდგრადი განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები	მრგვალი მაგიდა	მაისი	აკად. ნ. ჭითანავა დოქტ. ნ. ხოზრევანიძე დოქტ. ა. გიორგაძე	



11	გარემოს დაცვის მსოფლიო დღე	სემინარი	5 ივნისი	სამეცნიერო განყოფილებები	
12	გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის დღე	სემინარი	17 ივნისი	სამეცნიერო განყოფილებები	
13	სადემონსტრაციო დღე წილკანში სიმინდის და ხორბლის სასელექციო ნაკვეთებზე	გასვლითი ღონისძიება წილკანი	ივლისი	აკადემიკოსი ოთარ ლიპარტიელიანი	
14	კოოპერატივების საერთაშორისო დღე	მრგვალი მაგიდა	2 ივლისი	სამეცნიერო განყოფილებები	
15	ქართული ვაზის გენოფონდის კვლევისა და დაცვის არსებული მდგომარეობის შესახებ	მრგვალი მაგიდა	სექტემბერი	აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება (აკად. ნ. ჩხარტიშვილი); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ღვინის სააგენტოს მონაწილეობით	
16	ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღე	სემინარი	18 სექტემბერი	სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება	
17	საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემების განვითარების შესახებ	მრგვალი მაგიდა	სექტემბერი	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	
18	ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის გენარალური ასამბლეა	გენარალური ასამბლეა	24 სექტემბერი		
19	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპის ქვეყნებში და პერსპექტივები	საერთაშორისო კონფერენცია	25-27 სექტემბერი		
20	მეცნიერებისა და ინოვაციების	კონფერენცია	სექტემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

	საერთაშორისო კვირეული -სამეცნიერო კონფერენცია, საჯარო ლექციები	საჯარო ლექციები			
21	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ.წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
22	მეცნიერების მსოფლიო დღე	საზეიმო სხდომა	10 ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
23	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
24	ნიადაგების მსოფლიო დღე	კონფერენცია	5 დეკემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	



4.2. UEAA-ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირი

**Elections of the President and Vice President of the Union of European Academies for Science Applied to Agriculture, Food and Nature (U E A A), Steering Committee Meeting of UEAA**

9.11. 2020

*Zoom meeting from Tbilisi*

*Tuesday 6 October 2020, from 10.00 a.m. Paris time*

On October 6, 2020, a Zoom meeting of Steering Committee of the Union of European Academies for Science Applied to Agriculture, Food and Nature was held. **The following members of the Steering Committee of UEAA attended the meeting: Guram Aleksidze** (Georgian Academy of Agricultural Sciences), **Michel Thibier** (French Academy of Agriculture), **Ioan Jeleu** (Rumanian Academy of Agricultural and Forestry Sciences), **Kerstin Niblaeus** (Royal Swedish Academy of Agriculture and Forestry), **Iaroslav Gadzalo** (National Academy of Agrarian Sciences of Ukraine), **Stefan Mihina** (Slovak Academy of Agricultural Sciences).

One of the important issues on the Agenda of the meeting was

- A. Election of the President of the UEAA, and
- B. Election of the Vice President of the UEAA.

**Academician Guram Aleksidze**, the President of Georgian Academy of Agricultural Sciences, was unanimously elected the President of the Union of European Academies for Science Applied to Agriculture, Food and Nature by the members of the Steering Committee of the UEAA.

The candidacy of Academician Guram Aleksidze, who by that time was holding a position of the Acting President of UEAA, was supported by all participants of the Meeting.

Prof. Michel Thibier (France) characterized Academician G. Aleksidze as a distinguished scholar and public figure, and supported his candidacy for the presidency of the UEAA.

Next issue on the agenda was **election of the Vice President of the UEAA**. The Candidacy of Prof. Stefan Mihina, the President of the Slovak Academy of Agricultural Sciences, was nominated. The meeting participants voted for the named candidate and Prof. Stefan Mihina was unanimously elected as Vice President of UEAA. In his final speech, he pledged himself to cooperate fruitfully with other members and strive for further success of the UEAA.

The name of President of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician of National Academy, Professor, Doctor of Biological Sciences, **Guram Aleksidze** is widely known in Georgia, as well as abroad. He is a distinguished scholar, the author of more than 230 scientific publications, including 17 books and more than 10 brochures, the most part of which have been



published in international journals. His publications deal with integrated protection of agricultural plants (vine, fruit trees and citrus) from pests and diseases. Professor G. Aleksidze is one of the founders of scientific direction which studies pest control and integrated methods of plant protection in agriculture. The scientific studies which apply the Systems of Mathematical Modeling, implemented by Academician G. Aleksidze, which specifies interrelation of pests and useful insects in agrocoenosis – are still going on in Georgia.

For decades, **Professor G. Aleksidze** has been carrying out active and fruitful work cooperating with international organizations such as, CACAARI, (Head of Association of Asia and Caucasus Countries Scientific Research Organizations), CGIAR, FAO, ICARDA, CIMMYT, Biodiversity International, and other. His scientific activities in the US have been widely recognized.

Professor G. Aleksidze has carried out a many-year fruitful scientific and pedagogical work at different universities. About twenty doctorate students, among them foreign ones, have conducted researches and defended doctorate dissertations under his supervision.

**Professor Štefan Mihina** is the member of the Slovak Academy of Agricultural Science (SAAS) since 1999, Scientific Secretary of the Council since 2002 to 2012, and President of the SAAS Slovak Academy of Agricultural Science in periods since 2013 to 2018, and since 2019 onwards. He focuses on research and education in fields of animal husbandry systems, housing and technology in management context, animal welfare, and environmental issues. Since 1985 until 2009, he worked as the part-time lecturer at the Slovak University of Agriculture in Nitra and as the full-time professor since 2009 onwards. He was the member of following international bodies: Standing Committee for Agricultural Research of the European Community (SCAR), Programme Committee of the 7th Framework Programme of EC, EU Rural network assembly, Working group on innovation for agricultural productivity and sustainability of the EIP – AGRI, Meters and Jars Subcommittee of the International Committee for Animal Recording (ICAR), Member of the Standing Committee for Life, Earth and Environmental Sciences (LESC) of the European Science Foundation (ESF), Member of Coordination Board of the European Initiative for Research for development (EIARD), Council of the European Federation of Animal Sciences (EAAP) – two years vice-president, and boards of editors of two scientific journals. He was the member of following national bodies: Council for Science, Technology and Innovation of the Slovak Government, Scientific Councils of the Slovak Academy of Sciences, two universities, three faculties and three research institutions, Presidium of the Slovak Research and Development Agency (vice-chairman), boards of editors of two scientific and two practical journals (chairman in one of them).

**Professor Štefan Mihina** was the coordinator and member of teams of seven international projects (including EC-FP) and five large national projects and is author of more than 400 papers. He is laureate of the Distinguished Service Award of European Federation for Animal Sciences, “Scientist of the Year award”, the Award of the Ministry for Education, Science, Research and Sport of the Slovak Republic, and many others.



## **Minutes of the Union of European Academies for Science Applied to Agriculture, Food and Nature (U E A A) Steering Committee Meeting**

9.11. 2020

*by Zoom meeting from Tbilisi  
Tuesday 6 October 2020, from 10.00 a.m. Paris time*

**Attendees: Guram Aleksidze** (Georgian Academy of Agricultural Sciences), **Michel Thibier** (French Academy of Agriculture), **Ioan Jelev** (Rumanian Academy of Agricultural and Forestry Sciences), **Kerstin Niblaeus** (Royal Swedish Academy of Agriculture and Forestry), **Iaroslav Gadzalo** (National Academy of Agrarian Sciences of Ukraine), **Stefan Mihina** (Slovak Academy of Agricultural Sciences). **The following members of the Steering Committee** did not attend the Meeting: **Vilem Podrazsky** (Czech Academy of Agricultural Sciences), **Baiba Rivza** (Latvian Academy of Agricultural and Forestry Sciences), **Andrew Lazenby** (Royal Agricultural Society of England), **Zenonas Dabkevičius** (Lithuanian Academy of Sciences).

### **Welcome by Vice President Professor Guram Aleksidze**

The Visio conference meeting started at 10.05 a.m. Paris time. The Vice President of the UEAA, as acting President, Professor Guram Aleksidze welcomed all members of the Steering Committee. He addressed in person each member attending the meeting and thanked them for their participation. A special welcome was given to Professor Stefan Mihina from the Republic of Slovakia, Director of Slovak Academy of Agricultural Sciences attending this meeting for the first time as candidate to the Steering Committee of UEAA.

- G. Aleksidze also thanked V Podrasky, B Riza and Z Dabkevicius for sending him their apologies due to some commitment in their Universities at the same time.
- He then extended his deep regret regarding the death of the 2018- 2020 President of the UEAA, Professor Antonio Michele Stanca, who became a victim of coronavirus infection spread in Italy in early 2020. The attendees also expressed their condolences (<sup>1</sup>).
- Each of the attendees welcomed the meeting participants and expressed their contentment regarding meeting their colleagues and their readiness to work on the issues proposed on the Agenda of the meeting. M Thibier asked the acting President to add on the Agenda on the “other issues” section at the end of the meeting, two points: one related to the need to send a letter to ALL members of the UEAA, and one on the necessity to set one S C meeting in early 2021, agreed.

### **Formal approval of the postponement of the General Assembly until Spring 2021 (May),**

G. Aleksidze proposed that the General Assembly (G A) due to stand in autumn 2020 according to the statutes, be postponed because of the current circumstances of the Covid 19 pandemic. He proposes that that this G A be organized in spring (most likely in May) 2021 and back-to-back to the International Conference “Agricultural Mechanization and Technologies in Europe and Perspectives” in Tbilisi, Georgia by the time when hopefully Corona Virus will not be an obstacle any more.

The UEAA Members unanimously agreed to hold the General Assembly and the International Conference in spring 2021.

### **Election of new S C members.**

Acting President G. Aleksidze presented the proposed candidates to the meeting participants and asked Professor. Stefan Mihina to introduce himself.

Prof. Stefan Mihina mentioned his contribution into Agrarian sciences and about his academic achievements and career development. He made emphasis on one of the projects he is working on: Effect of Animal Production on Environment.

G. Aleksidze addressed the meeting participants to express their opinion regarding the proposed candidate to become a member of the Steering Committee.

All members present at the meeting unanimously supported his candidacy to be elected as a member of the Steering Committee and so voted for him.

The second Candidate Prof. Simone Orlandini was not attending the Meeting. His candidacy will be discussed at the next meeting.

### **Election of the President of the UEAA.**

One of the key issues on the Agenda was the election of the President of UEAA. Prof. Guram Aleksidze, the President of Georgian Academy of Agricultural Sciences, who is currently an acting president of UEAA is to be officially elected by the meeting.

Prof. Michel Thibier was asked to present G Aleksidze's candidacy. M Thibier indicated that G. Aleksidze has assumed this position for several few months due to the fact that Corona Virus took the life of the UEAA elected President M Stanca and that G. Aleksidze has been filling this position successfully since then and thanked him for this excellent job. He entirely supported his candidacy for the presidency of the UEAA

K. Niblaeus and other members stressed the difficulties the candidate had to face during this very peculiar period when he assumed the position, and how successfully G. Aleksidze managed the publication and delivery of "An open letter to the UN, G-20, and National Governments on COVID-19 and Agriculture for Food and Nutrition Security » then posted on the UEAA website. Therefore, all members expressed their full support to elect Prof. Guram Aleksidze as President of UEAA, unanimously elected. The new President said he would sustain the progress of the Union in many ways with active support of his colleagues.

### **Election of the Vice president of the UEAA.**

Candidate: Prof. Stefan Mihina, the President of the Slovak Academy of Agricultural Sciences. The meeting participants voted for the named candidate and Prof. Stefan Mihina was unanimously elected as Vice President of UEAA. In his final speech, he promised to cooperate fruitfully with other members and strive for further success of the UEAA.

### **Current questions**

#### **6.1 The UEAA web site**

The President G. Aleksidze raised the issue of UEAA internet website effective management. He suggested the renovation of the website, so that it should reflect the work done by the Union and demonstrate its official position regarding agricultural issues.

As with regards to the web-site, he mentioned that technical assistance provided by Marek was instrumental, but the problem is that we have very few contributions from the members which is clearly seen from the site. The letter which will have to be sent to all the members (see below) should remind them that the website is open and that they should contribute by sending scientific articles and other relevant information to be presented on the UEAA website.

- In his presentation, M Thibier mentioned the excellent work and help done by the Czech e-fractal company and the dedication of Marek which is a very positive point for the UEAA web site but in regards to this, he restated his position that :

– the website needs renovation;

– and more active participation of the UEAA members is badly needed.

He mentioned that due to various factors close contact with all members of the UEAA these last two years has been lost. Yet the S C under the leadership of the President should make every effort to re capture this link and this would provide among other advantages, an opportunity to get regular contributions from these Academies.

The S C should now think how to reinitiate a renovation of this site and discuss the matter at its next meeting in 2021.

Regarding the finances, M Thibier is not aware of the way, the Italian Academy managed with e-fractal but his own experience when the French Academy had the Presidency (2016-2018), is that a moderate fee was paid to e-fractal on a monthly basis for the work done on the web site. He also stressed the advantage of having a continuation along the years with one unique e-company as some ten years back there were great difficulties when those companies were changing every other year, with new presidencies, to the extent that all the keys and keywords were eventually lost with no

means to retrieve our initial web system. For history, it should be reminded that thanks to the Swedish Academy while its Presidency of UEAA, it financially contributed to reset a new web site, with the help of the Czech Academy. Then e-fractal from Prague following the specifications written by the SC of those years, reinitiated from scratch a new site which is now operating technically with great success for 5 years.

Mention was made of a possible financial support of private companies. However, this should be taken with great precaution as UEAA wants to remain independent and not to depend on private interests.

Finally, he expressed hope that Georgia will set up contacts with Czech representatives, and in particular with Marek from e-fractal, to maintain the website active and possibly investigate further about its possible renovation and to what cost.

G. Aleksidze agreed that it was very important to be clear on this issue.

- The President G. Aleksidze raised the issue about the Membership fee, which would be very helpful as it could be used for different purposes. For example, some scientific awards could be organized for the UEAA members for their outstanding contribution. To be discussed at the next S C meeting.
- K Niblaeus supported the idea that it is necessary to renovate the website. She stated that it is important that the members make contributions to it with relevant content related to what is being discussed in each member's Academy. She suggested for example that it is time to express support and to influence opinion about the genetically-modified products related to genome editing (<sup>2</sup>) because the E U will lay this problem on the table in spring 2021(<sup>3</sup>). She also spoke about some scientific contributions to the website, such as Report on Climate and Forest, prepared by the Swedish Academy.

K Niblaeus made an important suggestion in asking each member of the S C to start with, to contribute to send some documents to be posted on the web site in the coming weeks. It was reminded that all documents to be sent to the UEAA web site should have first the green light from the current President G Aleksidze.

- I. Jeleu, Romania stated that the Academy of Agricultural and Forestry Sciences will make a contribution to the website in this respect. It will be interesting to discuss the EU proposal – Green Deal Policy. It could be very helpful if we shared our opinion about this problem – What will be the role of scientific contribution in regards with The EU *Green Deal Policy*?”
- France supported the opinion expressed by his colleagues. As an example, he presented the most recent publication by French Academy *Covid 19 and Agriculture*,(September 2020) and he will send the English summary of the book to be posted on the UEAA website.
- G Aleksidze in conclusion said the he remembers the topic of genetic resources was one of the central problems in Prague meeting, but now, as the time is up for the present zoom meeting, it should be closed and discussion on the problems will continue at our next meeting.

## **6.2. Other issues: letter to the members and next SC meeting**

M Thibier firstly proposed that a letter should be sent to all members of the UEAA,

– delivering necessary information to them, including information about the zoom meeting to be held in January

– and in addition explaining to them the interest to contribute to the information of the UEAA with its European range both within the E U and out outside of the E U and hence post some information about the work done in their respective Academies.

He also suggested that the S C should have a meeting – most likely another Visio conference – in early 2021. The group agreed and the President will inform us about a meeting taking place most probably in early January.



6.3.

Closure

Finally, all participants once again congratulated Professor Guram Aleksidze for his election. He as President expressed willingness to make the website more active so that it could become a strong vehicle for exchange of positions, opinions and scientific achievements among the UEAA members. The meeting was closed at 11.00 a.m. Paris time.

<sup>1</sup> Because of this very sad event, the minutes of the meeting held in Prague in December 2019 which were due to be edited by Professor Stanca have been lost and hence will not be published.

<sup>2</sup> See recent Nobel Prize 2020 to Emmanuelle Charpentier (Fr) et Jennifer Doudna (USA) on gene editing and Crispr Cas9.

<sup>3</sup> The French Academy has made a statement and written a position paper on this topic in January 2020 which is posted on the UEAA web site since then.



4.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხვა ორბანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები

4.3.1. თანამშრომლობის მემორანდუმი აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკონტროლო სისტემების ინსტიტუტთან

2020 წლის 15 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკონტროლო სისტემების ინსტიტუტთან. მემორანდუმს აკადემიის მხრიდან ხელი მოაწერა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, ხოლო ინსტიტუტის მხრიდან ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ტელმან აბას ალიევმა.

მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა, რათა მხარეებმა თავიანთი ფუნქციებისა და კომპეტენციის ფარგლებში ეთობლივად იმუშაონ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სხვადასხვა გზების მოძიებაზე, მ.შ. საერთაშორისო მასშტაბით.

მემორანდუმის ამოცანებია ერთობლივი სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა; ერთობლივი სემინარების, სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მხარდაჭერა და ჩატარება; დამუშავებული მანქანებისა და მოწყობილობების გამოცდებში ურთიერთდახმარება და კონსულტაციების გაწევა და სხვა აქტივობების განხორციელება.

მემორანდუმი ძალაშია 5 წლის ვადით, ამავე დროს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მასში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები.

მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე და აკად. ა. დიდებულიძე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკონტროლო სისტემების ინსტიტუტთან (ინგლისურ ენაზე).

**Memorandum**  
**of**  
**Cooperation and Joint Activities signed between**  
**Georgian Academy of Agricultural Sciences and**  
**Institute of Control Systems of Azerbaijan National Academy of Sciences**

Tbilisi

«15» January 2020

The public entity Georgian Academy of Agricultural Sciences (hereinafter "Academy") represented by its President, Academician Guram Aleksidze, and Institute of Control Systems of Azerbaijan National Academy of Sciences (hereinafter "Institute"), represented by the Director of the Institute, Academician Aliev Telman Abbas (hereinafter "Parties"), desiring to develop and strengthen their relations, taking into account their mutual interest in scientific cooperation, common scientific priorities and public interests, hereby agree as follows:

**1. The Subject of the Memorandum**

With this memorandum, the Parties express their wish to develop cooperation based on mutual understanding and respect to achieve success within their functions and competences in the field of scientific innovations and technologies, at national and international levels.

**2. Aims of the Memorandum**

The aims of the Memorandum are to carry out joint research and development activities for the elaboration of various equipment used in agriculture and industry, developing mathematical models based on the concept of a systematic approach to solving problems in soil ecosystems, increasing their adequacy and applying research results to practical problems, application of the Geographic Information System (GIS) and Global Positioning System (GPS) and remote sensing for processing multispectral aerial photographs for the diagnostics of cultivated areas, rapidly

mapping of insect infestations, development of pesticides use and fertilizer rules tied to the coordinates of the terrain (Precision Agriculture), furthermore, planning and implementation of projects intended to promote development of economies of Georgia and Azerbaijan.

### **3. Objectives of the Memorandum**

- Development of joint working teams, coordination and sharing of scientific- research and project information;
- Support of joint seminars, conferences, and other scientific activities;
- Support and consulting in pilot testing of machines and prototype models;
- Organization of scientific grant-based projects and joint scientific publications;
- Getting Intellectual Property Rights on mutually organized constructions;
- Implementation of other types of joint activities in accordance with the aims of the present Memorandum.

### **4. Obligations of the Parties**

- Joint activities implemented within the framework of the present memorandum shall be carried out on a high scientific level and serve the country's further scientific development;
- The issues of implementation of joint activities and other projects should be solved in the result of negotiations and agreement between the Parties which should be in full correspondence with the applicable regulations of Georgian and Azerbaijani Legislation;
- The Parties shall consider the possibilities to conduct close cooperation with the world leading scientific centers to successfully accomplish the target scientific project;
- The researchers of the both parties will regularly deliver presentations about the scientific work carried out by them;
- Adjustment or termination of any of the articles of the present Memorandum without written notification sent to another party in advance is unacceptable;
- The parties intend to resolve any disagreement that may arise during the implementation of this Memorandum, by mutual agreement through negotiations and consultations.

## 5. Concluding Articles

- Memorandum is set up in English language, in two copies having equal legal propriety. If copies will be sent to both parties;
- Memorandum will become effective from the moment of signing it, and will remain such for 5 years;
- Memorandum could be amended upon agreement achieved by both sides.

### The Data of the Parties:

Institute of Control Systems of ANAS,  
Azerbaijan, Baku


Email: [info@cyber.az](mailto:info@cyber.az)

Director of the Institute, Doctor of  
Engineering, Professor, Academician of  
Azerbaijan National Academy of Sciences

Georgian Academy of Agricultural  
Sciences, Tbilisi, Georgia;

Email: [info.gaas.georgia@gmail.com](mailto:info.gaas.georgia@gmail.com)

President of the Academy, Doctor of  
Agricultural Sciences, Academician of  
Georgian National Academy of Sciences

  
Professor Telman Abbas Aliev

  
Professor Guram Aleksidze





#### 4.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2020 წელს ჩატარებული სამართაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები

##### 4.4.1. „Euraxess - საქართველოს“ ფართო შესაძლებლობები საინფორმაციო შეხვედრა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (2020 წლის 10 იანვარი).



პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა. რუსთაველის ფონდი იწყებს ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ორგანიზაცია EURAXESS-ის სერვისების განვითარებას, ტრენინგებს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნულ შეხვედრაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობდნენ პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტორი რევაზ ლოლიშვილი.

რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ზვიად გაბისონ იამ ისაუბრა EURAXESS- საქართველოს ფართო შესაძლებლობებზე, პროექტის მიმდინარეობაზე. აღნიშნა, რომ ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე იქნება; ხოლო სახელმძღვანელო ინფორმაცია აფხაზურ ენაზეც. ჩატარდება ტრენინგები ტრენერებისათვის, რომლებიც შემდეგ თვითონ ჩაატარებენ ტრენინგებს პლატფორმის გამოყენების თაობაზე, რუსთაველის ფონდის გეგმებზე საერთაშორისო პროექტებში. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია კონკურსებში ქართველი მეცნიერების წარმატების ინდექსის ასამაღლებლად.

რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო გაჩეჩილაძემ წარადგინა პრეზენტაცია EURAXESS- საქართველო, ისაუბრა პროექტის Euraxess Georgia Network Startup (EuGeNeS) შესახებ, EURAXESS-ის მნიშვნელობასა და მიზნებზე, პორტალის EURAXESS- Georgia-ს შექმნასა და მის შესაძლებლობებზე, საკომუნიკაციო სტრატეგიაზე, მოსალოდნელ შედეგებზე.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო EURAXESS - საქართველოს ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, ამასთანავე EURAXESS-ის პორტალის თემაზე დაგეგმილი ტრენინგების შინაარსი და განრიგი. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის წარმომადგენლები ლანა დავითულიანი და სალომე შარაშენიძე.

უახლოეს პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი თანამშრომელი გაივლის შესაბამის ტრენინგს, რომლის შემდგომაც მოხდება აკადემიის როგორც სამეცნიერო ორგანიზაციის რეგისტრაცია ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ორგანიზაცია EURAXESS-ის ქსელში და ამავე ქსელში მოხდება აკადემიის მეცნიერთა ინდივიდუალური დარეგისტრირება. ყოველივე ეს კი გაზრდის აკადემიისა და ცალკეული მეცნიერების საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობებს.



#### **4.4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა**

**აკადემიკოსი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი - 120**



*2020 წლის 29 იანვარს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომა, სადაც პატივი მიაგეს აკადემიკოს ნიკოლოზ ხომიზურაშვილის ნათელ ხსოვნას.*

2020 წელს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ხომიზურაშვილს.

პრეზიდიუმის სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ. თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა აკად. ნ. ხომიზურაშვილის დამსახურება ქვეყნის წინაშე, მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები და გაიხსენა ბატონ ნიკოლოზთან მისი ურთიერთობების ზოგიერთი პერიოდები.

აკად. ნ. ხომიზურაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა აკადემიკოსმა ვაჟა კვალიაშვილმა, რომელმაც დეტალურად აღწერა ბატონ ნ. ხომიზურაშვილის განვლილი ცხოვრების გზა. აღინიშნა, რომ ნ. ხომიზურაშვილი დაიბადა 1900 წლის 24 იანვარს, კახეთის ულამაზეს ქალაქ თელავში, 1919 წელს დაამთავრა თელავის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1925 წელს პირველი ხარისხის

დიპლომით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. გამორჩეული ახალგაზრდა კათედრაზე დატოვებს ასისტენტად და როგორც პერსპექტიული სპეციალისტი მიავლინეს გერმანიაში ცოდნის გაღრმავების მიზნით, სადაც მან 3 წელი დაჰყო და მუშაობდა საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სასელექციო სადგურებში. სამეცნიერო-კვლევითი საკითხების გასაცნობად გერმანელი მეცნიერების კეთილი ნებითა და ხარჯებით ნიკოლოზ ხომიზურაშვილი გაეცნო საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიის და დანიის გენეტიკისა და სელექციის სადგურებს.

1928 წლის დამლევს სამშობლოში დაბრუნებამდე მას ხელმძღვანელმა მეცნიერებმა შესთავაზეს გერმანიაში დარჩენა, აგრეთვე სხვადასხვა სამუშაო ადგილი, მაგრამ ვერ დაითანხმეს - ნიკოლოზ ხომიზურაშვილი სამშობლოში დაბრუნდა.

იგი გახლდათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე და დეკანი, შემდეგ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მუშაობის პერიოდში მისი ინიციატივით ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა მებაღეობა-მევენახეობის უნიკალური მუზეუმი, აღწერილი ჰქონდა საქართველოში კულტივირებული ხეხილის ჯიშების სახეობები და მათი კლასიფიკაცია; აკად. ნ. ხომიზურაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ხილის ატლასი, მეხილეობის სახელმძღვანელოები და „მეხილეობის“ 2 ტომი. დიდი ღვაწლი მიუძღვის „საქართველოს მეხილეობის“ ოთხტომეულის გამოცემაში. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში დაინერგა ნაგალა ხეხილი. იგი საქართველოში სამრეწველო მეხილეობის ერთერთი ფუძემდებელი იყო.

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის დროს მან დაამუშავა საყვავილე კვირტების ჩასახვა-განვითარების თეორია, შეისწავლა და იკვლევდა ხეხილის ზოგიერთი ჯიშის ციტოგენეტიკას და ციტოგენეტიკის საკითხებს. ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა უნიკალური სამეცნიერო მუზეუმი. მის მიერაა აღწერილი ლეღვის ახალი სახეობები და მათი კლასიფიკაცია.



მომხსენებელმა გაიხსენა აგრეთვე, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწია 1961წელს აკად. ნ. ხომიზურაშვილმა ნიკიტა ხრუშჩოვის წინადადებას, რომ კახეთში ვაზი



გაეჩეხათ და “მინდვრის დედოფალი” - სიმინდი დაეთესათ. მან დაარწმუნა ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობა, რომ მისი წინადადება მცდარია და საქართველოში ვაზის გაჩეხვა და მევენახეობის განადგურება თავიდან იქნა აცილებული. მაგრამ ბატონი ნიკოლოზის სიჯიუტეს შეეწირა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია რამდენიმე თვის შემდეგ, კრემლის მითითებით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომლის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ნ. ხომიზურაშვილი იყო, გაუქმდა. მან კი სიმწრით ჩაიცინა და თქვა „ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირს დაუწყეს მტვრევან“.

აკად. ნ. ხომიზურაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენებით და მედლებით, საერთაშორისო გამოფენების საპატიო მედლებით, ხოლო 1966 წელს ბატონი ნიკოლოზის უმწიკვლო მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დააფასა ქვეყნის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ნიკოლოზ ხომიზურაშვილს შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი გარდაიცვალა 1971 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მოგონებებით აკად. ნ. ხომიზურაშვილის მოღვაწეობის შესახებ პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდნენ აკადემიკოსები ნოდარ ჩხარტიშვილი და იუზა ვასაძე, ბატონი ნიკოლოზის შვილიშვილი ზურაბ ჭიპაშვილი.

დღეს, საქართველოს და არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ყველა აგრარკოსი მეცნიერი, რომლებიც იცნობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნიკოლოზ ხომიზურაშვილს და ისინიც, რომლებიც მას გადმოცემით ან სამეცნიერო შრომებიდან იცნობენ, უდიდეს პატივს მიაგებენ ამ პატრიოტი ადამიანის ნათელ ხსოვნას.



#### ***4.4.3. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიში აკადემიაში***

2020 წლის 07 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც მოსმენილი იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. პრეზიდიუმის სხდომას პრეზიდიუმის წევრების გარდა ესწრებოდნენ აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინატორები და აკადემიის აპარატის წარმომადგენლები.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან პრეზიდენტის სხდომას ესწრებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ტიტე აროშიძე, სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ირმა აფხაზავა და სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი როინ გოგაძე.

პრეზიდენტის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ. აღინიშნა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აკადემიას თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს 2013 წლიდან და ამ პერიოდიდან ყოველწლიურად აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრები გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით გამოდიოდნენ აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე. მიმდინარე წელსაც ეს ტრადიცია არ დარღვეულა და მინისტრი ისევ მოხსენებით გამოდის აკადემიის პრეზიდენტის გაფართოებული სხდომის წინაშე.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბატონმა ტიტე აროშიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამინისტროს საქმიანობა 2019 წელს, მის მიერ განხორციელებული მეტად მნიშვნელოვანი პროექტები, დეტალურად მიმოიხილა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა მემცენარეობის, მეცხოველეობის, აგროინჟინერიის, მეციტრუსეობისა და ჩაის მოვლა-მოყვანის მიმართულებით, აღინიშნა სამინისტროს მიერ 2019 წლის აპრილის თვეში შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა აკადემიასთან ერთად და სამინისტროს მიერ კონფერენციის ფინანსური საკითხების წარმატებით გადაწყვეტა. მინისტრმა ისაუბრა აგრეთვე სამინისტროს სამომავლო პერსპექტივებზე, მათ საერთაშორისო სამომავლო კავშირებზე, აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო უთიერთობებზე და მათ დასახმარებლად განსახორციელებელ



მინისტრმა განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის მჭიდრო, საქმიან და მეცნიერულად დასაბუთებულ საქმიანობას, გამოთქვა სურვილი აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრთან აქტიურ თანამშრომლობაზე.

მინისტრის მოხსენებამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, გაიმართა დისკუსია, აზრთა გაზიარება, იყო ბევრი შეკითხვები, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ი. ვასაძემ, გ. მარგველაშვილმა, ჯ. გუგუშვილმა, გ. გაგოშიძემ, თ. ყურაშვილმა, ზ. ცქიტიშვილმა, ე. შაფაქიძემ, ნ. ჭითანავამ, აგრეთვე აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორებმა - დოქტორებმა ა. მესხიშვილმა და ნ. კიკნაველიძემ.



#### **4.4.4. აკადემიის სტუმრები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან**

2020 წლის 20 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი, სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი ნინო წერეთელი, ამავე დეპარტამენტის მეცნიერების სამმართველოს უფროსი ბატონი ზაზა მარუაშვილი და დეპარტამენტის თანამშრომელი ბატონი ზურაბ ხუციშვილი.

სტუმრებს აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა გააქცნეს აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკად. ელგუჯა შაფაქიძემ და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტ. ანატოლი გიორგაძემ.







ბატონმა გურამ ალექსიძემ სტუმრებს გააცნო აკადემიის წევრების ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სტრუქტურა და საქმიანობა, აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტის საქმიანობა, აკადემიის მონაწილეობა სამეცნიერო ორგანიზაციების კვლევით საქმიანობაში, აკადემიის

კავშირები მსოფლიოს აგრარული მიმართულების საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირი (იტალია); **CGIAR**- სასოფლო – სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (ქ. ვაშინგტონი, აშშ); **GFAR** - აგრარული კვლევების გლობალური ფორუმი (ქ. რომი, იტალია), **GFRAS**-აგრარული კვლევების გლობალური საკონსულტაციო ცენტრი (ქ. ბაზელი, შვეიცარია), **ICARDA**-მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (იორდანია); **CIMMYT**-ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (ქ. მეხიკო, მექსიკა); **ICRISAT**- ნახევრად მშრალი ტროპიკული კულტურების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბატაჩერუ, ინდოეთი); **BIOVERSITY INTERNATIONAL** - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (ქ. რომი, იტალია); **ACIRO**- მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); **CACAARI**- ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); **IFPRI**- სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (ქ. ვაშინგტონი, აშშ); **CIP**- კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (ქ. ლიმა, პერუ); **BACSA** – შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის მებაღეობის ასოციაცია (ბულგარეთი); ჩინეთისა (**CAAS**) და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; უკრაინის აგრარული მეცნიერების ეროვნული აკადემია, ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი); ბონის უნივერსიტეტი (გერმანია).

სტუმრებს აცნობეს, რომ აკადემიას გაფორმებული აქვს 40-მდე ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი საზღვარგარეთისა და საქართველოს სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან.

სტუმრები გაეცნენ აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2019 წელს აკადემიის მიერ გამოცემულია მონოგრაფია - 10, დამხმარე სახელმძღვანელო - 5, ლექსიკონი - 2; რეკომენდაციები - 20; კონფერენციების შრომათა კრებული - 5, სამეცნიერო სტატიები - 213, მათ შორის უცხოეთის გამოცემებში გამოცემულია 5 მონოგრაფია და 40-მდე სამეცნიერო სტატია. აკადემიის წევრების მიერ მიღებულია 100-ზე მეტი პატენტი გამოგონებებზე.

სტუმრებს გააცნეს აკადემიის სტრუქტურა და განემარტათ, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ბიომრავალფეროვნებისა და მცენარეთა გენეტიკური რესურსების სამეცნიერო-კვლევით ცენტრი, აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი, გამომცემლობა „აგრო“, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსონატების საგამოფენო დარბაზი და ა.შ.



სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, აგრეთვე აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სხდომების ჩასატარებელი და აკადემიის სტიპენდიატების სამუშაო სივრცეები, ისინი გაეცნენ აკადემიის თანამშრომელთა სამუშაო პირობებს და ა.შ. სტუმრებს ასევე გააცნეს აკადემიის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები, სადაც ხაზი გაესვა აკადემიაში 2020 წლის 24-27 სექტემბერს ჩასატარებელ ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის მიერ ჩასატარებელ გენერალური ასამბლეის სხდომას და იმავე პერიოდში ჩასატარებელ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპაში და პერსპექტივები“. აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ იმედი გამოთქვა, რომ სამინისტრო დაეხმარება აკადემიას ამ მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიების ჩატარებაში და ამავე დროს აკადემიას იმედი აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური დახმარების.



#### **4.4.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება**

2020 წლის 21 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრებას, აკადემიის წევრების გარდა, ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პროფ. ს. პავლიაშვილი და მინისტრის მრჩეველი ბატონი ო. კაჭარავა, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი ბატონი ბ. გულუა, აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინატორები, უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები და აკადემიის თანამშრომელები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ აკადემიის ნამდვილ წევრს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ მოქალაქეს, აკადემიკოს ვალერიან ცანავას დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა. აკადემიის პრეზიდენტმა აკად ვ. ცანავას გადასცა აკადემიის მილოცვის დოკუმენტი და უსურვა ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და მრავალი წარმატებები სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.



კრების დღის წესრიგის შესაბამისად სიტყვა ეძლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. გ. ალექსიძეს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ვრცელი ანგარიში, მიმოიხილა საანგარიშო წელს აკადემიის მიერ ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები, მისი მონაწილეობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ფორუმებში, აკადემიის წევრების მონაწილეობა საზღვარგარეთისა და ადგილობრივ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში, აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობაზე გაფორმებული ხელშეკრულებებისა და აკადემიის წევრების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. აკადემიის პრეზიდენტმა ისაუბრა აკადემიის სამომავლო გეგმებზე და განსაკუთრებული ხაზი გაუსვა სამთავრობო ღონისძიებებში აკადემიის მონაწილეობას წყალტუბოს სურსათით უზრუნველყოფისა და სასურსათო უფსაფრთხოების საქმეში.

აკადემიის საანგარიშო კრებაზე სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2020 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ:





აკადემიის აგრონომიის  
სამეცნიერო განყოფილების  
აკადემიკოს-  
მდივანი, აკადემიკოსი  
**გოგოლა**  
**მარგველაშვილი**, აკადემიის  
მეცხოველეობისა და  
ვეტერინარიის სამეცნიერო  
განყოფილების აკადემიკოს-  
მდივანი, აკადემიკოსი **ჯემალ**

**გუგუშვილი**, აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-  
მდივანი, აკადემიკოსი **რევაზ მახარობლიძე**, აკადემიის სურსათის უვნებლობის და  
სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,  
აკადემიკოსი **ზურაბ ცქიტიშვილი**,

აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე  
აკადემიკოსი **გიორგი გაგოშიძე** და აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების  
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი **ომარ ქეშელაშვილი**.

აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის 2019 წლის სამეცნიერო საქმიანობა შეაფასა დადებითად.

აკადემიის საერთო კრებას მიესალმნენ და აკადემიის მიერ 2019 წელს ჩატარებული საქმიანობა და განხორციელებული ღონისძიებები დადებითად შეაფასეს და აკადემიის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, **პროფ. სოლომონ პავლიაშვილმა** და სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრის დირექტორმა, **პროფ. ლევან უჯმაჯურიძემ**.



აკადემიის საერთო კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები, რომლებიც ეხება აკადემიის სამომავლო პერსპექტივებსა და 2020 წლის სექტემბერში, საქართველოში და კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის გენერალური ასამბლეის და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად აკადემიის საქმიანობას მოსამზადებელ პერიოდში.





#### 4.4.6. შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში

2020 წლის 22 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს



ხელმძღვანელობა შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერებს.

სამინისტროდან შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრი ლევან დავითაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, მინისტრის მოადგილეები ხატია წილოსანი და სოლომონ პავლიაშვილი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები ეკატერინე ზვიადაძე და თენგიზ

კალანდაძე, სამმართველოს უფროსი ნოდარ ხოხაშვილი, პრეზიდენტის მრჩეველი ომარ კაჭარავა, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე ნოდარ ხატიაშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გიორგი კვესიტაძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად. რამაზ ხუროძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ოთარ ნათიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე დიდებულიძე.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი აკად. ნოდარ ჭითანავა, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ანატოლი გიორგაძე.



შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ქვეყანაში კორონავირუსის COVID-19 პანდემიისა და პანდემიის შემდგომ პერიოდში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად სტრატეგიულ ღონისძიებებსა და მიმართულებებში მეცნიერების როლის მნიშვნელობა და მათ მიერ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისათვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიმდინარეობა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი გახარიას და საერთოდ მთავრობის

პოზიცია კორონავირუსის პანდემიის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმებისა და ამ მიმართულებით მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღინიშნა აგრეთვე პანდემიის პირობებში და შემდგომ წლებში სამინისტროს მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პრაქტიკული წინადადებების შესრულების მდგომარეობა და სამინისტროს საქმიანობის მიმდინარეობა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. კვეციტაძემ, აკად. რ. ხუროძემ, სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ, სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა ნ. ჭითანავამ და ზ. ცქიტიშვილმა, აკადემიის წ/კ ა. დიდებულიძემ. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ COVID-19 უნდა ობიექტურად შეფასდეს და გამოინახოს გზები მის დასაძლევად, დამუშავდეს სტრატეგია სიტუაციიდან გარღვევის მიმართულებით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო კვლევებით მიღებული შედეგების განზოგადოებითა და დანერგვით. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მოწონებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების წინადადებები (რეკომენდაციები) კორონავირუსის COVID-19 პანდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის მართვის ძირითადი მიმართულებებისათვის პრაქტიკული ნაბიჯების კუთხით და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების დანერგვით ანტიკრიზისული გეგმის განხორციელება

**შეხვედრის შედეგები შეაჯამა მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მეცნიერებთან შეხვედრის მნიშვნელობას და მათ მზადყოფნას კორონავირუსის COVID-19 პანდემიასთან ბრძოლისათვის ნებისმიერ პოზოციაზე.**

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მომავალშიც სამინისტრო და მეცნიერებათა აკადემიები და მათი წევრები ერთობლივი თანამშრომლობით აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემების გადაჭრასა და კორონავირუსის საბოლოო დამარცხებისათვის.



**4.4.7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი ქვეპროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები**

2020 წლის 27-29 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის ხელმძღვანელობით აჭარის შავი ზღვისპირა სუპტროპიკულ ზონაში შერჩეული საკვლევ ობიექტებზე ვიზიტისას

განხორციელდა დაკვირვება ციტრუსების სხვადასხვა მავნებლების გავრცელების მასშტაბებზე და განისაზღვრა საკვლევი მიმართულებები, კერძოდ:

- სამუშაო ჯგუფი ბატონი გურამ ალექსიძის ხელმძღვანელობით ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეციტრუსე ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებში ადგილზე გაეცნო არსებულ სიტუაციას ციტრუსოვანთა მავნებლების გავრცელებასთან დაკავშირებით;
- ციტრუსოვანთა ბაღების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ფერმერები სრულყოფილად ვერ ფლობენ ინფორმაციას მავნე ორგანიზმებით ციტრუსების დაზიანების სიმპტომებზე, მათი გავრცელების ხასიათისა და ეკოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით;
- საკვლევად შერჩეული იქნა ციტრუსოვანთა კულტურების ბაღები ზღვის დონიდან სიმაღლეების მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის ზონის ორ სოფელში, კერძოდ სოფელ ხალასა და გორგაძეებში, ჩატარდა სამუშაოები კონკრეტული გეოგრაფიული არეალის, ლოკაციების განსაზღვრისათვის სადაც სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში განხორციელდება დაკვირვებები მავნებლებზე;
- ადგილზე არსებულმა სიტუაციამ აჩვენა, რომ ამჟამად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ციტრუსოვანთა შავი ფრთათეთრას (*aleurocanthus woglumi*) გავრცელება. მწერის მავნეობა გამოხატება იმაში, რომ ის ჯდება მცენარის ფოთოლზე და ჯანმრთელი მცენარის ფოთლიდან წოვს ფერმენტებს და მცენარის საკვებ ნივთიერებებს, რა დროსაც მცენარე ძალიან სუსტდება. შავი ფრთათეთრა მავნეობს არაპირდაპირი გზითაც, კერძოდ ფოთოლზე ექსკრემენტების გამოყოფით ფოთლის ზედაპირი იფარება და გამოყოფილ ექსკრემენტებზე ადვილად სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო „კაპნოდუმი“ (*capnodium citri*), ხშირ შემთხვევაში ფოთოლი მთლიანად იფარება რა დროსაც მცენარეს ხელი ეშლება ისეთ სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად წარმართვაში, როგორცაა – ტრანსპირაცია და ფოტოსინთეზი. ამჟამად მავნებლის მიერ მანდარინის ნარგაობის მასიური დასნებოვნება შეინიშნება აღნიშნულ ზონაში;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭარნალსა და კაპანდიბში ვიზიტისას ფერმერებს მვაწოდეთ ინფორმაცია თავიანთ ბაღებში გავრცელებული მავნებლების მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით;
- შერჩეულ საკვლევ სოფლებში ჭარნალი, კაპანდიბი, ხალა და გორგაძეები განხორციელდება აგრომეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება, ციტრუსოვანთა ფრთაშავას გავრცელების ბიოეკოლოგიურ თავისებურებებზე დაკვირვება და მის წინააღმდეგ შემუშავდება ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები. ასევე ბრძოლის ღონისძიებებში საცდელად გამოყენებული იქნება ინსექტო-აკარიციდული კომპოზიციური პრეპარატი „ანტისეპტის“ სახელწოდებით.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში განხორციელდება ციტრუსებში არსებული სასარგებლო მწერების ენტომოფაუნის შესწავლა, შეგროვდება ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება საბოლოო კვლევის დოკუმენტებში.



#### **4.4.8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება**

მიმდინარე წლის 14 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საერთო კრება. კრებას ესწრებოდნენ აკადემიის აკადემიკოსები და სტიპენდიატები. კრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მოზრძანებისთვის, რის შემდეგ გააცნო დღის წესრიგი. პირველი საკითხად იდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. ამ თანამდებობაზე წარდგენილი იყო აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. გაიმართა დახურული კენჭისყრა. საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე ერთხმად იქნა არჩეული აღნიშნულ თანამდებობაზე. ბატონმა გ. ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ყველას მხარდაჭერისათვის და დასძინა, რომ იგი კვლავაც არ დაიშურებს ძალღონეს, რათა აკადემიის საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტური და ნაყოფიერი გახდეს. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა აკადემიის პრეზიდენტის აკად. გ. ალექსიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც დღის წესრიგში მეორე საკითხად იდგა. მომხსენებელმა დეტალურად განიხილა ყველა ის ღონისძიება, რომელიც აკადემიაში ჩატარდა წლის პირველ ნახევარში. იგი ასევე შეეხო აკადემიის საქმიან ურთიერთობებს საზღვარგარეთის აგრარული მიმართულებების ორგანიზაციებთან. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გამოწვევებზე, რომელიც კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დააყენა ქვეყნის აგრარული სექტორის წინაშე. აღნიშნა, რომ აკადემიის თითოეულ სამეცნიერო განყოფილებაში დარგების მიხედვით შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა ის ღონისძიებები, რომელიც უნდა ჩატარდეს პანდემიის პირობებში და პანდემიის შემდეგ, რათა ქვეყნის აგრარულმა სექტორმა თავი ღირსეულად დააღწიოს ამ მეტად რთულ გამოწვევას. მოხსენების მსვლელობისას აკადემიის პრეზიდენტმა გ. ალექსიძემ ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ აკადემიას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა საგანგებო სიტუაციის პირობებში და მრავალი ღონისძიება ჩატარა ონლაინ რეჟიმში, რაც ასახული იქნა აკადემიის ვებგვერდზე. კრების მსვლელობისას, კორონა ვირუსთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ ეს KOVID-19 ადამიანიდან ცხოველზე არ გადადის და ამდენად ცხოველური წარმოშობის საკვები ამ მხრივ საშიში არაა.

მოხსენებით თემაზე “საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარღვევის სტრატეგიის შესახებ” მსმენელთა წინაშე წარსდგა აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო თავისი ხედვები და დასახული გზები პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: რ. ასათიანმა, თ. რევიშვილმა, ა. დიდებულისძემ, ზ. ცეციტიშვილმა. აღინიშნა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე იგი საჭიროებდა კიდევ ერთხელ გადახედვას და ზოგიერთი დეტალის დახვეწას. გადაწყდა, შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც საბოლოო სახეს მისცემდა ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

საერთო კრებაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე, რომელმაც ისაუბრა, აკადემიაში მოქმედ სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სახელის შეცვლისა და განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევაზე. აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან განყოფილების ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, საჭიროა სახელის შეცვლა და შესაბამისად აკადემიკოს-მდივნის არჩევაც. მან დარბაზში მსხდომთ გააცნო განყოფილების წევრთა გადაწყვეტილება, რომ განყოფილების, რომელსაც დაერქმეოდა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება, აკადემიკოს-მდივნად დამტკიცებულიყო აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი. ეს გადაწყვეტილება საერთო კრების მონაწილეებმა მოიწონეს და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საერთო კრების დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის და უსურვა წარმატებები მათ სამეცნიერო საქმიანობაში.



#### **4.4.9. აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა**



**100**

**გამოჩენილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას 2020 წლის 25 ივლისს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.**

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 24 ივლისს გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიემდვნა აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადებიდან მე-100 წლისთავს.

საიუბილეო სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, რომელმაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკად. ცოტნე მირცხულავას მეცნიერული საქმიანობა საქართველოს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. აღინიშნა, რომ ბატონი ცოტნე აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა 1991 წლის იანვარში იმ ოთხ აკადემიკოსთან (გ. აგლაძე, ვ. მეტრეველი, ო. ონიანი, ე. სეხნიაშვილი) ერთად, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ განახლებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მელიორაციისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობის თეორიის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მრავალი სამეცნიერო შრომა მიუძღვნა მდინარეებისა და არხების კალაპოტის წარცხვის საკითხებს. იგი სამი ათეული წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს



წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს, სადაც სამეცნიერო წარმატებებთან ერთად თავი გამოიჩინა როგორც მელიორაციისა და ჰიდროტექნიკის დარგის ხელმძღვანელმა და კარგმა ორგანიზატორმა. ყოველივე ამისთვის და კიდევ სხვა მრავალი დამსახურებებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია უდიდეს პატივს მიაგებს ბატონ ცოტნეს, როგორც თვალსაჩინო მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.



**აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, თავმჯდომარე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გივი გავარდაშვილმა ვრცლად ისაუბრა აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აღინიშნა, რომ ბატონი ცოტნე იყო 600 სამეცნიერო შრომისა და 26 მონოგრაფიის ავტორი, მრავალი სამეცნიერო ორგანიზაციის, ასოციაციის და ჯგუფის წევრი, 1970 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 2000 წელს კი - საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1967-1993 წლებში გამოქვეყნებულ შრომათა ციკლისათვის - "ნიადაგისა და კალაპოტების ეროზია, პროგნოზი და დაცვა"; მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის აკად. ც. მირცხულავა დაჯილდოებული იყო მრავალი ჯილდოებით და ორდენებით.

აკად. ცოტნე მირცხულავას წარმატებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა გაიხსენეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა, აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა რობერტ დიაკონიძემ, ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა მარტინ ვართანოვმა, აკადემიკოსებმა არჩილ ვაშაკიძემ და ჯემალ კაციტაძემ,



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარბეგმა.

საიუბილეო სხდომის დასასრულს სხდომის ორგანიზატორებს და დამსწრე საზოგადოებას სახელოვანი მეცნიერის გახსენებისათვის ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა აკად. ცოტნე მირცხულავას შვილმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა დავით მირცხულავამ.

საიუბილეო სხდომის მონაწილეების საერთო აზრია, რომ აკად. ცოტნე მირცხულავას დაბადებიდან 100 წლისთავს მიემდვინას კრებული, რომლის რედაქტორობის სურვილი გამოთქვა აკად. ნ. ჭითანავამ.



აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.



#### **4.4.10. ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ვიდეოკონფერენცია**

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს გაიმართა ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ვიდეო კონფერენცია. საქართველო აღნიშნული კავშირის წევრი 2015 წლიდან გახდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და უშუალოდ მისი პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის ინიციატივით. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ქვეყნები: საქართველო - აკად. გურამ ალექსიძე (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), საფრანგეთი - აკად. მიშელ ტიბიერი (საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლიეტუვა - აკად. ზენონას დაბკვეიჩი (ლიეტუვას მეცნიერებათა აკადემია), რუმინეთი - აკად. იოან იელევი (რუმინეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის აკადემია), ჩეხეთი - აკად. ვილემ პოდრაზკი (ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლატვია - აკად. ბაიზა რიზუა (ლატვიის სოფლის მეურნეობის და

მეტყვეობის მეცნიერებათა აკადემია), შვედეთი - აკად. კერსტინ ნიბლიაუსი (შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის აკადემია), უკრაინა - აკად. იაროსლავ გაძლო (უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა აკადემია), ინგლისი - პროფ. ენდრიუ ლაზენბაი (ინგლისის სამეფო სოფლის მეურნეობის საზოგადოება). ასევე ესწრებოდნენ საბჭოს მომავალი ორიწევრი ქვეყანა: იტალია - პროფ. სიმონე ორლანდინი (გეორგოფილის აკადემია) და სლოვაკეთი - აკად. სტეფან მიჰინა (სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია). დღის წესრიგში იდგა კავშირის ორი ახალი წევრი ქვეყნის, ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდენტის არჩევა.

აღსანიშნავია, რომ კავშირის წესდებიდან გამომდინარე ყოველ ორ წელიწადში ხდება ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდენტის არჩევა. პრეზიდენტად ერთხმად არჩეული იქნა ევროპის სოფლის მეურნეობის სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - აკადემიკოსი სტეფან მიჰინა, სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

**გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს გურამ ალექსიძეს ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევას და წარმატებებს ვუსურვებთ!**






#### **4.4.11. თანამშრომლობა ბელორუსიის ეროვნული აკადემიის საერთაშორისო ასოციაციასთან**

2020 წლის 6 ოქტომბერს ჩატარდა ბელორუსიის ეროვნული აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის ვიდეოკონფერენცია, მიძღვნილი აგრარული დარგის პრობლემებისადმი. კონფერენციაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით გამოვიდა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე. მან ისაუბრა იმ პროგრამების შესახებ, რომელებსაც აკადემია ანხორციელებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად.

ასევე აღნიშნული იქნა 2012-2019 წლებში ბელორუსთან თანამშრომლობა. კერძოდ, რამოდენიმეჯერ აჭარაში ბელორუსიიდან შემოტანილი იქნა მოცვისა და 20 სახეობის სხვადასხვა კენკროვანი კულტურების ნერგები სანერგე მეურნეობებისათვის, ასევე კარტოფილის თესლი და სხვა. სხდომას ესწრებოდა ბელორუსიის ეროვნულ აკადემიაში შემავალი მემცენარეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც მადლიერება გამოხატა თანამშრომლობისთვის.

შეხვედრაზე ზოგადად აღინიშნა, რომ ასოციაცია აქტიურად იქნება ჩართული აგრარული მიმართულებით მეცნიერულ კვლევებში და მოხდება სიახლეების ურთიერთ გაზიარება.



აკად. ზაურ ფუტკარაძის მონაწილეობა ვიდეო კონფერენციაში.





#### 4.4.12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობა ტექნოლოგიის ონლაინ სემინარში

2020 წლის 6 ნოემბერს ტექნოლოგიის აკადემიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს მხარდაჭერით ჩატარა ონლაინ სემინარი AGRIS-ის შესახებ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო სისტემა AGRIS - ეს არის საინფორმაციო სისტემა, მრავალენოვანი ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს მასშტაბით სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული კვლევის შედეგებსა და ტექნიკური ინფორმაციის მდიდარ კოლექციაზე ხელმისაწვდომობას. სემინარის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ.



AGRIS-ში ჩანაწერების უმეტესობა ინდექსირებულია AGROVOC-ის (FAO-ს მრავალენოვანი თეზაურუსი) გამოყენებით და ხილვადია (ინდექსირდება) Google Scholar-ში. ტექნოლოგიის აკადემიის, როგორც საქართველოში AGRIS-ის ეროვნული ცენტრი, სისტემატურად ათავსებს ქვეყნის სამეცნიერო შრომებს აღნიშნულ სისტემაში. სემინარი მიემდგვნა AGRIS სისტემის არსის, მისი გამოყენებისა და მართვის პრინციპებს და, ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო პროდუქციის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობადობისა და ხილვადობის გაზრდის შესაძლებლობებს. სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრეზენტაცია წარმოადგინეს ინსტიტუტის დირექტორმა ნელი მახვილაძემ და დირექტორის მოადგილემ მარინა რაზმაძემ. სემინარს უძღვებოდა მოდერატორი ნატევა ალიევა. სემინარის მონაწილეებს მიესალმა და პრეზენტაცია ჩატარა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს წარმომადგენელმა, AGROVOC, AGORA და

AGRIS სისტემების ინფორმაციის მართვის ოფიცერმა სტეფანო ანიბალდომ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკად. ელგუჯა შაფაქიძემ და აკად. ალექსანდრე დიდებულებმა, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს აკადემიაში მიმდინარე საგამომცემლო საქმიანობაზე (გამომცემლობა „აგრო“-ს საქმიანობა) და აკადემიის წევრების მიერ გამოცემულ მონოგრაფიებზე, სახელმძღვანელოებზე, პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციებზე ფერმერებისათვის და ა.შ., აგრეთვე ტექნიკურთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.



#### **4.4.13. აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრი აკადემიაში**

2020 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სტუმრად იმყოფებოდა აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი გიორგი სურმანიძე. მინისტრად დანიშვნის შემდეგ ეს მისი პირველი ვიზიტი იყო აკადემიაში. აღსანიშნავია, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყო პირველი ორგანიზაცია, ვისთანაც აკადემიამ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი 2013 წელს და ამის შემდეგ თანამშრომლობა ყველა მიმართულებით სულ უფრო მტკიცდება.

სტუმარს აკადემიის საქმიანობაზე ესაუბრა აკად. გ. ალექსიძე. სტუმარი გაეცნო აკადემიის სტრუქტურას და სამეცნიერო თემატიკას, მის საერთაშორისო თანამშრომლობას მსოფლიო აგრარული მიმართულებების ორგანიზაციებთან და ცენტრებთან, აკადემიის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო ღონისძიებებს, აკადემიის საგამომცემლო საქმიანობას, აჭარაში მოღვაწე აკადემიის ნამდვილი წევრების სამეცნიერო მიმართულებებს და მათ მოღვაწეობას. სტუმარმა დაათვალიერა აკადემიის მუდმივმოქმედი საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, გარემოს დაცვისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი, აკადემიის სამუშაო კაბინეტები და ა.შ.

მინისტრმა გ. სურმანიძემ ისაუბრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის გეგმებზე და სამომავლო პერსპექტივებზე, აკადემიასა და სამინისტროს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებით.

აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ელგუჯა შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტ. ანატოლი გიორგაძე, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტ. მარინე ბარვენაშვილი.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე.



სტუმარი აჭარიდან ეცნობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას (10.11.2020)





**4.4.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიაში ჩატარებული ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**

**4.4.14.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში - ონლაინ სამეცნიერო სემინარი**

*2020 წლის 04 მაისს, პირველად საქართველოში დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სემინარი თემაზე: „სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები“.*

სემინარის ორგანიზებაში და მუშაობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან ჩართული იყვნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების წარმომადგენლები - განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოადგილე, აკადემიკოსი გიორგი გაგომიძე, აკადემიის სტიპენდიანტი, დოქტორი გიორგი ქავთარაძე და განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი ლაშა დოლიძე. ღონისძიებას მხარდაჭერა გაუწია აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა (უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე) და ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (უფროსი დოქტ. ანატოლი გიორგაძე). ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან პროფ. ლარს დროსლერი, დოქტ. მარი-ქეთო უგრეხელიძე, გიორგი გიგაურმა და აკაკი ჩალათაშვილმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე სხვადასხვა პროფილური სექტორის წარმომადგენელმა, კერძოდ:

- **სამეცნიერო და აკადემიური სექტორიდან:** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი (პროფ. გიორგი ქავთარაძე, პროფ. თეიმურაზ კანდელაკი, პროფ. ნატო კობახიძე), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (პროფ. ლარს დროსლერი, დოქტ. ჟანა ეხავია, დოქტ. გიორგი მიქელაძე, დოქტ მარი-ქეთო უგრეხელიძე, ვასილ მეტრეველი),



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (პროფ. გიორგი გაგომიძე, ასოც. პროფ. ნინო ლომიძე, დოქტ. რამაზ ტყემალაძე), სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახური (დოქტ. ნანი გოგინაშვილი, მარგალიტა ბაჩილავა), თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის



უნივერსიტეტი (პროფ. მაგდა დავითაშვილი, მაღლაშვილი, პროფ. თამარ ნადირაძე), ბათუმის ბოტანიკური ბაღი (დოქტ. ზურაბ მანველიძე, დოქტ. დავით ხარაზიშვილი).

• **არასამთავრობო**

**სექტორიდან:** ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისი (აკაკი ჩალათაშვილი), მწვანე

ალტერნატივა (დოქტ. ირაკლი მაჭარაშვილი), სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი-ნაკრესი (დოქტ. კახა ქარცივაძე, სოფიო გოგიბედაშვილი), ახალგაზრდა მეტყევეთა ასოციაცია (გრიგოლ ზურაბიანი), IUCN საქართველოს წარმომადგენლობა (მარიკა ქავთარიშვილი).

- **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან:** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება\_GIZ (ლაშა ძაძამია, გიორგი კოლბინი, დოქტ. პაატა ტორჩინავა), Global Forest Watch (გიგია ალექსიძე).
- **სახელმწიფო უწყებებიდან:** საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების და სატყეო დეპარტამენტი (უფროსი კარლო ამირგულაშვილი, სატყეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი კობა ჩიბურდანიძე, პაპუნა კაპანაძე, ზაზა ნონაშვილი), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი, საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი ნათია ცხოვრებაძე), სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო (უფროსის მოადგილე ჯუმბერ აბულაძე, ტყის მონიტორინგის სამსახურის უფროსი რუსლან დავითაძე).

ღონისძიება გახსნა და სემინარის მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა დღევანდელ პირობებში სატყეო მიმართულებით ამ ტიპის პრაქტიკული სემინარის ჩატარების მნიშვნელობას და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ღონისძიებაზე განხილულ იქნა ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციების არსებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები, კვლევის მიმართულებები, ასევე ცალკეული საუკეთესო კვლევების მაგალითები. ამავდროულად სემინარის მონაწილეებმა იმსჯელეს სისუტეების/გამოწვევების შესახებ, როგორც კვლევის მიმართულებებში (შედარება მოხდა ტყის კვლევის ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის (IUFRO) ტყის კვლევის მიმართულებების კლასიფიკატორთან

<https://www.iufro.org/science/divisions/>), ასევე ადამიანური რესურსების (შესაბამისი პროფილის მკვლევარების) თვალსაზრისით.

სემინარის დასკვნით ნაწილში ინდივიდუალურად ყველა მონაწილის მიერ შევსებული იქნა სპეციალური ელექტრონული კითხვარი, სადაც მათ საშუალება მიეცათ დაეფიქსირებინათ ზეპირად მსჯელობის დროს გამოთქმული მოსაზრებები, ტყის კვლევის მიმართულებების პრიორიტეტულობასთან თუ არსებულ გამოწვევებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით. საბოლოოდ ღონისძიებაზე მსჯელობის და კითხვარების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ტყის კვლევის პრიორიტეტები საქართველოში მომავალი 10 წლის პერიოდისთვის, რაც იყო აღნიშნული ღონისძიების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

სემინარის მონაწილე მკვლევარები ასევე შეთანხმდნენ ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის სისტემური მიდგომის დამკვიდრების აუცილებლობაზე IUFRO-ს საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად და სატყეო კვლევების ერთიანი მონაცემთა ბაზის საჭიროებაზე, რაც იქნება ერთგვარი პლატფორმა მკვლევარებს შორის მუდმივი კოორდინაციისთვის. ამავდროულად სატყეო პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფო უწყებებს მისცემს საშუალებას მიმდინარე სამეცნიერო სიახლეების შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას, რაც მათ დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ონლაინ სემინარის დასასრულს აკად. გივი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ ფორმატის შეხვედრა ძალიან დროული და საჭირო იყო, რადგან ემთხვევა სექტორში მიმდინარე რეფორმირების ეტაპს, რამაც ბუნებრივად უნდა გაზარდოს კვალიფიციური სამეცნიერო მხარდაჭერის საჭიროება მომავალში, რისთვისაც აუცილებელია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და ამ მიმართულებით სისტემური მიდგომების დამკვიდრება.

აღნიშნა აგრეთვე, რომ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება.



**2020 წლის 04 მაისს ონლაინ რეჟიმში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის თემაზე: „სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები“ მნიშვნელობიდან და თემატიკიდან გამომდინარე, ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სატყეო პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებაში.**

სემინარის ორგანიზატორმა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა სემინარში მონაწილეთა გამოსვლები გააერთიანოს ერთ შრომათა კრებულში და მისი ელექტრონული ვერსია და სემინარში მონაწილეობის სერტიფიკატები დაურიგოს ონლაინ რეჟიმში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის ყველა მონაწილეს.





4.4.14.2. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები”.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემია  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია  
“სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები”

## კონფერენციის შრომათა კრებული



თბილისი

20 – 22 ივნისი, 2020 წელი



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF  
AGRICULTURAL SCIENCES

4.4.14.3. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია  
ვეტერინარიაში (08 მაისი, 2020 წელი).

## ვეტერინარი ექიმის სავრთაშორისო დღისადგილი მიმდევნილი

### სამეცნიერო კონფერენცია

„საქართველოს ვეტერინარიის პრესპექტივები  
კლინიკური პრაქტიკის განვითარების და მის შემდგომ  
პროგრესში“.

თბილისი  
2020



# შრომათა კრებული



4.4.14.4. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია  
აბრკინშინერიაში (17 – 18 სექტემბერი, 2020 წელი)



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF  
AGRICULTURAL SCIENCES

*ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული  
კონფერენცია*

**„სადაბრუნებელი აგროსაინჟინერო სექტორის  
სტრატეგიის განხილვისა და განვითარების  
პრობლემების გადაწყვეტილების მიზნით  
და მის შემდეგ პერიოდში“**



**კონფერენციის  
შრომათა კრებული**

17 – 18 სექტემბერი, 2020 წელი,  
თბილისი



#### 4.4.14.5. ინტერნეტ სამეცნიერო კონფერენცია: „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“

სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 25 სექტემბერს,

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო

#### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი:

კონფერენციის გახსნა - გივი ჯაფარიძე - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

მისალმებები - ნათია იორდანიშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

ავთანდილ გელაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო;

1.გლობალური კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ტყის ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობაზე.

მომხსენებლები: გივი ჯაფარიძე - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; რევაზ ჩაგელიშვილი - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნი; გიორგი გაგოშიძე -აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე; ლაშა დოლიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი;

2.კლიმატის ცვლილებების გავლენა ლეპტოსპიროზის გავრცელებაზე გარემოში

მომხსენებლები: თენგიზ ყურაშვილი - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; ლევან ციციშვილი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ეკატერინე სანაია- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი.

3.კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა მწერებზე.

ანგელინა ნიკოლაშვილი- ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი.

4.ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი წყლების მძიმე ლითონებით დაბინძურების შესწავლა და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

მომხსენებლები: ელინა ბაქრაძე -ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო; ლალი შავლიაშვილი -სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

გულჩინა კუჭავა -ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო.

5.კლიმატური პირობების გავლენა საქართველოს საზღვრებში არსებული ხილ-კენკროვანთა გენეტიკური რესურსების ქიმიურ შედგენილობაზე.

მომხსენებლები: ნუგზარ ბალათურია - აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი; მარიამ ლოლაძე -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტისმეცნიერ-თანამშრომელი;

გეგა ბალათურია -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტისმეცნიერ-თანამშრომელი.

6. ნიადაგის ნაყოფიერების მართვა კლიმატურ ცვლილებების ფონზე.

მომხსენებლები: გიორგი ორმოცაძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ზაურ ჩანქსელიანი - აკადემიკოსი, დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის კვლევის სამსახურის უფროსი; გიორგი ღამბაშიძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; გიორგი გვენცაძე - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,

7. აქართველოსთვის დამახასიათებელი ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების კვლევა მაღალი ტემპერატურისა და რადიაციული ზემოქმედების პირობებში.

მომხსენებლები: მიხეილ გოგებაშვილი - ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია;

ნაზი ივანიშვილი- ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია; ელენე სალუქვაძე - ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ.ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; გიორგი ბადრიშვილი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრი;

8. ციტრუსოვანთა ბიომრავალფეროვნება - საქართველოს სუბტროპიკების ფლორისტული


ლანდშაფტის მნიშვნელოვანი კომპონენტი და მათი სელექციის მნიშვნელობა ეკოლოგიისათვის.

ზურაბ ბუკია- სოფლის მეურნეობის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

9. შემაჯამებელი დისკუსია


10. კონფერენციის დეკლარაციის მიღება.





**სამეცნიერო კონფერენცია**  
**კლიმატის ცვლილება და**  
**საქართველოს**  
**აგრობიომრავალფეროვნება**

**შრომათა კრებული**





#### 4.4.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიაში მსოფლიო და საქართველოს ფლორის აღსანიშნავი ღონისძიებები

##### 4.3.15.1. ფუტკრის მსოფლიო დღე



ფუტკარი უდიდესი სარგებლობის მომტანი მწერია, რომელიც ადამიანის საკეთილდღეოდ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში შრომობს. მცენიერთა აზრით, ფუტკარი დედამიწაზე 50-80 მლნ წელზე დიდხანს ცხოვრობს. პირველად ადამიანები ველური ფუტკრის თაფლის შეგროვებით იყვნენ დაკავებულები, მოგვიანებით მათ „მოათვინიერეს“ იგი, რათა ესარგებლათ ფუტკრის მიერ წარმოებული ყველა სასარგებლო პროდუქტით: თაფლით, ცვილით, დინდგელით, ჭეოთი, ფუტკრის რძით, ფუტკრის

შხამით. ადამიანის მიერ დამზადებული სკების გამოსახულება ჩვ. წ. აღ.-მდე 3000 წლით თარიღდება. ასეთი სურათები აღმოჩენილი იყო ძველი ეგვიპტისა და ისრაელის სამეფოს ტერიტორიაზე.

ფუტკარი ბუნებაში ყველაზე უფრო შრომისმოყვარე მწერია, რომელსაც უდიდესი სიკეთე მოაქვს ადამიანების, მცენარეებისა და გარე სამყაროსათვის. ყვავილებს დამამტვერიანებელი ფუტკრები უზრუნველყოფენ მარცვლის, ხილის და სხვა ნაყოფების არა მარტო მაღალ მოსავალს, არამედ შეაქვთ გარკვეული წვლილი მცენარეების მრავალფეროვნებასა და ხარისხში, აგრეთვე სასურსათო უსაფრხოებასა და კვებაში. აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში, ხეხილისა და მეთესლეობის სასურსათო კულტურების სამი მეოთხედი საჭიროებენ დამტვერიანებას, რომელსაც შრომისმოყვარე ფუტკარი ასრულებს.



ფუტკრის მსოფლიო დღეს (World Bee Day) მთელ პლანეტაზე 20 მაისს აღნიშნავენ. იგი დაარსდა იმიტომ, რომ ადამიანთა ყურადღება მიექცია მეფუტკრეობის პრობლემებისადმი და ხაზი გაესვა ფუტკრის მნიშვნელობას მსოფლიო ეკო-ბალანსისა და პლანეტის „ჯანმრთელობის“ შენარჩუნების საქმეში. არსებობს კვლევები, რომლებიც ფუტკრის - მცენარეთა მნიშვნელოვანი დამამტვერიანებლის გადაშენების შემთხვევაში, კატასტროფულ ეკოლოგიურ შედეგებს გვიწინასწარმეტყველებენ. ეს მწერები კი ხშირად ადამიანის უგუნური ქმედებების გამო, როგორცაა ბაღებისა და მინდორ-ველების ქიმიური საშუალებებით შეწამვლა, საშინელ მდგომარეობაში ვარდებიან.



წინადადება ფუტკრის მსოფლიო დღის დაარსებასთან დაკავშირებით გამოითქვა სლოვენის რესპუბლიკისა და მეფუტკრეთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის („აპიმონდია“) მიერ და ერთხმად იქნა დამტკიცებული 2017 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეის

რეზოლუციით (A/RES/72/211). დღე - 20 მაისი შეირჩა ცნობილი ევროპელი მეფუტკრის ანტონ იანშას (1734 – 1773) საპატივსაცემოდ, რომელიც დაიბადა 1734 წლის 20 მაისს სლოვენიაში. მან მეფუტკრეობა თავისი ცხოვრების მთავარ საქმიანობად გაიხადა და ისიც კი მოახერხა, რომ დაწერა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც 1771 წელს გერმანულ ენაზე იქნა გამოშვებული.



ფუტკრის საერთაშორისო დღის დაარსებამ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მეთაფლე ფუტკარს მცენარეთა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვის პროცესში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ფუტკრის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გთავაზობთ სტატიას ქართული ფუტკრის შესახებ, რომლის ავტორებია არიან დოქტ. მ. ფეიქრიშვილი და დოქტ. მ. ბარვენაშვილი.

### ქართული ფუტკარი

**მაია ფეიქრიშვილი** - სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი მეფუტკრეობის მმართველებით, სოფლის მეურნეობის დოქტორი;

**მარინე ბარვენაშვილი** - სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

მსოფლიოში გავრცელებულ ფუტკრის ჯიშებს შორის ქართულ ფუტკარს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. იგი იმდენად განსხვავებული და გამორჩეულია დედამიწაზე გავრცელებული ფუტკრის სხვა დანარჩენი ჯიშებისაგან, რომ მსოფლიო მეფუტკრეების მხრიდან მისდამი ყურადღება დღემდე არ შენელებულა. ქართული ფუტკარი (*Apis mellifera caucasica-Georgia*), კავკასიის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ჩამოყალიბებული რუხი ფუტკრის ჯგუფში შედის. იგი თვინიერი, სუსტი და საშუალო ღალის კარგად ამთვისებელი, ნაყრობისადმი ნაკლებად მიდრეკილი, სამუშაო დღის მაქსიმალურად გამოყენების უნარის მქონეა. ერთსა და იმავე პირობებში ქართული ფუტკარი პროდუქტიულობის უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშის

ფუტკარი, ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით, განსაკუთრებით საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამის მიზეზი კი, ძირითადად, საქართველოს კლიმატური პირობების ცვალებადობაა: ღალიანობის პერიოდში ხშირი ხანგრძლივი გვალვა, ზოგჯერ, პერიოდულად ზედმეტი ნალექები, ხშირი ქარები, მთიან რაიონებში ღამით დაბალი ტემპერატურა და სხვა, ერთის მხრივ საგრძნობლად ამცირებს თაფლოვან მცენარეებში ნექტრის გამოყოფას და ხელს უშლის ფუტკარს მაქსიმალურად აითვისოს ნექტარი. ამასთან, სწორედ ასეთმა კლიმატურმა პირობებმა და თაფლოვან მცენარეთა ნაირსახეობამ გამოუმუშავა მთის რუხ ფუტკარს საკვების ძებნის და ერთი თაფლოვანი მცენარის დაყვავილების შემდეგ მეორეზე სწრაფი გადანაცვლების უნარი. შედარებით მყარ კლიმატურ პირობებში მოხვედრის შემთხვევაში კი ადგილობრივ ფუტკართან შედარებით (40-50%) მეტი თაფლის მოცემის უნარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გაყვანილი ფუტკარი კარგად შეეგუა საფრანგეთის, ინგლისის, ეგვიპტის, იაპონიის, ფინეთის, ავსტრალიის და ამერიკის პირობებს.

ქართული ფუტკარი ზემოაღნიშნულ ყველა სიკეთესთან ერთად ხასიათდება ბიომრავალფეროვნებით და ჯიშის ფარგლებში რამდენიმე პოპულაციას მოიცავს, ესენია: მეგრული, გურული, აფხაზური, ქართლური, იმერულ-რაჭული, ზემო სვანური და კახური. აღნიშნული პოპულაციებიდან ბიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების კომპლექსით ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი ოთხი.

**მეგრული პოპულაცია** - მისი გავრცელების ტრადიციული არეალია სამეგრელო, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები, სადაც გაბატონებულია ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა. მცენარეებიდან აქ გავრცელებულია ბზა, ცაცხვი და წაბლის კორომები. მდინარე ხობისწყლის ზემო წელი ფართოდ არის წარმოდგენილი წიწვოვნებით, ასევე ენდემური მცენარეებით.

მეგრული პოპულაცია გამორჩეულია არამარტო ქართული ფუტკარის სხვა პოპულაციებს შორის, არამედ მსოფლიოში გავრცელებული ფუტკარის სხვა ჯიშებისგან თავისი ძირითადი ექსტერიერული მაჩვენებლით-ხორთუმის სიგრძით (7,1-7,2მმ). აღსანიშნავია, რომ ეს ის ფუტკარია, რომელმაც სხვადასხვა წლებში მსოფლიო გამოფენებზე სამჯერ მოიპოვა ოქროს დიდი მედალი. (გერმანია-ერფურტი-1961წ; რუმინეთი-ბუქარესტი-1965; სსრკ-მოსკოვი-1971წ).

**გურული პოპულაცია** - გავრცელების ტრადიციული არეალია გურია, ჩოხატაურის რაიონი (სოფელი ზემო სურები), სადაც ბატონობს სუბტროპიკული კლიმატი. მცენარეული საფარი ზონების სახითაა გავრცელებული. მთის კალთებზე ტყის შემქმნელი მთავარი ჯიშებია: წიფელი, მუხა, წაბლი, სოჭი, ჭადარი, რცხილა, თხმელა. ასევე გვხვდება: შქერი, წყავი, ბზა, მოცვი, თხილი, წიფელი. 1500 - 1600 მეტრიდან ჭარბობს ნაძვისა და სოჭის ტყეები. ტყის სარტყლის ზემოთ მდელოები და ბუჩქნარებია. გურული პოპულაცია თავისი მორფოლოგიური და ბიოლოგიურ სამეურნეო მაჩვენებლებით ძალიან ჰგავს მეგრულ პოპულაციას. მისი ხორთუმის სიგრძე 7,0-7,1 მმ-ია.

**აფხაზური პოპულაცია** - გავრცელების არეალია აფხაზეთი, გუდაუთის რაიონი. აქ ბატონობს ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა. მრავალფეროვანია მცენარეული სამყარო, რომელიც 2000-მდე სახეობას ითვლის. აქედან 250-ზე მეტი მიეკუთვნება



სამკურნალო მცენარეთა რიცხვს. აფხაზეთში 133 -ზე მეტი ენდემური მცენარეა. გვხვდება ფიჭვი, სოჭი, ქართული მუხა, წაბლი, კავკასიური რცხილა, ჯაგრცხილა, ცაცხვი, იფანი, კოლხური ბზა და სხვ. აფხაზური პოპულაციის ფუტკრის ხორთუმის სიგრძე - 6,8-7,0 მმ-ია. მართალია, ამ მაჩვენებლით იგი რამდენადმე ჩამორჩება მეგრულსა და გურულს, თუმცა აღნიშნული პოპულაციის დედა ფუტკარს უფრო მაღალი კვერცხმდებლობა და შედარებით უკეთესი ზამთარგამძლეობა ახასიათებს.

**ქართლური პოპულაცია** - გავრცელების ტრადიციული არეალია დუშეთის მუნიციპალიტეტი, სადაც ჩამოყალიბებულია ძირითადად 3 ტიპის ჰავა: ზომიერად ნოტიო, ნოტიო და მაღალმთის ნოტიო. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია უროიან-ვაციწვერიანი და ჯაგვკლიანი სტეპური მცენარეულობა, შედარებით მცირე ფართობზე - მუხნარ-რცხილნარი და სხვა ფართოფოთლოვანი ტყეები, ასევე სუბალპური და ალპური მდელოები. მდინარე არაგვის გასწვრივ გვხვდება ტუგაის ტყე, მთის ფიჭვნარები.

ქართლური პოპულაციის ფუტკრის ხორთუმის სიგრძე - 6,5-6,8 მმ ნაკლებია სხვა პოპულაციის იგივე მაჩვენებელზე, თუმცა დედა ფუტკრის სადღეღამისო კვერცხმდებლობით აჭარბებს სხვა დანარჩენებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფუტკრის ყველა პოპულაციას აქვს მსგავსი თაფლის და ცვილის პროდუქტიულობა, რომელთა საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად 18-25 კგ-ის და 4-5 აშენებული ფიჭის ფარგლებშია, მსგავსი აქვთ ასევე ფუტკრის ოჯახის საერთო სიმლიერეც, რომელიც - 15-19- ჩარჩო /ფუტკრის ფარგლებში .მერყეობს.

ბოლოს ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მეტად მნიშვნელოვანია ქართული ფუტკრის, მისი ცალკეული პოპულაციების ხალასად შენარჩუნება, რადგან ამას არამარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. რადგან ჩვენი ფუტკარი, რომელიც საუკეთესო თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების მომცემია, იგი აგრეთვე მცენარეთა უნიკალური დამამტვრიანებელიცაა. იგი ხომ ის ერთადერთია, რომელსაც ნექტარი ყველაზე ღრმა სანექტრეებიდან ამოაქვს.



#### 4.4.15.2. ვეტერინარიის მსოფლიო დღე

### მილოცვა



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ქართველ ვეტერინარ ექიმებს ვეტერინარიის მსოფლიო დღეს.**

**უსურვებს მათ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს და მრავალ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, COVID 19-ის პანდემიის დამარცხებას და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავალს.**



#### 4.4.15.3. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე



2000 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 22 მაისი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

მიზანი გახლდათ - ბიომრავალფეროვნების საკითხების ცოდნის გავრცელება და ამ მიმართულებით ადამიანთა ცნობიერების გაზრდა. ასამბლეამ მოუწოდა სახელმწიფოებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კონვენციაში, ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე დაუყოვნებლივ გამხდარიყვნენ

მისი მომხრეები, ხოლო სახელმწიფოებს, რომლებიც კონვენციის მომხრეები არიან, რაც შეიძლება მალე მოეწერათ ხელი და რატიფიცირება მოეხდინათ კარტახენის ოქმისათვის ბიოუსაფრთხოების შესახებ.

**ბიომრავალფეროვნება** აღწერს სიცოცხლის მრავალფეროვნებას ჩვენს პლანეტაზე. იგი მოიცავს დედამიწაზე არსებულ ცხოველთა და მცენარეთა **8 მლნ. სახეობას**, მათ შორის არსებულ გენეტიკურ მრავალფეროვნებას და იმ ეკოსისტემებს, რომლებშიც ისინი ბინადრობენ.

ბიომრავალფეროვნება რთული, ერთმანეთზე დამოკიდებული სისტემაა, რომელშიც თითოეული წევრი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ქმნის და შეაქვს ზოგჯერ თვალთ უხილავი წვლილი. მრავალფეროვანი საკვები, რომელსაც ჩვენ მივირთმევთ, ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, წყალი, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, ამინდი, რომელიც ჩვენს პლანეტას სიცოცხლისათვის ვარგისს ხდის - ყველაფერი ეს ბუნების დამსახურებაა.

ბიომრავალფეროვნება ხმელეთზე და წყალში სიცოცხლის არსებობის ქვაკუთხეა. იგი ადამიანის ჯანმრთელობის ყველა ასპექტზე მოქმედებს, უზრუნველყოფს მას სუფთა ჰაერითა და წყლით, სურსათით, მეცნიერული ცოდნითა და წყაროებით მედიცინისათვის, დაავადებების მიმართ მდგრადობით და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შერბილებით. ამ ქსელიდან ერთი ელემენტის ამოვარდნა ან უბრალოდ შეცვლაც კი მნიშვნელოვნად მოქმედებს მთლიან სასიცოცხლო სისტემაზე და შესაძლებელია მიგვიყვანოს ნეგატიურ შედეგებამდე. ბუნების გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე შეუძლებელია.

ბიომრავალფეროვნების შესახებ ძირითადი მეცნიერული კონცეფციები ჩამოყალიბდა მხოლოდ XX საუკუნის შუა რიცხვებში და იგი პირდაპირ კავშირშია ბიოლოგიაში კვლევის რაოდენობრივი მეთოდების განვითარებასთან.

**ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი გამოყოფს შვიდ ძირითად ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ბიომრავალფეროვნების დაკარგვას: ბუნებრივი გარემოს დანაკარგი და ფრაგმენტაცია; კონკურენცია ინვაზიური სახეობების მხრიდან; გარემოს დაბინძურება გლობალური კლიმატური ცვლილებები; გაუდაბნობა; მოსახლეობის ზრდა; ბუნებრივი რესურსების უგუნურად გამოყენება. ამ ფაქტორების დიდი ნაწილი ადამიანის საქმიანობის შედეგია.**

ტყეების ჭრა ან ხანძარი და ურბანიზაცია იწვევს ბუნებრივი გარემოს ფრაგმენტაციას და მრავალი სახეობის არსებობას საფრთხეს უქმნის, რომელთაგან დიდი ნაწილი ვერ ეგუება ახალ გარემოებას და ილუპება.

გაუდაბნობა, რომლის მიზეზიც ძირითადად კლიმატური ცვლილებები და ადამიანის საქმიანობაა, ბიომრავალფეროვნების განადგურებას იწვევს. ხეები იჭრება მათი შემდგომი აღდგენის გარეშე, ინტენსიური მოვების შედეგად ღარიბდება მინდვრების მცენარეული საფარი, რაც ნიადაგის ეკონომიკური მწარმოებლობის შემცირებას იწვევს და აიძულებს მის ბინადრებს გადაადგილდნენ სხვა ადგილას.

ბუნებრივი რესურსების გაუაზრებელი ექსპლუატაცია (ისეთი, როგორცაა ტყის ჭრა გათბობის მიზნით ან ნიადაგის გამოყენება საძოვრებად, წყაროს გამოყენება სამეურნეო დანიშნულებით) განაპირობებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვას. საზრდოს ძიებაში ღარიბი მოსახლეობა სრულადაა დამოკიდებული გარემოზე. მოსახლეობის ზრდის კვალდაკვალ იზრდება წნეხი ეკოლოგიურ სისტემაზეც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შესაძლებელი გახდა გარკვეული პროგრესის მიღწევა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით. 1975 წელს ძალაში შევიდა კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით ვაჭრობის შესახებ“ (CITES), რომელიც კრძალავს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი



ჯიშებით ვაჭრობას განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. გარდა ამისა 1993 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა და 160 ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე.

ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს აგრობიომრავალფეროვნება წარმოადგენს.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ის სამუშაოები, რომელიც ტარდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. აქ 2013 წლიდან ფუნქციონირებს „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; მისი მოადგილეები: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, დოქტორი დავით მაღრაძე და სწავლული მდივანი დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი.



ცენტრში გაერთიანებულები არიან მეცნიერები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ ვაზის, ხეხილის, სუბტროპიკული, ბოსტნეული, პარკოსანი კულტურების, საკვები ბალახების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და ფრინველების მოშენების, დაცვისა და შესწავლის ხაზით. ცენტრის მიერ საქართველოში პირველად ოთხ ენაზე (ქართული, ლათინური, ინგლისური, რუსული) იქნა გამოცემული კატალოგი “საქართველოს

აგრობიომრავალფეროვნება”, რომელშიც მოცემულია

ცნობილი მეცნიერების: ნ. კეცხოველის, ს. ჩოლოყაშვილის, მ. რამიშვილის, ვ. ქანთარას, რ. რამიშვილის და სხვათა მეცნიერული კვლევები. აღნიშნული წიგნი გაიგზავნა სამხრეთ კორეაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, რუსეთში, იაპონიაში. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, კორეის სოფლის მეურნეობის განვითარების ადმინისტრირების აგრობიომრავალფეროვნების ეროვნულ ცენტრთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მიმდინარეობს 5 წლიანი ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცენარეთა გენეტიკური რესურსების გაცვლის, მართვისა და კვლევის ორმხრივი თანამშრომლობის სისტემა. მცენარეთა გენეტიკური რესურსების შეგროვების მიზნით, ყოველწლიურად ტარდება ორმხრივი ექსპედიციები - საქართველოში და სამხრეთ კორეაში. აღსანიშნავია, რომ კორეის სოფლის მეურნეობის განვითარების ადმინისტრირების აგრობიომრავალფეროვნების ეროვნულ ცენტრის გენბანკში, ხანგრძლივი შენახვის ვადით ინახება ქართული მარცვლოვნების, ბოსტნეული კულტურების და ვაზის ნიმუშები (მთლიანობაში 2000-ზე მეტი ნიმუში). საქართველოში კი მიმდინარეობს კორეული ბოსტნეული კულტურების გამოცდა. ამავე დროს აქტიური მუშაობა წარმოებს ვაზის



გენეტიკური რესურსების ურთიერთგაცვლის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით საქართველოდან კორეაში უკვე ინტროდუცირებულია ვაზის 120 ჯიში, რომელიც გამოიყენება სამხრეთ კორეის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ. გარდა ამისა საქართველოდან კორეაში მოხდა სუბტროპიკული კულტურის - ლეღვის ინტროდუციაც.

ქართული ხორბლისა და ქერის ჯიშების წარმოშობის შესწავლის საკითხებზე აქტიური ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობს იაპონელ და რუსეთის ვავილოვის გენეტიკური რესურსების ინსტიტუტის მეცნიერებთან. ბოსტნეული კულტურების შესწავლის მიზნით კვლევები წარმოებს დარგის ჰოლანდიელ, ჩეხ და რუს სპეციალისტებთან ერთად.

ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვა; საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების, სასოფლო-სამეურნეო და გარეული ცხოველების და ფრინველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა; მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიების, გაცვლის და მათი დაცვის მიმართულებით შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში მასალის შენახვა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება; საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა; მოპოვებული მასალების დამუშავება და მეცნიერული ანალიზის გაკეთება; შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და საზოგადოების ინფორმირება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოკლე ჩამონათვალია იმ საქმიანობისა, რომელიც აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრში წარმოებს.

როგორც ვხედავთ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ეს ის გლობალური საკითხია, რომელშიც მთელი კაცობრიობა უნდა ჩაერთოს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, თავისი საქმიანობით მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

***ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სსმმ აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის ა. გიორგამის მიერ მომზადებულია სტატია “დაცული ტერიტორიები და ბიომრავალფეროვნება“.***

## **დაცული ტერიტორიები და ბიომრავალფეროვნება**

**ანატოლი გიორგამე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

ინდოეთის მეფე აშოკამ ჩვ.წ.აღ-მდე 252 წელს, გამოსცა კანონი: ცხოველების, თევზებისა და ტყეების დაცვის შესახებ. ეს ითვლება ყველაზე ძველ დოკუმენტად დაცული ტერიტორიების შექმნის შესახებ. ევროპაში ბუნების პირველ დამცველად და მსოფლიოში დაცული ტერიტორიის პირველ შემქმნელად ითვლება რომის იმპერატორი არიანე, რომელიც ბატონობდა ჩვ.წ.აღ-მდე 117-138 წლებში. რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში თავისი ერთ-ერთი მოგზაურობისას, იგი იმდენად აღაშფოთა გაჩეხილმა კედრის ტყეებმა ლიბანში, რომ ბრძანა ასი ქვის ლოდზე გაეკეთებინათ ამოტვიფრული წარწერა გადარჩენილი კედრის ტყის იმპერიის დაცვის ქვეშ გამოცხადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ქვები განლაგებული იქნა ლიბანის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ლიბანის კედრის ტყეების დასაცავად. პირველი ეროვნული პარკი კი შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრეზიდენტმა გრანტმა ამერიკელი ხალხისა და მომავალი თაობების კეთილდღეობისა და

აღმშენებლობის მიზნით, ამერიკის კონგრესის თანხმობის შემდეგ, 1872 წლის 1 მარტს ხელი მოაწერა კანონს: იელოუსტონის ეროვნულ პარკის (Yellowstone National Park) შექმნის შესახებ.

საქართველოში პირველი დაცული ტერიტორია შეიქმნა 1896 წელს, აჯამეთის ნაკრძალის სახით. აღნიშნული ნაკრძალი იყო მიზნობრივი დანიშნულების ნაკრძალი, რომლის შექმნის მიზანი იყო კოლხეთის დაბლობის, იმერეთის დაბლობის მუხის ტყეების დაცვა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. აღნიშნულ ტყეებში მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ხეების მოჭრა იყო დაგეგმილი, მეღვინეობის განვითარებისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, აჯამეთის ნაკრძალის შექმნას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც აღნიშნულ წლებში, სოციალური სიდუხჭირის პირობებში, კაპიტალიზმის სტიქიური განვითარების ფონზე, იმერეთის დაბლობის ტყეები გადარჩენილი იქნა მასობრივი ტოტალური ჭრებისგან.

1912 წელს შეიქმნა საქართველოში პირველი კომპლექსური მნიშვნელობის ლაგოდეხის ნაკრძალი, სადაც აიკრძალა საქონლის ძოვება, ტყის ჭრა და ნადირობა.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 დეკემბრის №1245 დადგენილების საფუძველზე (მსოფლიოში პირველი ეროვნული პარკის შექმნის 100 წლისთავთან დაკავშირებით), საქართველოში შეიქმნა პირველი - საგურამოს ეროვნული პარკი. 1979 წლის 22 მაისის №372 დადგენილებით, საგურამოს ეროვნულ პარკს შეეცვალა სახელი და ეწოდა თბილისის ეროვნული პარკი.

სულ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეიქმნა 14 ნაკრძალი და 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობა. მკაცრად დაცული ტერიტორიები წარმოადგენდა საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2,4 %-ს, ხოლო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები - 0,8 %-ს.

ნაკრძალებში კანონით აკრძალული იყო ნებისმიერი სახის ჩარევა. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი დარღვეული იყო თითქმის ყველა ნაკრძალში. ამასთანავე, ნაკრძალების დაარსებისას არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიდგომა. აქცენტი კეთდებოდა რომელიმე ერთი სახეობის დაცვაზე, ყურადღება არ ექცეოდა სხვა სახეობებსა თუ მთლიანად ეკოსისტემას. არასწორად იყო იდენტიფიცირებული ნაკრძალების ჩამოყალიბების მიზნები, ამასთანავე არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა. აღნიშნულის გამო საქართველოს ნაკრძალების უმეტესობა დაბალი ეკოლოგიური ეფექტურობით ხასიათდებოდა.

1990 წლიდან საქართველოში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემის დაგეგმვა და ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი. თანამედროვე მიდგომა გულისხმობს ბუნების სრულფასოვანი დაცვისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ჰარმონიზებას, რაც პირველ რიგში, სხვადასხვა რეჟიმის დაცული ტერიტორიებით აგებული დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბებაში გამოიხატება.

1990-1991 წლებში დამუშავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რაც საფუძვლად დაედო შემდგომ გეგმარებით სამუშაოებს. 1995 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დაარსდა აღმოსავლეთ კავკასიონის, ივრის, კოლხეთის, აჭარა-



იმერეთის, ცენტრალური კავკასიონისა და ერუშეთის, შავშეთისა და აფხაზეთის დაცული ტერიტორიების გეგმარებითი რეგიონები.

დაცული ტერიტორიების სისტემის ფორმირებისთვის საჭირო რეფორმის სამართლებრივი ბაზის შექმნას ემსახურებოდა 1996 წელს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომლითაც დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც ემყარებოდა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) რეკომენდაციებს.

ამ კანონის მიხედვით, საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემა უნდა აიგოს შემდეგი კატეგორიების გამოყენებით:

დაცული ტერიტორიის სახე	მართვის მექანიზმები	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია და რეკრიაცია	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია	III
აღკვეთილი	შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი და/ან ზღვის აკვატორია	ლანდშაფტების და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და რეკრიაცია	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება	VI

**სახელმწიფო ნაკრძალი** - (კატეგორია). მის მიზანს წარმოადგენს ბუნების, ბუნებრივი რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება. ნაკრძალში დაშვებულია მხოლოდ სამეცნიერო კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა.

**ეროვნული პარკი** - (II კატეგორია). ეროვნული პარკი არსდება ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეულ ტერიტორიაზე, სადაც წარმოადგენილია უნიკალური, იშვიათიან მოწყვლადი ერთი ან რამდენიმე ეკოსისტემა და ველურ ცოცხალ ორგანიზმთა სახეობები. ეროვნული პარკი მოიცავს რამოდენიმე ზონას. ეს ზონებია:

**ბუნების მკაცრი დაცვის ზონა** - სადაც წარმოებს ბუნების დაცვა, სამეცნიერო კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობები.

**ბუნების მართვადი დაცვის ზონა** - აქ, სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის გარდა, დაშვებულია აგრეთვე ტურიზმიც.

**ვიზიტორთა ზონა** - სადაც დაშვებულია სამეცნიერო კვლევა, ტურიზმი, დასვენება და საგანმანათლებლო საქმიანობა.

**აღდგენის ზონა** - ეს ზონა ეწყობა დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების აღდგენის მიზნით. სხვა საქმიანობა აქ დაშვებული არ არის.

**ისტორიულ კულტურული ზონა** - ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ კულტურული და არქიტექტურული ძეგლების დაცვის, მოვლა პატრონობისა და აღდგენის მიზნით. დაშვებულია რეკრეაცია, ტურიზმი, საგანმანათლებლო საქმიანობები.

**ადმინისტრაციული ზონა** - ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრაციისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობის განსათავსებლად.

**ტრადიციული გამოყენების ზონა** - განკუთვნილია ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისთვის. აქ შეიძლება დაშვებული იყოს თიბვა, ძოვება, შემის დამზადება და სხვა, მაგრამ აკრძალულია ხვნა-თესვა, ნაგებობების აშენება.

**ბუნების ძეგლი** - (III კატეგორია) ბუნების ძეგლი არსდება მცირე ფართობის უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების ან ბუნების იშვიათი წარმონაქმნების მაგალითად, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარების, არაცოცხალი ბუნების წარმონაქმნების და ა.ს. დასაცავად.

**აღკვეთილი** - (IV კატეგორია) აღკვეთილი არსდება ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობებისა და ეკოსისტემების დასაცავად. აღკვეთილში დაშვებულია განახლებადი ბუნებრივი რესურსების შეზღუდული გამოყენება.

**დაცული ლანდშაფტი და/ან ზღვის აკვატორია** - (V კატეგორია) - არსდება ბუნებრივი და კულტურული მშვენიერებით გამორჩეული ლანდშაფტების დასაცავად; აქ დაშვებულია ტურისტული და ტრადიციული საქმიანობა.

**მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია** - (VI კატეგორია) - იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის.

ასევე შესაძლებელია შეიქმნას ბიოსფერული რეზერვატი და მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი. ორივე კატეგორიის დამტკიცება UNESCO-ს აღიარების შემდეგ ხდება. დაცული ტერიტორიის ეს სისტემები შეიძლება წარმოადგენდნენ სხვადასხვა დაცული ტერიტორიების კრებულს, რომელსაც ენიჭებათ მსოფლიო მნიშვნელობის სტატუსი. კანონით გათვალისწინებულია, აგრეთვე, გარკვეული ტერიტორიების საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიების ნუსხაში ჩართვის შესაძლებლობასაც.

1995 წელს ბორჯომის ნაკრძალის ბაზაზე დაარსდა საერთაშორისო კრიტერიუმების შესატყვისი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ეს იყო დაცული ტერიტორიების სისტემის რეფორმის პირველი კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც გერმანიის მთავრობისა და KfW-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

1996 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა აღკვეთილები.

1997 წელს კოლხეთის წყალჭარბი ტერიტორიები შეტანილი იქნა საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიების ნუსხაში (ცენტრალური კოლხეთი - 33 700 ჰა და ჭაობი ისპანი 2 - 550 ჰა). ხოლო 1999 წელს კანონით „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ დაარსდა კოლხეთის დაცული ტერიტორიები (კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის აღკვეთილი, კოლხეთისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები). ამჟამად მსოფლიო ბანკისა და GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კოლხეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება.

2003 წელს „თუშეთის, ბაწარა-ბაზანურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მნიშვნელოვნად გაფართოვდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნაკრძალები, ამასთანავე, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები.

*საქართველოს დაცული ტერიტორიები*

<b>№</b>	<b>ნაკრძალები</b>	<b>ფართობი (ჰა.)</b>	<b>დაარსების წელი</b>
1.	ლაგოდეხი <sup>1</sup>	22358	1912
2.	თუშეთი <sup>2</sup>	10694	1980
3.	ბაზანური	770	1960
4.	ბაწარა	3042	1935
5.	ვაშლოვანი	8480	1935
6.	ალგეთი	6400	1965
7.	ლიახვი	6388	1977
8.	საგურამო	5241	1946
9.	მარიამჯვარი	1040	1935
10.	ყაზბეგი	8707	1976
11.	აჯამეთი	4848	1935
12.	სათაფლია	300	1935
13.	ბორჯომი	17948	1935
14.	ბიჭვინთა	1461	1935
15.	მიუსერა	2300	1934
16.	რიწა	17200	1930
17.	ფსხუ	27333	1978
18.	გუმისთა	13400	1976
19.	სკურჩა	85	1971
20.	კინტრიში	13893	1959
21.	ქობულეთი	331,25	1999
<b>№</b>	<b>ეროვნული პარკები</b>	<b>ფართობები (ჰა.)</b>	<b>დაარსების წელი</b>
1.	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	57 964,44	1995
2.	კოლხეთის ეროვნული პარკი	44313	1999
3.	თუშეთის ეროვნული პარკი	83453,04	2003
4.	ვაშლოვანის ეროვნული პარკი	25114	2003
<b>№</b>	<b>ბუნების ძეგლები</b>	<b>ფართობები (ჰა.)</b>	<b>დაარსების წელი</b>
1.	ალაზნის ჭალის ბუნების	138	2003

	ძეგლი		
2.	ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი	0,5	2003
3.	არწივის ხეობის ბუნების ძეგლი		2003
<b>№</b>	<b>აღკვეთილები</b>	<b>ფართობები (ჰა.)</b>	<b>დაარსების წელი<sup>3</sup></b>
1.	გარდაბანი	3315	1957
2.	ყორული	2068	195
3.	იორი	1336	1965
4.	ჭაჭუნა	5200	1965
5.	კაცობური	295	1964
6.	ქცია-ტაბაწყური		1995
7.	ნემვი		1995
8.	თეთრობი		1995
9.	ქობულეთი	438,7	1999
10.	ილტო	5273	2003
11.	ლაგოდები	1998	2003
<b>№</b>	<b>დაცული ლანდშაფტი</b>	<b>ფართობი (ჰა.)</b>	<b>დაარსების წელი</b>
1.	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	27903	2003

### სახეობები და ჰაბიტატები.

სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია კომპლექსური საკითხია. თუმცა, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების ისაღწევად დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების, ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზების დახვეწის, თუ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების პარალელურად აუცილებელია ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც გარკვეული სახეობების (ან ჯგუფების), განსაზღვრული ტიპის ჰაბიტატების, ან უშუალოდ კონკრეტული ადგილების კონსერვაციაზეა ორიენტირებული. ამის აუცილებლობა ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ მრავალი სახეობა და ჰაბიტატი დღეისათვის იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ მათი სტატუსის გაუმჯობესება მხოლოდ სპეციფიკური კონსერვაციული ქმედებებით იქნება შესაძლებელი.

ერთის მხრივ საბჭოთა პერიოდის ბუნებისდაცვითი მექანიზმების დაბალეფექტურობამ და მეორეს მხრივ, ბოლო დროის ეკონომიკურმა კრიზისმა და კანონების არაქმედითუნარიანობამ ზემოქმედება მოახდინა ზოგადად მთელ ბიომრავალფეროვნებაზე. ამის გამო, აქამდე ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად რჩება იმის გარკვევა, თუ რა ბიომრავალფეროვნებას ფლობს საქართველო დღესდღეობით და რა მდგომარეობაშია სხვადასხვა სახეობები. მეტ-ნაკლებად ამომწურავი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია პრიორიტეტების ადექვატური განსაზღვრა და კონსერვაციული ქმედებების შემდგომი დაგეგმვა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი წითელი ნუსხა ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია

1982 წელს გამოცემულ წითელ წიგნთან შედარებით, ის სერიოზულ რევიზიას მოითხოვს. შესაბამისად (როგორც ფლორის, ისე ფაუნის თვალსაზრისით) საჭიროა ახალი წითელი ნუსხის შექმნა, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) საფრთხის კატეგორიებზე, არსებულ ინფორმაციასა და სპეციალური გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს.

მეცხოველეობა და მიწათმოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ნეოლითში დამკვიდრდა. ადამიანის ხანგრძლივმა სამეურნეო საქმიანობამ საქართველოს ცოცხალ ბუნებას სახე უცვალა: დიდ ფართობზე გაჩეხილია ტყეები (მათ ადგილას განვითარებულია მეორადი მცენარეულობა ან ნატყევიარი მიწები გადაქცეულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებად), ამოშრობილია ჭაობები. გადაშენების ან სერიოზული გენეტიკური ეროზიის საფრთხე ემუქრება მცენარეების ასობით სახეობას, მათ შორის ენდემურ-რელიქტურ და საკვანძო სახეობებს, მცირერიცხოვან პოპულაციებს. სრული დეგრადაციის საფრთხის წინაშე იშვიათი მცენარეული თანასაზოგადოებები, პირველადი და გლობალური მნიშვნელობის მქონე ბიოტოპები.

ჰაბიტატების განადგურების, განსაკუთრებით კი ტყეების უსისტემო ჩეხვის, ცხოველთა სამიგრაციო გზების მოშლისა და უშუალო მოპოვების გამო, განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ტყის ეკოსისტემაში მცხოვრები სახეობები და სანადირო სახეობები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან მსხვილი ძუძუმწოვრები, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური თავისებურებების გამო (დაბალი ნაყოფიერება, ბუნებრივად დაბალი სიმჭიდროვე, განვითარების ხანგრძლივი ციკლი, და ა. შ.), ადვილად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან. შექმნილი სიტუაციის გამო, ზოგიერთი სახეობა, მათ შორის ჩლიქოსნების უმეტესობა, გადაშენების პირას აღმოჩნდა. ამ კატეგორიის სახეობები სასწრაფო და სპეციფიკურ ღონისძიებებს საჭიროებენ, მათი შენარჩუნება საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით უნდა მოხდეს. ეს განსაკუთრებით მცირერიცხოვანი პოპულაციების, ან ერთეული ინდივიდების სახით შემორჩენილ ისეთ სახეობებს შეეხება, როგორცაა ზოლებიანი აფთარი და ჯიქი. ასევე გადაუდებელი ღონისძიებებია საჭირო იმ სახეობების აღსადგენად, რომლებიც უახლოეს წარსულში გადაშენდნენ, მაგრამ მათი აღდგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამ კატეგორიას, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება ჯეირანი, ანუ ქურციკი.

წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია და ნადირობა საფრთხეს უქმნის წყალმცურავ ფრინველებს, რომელთაგან მრავალი იშვიათია არა მარტო ქვეყნის, არამედ გლობალურ დონეზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზღვის ძუძუმწოვრები, რომელთა მდგომარეობაც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ძირითადად დაბინძურებისა და გადაჭარბებული თევზჭერის გამო მეტად მძიმეა.

ბუნებრივი ეკოსისტემების დეგრადაცია ყველაზე მძიმედ აისახა ეკოლოგიური პირამიდის წვეროში მყოფ სახეობებზე, რომლებიც ასევე შეიძლება წარმოადგენდნენ ე.წ. ქვაკუთხედ სახეობებს და, თავის მხრივ, მათი შემცირება, როგორც წესი, მთელი ეკოსისტემის სტრუქტურის რღვევასა და მდგრადობის შემცირებას იწვევს. ამიტომ ამ სახეობების კონსერვაცია პრაქტიკულად მთელი ეკოსისტემის მდგომარეობის გაუმჯობესებას ნიშნავს. ქვაკუთხედ სახეობებს საქართველოს ეკოსისტემებში, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მგელი და, აგრეთვე, მტაცებელი ფრინველები

(გარდა ამისა, მტაცებელ ფრინველთა ზოგიერთი სახეობა მეტად იშვიათია და დამატებით ყურადღებას საჭიროებს).

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის (1996) მიღებამდე საქართველოში უკონტროლოდ ხორციელდებოდა უცხო სახეობების მიზანმიმართული ინტროდუქცია. ძირითადად შემოყვანილი იქნა თევზის სამეურნეო სახეობები და ბეწვის მომცემი, ან სანადირო ძუძუმწოვრები. მრავალი მათგანი საკმაოდ ინვაზიური აღმოჩნდა და ფართოდ გავცელდა. უცხო სახეობებმა გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ ეკოსისტემებსა და თანასაზოგადოებებზე, თუმცა მისი მასშტაბები არ შეფასებულა. კანონმდებლობა დღესდღეობით არ არეგულირებს მცენარეთა უცხო სახეობების ინტროდუქციებას გარემოში.

სახეობათა შენარჩუნება/აღდგენისთვის საჭიროა სხვადასხვა კონსერვაციული მიდგომების სინქრონიზაცია. In-situ კონსერვაციის თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული საბჭოთა პერიოდშივე, ძირითადად სახელმწიფო ნაკრძალების დაარსების სახით. Ex-situ კონსერვაცია კი ძირითადად ფლორაზე იყო ორიენტირებული, რასაც კარგად ორგანიზებული ბოტანიკური ბაღები მოწმობს. საქართველოს ფაუნა კი ამ მხრივ ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი.

საქართველოში არსებობს რამდენიმე ბოტანიკური ბაღი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი თბილისში, მისი ფილიალი ქუთაისში, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღი. კერძო ბოტანიკური ბაღები საქართველოში არ არის.

ცხოველთა ex-situ კონსერვაციის ცენტრებად საქართველოში პირობითად მხოლოდ თბილისის ზოოპარკსა და ბათუმის დელფინარიუმს თუ დავსახელებთ. თუმცა არცერთ მათგანში არ განხორციელებულა კონსერვაციული საქმიანობა: არ ხდებოდა ადგილობრივი სახეობების გამრავლება ტყვეობაში არსებული პოპულაციის შენარჩუნების, ან ბუნებრივი პოპულაციების აღდგენის მიზნით. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, როცა ზოგიერთი სახეობის პოპულაცია იმდენად მცირერიცხოვანია, რომ მათი შენარჩუნება ან აღდგენა შეუძლებელი იქნება მხოლოდ in-situ ღონისძიებების გატარებით, აუცილებელია კოორდინირებული ex-situ ქმედებების ჩატარებაც. შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ex-situ ღონისძიებების თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე ჩატარებასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ერთიანი ex-situ კონსერვაციის ცენტრების დაარსებას.

სპორტული და სატროფეო ნადირობის გარდა, მიმდინარეობს ცხოველური რესურსების მოპოვება შიდა თუ საერთაშორისო ვაჭრობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით, რაც საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს პოპულაციებს. სავარაუდოა, რომ მისი მასშტაბები საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით, კიდევ უფრო გაიზრდება ეკონომიკური პირობების გათვალისწინებითა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ახალი კონტაქტების დამყარების ფონზე. არასანადირო, ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე სახეობების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული მოპოვების ქვოტების განსაზღვრა.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების პარალელურად, საქართველოს ბუნებრივი თუ ნახევრად ბუნებრივი მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვა საჭიროა



განხორციელდეს მათი მდგრადი მართვის გზით. ამ მხრივ აუცილებელია ბიომრავალფეროვნების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილების იდენტიფიცირება და, ასევე, ცხოველთა სამიგრაციო დერეფნების შეფასება, რათა შემდგომში მოხდეს თითოეული მათგანის მდგრადი მენეჯმენტისა და გამოყენების ინტეგრირება მართვის ადგილობრივ სისტემებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სურამის ქედი, როგორც დიდი და მცირე კავკასიონის ქედების შემაერთებელი ბიოლოგიური დერეფანი და გომბორის ქედი, რომელიც წინასწარი მონაცემებით უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი დერეფანია დიდ კავკასიონსა და ივრის ზეგანს შორის.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მცენარეული რესურსების გამოყენება. მიმდინარეობს საკვები, სამკურნალო, დეკორატიული და სხვა სახეობების ინტენსიური მოპოვება. ჭარბი გამოყენების შედეგად მეტად სავალალო მდგომარეობაშია საქართველოს სამოვრები. ძლიერი ეროზიული პროცესები, ზამთრის სამოვრებზე კი, ასევე, გაუდაბნობა, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს როგორც ბიომრავალფეროვნებას, ისე ადგილობრივ სოფლის მეურნეობას. ამის გამო, სამოვრების მდგრადი გამოყენება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების, ისე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კუთხით.

#### **აგრობიომრავალფეროვნება.**

საქართველო უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც აგრარული ქვეყანა. ის კულტურულ მცენარეთა წარმოშობის წინააზიური ცენტრის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლება. სოფლის მეურნეობის განვითარება აქ ჯერ კიდევ მე-6-5 ათასწლეულში დაიწყო ჩვენს ერამდე, როდესაც ქართულმა ტომებმა ძირითადი საკვები მცენარეების გაკულტურება და ცხოველების მოშინაურება დაიწყეს.

საქართველოს კულტურული ფლორა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული:

- ა) ნიადაგობრივ-კლიმატური მრავალფეროვნება (საქართველოში 23 ნიადაგობრივ-კლიმატური ზონაა);
- ბ) გეოგრაფიული მდებარეობა;
- გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია.

საქართველოში თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურაა გავრცელებული - მარცვლოვნები, ხეხილი, ბოსტნეული კულტურები, ვაზი. მარტო მარცვლოვნებიდან საქართველოში 100-მდე ოჯახი და 350 ადგილობრივი სახეობაა აღრიცხული. ბევრია ენდემური სახეობა. მაგალითად, საქართველოში გავრცელებული ხორბლის 15 სახეობიდან 5 ენდემურია. მინდვრის კულტურებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, ღომი, ქვრიმა, ფეტვი და სხვა. ასევე პარკოსნები - ოსპი, ცერცვი, მუხუდო, ძაძა, ცერცველა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სიმინდის, ლობიოს, სოიოს და სხვა ინტროდუცირებული სახეობები ფართოდ გავრცელდნენ საქართველოში და მრავალი ადგილობრივი ფორმა და ჯიში წარმოშვეს, რომლებიც შესაძლებელია უკვე ადგილობრივ აგრობიომრავალფეროვნებას მივაკუთვნოთ. მაგალითად, ლობიოს 50-მდე ქართული ჯიშია ცნობილია.

ხეხილოვანი კულტურებიდან გავრცელებულია როგორც კონტინენტური მცენარეები, ასევე ციტრუსებიც. აქ თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი მცენარეების

100-მდე სახეობაა გავრცელებული. იშვიათი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ალუბლისა და კომშის ჯიშები.

საქართველო ვაზის სამშობლოა. ლიტერატურულ წყაროებში 500-მდე ადგილობრივი ჯიშია აღწერილი, რომელთაგანაც უმრავლესობა გადაშენების პირას იყო, მაგრამ დღეისათვის 450 -მდე ჯიში აღდგენილია ჯილაურას ექსპერიმენტულ მეურნეობაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრს ეკუთვნის .

ასევე მრავალფეროვანია ბოსტნეული, ეთერ-ზეთოვანი და არომატული მცენარეები, რომ არაფერი ვთქვათ სამედიცინო მცენარეებსა და კულტურული ფლორის ველურ წინაპრებზე.

რაც შეეხება მეცხოველეობას, საქართველოში XX საუკუნის დასაწყისამდე ხალხური სელექციით მიღებული შინაური ცხოველების ადგილობრივი ჯიშები იყო გავრცელებული, რომლებიც კარგად იყვნენ შეგუებული აქაურ პირობებს. მათგან აღსანიშნავია მეგრული ძროხა, ხევსურული ძროხა, კავკასიური კამეჩი, იმერული ცხვარი და სხვა. უძველესი დროიდან ცნობილია ღორის ადგილობრივი პოპულაციები, რომლებიც კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე გავრცელებული გარეული ღორის მოშინაურებით და ხალხური სელექციით შეიქმნა. მათი პროდუქტიულობა კულტურულ ჯიშებთან შედარებით დაბალია, მაგრამ სამაგიეროდ ისინი მწირი კვების პირობებშიც კი კარგად ვითარდებიან და მრავლდებიან.

ამჟამად საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება მძიმე მდგომარეობაშია. ბევრი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა დაიკარგა ან დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. გენური ეროზიის პროცესი საკმაოდ სწრაფად მიდის და მის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების გატარება საჭირო სახელმწიფოებრივ დონეზე.

ცენტრალიზებული ფინანსირების შეწყვეტის შემდეგ თანდათანობით მუშაობა შეწყვიტა თითქმის ყველა სასელექციო სადგურმა, ფერმამ თუ სათესლე მეურნეობამ. მათი ქონება მთლიანად გაიფლანგა ან გაპარტახდა. საქართველოს სოფლის მეურნეობა მთლიანად იმპორტზე დამოკიდებული აღმოჩნდა. ჰუმანიტარული დახმარებითა და სახელმწიფო კრედიტებით შემოტანილმა დაბალი ხარისხის (ხშირ შემთხვევაში ჰიბრიდულმა) სათესლე მასალამ თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

იგივე ბედი ეწია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექციებსა და საცდელ სადგურებს, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების ნიმუშები. დაფინანსების გარეშე დარჩენილმა ინსტიტუტებმა ვერ შესძლეს კოლექციების, სასელექციო სადგურებისა და საცდელი ნაკვეთების მოვლა და შენარჩუნება. განადგურდა თესლოვანი კულტურების უნიკალური კოლექციები, გაპარტახდა ხეხილისა და ვაზის ცოცხალი კოლექციები. ბევრი ჯიში თუ სახეობა სამუდამოდ დაიკარგა, ან მხოლოდ უცხოეთის გენბანკებშია შემორჩენილი. არ არსებობს სახსრები ჯერ კიდევ შემორჩენილი ნიმუშების მოსაძიებლად და შესანარჩუნებლად. ასეთ პირობებში თანდთან იკარგება: უნიკალური სასელექციო მასალა; ადგილობრივ გარემო-პირობებს შეგუებული ჯიშები და სახეობები; უნიკალური პროდუქტები, რომელიც მათგან მიიღება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი; აგრარული სექტორისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების მრავალფეროვნება.

## ნადირობა და მეთევზეობა

ნადირობა და თევზჭერა წარმოადგენს სახეობათა მრავალფეროვნების შემცირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სახეობების გადაშენების 23% სწორედ ამ მიზეზით მოხდა. სანადირო სახეობების უმეტესობას ჩვეულებრივ აქვთ გამრავლების ნელი ტემპი და ამიტომ მათი რიცხოვნობის აღდგენა მეტად რთულია (განსაკუთრებით ეს ეხება მსხვილ ძუძუმწოვრებს, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ ნადირობის ყველაზე პოპულარულ ობიექტებს). ამის გამო ისინი ეკოსისტემის ყველაზე მოწყვლად ნაწილს წარმოადგენენ. მეორეს მხრივ, ნადირობა შეიძლება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სწორი სტრატეგიის, მდგრადი მართვისა და შემოსავლების სწორად გამოყენების შემთხვევაში, ნადირობამ შეიძლება ხელიც კი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას.

ნადირობა ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში და ძირითადად სპორტულ-გასართობ ხასიათს ატარებდა. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონი, სადაც ნადირობა დღემდე ერთ-ერთი საარსებო წყაროა და ამასთან საკულტო მნიშვნელობაც აქვს (მაგ. ჯიხვზე ნადირობა). არასწორმა და არაეფექტურმა მართვამ გასულ საუკუნეში სანადირო სახეობების უმრავლესობის რიცხოვნობის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი საერთოდ ამოწყდა საქართველოს ტერიტორიაზე (მაგ. ჯეირანი), სხვები კი ძალზე მცირე რაოდენობით შემორჩა (ირემი, ნიამორი ა.შ.). ე.წ. პრემიალური სისტემის<sup>8</sup> შედეგად, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაუქმდა, ზოგიერთი მტაცებლის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ხუთი სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობა არსებობდა. ისინი ამჟამად გადაკეთებულია სახელმწიფო აღკვეთილებად. გარდა ამისა, არსებობდა ე.წ. მიწერილი სამონადირეო მეურნეობები, რომელთა ძირითადი ნაწილი ეკუთვნოდა მონადირეთა კავშირს. 1990 წლამდე ამ ორგანიზაციაზე მიწერილი იყო 54 სამონადირეო მეურნეობა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 2 644 667 ჰექტარს. ამას გარდა, მიწერილი სამონადირეო მეურნეობები გააჩნდათ სამხედრო მონკავშირს და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს (მაგ. წყალმშენს). საბჭოთა პერიოდში ნადირობაზე კონტროლს აწარმოებდა ნადირობის სახელმწიფო ინსპექცია.

საქართველოში თევზის რეწვისთვის ტრადიციულად გამოიყენება ისეთი შიდა თევზსამეურნეო წყალსატევები, რომელთა თევზის სარეწი სახეობების მარაგები იძლევა ამის საშუალებას, მიუხედავად იმისა, ეს მარაგები ბუნებრივია, თუ ხელოვნური აღწარმოების გზით არის შექმნილი. ასეთ წყალსატევებს განეკუთვნება: მდინარეები მტკვარი და ალაზანი, ჟინვალის, ალგეთის, ტყიბულის, თბილისის, სიონის, წალკის, ნადარბაზევის, ლიპის და ენერგეტიკული თუ სამელიორაციო დანიშნულების ზოგიერთი სხვა წყალსაცავები, აგრეთვე, საღამოს, კარწახის, ფარავნის, ტაბაწყურის, ჯანდარის ტბები.

აღნიშნული წყალსატევების უმეტესობის ბაზაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, შექმნილია თევზის მეურნეობები და ფუნქციონირებენ თევზსამენი საამქროები. ამ წყალსატევებზე თევზის რეწვა რეგულირდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უშუალო მონაწილეობით.

თევზის მეურნეობები მოწყობილია აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების შემდეგ შექმნილ შიგა წყალსატევებზე, ასეთებია: საკალმახე მეურნეობები, თევზსაშენი მეურნეობები და სატბორე მეურნეობები. საქართველოს შიგა წყალსატევებში სარეწაო მნიშვნელობა აქვს თევზის შემდეგ სახეობებს: კარჩხანა, კავკასიური ქაშაპი, ჩვეულებრივი ხრამული, მტკვრის წვერა, ჭერეხი, კობრი, თეთრი და ჭრელი სქელშუბლა, თეთრი ამური, მცირე ვიშა, თრისა (შამაია), ევროპული ჭაფალა.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუარესდა ქვეყნის წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობა. მნიშვნელოვნად შეაცირდა მცირეფასი სარეწაო სახეობების მარაგი, გადაშენების საშიშროების წინაშე დადგა ატლანტური ზუთხის პოპულაცია, შავი ზღვის ორაგული და სხვა.

რაც შეეხება სარეწაო დანიშნულების თევზებს, მათი მარაგები, წყალსატევების პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით, ბევრად დაბალი. ისეთ უნიკალურ წყალსატევებში, როგორცაა ჯანდარის, ტაბაწყურის, ნადარბაზევის, ფარავნის, წალკისა და სხვა წყალსატევები, სარეწაო თევზის მარაგის მკვეთრი ზრდა ინტენსიური ხელოვნური აღწარმოების გარეშე შეუძლებელია.

### **საქართველოს ცხოველთა სამყარო უხერხემლოები.**

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები განაპირობებენ უხერხემლოთა ფაუნის სახეობრივ მრავალფეროვნებას. მათ შორის მრავალი ენდემია. უხერხემლოთა სხვადასხვა ჯგუფები განსხვავდებიან შესწავლის სისრულის მიხედვით, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ტაქსონი საკმაოდ კარგადაა გამოკვლეული. ეს პირველ რიგში ითქმის პეპლებზე (Lepidoptera: Geometridae), ხოჭოებზე (Coleoptera: Curculionidae, Carabidae), ბრტყელ ჭიებზე (Nemathelminthes); სიფრიფანაფრთიანებზე (Hymenoptera), თანაბარფრთიანებზე (Hemiptera Psylloidea).

ენდემური და საფრთხეში მყოფი უხერხემლოთა სახეობების სიმრავლით გამოირჩევა საქართველოს შემდეგი რაიონები: დიდი კავკასიონის მაღალმთიანეთი, კოლხეთი, ბორჯომის ხეობა, ივრის ზეგანი, მესხეთის ქედის სამხრეთ მთისწინები.

### **ხერხემლიანები**

#### **თევზები.**

საქართველოს მტკნარ წყლებში გავრცელებულია თევზების 80-ზე მეტი სახეობა, რომელთა შორის ბევრი ენდემურია. მაგალითად, მტკვრის აუზში გავრცელებული 12 სახეობის თევზიდან, 9 მტკვრისა და მისი შენაკადების ენდემს წარმოადგენს. მათ შორის აღსანიშნავია მტკვრის წვერა (*Barbus lacer a*), მურწა (*Barbus mursa*), ჭანარი (*Barbus capito*) და სხვ. შავი ზღვის აუზის თევზებიდან 6 სახეობა ენდემს წარმოადგენს; გარდა ამისა, აქ გავრცელებულია ზუთხისებრთა ოჯახის 5 სახეობა, რომელთა შორისაა გაქრობის პირას მყოფი ატლანტური ზუთხი (*Acipenser sturio*). გარდა ადგილობრივი სახეობებისა, საქართველოში გვხვდება 9 ინტროდუცირებული სახეობა, მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კარჩხანა (*Carasius carasius*).

### **ამფიბიები.**

საქართველოში გავრცელებულია ამფიბიების 12 სახეობა. მათგან აღსანიშნავია კავკასიური სალამანდრა (*Mertensialla caucasica*), სირიული მყვარი (*Pelobates syriacus*), კავკასიური ჯვრიანა (*Pelodytes causicus*) და სხვ.

ამფიბიათა სახეობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ჰაბიტატს წარმოადგენს მთიანი კოლხეთის ტყეები. გარდაბნის ველი მნიშვნელოვანია, როგორც სირიული მყვარის არეალი.

### **ქვეწარმავლები.**

საქართველოში გავრცელებულია ქვეწარმავლების 50-ზე მეტი სახეობა. მათ შორისაა: 3 სახეობის კუ; 27 სახეობის ხვლიკი და 23 სახეობის გველი. ამათგან *Pelias*-ს გვარის წარმომადგენელი სამი სახეობის გველი და *Archaeolacerta*-ს წარმომადგენელი 12 სახეობის ხვლიკი კავკასიის ენდემია. კავკასიის ენდემებს წარმოადგენენ აგრეთვე ამიერკავკასიური მცურავი (*Elaphe hohenackeri*), კავკასიური გველგესლა (*Pelias kaznakovi*) და სხვ. მრავალი სახეობა მოწყვლადია მსოფლიო არეალის ფარგლებში.

### **ფრინველები.**

საქართველოში გვხვდება ფრინველთა 300-ზე მეტი სახეობა. მიგრირებადი სახეობებისთვის მნიშვნელოვანი დასასვენებელი და დასაზამთრებელი ადგილებია კოლხეთის დაბლობი (სანაპირო ზოლისა და პალიასტომის ტბის ჩათვლით) და ჯავახეთის ზეგნის ტბების სისტემა. საქართველოში გავრცელებული ფრინველებიდან 3 კავკასიის ენდემს წარმოადგენს: კავკასიური როჭო (*Tetrao mlোকosiewiczzi*), კავკასიური შურთხი (*Tetraogalus caspius*) და კავკასიური ყარანა (*Phylloscopus lorenzi*).

## **ძუძუმწოვრები**

### **წვრილი ძუძუმწოვრები.**

საქართველოში გავრცელებულია წვრილი ძუძუმწოვრების ოთხი რიგის 79 სახეობა: მწერიჭამიები - 10 სახეობა, ხელფრთიანები - 29 სახეობა, მღრღნელები - 39 სახეობა და კურდღლისნაირები - 1 სახეობა. წვრილი ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია კავკასიის ენდემური სახეობები, როგორცაა: *Sorex caucasica*, *Sorex volnuchini*, *Talpa caucasica*, *Neomis schelkovnikovi*, *Sicista caucasica*, *Sicista khlukhorica*, *Sicista kazbegica*, *Prometheomys schaposchnikovi* *Chionomys gud* და სხვა. არაენდემური სახეობებიდან აღსანიშნავია *Suncus etruscus*, *Sciurus anomalus*, *Allactaga elate*, *Rhinolopus euriale*, *Rhinolopus mehelyi*, *Myo is emarginatus* და სხვა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში გვხვდება ინტროდუცირებული სახეობები (*Sciurus vulgaria*, *Myocastor coypus*, *Ondatra zibethicus*).

### **მსხვილი ძუძუმწოვრები.**

საქართველოში გავრცელებულია მსხვილი ძუძუმწოვრების სამი რიგის - მტაცებლების, წყვილჩლიქოსნების, ვეშაპისნაირების 30 სახეობა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო მსხვილ ძუძუმწოვართა არეალებისა და რიცხოვნობის კატასტროფული შემცირება. ამჟამად მრავალი მათგანი გაქრობის საფრთხის წინაშეა. ჯიქისა და ზოლიანი აფთრის მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებიდა შემორჩა.

მთლიანად გაქრა ქურციკი და ნიამორის სამხრეთი (თრიალეთის ქედის) პოპულაცია. მსხვილ მუშუმწოვრებს შორის აღსანიშნავია ორი სხეობის ჯიხვი: *Capra cylindricornis* და *C. caucasica*, რომლებიც კავკასიის ენდემებს წარმოადგენენ.



#### 4.4.15.4. გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

*გარემოს დაცვის მსოფლიო დღე (World Environment Day - WED) ყოველ წელს, 5 ივნისს აღინიშნება.*



გარემოს დაცვის მსოფლიო დღე დაარსდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 27-ე სესიაზე (რეზოლუცია № A/RES/2994 (XXVII)) 1972 წლის 15 დეკემბერს და მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში. ამას წინ უძღოდა გაეროს გენერალური მდივნისადმი, 1971 წლის 11 მაისის მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდა 23 ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის 2200 მოღვაწე. ისინი აფრთხილებდნენ კაცობრიობას უპრეცედენტო საშიშროებაზე, რომელიც ემუქრებოდა მას გარემოს დაბინძურების გამო. „ან ჩვენ მოვსპობთ დაბინძურებას, ან იგი მოგვსპობს

ჩვენ“ - ასე იყო დასმული საკითხი ამ მიმართვაში.

ჩატარების თარიღი - 5 ივნისი, ადამიანის საარსებო გარემოს პრობლემებთან დაკავშირებით 1972 წელს გამართულ სტოკჰოლმის კონფერენციის დაწყებას ემთხვევა. თავის რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა გაეროს სისტემაში არსებულ სახელმწიფოებს და ორგანიზაციებს მოუწოდებს ყოველწლიურად ამ დღეს მოაწყოს ღონისძიებები, რომლებიც დაადასტურებენ მათ სწრაფვას საარსებო გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესებისაკენ. გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე ასევე შეიქმნა გაეროს სისტემაში შემავალი ახალი ორგანიზაცია UNEP. სწორედ მისი ეგიდით ტარდება ყოველ წელს გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღე გაეროსათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, იმისათვის რომ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიაპყროს გარემოს დაცვისაკენ, ასევე სტიმულირება გაუწიოს პოლიტიკურ ინტერესს და შესაბამის მოქმედებებს მის დასაცავად. ამჟამად ეს თარიღი წარმოადგენს სახალხო დღესასწაულს, რომლის მიზანია ერთობლივი ძალისხმევით დავიცვათ ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები. სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვანაირად აღნიშნავენ: აწყობენ მიტინგებს, მსვლელობებს, აღლუმებს, ველორბოლებს, „მწვანეთა“ დღესასწაულებს და სხვ.




გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ყოველწლიურად განისაზღვრება თემატიკა და დევიზი, ხდება ადგილის შერჩევა ძირითადი საერთაშორისო ღონისძიებების ჩასატარებლად. 2020 წლის თემის სახელწოდებაა - **“ბუნების დროა”**. თემა ეძღვნება გადაუდებელ და მნიშვნელოვან პრობლემას - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. სულ ახლახანს მომხდარი ტყეების ხანძრები ბრაზილიაში, აშშ-ში, რუსეთში. ავსტრალიაში, კალიების შემოსევა აღმოსავლეთ აფრიკაში და ამჟამად კორონავირუსით გამოწვეული გლობალური პანდემია, ნათლად მეტყველებენ ადამიანის და ბუნების მჭიდრო ურთიერთკავშირზე. **ბუნება გვაფრთხილებს!!!**

მსოფლიო მასშტაბით გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნა უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს გლობალურ პლატფორმას, რომელიც პოზიტიური ცვლილებებისკენაა მიმართული. *ცნობილია, რომ გლობალური ცვლილებები მოითხოვს მთელი მსოფლიოს ხალხთა გაერთიანებას. ეს დღე აიძულებს ადამიანებს იფიქრონ მათი მოხმარების მოდელზე; ბიზნესს - შეიმუშაოს უფრო მეტად ეკოლოგიური მოდელები; ფერმერებს და მეწარმეებს - გადავიდნენ შედარებით მდგრად მოდელებზე; სახელმწიფოების მთავრობებს - გააძლიერონ ველური ბუნების დაცვა; ახალგაზრდობას - უფრო მკაცრად დაიცვან „მწვანე“ მომავალი. ეს დღე ყველა ჩვენთაგანისაგან მოითხოვს მოქმედებათა გაერთიანებას.*

წელს გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური ღონისძიებები გაიმართება კოლუმბიაში გერმანიასთან პარტნიორობით.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ონლაინ ფორმატში მთელ დედამიწაზე მილიონობით ადამიანი აღნიშნავს და იგი მიზნად ისახავს ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას ბუნების მიმართ, გარემოს მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობას და გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო განყოფილებებთან ერთად უკვე წლებია აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. აკადემიაში კარგად აქვთ გაცნობიერებული თუ რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეულ გარემოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლების ცვლილებებს, ანუ გარემოს დაბინძურებას. ყოველი გაუაზრებელი ქმედების შედეგად მივიღებთ ადამიანის, ცოცხალი ორგანიზმების, მათი თანასაზოგადოებების ცხოვრების პირობების დაკნინებას, რომელიც მომავალში უარყოფითად აისახება ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, მის თითოეულ სამეცნიერო განყოფილებაში, სამეცნიერო მიმართულებიდან გამომდინარე, რეკომენდაცია ეძლევა იმ სიახლეების დანერგვას, რომელიც სრულ ჰარმონიაშია ბუნებასთან და არ აზიანებს მას.



#### 4.4.15.5. გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე



1994 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 17 ივნისი გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღედ გამოაცხადა (რეზოლუცია 49/115). ასე ჩაეყარა საფუძველი გლობალური მასშტაბით გაუდაბნობისა და მიწების დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების საერთაშორისო სისტემას. გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის სტრატეგიის ძირითადი მიზანია გლობალური პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს და თავიდან ააცილებს გაუდაბნობას, მიწის დეგრადაციას და გვალვის უარყოფით შედეგებს პროგრამით განსაზღვრულ რეგიონებში, ეს კი ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას

და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

*გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სტატიები, რომლის ავტორები არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს- მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი და სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი რევაზ ლოლიშვილი, იხილეთ ანგარიშში.*

#### გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი-სსმმ აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1994 წელს დააწესა. სწორედ ამ დღეს მიიღო გაერომ კონვენცია, რომლის მიხედვით საერთაშორისო აკაორგანიზაციამ და მასში შემავალმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან გარემო ამ ნეგატიური მოვლენისაგან და დააფინანსონ საჭირო პრევენციული პროგრამები. ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის ხმელეთის ტერიტორიის მეოთხედი უდაბნოდ გადაქცევის საფრთხის ქვეშ დგას.

**უდაბნო** - ლანდშაფტის ტიპი, რომელიც წარმოიქმნება მუდმივად ან სეზონურად ცხელჰავიან მხარეებში; იგი უდაბურს, უკაცრიელს ნიშნავს. ახასიათებს ძალზე მეჩხერი და ღარიბი ფიტოცენოზები.

**არსებობს წარმოდგენა** - თითქოს უდაბნო ეს სრულიად უდაბური ადგილია, მაგრამ სინამდვილეში ის არის მკაცრ პირობებთან ადაპტირებული უამრავი ცხოველისა და მცნარის საარსებო გარემო. ზოგიერთი უდაბნო დედამიწაზე უკანასკნელ ხელშეუხებელ ადგილს წარმოადგენს. დედამიწის მოსახლეობის 1/6 ნაწილი უდაბნოს პირობებში ცხოვრობს.

**უდაბნოები (მშრალი ტერიტორიები) 4 ტიპისაა:**

**1.ძალიან მშრალი** (ექსტრა - არიდული) უდაბნოები, სადაც ნალექების რაოდენობა 100 მმ-ზე ნაკლებია.

**2.მშრალი** (არიდული) უდაბნოები, წლის განმავლობაში მოდის 100 – 250 მმ ნალექი.

**3.ნახევრად მშრალი** (სემიარიდული) ტერიტორიები ანუ ნახევრადუდაბნოები. აქ ნალექების რაოდენობა შეადგენს 250-400 მმ-ს.

**4.სველი** (არაარიდული) უდაბნოები, სადაც ზედაპირი მთლიანად ნალექითაა დაფარული. წლის განმავლობაში მოდის 1 მ ნალექი.

**უდაბნოების სია ფართობის მიხედვით.**

წარმოდგენილია უდაბნოების სია მსოფლიოს მასშტაბით, რომელთა ფართობი 50 000 კმ<sup>2</sup>-ს აღემატება.

№	უდაბნოს დასახელება	ფართობი (კმ <sup>2</sup> )	ადგილმდებარეობა
1	ანტარქტიდის უდაბნო	13 829 430	ანტარქტიდა
2	არქტიკა	13 700 000	ალასკა; კანადა; გრენლანდია; ისლანდია და რუსეთი;
3	საჰარა	9 100 000	ალჟირი; ჩადი; ეგვიპტე; ლიბია; მალი; ნიგერი; მავრიტანია; მაროკო; სუდანი; ტუნისი;
4	არაბეთის უდაბნო	2 330 000	საუდის არაბეთი; იორდანია; ერაყი; ქუვეითი; ყატარი; არაბთა გაერთიანებული საამიროები; ომანი და იემენი;
5	გობის უდაბნო	1 300 000	მონღოლეთი და ჩინეთი
6	კალაჰარის უდაბნო	900 000	ანგოლა; ბოტსვანა; ნამიბია და სამხრეთ აფრიკა;
7	პატაგონიის უდაბნო	670 000	არგენტინა და ჩილე
8	ვიქტორიის დიდი უდაბნო	647 000	ავსტრალია
9	სირიის უდაბნო	520 000	სირია; იორდანია; ერაყი;
10	დიდი აუზის უდაბნო	492 000	აშშ
11	ჩიუაუას უდაბნო	450 000	მექსიკა და აშშ
12	დიდი ქვიშიანი უდაბნო	400 000	ავსტრალია
13	ყარაყუმის უდაბნო	350 000	თურქმენეთი
14	კოლორადოს პლატო	337 00	აშშ
15	სონორას უდაბნო	310 000	მექსიკა და აშშ
16	ციზილყუმის უდაბნო	300 000	ყაზახეთი; უზბეკეთი და თურქმენეთი;
17	ტაკლამაკანი	270 000	ჩინეთი
18	თარის უდაბნო	200 000	ინდოეთი და პაკისტანი
19	გიბსონის უდაბნო	155 000	ავსტრალია
20	სიმფსონის უდაბნო	145 000	ავსტრალია
21	ატაკამის უდაბნო	140 000	ჩილე და პერუ

22	ნამიბიის უდაბნო	81 000	ნამიბია და ანგოლა
23	დამტეკავირი	77 000	ირანი
24	მოჰავეს უდაბნო	65 000	აშშ
25	დამტელუტი	52 000	ირანი

**დედამიწის საოცარი უდაბნოები.**

სიცხე, კილომეტრებზე გადაჭიმული ქვიშა, ქვები და პეიზაჟი, რომელიც მთვარის ლანდშაფტს წააგავს - ყველა ეს სცენა უდაბნოსთან ასოცირდება. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ უდაბნო არაფრით საინტერესო და გამორჩეული არ არის, თუმცა სულ ტყუილად. ჩვენი სამყარო ხომ მეტად მრავალფეროვანია და დედამიწის უდაბნოებიც არ არის ერთნაირი. ეს ქვიშის, თიხის, ქვების თუ ყინულის უზარმაზარი ტერიტორიებიც კი გამოირჩევიან თავისი უნიკალური თვისებებით და მრავალ მოგზაურსა თუ თავგადასავლის მოყვარულს იზიდავენ.

ადამიანებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით უდაბნოს შესახებ. რამდენი ცივილიზაციაა დაკრძალული ქვიშის ქვეშ, ან რამდენი საიდუმლოა კიდევ აღმოუჩენელი.

**მოკლე ინფორმაცია ზოგიერთი საოცარი უდაბნოს შესახებ.**

**ანტარქტიდა** - ყველაზე ცივი უდაბნო დედამიწაზე. 1983 წელს სწორედ აქ აღინიშნა ყველაზე დაბალი ტემპერატურა – 89° C, რაც რეკორდული მაჩვენებელია. უდაბნო ტენიანია, თუმცა არა ატმოსფერული ნალექების გამო. მის ტენიანობას აქ არსებული ყინულის საფარი განაპირობებს, რომელსაც კონტინენტის 98% უკავია. სიცივის გამო აქ ნალექი ცოტა მოდის, რის გამოც ანტარქტიდა ითვლება ყველაზე ცივ უდაბნოდ დედამიწაზე.

**საჰარა** — მსოფლიოში უდიდესი ქვიშიანი **უდაბნო**, ფართობით 9,1 მლნ კმ<sup>2</sup>. მდებარეობს ჩრდილოეთ **აფრიკაში**. უდაბნოს ასაკი დაახლოებით 2,5 მილიონი წელია. სახელი „საჰარა“ მომდინარეობს **არაბულიდან** (صحراء) და ნიშნავს **უდაბნოს**. მას **აფრიკის** ტერიტორიის დაახლოებით 1/4 უკავია, ანუ თითქმის **ავსტრალიის** ტოლი ფართობი. საჰარის ფარგლებში მთლიანად ან ნაწილობრივ მოქცეულია 11 სახელმწიფო: მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, დასავლეთი საჰარა, მავრიტანია, მალი, ნიგერი, ჩადი, სუდანი.

საჰარის უდიდესი ნაწილი უწყლო და უსიცოცხლოა, რადგან მისთვის დამახასიათებელია მეტად მკაცრი და გაუსაძლისი ბუნებრივი პირობები: ზაფხულში დიდი სიცხე (ჩრდილში ტემპერატურა +40-50 გრადუსი) ; დიდი სიმშრალე (წლიური ნალექი თითქმის ყველგან 100 მმ-ზე ნაკლებია, ხოლო ზოგან წვიმა წლების განმავლობაში არ მოდის); ძლიერი ხანგრძლივი ქარები, ტემპერატურის დიდი დღე-ღამური რყევები (ამპლიტუდები), როდესაც დღისით პაპანაქებაა, ხოლო ღამით ყინავს. გაუდაბნოების უწყვეტი პროცესის გამო საჰარის ფართობი იზრდება.

საჰარის უდაბნოში წელიწადის განმავლობაში დაახლოებით 160 000 მირაჟი ფიქსირდება.

2050 წლისათვის იგეგმება საჰარის უდაბნოს დიდი ნაწილის ათვისება მზის ფოტოელემენტებით, რითაც შესაძლებელი იქნება ჯამურად 100 გვტ-ის ელექტროენერჯის გამომუშავება. ყველაფერი ეს 400 მილიარდი ევროს



ღირებულებისა. ასევე, იგეგმება მოჰავის უდაბნოში მსგავსი პროექტის განხორციელება, რომლის მშენებლობის ხანგრძლივობა 10-15 წელიწადი იქნება. ევროპის განახლებადი ენერჯის ასოციაციის პრეზიდენტი ჰერმან შერი გამოთქვამს მოსაზრებას რომ, ეს პროექტი იქნება დასტური იმისა, რომ მზის და ქარის ენერჯები მსოფლიომ არ უნდა უგულვებელყოს და თითოეული კვადრატული მეტრი სადაც კი მზე ასხივებს ენერჯიას არის ენერჯეტიკული ღირებულების მნიშვნელობის. Desertec Foundation - ის მიერ იგეგმება ამ პროექტის განხორციელება და მზის ფოტოვოლტაიკები გერმანიიდან 20 საზღვაო ხომალდით იქნება გადატანილი ჩრდილოეთ აფრიკაში.

**400 მილიარდი ევროს ღირებულების პროექტი საჰარაში:** უდაბნოს დიდი ნაწილის ათვისება მზის ფოტოელემენტებით, რითაც შესაძლებელი იქნება ჯამურად 100 გვტ-ის ელექტროენერჯის გამომუშავება.

**ბოლივიაში** - ზღვის დონიდან 3660 მეტრ სიმაღლეზე მდებარე - „იუნის უდაბნო“ (ფართობი 10 000 კმ<sup>2</sup>) დედამიწაზე ყველაზე მარილიანი უდაბნოა, მარილის სრული რეზერვები სპეციალისტების ვარაუდით აქ 10 მილიარდ ტონას შეადგენს. აღნიშნულ უდაბნოში ოდესღაც დიდი მარილოვანი ტბა მდებარეობდა, რომელიც, დროთა განმავლობაში დამშრალა. გარდა ამისა, იგი ყველაზე მდიდარი ადგილია მსოფლიოში, სადაც „ლითიუმი“ მოიპოვება (ყველაზე მსუბუქი მყარი ქიმიური ელემენტი, რომელსაც ძირითადად იყენებენ სითბოს ბატარეებში; როგორც კომპონენტი ზოგიერთი სახის მედიკამენტებში, კერძოდ ნერვულ სტაბილიზატორებში და ა.შ.).

**აფრიკის უდაბნო ნამიბია** - ყველაზე ძველი უდაბნოა დედამიწაზე. წელიწადში აქ 10 მმ ნალექი მოდის. ამიტომ მისი უზარმაზარი სივრცეები უნაყოფო და უდაბურია. მისი სახელი ადგილობრივი ნამას ხალხის ენიდან წარმოსდგება და ნიშნავს „ადგილს, სადაც არაფერია“. სამაგიეროდ აქ შეიძლება ნახოთ მსოფლიოში ყველაზე მაღალი დიუნები, რომელთა სიმაღლე 300 მეტრს აღწევს. უდაბნოში აღმოჩენილია ურანის, ვოლფრამისა და ალმასის საბადოები.

**არალკუმი** - უდაბნო, რომელიც უზბეკეთისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე მდებარეობს. აღნიშნული უდაბნო ყველაზე ახალგაზრდაა დედამიწაზე. არალის ზღვამ, რომელიც ფართობით ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მეოთხე ადგილზე იყო მსოფლიოს მლაშე ტბებს შორის, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან თავისი ტერიტორიის 90% დაკარგა. ამის მიზეზი საბჭოთა კავშირის დროს განხორციელებული ირიგაციული პროექტები იყო, რის შედეგადაც უდაბნო არალკუმუს ფართობი გაიზარდა.

#### **მსოფლიოს ულამაზესი ადგილები (უდაბნოები).**

აშშ-ს სამხრეთით, საკრამენტოს მთებსა და მდინარე რიო-გრანდეს შორის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი უდაბნო მდებარეობს. შეფერილობის გარდა, მისი ქვიშის შემადგენლობაც ძალიან უჩვეულოა. ნიუ-მექსიკოს შტატში მდებარე თვალისმომჭრელად თეთრ უდაბნოს აპაჩები "ვაიფურის უდაბნოს"

ემახიან. ის ზღვის დონიდან 1291 მეტრზე მდებარეობს, 710 კვადრატულ კილომეტრ ფართობს იკავებს და აშშ-ს ნაციონალური ძველის სტატუსი აქვს.

ქათქათა თეთრი დიუნები ერთი შეხედვით მარადიულ თოვლს მოგვაგონებს, სინამდვილეში კი თაბაშირის ერთ-ერთი ნაირსახეობის უწვრილესი კრისტალებისგან შედგება, რომელსაც სელენიტი ეწოდება. როგორც წესი, ასეთი კრისტალები წყალში ისხნება, მაგრამ უდაბნოში წყლის დეფიციტია, შესაბამისად, მთელი ის თაბაშირი, რომელიც წვიმების შედეგად მიმდებარე მთებიდან ირეცხება, დაბლობზე ჩამოდის და თეთრქვიშიან უდაბნოს ქმნის. ჩვეულებრივი ქვიშისგან განსხვავებით, სელენიტი მზის სხივებს შთანთქმის მაგიერ ირეკლავს, ამიტომ არ ცხელდება და აქ ფეხშიშველი სიარული წელიწადის ყველაზე ცხელ დღეებშიც კი თავისუფლად შეიძლება. თავის წარმოშობას ეს უდაბნო ზღვას უნდა უმადლოდეს, რომელიც აქ ასი მილიონი წლის წინ მდებარეობდა. ზღვა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა დაშრა და წყალში გახსნილი სელენიტი გამოილექა. იმ ადგილას, სადაც წყლის ზედაპირი იყო, სელენიტის სქელი ფენა გაჩნდა.

აქაური ქვიშები არასტაბილურია და მუდმივად მოძრაობენ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მოძრავი ქვიშები ძალიან ართულებს მცენარეული საფარის წარმოქმნას - მოძრავ ნიადაგზე ფესვის მოკიდება რთულია. ამიტომ, მიუხედავად წელიწადში 200 მმ-მდე ნალექისა, მცენარეულობა ღარიბია. რაც შეეხება ფაუნას - მისი მცირერიცხოვანი წარმომადგენლები უდაბნოს საზღვრებს ანიჭებენ უპირატესობას. ცენტრალურ ნაწილში ალაგ-ალაგ შეხვდებით ხვლიკებს, მღრღნელებს.

თეთრი ქვიშის უდაბნოსთან ბევრი ლეგენდაა დაკავშირებული. მოსახლეობა იმახის, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე აქ ხშირად ხედავენ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს. სხვა მოსაზრების მიხედვით მექსიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ინდიელები ხშირად მოდიოდნენ ამ ფანტასტიურ ადგილას წინაპრების სულებთან საბაასოდ. ეს ამბები უდაბნოს კიდევ უფრო პოპულარულს ხდის ტურისტებისთვის. ერთი შეხედვით უსიცოცხლო უდაბნოში დაგებულია საავტომობილო გზები და გაყვანილია საცალფეხო ბილიკები.

მეოცე საუკუნეში ამ ფანტასტიურ პეიზაჟებს სამხედრო იარაღის გამოსაცდელად იყენებდნენ. 1945 წელს სპეციალურ პოლიგონზე ატომური ბომბიც კი ააფეთქეს. დღეს კი უდაბნო ოჯახური დასვენების, პიკნიკების და ექსკურსიების ადგილია. აქვე ქირავდება ქვიშის დიუნებზე სასრილო ციგები. ზოგჯერ კი საჰაერო ბურთების შოუც იმართება.

### **დანაკილის უდაბნო ანუ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში.**

ეთიოპიას, აფრიკის ყველაზე მაღალმთიან ქვეყანას, ყოველწლიურად, ათასობით ტურისტი სტუმრობს. ამის მიზეზი – მათი სურვილია, ჩვენი პლანეტის ყველაზე საშინელი ადგილი – დანაკილის უდაბნო მოინახულონ. ექსტრემალური მოგზაურობის მოყვარულები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ჩადიან ეთიოპიაში, რომ ფანტასტიკური პეიზაჟებით დატკბნენ, რომლებიც ძალიან ჰგავს საშინელებათა ფილმების დეკორაციებს. საშიში ვულკანების, ტოქსიკური გაზის ღრუბლების და გოგირდიანი ტბების ერთობლიობამ, ეს ადგილი ცხოვრებისთვის შეუფერებლად აქცია. მცხუნვარე მზის მოქმედების შედეგად, მჟავის ტბები საშინელ, მყრალი სუნის მქონე გაზებს გამოყოფენ, ძალიან სახიფათოს და მზამიანს. უდაბნოს



ლანდშაფტი, უჩვეულოდ ლამაზი ფერებით გამოირჩევა და პეიზაჟებს არარეალურ, ხელოვნური ქმნილების ელფერს ანიჭებს.

პირველი ტურისტები ამ რეგიონში 1928 წელს გამოჩნდნენ და მას შემდეგ, ეს «არომატული» და კაშკაშა უდაბნო, ტურისტების საყვარელ ადგილად იქცა.

უდაბნოს გაჩენას ლეგენდას უკავშირებენ, რომლის მიხედვით, ბოროტ ჯადოქარს თავში მოუვიდა აზრი, რომ სიცოცხლით სავსე ადგილი, გაუვალ უდაბნოდ გადაექცია. ჯადოქარმა ქაოსის მოსაწყობად, 4 სტიქიის დემონი გამოიძახა, რომლებმაც მოკლეს ის და დაიწყეს ბრძოლა ბატონობისთვის, რომელიც დღემდე გრძელდება. და მაინც, რა არის ღირშესანიშნავი დანაკილის უდაბნოში? რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭრელი რელიეფის სანახავად და შხამიანი ჰაერის ჩასასუნთქად არ მიდიან იქ ადამიანები. ყველაზე მნიშვნელოვანი და ტურისტებისთვის მიმზიდველი ობიექტი, ტბა „ერთა ალე“ არის – მუდმივად მოთუხთუხე ლავით, რომელიც არასდროს ცივდება. მისი ყურების დროს, ისეთი შეგრძნება იქმნება, რომ სულ მალე ვულკანი გააქტიურდება და წითელი, ბლანტი სითხე მიწაზე გადმოიღვრება და ირგვლივ ყველას და ყველაფერს წალეკავს. ეს იმ ტურისტების საყვარელი ადგილია, ვისაც ადრენალინის წყურვილი აწუხებს — ხელაღებული ექსტრემალეები, ამ სანახაობის გამო მზად არიან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდონ.

ტბასთან ახლოს ვულკანი **დალოლი** მდებარეობს, რომელიც ეთიოპიის ყველაზე დაბალ წერტილად ითვლება. ვულკანის ბორცვოვანი ზედაპირი, იმის გამო, რომ მისი სიღრმიდან გამუდმებით შხამიანი გაზები და გოგირდი ამოდის, კაშკაშა ყვითელი და მწვანე ფერების სხვადასხვა ტონალობით არის აჭრელებული და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე.

#### **საქართველოს ნახევრად უდაბნოები.**

საქართველო არ იმყოფება უდაბნოების ზონის უშუალო მახლობლობაში. ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება, როგორცაა: ელდარის დაბლობი, გარდაბნის ვაკე, შირაქ-გარეჯის ზეგანი. მასში კომპლექსურად არის შეხამებული, ერთი მხრივ უდაბნოებისა და, მეორე მხრივ, სტეპების (ველების) ნიადაგები და მცენარეულობა. ზონისათვის დამახასიათებელია მშრალი კონტინენტური ჰავა. აორთქლებადობა ბევრად სჭარბობს ატმოსფერული ნალექების წლიურ რაოდენობას (დაახლოებით 200-400 მმ-ს)

ნიადაგი წაბლა, რუხი-ყავისფერი, ხშირად დამლაშებული. ძირითადი ედიფიკატორებია ავშანი, ყარღანი, ხურხუმო, ჩარანი და სხვა. ეფემერებიდან და ეფემეროიდებიდან — შვრიელა, ბოლქვიანი თივაქასრა და სხვა; წვიმიან პერიოდში, უმეტესად გაზაფხულზე მცირე ზომის მცენარეთა სახეობების ერთი ჯგუფი - ეფერები ცოტა ხნით „გამოიღვიძებს“ და გამოაცოცხლებს ხოლმე ლანდშაფტს. ნახევრად უდაბნოებში მრავალფეროვანია რეპტილიების ფაუნა: აქ ხშირად გვხვდება გლობალურად მოწყვლადი სახეობა – ხმელთაშუა ზღვის კუ, ყველაზე მეტად კი გავრცელებულია შხამიანი გველი-გიურზა და სხვა.

ნახევრად უდაბნოს ზონების ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ბუნებრივი საძოვრებია.

### დავით გარეჯის უდაბნო.

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე 1884 წელს ასე აღწერს წმ. დავითის უდაბნოს. “თუმცა ეს ადგილი უწყლოა და ცხელი, მაგრამ უწინ მშრომელ ბერებთაგან დარგულია ხევებში ხეხილნი: ნუში, ატამი, ჭერამი, კაკალი, თუთა, ხართუთა და სხვ., განგებ მათთვის გაკეთებულს მოფერდო ალაგზე, ქვა და მიწით შემაგრებულს ხევებში, ძირიდან აყოლებული ვიდრე უდაბნოს მთის თავამდის, ერთი მეორეზედ მოშორებით, თითქო გალაგნით ნაკვეთ-ნაკვეთ მიწებად დაყოფილი, როგორც ბაღი; ამ გვარად დარგული ხეხილი და მწვანე თივა ახარებენ მნახველის გულსა. ამნაირად არიან სხვა და სხვა ამ უდაბნოს კალთებშიაც დარგული ნაყოფიერი ხეები, რომელთაც ასაზრდოებს მიწა და ნაწვიმარი წყალი, ჩამომდინარე ხსენებულის მთებიდან”.

ამ უდაბნოს მთები არიან ფერით მოყვითალო, ქვიშიანი; ქვემოთ მდებარე მთები კი ფერათ არიან თეთრი, წითელი, ლურჯი, შავი და ყვითელი, როგორც საღებავი, და ზოლიანი; არიან ეგრეთვე გოგირდის სუნის მლაშე ადგილები, ქვის ნახშირი, უნდა იყოს ნავთიცი. არ შეიძლება არ იყოს რაისამე მადანი ამ მხარეში, თუ კი იმას ეყოლება მცოდნე მძებნელი.

### საქართველოს უდაბნო.

უდაბნოს გარეშე აღმომცენარეობს მშვენიერი წმინდა თივა, როგორც აფხაზეთ-სამეგრელოში კოინდარი; ბლომად ამოდის სატაცური, ქარქვეტა, დანდური, კაპარი და სოკო. ოთხფეხისაგან იმყოფებიან აქ ზამთრით ცხვრის ფარები, მუდამ კი ჯეირანები, კურდღელი, აფთარი, დათვი, მგელი და მელა. მფრინველთაგან – მგალობელნი: შროშანი, შაშვი, მერცხალი, ტარბი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, გარიელა,

### ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი.

კომპლექსური ნაკრძალი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ზეგანზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, თბილისიდან 200 კმ-ში. საერთო ფართობი - 10 143 ჰა, ტყით დაფარულია - 4.032 ჰა, დანარჩენი ნაწილი ველებს, უდაბნოს, ხევებს და ალესილებს უჭირავს, ე.ი. დაახლოებით 6 000 ჰა;

ის ერთ-ერთი ყველაზე მშრალი და უწყლო უბანია მთელ საქართველოში. აქაური კლიმატი ხასიათდება სიმშრალითა და სითბოს სიუხვით.



## 17 ივნისი - გაუდაბნოებასთან და გვალვასთან

### ბრძოლის მსოფლიო დღე

**რევაზ ლოლიშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

დიდი ხანია, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა ის ფაქტი, რომ გაუდაბნოება არის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემა, რომელიც ეხება მსოფლიოს ყველა რეგიონის ქვეყნებს. 1977 წელს გაეროს კონფერენციამ გაუდაბნოების შესახებ (UNCOD) მიიღო გაუდაბნოებასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა (PFCD). სამწუხაროდ, ამ და სხვა

ძალისხმევის მიუხედავად, გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მესვეურები 1991 წელს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიწების დეგრადაციის პრობლემა არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში გამწვავდა. ამიტომაც გაუდაბნობასთან ბრძოლის საკითხს ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ გაეროს კონფერენციაზე – გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ (INCD). კონფერენციამ მხარი დაუჭირა ამ პრობლემის გადაჭრის ახალ მიდგომას. ამას გარდა კონფერენციამ მიმართა გაეროს გენერალურ ასამბლეას, რომ შექმნილიყო სამთავრობათაშორისო მოლაპარაკების კომიტეტი და 1994 წლის ივნისისათვის მომზადებულიყო გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენცია იმ ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით აფრიკის), რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვებს, ან გაუდაბნობას. 1992 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ეს წინადადება 47/188 რეზოლუციით.

1994 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 17 ივნისი გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღედ გამოაცხადა (რეზოლუცია 49/115). ასე ჩაეყარა საფუძველი გლობალური მასშტაბით გაუდაბნობისა და მიწების დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების საერთაშორისო სისტემას. გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის სტრატეგიის ძირითადი მიზანია გლობალური პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს და თავიდან ააცილებს გაუდაბნობას, მიწის დეგრადაციას და გვალვის უარყოფით შედეგებს პროგრამით განსაზღვრულ რეგიონებში, ეს კი ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

საქართველო „გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციას 1999 წელს შეუერთდა.

გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს კონვენციის ეგიდით გამართულ მხარეთა კონფერენციებში და ასევე კონვენციის მე-5 დანართის ქვეყნებისათვის გამართულ შეხვედრებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. სწორედ ამ რეგიონში განიხილება საქართველო კონვენციის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იმყოფება უდაბნოების ზონის უშუალო მახლობლობაში, მოსალოდნელი გლობალური დათბობის ფონზე მის აღმოსავლეთ ნაწილში ზოგიერთ რეგიონს (კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი) სისტემატური გვალვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას ლოკალური გაუდაბნობის საშიშროება. გარდა აღნიშნული რაიონებისა, საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გაუდაბნობისადმი მგრძობიარე კიდევ სხვა ტერიტორიების არსებობა, რომელთა გამოვლენა ასევე მნიშვნელოვანია გაუდაბნობასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების ჩატარებისათვის.

გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენცია გაუდაბნობას განმარტავს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით და ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ ნიადაგის დეგრადაციას არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში.

გაუდაბნობის, მიწების დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები მოიცავენ, როგორც უშუალოდ გაუდაბნობის, მიწების დეგრადაციის და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის (მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ხელშემწყობი პრაქტიკის და სხვა) საკითხებს.

საქართველოსათვის გაუდაბნობა, მიწის დეგრადაცია არა მარტო ეკოლოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური პრობლემაცაა. გადაჭარბებული მოვება, ტყის ფართობების შემცირება, არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და ტერიტორიების არარაციონალური ათვისება ურბანული განვითარების მიზნით მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია.


ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გაუდაბნობების და მიწის დეგრადაციის პროცესი გამოწვეულია, როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ბუნებრივი ფაქტორებიდან უმთავრესია: კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური, მორფოდინამიკური, ნიადაგური და სხვა. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ურბანიზაცია და სხვა.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იზრდება არიდული და სემიარიდული ტერიტორიები, სადაც ვითარდება ქარისმიერი და დახრამვითი ეროზიული პროცესები, რასაც თან სდევს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ბედლენდების წარმოქმნა. ვაკის და მთის ტყეების გაჩეხვის გამო მნიშვნელოვნად იზრდება კლიმატის არიდულობა, ნიადაგ-მცენარეული საფარის დეგრადაცია და ლანდშაფტის გაუდაბნობა.

ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს დამლაშებისა და დაბიცობების პროცესები. ნიადაგში მიმდინარე დამლაშების პროცესები დაკავშირებულია მარილშემცველი ქანების გამოფიტვის პროცესებთან, მინერალიზებულ გრუნტის წყალთან, ეოლოურ პროცესებთან ან რიგ სხვა ფაქტორებთან. ასევე აღსანიშნავია არიდულ სამიწათმოქმედო ზონაში რწყვის ნორმების და წესების დაუცველობაც, რომლის შედეგადაც ფორმირდება მეორადი დამლაშებული ნიადაგები.

2020 წელს, გაუდაბნობისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის დღე (17 ივნისი) ეძღვნება საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას გაუდაბნობის და მიწის დეგრადაციის მთავარი ფაქტორების მიმართ – წარმოების განუსაზღვრელ ზრდას და მოხმარებას. ამ დღის დევიზია: "სურსათი, საკვები, ბოჭკო" და განსაზღვრავს მიწის გამოყენებასა და მის მდგომარეობას შორის არსებულ ურთიერთკავშირს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ყოველი წლის 17 ივნისს აღინიშნება გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე. აღნიშნული საკითხების მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია. წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში ქართველი მეცნიერების მიერ ფრიად საინტერესო მოხსენებები იქნა წარმოდგენილი. წარმოჩენილი იქნა გვალვისა და გაუდაბნობისადმი მოწყვლადი ნიადაგების სადღეისო მდგომარეობა (აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი, დოქტორი რ. ლოლიშვილი) განხილული იქნა გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საკითხები. აღინიშნა, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ სამომავლო ხედვა ეროვნულ დონეზე უნდა მოიცავდეს, როგორც მიწის რესურსების დაცვისა და მათი მდგრადი გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერებას დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების მიერ, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის მეთოდების ინტეგრირებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.



#### 4.4.15.6. მეცნიერების მსოფლიო დღე

2001 წლიდან ყოველწლიურად 10 ნოემბერს, UNESCO აღნიშნავს მეცნიერების საერთაშორისო დღეს მშვიდობისა და განვითარებისთვის. აღნიშნული დღე ხაზს უსვამს მეცნიერების მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ახალი სამეცნიერო საკითხების განხილვაში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას. იგი ასევე ამახვილებს ყურადღებას ყოველდღიურ ცხოვრებაში მეცნიერების მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე.

მეცნიერების საერთაშორისო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის მიზნად ისახავს მეცნიერების უახლესი განვითარების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებას, საზოგადოებისა და მეცნიერების დაახლოების გზით.

მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა შეხვედრა აგრარულ დარგში მოღვაწე მეცნიერებთან. შეხვედრა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მეცნიერების მსოფლიო დღე მიულოცა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ.

აკად. გ. ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 2001 წელს „იუნესკოს“ მიერ დაფუძნებული მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის, ყოველწლიურად აღინიშნება ნოემბრის თვეში მსოფლიო მასშტაბით. ეს დღე დაარსდა მეცნიერების მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც ასევე „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ბუდაპეშტში (უნგრეთი) 1999 წელს მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ. ყოველწლიურად ამ თარიღის აღნიშვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მეცნიერების როლის აუცილებლობა. ამგვარად, მეცნიერების მსოფლიო დღე ეხმარება მეცნიერებს, აჩვენოს ფართო საზოგადოებას, რა ადგილი უკავია მას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აკად. გივი ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა და აკადემიის წევრების მიღწევები საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე, აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურებთან თანამშრომლობა, აკადემიის მეთოდური და პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს სამინისტროებთან და ფერმერებთან, აგრარული მიმართულების პრაქტიკოს-სპეციალისტებთან, აგრეთვე აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის მიმართულებით, აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა და ა.შ.

*შეხვედრაზე აკად. გივი ჯაფარიძემ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელები საინჟინრო და აგრარული მეცნიერების განვითარებაში და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადასცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს, პროფესორ დავით მირცხულავას, პროფესორ გელა ჯავახიშვილს, პროფესორ ნანა გიორგბერიძეს, სოფლის მეურნეობის დოქტორს კარლო ბუაჩიძეს, აკადემიის სტიპენდიანტებს ნატო ჯაბზიძეს და გიორგი ქუთელიას, ასოც. პროფესორს ედიშერ მიდელაშვილს, ბატონებს გიორგი შერმადინს და თამაზ გუგეშაშვილს.*



#### 4.4.15.7. ნიადაგების მსოფლიო დღე

5 დეკემბერი ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე 2013 წლის შემდეგ, გაეროს 68-ე გენერალურ ასამბლეაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ აღინიშნება.

გაეროს ინფორმაციით, დედამიწის ნიადაგის მესამედი უკვე დეგრადირებულია.

„ნიადაგის დაბინძურება შეიძლება უხილავია, მაგრამ ის ყველას და ყველაფერს აზიანებს. 2050 წლისთვის პლანეტის მოსახლეობის რაოდენობამ შესაძლოა 9 მილიარდს მიაღწიოს. მოსახლეობის ზრდის პირობებში, ნიადაგი სულ უფრო ბინძურდება. ეს აისახება საკვებზე, რომელსაც მივირთმევთ, წყალზე, რომელსაც ვსვამთ და ჰაერზე, რომელსაც ვსუნთქავთ“ - წერია გაეროს ვებგვერდზე.

ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღეს ტარდება სხვადასხვა კამპანია, რომელთა მიზანიც ნიადაგის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.

2020 წლის კამპანიის მთავარი სლოგანია: **„შევეუნარჩუნოთ ნიადაგს სიცოცხლე და დავიცვათ ნიადაგების ბიომრავალფეროვნება“**.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად აღნიშნავდა ნიადაგების მსოფლიო დღეს და ყოველი წლის 5 დეკემბერს ტარდებოდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები მიმდევნილი ნიადაგების მსოფლიო დღისადმი (იხილე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2013-2019 წლების წლიური ანგარიშები).

2020 წელს ქვეყანაში გავრცელებული კორონავირუსის COVID-19 პანდემიის გამო „ნიადაგების მსოფლიო დღე“ აკადემიაში აღინიშნება ონლაინ რეჟიმში და ამ დღისადმი მიმდევნილი სამეცნიერო სტატიები აიტვირთა აკადემიის ვებ-გვერდზე [www.gaas.dsl.ge](http://www.gaas.dsl.ge).

ნიადაგების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით აკადემიაში მომზადებულია აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის და სოფლის მეურნეობის დოქტორის რევაზ ლოლიშვილის მოხსენებები.

### **"ნიადაგის დეგრადაცია, გამომწვევი მიზეზები და პრობლემების გადაწყვეტის გზები"**

**აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი -**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.**

ნიადაგის დეგრადაცია პლანეტის ერთ-ერთი თანამედროვე ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც პირდაპირ გალენას ახდენს სოფლის მოსახლეობის სიღარიბეზე. აღნიშნული ცნება მოიცავს ყველა პროცესს, რომელიც ცვლის ნიადაგის მდგომარეობას, აუარესებს მის ფუნქციებს, რაც ნაყოფიერების დაკარგვას იწვევს.

მიწის დეგრადაციის უმაღლესი ხარისხი - ეს ნიადაგის ფენის სრული განადგურებაა. ნიადაგის დეგრადაციის პრობლემამ აქტუალურობა მე-20 საუკუნეში შეიძინა, როცა მიწათმოქმედებამ და მეცხოველეობამ მაღალ განვითარებას მიაღწია.



სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორიების გამოყოფა დაიწყო კულტურების მოსაყვანად და ცხოველების საძოვრებისთვის. ამას თან მოჰყვა ტყეების გაჩეხვა, მდინარის აუზების ცვლილებები, სანაპირო ზონების ექსპლუატაცია, სამრეწველო გამონაბოლქვი ატმოსფეროს ჰაერში - ყოველივე ამან თანდათან გლობალური მასშტაბები მიიღო. თუკი, ეს ყველაფერი ასე გაგრძელდა, მაშინ დედამიწაზე მალე აღარ იქნება სიცოცხლის შესაფერისი ადგილი. ნიადაგი ვერ მოგვცემს მოსავალს, გაქრება მრავალი სახეობის მცენარე, რაც გამოიწვევს სურსათის ნაკლებობას, ადამიანის, მრავალი სახეობის ცხოველის და ფრინველის დაღუპვას.

ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი ფაქტორები:

1. ფიზიკური ფაქტორები, რომლებიც ცვლიან ნიადაგის ბუნებრივ შედგენილობას და სტრუქტურას: კლიმატური კატაკლიზმები; ამინდის ექსტრემალური მოვლენები (გვალვა; წყალდიდობა); აღნიშნული ფიზიკური ფაქტორები იწვევენ ნიადაგის სხვადასხვა ტიპის ეროზიას (უმთავრესად წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას) და ნიადაგის დაზარავს, საბოლოო ჯამში ცვლიან ნიადაგის შედგენილობას და სტრუქტურას, ნიადაგის ზედა ფენის და მასთან ერთად ორგანული ნივთიერების გაქრობას;

2. ბიოლოგიური ფაქტორები. ბაქტერიების და სოკოების განსაზღვრული ჯგუფები ნიადაგში მიმდინარე ბიოქიმიური რეაქციების შედეგად უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობაზე, იწვევენ მის შემცირებას.

3. ქიმიური ფაქტორები. გადაჭარბებული ტუტთანობის, მჟავიანობის, დაჭაობების შედეგად ნიადაგში მიმდინარეობს მარილების დაგროვება და საკვები ნივთიერებების გამორეცხვა. აღნიშნულის გამო იცვლება მისი ქიმიური თვისებები, რომლებიც აუარესებენ ნიადაგის ხარისხს. ადამიანის მოქმედებით გამოწვეული მიწის დეგრადაციის მიზეზები: ნიადაგის დეგრადაციის პრაქტიკულად ყველა მიზეზი გამოწვეულია ანთროპოგენული საქმიანობით, რაც მიწის გამოფიტვას და განადგურებას იწვევს.

მაშინ როცა ნიადაგის დეგრადაცია შეიძლება მიმდინარეობდეს ბუნებრივი გზით, იგი განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. კლიმატის ცვლილება ადამიანის მოქმედებასთან ერთად განაგრძობს ნიადაგის დეგრადაციის კიდევ უფრო გაღრმავებას. პირველად ცივილიზაციის ისტორიაში ადამიანის საწარმოო მოქმედებამ საფრთხე შეუქმნა ჩვენს პლანეტაზე ბუნებრივი პროცესების ჩამოყალიბებულ ბალანსს.

**ანთროპოგენური მიზეზებია:** 1. ტყეების გაჩეხვა; 2. სამრეწველო და სამთომომპოვებელი საქმიანობა; 3. ს/ს კულტურების მოვლა-მოყვანის არასწორი პრაქტიკა; 4. გადაძოვება; 5. ტყის ხანძრები; 6. ნიადაგის დაბინძურება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით; 7. მელიორაციის არასწორი ტექნოლოგია. 8. ურბანიზაცია; 9. ნიადაგის გაღარიბება, გამოფიტვა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დეგრადაცია ასევე, დაკავშირებულია მინერალური სასუქების და პესტიციდების გადაჭარბებული რაოდენობით, სათანადო რეგლამენტების დაუცველად გამოყენებასთან. ადგილი აქვს სასარგებლო ბაქტერიების და სხვა მიკროორგანიზმების მოსპობას, რომლებიც მონაწილეობენ ნიადაგის ფორმირებაში.

**როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის საქართველოში დედამიწის ზედა ფხვიერ ფენასთან - ნიადაგებთან დაკავშირებით?**

მიწის დეგრადაცია საქართველოში განპირობებულია კლიმატურ-რელიეფური თავისებურებებით, გეოდინამიკური პროცესების აქტივობით, ტყეების უკონტროლო ჭრით, არასწორი ს/ს პრაქტიკით და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: საქართველოში დათბობისა და კლიმატის არიდოზაციის პროცესები დროში დაემთხვა ნიადაგების გამლიერებულ დეგრადაციას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტიულობის დაცემას.

ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც დაუზუსტებელი მონაცემებით სასოფლოსამეურნეო სავარგულების 35%-ზე მეტს შეადგენს;

*ამჟამად, საქართველოში ნიადაგის დეგრადაციის რამდენიმე ტიპი (სახე, ფორმა) არსებობს. ესენია: 1. ეროზია (წყლისმიერი და ქარისმიერი); 2. დამლაშება-ბიცობიანობა; \*დაჭაობება; 3. გაუდაბნობა; 4. მაღალი მჟავიანობა. 5. \*ნიადაგების გამოფიტვა (გალარიბება).*

ცხრილში მოტანილია საქართველოში დეგრადაციის სხვადასხვა ფორმით გამოხატული დაბალნაყოფიერი ნიადაგების გავრცელების ფართობები.

ნიადაგი	ფართობი, ჰა;	% მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან
ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული	1 000 000	33,1
ეროზირებული სახნავი	330 000	11,0 / მთელი სახნავი ფართობის 41,3
აქედან წყლისმიერი ეროზიით	221 000	7,4/ მთელი სახნავი ფართობის 27,7
ქარისმიერი ეროზიით	109 000	3,6/ მთელი სახნავი ფართობის 13,6
დაჭაობებული	220 000	7,3
დამლაშებული+დამლაშებული	205 000	6,8
დამლაშებული	48 900	1,6
დამლაშებული	156 000	5,1
მჟავე	330 000	11,0
მათგან ძლიერ მჟავე	37 000	1,2

საქართველოში გავრცელებული ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი საფრთხის ქვეშაა, მაგრამ დეგრადაცია შეიძლება შევარჩოთ.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულ დაჭაობებულ ნიადაგებზე, რომელსაც ქვეყნის წინაშე მდგარ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

კოლხეთის დაბლობი ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის დიდი რეზერვია. კოლხეთი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების

მძლავრი ბაზაა. იგი ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების დიდი რეზერვია. მარცვლელი კულტურებიდან მთავარი ადგილი სიმინდს უკავია, რაც ძირითადად მოსახლეობისთვის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთავარი წყაროა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მიწით უზრუნველყოფის დონე ძალზე დაბალია (ერთ სულ მოსახლეზე 0,14 ჰა) ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის პირობებში დაშრობითი მელიორაციის, როგორც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის განხორციელებას.

კოლხეთის დაბლობის ზონის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის კრიტიკული ანალიზისა და, აქედან გამომდინარე, გამოუყენებელი რეზერვების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური პირობების თავისებურებათა დეტალურ შესწავლას და გათვალისწინებას.

დაჭაობების გამომწვევი მიზეზების დეტალურმა შესწავლამ მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კოლხეთის დაბლობის ნიადაგების მძიმე მექანიკური შედგენილობის, უსტრუქტურობის, უმნიშვნელო ფილტრაციული უნარის და ზედაპირული წრეტის გამო, დაბლობის დაშრობისა და ათვისების პირველ ეტაპზე გატარებული ძირითადი ჰიდროტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღწეული დაშრობის ხარისხი არასაკმარისია კულტურულ მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. **ამიტომ, აუცილებელია, დამატებითი შიგათარგული აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარება.**

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე წყლის რეჟიმის რეგულირების მიზნით მ. საბაშვილის ნიადამცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტში მ. საბაშვილის, გ.კოსტავას, ვ. ჩხიკვიშვილის, ო. რამიშვილის, რ. პაპისოვის, ს. გიორგაძის, ი. ჩაჩავას და სხვ. მიერ შესწავლილია დახურული დრენაჟის, კერძოდ, „თუნის“ დრენაჟის მელიორაციული ეფექტურობა. საერთოდ, დახურული დრენაჟი აღიარებულია ერთ-ერთ პროგრესულ მელიორაციულ ღონისძიებად, განსაკუთრებით ისეთ სამელიორაციო ობიექტებზე, სადც დაჭაობება ძირითადად გრუნტის წყლებითაა გამოწვეული. თუმცა, როგორც ჩატარებული ცდებით დამტკიცდა, უხვი და დიდი ინტენსივობის ნალექების და დაყოვნებული დრენირების გამო, კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან ნიადაგებში, წყლის რეჟიმის რეგულირება მარტოდენ დახურული დრენაჟით საკმარისი არ არის.

კოლხეთის პრობლემურ საკითხებზე მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ს/კ ინსტიტუტის კოლხეთის კომპლექსური ს/ს საცდელი სადგური, ი. ლომოურის მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. ცნობილი მეცნიერები - ნ. კეცხოველი, მ. სახოკია, მ. დარასელია, ა. მოწერელია, ნ.კორძახია, კ. კელენჯერიძე და სხვა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მეცნიერთა შორის მიმდინარეობდა დისკუსია ეფექტური, შიგათარგული აგრომელიორაციული ღონისძიებების ძიებაზე.

მკვლევართა ერთი ნაწილი კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების ყველაზე პერსპექტიულ და ეფექტურ ღონისძიებად დახურულ მატერიალურ სადრენაჟო სისტემას მიიჩნევდა. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ზედაპირული წრეტის გამამდიერებელ ღონისძიებას - „კვალს“ 1 ანიჭებდა უპირატესობას.

შედარებით მოგვიანებით, რეკომენდირებული იქნა ღონისძიება რომელიც, შეიძლება ითქვას, ზემოთ ხსენებული ორი ღონისძიების სინთეზს წარმოადგენს და დღეისათვის დახურული სადრენაჟო სისტემისა და „კვალის“ შეთანაწყობის ღონისძიების სახელითაა ცნობილი.

გ. კოსტავას, თ. რამიშვილის ხელმძღვანელობით მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე ჩატარებულ მინდვრის ცდებში (ხობი, ხორგა) „კვალისა“ და დახურული მატერიალური დრენაჟის შეთანაწყობის ფონზე (დრენთაშორის მანძილი 10 მეტრი) ჩაის ფოთლის მოსავალმა შეადგინა 4600 კგ/ჰა, ნაცვლად 3200 კგ/ჰა - დრენაჟის გარეშე კვალის ვარიანტზე. ----- „კვალი“ 1 წარმოადგენს სხვადასხვა სიგანის მიწის ზოლს მოქცეულს ორ ორნატს შორის. ამ ზოლს აქვს ოვალურად პროფილირებული ზედაპირი ორნატებისკენ განივი ქანობით. „კვალის“ სიგრძე ძირითადად მიღებულია 200-400 მ.; სიგანე - 10-15 მ.; განივი ქანობი - 3-5 %; ( კვალის პარამეტრები: სიგრძე, სიგანე და განივი ქანობი ცვალებადია და განისაზღვრება ნიადაგური პირობებით, ადგილმდებარეობის ქანობით და გასაშენებელი კულტურების ტენის მიმართ მოთხოვნებით).

- საქართველოში 220 ათასი ჰა დაჭაობებული ნიადაგია; 1990 წლისათვის კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი იყო 140 ათასი ჰა; აქედან ათვისებული იყო 103,9 ათასი ჰა; 1992 წლიდან ძირითადი სამელიორაციო ქსელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა. ყოველივე ამის შედეგად რიგ რაიონებში დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი, რის გამოც დღეისათვის კოლხეთის ზონაში 42 ათასი ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები გამოეთიშა ს/ს სავარგულებს და კვლავ ჭაობად იქცა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მეორად დაჭაობებული მიწების კერძო საკუთრებაში ან იჯარით აღებაზე უარს აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა. მეორადი დაჭაობების პროცესი, მელიორაციული ღონისძიებების გაუტარებლობის გამო, დროთა განმავლობაში თანდათან გაუარესდება, ინტენსიურად განვითარდება და სულ მალე დაშრობილი მიწების 70-80%-ზე გავრცელდება.

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვის შესაძლებლობა შეზღუდულია; ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის ერთადერთი გზა არსებული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალური გამოყენება ითვლება. ამიტომ საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ, პირველ რიგში არსებული მიწის ფონდის შენაჩუნებაზე უნდა იზრუნოს. აუცილებელია შემუშავებული და განხორციელებული იქნეს - „საქართველოს მიწის ფონდის დაცვის გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა“.



## ნიადაგის დაცვა საკაცობრიო მნიშვნელობის ამოცანაა

### რევაზ ლოლიშვილი -

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

ნიადაგის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით ყოველწლიურად აღნიშნება ნიადაგის მსოფლიო დღე.

აღნიშნული ღონისძიების დაწესებულებას 2002 წელს რეკომენდაცია გაუწია ნიადაგმცოდნეების საერთაშორისო საზოგადოებამ. ტაილანდის სამეფოს ინიციატივით და გლობალური პარტნიორობის საფუძველზე FAO-მ მხარი დაუჭირა ნიადაგის მსოფლიო დღის ოფიციალურად დაარსებას. FAO განიხილავდა მას, როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გლობალურ პლატფორმას. 2013 წლის ივნისში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა კონფერენციამ ერთხმად მოიწონა ნიადაგის მსოფლიო დღის დაარსება და მოითხოვა, რომ ამ დღის დაფუძნება ოფიციალურად გაცხადებულიყო გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე. 2013 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 5 დეკემბერი ოფიციალურად გამოაცხადა, როგორც ნიადაგის მსოფლიო დღე და მას შემდეგ პროგრესული კაცობრიობა ყოველ წელს აღნიშნავს ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს. თარიღი შეირჩა ტაილანდის მეფის პხუმიპონ ადულიადეტის პატივისცემის ნიშნად, რომლის დაბადების დღეც 5 დეკემბერს აღნიშნებოდა და რომელიც ამ ინიციატივის აქტიური მხარდამჭერი იყო.

ნიადაგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების და ეკოსისტემის ფუნქციონირების საფუძველს. მას საკვანძო მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ნიადაგის მდგრადი გამოყენება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს იმ პრობლემების დასაძლევად, რომელიც უკავშირდება მოსახლეობის ზრდას. ნიადაგის დამუშავების რაციონალური მეთოდების დაწესება ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოების, ეკოსისტემების სტაბილურობის და მდგრადობის გლობალურ უზრუნველყოფას.

გაეროს წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად, (2021-2030) – ბუნებასთან ადამიანური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით პარტნიორი ქვეყნები გეგმავენ ეკოსისტემის აღდგენის გლობალურ პროექტს. UNEP მსოფლიო ლიდერებთან ერთად მუშაობს ახალ და ამბიციურ "გლობალურ ჩარჩო პროგრამაზე – ბიომრავალფეროვნება 2020 წლის შემდეგ" შესაქმნელად, რათა განახორციელოს უმნიშვნელოვანესი კონცეფცია – "ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება 2050 წლამდე".

დასახული მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მაქსიმალურად აღმოვფხვრით ბიომრავალფეროვნების შემცირებით გამოწვეულ ნეგატიურ ზეგავლენას გარემოზე. ნიადაგის დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნა დაეხმარება მსოფლიოს გაერთიანებას პოზიტიური ცვლილებებისაკენ ახალი ნაბიჯების გადასადგმელად.

წელს ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღის თემა, ადამიანების კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, ამოცანად ისახავს ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას

დაბალანსებული ეკოსისტემების შენარჩუნებისაკენ, ასევე ცოდნის ხარვეზების დადგენასა და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობების განვითარებას, ტექნიკური თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლასა და ნიადაგის ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენების ცოდნის გაზიარებას. მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის და ფართო საზოგადოების ყურადღების გამახვილება ნიადაგების ნაყოფიერების მართვის პრობლემებზე, ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ნიადაგის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას; საჭიროა ფართოდ გავრცელდეს ინფორმაცია ნიადაგის რესურსების გამოყენების პრობლემების შესახებ. მსოფლიოს სამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აქტივისტები უნდა გააერთიანდნენ და მიიღონ პრევენციული ზომები, რათა შენარჩუნებული და დაცული იქნეს ნიადაგის სიცოცხლე და ბიომრავალფეროვნება.

თანამედროვე ბიომრავალფეროვნება არის ბუნებრივი, ისტორიული და ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგი, რამაც გამოიწვია ცოცხალი ორგანიზმების მთელი რიგი სახეობებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბება, რომლებიც შეესაბამებიან გარკვეულ გარემო პირობებს. ხმელეთის ორგანიზმების უმეტესობისთვის მთავარი ჰაბიტატი – ნიადაგია. მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების სახეობების ან მთელი საზოგადოებების გავრცელება მკაცრად შემოიფარგლება გარკვეული ეკოლოგიური პირობებით, პირველ რიგში, ნიადაგების გარკვეული ტიპებით, ქვეტიპებით და სახესხვაობებით, რომელთაც ახასიათებთ განსაკუთრებული ჰიდროთერმული და ფიზიკურ-ქიმიური რეჟიმები.

ამრიგად, მცენარეებმა, ცხოველებმა, მიკროორგანიზმებმა და ნიადაგმა ბუნებრივ პირობებში გაიარეს თანავეოლუციის ხანგრძლივი პროცესი. დღეისათვის მათი მჭიდრო კავშირი შენარჩუნებულია აღნიშნული სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური იერარქიის სხვადასხვა დონეზე. ნიადაგები, რომლებიც იმყოფებიან ევოლუციის კლიმაქსურ ეტაპზე, ახასიათებთ ბიოტის სტაბილური მრავალკომპონენტური საზოგადოება, სახეობების მრავალფეროვნება. მათი სასიცოცხლო ფორმები და ფიზიოლოგიური ფუნქციები ადეკვატურად ასახავს მის თვისებებს. ამასთან, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების ევოლუციურად ჩამოყალიბებული ერთიანობა ძალზე დაუცველია და მყარად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია მისი ყველა კომპონენტის და ბუნებრივი ლანდშაფტების მთლიანობა.

ბიოსფეროში ნიადაგი ასრულებს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფუნქციას. ის იმყოფება ნივთიერებისა და ენერჯის გაცვლის ბიოსფერული პროცესების ცენტრში და ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის როლს ბიოლოგიურ და გეოლოგიურ წრებრუნვებს შორის. ნიადაგი წარმოადგენს ეკოლოგიურ ნიშას მრავალი სახეობის ორგანიზმებისათვის.

ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება თავის მხრივ უზრუნველყოფს ეკოსისტემების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტაბილურობასა და ბიოპროდუქტიულობას, ბიოსფეროში ნორმალური წრებრუნვის ციკლების შენარჩუნებას. იგი ამასთან ერთად წარმოადგენს ეკოლოგიური მორალის საფუძველს, რადგან ორიენტირებულია იმაზე, რომ ნორმალურ, დაურღვეველ მდგომარეობაში გადასცეს შთამომავლობას მათი ბუნებრივი საარსებო გარემო.

თავისი მზარდი მოთხოვნილებით ადამიანები ბუნების საზღვარს გასცდნენ. ბოლო 50 წლის განმავლობაში მოსახლეობა გაორმაგდა, მსოფლიო ეკონომიკა თითქმის ოთხჯერ,



მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა კი ათჯერ გაიზარდა. დედამიწის 1,6-ია საჭირო იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც ადამიანები ბუნებას უყენებენ.

COVID 19-ის არსებობამ დაადასტურა, რომ ბიომრავალფეროვნების განადგურება იწვევს იმ სისტემების მოშლას, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას. ბუნების დელიკატური წონასწორობის დარღვევით ჩვენ შექმენით იდეალური პირობები ისეთი პათოგენების გავრცელებისათვის, როგორცაა კორონა ვირუსები.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მჭიდრო კავშირში ვიმყოფებით ბუნებასთან. თუ არ ვიზრუნებთ ბუნებაზე, ვერ ვიზრუნებთ საკუთარ თავზე.

ექვგარეშეა, რომ ამის გაკეთება სავალდებულოა. აუცილებელია ხაზგასმით იქნას აღნიშნული, რომ ნიადაგი ბუნების ნაწილია, იგი ცოცხალ სხეულს წარმოადგენს. ის არის ყველგან, რასაც კი ჩვენ ვეხებით. **ჯანსაღი ნიადაგი არის სოფლის მეურნეობის, ფერმერული წარმოების და ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარების საფუძველი.** იგი საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ჯანსაღი საკვები; შევამციროთ საკვები ნივთიერებების დანაკარგი, რომლებიც გამოწვეულია მათი წყლის არტერიებში მოხვედრით; დადებითად მოქმედებს სათბურის გაზების მოცულობის და ნახშირბადის რაოდენობის შემცირებაზე; ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების განმტკიცებას და ბოლოს, ეხმარება სასოფლო-სამეურნეო კულტურებს გაუმღონ კლიმატის ცვლილებას. სწორედ ამიტომ ნიადაგები უნდა განიხილებოდეს, როგორც ბუნებრივი, ეროვნული და სტრატეგიული აქტივი, რომლის მართვა გონივრულად უნდა ხდებოდეს.

ნიადაგების თვისებებში აკუმულირებულია გარემოს ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს სიცოცხლის წარმოშობას და მრავალფეროვნების შენარჩუნებას. სწორედ ეს არის ნიადაგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფუნქცია, რომელიც ხორციელდება მის მიერ ისეთი პირობების შექმნით, რაც აუცილებელია მასზე, ან მასში მცხოვრები ორგანიზმების (ადამიანი, ფლორა, ფაუნა, მიკროორგანიზმები) სიცოცხლისთვის.

ნიადაგის გარემო პირობების ადეკვატურად ყალიბდება და ფუნქციონირებს მიკროორგანიზმების, ფლორისა და ფაუნის ცენოზები, რომლებიც ობლიგატურად არსებობენ ნიადაგში.

გარდა იმისა, რომ ნიადაგი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფს ბიოლოგიურ ორგანიზმებს, მასში არსებობს მრავალი ორგანიზმების გენოფონდი. ნიადაგში ბინადრობს მრავალი ათასი ცხოველი და თავმოყრილია მცენარეების თესლის უზარმაზარ ბანკი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ გაღივების უნარს. მ. გილიაროვი და დ. კრივოლუცკი სამართლიანად თვლიან, რომ ნიადაგური საფარი წარმოადგენს გენეტიკური მრავალფეროვნების საცავს დედამიწაზე.

ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებაა. მის არსებით თვისებას – ნაყოფიერება წარმოადგენს, რაც გულისხმობს მცენარის უზრუნველყოფას წყლით, სითბოთი და საკვები ნივთიერებებით.

საქართველოს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს "ნიადაგების მუზეუმი". აქ შეხვდებით თითქმის ყველა სარტყლის ნიადაგს – ნახევრადუბნოს, ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერი სარტყლის.

როგორც აღვნიშნეთ საქართველო დიდი ნიადაგური სიჭრელით ხასიათდება. აქ გავრცელებულია ნიადაგის 49 ტიპი. ძირითადი ნიადაგური ტიპებიდან შეიძლება გამოვყოთ:

აღმოსავლეთ საქართველოში შავმიწა ნიადაგები, მთა-მდელოს, ყავისფერი ყომრალი, ნემომპალა-კარბონატული, ყავისფერი, ბიცობი და დამლაშებული ნიადაგები, დასავლეთ საქართველოში კი ყვითელმიწა, წითელმიწა, ეწერი ჭაობიანი ნიადაგები და ა.შ.

ანთროპოგენური ზემოქმედების გამო მსოფლიოს და საქართველოს ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი სადღეისოდ დეგრადირებულია. ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ნიადაგების ნაყოფიერება შემცირებულია 22-37%-ით. ბოლო წლებში ადამიანების მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულების გამო (ქარსაფარი ზოლების გაჩეხვა, ორგანული სასუქების გამოუყენებლობა, მიწის ღია კარიერული წესით დამუშავება), კიდევ უფრო გაძლიერდა ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბები, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეს. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ფართობების დაშრობითი მელიორაციის ჩატარება, ჭარბი წყლის გაყვანა სადრენაჟო არხებით და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე პრობლემატურია ქარისმიერი ეროზია და დამლაშებული ნიადაგების განმლაშება, განსაკუთრებით სასურველია ბიომელიორანტების (ყვითელი და ცისფერი იონჯის თესვა) გამოყენება, რომლებიც ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასაც უწყობენ ხელს.

საქართველო აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ნიადაგების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში. იგი ახორციელებს მიზანმიმართულ სამუშაოებს ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად.



## თავი 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თემატიკა (2019 – 2020 წ.წ.)

### **ანოტაცია.**

აგრარული მეურნეობის განვითარების თანამედროვე პირობებში, რომელიც მოითხოვს ინტენსიფიკაციის მაღალ დონეს, საგანგებო ყურადღებას საჭიროებს აგრარული მეცნიერების განვითარების სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად მეცნიერული კვლევის თემატიკის განსაზღვრა და მეცნიერ-მკვლევართა მუშაობის კოორდინაცია. ამის აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (ცენტრები), რომლებიც ტრადიციულად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იყო, ამჟამად არასრულყოფილი ორგანიზაციული ფორმით ფუნქციონირებენ შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან. ასეთ ვითარებაში აკადემიას არა აქვს რეალური საფუძველი (მექანიზმი) მასზე დაკისრებული ფუნქციის - „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი,

მთავრობის მეცნიერული მრჩეველი“ შესრულებისათვის, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის-კვლევის კოორდინაციაში.

ასეთ ვითარებაში ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს აკადემიის წევრების (წევრ-კორესპონდენტების) ინიციატივა თავად უხელმძღვანელონ შესაბამისი მიმართულების თემების მეცნიერულ კვლევებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოიწონა რა ზემოთ აღნიშნული ინიციატივა, დაამტკიცა - „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების სამეცნიერო საქმიანობის თემატიკა 2019 – 2020 წლებში“ (ოქმი №6, 24 მაისი, 2019 წელი).

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს დაევალოთ ხელი შეუწყონ აკადემიის წევრებს თემატიკით განსაზღვრული თემების დამუშავებაში და ყოველწლიურად წარმოადგინონ ინფორმაციები მათ მიერ გაჩეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

## **1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.**

**თემა: „მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ფორმირების პრობლემები საქართველოში“.**

თემის მიზანია: ჩატარდეს ინვენტარიზაცია საქართველოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზი, ხეხილი, ციტრუსები, ბოსტნეული და მარცვლეული კულტურები) მავნებლებისა და დაავადებების შესახებ. დამუშავდეს ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, რომელიც მიზნობრივად აერთიანებს ქიმიურ, ბიოლოგიურ, ბიოტექნოლოგიურ, აგროტექნიკურ, ფიზიკურ და სხვა ღონისძიებებს, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

თემა: მცენარეთა ადგილობრივი გენეტიკური რესურსების მოძიება, სისტემატიზაცია და კონსერვაცია „ex-sity“ პირობებში

**თემის მიზანი:** მოვიძიოთ, დავახარისხოთ და “ex-sity” პირობებში შევიწინაოთ საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშების თესლი (მარცვლეულის, ბოსტან-ბალჩეულის, პარკოსნების, სამარცვლე-პარკოსნები, სამკურნალო და სხვა) . თემის შესრულების დროს, გამოყენებული იქნება ექსპედიციები საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, ლაბორატორიაში მოხდება მათი გადარჩევა და მაცივრებში (+ 5<sup>0</sup> C) შენახვა.

## **2. აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია**

**თემა:“ საქართველოს კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის პოტენციალი და მისი ამოქმედების ძირითადი მიმართულებები“.**

## **2.1 თემა: კოლხური ბიო ღვინის დაყენების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება**

**თემის მიზანი:** პირველად მსოფლიო პრაქტიკაში გამოკვლეული იქნება ბიო ღვინის მიღების კოლხური ტექნოლოგია. ევროპული ბიო ღვინისაგან განსხვავებით, ტექნოლოგია გამორიცხავს ღვინომასალის მუხის ჭურჭელში დავარგებას, რის გამო ღვინო არ შეიცავს მუხის მერქნის მავნე ნივთიერებებს. ღვინომასალის დადუღება და დამწიფება მიმდინარეობს ყურძნის მყარ ნაწილებზე, ამდენად ღვინო წარმოადგენს აბსოლუტურად უვნებელ პროდუქტს, ევროპული ბიო ღვინისაგან განსხვავებით.

ღვინის დამზადების ძველი კოლხური ტექნოლოგიის უნიკალურობა ასევე მდგომარეობს იმაში, რომ ის გამორიცხავს გარეშე საფუძვრების გამოყენებას და ყურძნის ქიმიურ დამუშავებას (სულფიტაციას).

ღვინო ასევე არ არის დამუშავებული სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად ფიზიკურ -ქიმიური მეთოდებით. ბიო ღვინის წარმოების კოლხური ტექნოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს წარმოებული ღვინის რეალიზაციით შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას.

## **2.2 თემა: ბიო ჭაჭის არყის დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება**

**თემის მიზანი:** პირველად იქნება გამოკვლეული ბიო ჭაჭის წარმოების ტექნოლოგია. რომელიც საშუალებას იძლევა წარმოებული იქნას ხარისხით კონიაკთან გათანაბრებული ჭაჭის არაყი

## **2.3 თემა: „ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით ნატურალური ყვითელი და წითელი საღებავების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება“.**

**მეცნიერული სიახლე:** პირველად მსოფლიო პრაქტიკაში ნატურალური ყვითელი საღებავის მისაღებად გამოყენებული იქნება ადგილობრივი ნედლეული-ზაფრანის ყვავილი (იმერული შაფრანი), წითელი საღებავის მისაღებად- ადგილობრივი ანწლი. ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაიზრდება საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

## **2.4 თემა: ყურძნის ინტიოქსიდანტური პასტის წარმოების ტექნოლოგია.**

**თემის მიზანი:** დამუშავდეს ყურძნის პასტის დამზადების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის კანის კავიტაციურ დაქუცმაცებას, რაც მოგვცემს საშუალებას არსებული ყურძნის მეორადი რესურსების გამოყენებით ვაწარმოთ საექსპორტო პროდუქცია ნატურალური საკვები დანამატის- ყურძნის ანტიოქსიდანტური პასტის სახით.

## **2.5 თემა: „ღვინის ბუყის გადამუშავების ბიოტექნოლოგიის დამუშავება“.**

**თემის მიზანი:** პირველად მსოფლიო პრაქტიკაში გამოკვლეული იქნება გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული(იქცევა კანალიზაციაში და აბინძურებს გარემოს) ღვინის ბუყის გადამუშავების ბიოტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა

აღნიშნული მეორადი ნედლეული გამოვიყენოთ ბიო სასმელების მისაღებად. ახალი ტექნოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს საექსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას.

**2.6 თემა:** პარფიუმერული ლიმონენისა და პურის ნატურალური დანამატის მიღების მიზნით არასტანდარტული მანდარინის ნაყოფების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიის დამუშავება

**თემის მიზანი:** პირველად მსოფლიო პრაქტიკაში პურის ნატურალურ დანამატად გამოყენებული იქნება მანდარინის გადამუშავების ნარჩენები. ათვისებული იქნება გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული მანდარინის წვეწის კონცენტრატად გადამუშავების ნარჩენები და არასტანდარტული ნაყოფები

### **3. აკადემიკოსი იუზა ვასაძე**

**თემა:** „ინტენსიური მეხილეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

**თემის მიზანი:** მეხილეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ქვეყნის ეკონომიკაში დიდი და მრავალმხრივია ხეხილოვანი კულტურების წარმოების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. იგი გვამღვებს კვების მრეწველობისათვის მეტად საჭირო ნედლეულს. მას საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს და ეროვნული სიმდიდრის შემომტანს. გამომდინარე ზემოდ თქმულიდან ჩვენს მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ მეხილეობის დარგში არსებული თანამედროვე მდგომარეობა და დავსახოთ პერსპექტივები მისი აღორძინების მიზნით.

მეხილეობა დღეს პირველ რიგში კერძო მწარმოებელზეა დამოკიდებული. ამიტომ საჭიროა, ამ დარგის მიმდევარნი, სათანადოდ იყვნენ არამარტო გათვითცნობიერებულნი თანამედროვე საკითხებში, არამედ მომზადებულნიც აქტიური პრაქტიკული მოქმედებისათვის. მეხილეობა არა მარტო ახალი ჯიშების გამოყვანითა და წარმოებაში მათი დანერგვით მიაღწევს წარმოების მაღალ დონეს, არამედ საჭიროა მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით სათანადო აგროტექნიკის უფრო სრულყოფა-დახვეწა და მისი წარმოებაში დანერგვა.

### **4. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი**

**თემა:** „ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების ქართული გენოფონდის გამდიდრება და ხარისხობრივი გაუმჯობესება ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციის გზით“.

**თემის მიზანი:** ვაზისა და ხილკენკროვნების ქართული გენოფონდის კვლევა, გამდიდრება და ხარისხობრივი გაუმჯობესება სელექცია -გენეტიკის (ახალი ჯიშის გამოყვანა ჰიბრიდიზაციის, კლონების გამორჩევის, ინდუცირებული მუტაგენეზისა და პოლოიპლოიდიის ) მეთოდების გამოყენებით.

## 5. აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

თემა: „ჩაის კულტურის რეაბილიტაციის პრობლემები საქართველოში“.

თემის მიზანი: ჩაის კულტურის რეაბილიტაციისათვის აუცილებელია ჩატარდეს საქართველოში არსებული ჩაის ნარგავობის პასპორტიზაცია ჯიშური შემადგენლობის, ასაკობრივი მდგომარეობის და საკუთრების ფორმის გათვალისწინებით; მინერალური და ორგანული სასუქების ბუნებრივი რესურსების სამრეწველო ამოქმედება; ქართული ჩაის ყოფილ ტრადიციულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრება, შიგა ბაზრის დაცვა კონტრაბანდული პროდუქციისაგან, ქვეყანაში ჩაის იმპორტის შეზღუდვა, შემოტანილისათვის, კი მაღალი საბაჟო გადასახადის დაწესება, მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციაში საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების შესაძლებლობის გამოყენება, მათ მიერ გრანტების, სუბსიდიების, შეღავათიანი კრედიტების და სხვათა სახით გამოყოფილი სახსრებით, მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის საინვესტიციო ფონდის შექმნა.

## 6. აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

6.1 თემა: „საქართველოში გავრცელებული დაბალნაყოფიერი ნიადაგები და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები პრობლემა – ესეა, საქართველოში გავრცელებული ნიადაგების დეგრადაციის საკითხებს, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მიერ არამეცნიერული, ნიადაგის მიმართ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულების გამო“.

თემის მიზანი: ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების სფერო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეროზირებული, დამლაშებული, ბიცობიანი, ჭაობიანი, მწირი ნიადაგების ყოველწლიურ მოვლაში სახელმწიფოს როლის გაქრობამ ამ სფეროში დიდი პრობლემები შექმნა. პრაქტიკულად ყურადღების მიღმა დარჩა – ნიადაგი.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80%-ზე მეტი ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის- ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უკვე კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

დადგა დრო, რომ საქართველოს ყოველი ბუნებრივი ზონისათვის შემუშავებული და დანერგილი იქნეს ნიადაგდაცვითი მიწათმოქმედების თანამედროვე, მეცნიერულად მაღალუზრუნველყოფილი სისტემა, რომელიც ორგანულად შეერწყმება ნიადაგის ეროზიისა და დეფლაციის შესაძლო გამოვლინების აღმკვეთ ღონისძიებებს..



## 6.2 თემა: „საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში“.

**თემის მიზანი:** ნივთიერებათა წრებრუნვა მიწათმოქმედებაში კომპლექსურ შეფასებას და მათემატიკურ გამოსახულებას იღებს საკვები ელემენტების ბალანსში.

ბალანსური გაანგარიშება განსაკუთრებით ძვირფასია, როცა ის დგება დინამიკაში, რიგი წლების განმავლობაში, რადგან ერთწლიანი მონაცემები სრულად ვერ ასახავს ბალანსის საერთო მდგომარეობას.

საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში ჩვენს მიერ ისწავლებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში გამოანგარიშებული იქნა ოთხი-ხუთი წლის ინტერვალით – 1971-1975, 1976-1980, 1981-1985, 1986-1990 და 1995-1999 წლებში.

განსაკუთრებით საინტერესოა საკვები ელემენტების ბალანსის გამოანგარიშება საქართველოს მიწათმოქმედებაში ბოლო 15-20 წლის განმავლობაში. მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება აღნიშნულ პერიოდში ძალზე დაბალი იყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა ნიადაგის ნაყოფიერებაზე. მოსავლით გამოტანილი საკვები ელემენტების 70-80 % - ზე მეტი გამოიყენება ნიადაგის მარაგების ხარჯზე, რაც ნიადაგის გაღარიბებას და გამოფიტვას იწვევს. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში იმატა დაუმუშავებელმა მიწის ფართობებმა და შესაბამისად იკლო ნათესმა ფართობებმა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აღებული მონაცემების გამოყენებით გამოანგარიშებული იქნება აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შეჯამებული საერთო სამეურნეო ბალანსი ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედებაში – 2001-2005; 2006-2010; 2011-2015 და 2016 – 2018 წლებისათვის, რომელიც ახასიათებს ურთიერთკავშირს საკვები ელემენტების გამოტანასა და ანაზღაურებას შორის. ჩატარებული ბალანსური გაანგარიშებების საფუძველზე შედგენილი იქნება ნიადაგის ნაყოფიერების ამალღების რეკომენდაციები, რაც მაღალი მოსავლის მიღების მყარი გარანტიაა.

## 6.3 თემა: „ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ორი ძირითადი ფაქტორი- ნიადაგი და მარცვალი“.

**თემის მიზანი:** ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე, მიუხედავად ბოლო წლებში აგრარულ სექტორში განხორციელებული მნიშვნელოვანი დადებითი ძვრებისა, სასურსათო უსაფრთხოების ვერც ერთ სტანდარტს – ვერც დაბალ, ვერც საშუალო და მითუმეტეს ვერც მაღალ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევებია – იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება და დაბალი ადგილობრივი წარმოება.

მსოფლიოს მასშტაბით ადგილობრივ და იმპორტირებულ სურსათს შორის თანაფართობა ანუ იმპორტირებული პროდუქციის მაქსიმუმი 20%-ს შეადგენს. საქართველოში სურსათის 70-80% იმპორტირებულია.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ნიადაგია. დღეისათვის საქართველოში მნიშვნელოვანი

ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც ს/ს სავარგულების 35 %-ს შეადგენს. ქვეყანა რომელიც სურსათის 80 % -ის იმპორტს ეწევა სულ მცირე – 400 ათასი ჰექტარი მიწა მიტოვებული, დაუთესავი და გაუდაბნოების მაღალი რისკის მქონეა. (2017 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა სულ შეადგინა 220 ათასი ჰა);

**სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეორე განსაკუთრებული ფაქტორი ქვეყანაში ხორბლის წარმოების მაჩვენებელია.** ამ თვალსაზრისით საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. ქვეყანა რომელიც ხორბლის კულტურის წარმოშობის პირველადი კერაა, და სადაც, პურის მოყვარული და მისი მოხმარებითაც გამორჩეული ხალხი ცხოვრობს, მოხმარებულის მხოლოდ 10-12 %-ს ვაწარმოებთ. ასეთ პირობებში, ძნელი იქნება მოსალოდნელი საგანგებო და კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ მოახერხოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სტატისტიკა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ რომ საქართველოში შესაძლებელია, მივიღოთ ხორბლის ის რაოდენობა, რომ არ დაგვჭირდეს მისი იმპორტი. ამჟამად მიტოვებული, დაუთესავი 400 000 ჰექტარი სახნავი მიწის გაკულტურება, სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშების გამოყენება წარმატებით გადაწყვეტს ადგილობრივი წარმოების ხორბლით ქვეყნის დაკმაყოფილებას, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარი გარანტიაა.

## **7. აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი**

**7.1 თემა: „სიმინდის კულტურის მოსავლიანობა მინერალური სასუქებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით მდებარე ყავისფერი ნიადაგების პირობებში“.**

**თემის მიზანი:** სავლელ ცდა მოეწეობა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე. საცდელად შეირჩა რეგიონში ადაპტირებული სიმინდის ჯიში „ქართული კრუგი“.

ცდა დაიგეგმება და მოეწეობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდის სრული დაცვით, 11 ვარიანტიანი სქემით, ოთხჯერადი განმეორებით; დანაყოფის ფართი 50 მ<sup>2</sup>

მინდვრის ცდის შედეგების ციფრობრივი მასალის მათემატიკური დამუშავება მოხდება სხვაობის, ანუ რეგრესიის მეთოდით.

**7.2 თემა: „ტკბილის (მერგელის) გავლენის შესწავლა სიმინდის მოსავლიანობაზე დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული მჟავე ნიადაგების პირობებში**

**პროექტის მიზანი:** ნიადაგის ხსნარის რეაქციის გაუმჯობესება (ამაღლება) ბუნებრივი მელიორანტის მერგელის (ტკბილის) გამოყენებით; მერგელის (ტკბილის) ოპტიმალური ნორმების დადგენა; მოსავლიანობის ზრდა და წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შედეგი:** რეკომენდაცია ნიადაგის მჟავიანობის შემცირების და მოსავლიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად საჭირო განოციერების სისტემის შესახებ

**7.3 თემა:** „საქართველოს ნიადაგური საფარის და მასში ორგანული ნახშირბადის შემცველობის შესწავლა (2 კმ X 2 კმ) გამოკვლევის ბადით“.

**თემის მიზანი:** საქართველოს ნიადაგების ინვენტარიზაცია ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის (Joint Research Centre ) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის მსოფლიო თანამშრომლობის სამდივნოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით;  
**მოსალოდნელი შედეგი:** ნიადაგის გეომონაცემთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება, ნიადაგის თემატური ციფრული კარტოგრაფირება;

**7.4 თემა:** მონაწილეობა „NASA“-ს (აშშ-ს ნავიგაციისა და აერონავტიკის სივრცული კვლევის სააგენტო) საგრანტო პროექტში.

## **8. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი**

**8.1 თემა:** „საქართველოს-სამხრეთ კორეის ერთობლივი პროექტი\_ვაზის გენოფონდის გაცვლის პროგრამის შესრულებაში“. (პროექტის ხელმძღვანელი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; შემსრულებელი აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი)

**8.2 თემა:** „ვაზის სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების პერსპექტივები საქართველოში“.

**თემის მიზანი:** მევენახეობა-მეღვინეობის ეკონომიკური პოტენციალი და მისი პრიორიტეტულობა უახლოესმა ისტორიამაც დაადასტურა და ვაზისა და ვინის შესახებ საქართველოს კანონითაც არის განმტკიცებული (1998 წ.)

მიმდინარე ეტაპზე, ქვეყანაში დარგის განვითარების სტრატეგიითა და კონცეპტუალური პროგრამით ვენახის ფართობის გაზრდა 70,0 ატას ჰექტრამდეა ნავარაუდები. ვენახების დიდი ნაწილი ამორტიზირებული ვენახების ჩანაცვლებით განხორციელდება. კანონით არის დაცული ისიც, რომ საქართველოში, როგორც ფილოქსერიან ზონაში, ვენახი მხოლოდ ნამყენი ნერგით უნდა გაშენდეს. აღნიშნული, აქტუალურად დააყენებს საკითხს ჯანსაღი სარგავი მასალით უზრუნველყოფის თაობაზე, რომლის საწარმოო ბაზა ქვეყანაში აღარ არსებობს, დეფიციტურია ფილოქსერა გამძლე საძირე მასალით უზრუნველყოფა, მეწარმეებს იგი ძირითადად ქვეყნის გარედან (უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი, ესპანეთი, ...) შემოაქვთ. ფილოქსერა გამძლე საძირე ვაზის სადედეების ფართობი ხუთი ათეული ჰექტრის ფარგლებშია, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. 80-90-იან წლებში მისი ფართობი 1500 ჰა-ს აღემატებოდა.

ინდივიდუალური ნერგის მწარმოებლები საძირე მასალას მიტოვებული, მოუვლელი ვენახებიდან აგროვებენ რაც მოკლებულია ჯიშურ და ფიტოსანიტარულ სიწმინდეს. ქვეყანაში არ არსებობს ჯანსაღი სერტიფიცირებული ნამყენი ნერგის წარმოების ბაზა. ერთადერთი საბაზისო საწარმო 2008 წლიდან სოფელ ჯილაურაში (მცხეთა) არსებობს, რომლის ფუნქციონირების ფარგლებში შედის მევენახეობის

რეგიონებში (კახეთი, ქართლი, იმერეთი,...) საბაზისო სანერგეების მოწყობა-განვითარება, რომელიც ვერ განხორციელდა. პროექტი ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის-ვაზის ჯანსაღი, სერტიფიცირებული სარგავი მასალის (ვაზის ნერგების) საწარმოო ბაზის -საბაზისო სანერგეების მაღალი ტემპით განვითარებას.

პროექტის ფარგლებში მომზადდება წინადადებები ვაზის სარგავი მასალის (ნერგების, სერტიფიცირებული, სტანდარტული, მოზარდი-მწვანე ნერგის, საძირე და სანამყენე მასალის) სტანდარტების შექმნისა და გამოყენების შესახებ.

## 9. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

9.1 თემა: „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მეცნიერული საფუძვლები მრავალწლიანი გამოკვლევებით“ (გ. დარასელია, გ. ბზიავა, გ. გომიაშვილი, ი. გამყრელიძე).

თემის მიზანი: დადგენილია სასუქების მაღალი ეფექტი ჩაის პლანტაციებში, რაც გამოიხატება მოსავლიანობის ზრდასა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაში. „ნიადაგი-მცენარე-სასუქი“ სისტემაში ნიადაგის კვლევა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩაით დაკავებულ ნიადაგებში (წითელმიწები, ყვითელმიწები) მინერალური სასუქების სისტემატური გამოყენება, უზრუნველყოფს არა მარტო მოსავლის, არამედ ნასხლავი მასალის ზრდასაც, რომელიც რჩება პლანტაციების რიგთაშორისებში. აზოტის სტაბილური იზოტოპით ნიშანდებული სასუქების გამოყენება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნიადაგში შეტანილი სასუქის ნიადაგის აზოტის ფონდის ფრაქციული შემადგენლობა, რომელმაც გამოავლინა მინერალური აზოტის მნიშვნელოვანი ჩართვა ძნელად ჰიდროლიზებად და არაჰიდროლიზებად ფრაქციებში.

აღნიშნული თემის მიზანს შეადგენს დეტალური შესწავლა ნიადაგის ორგანული ნივთიერების (ჰუმუსის) ფრაქციული შესწავლა (წყალში ხსნადი)  $O. 5n. H_2SO_4$  - ში ,  $5n$  ჰიდროლიზებადი აზოტი. აღნიშნული მონაცემები შესაძლებელს გახდის შევისწავლოთ ჰუმუსის აქტიური და პასიური ფაზების (იენსენი) ხვედრითი წილის ცვალებადობა.

## 10. აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე

10.1 თემა: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა ჩაქვის საკოლექციო - სადემონსტრაციო ნაკვეთში“.

თემის მიზანი: მეციტრუსეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული, უხვმოსავლიანი, ადრემწიფადი ჯიშების წარმოებაში

დანერგვას. პრობლემის გადასაჭრელად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ აჭარის აგროსერვისცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის ციტრუსოვნთა სანერგე მეურნეობაში, იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე, დაბა ჩაქვში მიმდინარეობს ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვებები, იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის 11 ჯიშზე: ნიჩინანი, იურა-ვასე, ტაგუჩი ვასე, მიაგავა ვასე, კავადა, ნანკანი-20, ოჰოცუ ვასე, უენო ვასე, აუშიმა, ოკიცუ ვასე, მუკაიამა.

თითოეულ ვარიანტში აღებული გვაქვს ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები და დაკვირვებები ვაწარმოეთ 110 მცენარეზე. დაკვირვებები მიმდინარეობს ჩვენს მიერ შედგენილი სქემისა და მეთოდიკის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შეტანილი იქნა სპეციალურ ჟურნალში, რაც ფენოლოგიური და აგროტექნოლოგიური დაკვირვებებით იყო გათვალისწინებული.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მიერ პირველად იქნება შესწავლილი ინტროდუცირებული მანდარინის თერთმეტი ჯიშის აგროეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებები, მათი პროდუქტიულობისა და რეგენერაციული უნარის ამდლების მიზნით, ასევე სამეურნეო ნიშან-თვისებები, რომელსაც მიეცემა რეკომენდაცია, როგორც საუკეთესო ჯიშებს, ფერმერულ მეურნეობაში დასანერგად.

კვლევის სიახლეა ისიც, რომ ინტენსიური ტექნოლოგიების კომპლექსში ჩართულია საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები და ეკონომიკური საკითხები, რომელიც მიმართულია დარგის ორგანიზაციისა და მართვის ძირეული გაუმჯობესებისაკენ.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების გაშენებით უახლოეს მომავალში ინტენსიურად გაიზრდება მათი ფართობები და შესაბამისად მოსავლიანობაც.

## 10.2 თემა: „ეკალიპტის კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებანი აჭარაში“.

**თემის მიზანი:** დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ეკალიპტის მრავალი სახეობა და სახესხვაობა შემოიტანეს და გამოცადეს. ამჟამად ჩვენში გვხვდება ეკალიპტის 40-მდე სახეობა, სახესხვაობა და ჰიბრიდული ფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც მორფოლოგიური, ისე ბიოლოგიური ნიშან-თვისებებით, მათ შორის ყინვაგამძლეობითაც, მაგრამ გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც ტიპური სახეობისგან ყინვაგამძლეობის ხარისხით განსხვავდებიან, აქედან გამომდინარე მაგისტრანტ მუხრან ანანიძესთან ერთად 2017 წლიდან ვსწავლობთ ეკალიპტის სხვადასხვა ჯიშებზე - ტირიფფოთოლა და ლეგა ეკალიპტების ზრდა-განვითარების

თავისებურებებს. ცდები ტარდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

კვლევების ჩატარებისა და პრაქტიკულად განხორციელების მიზნით გამოყენებული იქნება კვლევის შემდეგი მეთოდები:

- შესწავლილი იქნება ევკალიპტის ჯიშების მორფოლოგიური, ბიომეტრიული და პომოლოგიური მაჩვენებლები. განისაზღვრება: ვარჯის ჰაბიტუსი და არქიტექტონიკა, მცენარეთა ზრდის სიძლიერე, განვითარებული ტოტებისა და ყლორტების რაოდენობა. დაკვირვებები წარმოებს ძირითადი ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობაზე, კერძოდ: კვირტების დაბერვის დასაწყისი-დასასრული, ყვავილობის დასაწყისი-დასასრული, პირველი და მეორე ზრდის დასაწყისი - დასასრული, ნაყოფების მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება;

განსხვავებული ნიადაგურ - კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მცენარეთა გვალვაგამძლეობისა და ზამთარგემძლეობის შესწავლა მოხდება ხუთ ბალიანი სისტემით (მინდვრის მეთოდი);

- საკვლევ მცენარეებზე პერიოდულად ჩატარდება მონიტორინგი მავნებელ-დაავადებების გავრცელების შესახებ; გამოყენებული იქნება მცენარეთა გასხვლა - ფორმირების სხვადასხვა მეთოდი.

სამივე სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით, სავლელე ცდების ჩატარების მიმდინარეობისას აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიის სპეციალობის სტუდენტები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

მიღებული კვლევის შედეგებს სისტემატურად გავაშუქებთ პრესაში და სამეცნიერო კვლევითი მიმართულების ჟურნალებში, ასევე გამოიცემა სათანადო რეკომენდაციები.

**10.3 თემა: „კენკროვანი კულტურების (ლურჯი მოცვი, უეკლო მაყვალი, ჟოლო) ინტროდუცირებული ჯიშებისა და ფორმების მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა აჭარის პირობებში“.**

**თემის მიზანი:** აჭარის რეგიონში ჩვენს მიერ პირველად შეისწავლება ინტროდუცირებული კენკროვანი კულტურების (ლურჯი მოცვი, უეკლო მაყვალი, ჟოლო) ჯიშებისა და ფორმების მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებები. ხუთივე მუნიციპალიტეტში შერჩეულ კვლევის ობიექტებზე, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ზემოთ ჩამოთვლილი კეკროვნებიდან გამორჩეული იქნება პერსპექტიული ფორმები სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით, რომლებზედაც მომზადდება რეკომენდაციები და პუბლიკაციები.

გამორჩეული პერსპექტიული ფორმების გამრავლება მოხდება იზოლირებული ქსოვილის კულტურის მეთოდით (*in vitro*) და მიღებული უვირუსო სარგავი მასალით, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკოლექციო-სადემონსტრაციო ფართობის 0,05 ჰა-ზე გაშენდება საჩვენებელი ნაკვეთი.



აჭარის ნიადაგურ - კლიმატური პირობები ესადაგება ლურჯი მოცვის, უეკლო მაყვლისა და ჟოლოს კულტურის მოვლა-მოყვანას, რადგან აღნიშნული კულტურების ჯიშები განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ უყენებს გარემო პირობებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლურჯი მოცვის კულტურა კარგად ხარობს და მაღალ მოსავალს იძლევა ნაჩიარ ნიადაგებზე, რომლებსაც მჟავე რეაქცია ახასიათებს. სწორედ ასეთი ნიადაგებია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

მას შემდეგ, რაც აჭარის რეგიონში დაიწყო კენკროვანი კულტურების (მოცვი, უეკლო მაყვალი, ჟოლო) სხვადასხვა ჯიშების ინტროდუქცია და მოვლა-მოყვანა, კიდევ უფრო გაიზარდა მათი პოპულარობა. სწორედ, აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ამ კულტურებზე სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით სამეცნიერო კვლევების ჩატარება - მცენარეთა აგროტექნიკისა და სელექციის მიმართულებით.

## 11. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი

თემა 1: „ერთწლოვანი (სიმინდის, ლობიოს, ჭვავის) და ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ახალი ჯიშების რეგიონებში გამოცდის შედეგების განზოგადოება საქართველოს პირობებისათვის“

თემა 2: „სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში“.

## 12. საპატო აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე

თემა: „საქართველოს ძირითადი ნიადაგების ტიპები და მათი რაციონალურად გამოყენების გზები“.

## 13. აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

13.1 თემა: „მეზოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

თემის მიზანი: ბოცვერი სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს შორის ყველაზე მალმწიფადი და ნაყოფიერი ცხოველია, ბოცვერის ხორცი ადვილად მოსანელებელი დიეტური პროდუქტია.

აღნიშნული თემა დახმარებას გაუწევს მეზოცვრეობის სპეციალისტებს, ფერმერებს, დარგის თანამედროვე მოთხოვნების მართვის საქმეში, ხელს შეუწყობს მეზოცვრეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას

## 14. აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე

14.1 თემა: „საქართველოში ველურად მოზარდი და კულტივირებული, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო მცენარეების გამოყენებით ახალი ქართული პროდუქციის, მათ შორის ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის რეკომენდაციების შემუშავება“.

**თემის მიზანი:** ქართული პროდუქტის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესება, ახალი რეცეპტების შექმნა, მეტი სასარგებლო თვისებებით დატვირთვა, შენახვის ვადის გახანგრძლივება, სტაბილურობის, ფერის, სუნისა და არომატის შექმნა, ადამიანის გუნება-განწყობილების, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, სასიცოცხლო ტონუსისა და შრომითი აქტიურობის ამაღლება და, რაც მთავარია, ახალი პროდუქტებისათვის ფუნქციური (პროფილაქტიკურ-პრევენციული) თვისებების მინიჭება

## **15. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი**

### **15.1 თემა: „ცხოველთა დაავადების კონტროლი და პრევენცია**

**თემის მიზანია** ქვეყანაში ეპიზოტიური და ეპიდემიოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესწავლა და კრიტიკული წერტილების გამოვლენა“.

**თემის მიზანი:** კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ახალი თანამედროვე დიაგნოსტიკის მკურნალობის პროფილაქტიკის მეთოდების შემუშავება.

## **16. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე**

**16.1 თემა: „საქართველოში სოფლად მდგრადი განვითარების სივრცით-ტერიტორიული ასპექტები“.**

**თემის მიზანი:** საქართველოში კონკრეტული მუნიციპალიტეტების ან სოფლების კლასტერების მდგრადი განვითარების დაგეგმვა ითვალისწინებს მათი განსხვავებული ტიპების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას. ამ დროს გადამწყვეტია შესაბამის ტერიტორიებზე აგრარული დარგის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობების და რისკების დადგენა და იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრავენ ამ ტერიტორიების განვითარებას. დადგენილი იქნება სოფლად მდგრადობის მაჩვენებლების ეფექტიანი სივრცითი გათანაბრების მექანიზმები მთლიანად ქვეყნის განვითარების ტემპების და ვექტორის შენარჩუნების პირობებში.

## **17. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე**

**თემა: „ელექტრონული ციფრული სისტემები ინტელექტუალურ აგრარულ მიწათმოქმედებაში“.**

**თემის მიზანი:** ელექტრონული ციფრული საინფორმაციო სისტემა არის კომპიუტერულ რუკებსა და მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შენახვის, მართვისა და ანალიზისათვის და რომელიც აერთიანებს, ინახავს, ამატებს, ცვლილებები შეაქვს, აანალიზებს, ავრცელებს და წარმოაჩენს გეოგრაფიულ ინფორმაციას,

გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით. თემის მიზანია აგროტექნოლოგიური და ეკონომიკური მონაცემების ტრანსფორმირება დასათესი მასალის შერჩევიდან მოსავლიანობის ანალიზამდე, რათა ფერმერს ჰქონდეს საშუალება გადაწყვეტილების მიღებისათვის.

## **18. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე**

**18.1 თემა: „ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისათვის“.**

**თემის მიზანი:** მანქანების საიმედოობის გაზრდა და მეთოდების დამუშავება მათი ერთდროული და კომპლექსური მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა, რადგანაც დიდი ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. გ

აზრდილი კონკურენციის პირობებში ამჟამად ვერცერთი მანქანა, მოწყობილობა და აგრეგატი მსოფლიო ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი, თუ არ გააჩნია მაღალი საიმედოობა, და შესაბამისად, ხარისხი. სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობა ჯერ კიდევ დაბალია და ვერ პასუხობს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებს.

თეორიულ-ექსპერიმენტული და საკონსტრუქტორო სამუშაოთა მიზანია ისეთი ახალი მასალების, მოწყობილობებისა და ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას.

## **19. აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**

**19.1 თემა: „სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაცია ცვალებადი მასის გათვალისწინებით“**

**თემის მიზანი:** დამუშავდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაანგარიშების ახალი მეთოდები, მისი რგოლების ცვალებადი მასის გათვალისწინებით. მანქანების და დინამიკის ცვალებადი მასის მექანიკის მეთოდების შეთანაწყობით მოხდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების ისეთი საექსპლუატაციო მახასიათებლების გაანგარიშების სრულყოფა, როგორცაა მწარმოებლურობა, მოთხოვნილი სიმძლავრე, გამავლობა, მდგრადობა, ხანგრძლიობა და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების უმეტესობას ცვალებადი მასა, მისი გავლენა აგრეგატების კინემატიკურ და დინამიკურ მახასიათებლებზე სათანადო დონეზე დამუშავებული არარის.

**19.2 თემა: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემების და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება“.**

**თემის მიზანი:** სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების მსოფლიო მიღწევების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით, განისაზღვრება მაღალი სამანქანო ტექნოლოგიების, მათი შემსრულებელი მანქანათა სისტემების და ეფექტური გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები. შეიქმნება მანქანათა კომპლექსები გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის და სამთო მიწათმოქმედებისათვის.

## **20. აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე**

**თემა:** „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“.

**თემის მიზანი:** მეცნიერული კვლევების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს აჭარის რეგიონში ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა თანამედროვე სამეცნიერო კვლევების საფუძველზე

მექანიზაციის განვითარებისა და დანერგვის პერსპექტივები მცირე კონტურიანი ნიადაგებისათვის მაღალმთიან აჭარაში და სერვისული მომსახურების განვითარება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აჭარის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლოატაციო საიმედოობის ერთეულის და კომპლექსური მაჩვენებლების გამოკვლევა, მათი დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციის და რესურსდამზოვი ტექნოლოგიების დამუშავება.

## **21. აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე**

**21.1 თემა:** „მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება“.

**თემის მიზანი:** მეაბრეშუმეობაში შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხების დამუშავება და ამ მიზნით ტექნიკური საშუალებების ღეროებიდან ფოთოლგამცლელი და ფოთოლსაჭრელი მანქანების, თუთის აბრეშუმხვევიას მექანიზებულად გამოსაკვები მოწყობილობის, პარკის გამწმენდი და ნედლი პარკიდან ძაფის ამოსახვევი მოწყობილობების კონსტრუქციების დამუშავება, საცდელი ნიმუშების დამზადება და გამოცდა.

**21.2 თემა:** „მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების პერსპექტივები აჭარაში“.

( ერთობლივი პროექტი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ხელმძღვანელი).

**თემის მიზანი:** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების ღონისძიებების განხორციელება მცირე ფერმერული მეურნეობების ბაზაზე, რომელიც გულისხმობს საკვები ბაზის და საგრენაჟო წარმოების აღდგენა-

განვითარებას, მეაბრეშუმეობის ფერმერული გაერთიანებების შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას.

### **21.3. თემა: აგროსაინჟინრო მიმართულებების პერსპექტივები საქართველოში.**

**თემის მიზანი:** ძირეულად უნდა შეიცვალოს ქვეყანაში აგროსაინჟინრო მიმართულების სპეციალისტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლების და პრაქტიკის არსებული სისტემა და შესაბამისი საგანმანათლებლო კლასიფიკატორი და სპეციალობის პროგრამები, რისთვისაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეწოდოს დასაბუთებული წინადადებები ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

## **22. აკადემიკოსი გურამ პაპუნძე**

### **22.1 თემა: „აჭარის სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობის განვითარების მიზნით**

**ნაყოფების წარმოება-გადამუშავების და შენახვა-ტრანსპორტირების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება“.**

**თემის მიზანი:** შემუშავდება ციტრუსოვანთა ნაყოფების წარმოების და შენახვის უნარიანობის ამალღების აგროტექნოლოგიები ნიადაგის ნაყოფიერების ამალღების, მცენარეთა დაცვის ეფექტური საშუალებების (ბიოლოგიური, ქიმიური, ბიოპრეპარატების და ბიოსასუქების) გამოყენების, სასაქონლო და სამრეწველო გადამუშავების ეფექტური ტექნოლოგიების საფუძველზე.

### **22.2. „აჭარის აგროსექტორში ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების შედეგების შესწავლა და მეცნიერული დასკვნების მომზადება“.**

**თემის მიზანი:** თემის განხორციელების პროცესში მოძიებული იქნება რეალური მდგომარეობის ამსახველი მასალები, მოხდება მათი სისტემატიზაცია და მონაცემთა ბაზის ფორმირება აჭარაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომლის საფუძველზე მომზადდება მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და წინადადებები შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება სპეციალურად შემუშავებული მეთოდური საფუძვლები და პირველადი ინფორმაციის შესაკრები ფორმები, რომელებიც უზრუნველყოფენ სრულფასოვანი და საიმედო ინფორმაციის მიღებას.

### **22.3. „აჭარის აგროსფეროს განვითარებაში განათლების, მეცნიერების და ბიზნესის ინტეგრაციის დონის შესწავლა და მეცნიერული დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება“.**

**თემის მიზანი:** თემის შესრულება შესაძლებელს გახდის:

- გამოვლინდეს სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საპროექტო და დანერგვითი ორგანიზაციების მიერ ბიზნეს სფეროზე ორიენტირებული სამუშაოების თემატური მიმართულებები;
- განისაზღვროს აგროსფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების მიმართულებების მიხედვით მოთხოვნის სტრუქტურა;
- დადგინდეს განხორციელებული მეცნიერული კვლევების მიმართულებების და ბიზნესის სფეროში არსებულ მოთხოვნას შორის თანხვედრის ხარისხი;
- შეფასდეს მეცნიერული კვლევების განვითარების პერსპექტივები, კომერციალიზაციის პოტენციალი და ინტელექტუალური პროდუქციის სხვადასხვა ბაზრებზე დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;
- \_შეიქმნას მეცნიერული კვლევების შედეგების, შემუშავებული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების მონაცემთა ბაზა.გ3

## 23. აკადემიკოსი თემურ რევიშვილი

23.1 თემა: „ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების და ცალკეული ტექნოლოგიური დანადგარების კვლევა-დამუშავება და სრულყოფა (დარგის რეაბილიტაციის ფონზე)“.

**თემის მიზანი:** ნედლეულის კომპლექსური გამოყენება, მცირენარჩენიანი და უნარჩენო, ენერგო და რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების და პროცესების შემუშავება, მაღალი ბიოლოგიური აქტივობის მქონე ახალი სახის სასურსათო პროდუქტების შექმნა და მათი ასორტიმენტის გაფართოვება.

მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ეფუძნება ნედლეულის ღრმა და ინტენსიურ დამუშავებას თანამედროვე ფიზიკურ-მექანიკური და ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

გათვალისწინებულია სექტორის რეაბილიტაციის პროცესში დარგობრივი მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებები, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ამოცანები. გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების და დარგობრივი მეცნიერების განვითარება იძლევა შესაძლებლობას გადაიჭრას აგრარულ სფეროში არსებული პრობლემები. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას თანამედროვე მაღალტექნოლოგიური წარმოება.

## 24. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი



#### **24.1 თემა: „სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისათვის საქართველოში“**

**თემის მიზანი:** ბრუცელოზი ზოონოზური ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ბრუცელას (*Brucella*) გვარის ბაქტერიები. ბრუცელოზით, პირველ რიგში ავადდებიან ცხოველები: ცხვრები, თხები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ირმები, ღორები და ძაღლები. ადამიანზე დაავადების გადაცემა ხდება ძირითადად ინფიცირებული ცხოველებიდან ან დასნებოვნებული, არასათანადოდ დამუშავებული სურსათის მოხმარებით.

ბრუცელოზი, საქართველოში დღეს სერიოზულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს კვების ტრადიციებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე (არაპასტერიზებული რძის, მისგან წარმოებული ოჯახური, მ. შ. ე. წ. იმერული ან ჭყინტი, მოუმწიფებელი ახალი, რბილი ყველი, ზოგიერთი რძემჟავა პროდუქტები და ასევე სხვა ცხოველური პროდუქტების მოხმარება) აღნიშნული კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას კონკრეტულად სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საქართველოში. ამოცანები:

1. ბრუცელოზის მონიტორინგისა და ეპიდემიოლოგიური მონაცემების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი რეგიონების (რაიონების) მიხედვით;
2. სურსათისმიერი ბრუცელოზის სავარაუდო ექსპოზიციის სცენარების შემუშავება;
3. ბრუცელოზის სურსათისმიერი სავარაუდო ექსპოზიციის შეფასება შემუშავებული სცენარების მიხედვით (სურსათის მოხმარების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით);
4. თანმდევი განუსაზღვრელობების შეფასება;
5. რეკომენდაციების შემუშავება სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკის შემცირების მიზნით - რისკის მართვის ღონისძიებების შემუშავება - გადახედვისათვის;
6. რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი კვლევების დაგეგმვის და განუსაზღვრელობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით.

#### **24.2. თემა: ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენები სასმელ წყალში როგორც ანტიბიოტიკო-რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების საფრთხე**

**თემის მიზანი:** შემუშავდეს სამეცნიერო მოსაზრება, სასმელ წყალთან ასოცირებული ადამიანისა და/ან ცხოველების სურსათისმიერი ბაქტერიული პათოგენების პოპულაციებში, ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენების არსებობით განპირობებული ანტიბიოტიკო-რეზისტენტული შტამების აღმოცენების საფრთხის შესახებ. პრობლემის მეცნიერული განსჯა საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ,

რამდენად შესაძლებელია მიკრობებით განპირობებული, სურსათისმიერი ინფექციებით დაბინძურებული სასმელი წყლის მოხმარების შედეგები დაუკავშიროთ ზევით აღნიშნულ ფენომენს, ანტიბიოტიკო-რეზისტენტული შტამების აღმოცენების საფრთხეს.

ამოცანები:

1. ჩატარდეს ფუნდამენტური ლიტერატურული მიმოხილვა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, სასმელ წყალში ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენების არსებობაზე და ამ გარემოსთან ასოცირებულ მიკროფლორაში (პათოგენების ჩათვლით) აღნიშნული გენების სპექტრზე;
2. გაანალიზდეს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, ბოლო სამ წელს ჩატარებული სასმელი წყლის მონიტორინგის მონაცემები წყლის მიკრობიოლოგიური დაბინძურების თვალსაზრისით და დაგინდეს რამდენად ასოცირდება სასმელი წყლის სტანდარტთან შეუსაბამო ნიმუშებში გამოვლენილი ბაქტერიული სახეობების სპექტრი ზოგადად ბეტალაქტამაზების მიმართ რეზისტენტულობის განვითარებასთან;
3. ჩატარდეს იმ მონაცემთა ანალიზი, რომლებიც უკავშირდება ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენების გენეტიკურ რეკომბინაციას.

## 25. აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე

**25.1. თემა: „სახეობათა ცვლის პროცესის დინამიკა მდ. იორის ჭალის ტყეებში კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“.**

თემის მიზანი: ა) ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად იქნას შესწავლილი აღნიშნული საკითხი მდ. იორის ხეობაში;

ბ) პირველად დაზუსტდეს ინვაზიური მერქნიანი სახეობების არეალი კვლევის ობიექტზე;

გ) დამუშავდეს რიგი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა ზოგადად სახეობათა ცვლისა და ინვაზიური სახეობების არეალის რეგულირების მიზნით.

**25.2. თემა: „ქარსაფარი ზოლების სამეურნეო მდგომარეობა და მათი ოპტიმიზაციის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები ბოლნისის რაიონის ბოლნისის აგროფორმის მაგალითზე“.**

თემის მიზანი: ა) დაზუსტდეს არსებული ქარსაფარი ზოლების ფართობი, მეტყეურ-ტაქსომეტრული მახასიათებლები და ფიტოსანიტარული მდგომარეობა;

ბ) დამუშავდეს სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები არსებული ზოლების რეკონსტრუქციის მიზნით.

## 26. აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი

**26.1 თემა: „სატყეო დარგში არსებული ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.**

თემის მიზანი: საქართველოს სტრატეგიულ ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ტყეს თავისი უდიდესი ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, წყალშენახვითი,

რეკრეაციული, ბალნეოლოგიურ-კურორტოლოგიური და სხვა დაცვით-ეკოლოგიური მნიშვნელობის გამო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამომდინარე აქედან სატყეო დარგში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზების ანალიზს და განხორციელებას გლობალური მნიშვნელობა ენიჭება.

## 27. აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

### 27.1. თემა: „სატყეო მეურნეობის მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების პრობლემები საქართველოში“,

**თემის აქტუალურობა:** საქართველოს ტყე საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40 %-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას. იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. საქართველოს ტყე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, რომლებიც პირდაპირ აისახება ტყის მდგომარეობაზე, გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიერ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელებულია არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა.

სატყეო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; ამ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებს მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედ, სატყეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობასთან.

#### **თემის მიზანი:**

- ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას;
- ტყის კოდექსმა უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი (ლეგიტიმაციის საფუძველები) ტყის მართვის სფეროში კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტების მისაღებად და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის, აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქიროს საქართველოს ტყის კოდექსის მუდმივი სრულყოფა;

- ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული და სხვა კვლევებით დადგენილი ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება;
- საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება.

## 28. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

### 28.1. თემა: „მელიორაციის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები“.

**თემის მიზანი:** შესწავლილ იქნას საქართველოს მელიორაციაში არსებული პრობლემები და შეთავაზებულ იქნას მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები. თემის მიზნიდან გამომდინარე განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა : ა) საქართველოში არსებული წყალსაცავების, მისი სარწყავი ქსელის (მაგისტრალური არხები, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებლები) არსებული მდგომარეობა და მათი განვითარების პერსპექტივები; ბ) სათავე ნაგებობების და მასზე მიბმული სარწყავი ქსელის (მაგისტრალური არხები, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებლები) არსებული მდგომარეობა და მათი განვითარების პერსპექტივები; გ) დამშრობი სისტემების (შემკრები კოლექტორები, წყალშემკრები მაგისტრალური არხები) არსებული მდგომარეობა და მათი განვითარების პერსპექტივები; ასევე დ) სარწყავი წყლის რესურსების მენეჯმენტი (შპს „საქართველოს მელიორაცია“, წყალმომხმარებელთა ასოციაციები) განვითარების რეკომენდაციები.

## 29. აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი

### 29.1 თემა: „კოოპერაციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

29.2. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის ფორმირების თავისებურებები“.

### **30. აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია**

#### **30.1. თემა: „ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი მეჩაიეობაში“**

**თემის მიზანი:** აღნიშნული მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მოსახლეობას მაქსიმალურად დაასაქმებს და მათი შემოსავლების ზრდის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. იგი ითვალისწინებს სიღარიბის დაძლევას ამ კატეგორიის ადამიანებზე სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილების გზით, რასაც „კალდორ ჰიქსის“ ლოგიკას უწოდებენ, არამედ იმავე მიზნის მიღწევას უშუალოდ ღარიბი მუშახელის შრომითი მონაწილეობით.

#### **30.2. თემა: „სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ძირითადი და სასურსათო პროდუქტების წარმოების პარამეტრების შესახებ“.**

**თემის მიზანი:** მრავალწლიანი კულტურების განვითარება დამოუკიდებლად დაკავშირებულია დიდ კაპიტალურ დანახარჯებთან, რომლის შესაძლებლობაც საქართველოს არ გააჩნია. ამავე დროს, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ეკონომიკური დახმარებების გარეშე, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება-ანუ ცნობილია საჭიროებები და შესაძლებლობები.

გამოსავალი უნდა იყოს სწორი არჩევანის გაკეთება და სახელმწიფო დახმარების კონცენტრირება იმ დარგებზე, რომელთაც აქვთ დიდი ეკონომიკური პოტენციალი და, ამავე დროს ორიენტირებულია ექსპორტზე. ასეთ დარგად მიგვაჩნია მევენახეობა-მელვინეობა, რომლის შემდგომი განვითარება შესაძლებელია არა მარტო სპეციალურ ზონებში, არამედ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აღნიშნული არ ნიშნავს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების იგნორირებას, არამედ შემოთავაზებული მიდგომა ყველა ზონაში უპირატესობას ანიჭებს მევენახეობა-მელვინეობას.

### **31. აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე**

#### **31.1. თემა: „მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე პრობლემები“.**

**თემის მიზანი:** მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა, რომელიც ყოველთვის იყო და დარჩება მსოფლიო ეკონომიკის საერთო სურათის შემქმნელი. მის განვითარებას საფუძველად უნდა დაედოს მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე ტექნოლოგიის მიღწევები, რომლებიც დინამიურად და სტაბილურად უნდა განვითარდეს.

### **32. აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი**

#### **32.1. თემა: „სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემისა და განვითარების მარკეტინგული სტრატეგია“.**

**თემის მიზანი:** შეფასდეს და დაგინდეს სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების ეკონომიკური ტენდენციები და კანონზომიერებები და ამის საფუძველზე დამუშავდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა, კვების მრეწველობასთან დაკავშირებით, აგრეთვე განვითარების მარკეტინგული სტრატეგია და პროგნოზული პრიორიტეტები.

### **32.2. „სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი“.**

**თემის მიზანი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებების, ტენდენციების, პროგნოზული პრიორიტეტებისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გათვალისწინებით დამუშავდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები ძირითადი დარგების მიხედვით.

## **33. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა**

### **33.1 თემა: „მიწის მართვის ინტეგრირებული სისტემის ფორმირების პრობლემები საქართველოში“.**

**თემის აქტუალურობა:** მიწის რესურსების (ფონდის) რაციონალურად გამოყენების ამოცანას საქართველოში სტრატეგიული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. მიწის რესურსების (ფონდის) მართვის არსებული სისტემის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მიწა-ბუნებრივ (უნივერსალურ) რესურსს და წარმოების ფაქტორს უკანასკნელ წლებში საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივაც საკმარისი ყურადღება არ ექცევა. მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საჭირო (კომპლექსური) ღონისძიებანი არ ხორციელდება. მიწის (ნიადაგის) დაცვის მონიტორინგს სისტემური ხასიათი არა აქვს. მიწის ფართობების აღრიცხვა მოუწესრიგებელია. მიწათმოწყობა ფაქტობრივად მოშლილია. ქვეყანაში არ ფუნქციონირებს მიწის მართვის ერთიანი სამსახური. სამინისტროებს შორის ფუნქციები რაციონალურად არ არის გადანაწილებული. მიწის ბალანსი არ დგება. ობიექტური ინფორმაცია მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის შესახებ (გაუდაბნობა, ეროზია, დამლაშება, გაჭუჭყიანება, მეორადი დაჭაობება და სხვა), არ წარმოებს მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის მიზეზების შესწავლა (დადგენა), მათი სისტემური კვლევა.

**თემის მიზანი:** კომპლექსურად იქნას შესწავლილი საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების არსებული მდგომარეობა, კერძოდ, საქართველოს მიწის რესურსების მართვის არსებული სისტემის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მიწის კოდექსისა და მიწის კადასტრის კონცეპტუალური ასპექტები, მიწის დეგრადაციის თანამედროვე მდგომარეობა, მიწის კონსოლიდაციის პროცესები, მიწის რესურსების მართვაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენების



პრაქტიკა, მიწის ბაზრის განვითარების წინაპირობები, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის ეფექტიანობა და სხვა.

დასახელებული და სხვა საკითხების სისტემური ანალიზის საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები, რომლებიც საფუძველად დაედება მიწის რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას.



## აკადემიის სტიპენდიატების მიერ კერძონალურად დასამუშავებელი სამეცნიერო-საკვლევო თემატი (2019-2020 წლები)

### 1. აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქვარცხავა (აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება).

**თემა 1.** „საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების კვლევა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება“.

**თემის მიზანი:** თბილისის შემოგარენში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ადრე დაბინძურებული ნიადაგების შესწავლა. არსებული ნიადაგების შემდგომი გამოყენების პერსპექტივები;

**თემა 2.** „ადგილობრივი, ამ დრომდე შეუსწავლელი ვაზის ჯიშებიდან მიღებული ღვინის ქიმიური კომპონენტების კვლევას და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა“.

**თემის მიზანი:** ადგილობრივი (ქართული), ზოგიერთი დღემდე შეუსწავლელი ყურძნის წითელი ჯიშების შესწავლა. მათი გადამუშავების მეორეული პროდუქტებიდან, კერძოდ ჭაჭიდან ახალი ბიოლოგიურად აქტიური დანამატის შექმნა და გამოყენება საკონდიტრო ნაწარმში, კერძოდ კრემში. ახალი, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის გავლენა კრემის ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებზე, ანტიოქსიდანტურ აქტიურობაზე და მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე სხვადასხვა შენახვის პირობებში.

### 2. აკადემიის სტიპენდიატი ანატოლი გიორგაძე (მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-განყოფილება).

**თემა 1.** „ადგილობრივი ფრინველის გენოფონდის კონსერვაციის პრობლემები საქართველოში“;

**თემის მიზანი:** მოპოვებული იქნას ინფორმაცია ადგილობრივი ფრინველის გენოფონდის შესახებ. როგორია ადგილობრივი ფრინველის ქათმის პოპულაციების, ინდაურის, იხვის, ბატის გავრცელების არეალი და რაოდენობა დღეისათვის. მოხდება

მათი მოკლე აღწერა. მოპოვებული და დამუშავებული იქნება სამეცნიერო ინფორმაცია როგორ უნდა მოხდეს ფრინველის გენოფონდის შენახვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - კრიოკონსერვაციის გზით. კერძოდ: დონორების შერჩევა კონსერვაციისათვის; როგორი უნდა იყოს კონსერვაციისათვის საჭირო ინდივიდი-დონორების რაოდენობა; კონსერვაციისთვის საჭირო მასალის ტიპი; კონსერვაციისთვის საჭირო მასალის რაოდენობა; გენეტიკური რესურსების კრიობანკში შესანახი სპერმის დოზების რაოდენობა; მამლების სპერმის კრიოკონსერვაცია; წყალმცურავი ფრინველების მამლების სპერმის კრიოკონსერვაცია; გენეტიკური რესურსების კრიობანკში შესანახი ემბრიონების (ემბრიონული უჯრედების) რაოდენობა; გენოფონდის შენახვისათვის აუცილებელი ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნები.

**თემა 2.** “მეფრინველეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სრულყოფის რეკომენდაციების შესახებ;”

**თემის მიზანი:** მოპოვებული იქნას ინფორმაცია მეფრინველეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, როგორცაა მსოფლიო ტენდენციები მეხორცულ და მეკვერცხულ მეფრინველეობაში. ყურადღება გამახვილდება კვერცხის და ხორცის ღრმად გადამუშავების საკითხებზე, მიღებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციაზე და ასევე ფუნქციური პროდუქტების წარმოებაზე.

**თემა 3: „ორგანული მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში“.**

**თემის მიზანი:** მოძიებული იქნას ინფორმაციები თემის ირგვლივ. გამოიკვეთოს განვითარების ისტორიული ასპექტები. არსებული კონცეფციები. შესწავლილი იქნას ცალკეული ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნების) გამოცდილება (თავისებურებები, ტენდენციები). გამოკვლეული იქნას პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული მეცნიერების როლი (მათი რეკომენდაციები, გავრცელების არეალი).

განალიზდეს თუ როგორია ორგანული მეურნეობის გაძლიერების თანამედროვე მეთოდები (გამოცდილება).

განალიზდეს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში, ბუნებრივ-საწარმოო პირობები, ისტორიული გამოცდილება (თავისებურებები), საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

მომზადდეს რეკომენდაციები საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

### **3. აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქუთელია (აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილება)**

**თემა:** „ახალი მოწყობილობებისა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით“.

**თემის მიზანი:** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის დამუშავებული იქნება თეორიული საფუძვლები; ჩატარდება მანქანების დეტალების აღდგენის ცნობილი თანამედროვე მეთოდების ანალიზი,

კვლევების თეორიულ ბაზად გამოყენებული იქნება ისეთი თანამედროვე მათემატიკური მეთოდები, როგორცაა: ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება; მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორია; ექსტრემალურ ექსპერიმენტების დაგეგმვა; მასობრივი მომსახურების თეორია.

თემის მიხედვით დამუშავებული და კონსტრუქციულად განხორციელებული იქნება გაცვეთილი დეტალების აღდგენის ახალი დანადგარი.

გამოკვლეული იქნება საქართველოში სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საექსლუატაციო საიმედოობის ისეთი ერთეული და კომპლექსური მაჩვენებლები, როგორცაა: უმტყუნო მუშაობის ალბათობა, ნამუშევარი მტყუნებაზე, მტყუნებათა ინტენსივობა, მტყუნებათა ნაკადის პარამეტრი, მზადყოფნის კოეფიციენტი, ტექნიკური გამოყენების კოეფიციენტი.

განსაზღვრული იქნება, გაცვეთილი დეტალების ცვეთის განაწილების დიფერენციალური და ინტეგრალური ფუნქციები, მიღებული იქნება ცვეთის ადეკვატური ალბათურ-სტატისტიკური მოდელები და დადგენილი იქნება დეტალების ცვეთის ყველაზე უფრო გავრცელებული (მოდალური) მნიშვნელობანი, რომლის მიხედვითაც დასაბუთებული იქნება გაცვეთილი დეტალების აღდგენის რაციონალური ხერხები.

#### **4. აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქავთარაძე (გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება).**

**თემა 1.** - „სატყეო სექტორში არსებული გამოწვევების ანალიზი და მისი გადაწყვეტის რეკომენდაციების დამუშავება“.

**თემა 2.** „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების დამუშავება“;

**თემის მიზანი:** აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაღალია მერქანზე, როგორც ენერგეტიკულ რესურსზე დამოკიდებულება საქართველოში. მიუხედავად ამისა ტყის მართვის სახელმწიფო უწყებას დღემდე არ აქვს შემუშავებული მოსახლეობისა და საჯარო დაწესებულებების სათბობი (მათ შორის ალტერნატიული) რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა. ასევე საჭიროა სათბობი მერქნული რესურსის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის განსაზღვრა, შესაბამისად აქტუალურია საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება.

#### **5. აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე (ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება).**

**თემა:** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური შეფასება, პერსპექტიული ამოცანებისა და პროგნოზული პრიორიტეტების განსაზღვრა“.

**თემის მიზანი:** საქართველოში სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყოებისა და მათი განვითარების რეგიონული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების ირგვლივ მრავალი სამეცნიერო და

გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები შესრულდა, ამჟამად ამ საკითხებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი: პირველყოფლისა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და მეორე მხრივ - საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები და პროგნოზული პრიორიტეტები.

## **6. აკადემიის სტიპენდიატი ეკატერინე კაციტაძე (სურსათი უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილება).**

**თემა 1.** – „ექსტრაქტების (კონცენტრატები) და ნატურალური საღებავების მიღების პროცესის გამოკვლევა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის დამუშავება ახალი ტექნოლოგიური ხაზის კონსტრუირების საშუალებით“.

**თემა 2.** – „დადებითი ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე ნივთიერებებით მდიდარი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით თანამედროვე ტენდენციის პროდუქტების მიღების პროცესის გამოკვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება“.

**თემის მიზანი:** ამჟამად, კვება და ჯანმრთელობა ორიენტირებულია ახალ სტრატეგიაზე - ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი, თანამედროვე ტენდენციის გადამუშავებული პროდუქტების წარმოებაზე. ძირითადად ეს არის ბრძოლა თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ ქრონიკული დაავადებების (გულსისხლძარღვთა სისტემა, დიაბეტი, კიბო, კატარაქტა და სხვ.) განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ კვებასთან ასოცირებული არაგადამდები დაავადებების და მათგან გამოწვეული სიკვდილიანობის სტატისტიკა საკმაოდ მაღალია, რასაც ადასტურებს თანამედროვე გლობალური კვლევის შედეგები (Health effects of dietary risks in 195 countries, 1990-2017: a systematic analysis for the Global Burden of Disease Study 2017) [Journal, „TheLancet“ April 03, 2019/https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736\(19\)30041-8/fulltext](https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(19)30041-8/fulltext) ).

გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, WHO, EU) რეკომენდაციები ჯანსაღ კვებასთან მიმართებაში, რაც გულისხმობს თავისუფალი შაქრების მოხმარების მნიშვნელოვან შეზღუდვას და ჯანმრთელობისთვის საშიში სხვა რისკ-ფაქტორების (მარილი, ტრანსცხიმები, ალკოჰოლი, გლუტენი და სხვ.) მინიმუმამდე შემცირებას.

## **7. აკადემიის სტიპენდიატი დარეჯან დულაშვილი (სურსათი უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილება).**

**თემა :** „სურსათისმიერი ზოონოზის რისკის შეფასება“.

**თემის მიზანი:** განხორციელდება საქართველოში სურსათში ბრუცელას შემცველობის შესახებ, ვეტერინარული მონიტორინგის, ასევე ეპიდემიოლოგიური მონაცემების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, აგრეთვე ვირულენტობასთან

დაკავშირებით გენეტიკური მახასიათებლების გამოვლინება. განხორციელდება ბრუცელას, როგორც სურსათისმიერი საფრთხის იდენტიფიცირება და დახასიათება (ადგილობრივი და საერთაშორისო უახლესი სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე; განხორციელდება ბრუცელას, როგორც სურსათისმიერი საფრთხის ექსპოზიციის სცენარების დამუშავება, მოდელების დიზაინის შექმნა და შესაბამისი კონცეპტუალური მოდელების შედგენა - ექსპოზიციის შეფასების მიზნით.



## **თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებაში**

### **6.1. აბრონომიის სამეცნიერო განყოფილება**

**აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანია,  
აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.**

განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 13 წევრი, მათ შორის 12 აკადემიკოსი და 1 წევრ-კორესპონდენტი. განყოფილებაში ირეცხება აკადემიის ერთი სტიპენდიატი.

განყოფილების წევრები არიან: აკადემიკოსები: ალექსიძე გურამი, ბაღათურია ნუგზარი, ვასაძე იუზა, კვალიაშვილი ვაჟა, კოპალიანი როლანდი, კოლუაშვილი პაატა, მარგველაშვილი გოგოლა, ურუშაძე თენგიზი, ჩანქსელიანი

**ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ჯაბნიძე რევაზი, თურმანიძე თამაზი, ლიპარტელიანი ოთარი და სტიპენდიატი გიორგი ქვარცხავა.**

განყოფილების საქმიანობა მოიცავს აგრარული სფეროს მიმართულებებს: მევენახეობას, მეხილეობას, ნიადაგმცოდნეობას, აგროქიმიას, მემარცვლეობას, პროდუქტების გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიებს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, მცენარეთა დაცვას და ა.შ.

განყოფილების სდომებზე პერიოდულად მოისმინებოდა განყოფილების წევრთა ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ. სულ ჩატარდა 5 სხდომა (მათ შორის ორი სატყეო განყოფილებასთან ერთად), 1 მრგვალი მაგიდა (აჭარა – აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე).

2020 საანგარიშო წელს აგრონომიის სამეცნიერო განყოფილებაში სულ ჩატარდა სხდომა.

**პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს და განხილული იქნა საკითხები:**

1. ინფორმაცია აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, სწავლული მდივანი, დოქტორი რევაზ ლოლიშვილი.

2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა ჩატარდა 26 თებერვალს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები:**

1. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

2. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მესამე სხდომა ჩატარდა 22 იანვარს და განხილული იქნა საკითხები:**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის:

1. მეხილეობის კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვ. კვალიაშვილი.

2. მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

3. ბიოაგროწარმოების სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვ. კვალიაშვილი.

4. ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე.



5. მევენახეობის კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

6. დნმ-ის ლაბორატორიის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

7. ინ ვიტრო 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

8. მცენართა დაცვის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** დოქტორი ნინო ლომიძე.

9. ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** დოქტორი რევაზ ლოლიშვილი.

10. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი.

11. ეკოფიზიოლოგიის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** დოქტორი მაია მელაძე.

12. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი.

13. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი რეზო ჯაბინძე.

**მეთხე სხდომა ჩატარდა 13 ივლისს და განხილული იქნა საკითხები:**

1. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

2. აკადემიის წევრ-კორესპოდენტ ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

3. „ჩაის პლანტაციების განოყიერების სისტემის სრულყოფისათვის“.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

**მეხუთე სხდომა ჩატარდა 25 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები:**

1. ვაზის გენოფონდის კვლევისა და განვითარების ღონისძიებები

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

2. მეხილეობა გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი

აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების წევრები არიან აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული ჟურნალ “მომბის“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრები და აქტიურად მონაწილეობენ აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2020 წლის 17 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების თაოსნობით ჩატარდა გაუდაბნოების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სემინარი. სემინარზე მოხსენება გააკეთა აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა – „გვალვასთან და გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე – 17 ივნისი“ და სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივანმა სოფლის მეურნეობის დოქტორმა რევაზ ლოლიშვილმა – „17 ივნისი გაუდაბნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე“.



### 6.1.1. აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების) დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ინფორმაცია აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ	იანვარი	სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი რ.ლოლიშვილი	
2	აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ	იანვარი	სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი	
3	აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი	
4	აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო	თებერვალი	აკადემიკოსი ვალერიან ცანავა	

	მუშაობის შესახებ			
5	აკადემიკოს ნუგზარ ბალათურას ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია	
6	ნახევრად ტკბილი ღვინის – ხვანჭკარას დაყენების ინოვაციური ტექნოლოგიის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია	
7	აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე	
8	აკადემიკოს გურამ ალექსიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი გურამ ალექსიძე	
9	მარცვლეულის წარმოება – ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტი	აპრილი	აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი	
10	აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი	
11	ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგის განვითარების მნიშვნელობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი	

12	აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი	
13	აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი იუზა ვასაძე	
14	საქართველოში ნახევარუდაბნოების შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
15	მირაჟები ოპტიკური ილუზია თუ ბუნების მისტიური საოცრება	ივნისი	დოქტორი რევაზ ლოლიშვილი	
16	აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი	
17	აკადემიის წევრ-კორესპოდენტ ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ოთარ ლიპარტელიანი	
18	სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ	სექტემბერი	აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი	
19	პალმის ზეთის ალტერნატივა პურპროდუქტების წარმოებისას	სექტემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
20	კვების მრეწველობაში მეორადი ნედლეულის რესურსებისა და მათი	ოქტომბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	

	გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ			
21	მცენარის ზრდის სტიმულატორების (ენერგოაქტივატორების) გამოყენება სოფლის მეურნეობაში	ოქტომბერი	აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
22	ვაზის გენოფონდის კვლევისა და განვითარების ღონისძიებები	ნოემბერი	აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი	
23	მეხილეობა გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში	ნოემბერი	აკადემიკოსი ვაჟა კვლიაშვილი	
24	ინფორმაცია აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2021 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, დოქტორი რევაზ ლოლიშვილი	
25	ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ქიმის დოქტ. გ. ქვარცხავას მიერ 2019 წელს ჩატარებული სამეცნ. საქმიანობის შესახებ	დეკემბერი	გიორგი ქვარცხავა	

6.1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	თემა, საკითხი	ღონისძიება	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	სემინარი მიძღვნილი გაუდაბნობასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი	სემინარი	17 ივნისი	აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება	
2	მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული სამეცნიერო	კონფერენცია	სექტემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

	კონფერენცია				
3	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ. წერეთლის ქუთაისის სახ. უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
4	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
5	ნიადაგების მსოფლიო დღე	კონფერენცია	5 დეკემბერი	აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	



6.1.3. აბრონომიის სამეცნიერო განყოფილების წევრების 2020 წლის ანგარიშები



### 6.3.1.1. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

აკად. გურამ ალექსიძის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის მოკლე ანგარიში.

2020 წელს, ისევე როგორც წინა წლებში აკად. გ. ალექსიძე ატარებდა იმ ძირითად სამუშაოებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიის პრეზიდენტის უფლებებითა და მოვალეობებით.



#### 1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

1.1. თემა: „მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ფორმირების პრობლემები საქართველოში“. თემის მიზანია: ჩატარდეს ინვენტარიზაცია საქართველოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზი, ხეხილი, ციტრუსები, ბოსტნეული და მარცვლეული კულტურები) მავნებლებისა და დაავადებების შესახებ. დამუშავდეს ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, რომელიც მიზნობრივად აერთიანებს

ქიმიურ, ბიოლოგიურ, ბიოტექნოლოგიურ, აგროტექნიკურ, ფიზიკურ და სხვა ღონისძიებებს, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

1.2. თემა: მცენარეთა ადგილობრივი გენეტიკური რესურსების მოძიება, სისტემატიზაცია და კონსერვაცია „ex-situ“ პირობებში

თემის მიზანია: მოვიძიოთ, დავახარისხოთ და “ex-situ” პირობებში შევინახოთ საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშების თესლი (მარცვლეულის, ბოსტან-ბაღყეულის, პარკოსნების, სამარცვლე-პარკოსნები, სამკურნალო და სხვა) . თემის შესრულების დროს, გამოყენებული იქნება ექსპედიციები საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, ლაბორატორიაში მოხდება მათი გადარჩევა და მაცივრებში (+ 5<sup>0</sup> C) შენახვა.

2. აკად. გ. ალექსიძე ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს: „მცენარეთა ინტეგრირებულ დაცვაში“ და „მცენარეთა პათოლოგიაში (ინგლისური სექტორი). აგრეთვე „ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში“ (ქართული სექტორი). ამის გარდა, ხელმძღვანელობს ორი მაგისტრანტის სადიპლომო სამუშაოს მცენარეთა ინტეგრირებულ დაცვაში (ინგლისური სექტორი). 2020 წელს აკად. გ. ალექსიძის ხელმძღვანელობით დოქტორანტმა თ. ხოსიტაშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

### 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

- 3.1. გურამ ალექსიძე (თანაავტორობით) – “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(43), 2020, გვ. 4-8;
- 3.2. გურამ ალექსიძე (თანაავტორობით)-“კარტოფილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(43), 2020, გვ. 169-174.
- 3.3. გურამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე, ომარ ქეშელაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, ანატოლი გიორგაძე-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ახალ სიმაღლეზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 4-7.
- 3.4. გ. ალექსიძე (თანაავტორობით) – “პომიდორის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 125-130.
- 3.5. გ. ალექსიძე, (თანაავტორობით) – “კიტრის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 131-134.
- 3.6. გ. ალექსიძე, (თანაავტორობით) – “კომბოსტოს მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 135-138.
- 3.7. გ. ალექსიძე (თანაავტორობით) –“სტაფილოს მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 139-146.
- 3.8. გ. ალექსიძე, (თანაავტორობით) – “ბადრიჯნის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 147-148.
- 3.9. გ. ალექსიძე, (თანაავტორობით)-“სუფრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე”, №1(44), 2020, გვ. 149-151.

### 4. სსმმ აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე წარმოდგენილი იქნა შემდეგი საკითხები:

4.1. აკადემიის მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;

მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე (აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი #1, 29.01.2020);

4.2. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ პრეზიდიუმის წევრებს გააცნო ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის მეცნიერებათა აკადემიის კავშირის (UEAA) მიმართვა და მოწოდება საერთაშორისო დონეზე კოორდინირებულ და ამავდროულად ლოკალურად რელევანტური ღონისძიებების განხორციელებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავს ზემოქმედება მოახდინოს COVID-19-ზე და შეამციროს მისი საშუალო და გრძელვადიანი გავლენა სოფლის მეურნეობასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე (ოქმი #3, 25 ივნისი, 2020);

4.3. აკადემიის საერთო კრება. მოხსენება; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2020 წლის აგრარული მეცნიერების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე (ოქმი #1, 21 თებერვალი, 2020);

4.4. აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ (ოქმი #2, 14 ივლისი, 2020);

## 5. 2020 წელს ორგანიზაციების წევრობა.

5.1. მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს გაიმართა ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აღნიშნული კავშირის წევრია 2015 წლიდან. შეხვედრას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ქვეყნები: საქართველო - აკად. გურამ ალექსიძე (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), საფრანგეთი - აკად. მიშელ ტიბიერი (საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლიეტუვა - აკად. ზენონას დაბკვიჩი (ლიეტუვას მეცნიერებათა აკადემია), რუმინეთი - აკად. იოან იელევი (რუმინეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის აკადემია), ჩეხეთი - აკად. ვილემ პოდრაზკი (ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლატვია - აკად. ბაიბა რივზა (ლატვიის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის მეცნიერებათა აკადემია), შვედეთი - აკად. კერსტინ ნიბლიაუსი (შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის აკადემია), უკრაინა - აკად. იაროსლავ გამალო (უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ინგლისი - პროფ. ენდრიუ ლაზენბაი (ინგლისის სამეფო სოფლის მეურნეობის საზოგადოება). ასევე ესწრებოდნენ საბჭოს მომავალი ორი წევრი ქვეყანა: იტალია - პროფ. სიმონე ორლანდინი (გეორგოფილის აკადემია) და სლოვაკეთი - აკად. სტეფან მიჰინა (სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია). დღის წესრიგში იდგა ევროპის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდენტის არჩევა.

პრეზიდენტად ერთხმად არჩეული იქნა ევროპის სოფლის მეურნეობის სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სტეფან მიჰინა.

5.2. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის თავმჯდომარე;

5.3. ქართული ენციკლოპედიის აგრარული სექტორის ხელმძღვანელი;

- 5.4. ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- 5.5. აზიური ფაროსანას სახელმწიფო საბჭოს წევრი;  
აკადემიის ჟურნალის “მოამბე” მთავარი რედაქტორი.



### 6.1.3.1. აკადემიკოსი ნუზარ ბაღათურია



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს ნუზარ ბაღათურიას ანგარიში 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

- 1. აკად. ნ. ბაღათურია 2020 წელს ხელმძღვანელობდა 2018 წელს დაწყებულ გარდამავალ სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებს.

თემების დასახელება (გეგმიური), რომლის კვლევას იგი ხელმძღვანელობს:

- 1.1. კოლხური ბიო ღვინისა და ბიო ალკოჰოლიანი სასმელების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოკვლევა;
- 1.2. ციტრუსოვანთა ნაყოფების გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოკვლევა;
- 1.3. ნატურალური ეთეროვანი ზეთებისა და საკვები დანამატების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოკვლევა.
- 2. აკად. ნ. ბაღათურიას მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:
  - 2.1. არის მაგისტრანტების თ. კუციას, მ. ლოლაძისა და ნ. ხერხეულიძის სამაგისტრო ნაშრომების მეცნიერ-ხელმძღვანელი.
- 3. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:
  - 3.1. „კლიმატური პირობების გავლენა საქართველოს საზღვრებში არსებული ხილ-კენკროვანთა გენეტიკური რესურსების ქიმიურ შედგენილობაზე“ (თანაავტორები მ. ლოლაძე და ბ. ბარათურია) - სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“, სსმმ აკადემია, თბილისი, 2020 წლის 25 სექტემბერი,
- 4. გამოქვეყნებული მონოგრაფიები.
  - 4.1. **Bagaturia N.Sh. GEORGIAN WINE SCIENCE. Wine formation and ageing on the must.** Lambert, Academic Publishing. Germany, 2020. 181 p.;

მრავალწლიანი გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მონოგრაფიაში პირველადაა აღწერილი თეთრი ღვინოების დურდოზე ალკოჰოლური დუდილისას მიმდინარე ფიზიკურ - ქიმიური გარდაქმნები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დამუშავებულია ქართული ტიპის ღვინოების მეცნიერული საფუძვლები.

**4.2. БАГАТУРИЯ Н.Ш. ГРУЗИНСКОЕ ВИНОДЕЛИЕ. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА. 2020.** Lambert, Academic Publishing. Germany, **241 Стр.;**

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ქართული ტიპის ღვინოების წარმოების თეორია და პრაქტიკა. აღწერილია ბიო ღვინისა და ბიო ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები. მოყვანილია ღვინის მრეწველობის ნარჩენების ქიმიურ-ტექნოლოგიური დახასიათება და მათი უტილიზაციის პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები.

**4.3. БАГАТУРИЯ Н.Ш. КРИТЕРИИ ОЦЕНКИ НАТУРАЛЬНОСТИ АЛКОГОЛЬНЫХ И БЕЗАЛКОГОЛЬНЫХ НАПИТКОВ, 2020.** Lambert, Academic Publishing. Germany, 164 Стр.;

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში შესრულებულ მრავალწლიან გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ნატურალობის შეფასების ფიკურ-ქიმიური კრიტერიუმები.

**4.4. БАГАТУРИЯ Н.Ш. ЭФИРНЫЕ МАСЛА ЛЕКАРСТВЕННЫХ И ПРЯНО - АРОМАТИЧЕСКИХ РАСТЕНИЙ / . ХИМИЯ, ТЕХНОЛОГИЯ, ПРИМЕНЕНИЕ, Lambert, Academic Publishing. Germany, 2020– 377 стр.;**

მონოგრაფიაში პირველად იქნა აღწერილი და ახსნილი მცენარეული ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთების დისტილაციის პროცესის მექანიზმი. კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია. მოყვანილია 150-ზე მეტი დასახელების ნატურალური ეთეროვანი ზეთის ქიმიურ - ტექნოლოგიური დახასიათება. წარმოდგენილია ეთეროვანი ზეთების გამოყენების რეცეპტურები არომათერაპიის პრაქტიკაში.

**4.5. БАГАТУРИЯ Н.Ш. МОЙКА ВИНОГРАДА. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА.** Lambert, Academic Publishing. Germany, 2020, **77 Стр.;**

ბავშთა კვებისათვის განკუთვნილი ეკოლოგიურად სუფთა ყურძნის წვენის მისაღებად, მონოგრაფიაში პირველადაა შემოთავაზებული ნაწნეხი ფრაქციებით ყურძნის რეცხვის მეცნიერული საფუძვლები. ასევე წარმოდგენილია ღვინის მრეწველობაში ყურძნის რეცხის გავლენის ამსახველი გამოკვლევის შედეგები ტკბილის ფერმენტაციის პროცესსა და ღვინის ხარისხზე.

**4.6. საქართველოს აკადემიის და გალაგამუშავებული მონოგრაფიის ინოვაციური განვითარების სტრატეგია.** (თანაავტორი გ. ბაღათური). თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი, 22 გვ.

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგია; კვების პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის მდგომარეობა და გავითარების პერსპექტივები შესახებ საქართველოში; 3) ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებისა და სამრეწველო დანერგვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირება.

**5. სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის:**

**5.1. კვების ინფუსტრირის ინჟინერია და ტექნოლოგიები. ტ.1. 331, ბვ. თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი,**


სახელმძღვანელოში მოცემულია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერული საფუძვლები. აღწერილია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად დარგებში მცენარეული ნედლეულისგან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები და მათზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები.

**5.2. კვების ინფუსტრირის ინჟინერია და ტექნოლოგიები. ტ.II. 379, ბვ. თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი,**

სახელმძღვანელოში მოცემულია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერული საფუძვლები. აღწერილია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად დარგებში მცენარეული ნედლეულისგან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები და მათზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები.

**6. წინადადებები სსმმ აკადემიის პრეზიდიუმზე განსახილველად:**

პანდემიის შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, აკად. ნუგზარ ბაღათურას აუცილებლად მიაჩნია, მთავრობაში წარსადგენად, 2021 წელს განხილულ იქნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებული ნაშრომი: „საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების სტრატეგია“.



**6.1.3.2. აკადემიკოსი იუზა ვასაძე**



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიის ეროვნული კოორდინატორის იუზა ვასაძის 2020 წლის ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში



დასაქმების ადგილი „საქართველოს მეღვინეთა, მევენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-საწარმოო კავშირი“ პრეზიდენტი (არასამთავრობო ორგანიზაცია საინდე-ტიფიკაციო კოდი 404918292).

1. გამოქვეყნებული შრომებისა რაოდენობა სულ 182, მათ შორის 2021 წელს ერთი ბროშურა და 8 რეკომენდაცია.

1.1. **ბროშურა „ხეხილოვან კულტურათა თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“** (გადაცემულია დასაბეჭდათ).

სოფლის მეურნეობის დარგების ეფექტიანი ფუნქციონირება, საბაზრო კონუქტურის გათვალისწინებით ბევრად არის დაკავშირებული აგროსამრეწველო ინტეგრაციის რთული პროცესები ოპტიმალურ, მეცნიერულად დასაბუთებულ რეგულირებასთან. ის ვერ განვითარდება მთელი სოფლს მეურნეობის ინტეგრაციისა და კავშირ-ურთიერთობათა განმტკიცების გარეშე. ამიტომ სოფლის მეურნეობის ურთიერ-თკავშირების გაღრმავებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება დარგის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურ-თიერთობებსა და მათ სრულყოფას. მისი გადაწყვეტისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის კომპლექსის განვითარების. ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზა-ციულ მოთხოვნილებათა შესწავლა. ამ დარგში არსებული პოლიტიკური ძირითადი ტენდენციების გამოვლინება და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოებაში თანამედროვე მასშტაბებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამ საკითხების განხილვას ეთმობა ძირითადად ყურადღება ასეთებია: ხეხილოვან კულტურათა განვითარების პროგრამის განხორციელების აქტუალობა; ხელისშემშლელი პირობები, ხეხილოვან კულტურათა მარკეტინგი; მათი წარმოების საკანონმდებლო ბაზა; სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პოლიტიკა; საერთაშორისო პროგრამები და საკრედიტო პოლიტიკა დარგის მთავარი ამოცანები; გასატარებელი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები

**სამეცნიერო სტატია:** ი. ვასაძე - „საქართველოში ძირითადი მრავალწლიანი ხეხილოვან კულტურათა თანამედროვე მდგომარეობა და გადაადგილება კლიმატური ზონების მიხედვით ბუნებრივი პირობების ცვლილებების გათვალისწინებით“, სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25.09.2020;

## 2. გამოქვეყნებული რეკომენდაციები

2.1. **„ხეხილის საძირების სტანდარტი“.** ხეხილის საწარგე მეურნეობები ვალდებული არიან დაიცვან ნათესების კლონური საძირების დაკალმებით დაფესვიანებული და ნამყენი ნერგის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელიც დაწესებულია სახელწიფო სტანდარტით. აღნიშნულისათვის ხეხილსაწარგეს აგროღონისძიებები მიმართული უნდა იყოს საძირებისა და ნერგის ხარისხობრივი

მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად. სანერგის მფლობელმა წინასწარ უნდა იცოდეს სარგავი მასალის სტანდარტი გამოსახული ხარისხობრივ მაჩვენებლებში.

სადირების რეალიზაციის ან მისი სანერგის პირველ მინდორზე გადარგვის დროს იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დაავადებებისაგან, ფოთლების გარეშე, არ უნდა იყოს გამომშრალი და გამხმარი, უნდა ჰქონდეს ერთი ღერო ფესვებით კარგად შებუსუსული, ღეროს და ფესვებს არ უნდა ჰქონდეს დაზიანებები, კანის დანაოჭება, გულგულისა და კამბიუმის მერქნის გამოუქება. ქსოვილის სიმწიფე უნდა იყო სრული, დასაშვებია კვირტგაბერილი საძირის დარგვა მწვანე კონუსის გამოჩენამდე. არ დაიშვება საძირის ღეროს ფუზარიტოზით გამოწვეული დამწვრობა და გატეხვა.

რეკომენდაციაში მოცემულია თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი, მშრალი სუბტროპიკული და კენკროვანი კულტურების საძირეთა სტანდარტები კულტურების მიხედვით.

## **2.2. „ხეხილის სარგავი მასალის სტანდარტი“.**

ხეხილის სარგავი მასალის სტანდარტი ვრცელდება ნერგებზე სადედე და სამრეწველო ბადის გასაშენებლად. მოსახლეობისათვის სარეალიზაციო ნერგების არცთუ დიდი ოდენობით რეალიზაციისას საჭიროა ყოველ ნერგზე ეტიკეტის ჩამოჭიდება კულტურის, ჯიშის, საძირის სასაქონლო ხარისხის აღნიშვნით. თესლოვანი და კურკოვანი კულტურებისათვის ნერგის სტანდარტული მოთხოვნები არის წარმოდგენილი, კაკლოვანი და მშრალი სუბტროპიკული კულტურებისათვის ტექნიკური მოთხოვნები, ხოლო კენკროვანი კულტურების ჯიშებისათვის სარგავი მასალის სტანდარტი, რაც გამოწვეულია კულტურების თავისებურებებით.

## **2.3. „ყინვებისგან დაზიანებული ხეხილის მოვლა“.**

ყინვებისაგან დაზიანებული ხეხილის მოვლის ღონისძიებებით მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აუცილებელია დადგენილ იქნეს ხეხილის დაზიანების ხარისხი, რის შემდეგ უნდა განხორციელდეს. მისი ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებები. იგი უნდა განისაზღვროს როგორც ახალგაზრდა (2-4 წლის) ახალგაზრდა, ასევე მსხმოიარე ბაღებში. ხეხილის გაზაფხულზე წაყინვების დასაცავად საჭიროა განისაზღვროს წაყინვების მოსალოდნელი პერიოდი და ამასთანავე შეირჩეს ისეთი მიკრო ადგილები, სადაც ხეხილი გვიან იწყებს ყვავილობას, როგორც არის მთისწინები და გვიან მოყვავილე ჯიშები, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია გარგარის კულტურა.

## **2.4. „ხეხილის გასხვლა ფორმირება, მათი გაახალგაზრდავება და მექანიკური დაზიანებების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები“**

ხეხილის გასხვლა-ფორმირების ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ხეხილის ძლიერ ვეგეტატიურ ზრდას, შექმნას ჯანსაღი, კომპაქტური ფართი და მოამზადოს იგი მსხმოიარობისათვის. შემდეგ წლებში კი ვეგეტატიურ ზრდასთან ერთად, უზრუნველყოს სანაყოფე ტოტების ჭარბად განვითარება და უხვი მოსავლის მიღება.

ხეხილის სხვლა უნდა ჩატარდეს შემოდგომაზე - ფოთოლცვენის შემდეგ, და ადრე გაზაფხულზე - ვეგეტაციის დაწყებამდე. თბილ ამინდში სხვლა შეიძლება გაგრძელდეს ზამთრის განმავლობაში. ასევე როგორც წესი ანასხლავი ტოტები დაუყონებლივ უნდა შეგროვდეს, ბალიდან გაიზიდოს და დაიწვას. აუციელებლია ასევე მცენარეზე მიყენებული ჭრილობები დამუშვდეს - წაესვას მალამო - რისთვისაც გამოიყენება ბალის მალამოს შემცლელი პეტროლატუმი.

გამაახალგაზრდავებელი გასხვლა უნდა ჩატარდეს 2-3 წლიან მერქანზე, რომლის ნაზარდის სიგრძე არ აღემატება 3-5 სმ-2. გაახალგაზრდავება მიზანშეწონილია ჩატარდეს 3-4 წლის და უფრო მეტი ხმავანების მერქანზე, იმისათვის, რომ გაახალგაზრდავების შემდეგ გაიზარდოს წლიური ნაზარდი და ხეხილის ექსპლოატაციის პერიოდი. გაახალგაზრდავებული ხეების ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა ხეხილს შეუქმნათ მაღალი აგროტექნიკური ფონი.

## **2.5. „ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები“.**

საქართველოს პირობებში ეროზია უდიდესი ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, რაც ვლინდება ნიადაგის ნაყოფიერების დაცემასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირებაში. ამასთან, გადარეცხილი ნიადაგები თანდათანობით გამოდიან სასოფლო-სამეურნო სარგებლობიდან და ხელს უწყობენ ზედაპირული ჩამონადენის გადიდებას, ნიადაგის დახრამვა-გადარეცხვას, წყალსაცავებისა და სარწყავი არხების ამოვსებას, უეცარი წყალდიდობებისა და კატასტროფული სელური (ქვატალახიანი) ნიადაგების წარმოშობის თავისი უარყოფითი შედეგებით.

საქართველოში იშვიათია ისეთი მუნიციპალიტეტი, სადაც არ მჟღავნდება ქარების უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე იგი განსაკუთრებით იგრძნობა ქვემო ქართლის რაიონებში. სადაც ძლიერი ქარების გავლენით ხდება ნიადაგის ზედა, ჰუმუსონი ფენის მოტაცება, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება მისი ნაყოფიერება აღნიშნულია ფაქტი, როცა საქართველოში, ძლიერი ქარების შედეგად, იძულებული იყვნენ ხელმეორედ გადაეთესად 150 ათასზე მეტი ჰექტარი, ეროზია უდიდეს ზარალს აყენებს ქვეყნის სახალხო მეურნეობას ამიტომ მასთან ბრძოლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

## **2.6. „ხეხილოვანი კულტურების მორწყვა“.**

ნაკვეთების სათანადოდ მომზადების შემდეგ ვიყენებთ მორწყვის ოთხ ძირითად წესს: ზედაპირულს, ნიადაგქვეშას, დაწვიმებითსა და წვეთოვანს. მორწყვის წესებიდან წყლის ეკონომიკურად ხარჯვის მიზნით ყველაზე პერსპექტიულია ნიადაგქვეშა და წვეთოვანი მორწყვა.

**სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა.** სპეციალობის მიხედვით აკად. ი ვსაძის ხელმძღვანელობით დაცულია სამი საკანდიდატო და ცხრა სადოქტორო დისერტაციები საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუციისა და

საქართველოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, ასევე დაცულია ხუთი დიპლომი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. აკად. ი. ვასაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებში - 11, სიმპოზიუმში - 3; სესიებში-22; მისი გამოსვლები კონფერენციებსა და სესიებზე ეხებოდა ძირითადად მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შ. რუსთაველის სახელობის ეროვნული ფონდში შესრულებულია საგრანტო პოექტი (გრანტი N GF N SF/ST-07-0270).

აკად იუზა ვასაძე არის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი, „საქართველოს მევენახეთა და მებაღეთა კავშირის“ ყოველწლიური ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

მიღებული აქვს გამოგონება - 8, პატენტი - 6, ავტორია თხილის 3 ახალი ჯიშის.

**წინადადებები.** პერსპექტივებიდან გამომდინარე მიზანმიმართულად მიაჩნია განმეორებით დასახელდეს მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგის ის ღვაწლმოსილი მეცნიერები, რომელთა შერჩევით გზით აკადემიაში მოსვლა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებასა და აღმავლობას, ასეთები არიან: მეხილეობაში: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: ბ. შენგელია, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ი. ბასილაია; ხოლო მებოსტნეობაში პროფ. ვ. სუხიშვილი და დოქტორი ნ. კაკაბაძე.

აკად, იო ვასაძეს მიაჩნია, რომ დარგი მყარად დგას იმ კონცეფციაზე, რომელიც დამუშავებულია პირველად ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და რომელიც ცნობილია „სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზის“ სახით და მისი ცხოვრებაში გატარება დამაჯერებელ შედეგამდე მიიყვანს ქვეყნის სოფლის მეურნეობას და კერძოს მეხილეობის დარგს.

მომავალ 2021 წელს აკად. ი. ვასაძის მიერ შესწავლილი იქნება:

1. მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა შიდა-ქართლის მეხილეობის ზონაში.
2. მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა გურიის მეხილეობის ზონაში.



### 6.1.3.3. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი



ინფორმაცია აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის მიერ ვაზის და ხეხილის სელექციაში 2020 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

1. თემის დასახელება: „ვაზის და ხეხილოვანი კულტურების ქართული გენოფონდის გამდიდრება და ხარისხოვანი გაუმჯობესება ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის გზით „(თემის ხელმძღვანელი).

სამუშაო სრულდება გორის მუნიციპალიტეტში - ქ.გორში (საწყისი ცდები, პირველადი სამუშაო საკარმიდამო ნაკვეთზე) და ს.წედისში (ძირითადი

სამუშაო საკუთარ 0,4 ჰა-ზე; ასევე, ფერმერ მ. წიქარიძის მამულში) ერთმანეთისგან გეოგრაფიულად და გარემო პირობებით განსხვავებულ ადგილებზე.

საანგაროში 2020 წელს მუშაობა და დაკვირვება გაგრძელდა წინა წლებში მიღებული ვაშლის, ატმის, ქლიავის და ვაზის ჰ/თესლნერგების აღზრდა-განვითარება-მსხმოიარობაში დაჩქარებით შესვლაზე და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევაზე; პარალელურად, მიმდინარეობდა სამუშაოები გაუმჯობესებული სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების მქონე ხეხილის და ვაზის ახალი ფორმების მისაღებად ადგილობრივი და ინტროდუცირებულ ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით.

ადრეული გაზაფხულის მიუხედავად, არასტაბილურმა (მარტ-აპრილში ყინვებმა) და უხვნალექიანმა ამინდებმა დააზიანეს ზონის (მ.შ საცდელ ნაკვეთებზე) ხეხილის, განსაკუთრებით, კურკოვანი ხეხილის, სანაყოფე კვირტები და მნიშვნელოვნად შეაფერხეს მცენარეთა ყვავილობა-განაყოფიერება და შეამცირეს მოსავალი.

სოფ. წედისში, ფერმერ მ. წიქარიძის ვენახში 2018 წელს დარგულმა ჰ/ატმის თესლნერგებმა (8 ჯგუფი, 80 მცენარე) 2020 წელს ნორმალურად განვითარეს საყვავილე კვირტები, დაიწყეს ყვავილობა, მაგრამ უმეტესობა დაზიანდა წაყინვებისაგან (-4°C) და შემცირდა მსხმოიარობის მაჩვენებელი; გამორჩეული ატმის ფორმები გამრავლდება და გამოცდის მიზნით დაირგება გორის და კასპის ზონის 3-4 სოფელში.

სოფ. სკრაში (ლ. ბალიაშვილის კერძო საწარმოში) 2019 წელს დამყნობილი ატმის 11 ჰ/ფორმიდან 2020 წლის მარტში ყინვა/წაყინვისაგან დაზიანდა 8 ჰ/ფორმის დამყნობილი კვირტი; გადარჩა 3 ფორმა, რომელთა ნამყენი ნერგები დაირგება სოფ. წედისის საცდელ ბაღში;

ყინვისგან დაზიანებული ფორმები ხელახლა დაიმყნობა მომავალ წელს (მ.შ. გაზაფხულზე) სხვა პერსპექტიულ ფორმებთან ერთად.

ხეხილის და ვაზის ჰ/ფორმებზე და საკონტროლო მცენარეებზე აღირიცხა ფენოფაზების მიმდინარეობა და შესაბამის ვადებში ჩატარდა სათანადო აგროტექნოლოგიური სამუშაოები, (ხანგრძლივი და ცხელი გვალვების დროს წედისის საცდელი ბაღის და მეზობელი ფერმერების ბაღ-ვენახების ნაკვეთების რწყვის გარდა, რაც მდინარის სათავეში წყლის ნაკლებობამ და ჩამონადენი წყლის მოხმარებაზე



ყოველწლიურმა უკონტროლოდამ განაპირობა).

გაზაფხულზე გორში დაითესა ჰ/ატმის თესლი; დასაფესვიანებლად ჩაეწყო საღვინე ჰ/ვაზის - გორული თეთრის კალმები. ატმის თესლნერგები და დაფესვიანებული ვაზის კალმები დაირგვება წედისის საცდელ ბაღში.

გორში, ხეივანად ფორმირებული ჰ/ვაზის ჯიში გორული წითელი ათეული წელია ყურძნის ხარისხით, მოსავლიანობით და დაავადებათა მიმართ გამძლეობით აღემატება მის გვერდით მდგომ და ხეივანზე ფორმირებულ საწყის ჯიშს თავკვერს;

თავკვერის და გორული წითელის მცენარის დაავადებათა მიმართ გამძლეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ მივიჩნიედ მათი შეჯვარება რეგიონში აპრობირებულ და

მეტი გამძლეობის მქონე, ინტროდუცირებულ ჰიბრიდულ ვაზის ჯიშებთან - სეივ ვილარი და მოლდოვა.

ამ მიზნით - გორში, გასულ წელს (2019. 3/VI), ჯიშთშორისი შეჯვარებით: თავკვერი x სეივ ვილარი, გორული წითელი x მოლდოვა, გორული წითელი x სეივ ვილარი და ანანასური x სუფრის გორულა - მიღებული ჰ/წიპწა (შემოდგომა - ზამთარში სტრატეგიცირების შემდეგ), 2020 წლის აპრილში ჩავთესედ ყუთებში სპეციალურად მომზადებულ ნიადაგში. აღმოცენდა 197 ვაზის მცენარე, რომლებიც სათანადო მოვლის შედეგად, ნორმალურად განვითარდნენ.

ნოემბერში ვაზის ჰ/თესლნერგები, ყინვებისაგან დაცვის მიზნით, ამოვიღეთ ყუთებიდან და გამოსაზამთრებლად შევინახედ სარდაფში (სილაში).

13 ოქტომბერს გორში მოიკრიფა გორული წითელის ყურძენი. წვენის შაქრიანობა იყო 23,0%. დაწურული წვენი დუღილის პროცესშია. ღვინოს გაუკეთდება ანალიზები და აკადემიის აგრონომიულ ს/განყოფილებაში მოხდება სადეგუსტაციო შეფასება.

2. აკად. ვ. კვალაიშვილის მიერ მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა (გორი. გამომცემლობა „ფარნავაზი“) მონოგრაფია „ვაზის და ხეხილოვანთა სელექცია



საქართველოში“. ნაშრომში ასახულია სსმმ აკადემიის და მასში შემავალი მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის ღვაწლი ქართული ვაზის და ხეხილის აბორიგენული ჯიშებისა და ენდემური ფორმების მოძიების, უცხოური ჯიშების ინტროდუქციის და ქართული სელექციის განვითარების აქტუალური საკითხები და სადღეისო ამოცანები.

3. თითქმის ყოველ წელს, ანგარიშებში ხაზგასმით აღინიშნება, რომ საქართველოში-ვაზის და ღვინის და რიგი ხეხილის სამშობლოში გავაუქმედ ჯიშთა შემფასებელი ინსტიტუტი - ჯიშთაგამოცდა და ამით ხელს ვუწყობთ დილეტანტების ქმედებას-ქაოსის გაღრმავებას სოფლად.

➤ **დროა, ხელისუფლებამ დაუჯეროს მეცნიერებს!**

პანდემიის პირობებში, შეძლებისდაგვარად, აკად. ვ. კვალიაშვილი აწყობს შეხვედრებს სოფლად გლეხებთან და ფერმერებთან, ასევე მევენახეობა-მეხილეობით დაინტერესებულ გორის და კასპის მოქალაქეებთან ადგილებზე მისვლით შეხვედრებისას მათთვის საჭირო საკითხებზე კონსულტაციების გაწევას და რჩევა-დარიგებების მიცემას.



#### 6.1.3.4. აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

2020 წელს ჩატარებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. სამეცნიერო თემის დასახელება:

1.1. “მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში”. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.2. “მარწყვის ზოგიერთი ჯიშის (ალბიონი, სანანდრეასი, ქლერი) მოვლა-მოყვანის ინტენსიური აგროტექნოლოგიის შემუშავება იმერეთის პირობებში” –(სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);



1.3. “ბიო-ეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესარებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა”. (აწსუ აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი);

1.4. “თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება - განაშენიანების აგროტექნოლოგიური საფუძვლები ლაგოდეხის

მუნიციპალიტეტის მაგალითზე”. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

## **2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:**

პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხელმძღვანელობს ლექციების კურსს შემდეგ საგნებში:

- 2.1. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა;
- 2.2. აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები;
- 2.3. მეჩაიეობა;
- 2.4. ტექნიკური კულტურები;
- 2.5. სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია.

## **3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:**

**3.1.** რ.კოპალიანი, შ. კაპანაძე - „დაფნის ზრდა-განვითარების თავისებურებები და მათი კორელაცია მწვანე მასის მოსავლიანობასა და ეთეროვანი ზეთის შემცველობასთან იმერეთის (ვანის რაიონის) პირობებში“. სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება,“ შრომათა კრებული. სსმმ აკადემია თბილისი 2020 წ. გვ:72-77

**3.2.** Kopaliani R. Tskitishvili N. – „Studying the influence of planting material on strawberry production using the example of llc „adina” greenhouse facility“ – International scientific – practical conference „Actual problems and modern technologies of food products,” Collection of works, Kutaisi. Year 2020 . Pg 171-175;

**3.3.** რ. კოპალიანი, ლ. კოპალიანი, შ.კაპანაძე - „კეთილშობილი დაფნის მაღალზეთიანი სადედე მცენარეების შერჩევა საქართველოს მასშტაბით“. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები,“ შრომათა კრებული. ქუთაისი 2020 წ. გვ:101-104;

**3.4.** Kopaliani R. Gvinianidze T. Jabnidze R. - „A Liquid bio-flavanoid concentrate Red aladasturi“ - Journal ANNALS OF AGRARIAN SCIENCE, Vol. 17, N 4, Pg 472-481;

**3.5.** Kopaliani R., Gvinianidze T., Jabnidze R. – „The bio-flavanoid concentrate of *Vitis vinifera* L. ‘Red Aladasturi’. *Annales Universitatis Paedagogicae Cracoviensis Studia Naturae*, 4: XX–XX. DOI: 10.24917/25438832.4.5;

**3.6.** როლანდ კოპალიანი, მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე – „ფეიჰოას კვირტების ბიოლოგიური მდგომარეობის გავლენა კალმების დაფესვიანებაზე იმერეთის (ბაღდათის) პირობებში“. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრო–NEWS. #6 ISSN 2346-8467 2020წ. გვ. 12-17;

**3.7.** Kopaliani R. Tskitishvili N. – „Studying some economic characters of the common garden strawberry varieties growing in western Georgia“. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრო–NEWS. #6 ISSN 2346-8467 2020წ. გვ. 48-51;

## **4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო:**

**4.1.** კოპალიანი რ. უგულავა ვ. კინწურაშვილი ქ. ჯიქია ლ. - „ზოგიერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, პროდუქციის წარმოება, აგრობიზნესში გამოყენება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში“- (დამხმარე სახელმძღვანელო), ჩამოვებულა გამოსაცემად. დამხმარე სახელმძღვანელო შედგება ხუთი თავისაგან:

- აგრარული რეფორმების პრინციპები და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების ძირითადი მიმართულებები
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ვაზი, თხილი, ხურმა, ლეღვი, კივი) წარმოება
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ვაზი, თხილი, ხურმა, ლეღვი, კივი) წარმოება საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ვაზი, თხილი, ხურმა, ლეღვი, კივი) შენახვა-გადამუშავება
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ვაზი, თხილი, ხურმა, ლეღვი, კივი) პროდუქციის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და როლი ბიუჯეტის შესრულებაში

აღნიშნულ თავებში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის არსებული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები, საქართველოს აგრარული სექტორის აღორძინების გზები და განვითარების პროგნოზები, სოფლის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ვაზი, თხილი, ხურმა, ლეღვი, კივი) წარმოება, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და სამკურნალო თვისებები, მათი წარმოშობისა და გავრცელების ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა, კულტურათა შესაძლო შეთანაწყობის გათვალისწინებით საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში მათი აღდგენა-განვითარების აქტუალური საკითხები. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავება, საერთო მოხმარებისა და ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა, მათი სასაქონლო დამუშავება, შრობა და გაყინვა. მსოფლიო ბაზარზე ქართული წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ზოგიერთი რეკომენდაციები და კვების პროდუქტების სხვადასხვა ასორტიმენტებით ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები.

**5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.**

**5.1.** We are writing to confirm that Mr Roland Kopaliani has successfully participated in the specialized training course as a guest speaker in London: “The Complete Executive Leadership Programme’ in the Agricultural sector, organized by BOS LTD. 7<sup>th</sup> January 2020.

**6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.**

6.1. USAID/REAP - პროექტი “გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის” - ტრენერი;

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

7.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

7.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

8.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

8.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;

8.3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ემერიტუსის აკადემიური წოდების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე.

9. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე.

9.1. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტები.

9.2. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია.



#### 6.1.3.5. აკადემიკოსი ბობოლა მარგველაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბობოლა მარგველაშვილის ანგარიში 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1. აკად. გ. მარგველაშვილმა გამოსაცემად მოამზადა წიგნი „აგროქიმიის პრაქტიკუმი“.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული აგრარული ფაკულტეტების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისთვის.

ანოტაცია: სახელმძღვანელოში აღწერილია ნიადაგის, მცენარის, მინერალური და ორგანული სასუქების ანალიზის, ნიადაგის

ბიოლოგიური აქტივობის განსაზღვრის მეთოდები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სისტემაში და ასევე, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

ნაშრომში წარმოდგენილია ნიადაგში როგორც მაკრო, ისე მიკროელემენტების, მძიმე ლითონების, ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის და ფერმენტატიული აქტივობის, მცენარეში – ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, ალკალოიდების, ძირითადი მინერალური და ორგანული სასუქების (ნაკელი, ტორფი, კომპოსტები) ანალიზის მეთოდები; ნიადაგში შესატანი სასუქების დოზების ანგარიში; აგროქიმიური კვლევის მეთოდები ( მინდვრის ცდის, სავეგეტაციო ცდის), კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავების, კორელაციის კოეფიციენტის და რეგრესიის ტოლობის ანგარიში, მათი ცდომილების დადგენით.

2. „საქართველოს ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიასთან თანამშრომლობის შედეგად და მათი დავალებით მომზადდა და გადაეცა 2 სტატია: 1. „აგრონომია“ და 2. „აგროქიმია“.

3. საანგარიშო წლის 17 ივნისს აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების სხდომა მიეძღვნა „გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნას, რომელიც 1994 წელს დააწესა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ.

აკად. გ. მარგველაშვილი სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: „მსოფლიოს საოცარი და ულამაზესი უდაბნოები“. აღინიშნა, რომ - „არსებობს წარმოდგენა – თითქოს უდაბნო ეს სრულიად უდაბური ადგილია, მაგრამ სინამდვილეში ის არის მკაცრ პირობებთან ადაპტირებული უამრავი ცხოველისა და მცენარის საარსებო გარემო. ზოგიერთი უდაბნო დედამიწაზე უკანასკნელ ხელშეუხებელ ადგილს წარმოადგენს. დედამიწის მოსახლეობის 1/6 ნაწილი უდაბნოს პირობებში ცხოვრობს.

მოხსენებისას წარმოდგენილი იყო ვიდეომასალა მსოფლიოს საოცარი და ულამაზესი უდაბნოების შესახებ.

4. ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციის გამო, მიმდინარე წელს, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი (5 დეკემბერი) მიძღვნილი ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება ვერ მოხერხდა, თუმცა აკადემიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით და აკად. გ. მარგველაშვილის მიერ მომზადებული მოხსენება: „ნიადაგის დეგრადაცია, გამომწვევი მიზეზები და ბრძოლის მეთოდები“.

5. აკად. გ. მარგველაშვილმა რეცენზირება გაუწია:

5.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტის დოქტორანტ ნიკოლოზ ასაშვილის სადოქტორო ნაშრომს: „ნიტროფოსისა და ტერავეტის გავლენა სიმინდის მარცვლის მოსავალზე და ფქვილის ხარისხზე“, რომელიც წარდგენილი იყო დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (სადოქტორო პროგრამა – ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია 0410).

5.2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების სამსახურის 2019 წლის სამეცნიერო ანგარიშს;

5.3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის - ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

5.4. ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფროსის, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორის ნიკოლოზ კიკნაველიძის პროექტს - „საქართველოში მარცვლოვანი კულტურების იმპორტის დინამიკა 2000-2019 წლებში და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის დამოუკიდებლობისათვის 2021-2027 წლებში გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებები“.

6. აკად. გ. მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებაში.

7. აკად. გ. მარგველაშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

7.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში;

7.2. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. – ჩატარებულია განყოფილების 10 სხდომა; – სხდომებზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე მოსმენილი იყო განყოფილების აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების 11 მოხსენება.

7.3. სსმ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის - „მოამბე“ და სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის – „ აგრარული საქართველო“ რედკოლეგიის წევრი და მონაწილეობს მათ მუშაობაში.

7.4. სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული კოორდინატორი და ექსპერტი აგროქიმია - ნიადაგმცოდნეობის დარგში.

8. კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღმავლობას:

8.1. ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებულია, ზოგი ეროზირებული, დაჭაობებული, ძლიერ მჟავე, ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული და ა.შ.; ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე მიწაზე მფლობელობის მიუხედავად სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

8.2. გამოცხადდეს ხორბალი ქვეყნის № 1 სტრატეგიულ კულტურად.



მიწის ფონდის მოწესრიგების მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მომზადდეს და წარმატებით განხორციელდეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „მარცვალი“, რომელიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საპირკველია.

8.3. აღდგენილ იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადრე არსებული „აგროქიმიის და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური“ თავისი სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიებით, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად - ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ჩაატარებენ ნიადაგურ - აგროქიმიურ გამოკვლევებს; განსაზღვრავენ ნიადაგის ნაყოფიერების დონეს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის. ნიადაგისა და მცენარის ანალიზის საფუძველზე მოხდება შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა. დადგინდება სასუქების საჭირო ფორმები და რაოდენობა, მოხდება ქვეყანაში მათი შემოტანის და გამოყენების ორგანიზება.

აღნიშნული სამსახურის შექმნით მიწას გაუჩნდება მასზე მზრუნველი, აღარ იქნება გაუდაბნოების საფრთხე, შეწყდება ს/ს სავარგულების დეგრადაცია, გაცოცხლდება მიტოვებული ადგილები.

8.4. ზემოთ აღნიშნული ამ ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემის წარმატებით გადაჭრა მეცნიერების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია აღდგენილ იქნეს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მ.საბაშვილის სახელობის საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში.

ასეთი - ერთმანეთთან ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებული 2 სტრუქტურა არსებობს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის როგორც მაღალგანვითარებულ, ისე, განვითარებად ქვეყნებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დღემდე შენარჩუნებულია ორივე ეს სტრუქტურა. ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში სადაც გაუქმდა იგი, საქართველოა.

8.5. ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მზადდებოდნენ სპეციალისტები ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის მიმართულებით.

საქართველოში ყოველ მუნიციპალიტეტს უნდა ჰყავდეს 3 - 4 ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსი , რომლებიც უხელმძღვანელებენ სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის მიერ გადაცემული რეკომენდაციების პრაქტიკულ განხორციელებას მუნიციპალიტეტის ყოველ კონკრეტულ სავარგულზე.



### 6.1.3.6. აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის აკადემიკოსის ზაურ ჩანქსელიანის სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის 2020 წლის ანგარიში.

1. სსიპ-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურში არის სამსახურის უფროსი და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულია სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული საკითხის: „საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების საერთო მდგომარეობის“-

შესწავლა (ინვენტარიზაცია);

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფილის მაგისტრებსა და დოქტორანტებს ასწავლის შემდეგ დისციპლინებს:

2.1. მცენარეული რადიოპროტექტორები;

2.2. ქსენოფიტოტოქსიკოლოგია;

2.3. რადიოლოგიის საფუძვლები;

2.4. აგროეკოლოგია;

2.5. საველე პრაქტიკა აგროეკოლოგიაში.

3. სამეცნიერო სტატია „მერგელი (ტკილი) ბუნებრივი მელიორანტი მჟავე ნიადაგების გაუმჯობესებისათვის“, გამოქვეყნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მომამბე“, თბილისი, № 1(43) 2020;

4. აკად. ზ. ჩანქსელიანი არის:

➤ სსიპ-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

➤ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრი.

➤ მინერალური და ორგანული სასუქების და პესტიციდების სოფლის მეურნეობაში საგამოცდო საქმიანობის ექსპერტი.

➤ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

5. წინადადებები: საქართველოში პოსტპანდემიური პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის მიერ ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფისათვის საქართველოს ნიადაგების იმ ფართობების გამოკვლევა და დაგეგმილი მოსავლის მისაღებად გაანგარიშებების გაკეთება, სადაც მარცვლეული კულტურები დაითესება.

აღნიშნული სამუშაო შესრულდა და გადაეგზავნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ გურამ ალექსიძეს.

6. ამზადდება სახელმძღვანელო „ნიადაგის ეკოლოგია“, რომელსაც მომავალ წელს გამოიცემა.

7. აკად.ზ. ჩანქსელიანი, როგორც კოორდინატორი აგროეკოლოგიის საკითხებში, დაუკავშირა ზოგიერთი მუნიციპალიტეტების ( ლანჩხუთის,ოზურგეთის და ლენტეხის) საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს და გადაეგზავნა მასალები ნიადაგების შესაძლო დაბინძურების საკითხებზე და უახლეს პერიოდში გიგზავნება წინადადებები პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

8. 2021 წელს დაგეგმილია ჩატარდეს სემინარი თემაზე: „თრიალეთის ქედის ნიადაგების ორგანული ნახშირბადის მარაგები და მდგრადი მართვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში. იგი ალბათ განხორციელდება 2021 წლის მეორე ნახევარში. ასევე თუ ქვეყანაში კარგი პოსტპანდემიური პერიოდი იქნება, მიზანშეწონილია იგივე სემინარი ჩატარდეს უშუალოდ ქვემო ქართლში.



### 6.1.3.7. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნოდარ ჩხარტიშვილის 2020 წელში შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მსოფლიოში მძვინვარე პანდემიის გარემოში გართულდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლისა და მოსავლის მოყვანის სოციალური პირობები. ჩვენს ქვეყანაში გამორჩეულია ვაზის კულტურა, მევენახეობა-მეღვინეობა, რომელმაც წელს თავისი უნიკალურობით წარმოაჩინა თავი. ქვეყანაში მიღწეულია სარეკორდო მაჩვენებელი; საქართველოს ზვრებში მოწეულია და გადამუშავებულია 250 ათას

ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი ყურძენი. მიღწევებში თავისი წვლილი შეიტანა კომპანია “მეღვინეობა ხარებაშვილი”, რომელიც ფლობს 1000 ჰა-მდე ვენახს, მათ შორის 700 ჰა-მდე მოსავლიანს, საიდანაც მოიკრიფა 7000 ტონამდე მრავალფეროვანი, მაღალი კატეგორიის ყურძენი და გადამუშავდა საკუთარ მარნებში.

პროდუქცია-ღვინოები აღიარებულია საერთაშორისო ბაზარზე, მრავალგზის მიღებული აქვს უმაღლესი ჯილდოები- ოქროსა და ვერცხლის მედლები.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ 2007 წლიდან აკად. ნ. ჩხარტიშვილი მონაწილეობს ამ წარმატებული მეურნეობის სამსახურში და თანამშრომლობას აგრძელებს ამჟამადაც.

აკად. ნ. ჩხარტიშვილი თანმიმდევრულად ასრულებს აკადემიის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობას; მონაწილეობს პრეზიდიუმის სხდომების მუშაობაში; არის (2019 წლიდან) აკადემიის პრეზიდიუმთან მომქმედი ეთიკისა და მეცნიერთა უფლებების დაცვის საბჭოს წევრი. თანამშრომლობს აკადემიის სამეცნიერო საბჭოსთან, არის მევენახეობა-მეღვინეობის დარგების ეროვნული კოორდინატორი, რომლის უფლება-მოვალეობების ფარგლებში თანამშრომლობს ქვეყნის შესაბამისი პროფილის (მევენახეობა-მეღვინეობა) საწარმოებთან, ინდმეწარმეებთან: შეხვედრები ადგილზე - საწარმოებში, ვენახებში, დისტანციურად, ადგილებზე პრაქტიკული დამხარებები, კოორდინატორის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანგარიში წარმოდგენილია.

აკადემიის აგრონომიულმა განყოფილებამ მოისმინა აკად. ნ. ჩხარტიშვილის ინფორმაცია თემაზე - „ვაზის სარგავი მასალით (ნამყენი ნერგით) უზრუნველყოფის პრობლემები და გადაუდებელი ღონისძიებები“. აღინიშნა ქვეყანაში სარგავი მასალით მწვავე დეფიციტის აღმოფხვრის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ, წინადადებები გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოებს.

ონლაინ რეჟიმის ფორმატით გადაეცა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის აკადემიას, თემაზე - „ქართული ვაზის გენოფონდის კვლევის, დაცვისა და განვითარების ღონისძიებები“ - სტატია, რომლის მომზადებაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფ. ლ. უჯმაჯურიძე და აკად. დოქტორი ლონდა მამასახლისაშვილი.

ჯანსაღი, უვირუსო საბაზისო სარგავი მასალის, ნერგის წარმოების, საბაზისო სანერგის ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის მოსაწყობად სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

მასშტაბურია აკად. ნ. ჩხარტიშვილის მონაწილეობა სავენახე ადგილებისა და ნიადაგების შერჩევის პროცესებში, ძირითადი დამკვეთები: “მეღვინეობა ხარება” - შიდა ქართლი, იმერეთი-სვირი, საზოგადოება “ვივ” თელავი - კურდღელაურის მიკროზონა, ახმეტისა და გურჯაანის უნიკალური მიკროზონები. დასავლეთ საქართველო - გურია: ბახვი, ასკანა, შემოქმედი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ორგანიზატორი - ა. ვაშალომიძე;

სამეგრელო-კონკურსანტის პროგრამით, უშუალოდ მონაწილეობდა ვაზის ნამყენი ნერგების გამოყვანის პროცესში, საგარეჯო, ჩაილურის მიკროზონა შპს “ჩაილური” ინდ მეწარმე ზ. მჭედლიშვილი, რომელიც ორგანიზებულია 2,0 (ორი) მლნ ნერგის წარმოებაზე. მ.შ. მწვანე ნერგის წარმოებაზე, რომლის მიმართ ქვეყანაში ინტერესი გააქტიურდა.

გააქტიურდა მუშაობა კახეთში ვენახების წვეთოვანი მორწყვის ტექნოლოგიის დასანერგად. დამკვეთი “მელვინეობა ხარება”, შემსრულებელი - მეცნიერებათა დოქტორი დ. მალაზონია (სამსახურის ხელმძღვანელი). სახელმეკრულებო ფორმით აკად. ნ. ჩხარტიშვილი თანამშრომლობს სოფ. კურდღელაურის ტერიტორიაზე ახლად შექმნილ საწარმოსთან, რომელიც დაარსებულია ყოფილი მევენახეობა-მელვინეობის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე და ორიენტირებულია საცდელი სადგურის აღდგენაზე და ითხოვს მეცნიერთა დახმარებას, რასაც მხარდაჭერა ესაჭიროება. აკად. ნ. ჩხარტიშვილის მიერ მომზადებულია სადგურის აღდგენის გეგმა.

#### **საზოგადოებრივი საქმიანობა.**

აკად. ნ. ჩხარტიშვილი არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და სასურსათო ტექნოლოგიების საკვალიფიკაციო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი; ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სარედაქციო კომისიის წევრი; სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის - „ახალი აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკად. ნ. ჩხარტიშვილი არის ლევან უჯმაჯურიძისა და ლონდა მამასახლისაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნის - “ჯიდაურას საკოლექციო ქართული ვაზის ჯიშების კატალოგი” რედაქტორი;

რეცენზირება გაეწია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული და სასურსათო ფაკულტეტის, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2019 წელში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშებს.

აკადემიის ფარგლებში არის მევენახეობა-მელვინეობის დარგების საკოორდინაციო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

მომავალი წლის სამუშაო პროგრამით გასათვალისწინებელია - აკადემიის პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილი იქნას ინფორმაცია ქართული ვაზის გენოფონდის კვლევისა და დაცვის არსებულ მდგომარეობაზე და სამომავლო პრობლემებზე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით.

#### **გამოცემული სტატიები.**

1. “ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედის გაშენების სქემის, ფორმირებისა და ყლორტების აღზრდის ოპტიმალური პარამეტრები“ - ავტორები აკადემიკოსი - ნოდარ ჩხარტიშვილი, აკადემიური დოქტორი - ლევან ვაშაძე. სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომავალფეროვნება“, კონფერენციის შრომათა კრებული, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25 სექტემბერი, 2020, გვ. 104-107;
2. „მევენახეობა-მელვინეობა ქართლის აგროკლიმატურ ზონაში“-ავტორები ნოდარ ჩხარტიშვილი, ნინო ჩხარტიშვილი; სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება

და საქართველოს აგრობიომავალფეროვნება“, კონფერენციის შრომათა კრებული, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25 სექტემბერი, 2020, გვ. 107-114;

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გადაეგზავნა აგრეთვე სამეცნიერო სტატია (ელექტრონული ვერსია) „ქართული ვაზის გენოფონდის კვლევა, დაცვა და განვითარება“. ავტორები: აკადემიკოსი - ნოდარ ჩხარტიშვილი, პროფ. ლ. უჯმაჯურიძე, აკადემიური დოქტორი - ლონდა მამასახლისაშვილი.



### 6.1.3.8. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის აკადემიკოს ვალერიან ცანავას მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობის და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში.

1. თემის დასახელება: „„ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მეცნიერული საფუძვლები მრავალწლიანი გამოკვლევებით“ (თემის ხელმძღვანელი);

სუბტროპიკული კულტურების განოყიერების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხორციელდებოდა საანგარიშო

პერიოდში დაკავშირებული იყო სასუქების გავლენაზე, როგორც პროდუქტიულობაზე, ასევე იმ პროცესების შესწავლასთან, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც მცენარის, ასევე ნიადაგის ქიმიურ მახასიათებლებზე. მინერალურ-ქიმიური კომპანიის - „ევროქიმის“ დახმარებით შესაძლებელი გახდა მინდვრის ცდების პირობებში შეგვესწავლა რთული სასუქების ახალი ფორმები, რომლებიც ხასიათდებიან ბალასტი ნივთიერებების ნაკლები შემცველობით და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პირობებისათვის ნაკლებად ამჟავებენ ნიადაგებს, შესაბამისად ნაკლებად გადაყავთ მძიმე მეტალები მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. Совершенствование системы удобрения чайных плантации. (თანაავტორობით) Международный сельскохозяйственный журнал, №3 (375), 63, 2020, с. 29 – 33 ;



ნაშრომში მოცემულია ჩაის კულტურის ქვეშ ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობა პლანტაციების რეაბილიტაციის, მოსავლიანობის გაზრდის, ნედლეულის და მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში.

**3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.**

**3.1. Разработка экологизированной системы удобрения чайной плантации. 2-я Международная научно-практическая интернет-конференция «Экология, биология и технология возделывания чая», г. Сочи, Россия, 15-17 декабря 2020 г.**

რუსეთი, ქ. სოჭი ჩატარებულ ინტერნეტ-კონფერენციაში მონაწილეობა (თანაავტორები ი.ნ. მამულაიშვილი, ც.ვ. გაბუნია).

მოხსენება შეეხებოდა ჩაის პლანტაციების განოყიერების ეკოლოგიზირებული სისტემის დამუშავებას, რომელშიც განხილულია ჩაის პროდუქტიულობის ზრდის, ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტივები. აგრეთვე განხილულია აუცილებლობა ღონისძიებებისა, რომლებიც შეამცირებენ ნიადაგების ანტროპოგენურ გამჟავებას და მძიმე მეტალების შესათვისებელი ფორმების ზრდას, რათა თავიდან ავიცილოთ მცენარეების დაკნინება.

**4. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.**

**4.1. საერთაშორისო კომპანია EuroChem - ის მიერ დაფინანსებული პროექტი - “სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ (სალათი, მანდარინი, თხილი, საშემოდგომო ხორბალი) ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა“ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. ვ. ცანავა);**

5. განსახილველად აკადემიის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილებასა და შემდგომში აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე აკად. ვ. ცანავა 2021 წელს წარმოადგენს რთული სასუქების შესწავლის შედეგებს.

მიზანშეწონილია 2021 წელს მრგვალ მაგიდის მოწყობა, რომელიც მიემდგვნება მრავალწლიანი ცდების საკითხების განხილვას.



### 6.1.3.9. აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რეზო ჯაბნიძის 2020 წელს ჩატარებული პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში.

1. სამეცნიერო თემატური გეგმით გათვალისწინებული კვლევები:

1.1. „კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების (ლურჯი მოცვი, უეკლო მაცვალი, ჟოლო, თხილი, კაკალი) ინტროდუცირებული ჯიშებისა და ფორმების მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა, გამორჩევა და

დანერგვა აჭარის ფერმერულ მეურნეობებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის პროგრამის: „აგროსექტორის მდგრადი განვითარების“ ქვეპროგრამის: „საგანმანათლებლო-სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ - ჩვენს მიერ ისწავლებოდა: „კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების (ლურჯი მოცვი, უეკლო მაცვალი, ჟოლო, თხილი, კაკალი) ინტროდუცირებული ჯიშებისა და ფორმების მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა, გამორჩევა და დანერგვა აჭარის ფერმერულ მეურნეობებში (თემის ხელმძღვანელი აკად. რ. ჯაბნიძე).

თემატიკიდან გამომდინარე, 2020 წლის დასაწყისში შედგენილი იქნა სამუშაო გეგმა-გრაფიკი და აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის იმ ფერმერულ მეურნეობებში, სადაც გაშენებულია კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების ინტროდუცირებული ჯიშები, შევარჩიეთ კვლევებისთვის საჭირო ობიექტები, კერძოდ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურში და ახალშენში; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცეცხლაურში, მუხაესტატეში, ლედვაში და დაბა ოჩხამურში; ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეებში, ზენდიდში და ნამლისევში; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუთურაულში, ნენიაში, ფურტიოში და გომარდულში; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ძირკვაძეებში და დიოკნისში.

აღნიშნულ სოფლებში გაშენებული ლურჯი მოცვის, უეკლო მაცვლის, ჟოლოს, თხილის (გულშიშველა, ჯიფონი) და კაკლის (ჩანდლერი) პლანტაციებში, შევარჩიეთ საცდელი მცენარეები, რომლებზედაც ჩავატარეთ მორფობიოლოგიური (ფენოლოგია, ზრდის რითმი, ბიომეტრული გაზომვები) და სამეურნეო მაჩვენებლების (მოსავლიანობა, ნაყოფის ტექნიკურ-ბიოქიმიური ანალიზი) შესწავლა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს პერსპექტიული ფორმების გამორჩევისა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვისათვის.

ასევე მოვიძიეთ და ფერმერებს მივაწოდეთ აღნიშნულ კულტურებზე და ჯიშებზე არსებული საინფორმაციო მასალები და ბუკლეტები, რაც მათ გარკვეულ დახმარებას გაუწევს მცენარის მოვლა-მოყვანის საქმეში. თემაზე მუშაობა გაგრძელდება 2021 წელს.

## **1.2. „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, ჩაქვის საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთში“**

მეციტრუსეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული, უხვმოსავლიანი, ადრემწიფადი ჯიშების წარმოებაში დანერგვას. პრობლემის გადასაჭრელად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ აჭარის აგროსერვისცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის ციტრუსოვნთა სანერგე მეურნეობაში, იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე, დაბა ჩაქვში მიმდინარეობდა ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვებები, იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის 11 ჯიშზე: ნიჩინანი, იურა-ვასე, ტაგუჩი ვასე, მიაგავა ვასე, კავადა, ნანკანი-20, ოჰოცუ ვასე, უენო ვასე, აუშიმა, ოკიცუ ვასე, მუკაიამა.

თითოეულ ვარიანტში აღებული გვექონდა ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები და დაკვირვებები ვაწარმოეთ 110 მცენარეზე. დაკვირვებები მიმდინარეობდა ჩვენს მიერ შედგენილი სქემისა და მეთოდის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შეტანილი იქნა სპეციალურ ჟურნალში, რაც ფენოლოგიური და აგროტექნოლოგიური დაკვირვებებით იყო გათვალისწინებული.

**კვლევის მეცნიერული სიახლე** - მდგომარეობს იმაში, რომ პირველად იქნა შესწავლილი ინტროდუცირებული მანდარინის თერთმეტი ჯიშის აგროეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებები, მათი პროდუქტიულობისა და რეგენერაციული უნარის ამაღლების მიზნით, ასევე სამეურნეო ნიშან-თვისებები, რომელსაც მიეცემა რეკომენდაცია, როგორც საუკეთესო ჯიშებს, ფერმერულ მეურნეობაში დასანერგად.

კვლევის სიახლეა ისიც, რომ ინტენსიური ტექნოლოგიების კომპლექსში ჩართულია საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები და ეკონომიკური საკითხები, რომელიც მიმართულია დარგის ორგანიზაციისა და მართვის ძირეული გაუმჯობესებისაკენ.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა** - მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების გაშენებით, უახლოეს მომავალში, ინტენსიურად გაიზრდება, მათი ფართობები და შესაბამისად მოსავლიანობაც.

## **2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკად. რ. ჯაბნიძე ხელმძღვანელობს სალექციო კურსებს შემდეგ დისციპლინებში:

- ა) სუბტროპიკული კულტურები; ბ) მეჩაიეობა; გ) მეხილეობა; დ) ასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პროდუქტიულობა და მართვა; ე) საქართველოს სოფლის მეურნეობა.

**3. აკად. რ. ჯაბნიძის ხელმძღვანელობით 2020 წელს დაცულია ოთხი საბაკალავრო და ერთი სამაგისტრო ნაშრომი:**

- 3.1. დავით ზოიძე - „ლურჯი მოცვის ზრდა განვითარების თავისებურებანი აჭარის პირობებში“ ;
- 3.2. ვიოლა დოლიძე - „ჩაის კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებანი აჭარის პირობებში“;
- 3.3. ცირა ფევაძე-„ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ზრდა-განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი“ ;
- 3.4. გიორგი ტაკიძე-„ქედის მუნიციპალიტეტში გავრცელებული ვაზის კულტურის აგროტექნოლოგია“;
- 3.5.. **სამაგისტრო ნაშრომი:** რეზო დოლიძე-„იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ჯიშის „ოკიცუ ვასეს“ აგროეკოლოგიური თავისებურებანი აჭარაში“.

**2020 წელს აკად. რ. ჯაბნიძე ხელმძღვანელობდა სამ საბაკალავრო ნაშრომს:**

- 1. წულუკიძე ზიზი - „აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გავლენა ჩვეულებრივი კაკლის ზრდა-განვითარებაზე დიდაჭარის პირობებში“;
- 2. ბოლქვაძე გენადი - „ბროწეულის კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებანი“
- 3. ბერიძე გედი-„აქტინიდიის გამრავლებისა და სარგავი მასალის გამოყვანა უახლესი ტექნოლოგიებით,,.
- 4. აკად. რ. ჯაბნიძე ხელმძღვანელობს დოქტორანტ სოფო ხუხუნიაშვილის სადოქტორო ნაშრომს: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ფორმების აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა აჭარის პირობებში“ და დოქტორანტ მირზა ყურუმბაძის სადოქტორო ნაშრომს: „სუბტროპიკული ხურმის სამრეწველო ჯიშის ახალი პერსპექტიული ფორმის „ჰაჩიას“ მოსავლიანობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები“.

**4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.**

- 4.1. რ. ჯაბნიძე, ი. გაფრინდაშვილი - ველურად მზარდი კენკროვნებიდან მიღებული წვენების კვებითი ღირებულება და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა - ჟურნალი „ეკონომიკური ინოვაციები და მართვა“, N4, 2020 ;

**ანოტაცია:** სტატიაში განხილულია აჭარის მაღალმთიან რეგიონში, ველურად მზარდი კენკროვნების ნაყოფებიდან, გადამუშავების შედეგად მიღებული წვენების კვებითი, ბიოქიმიური, ანტიოქსიდანტური ღირებულებები და მათგან მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა.

**4.2. Guladi Tkhilaishvili, Rezo Jabnidze - The Role of Simulation Games in Enhancing the Effectiveness of Auditorium Activities and its Implementation at the Batumi State Maritime Academy in Management Education Programs-** საქართველოს ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მომბე“, 2020 წ.

**ანოტაცია:** კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განათლების მნიშვნელობა არნახული სისწრაფით იზრდება. უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით სიმულაციური თამაშების გამოყენება, როგორც განათლების, ისე სხვა სფეროში, წარმატების უპირობო ინდიკატორს წარმოადგენს, რაც საბოლოო ასახვას ჰპოვებს ორგანიზაციის ეკონომიკურ გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობაში.

**4.3. Roland Kopaliani, Temur Gvinianidze, Rezo Jabnidze - Annales Universitatis Paedagogicae Cracoviensis Studia Naturae, 4: 93–104, 2019, ISSN 2543-8832 10.24917/25438832.4.5 - The bio-flavanoid concentrate of Vitis vinifera L. ‘Red Aladasturi’.**

**ანოტაცია:** ნაშრომში განხილულია სამკურნალო - პრევენციული, ძლიერი ანტიოქსიდანტური პოლიფენოლური კონცენტრატის, ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება, იმერეთის მევენახეობა-მელვინეობის ზონაში, კულტუვირებული ვაზის ჯიშის „ალადასტურის“ წითელი ყურძნის ნედლეულში.

**5. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, აკად. რ. ჯაბნიძის მიერ გაკეთებული იქნა დასკვნა-რეცენზიები: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2020 წლის ანგარიშზე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კვლევის სამსახურის ანგარიშებზე;

5.2. მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოში მიწის რეფორმებთან დაკავშირებით;

5.3. მომზადდა სოფლის მეურნეობის განვითარების რეკომენდაციები პანდემიის კრიზისის დროს;

5.4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძნებით (29.06.20 წ. #39/154) აკად. რ. ჯაბნიძე დაინიშნა ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიული მიმართულების, საბაკალავრო ნაშრომების, დაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.

**5.5 15-19. 09.2020 - ისრაელის Mashav -ის ცენტრის ინიციატივით, სასტუმრო „პარაგრაფში“ (შეკვეთილი), ჩატარდა შეხვედრა-კონფერენცია თემაზე: „ბოსტნეული კულტურების წარმოების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე“, სადაც აკად. რ. ჯაბნიძე გამოვიდა მოხსენებით და ხელმძღვანელობდა აგროეკოლოგიის სექციას.**

**6. სამეცნიერო საზოგადოების, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის**

**გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.**

- 6.1. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „ეკონომიკა“, სარედაქციო კოლეგიის წევრი, ქ. თბილისი;
- 6.2. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (2014-2019 წწ);
- 6.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროქიმიანიადაგმცოდნეობის ეროვნულ კოორდინატორი და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ექსპერტი;
- 6.4. ჟურნალ „აგროNEWS“ რედკოლეგიის წევრა, ქ. ქუთაისი.
- 6.5. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ქ. ბათუმი;
- 6.6. პერიოდულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ხანძთა“-ს რედკოლეგიის წევრი;
- 6.7. სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი;
- 6.8. აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი;
- 6.9. ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიის წევრი;
- 6.10. ბსუ-ის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი (2019-2023);
- 6.11. აჭარის ჭიდაობის ფედერაციის მთავარი კომიტეტის წევრი;
- 6.12. საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის წევრი.
- 6.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და ჟურნალ „მომბის“ რედკოლეგიის წევრი.
- 6.14. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიის წევრი.

**7. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებელისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე.**

- 7.1. მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარის რეგიონში.

8.





### 6.1.3.10. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი



სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მარცვლეული კულტურების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ სმმ დოქტორ, სახელმწიფო და დარგობრივი პრემიის ლაურეატ პროფესორ ოთარ ლიპარტელიანის 2020 წლის ანგარიში.

1. თემა: 03-07-02 “სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში”, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა ოთხ

პროექტში:

- 1.1. “საქართველოს ურწყავი, შემადლებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 7-10 ტონა ჰექტარზე”. პროექტის შემსრულებელი ო. ლიპარტელიანი და ფ. ბეგოიძე;
- 1.2. “საქართველოს სარწყავი და ტენით უზრუნველყოფილი ზონისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა სავეგეტაციო პერიოდი იქნება 120-135 დღე და მარცვლის პოტენციალური მოსავალი 12-15 ტონა ჰექტარზე; პროექტის შემსრულებელი ო. ლიპარტელიანი და ფ. ბეგოიძე;
- 1.3. “სიმინდის დარაიონებული ჯიშებისა და ჰიბრიდთა მშობლიური ხაზების პირველადი მეთესლეობა”. პროექტის შემსრულებელი ო. ლიპარტელიანი და ფ. ბეგოიძე.
- 1.4. “სიმინდის შაქრიანი ფორმების სელექცია საქართველოში შემსრულებელი ო. ლიპარტელიანი”

**თემის მიზანია** გამოვიყვანოთ და დავნერგოთ წარმოებაში სიმინდის უხვმოსავლიანი საადრეო და საგვიანო, სამარცვლე, სასურსათო, საკონსერვო და საკვები მიმართულების, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჩაწოლისა და დაავადება-მავნებლების მიმართ იმუნური, ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდები და ჯიშები. თემის მიზანია აგრეთვე დანერგილი სიმინდის ჯიშებისა და ჰიბრიდთა მშობლიური ხაზების პირველადი მეთესლეობა.



თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილი და დანერგილია წარმოებაში 14 ჰიბრიდი და ერთი ჯიში, რომლებიც სტანდარტთან შედარებით 07-1,2

ტონით მეტ მოსავალს იძლევიან ჰექტარზე მარცვალში.

აქედან 4 ჰიბრიდი და ერთი ჯიში დანერგილია უცხოეთში.

ჰიბრიდმა “ენგურმა” უზბეკეთში 24 ტონა მოსავალი უჩვენა საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში დაპატენტებული იქნა სიმინდის 5 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი: წილკანი 1, წილკანი 2, საბა, კახურა, ბექა ასევე 2 ჯიში - ქართული კრუგი მაღალლიზინიანი და სახამებლიანი შავი. აქედან წილკანი 1, საბა, კახურა, ქართული კრუგი მაღალლიზინიანი და სახამებლიანი შავი უნივერსალური მიმართულებისაა. ისინი რეკომენდირებულია საქართველოს მესიმინდეობის ყველა რაიონისათვის სასურსათოდ, სამარცვლედ და საფურაჟე მიმართულებით.



ქართული კრუგი მაღალლიზინიანი





კახურა



შავი სიმინდი

Zea mays  
amulaceae

### კვლევის აგროტექნიკა

სიმინდის სელექციური ცდები დაითესა ნახორბლარზე. ნიადაგის მზრალად დამუშავება ჩატარდა 2019 წლის ნოემბერში. თესვის წინა კულტივაცია მოეწყო 15 აპრილს, თესვა დავიწყეთ 19 აპრილს და დავამთავრეთ 2 მაისს. საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები დაითესა სიხშირით 52 000 მცენარე ჰექტარზე, ხოლო საადრეოები 62 000 მცენარე ჰექტარზე. თესვა ჩატარდა ხელით პუნქტირებული წესით, ბუდნაში ჩაითესა 2 მარცვალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესის პირველი თოხნა ჩატარდა 3-4 ფოთლის ფაზაში 19-25 მაისს, ხოლო მეორე თოხნა 20-23 ივნისს. პირველი მორწყვა მოეწყო 15-18 ივლისს, ხოლო მეორე მორწყვა 25-27 ივლისს.

- ცდის მეთოდისა და ტექნიკა

საკონკურსო გამოცდები მოეწყო 10 კვ. მ. დანაყოფზე 4 განმეორებაში, წინასწარი და საკონტროლო გამოცდები 2 განმეორებაში, დანარჩენი სანერგეები-საკოლექციო და თვითდამტვერილი ხაზების დაითესა 3 კვ.მ. დანაყოფზე, ორ მწკრივში განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა საგვიანოების 70X30 სმ. ხოლო საადრეოები 70X27 სმ-ზე.





### ***კვლევის მეთოდика.***

კვლევით პროცესში გამოვიყენეთ სელექციის ძირითადი მეთოდები:

- გამორჩევა, ჰიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. ჰიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი ვაწარმოეთ ფიზიოლოგიური და ანალიზური მეთოდით, ხოლო ჰიბრიდების მიღება მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწყვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევას ვაწარმოებდით სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშანთვისებების მცენარეთა თვითდამტვერვით და სიბსური გამრავლებით.

### ***საწყისი მასალა.***

საწყის სელექციურ მასალად გამოვიყენეთ სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული სხვადასხვა თაობის ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან: ამერიკა, არგენტინა, მექსიკა, საფრანგეთი, იუგოსლავია, იტალია, ესპანეთი, უკრაინა, მოლდავეთი და რუსეთი. გამოცდის შედეგები შევაფასეთ ტარო-მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამეურნეო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე.

მოსავლის აღება, აღრიცხვა და დამუშავება ჩატარდა ჯიშთა გამოცდის მეთოდის მიხედვით.

**კლიმატური პირობები.**

აპრილი და მაისი ხასიათდებოდა ნალექებით, ნალექიანი იყო ივნისის პირველი ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი და აგვისტო იყო უნალექო და გვალვიანი.

**პირველი პროექტის მიხედვით მოწყობილი ცდები 2020 წელს.**

**ცხრილი 1.**

#	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი კვ.მ-ზე
1	საკოლექციო სანერგე	80	260
2	თვითდამტვერილი ხაზების სანერგე	182	546
3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	25	250
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	15	150
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	14	280
6	საჰიბრიდიზაციო სანერგე	1	500
	ჯამი	307	1946

შესაბამისად პირველი პროექტისა ისწავლებოდა 307 ნომერი 1946 რილი 2.კვმ ფართობზე.

**მოტანილია პირველი პროექტის მიხედვით საკონკურსო გამოცდის შედეგები.**

**ცხრილი 2.**

#	გამოცდილი ნომრების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა-ზე	გადახრა სტანდარტიდან		1 სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტონა / ჰა	პროცენტებში	
1	2	3	4	5	6
1	ლაფსკ 9 X სმი 4	5,8	1,0	120,8	107
2	სმი 4 X მო 17	8,0	+2,2	166,6	107

3	ხაზი ქვ 44 X მო 17	8,3	+2,9	164,8	107
4	ხაზი სმი4 X ბი 73	8,4	+2,6	144,8	110
5	ხაზი მო17 4 X ქვ 44	8,7	3,9	181,2	110
6	ხაზი მო17 X ხაზი ლაფს 9	6,6	+1,8	137,5	107
7	ხაზი სმი 4 X ხაზი ლაფსკ 9	6,6	+1,8	137,5	107
8	ხაზი ლაფსკ 9 X იტალიური ნახ. კბილა ყვითელი	4,8	±0,0	100	107
9	ხაზი სმი 4 X იტალიური კბილა ყვითელი	8,1	+3,2	178,7	110
10	ხაზი ქვ 44 X სმი 4	8,6	+3,8	179,1	110
11	ართული 9 სტანდარტი	5,8	100	100	110
12	სმი 4 X ლაფსკ 9	5,6	00	100	107
13	ლაფსკ 9 X ხაზი სმი 4	6,2	1,4	129	107
14	ქართული კ.44 X მო 17	5,6	+0,8	116,6	110
15	სმ4 X იტალიური ნახ კბილა ყვითელი	8,4	+4,1	175,0	107
16	თურქული ნახ კბილა ყვითელი X მო 17	8,1	+3,7	175,0	107
17	ზო 150 X ქვ 44	8,0	+3,2	166,6	110
18	ზოო 150 X ქვ 44	5,3	+0,5	110,4	118



19	ზოო 50 X ხაზი ქვ, 44	5,4	+0,6	112,5	120
20	ლაფსკ 9 X ზოო 50	5,3	+1,0	120,8	110
21	კაქ ყვითელი X ზოო 6	5,2	- 0,6	0,19	110
22	2 სმი 4 X ზოა 50	5,3	0,5	0,18	110

საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში იცდებოდა 22 ნომერი მათ შორის 19 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი, 2 ჯიშხაზური. სტანდარტი იყო ქართული 9. სტანდარტთან შედარებით უკეთესი შედეგები მოქვცა 9 ნომერმა მათ შორის ყველაზე კარგი შედეგი უჩვენა ორმა ჰიბრიდმა რომლებმაც ჰექტარზე 9,4 – 6,0 ტონით მეტი მოსავალი მოგვცა ჰექტარზე მარცვალში. ეს ჰიბრიდები მომზადდება საქპატენტზე გადასაცემად მომავალ წლებში.

საადრეო ფორმების წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 17 ნომერი. მათ შორის 12 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი, 2 ჯიშხაზური და 2 სამხაზოვანი.

სტანდარტი ქართული 9. აქედან სტანდარტს აჯობა ექვსმა ნომერმა მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა ორმა ჰიბრიდმა: ხაზი ქართული კრუგი 44 X იმ 18 ჰექტარზე 14,1 ტონა და ხაზი ქართული კრუგი 44 X მო 17-ზე 12,3 ტონა ჰექტარზე მარცვალში. საგვიანოების წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 15 ნომერი, მათ შორის 10 ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 4 ჯიში, აქ სტანდარტი იყო ენგური, რომელსაც აჯობა ექვსმა ფორმამ. სტანდარტმა ჰექტარზე 30 ტონა მოსავალი მოგვცა მარცვალში. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავლიანობა აჩვენა მარტივმა ჰიბრიდმა მაისი 2 X ბი 73. რომელმაც სტანდარტს აჯობა 4,2 ტონით ჰექტარზე. უკეთესი ჰიბრიდების შესწავლა გაგრძელდება მომავალ წელს საკონკურსო ჯიშთა გამოცდებში.

საკონტროლო ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 32 ნომერი. სტანდარტი იყო წილკანი 1 რომელმაც ჰექტარზე მოგვცა 9,6 ტონა მოსავალი ჰექტარზე. აქ სტანდარტს 4,2 ტონით აჯობა მარტივმა ხაზთაშორისი ჰიბრიდმა - მაისი 2 X ბო 73. უკეთესი ჰიბრიდების გამოცდა გაგრძელდება მომავალ წელს ჯიშთა გამოცდებში.

**პროექტის მიხედვით ჩატარებული ცდები და ნომრების მაჩვენებლები.**

**ცხრილი 3.**

#	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი კვ.მ.
1	საკოლექციო სანერგე	70	210
2	ხაზების სანერგე	220	680

3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	16	160
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	15	150
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	16	320
	ჯამი	337	1520

მეორე პროექტის მიხედვით კვლევა მიმდინარეობდა 5 გამოცდაში სადაც ისწავლებოდა 337 ნომერი 1520 კვ.მ. ფართობზე.

მეორე პროექტის მიხედვით საკონკურსო ჯიშთა გამოცდის მონაცემები.

ცხრილი 4.

#	გამოცდილი ნომრების დასახელება	საშუალო მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰ	პროცენტები	
1	აჯამეთის თეთრი 2 X მო 17	8,3	+0,1	+101,2	125
2	ხაზი მო 17 X ხაზი აჯამეთის თეთრი 2	8,0	-0,2	97,5	125
3	ხაზი 3 10ვ X ხაზი 13 - 10	12,1	+3,9	147,5	130
4	პპ 3-1 X ვ-10	8,0	-0,2	97,5	130
5	ხაზი აჯამეთის თეთრი 2 X ბი 73	8,0	-0,2	97,5	130
6	ფირმა მაისი X ბი 73	12,4	+4,2	151,2	125
7	მაისი X ბი 73	8,4	+0,2	108,4	125
8	ზურაბის 1 X ბი 73	8,3	+0,1	101,2	125
9	მაისი შვეიცარია X ბი 73	7,1	-1,1	86,5	125
10	სვანეთის 1 X მო 17	7,0	-1,0	85,3	120

11	წილკანი 1 სტანდარტი	8,2	+00	100	125
12	მუხრანი X ბი 73	8,4	+0,2	102,4	125
13	ხაზი ქართული კრუგი X იმ 18	8,1	-0,1	98,7	125
14	სმი 4 X იმ 18	8,3	+0,1	101,2	125
15	ქართული კრუგი 44 X იმ 18	8,0	-0,2	97,5	125
16	სმი 4 X იმ 18	8,0	-0,2	97,5	125
17	იმ ჰიბრიდი 18 X აჯამეთის თეთრი 2	7,7	-0,5	93,9	130
18	ხაზი ქართული კრუგი 44 X სმი 4	8,0	-0,2	80,8	120
19	სმი 4 X იმ 47	7,9	-0,3	96,3	120
20	ხაზი ქართული კრუგი X მო 17	8,0	-0,2	80,8	120
21	ხაზი იმ 18 X ბი 58	8,0	-0,2	80,8	120

საკონკურსოში იცდებოდა სტანდარტის ჩათვლით 21 ნომერი, 17 მარტივი ხაზთაშორისი და 4 ჯიშხაზური ჰიბრიდი. სტანდარტი იყო კახურა. ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა 3მა ნომერმა რომლებმაც სტანდარტს აჯობეს 4,8-3,9 ტონით მარცვალში ჰექტარზე.

ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ორმა ჰიბრიდმა: იმ 4 X სმი 4 და პაპ 3-1 X პ 31-28 რომლებმაც ჰექტარზე საშუალოდ მოგვცეს 22,2 ტონა მარცვალში და სტანდარტს აჯობეს 5,2 ტონით. ეს ორი ჰიბრიდი მომზადდება მომავალ წელს საქპატენტზე გადასაცემად.

რაც შეეხება საკოლექციო და ხაზების სანერგეებს ორივე პროექტით ისწავლებოდა საკოლექციო სანერგეში 227 ნომერი აქ ყვავილობის პერიოდში ჩატარდა 2 სახის სამუშაო – ყვავილობის წინ მოეწყო უკეთესი მცენარეების შერჩევა და მათზე ჩატარდა სიბსური გამრავლება, ხოლო არათანაბარ მცენარეებზე თვითდამტვერვა. მიღებულია ხელოვნურად 145 ტარო თვითდამტვერვით და სიბსური გამრავლებით 237

ტარო. მიღებული მასალა დაითესება მომავალ წელს საკოლექციო სანერგეში და ჯიშთა გამოცდებში.

პირველი და მეორე პროექტით ისწავლებოდა თვითდამტვერილი ხაზების სანერგეში 272 ნომერი აქ ყვავილობის წინ ჩავატარეთ მცენარეთა შეფასება მორფო-ბოტანიკური მონაცემებით და ამათზე მოეწყო სიბსური გამრავლება და მარტივი ხაზთაშორისი შეჯვარება. არათანაბარ მცენარეებზე ჩატარდა თვითდამტვერვა. სიბსური გამრავლებით მივიღეთ სულ 610 ტარო. მარტივი ხაზთაშორისი შეჯვარებით 320 ტარო. მიღებული მასალა მომავალ წელს გამოიცდება ხაზების სანერგეში და ჯიშთა გამოცდებში.

მესამე პროექტით სიმინდის დარაიონებული ჯიშების და ჰიბრიდთა მშობლიური ხაზების პირველადი მეთესლეობა. ამის მიხედვით მოწყობილი იყო ორი სანერგე პირველი სიმინდის ჯიშებისა და ხაზების შერჩევითი სანერგე 37 ნომერი. მეორე სიმინდის დარაიონებული ჯიშებისა და ჰიბრიდთა მშობლიური ხაზების სათესლე სანერგე 16 ნომერი.

შერჩევით სანერგეში მოეწყო მცენარეთა ყვავილობის დაწყების წინ მცენარეთა შერჩევა და უკეთესების სიბსური გამრავლება. მიღებული იქნა თითოეული ნომრიდან 20 ტარო, ხოლო სიმინდის დანერგილი ჯიშებისა და ჰიბრიდების მშობლიური ხაზების სათესლე სანერგე ისწავლებოდა 16 ნომერი ხოლო შერჩევით სანერგეში 37 ნომერი. თითოეულ ნომერზე ყვავილობამდე მოეწყო სიბსური გამრავლება და მიღებულია თითოეულ ნომერზე 50–100 ტარო. მიღებული მასალა წარმოადგენს თითოეული ნომრის სუპერელიტას. სამწუხაროა, რომ თითოეული ნომრის ელიტური თესლის წარმოება ხელოვნურად შეუძლებელია, რადგან ბუნებრივი საიზოლაციო ფართობები არ გაგვაჩნია ადგილზე.

მეოთხე პროექტით კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა ორ გამოცდაში. პირველ გამოცდაში- საკონტროლო ისწავლებოდა 6 ნომერი. აქედან უკეთესი ნომერი. აქედან უკეთესი 2 ნომერი გამოიცდება მომავალ წელს წინასწარ ჯიშთა გამოცდაში. მეორე გამოცდაში კვლევა მიმდინარეობდა ოთხ ნომერზე. მომავალ წელს გაგრძელდება მუშაობა ამ ოთხ ნომერზე და უცხოურ ფორმებზე რომლებიც უნდა მივიღოთ ამერიკიდან.

სიმინდის დანერგილი ჯიშების ჰიბრიდთა მშობლიური ფორმების მეთესლეობა და ჯიშთა გამოცდა რეგიონებში.

საანგარიშო წელს დაწყებული მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა 6 რეგიონში: ახმეტაში 1,4 ჰექტარზე, ლენტეხში 0,1 ჰექტარზე, მარნეულში 2,2 ჰექტარზე, ადიგენში 1 ჰექტარზე, გურჯაანში 2 ჰექტარზე, და აჯამეთში 1 ჰექტარზე.

**რეგიონებში დათესილი სიმინდის ჰიბრიდების და ჯიშების მოსავალი  
ტაროში 2020 წელს**

**ცხრილი 5.**

N	რეგიონები	ნათესი ფართობი, ჰა	ჯიში და ჰიბრიდი	მოსავალი ტაროში კგ-ში
1	აჯამეთი	3,0	აჯამეთის თეთრი	1150
2	ახალციხე ვალე	2,4	ბექა	280
3	გორი	1,2	წილკანი 1	2550
4	ადიგენი	1,0	წილკანი 2	750
ჯამი				3480

მიღებულია სულ 3480 კგ ტაროში, რომელიც გადმოტანილია წილკნის ბაზაზე, უნდა გადაირჩეს და დავიდეს ნორმალურ ტენიანობაზე, შემოწმდეს აღმოცენებაზე და გაიცეს ფერმერებზე მოთხოვნილებისამებრ.

მარნეულში მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავის დროზე ჩავატარეთ თესვა და მოვლითი სამუშაოები ვერ შევძელით თავის დროზე მორწყვა, ამიტომ ნათესი დაწუნებულ იქნა. ამის შესახებ ჩვენ მივმართეთ რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ.

რეგიონების სელექციური ცდებიდან გამორჩეული იქნა უკეთესი ფორმები, რომლებიც მომავალ წელს შეისწავლება საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში.

**2. გამოქვეყნებული სტატიები:**

**2.1.** „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სიმინდის სელექციის 2019 წლის კვლევითი ანგარიში“. სსმმ აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, #1, 2020 წელი;

**2.2.** „სიმინდის სელექცია მეთესლეობაში მამრობითი სტერილურობის გამოყენების შედეგები“, სსმმ აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, #2, 2020 წელი;

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამავე აკადემიის მინდვრის კულტურების მიმართულების ეროვნული კორდინატორი და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მარცვლეული კულტურების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.



### 6.1.3.12.საკატიო აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკატიო წევრის, აკადემიკოს თენგიზ ურუშაძის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

#### 1. გამოქვეყნებული მონოგრაფიები.

„ნიადაგის საველე კვლევა“

1.1. (თანავტორობით), თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2020 წ.

მონოგრაფია ეძღვნება ნიადაგის საველე კვლევებს, განხილულია ნიადაგწარმოქმნელი

ფაქტორები, ნიადაგის ეკოლოგიური ფუნქციები, დიაგნოსტიკური ჰორიზონტები, ნიადაგურ-კარტოგრაფიული სამუშაოების ორგანიზაცია, ჭრილის ადგილის დახასიათება, ნიადაგის აღწერა. დანართში მოცემულია სამუშაოების აღჭურვილობა.

1.2. „აგრონიადაგმცოდნეობა“, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2020 წ.

მონოგრაფიაში განხილულია ნიადაგწარმოქმნის თანამედროვე საკითხები, მოცემულია ქვეყნის ძირითადი ნიადაგების გენეზისი, კლასიფიკაცია, აგრონომიული დახასიათება, მათი ნაყოფიერების გაზრდის გზები, გაშუქებულია ნიადაგების რაციონალური გამოყენება.

2. თბილისის #64 საჯარო სკოლაში განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში „მეცნიერება იწყება სკოლიდან - პროექტები მოსწავლეთა მონაწილეობით“ (საგრანტო ხელშეკრულება - SCR /16/7/19) გამარჯვებული პროექტი „მრავალფუნქციონალური ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი კლუბის დაარსება“.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში ეკონობიერების ამაღლება, რაც გულისხმობდა როგორც უშუალოდ მონაწილეების სწავლებას, ასევე შემდგომში მრავალფუნქციონალური ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი კლუბისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას თვალსაჩინოების მასალებითა (ჰერბარიუმები, ფოტომასალა, შემეცნებით-სამეცნიერო პოსტერები) და ლიტერატურით.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენდა 6 თვეს (16.09.2019 – 03.04.2020), ხოლო მონაწილეობას ღებულობდნენ მე-10 კლასის მოსწავლეები. პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ #64 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ეკატერინე ვეკუა, სამეცნიერო ხელმძღვანელი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი თენგიზ (გიზო) ურუშაძე.



პროექტი მოიცავდა სწავლების თეორიულ, საველე, ლაბორატორიულ და კამერალურ ნაწილს. თეორიული სწავლების ნაწილში პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა მოისმინეს ეკოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკითხების შესახებ თემატური ლექციები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამინისტროს წარმომადგენლებმა წაიკითხეს. პრაქტიკულ ნაწილში განხორციელებულია საველე გასვლები ნიადაგური და მცენარეული საფარის ბუნებრივ პირობებში შესასწავლად, აღებული და დამუშავებული იქნა საჭერბარიუმე მასალა.

ლაბორატორიული სამუშაოების ფარგლებში ნიადაგების ლაბორატორიული კვლევის საფუძვლებისა და თავისებურებების შესასწავლად პროექტის მონაწილეები სტუმრობდნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ და შეასრულეს ნიადაგის საბაზისო ლაბორატორიული ანალიზები.

კამერალური მუშაობის ეტაპზე პროექტის მონაწილეები გაეცნენ ჰერბარიუმის სპეციფიკას და საველე კვლევის ფარგლებში აღებული მცენარეულობის ნიმუშების დამუშავების შედეგად შექმენეს ჰერბარიუმი.

პროექტის ფარგლებში მიღებული თეორიული, პრაქტიკული და ლაბორატორიული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებმა აირჩიეს ეკოლოგიური და საბუნებისმეტყველო თემები, რომლების შესახებაც მოამზადეს პრეზენტაციები და სამეცნიერო-შემეცნებითი პოსტერები.

3. წიგნი „აგრონიადაგმცოდნეობა“ შედგენილია და გამოქვეყნებული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო ხელშეკრულება - SP-19 153). პროექტის მიზანი - მეცნიერების ახალი დარგის „აგრონიადაგმცოდნეობის“ დაფუძნება და მასთან დაკავშირებული მიზნების და ამოცანების ფორმულირება. წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ნიადაგის გენეზისი, მისი ცალკეული მაჩვენებლების დახასიათება, ნაყოფიერება და ეკოლოგიური ფუნქციები. წიგნის მიზანის აგრარული მეცნიერების ახალი მიმართულების - აგრონიადაგმცოდნეობის საფუძვლების ჩამოყალიბება. წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ნიადაგის გენეზისი, მისი ცალკეული მაჩვენებლების დახასიათება, ნაყოფიერება და ეკოლოგიური ფუნქციები. წიგნის ძირითადი ნაწილი ეხება საქართველოს ნიადაგების მრავალმხვრივ დახასიათებას, გეოგრაფიისა და სასოფლო-სამეურნეო გამოყენების თავისებურებებს. დასასრულს იხილება ნიადაგების დეგრადაცია (ეროზია, მძიმე ლითონების შემცველობა, რადიოაქტიურობა) და მისი აცილების გზები.

წიგნის სამიზნე აუდიტორია არის ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც იკითხება საგანი „ნიადაგმცოდნეობა“ წიგნის მნიშვნელოვან აუდიტორიას წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის ფართო წრეები, მათ შორის ფერმერები.

4. აკად. თ. ურუშაძე არის - საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი, ჟურნალების: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“, „ქიმია და გარემოს დაცვა“ (ინდოეთი), „არქივი აგრონომიასა და ნიადაგმცოდნეობაში“ (გერმანია), „ჩილეს ჟურნალი სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში“ (ჩილე) რედკოლეგიის წევრი.

4.1. ჟურნალის „აგრარულ მეცნიერებათა მაცნეს“ მთავარი რედაქტორი. 2020 წელს ინტერნეტში განთავსდა 1 (14 სტატია, აქედან 4 - უცხოელების) და 2 (15 სტატია, აქედან 3 უცხოელის) ნომრები, მე-3 ნომერი (19 სტატია, აქედან 3 უცხოელის) გადის დასკვნით რედაქტირებას და მზად არის დასამუშავებლად მე-4 ნომერი (19 სტატია, აქედან 3 უცხოელის).

4.2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე.

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა კომისიის 5 სხდომა.

ორი სხდომა (22 იანვარს და 19 თებერვალს) ჩატარდა მიღებული წესებით, კომისიის წევრების მონაწილეობით, ხოლო მომდევნო სამი სხდომა (მარტში, აპრილსა და სექტემბერში) ქვეყანაში პანდემიის გათვალისწინებით - დაუსწრებლად - მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენების თეზისები იგზავნებოდა კომისიის წევრებისთვის და 3 კვირის მანძილზე შესაძლებელი იყო მოსაზრებების გადმოგზავნა. ამის შემდეგ მომხსენებლის მიერ ხდებოდა მიღებული მასალის განზოგადოება და მოხსენების სრული ვერსიის მომზადება.

ასე, მაგალითად, პროფ. ანზორ მესხიშვილის მოხსენებაზე „საქართველოს მიწის რეფორმის შედეგები დამოუკიდებლობის მიღებამდე და მიღების შემდეგ“ (მარტი) შემოვიდა 35 გამოხმაურება; პროფ. გიზო გოგიჩაიშვილის მოხსენებაზე „ნიადაგის ნახშირბადი და კლიმატის შეცვლა“ (აპრილი) შემოვიდა 5 გამოხმაურება და მეცნიერებათა დოქტორის თამარ ხოშტარიას მოხსენებაზე „მწვანე დერეფნის შექმნა და განვითარება „დიდი მცხეთის“ მაგალითზე (სექტემბერი) შემოვიდა 14 გამოხმაურება.

კომისიის სხდომების ასეთმა მიდგომამ დიდი ინტერესი გამოიწვია და იგეგმება მათი გაფართოება.



### 6.1.3.13. აკადემიის სტიპენდიატი ბიორბი ქვარცხავა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის, დოქტორ გიორგი ქვარცხავას მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში.

**დოქტ. გიორგი ქვარცხავა** 2020 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ევროპული წესით და ქვევრის ღვინის ქიმიური კომპონენტების კვლევას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ გარდაქმნების შესწავლა და განსხვავებების შედარება, რომელიც ქვევრში მიდის. ასევე საინტერესო იყო იმ გარდაქმნების შესწავლა, რომელსაც

ქვევრი ახდენს ღვინის ფერმენტაციის, მაცერაციის და დამკვლელებისას. **კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:** შერჩეული ყურძნის ჯიშების მიხედვით (ჩინური, ცოლიკოური, მანავის მწვანე) შემუშავებული იქნა ქვევრის და ევროპული ტიპის ღვინის დამზადების ტექნოლოგია, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ჩინურის, ცოლიკოურის და მანავის მწვანის მტევნის მექანიკური აგებულება, ქვევრის ღვინოებს ევროპული ტიპის ღვინოებთან შედარებით ახასიათებთ განსხვავებული არომატი, ფერი და გემო; შესწავლილი იქნა ჩინურის, ცოლიკოურის, მანავის მწვანის ქვევრის და ევროპული წესით დამზადებული ღვინოების ქიმიური მახასიათებლები, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნული ჯიშების ღვინოები გამოირჩევიან მაღალხარისხოვანი ღვინისათვის დამახასიათებელი ქიმიური და ორგანოლექტიკური თვისებებით; საკვლევ ნიმუშებში განისაზღვრა მძიმემეტალების შემცველობა და დადგინდა, რომ ისინი შეესაბამებიან სტანდარტით დადგენილ ნორმებს; განსაზღვრული იქნა ასევე მინერალური ნივთიერებები. დადგინდა, რომ ქვევრის ღვინოები ევროპული ტიპის ღვინოებთან შედარებით ხასიათდებიან მინერალური ნივთიერებების უფრო მაღალი მნიშვნელობით, რაც განპირობებულია მინერალური ნივთიერებების მიგრაციით ქვევრის კედლიდან ღვინოში; შესწავლილი იქნა საერთო ფენოლური ნივთიერებების შემცველობა, რითაც ერთმანეთთან შედარდა ქვევრის და ევროპული ტიპის ღვინოები; ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ქვევრში ჭაჭაზე ტრადიციული წესით დაყენებულ ღვინოებში ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ევროპული წესით დამზადებულ ღვინოებში არსებულ ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობას; ჩინურის, ცოლიკოურის და მანავის მწვანის ქვევრის ღვინოები ფენოლური ნივთიერებების შემცველობით აჭარბებს აგრეთვე უცხოურ წითელ ღვინოებს (მაგ. საბერძნეთის, იტალიის, ჩინეთის, მაკედონიის, კვიპროსის, მექსიკის და სხვ. ღვინოები); საანალიზო ღვინოებში განსაზღვრულ იქნა ანტიოქსიდანტური აქტივობა. დადგინდა, რომ

ჩინურის, ცოლიკოურის და მანავის მწვანის ქვევრის ღვინოები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური აქტივობის მაღალი მნიშვნელობით; ასევე მნიშვნელოვანია **ტრანს-და ცის-რეზვერატროლის** განსაზღვრა, რაც ქვევრის ღვინოებში საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ევროპული ტიპის ღვინოებთან შედარებით; **ტრანს-და ცის-რეზვერატროლის** მაღალი შემცველობით ქვევრის ღვინოები შედარდა საბერძნეთის, ბრაზილიის, ჩინეთის ცნობილ წითელ ღვინოებს და მნიშვნელობებით ბევრად გადააჭარბა, რაც დადებითი შედეგია ქვევრის ღვინოებისთვის.

ამავე პერიოდში ბატონი გ. ქვარცხავა მონაწილეობდა “ქ. თბილისის ურბანული ტყის” პროექტის ფარგლებში მწვანე ნარგაობების ფიტოსანიტარულ კვლევაში. კვლევა ა(ა)იპ „ფონდი განვითარება და გარემო“-მ დააფინანსა და ამ პროექტის ფარგლებში უნიკალური კვლევები ჩატარდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გეგმარებითი ურბანული ტყის ფარგლებში მცენარეთა მდგომარეობის შესწავლა-შეფასება. მაგრამ თბილისის მასშტაბით არსებული წიწვოვნების მასიური დაავადებისა და ხმობის გამო, კვლევა ჩატარდა ქალაქისა და მისი შემოგარენის უბნებზეც. კვლევა იყო კომპლექსური და მოიცვა როგორც ენტომოლოგიური, ასევე მიკრობიოლოგიური და ფიტოპათოლოგიური მიმართულებები. სამუშაოთა მსვლელობაში აქტიურად იყვნენ ჩართული სტუდენტები. განხორციელდა როგორც საველე, ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. საველე სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა 46 სამარშრუტო გასვლა ფიტოპათოლოგიური კვლევებისათვის და 17 - სატყეო-პათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევებისათვის. ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულ იქნა 420 მცენარიდან. მათ შორის 289 წიწვოვანი და 131 ფოთლოვანი. საპროექტო ტერიტორიაზე სატყეოპათოლოგიური მახასიათებლების მიხედვით აღირიცხა და შეფასდა 1755 ხე.

ლაბორატორიული კვლევები განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე არსებულ თანამედროვე ლაბორატორიებში. მიკრობიოლოგიური კვლევების ფარგლებში შესწავლილ იქნა 815 ნიმუში. მათგან გამოყოფილია და მიღებულია მიკროსკოპული სოკოების 2346 და 40 ბაქტერიის სუფთა კულტურა. მათი ნაწილის სახეობრივი იდენტიფიკაცია, მოლეკულურ-გენეტიკური (PCR) მეთოდით, განხორციელდა გელფის (კანადა) უნივერსიტეტში. შექმნილია და ფაკულტეტზე დაცულია კოლექცია, რომელიც მოიცავს მიკროსკოპული სოკოების 1388 და 38 ენდოფიტური ბაქტერიის შტამს.

ბაქტერიოლოგიური კვლევით საშიში პათოგენური ბაქტერიები არ გამოვლენილა. გამოყოფილია 40 არაპათოგენური ენდოფიტური ბაქტერიის შტამი. მათგან 36-ს გააჩნია ანტაგონისტური მოქმედება პათოგენურ სოკოებზე. მიმდინარეობს შემდგომი კვლევები ბიოკონტროლის მიმართულებით.

მიკოლოგიური კვლევით გამოვლენილი 30-ზე მეტი პათოგენური სოკოდან გამოიკვეთა 9 დომინანტური სახეობა (*Alternaria alternata*, *Curvularia spp.*, *Diplodia sapinea*, *Epicoccum nigrum*, *Dothiorella iberica*, *Didymella*, *Phoma odoratissimi*, *Sordaria lappe*). მასიურად, სახეზეა მათ მიერ კონფიცირების სურათი (განსაკუთრებით წიწვოვნებში). უმეტესად ფიქსირდება ერთი ხეზე 4-5 და მეტი პათოგენი. დომინანტი პათოგენებიდან 3 გვარი (*Alternaria*, *Curvularia*, *Epicoccum*) წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის (არიან ძლიერი ალერგენები). ფიტოპელმინთოლოგიური კვლევით საშიში პათოგენი - ფიჭვის ღეროს ნემატოდა *Bursaphelenchus xilophilus* გამოვლენილი არ არის.

ენტომოლოგიური კვლევებით დადგენილია დომინანტი მავნებლები: ფიჭვის დიდი ლაფნიჭამია (მებაღე) - *Tomicus piniperda* L.; ფიჭვის პატარა მებაღე - *Tomicus minor* Hart.; კენწეროს ქერქიჭამია - *Ips acuminatus* Eichn.; ფიჭვის ღეროს ალურა - *Dioructria splendidella* H.-S.; ფიჭვის შავი ხარაბუზა - *Monochamus galloprovincialis* Ol.; ექვსკბილა ქერქიჭამია - *Ips sexdentatus* Boern. კვიპაროსებზე, კედრებზე, სხვა წიწვოვან და ფოთლოვან სახეობებზე განსაკუთრებით საშიში მავნებლები არ გამოვლენილა.

სატყეო პათოლოგიური გამოკვლევების შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წიწვოვანი კორომების ფიტოსანიტარული მდგომარეობა შეფასებულია არადამაკმაყოფილებლად.

ანგარიშის ფარგლებში გაცემულია რეკომენდაციები როგორც მავნებლების, ასევე დაავადებების გამომწვევი პათოგენების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ.

2020 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 5 სამეცნიერო პუბლიკაცია აკადემიის სტიპენდიატის, დოქტორ გ. ქვარცხავას თანაავტორობით:

1. ნინო ძირკველიშვილი, გიორგი ქვარცხავა, ლიკა აფციაური - „დამბალ ხაჭოში აღმოჩენილი ძირითადი სოკოს სახეობები“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი გვ.128-130;
2. სორდია ე. კ. ქვარცხავა გ. რ. - „ქვევრისა და ევროპული წესით დამზადებულ ქართულ ღვინოებში ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #2, 91, 2020. გვ. 60-64;
3. სორდია ე.კ., ქვარცხავა გ.რ. - „ქვევრის და ევროპული წესით დამზადებულ ქართულ ღვინოებში მეტალთა შედარებითი შესწავლა“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #. 90, 2020. გვ. 120-123;
4. „Изменения белкового комплекса в процессе влаготепловой обработки масличного материала“. Авторы **Кварцхава Г.Р.**, Сирадзе М. Г., Бердзенишвили И.Г. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #2, 91, 2020. გვ. 55-58;
5. „Влияние режимов влаготепловой обработки масличных семян на содержание фосфолипидов в масле“. Авторы **Кварцхава Г.Р.**, Сирадзе М.Г., Дзnelадзе С. Дж. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #2, 91, 2020. გვ. 58-60;

2020 წელს დამთავრდა მუშაობა წიგნზე - „მემცენარეობა (კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია)“. ავტორები: ი. სარჯველაძე, გ. ქვარცხავა 302 გვ. აგრეთვე დასრულდა წიგნი „სურსათის ქიმია - რჩეული თავები“, ავტორები გ. ქვარცხავა, ვ. უგრეხელიძე 850 გვ. თარგმანი.

**2020 წელს დოქტ. გიორგი ქვარცხავას ხელმძღვანელობით დაცული იქნა ორი დისერტაცია:**

1. „აბორიგენული წითელი ყურძნის ჭაჭის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების პერსპექტივები საკონდიტრო წარმოებაში“ - დოქტორანტი ლელა გურგენიძე;
2. „ღვინის ლექიდან ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღების კომპლექსური ტექნოლოგიების შემუშავება“ - დოქტორანტი თამარ ყანჩაველი.



## **6.2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო ბანყოფილება**

### **აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 3 წევრი, 3 აკადემიკოსი, ერთი წევრ-კორესპონდენტი და ერთი სტიპენდიატი.

**აკადემიკოსები:** ჯემალ გუგუშვილი, თენგიზ ყურაშვილი და გურამ ტყემალაძე, **წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი (გარდაიცვალა 24 ნოემბერს), სტიპენდიატი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

**განყოფილებაში 2020 წელს ჩატარდა 8 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 23 იანვარს და განხილული იქნა საკითხები:

1. ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;
2. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეორე სხდომა** ჩატარდა 19 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები:



1. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
2. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 21 აპრილს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხები:

1. ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის საკითხებისათვის. **მომხსენებელი:** სსმმ აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე;
2. სტრესული სიტუაციებიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალების „ორნიტოთერაპიის“ შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 19 ივნისს და განხილული იქნა საკითხი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი ავთანდილ ხარაზიშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როზა ნოზაძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გოგი მამდარაშვილი; აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; სოფლის მეურნეობის დოქტორი ჯემალ ჯინჭარაძე; ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მაია კერესელიძე.

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 15 ივლისს და განხილული იქნა საკითხი:

1. მერძეული პირუტყვის შეფასების საკითხისათვის. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი.

**მექვსე სხდომა** ჩატარდა 21 ოქტომბერს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხი:

1. შინაური ცხოველების მიერ ზოონოზური დაავადებების გავრცელების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა 19 ნოემბერს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხები:

1. ბოცვრის ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;
2. ცოცხალი ორგანიზმების ადაპტირების ბიოქიმიური საფუძვლების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე

**მერვე სხდომა** ჩატარდა 11 დეკემბერს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხები

1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის, ანატოლი გიორგაძის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

2. თანამედროვე ტექნოლოგიები მეხორცულ მეფრინველეობაში. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე. აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით, ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღესთან (29 აპრილთან) დაკავშირებით 8-10 მაისს ჩატარდა ინტერნეტ-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ვეტერინარიის პერსპექტივები კორონავირუსის პანდემიის და მის შემდგომ პერიოდში“. გამოიცა შრომათა კრებული, მონაწილეებს კი გადაეცათ სერტიფიკატები. გარდა ამისა მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 25 სექტემბერს სსმმ აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების და ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო“-ს ერთობლივი ორგანიზებით ონლაინ რეჟიმში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება“.



**6.2.1. მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების) დასახელება	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.	იანვარი	აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	
2	აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.	იანვარი	აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	

3	აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.	თებერვალი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
4	აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.	თებერვალი	აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე	
5	აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2019 წელს მეაბრეშუმეობის დარგში გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.	მარტი	აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი	
6	საკვებწარმოების თანამედროვე მდგომარეობის და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ	მარტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ სარჯველაძე	
7	საქართველოში ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვის შესახებ.	აპრილი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
8	საქართველოში გავრცელებული ცხოველთა მრავალფეროვნების შესახებ	აპრილი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლევან თორთლაძე	
9	ქართული ფუტკრის, როგორც ბიომრავალფეროვნების საუკეთესო ნიმუშის შესახებ.	მაისი	სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი	
10	სტრესული სიტუაციებიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალების „ორნიტოთერაპიის“ შესახებ	მაისი	სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი	
11	ბუძუთა გოჭის გამოზრდის თანამედროვე მოთხოვნების შესახებ.	ივნისი	სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი	
12	სასოფლო-სამეურნეო ფრინველების ქართული გენოფონდის კრიოკონსერვაციის საკითხის	ივნისი	სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე	

	შესახებ			
13	მსხვილფეხა მცობნავი პირუტყვის ჰელმინთოზების ეპიზოოტიურ მდგომარეობაზე შენახვის სისტემის გავლენის შესახებ	ივლისი	ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი შადიმან ფოცხვერია	
14	შინაურ ცხოველთა ინსტიტუტების შესახებ	ივლისი	სოფლის მეურნეობის დოქტორი ნაირა მამუკელაშვილი	
15	მასტიტების დიაგნოსტიკაში, პროფილაქტიკასა და მკურნალობაში თანამედროვე მიდგომების შესახებ	ოქტომბერი	ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ნათიძე	
16	შინაური ცხოველების მიერ ზოონოზური დაავადებების გავრცელების შესახებ.	ოქტომბერი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
17	საქართველოში მებოცვრეობის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ	ნოემბერი	აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	
18	ფუნქციური დანიშნულების ალკოჰოლური სასმელების დამზადების პერსპექტივების შესახებ.	ნოემბერი	აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე	
19	ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2020 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.	დეკემბერი	აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი	
20	ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის, ანატოლი გიორგაძის მიერ 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.	დეკემბერი	სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე	

# მ რ

## 6.2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების ბეზმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	ჭეშოლოვანების ინოვაციური ტექნოლოგიის საწარმოო ათვისების შესახებ	მრგვალი მაგიდა	მარტი	მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილება სმმ დოქტ. გიორგი მაძღარაშვილი	
2	მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული – სამეცნიერო კონფერენცია	კონფერენცია	სექტემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
3	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
4	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

# მ რ

## 6.2.3. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო ბანყოფილების წევრების 2020 წლის ანბარიშეგი

### 6.2.3.1. აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი



აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია 2020 წლის სამეცნიერო პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

1. გამოქვეყნებული რეკომენდაციები:

1.1. ბოცვრის წარმოშობა და მოშენების თავისებურებანი; სსმმ აკადემია გამომცემლობა „აგრო“, თბილისი 2020.

რეკომენდაციაში განხილულია ბოცვრის ბიოლოგიური კლასიფიკაცია, ძირითადი და მთავარი ბიოლოგიური თავისებურებანი. ცხოველის ადრეულობა,

მაღალი ნაყოფიერება, გამრავლების უნარი, ზრდა-განვითარების ინტენსიურობა, კვების დანახარჯების ეკონომიურობა. ადგილობრივ-ბუნებრივ პირობებთან შეგუებლობა. ბოცვრის მალმწიფადობა დამოკიდებულია ჯიშზე, მოვლა-პატრონობის პირობებზე. დედალ ბოცვრებს სანაშენედ იყენებენ 2-3 წლის განმავლობაში, ხოლო მამლებს 3-4 წლის მანძილზე.

1.2. ბოცვრის ხორცის და ტყავ-ბეწვეულის დამზადების ტექნოლოგია; სსმმ აკადემია გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020.

რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ არსებობს ბოცვრის დაკვლის რამდენიმე მეთოდი, რომელთაგანაც ძირითადად გამოიყენება 1. ჯოხის დარტყმა ცხვრის ძვალზე. 2. ჯოხის დარტყმა კეფის ნაწილში. ბოცვრის დაკვლა და დამუშავება ხდება აგრეთვე ნაკადურ-მექანიზირებულ ხაზზე, კარუსელის ტიპის აგრეგატზე, რომელიც 1 სთ-ში გადაამუშავებს 500 სულ ბოცვრს. დაკვლის შემდეგ ტან-ხორცის კუნთებში მიმდინარეობს ფიზიკო-ქიმიური ცვლილებები, ხორცის დამწიფების ხანგრძლივობა და ხარისხი დამოკიდებულია გარემო ტემპერატურაზე. გაციებული ხორცი შეიძლება შეინახოს 5 დღის განმავლობაში 0,4 C° t-ზე, ხოლო ჰაერის ტემპერატურა უნდა მერყეობდეს 80-90 %-მდე.

1.3. ბოცვრის თივთიკის მიღების წესები; სსმმ აკადემია, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი 2020.

რეკომენდაციაში განხილულია თივთიკის პროდუქტიულობის გაზრდის საკითხები. თივთიკის პროდუქტიულობის გაზრდა უნდა წარმოებდეს თივთიკის დანაკარგების შემცირების და თივთიკის ზრდის ხარჯზე. ბოცვრის სხეულის სხვადასხვა ადგილიდან აღებული თივთიკი სხვადასხვა ხარისხისაა. მაღალი ხარისხის თივთიკი მიიღება ზურგიდან და თეძოდან. არ არის რეკომენდირებული სხვადასხვა



ხარისხის თივთიკის ერთმანეთში შერევა. თივთიკის ალების ვადებს ადგენენ მისი სიგრძის და ბეწვის სიმწიფის მიხედვით. თივთიკის პროდუქტიულობა დამოკიდებულია ბოცვრის ჯიშზე, კვებაზე და ასევე თივთიკის მოცლის ტექნიკაზე.

**1.4. ჰიბრიდიზაცია და ჯიშთაშორის შეჯვარების თეორიული საფუძვლები მეცხოველეობაში;** სსმმ აკადემია გამომემლობა „აგრო“, თბილისი, 2020.

რეკომენდაციაში გაანალიზებულია სას. სამეურნეო ცხოველთა სამყაროში ჯიშთაშორისი და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის თეორიული საკითხები. განხილულია ჰეტეროზისის გამომწვევი მიზეზები, პოზიტივები. ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკაში ცხოველთა ჰიბრიდიზაციისა და შეჯვარების პრობლემებზე. შესრულებული კვლევების ანალიზზე, დასახულია ჯიშთაშორის შეჯვარების ეფექტური კომბინაციების პრაქტიკაში გამოყენების გზები, რომლის ძირითადი მიზანია ახალი მაღალ პროდუქტიული ჯიშების გამოყვანა.

**2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადდა სახელმძღვანელო - „ორგანული მეცხოველეობა სოფლის მდგრადი საარსებო წყაროსათვის“.**

**3. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში** (აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ჯ.გუგუშვილი) ჩატარდა 9 სხდომა, მოსმენილი იქნა 13 საკითხი და

- გასვლითი სამეცნიერო პრაქტიკული სემინარი შპს „ბიოტექსში“.

**3.1. მომზადდა მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში, 2020 წელს გაწეული მუშაობისა და 2021 წ. პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.**

**3.2. აკადემიის პრეზიდიუმზე** გაკეთდა მოხსენება მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს შესახებ.

**3.3. მოსმენილი იქნა ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც დადებითად შეფასდა.**

**3.4. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი ორგანიზებით 8-10 მაისს ჩატარდა ვეტერინარიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ინტერნეტ-კონფერენცია. აკად.ჯ.გუგუშვილის მიერ კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება მეზოცვრეობის საკითხებთან დაკავშირებით.**

**3.5. მოსმენილი იქნა მოხსენებები - „სტრესული სიტუაციებიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალების თერაპიის შესახებ“, „ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის საკითხებისათვის“ და „შინაური ცხოველების მიერ, ზოონოზური დავადებების გავრცელების შესახებ“.**

**4. აკად. ჯ.გუგუშვილის ხელმძღვანელობით** სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოზე, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 8 სხდომა. 1-სამეცნიერო ექსპედიცია, განხილული იყო 13 საკითხი. განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია:

**4.1. მეზოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;**

**4.2. ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის წინაპირობა საქართველოში;**

4.3. საქართველოში პურ-პროდუქტების წარმოების შესახებ;

4.4. ბიოსფერო, ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკა;

4.5. სას.სამეურნეო დანიშნულების მიწის საკანონმდებლო ბაზის შესახებ;

5. საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო საბჭოს წევრები, რეკომენდაციებს და კონსულტაციებს უწევდნენ ფერმერულ მეურნეობებს, კვლევით ცენტრს „ბიოტექს“-ს, შპს „ლაშარელა“, „ნიუვეტი“, „იმუნოგენი“ და ა.შ.

5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აკად. ჯ.გუგუშვილი არის სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ექსპერტი მეცხოველეობის დარგში, მეცხოველეობის მიმართულებით აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის „აგრარული საქართველო“-ს სამეცნიერო საბჭოს წევრი.

6. აკადემიკოს ჯ.გუგუშვილის წინადადებები.

ქვეყანაში მწვავედ დგას ზოოვეტერინარული პროფილის კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი. ფერმერების უმეტესობა დაბალი კვალიფიკაციისაა. მცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველთა სულადობა. მატულობს, როგორც ინვაზიური, ასევე ინფექციური დაავადებების რაოდენობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელ პირობად რჩება საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის უმაღლესი განათლების, ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის აღდგენა. სხვა შემთხვევაში მწვავე კრიზისი გარდაუვალია.



### 6.2.3.2. აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე



2020 წელს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის ანგარიში.

აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ხელმძღვანელობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას: „აგრარული ტექნოლოგიები“. არის სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, სტუ-ს აგრარულ მეცნიერებებში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

1. სტუ-ს სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტში ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თემაზე: „საქართველოში ველურად მოზარდი და კულტივირებული, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო მცენარეების გამოყენებით ახალი ქართული პროდუქციის, მათ შორის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის რეკომენდაციების შემუშავება“. კვლევის მიზანს წარმოადგენს: ქართული პროდუქტის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესება, ახალი რეცეპტების შექმნა, მეტი სასარგებლო თვისებებით დატვირთვა, შენახვის ვადის გახანგრძლივება, სტაბილურობის, ფერის, სუნისა და არომატის შექმნა, ადამიანის გუნება-განწყობილების, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, სასიცოცხლო ტონუსისა და შრომითი აქტიურობის ამაღლება და, რაც მთავარია, ახალი პროდუქტებისათვის ფუნქციური (პროფილაქტიკურ-პრევენციული) თვისებების მინიჭება.

2. სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბაზაზე 2020 წელს შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსმმ აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი გურამ ტყემალაძე.

**ცენტრის მიზანი და ამოცანები:**

**თემა:** „მაღალხარისხოვანი და სრულფასოვანი სურსათის უნარჩენო წარმოება“.

**მიზანი:** მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი და სრულფასოვანი, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო, უვნებელი და ფუნქციური (პროფილაქტიკურ-პრევენციული) დანიშნულების მქონე სურსათის უნარჩენო წარმოება მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით.

პრობლემის აქტუალურობა: თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს დღეს, მსოფლიოს გლობალური დათბობისა და კლიმატისა მკვეთრი გაუარესების ფონზე, მოსახლეობის მზარდი შიმშილისა და სიკვდილიანობის პირობებში.

**ცენტრის ძირითადი ამოცანები:**

1. ორიგინალური და ინოვაციური იდეების საფუძველზე სურსათის უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავება, პრაქტიკაში დანერგვა და მასზედ მკაცრი კონტროლის დაწესება;

2. სამკურნალო თვისებების მქონე ენდემური ჯიშებისა და მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული მცენარეების მოძიება, შესწავლა და ფუნქციური დანიშნულებით გამოყენების მიზნით დაჯგუფება - მომხმარებლის სოციალური, ეკონომიკური და ფიზიოლოგიური მდგომარეობის, მათ შორის, ასაკის, სქესის, ფიზიკური დატვირთვის, სეზონურობის, კლიმატისა და სხვათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

3. სურსათის წარმოებაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხისა და უვნებელი სურსათის შეთავაზება მიწოდება;

**კონკრეტულად:**

ა. ციტრუსოვანი, კენკროვანი და სამკურნალო მცენარეებიდან ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული ღვინოების, არყის (სპირტის), ლიქიორების, ლუდისა და სხვათა წარმოება.

ბ. აღნიშნული სურსათის წარმოებიდან დარჩენილი, მცენარეთა გამოუსადეგარი ნაწილების, მათ შორის, ნაყოფთა ქერქისა (კანის) და სხვათა გამოყენების შესწავლა: კულინარიული, საკონდიტრო ნაწარმების, წვენების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო, მატონიზებელი და სხვა სასმელების წარმოებაში.

გ. დეგრადირებული ნიადაგების აღდგენა-განახლება და გაჯანსაღება ხილის, მათ შორის, ციტრუსების; ბოსტნეულის; მარცვლოვანი; პარკოსანი; ზეთოვანი მცენარეების ქერქისა და სხვა სახის ნარჩენების გამოყენებით. ცნობისათვის, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, საქართველოში გამოუსადეგარი, დეგრადირებული ნიადაგების რაოდენობა შეადგენდა 35%-ს. რა იქნება ხვალ, ადვილი წარმოსადგენია. საქართველოში დღესაც, ათასობით ტონა ხილი (მაგალითად, ვაშლი, ატამი, მანდარინი) ღებება და ხდება გადასაყრელი. მეტიც, იმარხება ნაგავსაყრელებზე. შედეგად, საგრძნობლად ზარალდება, ერთი მხრივ, ქვეყნის ბიუჯეტი, მეორე მხრივ, უკიდურესად ბინძურდება ეკოლოგიური გარემო. აქედან, დაავადებათა რაოდენობის ზრდა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება.

დ. მანდარინის ღვინის ლექიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (ბან) ფრაქციებად გამოყოფა და მათი გამოყენება ანტიოქსიდანტებად, არომატიზატორებად და საღებრებად, აგრეთვე სურსათის ენერგეტიკული და ორგანოლექტიკური თვისებების გასაძლიერებლად. მანდარინის ღვინის ლექსა და კანში ბან-ის შესწავლა ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატების შექმნის მიზნით.

### **3. 2020 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკად. გ. ტყემალაძე კითხულობდა ლექციების კურსს დისციპლინებში:**

- 3.1. სურსათის წარმოების ბიოქიმია;
- 3.2. სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში;
- 3.3. მცენარეთა ბიოქიმია.

### **4. 2020 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა:**

4.1. მარინე დემეტრაშვილი, გიორგი ქვარცხავა, გურამ ტყემალაძე - „ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული ქართული ღვინოების წარმოების პერსპექტივები“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები, 2020. გვ 48-52;

**ანოტაცია:** დღეს, კლიმატის მკვეთრი ცვლილებისა და გაზრდილი ეკონომიკური რისკების ფონზე, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ყოველმხრივ უსაფრთხო სურსათის წარმოება. მიმდინარეობს ღრმა მეცნიერული კვლევა ე.წ. ფუნქციური, ანუ პროფილაქტიკურ-პრევენციული დანიშნულების სურსათის შესაქმნელად. მსოფლიო, მათ შორის, ქართული ხალხური მედიცინა ოდითგანვე ფართოდ იყენებდა მცენარეებს

ადამიანის სამკურნალოდ. ნაშრომში შესწავლილია „ციცქას“, „ცოლიკოურის“, „რქაწითელისა“ და „მელშავის“ ღვინომასალებში კულმუხოსა და სალბის ბიოაქტიურ დანამატად გამოყენების შესაძლებლობა და, შესაბამისად, ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული ღვინოების მიღება.

4.2. ხათუნა მურვანიძე, მურად გარუჩავა, გიორგი ქვარცხავა, **გურამ ტყემალაძე** - „ბიოლოგიურად აქტიური საკვებ დანამატების გავლენა პურის შენახვის ხანგრძლივობაზე“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებული, 2020. გვ 114-117;

**ანოტაცია:** სურსათისათვის ფუნქციური დატვირთვის მინიჭება წარმოადგენს იმუნიტეტის გაძლიერების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საწინდარს. ამ კუთხით პურზე ჩატარებულმა ცდებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაგვიდასტურა ცხობის პროცესში კანცეროგენური ნივთიერების - აკრილამიდის წარმოქმნა. ნაჩვენები იქნა აგრეთვე პურის ცხობის ტექნოლოგიურ პროცესში საკვებ დანამატად ჩიას (*Salvia hispanica*) თესლის ფქვილის გამოყენების დადებითი გავლენა - პურის ქერქსა და რბილობში აკრილამიდის რაოდენობის შემცირება, შესაბამისად, 60 და 97,5% -ით. სტატიაში წარმოდგენილია ლაბორატორიულ პირობებში ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ჩიას თესლის ფქვილის გავლენა იფქლის პურის ცხობის ზოგიერთ ფიზიკურ, ბიოქიმიურ და ტექნოლოგიურ პარამეტრზე. კერძოდ, pH-ზე, ტენიანობასა და აქტიური წყლის ( $A_w$ ) რაოდენობაზე.

4.3. **გურამ ტყემალაძე**, გიორგი ქვარცხავა, სოფიო ხარაიშვილი, თამარ ჩაჩიბაია, ოჰანჯანიანი - „ბირთვული მაგნიტურ რეზონანსული სპექტროსკოპიით ხორცის პროდუქტებში წყლის შემცველობის თავისებურებების შესწავლა“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებული, 2020. გვ 363-366.

**ანოტაცია:** საკვები ხორცის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს წყლის შენარჩუნების უნარი. კუნთების ფიზიოლოგიისა და საკვები ხორცის შესწავლის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება ბირთვული მაგნიტური რეზონანსის პროტონული რელაქსაციის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ჰეტეროგენულ მასალებში გამოვლინდეს პროტონების მობილობა, ასევე, ქმნის შესაძლებლობებს წყლის თვისებების დახასიათებისთვის. პროტონული ბმრ რელაქსაციის მეთოდი გამოიყენება წყლის შენარჩუნების უნარის განსასაზღვრად, რაც წყლის პროპორციის გაზომვის საშუალებას იძლევა გამოსაკვლევ საქონლის ხორცში, რომელშიც სავარაუდოა ცვრიანობის დაკარგვა.

4.4. **გურამ ტყემალაძე**, გიული გოგოლი, ჯემალ ნაჭყებია, გოჩა ჭუმბურიძე - „მცენარეული წარმოშობის კონსერვანტით დამზადებული მოხარშული ძეხვეულის მიკრობიოლოგიური კონტროლი შენახვისას“. საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი. მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2020. #1. გვ 16-21;

**ანოტაცია:** გამოკვლევები ჩატარდა ISO 22 000 სერტიფიკატის მქონე ქართული ხორცპრო-დუქტების მწარმოებელი კომპანია „ივერიას“ და ბიორაციონალური

ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ბაზაზე. შესწავლილია კონსერვანტ BOMBAL®ASC SUPER-ის ნაცვლად თავშავას, ბეგქონდარასა და ომბალოს ნარევის ექსტრაქტის შერევით დამზადებული მოხარშული ძეხვეულის მიკრობიოლოგიური სურათის დინამიკა შენახვისას. დამზადებიდან მე-10, მე-20 და 30-ე დღეებში ჩატარებულმა ბაქტე-რიოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ როგორც საცდელ, ისე საკონტროლო ნიმუშების 1 გ ფარში ნარჩენი საპროფიტ-სპოროვანი ფორმების რაოდენობა მერყეობდა 50-175-ის ფარგლებში, ხოლო ადამიანის ჯამრთელობაზე უარყოფითად მოქმედი პათოგენური და პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები, საერთოდ არ იქნა აღმოჩენილი.

4.5. G. Tkemaladze, G. Gogoli, G. Chumburidze – „Definition of new herbal preservative optimal dose in cooked sausage meat“. Annals of Agrarian Science. მიღებულია ჟურნალ „აგრარულ მეცნიერებათა მაცნეს“ რედაქციის მიერ, გაიარა რეცენზირება, მიიღო დადებითი შეფასება, გამოქვეყნდება უახლოეს ნომერში.

**ანოტაცია:** The infusion made from the extracts of Oregano (*Origanum vulgare* L), Thyme (*Thymus*), and Pennyroyal (*Mentha pulegium*), is a new preservative and has no impact on the sensory qualities of finished product and its safety quality. Furthermore, it allows cooked sausages to be stored at a low temperature for quite a long period.

Meat processing companies operating in Georgia use „BOMBAL® ASC Super“ preservative produced by a German company "VAN HEES GmbH" in cooked sausage production. It was determined through research that the above-mentioned preservative can be replaced by a new herbal one proposed by us. The minimum amount of the latter in terms of 100 kg sausage meat main raw material is estimated to be 1200 ml.

The indicated amount of the herbal preservative when storing at low, yet positive temperatures (+3...+4 °C), for 30 days ensures the stability of chemical composition, physicochemical properties, and sensory qualities of cooked sausage “Lean-extra”. The finished product retains high quality and safety standards.

4.6. მარინე დემეტრაშვილი, მარიამ ხომასურიძე, გურამ ტყემალაძე - „ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით გამდიდრებული, არომატიზებული ღვინოების წარმოების პერსპექტივები“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული (მზად არის დასაბეჭდად).

**ანოტაცია:** ექსპერიმენტის ფარგლებში, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით გამდიდრებული არომატიზებული ღვინოების დასამზადებლად გამოყენებულია სამკურნალო მცენარეებისა და ხილის სპირტნაყენები. საკვლევ და საკონტროლო ნიმუშებში, მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით, შესწავლილია საერთო ფენოლების, რეზერატროლის, კვერცეტინის, მირიცეტინისა და მიკროელემენტების შემცველობა. შესაბამის საკონტროლო ნიმუშთან, ანუ ტკბილ-შემაგრებულ ღვინოსთან შედარებით, საფერავისა და კუნელის წითელი არომატიზებული ღვინო ხასიათდება საერთო ფენოლების 21%-ით, ხოლო რქაწითელის, კვივისა და კულმუხოს თეთრი არომატიზებული ღვინო 18,25 %-ით მეტი შემცველობით. ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ფართოდ გამოყენებული ანტიოქსიდანტ რეზერატროლის - საფერავის, მაყვლის, ქლიავისა და შავბალახას წითელ არომატიზებულ ღვინოში, ხოლო კვერცეტინისა და



მირიცეტინის - რქაწითელის, ქაცვისა და ბარამბოს თეთრ არომატიზებულ ღვინოში იდენტიფიცირებულია ღვინის შედგენილობისათვის დამახასიათებელზე ორჯერ მეტი შემცველობა, რაც გამოწვეულია კვლევისათვის შერჩეული ნედლეულის გამოყენებით. დამზადებულ სასმელებში, ღვინის შედგენილობისათვის დადგენილი ზღვრების ფარგლებში, შესაბამის საკონტროლო ნიმუშებთან შედარებით, გაზრდილია მიკროელემენტების შემცველობა. ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ შერჩეული მასალა, შემუშავებული რეცეპტურა და გამოყენებული მეთოდები იძლევა საშუალებას დამზადდეს, ადამიანის ჯამრთელობაზე დადებითი მოქმედების სასმელები.

4.7. მარინე დემეტრაშვილი, გურამ ტყემალაძე - „განსხვავებულ კლიმატურ პირობებში ველურად მოზარდი კულმუხოს (*Inula helenium*) შედარებითი შესწავლა“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN), (გადაცემულია დასაბეჭდად).

**ანოტაცია:** თანამედროვე მედიცინაში, კულინარიაში და კოსმეტიკაში სინთეზური, ქიმიური საშუალებების გამოყენებით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა მკვეთრად გაზარდა და ფართო შესწავლის საგნად აქცია ბუნებრივი სამკურნალო, არომატული, სანელებლებიანი, თაფლოვანი და შხამიანი ბალახოვანი მცენარების მიმართ ინტერესი. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბალახოვანი მცენარეებიდან მიღებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობრივი და თვისო-ბრივი შესწავლა სასურსათო ტექნოლოგიურ პროცესებში მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. ექსპერიმენტისათვის გამოვიყენეთ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. სხვიტორსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოს ტერიტორიაზე ველურად მოზარდი კულმუხოს როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ფესვთა სისტემა. შესწავლილ იქნა მცენარეში არსებული ექსტრაქტული ნივთიერებების დაგროვების დინამიკა ასაკის, სეზონისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

4.8. ბესარიონ დოჭვირი, ქეთევან მახაშვილი, გურამ ტყემალაძე - „პირობითი ალბათობის გამოყენების შესახებ“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN). 2020. #1, vol. 90. გვ. 62-66.

**ანოტაცია:** განხილულია პირობითი ალბათობის განსაზღვრება კლასიკური ექსპერიმენტის შემთხვევაში და რამდენიმე საილუსტრაციო რიცხვითი ამოცანის გადაწყვეტა.

5. 2020 წელს, აკად. გ. ტყემალაძემ გამოსაცემად მოამზადა ერთი სახელმძღვანელო და ერთი მონოგრაფიული ხასიათის ლექსიკონი:

5.1. გ. ტყემალაძე - „ბიოქიმია (გაღრმავებული კურსი. მეორე განახლებული გამოცემა)“. 680 გვერდი;

5.2. გ. ტყემალაძე - „ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი (მეორე განახლებული გამოცემა)“. 860. გვერდი.

6. აკად. გ. ტყემალაძე 2020 წელს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა 5 დოქტორანტსა და 3 მაგისტრანტს.

7. აკად. გ. ტყემალაძე საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების სხდომებში.



### 6.2.3.3. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის 2020 წლის ანგარიში

1. საანგარიშო პერიოდში სრულდებოდა თემა: „ცხოველთა ინფექციური დაავადებები საქართველოში და მათი პრევენცია (თემის ხელმძღვანელი).
2. აკად. თ. ყურაშვილი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა შემდეგ საგნებს:
  - 2.1. ინფექციური დაავადებები - (ლექცია-სემინარი).

2.2. წვრილ ცხოველთა (ძაღლი, კატა) ინფექციური დაავადებები. (ლექცია-სემინარი).

#### 3. გამოქვეყნებული შრომები:

3.1. თენგიზ ყურაშვილი, ლევან ციციშვილი, ეკატერინე სანაია - კლიმატის ცვლილებების გავლენა ლეპტოსპიროზის გავრცელებაზე გარემოში.

სსმმა-ს სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული, საქართველო, თბილისი გვ. 98-101;

3.2. თენგიზ ყურაშვილი, ლევან ციციშვილი - ბროშურა “კორონავირუსული ინფექცია ცხოველებში.” თბილისი 2020, 46 გვ;

4. მომზადებულია დასაბეჭდად სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის “საქართველოს საზღვრებს გარეთ გავრცელებული ცხოველების ინფექციური დაავადებები.” თბილისი 2020, 208 გვ.

#### 5. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

5.1. სსმმა, სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება.” 25 სექტემბერი, 2020 წელი, თბილისი.

მოხსენება: „კლიმატის ცვლილებების გავლენა ლეპტოსპიროზის გავრცელებაზე გარემოში“.

5.2. სსმმა, სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარე ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი. თბილისი, 08 მაისი, 2020 წ.

1. მოხსენება: „ვეტერინარიის საერთაშორისო დღე“.

2. მოხსენება: ქ. თბილისის მასშტაბით ძაღლებში *Ehrlichia* spp. რაიონული გავრცელების პირველადი ანალიზი

7. სამეცნიერო საგრანტოპროექტები:

7.1. istc - “mycolaboratorium iovis” - ინფექცია სამხრეთ კავკასიაში (2017 – 2020) - პროექტის მონაწილე.

7.2. istc - “dirofilaria spp” - რეგიონალური გავრცელების შეფასება საქართველოსა და სომხეთში (2018 – 2021) - პროექტის მონაწილე.

7.3. რუსთაველის მეცნიერებათა ეროვნული ფონდი - “ehrilchia spp” საქართველოში რეგიონალური გავრცელებისა და ჯანმრთელობის დაცვის შეფასება (2019 – 2021) - პროექტის მონაწილე.

7.4. რუსთაველის მეცნიერებათა ეროვნული ფონდი - საქართველოში “leptospira spp” რეგიონალური გავრცელებისა და ჯანმრთელობის დაცვის შეფასება (2020 – 2021) - პროექტის მონაწილე.

8. მოხსენება სსმმ აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში (2020 წლის 21 ოქტომბერი) – „ახალი ზოონოზური ინფექციების გავრცელება საქართველოში“.

9. აკად. თენგიზ ყურაშვილი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა:

9.1. საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაციის წევრი;

9.2. საქართველოს მემამულეთა კავშირი - ვიცე პრეზიდენტი;

9.3. ჟურნალ “მოამბის” რედკოლეგია - წევრი;

9.4. ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველოს” რედკოლეგია - წევრი.

9.5. მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და ბროშურის რეცენზენტი და რედაქტორი.

## 10. სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები:

10.1. „ელკანა“ ამზადებს წიგნს თემაზე: “ორგანული სოფლის მეურნეობა.” აღნიშნული წიგნისათვის აკად. თ. ყურაშვილის მიერ მომზადებულია შემდეგი თავები:

10.1.1. „ფრინველის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (22 გვ.);

10.1.2. „ღორის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (24 გვ.);

10.1.3. „ცხვრის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (18 გვ.);

10.1.4. „თხის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (21 გვ.);

10.1.5. „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (38 გვ.);

12.1.6.“ ცხოველთა სამკურნალო საშუალებები ორგანულ მეცხოველეობაში“ (17 გვ.);

12.2. საანგარიშო პერიოდში, როგორც ეროვნული კოორდინატორი ვეტერინარიაში აკად. თენგიზ ყურაშვილი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საქმიანობაში. თეორიულად და პრაქტიკულად მონაწილეობდა სამსახურის აქტუალურ საკითხების განხილვაში და გადაჭრაში.

აკად. თ. ყურაშვილი დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად მრავალჯერ იყო მივლინებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (გურჯაანი, საგარეჯო, გარდაბანი, მარნეული, ახალციხე, ამბროლაური, ონი, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, ბათუმი, ხულო და სხვა რეგიონები.)

### 13. წინადადებები:

13.1. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს “ ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპების” განხილვას და პრაქტიკაში დანერგვას.

13.2. ჩატარდეს ვეტერინარიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქ. თბილისის მასშტაბით ძაღლებში *Ehrlichia* spp. რაიონული გავრცელების პირველადი ანალიზი“.



### 6.2.3.4. აკადემიის სტიპენდიანტი ანატოლი ბიორბაძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტის ანატოლი გიორგაძის ანგარიში 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

1. აგრძელებდა მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორად, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ბაკალავრიატის სასწავლო კურსის სახელწოდება “ნადირობის საფუძვლები და სანადირო მეურნეობა” . სასწავლო კურსის კოდი: HUNIN10GA1-LP. კითხულობდა ლექციებს აღნიშნულ საგანში ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებთან.

**3. გამოქვეყნებული სტატიები: სამეცნიერო შრომების რაოდენობა – 72. მათ შორის 1 მონოგრაფია, 10 ბროშურა-რეკომენდაცია, 2 წიგნი. 2020 წელს გამოქვეყნებულია:**

**3.1. თანამედროვე ტექნოლოგიები მეკვერცხულ მეფრინველეობაში. ავტორი ა. გიორგაძე, საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი "აგრარული საქართველო" №2 (100) 2020 წ. გვ.29-33. თბილისი;**

სტატიაში განხილულია მეკვერცხულ მეფრინველეობაში დანერგილი უახლესი რესურსდამზოგი და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები. ასევე სელექციის, ფრინველის კვებისა და გამოზრდის, ვეტერინარიის მნიშვნელობა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კვერცხის ღრმა გადამუშევრებას, ფხვნილისებრი და თხევადი კვერცხის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების დანერგვას, კვერცხიდან საკვები ნივთიერებების ექსტრაქციას, ადამიანის ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ ფუნქციური დანიშნულების კვერცხის წარმოებას.

**3.2. თანამედროვე ტექნოლოგიები მეხორცულ მეფრინველეობაში. ა. გიორგაძე (თანაავტორი მ. ბარვენაშვილი). საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი "აგრარული საქართველო" №3 (101) 2020 წ. გვ.15-20. თბილისი;**

სტატიაში განხილულია მსოფლიო მეხორცულ მეფრინველეობაში წარმატებით დანერგილი ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობს მაღალხარისხიანი ფრინველის ხორცის წარმოებას. აქვე ხაზგასმულია, რომ მათი დანერგვა შეუძლებელია სანაშენე საქმის წარმოების გარეშე. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არავითარი სამუშაოები არ მიმდინარეობს, რაც შესაბამისად აკნინებს არსებული ფრინველის ჯიშებსა და კროსებს და ახლების შექმნის საშუალებას არ იძლევა. მეხორცული მეფრინველეობის შემდგომი განვითარება, რომელიც უწინარეს ყოვლისა რესურსდამზოგ ტექნოლოგიების დანერგვას ითვალისწინებს და მეცნიერებატევად წარმოებას ეფუძნება, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, მოითხოვს გარკვეული სამუშაოების ჩატარებას. კერძოდ, აუცილებელია ფრინველის სელექციის გაფართოება საკვების კონვერსიის, საერთო და სპეციფიკური რეზისტენტობის მიმართულებით, მეტი ყურადღების დათმობა ინდაურის და წყალმცურავი ფრინველების მოშენების მიმართ და რაც მთავარია ახალი, კონკურენტუნარიანი ჯიშებისა და კროსების შექმნა.

**3.3. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფრინველების აგრობიომრავალფეროვნება., ავტორი ა. გიორგაძე, სამეცნიერო კონფერენციის "კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება" შრომათა კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მწვანეთა მოძრაობა/საქართველოს მეგობრები, საქართველო. თბილისი, 2020.**

სტატიაში განხილულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფრინველების აგრობიომრავალფეროვნება, ადგილობრივი ფრინველის გენეტიკური რესურსების შენახვის ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. გენეტიკური რესურსების კრიობანკში სხვადასხვა სახეობის

სასოფლო-სამეურნეო ფრინველის კონსერვაციისათვის საჭირო ბიოლოგიური მასალის შესანახად აუცილებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი: დონორების შერჩევა, ინდივიდ-დონორთა განსაზღვრული რაოდენობა, კონსერვაციისათვის საჭირო მასალის გარკვეული ტიპის შერჩევა, რაოდენობა, ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაცვა და სხვა. ასევე განხილულია ფრინველის გენეტიკური რესურსების კრიოკონსერვაციის მსოფლიო ტენდენციები.

3.4. რა უნდა ვიცოდეთ ოქროწყვლასა და ოქროწყვლას თაფლის შესახებ, ავტორი ა. გიორგაძე (თანაავტორები მ. ბარვენაშვილი, მ. ფეიქრიშვილი). სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მწვანეთა მოძრაობა/საქართველოს მეგობრები საქართველო. თბილისი 2020.

სტატია ეხება უკანასკნელ წლებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საქართველოს ზოგიერ რეგიონში ძლიერ მომრავლებულ მცენარე ოქროწყვლასა და მის თაფლს. ოქროწყვლა, ენტომოფილური ბალახოვანი მცენარეა. საინტერესოა იმით, რომ გვიან შემოდგომამდე ყვავის და ძლიერ იზიდავს ფუტკარს. მუშა ფუტკარი ხალისით აგროვებს როგორც მის ნექტარს, ასევე ყვავილის მტვერს. უჩვეულო არომატის მქონე ოქროწყვლას თაფლი ხასიათდება რიგი დადებითი თვისებებით, თუმცა ძლიერი ალერგენია და რისკის ჯგუფში შემავალი ადამიანების მიერ სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა ოქროწყვლას თაფლი სწრაფადკრისტალდება და გამოსაზამთრებელი ფუტკრის ოჯახების საკვებად გამოყენება რიგ შემთხვევებში გაუმართლებელია, თუმცა ეს საკითხი ბევრი პრაქტიკოსი მეფუტკრისათვის სადაოა. აქედან გამომდინარე აუცილებელია დეტალურად იქნეს განხილული ოქროწყვლასა და მის თაფლთან დაკავშირებული თითოეული ნიუანსი.

3.5. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ახალ სიმალეზე, ავტორი ა. გიორგაძე, (თანაავტორები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ე. შაფაქიძე), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე” №2 (44) გამომცემლობა “აგრო” 2020 წელი.

4. ბროშურა რეკომენდაცია :

4.1. ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქცია, ავტორი ა. გიორგაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. 2020 წ. თბილისი. 27 გვ

აღნიშნული ნაშრომი განკუთვნილია სამონადირეო მეურნეობების სპეციალისტებისათვის, ასევე გარეული ფრინველის მოშენების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. მასში განხილულია ის ძირითადი სამუშაოები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის ინტროდუქციისას. კერძოდ, სამუშაოების დაგეგმვა ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქციის დროს; ძირითადი მოთხოვნები იმ ადგილების მიმართ სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის



ბუნებაში გაშვება; ინტროდუცენტების ასაკი და ბუნებაში გაშვების დრო; ხელოვნურად გამოზრდილი ფრინველის მოზარდის ტრანსპორტირება; ბუნებაში გაშვების ტექნიკა; ბიოტექნიკური ღონისძიებები ხელოვნურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ბუნებაში გაშვებისას; ბუნებაში გაშვებულ გარეულ ფრინველზე ნადირობის ორგანიზაცია.

**5. მონაწილეობა:** სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მწვანეთა მოძრაობა/საქართველოს მეგობრები საქართველო. თბილისი 2020 წლის 25 სექტემბერი.

**6. მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში.**

**თანამომხსენებელი:** ინფორმაცია *COVID-19* კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

**7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” სარედაქციო სამეცნიერო საბჭოსა და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის წევრი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ “მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; ვინიცის (უკრაინა) ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის “აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები” რედაქციის წევრი. კიევის (უკრაინა) ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ “ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის” რედაქციის წევრი. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი;

**8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის**

მიერ **ტრენერთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით გამოცხადებული კონკურსის -**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროების სხვადასხვა მიმართულების ტრენერ(ებ)ის პოზიციაზე - **კომისიის წევრი.**

**9. ონლაინ შეხვედრა NDI-ის კონსულტანტებთან საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობის საკითხებზე, რომელიც ხორციელდება NDI -ის მიერ დიდი ბრიტანეთის მთავრობის UKaid-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სახელმწიფო ინსტიტუტების ინკლუზიურობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება“ ფარგლებში.**

10. ანატოლი გიორგაძის მიერ მუშავდება თემატიკა, რომელიც შეეხება „**ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს საქართველოში**“.

**თემის მიზანია:** მოპოვებული იქნას ინფორმაცია თემის ირგვლივ. გამოიკვეთოს განვითარების ისტორიული ასპექტები. არსებული კონცეფციები. შესწავლილი იქნას ცალკეული ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნების) გამოცდილება (თავისებურებები და ტენდენციები). გამოკვლეული იქნას პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული მეცნიერების როლი (მათი რეკომენდაციები, გავრცელების არეალი). გაანალიზდეს, თუ როგორია ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების გაძლიერების თანამედროვე მეთოდები (გამოცდილება).

გაანალიზდეს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ბუნებრივი-საწარმოო პირობები, ისტორიული გამოცდილება (თავისებურებები), საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

მომზადდეს რეკომენდაციები საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

უკვე მოპოვებულია მნიშვნელოვანი მასალები და მიმდინარეობს მათი დამუშავება. აღნიშნულ თემატიკაზე ნაშრომი დასრულდება 2021 წელს.

**11. ანატოლი გიორგაძე როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი ამუშავებს თემატიკას:**

11.1. „**ადგილობრივი ფრინველის გენოფონდის კონსერვაციის პრობლემები საქართველოში**“;

**თემის მიზანია:** მოპოვებული იქნას ინფორმაცია ადგილობრივი ფრინველის გენოფონდის შესახებ. როგორია ადგილობრივი ფრინველის ქათმის პოპულაციების, ინდაურის, იხვის, ბატის გავრცელების არეალი და რაოდენობა დღეისათვის. მოხდება მათი მოკლე აღწერა. მოპოვებული და დამუშავებული იქნება სამეცნიერო ინფორმაცია როგორ უნდა მოხდეს ფრინველის გენოფონდის შენახვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - კრიოკონსერვაციის გზით. კერძოდ: დონორების შერჩევა კონსერვაციისათვის; როგორი უნდა იყოს კონსერვაციისათვის საჭირო ინდივიდი-დონორების რაოდენობა; კონსერვაციისთვის საჭირო მასალის ტიპი; კონსერვაციისთვის საჭირო მასალის რაოდენობა; გენეტიკური რესურსების კრიობანკში შესანახი სპერმის დოზების რაოდენობა; მამლების სპერმის კრიოკონსერვაცია; წყალმცურავი ფრინველების მამლების სპერმის კრიოკონსერვაცია; გენეტიკური რესურსების კრიობანკში შესანახი ემბრიონების (ემბრიონული უჯრედების) რაოდენობა; გენოფონდის შენახვისათვის აუცილებელი ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნები. გამოცემული იქნება ბროშურა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ფრინველის კრიოკონსერვაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე მოპოვებულია მასალები და მიმდინარეობს მათი დამუშავება, გაანალიზება. თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ერთი სამეცნიერო სტატია: „**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფრინველების**

აგრობიომრავალფეროვნება.“ სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მწვანეთა მოძრაობა/საქართველოს მეგობრები საქართველო. თბილისი 2020

აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობა დასრულდება 2021 წელს.

11.2. “მეფრინველეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სრულყოფის რეკომენდაციების შესახებ;”

თემის მიზანი იყო: ინფორმაციის მოძიება მეფრინველეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, როგორია მსოფლიო ტენდენციები მეხორცულ და მეკვერცხულ მეფრინველეობაში. ყურადღების გამახვილება კვერცხის და ხორცის ღრმად გადამუშავების საკითხებზე, მიღებული ფართო ასორტიმენტის პროდუქციაზე და ასევე ფუნქციური პროდუქტების წარმოებაზე.

მოპოვებული ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე გამოქვეყნდა 2 სამეცნიერო სტატია: 1. თანამედროვე ტექნოლოგიები მეკვერცხულ მეფრინველეობაში. საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი ”აგრარული საქართველო” №2 (100) 2020 წ. გვ.29-33. თბილისი;

2. თანამედროვე ტექნოლოგიები მეხორცულ მეფრინველეობაში. ა. გიორგაძე. მ. ბარვენაშვილი. საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი ”აგრარული საქართველო” №3 (101) 2020 წ. გვ.15-20. თბილისი.



### 6.3. აბროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილება

#### აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინერო სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 6 წევრი, 6 აკადემიკოსი და ერთი სტიპენდიატი.

**აკადემიკოსები:** მახარობლიძე რევაზი, დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, შაფაქიძე ელგუჯა, ფუტყარაძე ზაური, **სტიპენდიატი:** ტექნიკის დოქტორი ქუთელია გიორგი.

**განყოფილებაში 2020 წელს ჩატარდა 7 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 24 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; 2. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო

საქმიანობის შესახებ. 3. მიმდინარე საკითხები: 1. ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ევროპის ქვეყნებში და სამომავლო პერსპექტივები" მზადების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

**მეორე სხდომა** ჩატარდა 17 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის აგროინჟინერიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2020 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის აგროინჟინერიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორები: (აკად. რ. მახარობლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი კუხალაშვილი). 2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნატროშვილი.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 23 აპრილს (**სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში**) და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 26 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ე. შაფაქიძე; 2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ე. შაფაქიძე.

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 16 ივლისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ბაზოებზე მრავალწლიანი კულტურების გაშენების ტექნოლოგიის დანერგვა და გავრცელება საქართველოს პირობებში. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე.

**მექვსე სხდომა** ჩატარდა 20 ნოემბერს (**სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში**) და განხილული იქნა საკითხები: 1. კაკლის ვიბრაციული დამხარისხებელი **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გელა ჯავახიშვილი; 2. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავება და სერვის ცენტრების ოპტიმალური განლაგების მეცნიერული დასაბუთება. **მომხსენებელი:** ტექნიკის დოქტორი გიორგი ქუთელია.

**მეშვიდე სხდომა** ჩატარდა 15 დეკემბერს (**სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში**) და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აკადემიის

სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის გიორგი ქუთელიას მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით 17-18 სექტემბერს ჩატარდა ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს აგროსაინჟინერო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგროინჟინერიის დარგის მეცნიერ-მკვლევარებმა. მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომები ეხებოდა როგორც სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციის, ასევე ჰიდრომელიორაციის საკითხებს. დაიბეჭდა კონფერენციის სამეცნიერო შრომათა კრებული, მონაწილეებს გადაეგზავნათ სერტიფიკატები.



**6.3.1. აბროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების) დასახელება	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ინფორმაცია აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.	იანვარი	აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
2	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2019 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.	იანვარი	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
3	აკადემიის აგროინჟინერიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ	თებერვალი	აკადემიის აგროინჟინერიის მიმართულების ეროვნული	

	2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2020 წლის ამოცანების შესახებ.		კოორდინატორები	
4	საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.	თებერვალი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნატროშვილი	
5	აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე	
6	კენკროვანი კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების ეკონომიკური და ბიოენერგეტიკული შეფასება.	მარტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ქარჩავა	
7	აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე	
8	ბაზოებზე ბაღების გაშენების ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოს პირობებში.	აპრილი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახაროზლიძე	
9	აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე	
10	ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის	მაისი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ებანოიძე	



	მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ			
11	ინფორმაცია 2020 წელს ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ასამბლეისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ევროპის ქვეყნებში და სამომავლო პერსპექტივები" ჩასატარებლად მზადების შესახებ.	ივნისი	აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
12	აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე	
	აგრარული მეცნიერების ციფრული და ინტელექტუალური სისტემების შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე	
11	აკადემიკოს ზაურ ფუტკარაძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე	

12	ჩაის პლანტაციებში სამუშაო კომბინირებული მანქანების ოპტიმალური სამუშაო რეჟიმის დადგენა მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით.	ივლისი	აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე	
13	ბუნებრივ სათიბ-სამოვრების რაციონალური ტექნოლოგიის გამოყენება გარე-კახეთის რეგიონისათვის	ოქტომბერი	ტექნიკის დოქტორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი	
14	უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბროძრავების გამოყენების შესახებ სოფლის მეურნეობაში	ნოემბერი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გელა ჯავახიშვილი	
15	ინფორმაცია აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2021 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.	დეკემბერი	აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი	
16	ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის, გიორგი ქუთელიას მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.	დეკემბერი	ტექნიკის დოქტორი გიორგი ქუთელია	

**მ რ**

6.3.2. აბროინჰინერის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
№	2	3	4	5	6
1	მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული – სამეცნიერო კონფერენცია	კონფერენცია	სექტემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
2	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
3	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
4	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია აგროინჟინერიაში	კონფერენცია	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

**მ რ**

### 6.3.3. აბროინჰინერიის სამეცნიერო ბანკოფილების წევრების 2020 წლის ანგარიშები

#### 6.3.3.1. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდუბულიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ალექსანდრე დიდუბულიძის 2020 წლის ანგარიში.

1. ა. დიდუბულიძე საანგარიშო წლის განმავლობაში მუშაობდა თემაზე: „ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის სოფლის მეურნეობის ნაწილის დამუშავება“, რომელიც სრულდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N62/2019 ხელშეკრულების საფუძველზე გეოინფორმაციული სიატემების და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრის

„გეოგრაფიკი“-ს მიერ.

2. ა. დიდუბულიძე მოწვეულ პროფესორად მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, არის უნივერსიტეტის საინჟინრო სადოქტორო საბჭოს წევრი, ორი დოქტორანტის (ზ.ბრეგვაძე, ბ.იმნაძე) და ერთი მაგისტრანტის (გ.ბახტაძე) სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო მაგისტრანტებისათვის კითხულობდა ლექციებსა და ატარებდა სემინარებს საგანში: „ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე“, არის აგროინჟინერიის მიმართულების სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს წევრი.

#### 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. Understanding Causes of Conflict Over Common Village Pastures – A Comparative Analysis of Property Rights in Azerbaijan and Georgia. სოფლების საერთო საძოვრებზე კონფლიქტის მიზეზების გაცნობიერება - აზერბაიჯანსა და საქართველოში საკუთრების უფლების შედარებითი ანალიზი. ჟურნალი “Society & Natural Resources” (დიდი ბრიტანეთი), ტ. 33, # 3, 22 გვ. 347-367.

3.2. Diversification of livestock-keeping smallholders in mountainous rural regions of Azerbaijan and Georgia. მეცხოველეობის მცირე მეურნეობების დივერსიფიკაცია აზერბაიჯანისა და საქართველოს მაღალმთიან სოფლებში. ჟურნალი „Land“, (ბაზელი, შვეიცარია), 2020 წელი, # 9 (267). - გვ. 1 - 25.

3.3. მაღალმთიანეთში სასაძოვრო მეცხოველეობის ელექტრიფიკაციის ორგანიზაცია. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის

პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. გვ. 28-35.

3.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ზოგიერთი პრობლემა. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. - გვ. 36-42.

3.5. უკუქვევით-წინსვლით ერთტაქტიან ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ მანქანაში ენერჯის გარდაქმნის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია: „ენერჯეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, 2020. გვ. 1- 6.

3.6. რევენზია აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის მონოგრაფიაზე: „ თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანცის გამომწვევე მიზეზები და რემედიაციული ტექნოლოგიები“. „ახალი თაობა“ # 217, 2020 წლის 16 ოქტომბერი.

#### **4. გამოქვეყნებული მონოგრაფია.**

4.1. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ რეკომენდაციები კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. - 58 გვ., ავტორთა კოლექტივი.

4.2. სათიბ-სამოვრების მართვის ელექტრიფიკაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. – 26 გვერდი (თანაავტორი: ზ. ბრეგვაძე).

4.3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია და სკოპინგის ანგარიში. თბილისი, 2019 წელი. - 36 გვერდი (თანაავტორობით).

#### **5. დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები. ა.**

დიდებულიძის ხელმძღვანელობით დოქტორანტ ზ.ბრეგვაძის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „გომბორის ქედის მაღალმთიანი სოფლისპირა სამოვრების ეფექტიანობის ამაღლება“ წარდგენილია დასაცავად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა საბჭოზე აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (შეჩერდა პანდემიის გამო).

#### **6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა. მიუთითეთ ქვეყანა, დრო და ა.შ. ძირითადი თემა, თქვენი მოხსენების დასახელება.**

6.1. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 17-18 სექტემბერი 2020. მოხსენებები: „მაღალმთიანეთში სასამოვრო მეცხოველეობის ელექტრიფიკაციის ორგანიზაცია“ და „საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ზოგიერთი პრობლემა“.

6.2. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს ონლაინ სემინარი აგროსფეროს სპეციალისტებსა და მეცნიერთათვის (ტექნიფორმი, 6

ნოემბერი), რომლის მიზანი იყო ინფორმირება სოფლის მეურნეობის კვლევების საერთაშორისო საინფორმაციო სისტემის AGRIS-ის გამოყენების შესახებ.

6.3. სემინარი: „ინფორმაციის ხარისხის ერთიანი სტანდარტის შემუშავება ცოდნისა და ინფორმაციის სისტემაში შემავალი ინსტიტუტებისა და ბენეფიციარებისათვის“. UNDP-საქართველო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და თსუ-ს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2020 წლის 26 ნოემბერი.

6.4. აგრობიოტექნოლოგიური პროგრამების შედეგების გამოყენების საერთაშორისო სამსახურის (ISAAA) ვებინარში: „კომერციალიზებული ბიოტექნოლოგიური და გენმოდულირებული კულტურების გლობალური სტატუსი“, 2020 წლის 30 ნოემბერი.

6.5. საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის: "ტყეები და კლიმატის ცვლილება" საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა: "კახეთის ბიოსფერული რეზერვატები", რომელიც ეხებოდა კახეთში ბიოსფერული რეზერვატების შექმნის საკითხს, 2020 წლის 3 დეკემბერი.

6.6. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2020 წლის 8-10 დეკემბერი.

6.7. გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (UNECE) ვებინარი: „რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის პერსპექტივების მიმოხილვა საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიშისათვის“. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში (GITA), თბილისი, 2020 წლის 16 დეკემბერი.

## **7. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.**

7.1. 2019 წლის დეკემბრიდან ა.დიდებულისძე არის ევროკავშირის პროექტის „ვამლოვანის ბიოსფერული რეზერვატის შექმნა კახეთის რეგიონში“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

7.2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებულ პროექტში: „ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის სოფლის მეურნეობის ნაწილის დამუშავება“, რომელიც სრულდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N62/2019 ხელშეკრულების საფუძველზე გეოინფორმაციული სიატემების და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკი“-ს მიერ.

**8. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა. მიუთითეთ საკითხი, განხილვის დრო, წინადადების/რეკომენდაციის დასახელება. მომზადდა და აკადემიის რეკომენდაციების სერიაში გამოიცა ბროშურა: „სათიბ-სადოვრების მართვის ელექტრიფიკაცია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. – 26 გვერდი**

**9. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:** არის მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ეროვნული ბუნებრივი საგანძურის სამეცნიერო საბჭოს თანათავმჯდომარე,



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აგრეთვე აკადემიის აგროსაინოვაციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის ნამდვილი წევრი, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციების და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელი მდივანი, ჟურნალ "Annals of Agrarian Science" (აგრარული მეცნიერების ცნობები, თბილისი) რედკოლეგიის წევრი, ენციკლოპედია „საქართველო“ს კონსულტანტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური უსაფრთხოების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიების წევრი

## **12. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.**

12.1. 2020 წლიდან შეყვანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოში წევრად

12.2. ხელმძღვანელობდი აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის მუშაობას; საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 5 სხდომა.

12.3. არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი.

12.4. მონაწილეობდა ნაშრომის: „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ რეკომენდაციები კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2020. - 58 გვ.) ავტორთა კოლექტივის მუშაობაში.

**13. საკითხები, რომელთა განხილვა გსურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც გსურთ აკადემიაში.**

სასურველია აკადემიამ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად დაიწყოს დოკუმენტების: „საქართველოში აგრარული მეცნიერებების 2030 წლამდე განვითარების სტრატეგია“ და „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლამდე განვითარების პრობლემები“.





### 6.3.3.2. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრის არჩილ ვაშაკიძის 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ინფორმაცია.

1. სამეცნიერო თემის დასახელება: „საქართველოს რეგიონებში ელექტრომომარაგების საიმედოობა“ (თემის ხელმძღვანელი);

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში: სტუ-ში პროფესორად კითხვობას შემდეგ დისციპლინებს:

- 2.1. ელექტროტექნოლოგიური დანადგარებისა და ელექტრომომარაგების სისტემების მონტაჟი (ბაკალავრიატში);
- 2.2. ავტომატური მართვის თეორია ელექტროინჟინერიაში (მაგისტრატურაში);
- 2.3. ექსპერიმენტის დაგეგმვა ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში (მაგისტრატურაში);
- 2.4. სამეცნიერო ექსპერიმენტალური კვლევის მონაცემების დამუშავების მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში (დოქტორანტურაში).

#### 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები :

3.1. „ელექტრომომარაგების საიმედოობა საქართველოს რეგიონებში " - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ № 2(44) თბილისი, 2020;

3.2. „საქართველოს რეგიონებში ელექტრომომარაგების ავარიულობის პრევენცია“ - ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში”; სსმმ აკადემია, თბილისი, 17-18. 09. 2020 წელი, გვ. 42-48;

#### 4. საკითხები, რომელთა განხილვა სურს აკად. არჩილ ვაშაკიძეს პრეზიდენტი სხდომაზე:

4.1. „საქართველოს სასოფლო რეგიონებში ელექტრომომარაგების წყვეტების მაჩვენებლების შესწავლა და პროგნოზირება“

4.2. „მზადება ჰაკათონისათვის“.- მრგვალი მაგიდა ან პრეზიდენტი სხდომაზე.

**5. წუნადადებები „სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის განვითარება მომავალი წლების განმავლობაში“:**

5.1. სოფლის მეურნეობაში აგროინჟინერია და მისი დარგებია: მექანიზაცია ელექტრიფიკაცია და ჰიდრომელიორაცია, სადაც აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აგრარული წარმოების განვითარება და შესაბამისად ამ წარმოების ელექტრიფიკაცია.



აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია დაკავშირებულია, სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ ბალანსთან, ენერჯის მისაღებად ენერჯის ახალი წყაროების ათვისებასთან. ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებთან და ტექნიკასთან, ელექტრო ენერჯით მომარაგების სისტემის რაციონალიზაციასთან.

ელექტრული ენერჯის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის განუხრელად იზრდება. ჩნდება მისი გამოყენების ახალი მიმართულებები და პერსპექტივები სამრეწველო ტექნოლოგიებში, სოფლის მეურნეობაში და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებში



ელექტრიფიკაცია თანამედროვე ცივილიზაციისა და მსოფლიოს ეკონომიკის საფუძველია. ეს აშკარა ხდება ენერგეტიკულ სისტემაში ნებისმიერი მეტნაკლებად სერიოზული ავარიის დროს, როცა უეცრად წყდება ელექტროენერჯის მიწოდება, ისადაგურებს სიბნელე ქუჩებში, საცხოვრებელ ბინებსა და დაწესებულებებში, არ მუშაობს საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები ელექტროძრავები, ცივდება ელექტრო ღუმელები, რომელშიც ცხვება პური, ჩერდება ღვინისა და სხვა ქარხნებში საწარმოო ხაზები, ფაბრიკა-ქარხნებში წყდება პროდუქტის წარმოება. ენერგეტიკული ობიექტების სიცოცხლის

უნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შერჩეულ იქნას მართვის ავტომატიზებული რეგულირების სისტემები და მოსალოდნელი ავარიის საწინააღმდეგო მოქმედი სისტემები.

ენერგოსისტემაში ფართოდაა გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა სარელო დაცვის სისტემებისათვის, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას შეიმუშაონ სათანადო სიგნალები ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის ამოქმედებისათვის და სხვა. გამოყენებულია ქვესისტემები, რომელთა დანიშნულებაა არა მარტო ენერგო ბლოკების

ოპერატიული მართვა, ასევე სხვადასხვა გათვლების ჩატარება და ამოცანის ოპტიმიზაცია

საკანონმდებლო ბაზა და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმები



ჰარმონიზებული უნდა იყოს ევროპარლამენტის და ევროკომისიის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან და მეზობელი ქვეყნების კანონმდებლობასთან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სუფთა ენერჯის რეგიონალური პლატფორმის ჩამოყალიბებას და ევროპის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციას. აგრარული წარმოების ელექტრიფიკაციისათვის საჭიროა:

- აგრარული წარმოების საიმედო, უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, პროდუქციის ელექტროტევადობის შემცირებისა და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა.
- სასოფლო-სამეურნეო ელექტრული ქსელების განვითარების საჭიროებისათვის განხორციელდება :
  - ფერმერული მეურნეობის, წარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა;
  - აგრარულ დარგში მოხმარებული ელექტროენერჯის ხარისხის გაზრდა;
  - ელექტროენერჯის მომხმარებლების მიერთება ელექტრული ენერჯის წყაროებთან აუცილებელია ინტელექტუალური ელქსელების შექმნა, რომლის ამოცანები იქნება: სოფლად ელმომხმარებელთა ელმომარაგების საიმედოობის ამაღლება ელენერჯის ხარისხის ამაღლება;
- ელენერჯის კარგების შემცირება;
  - ელმომარაგების საიმედოობის შენარჩუნებით რემონტთა შორის პერიოდის ექსპლუატაციის პერიოდის გაზრდა;
  - ეკოლოგიური და ელექტრული უსაფრთხოების გაზრდა.
  - აგრარული წარმოების საიმედო განვითარებისათვის ელექტრიფიკაციის საჭირო დონის უზრუნველყოფა.





### 6.3.3.3. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე



2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის შესახებ.

1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: "ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება -

სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2. პედაგოგიური საქმიანობა.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი-საგნები: მასალათმცოდნეობა, საწარმოო პროცესები.

აღნიშნულ საგნებში აკად. ჯ. კაციტაძე კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

3. გამოქვეყნებული სტატიები.

3.1. "საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მტყუნებები საქართველოს პირობებში მუშაობისას და მათი საიმედოობის ანგარიში"; ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცი ა„საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში "სსმმ აკადემია, თბილისი, 17-18 სექტემბერი, 2020;

სტატიაში განხილულია საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მტყუნებები საქართველოს პირობებში მუშაობისას და წარმოდგენილია თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მიღებული კონკრეტული მონაცემები მათი საიმედოობის ერთეული და კომპლექსური მახასიათებლების შესახებ.

3.2. "ТЕОРИЯ. МЕТОДЫ И ТЕХНОЛОГИИ ВОССТАНОВЛЕНИЯ ДЕТАЛЕЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ТЕХНИКИ", МЕЖДИСЦИПЛИНАРНЫЙ ВЕКТОР РАЗВИТИЯ СОВРЕМЕННОЙ НАУКИ: ТЕОРИЯ, МЕТОДОЛОГИЯ, ПРАКТИКА. Сборник статей II Международной научно-практической конференции, состоявшийся 3 мая 2020 г. в г. Петрозаводске. Российская Федерация МЦНП «Новая наука», 2020;

სტატიაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დამუშავებულია მეთოდიკა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის და მათი დეტალების აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციისათვის, რომელიც რეალიზებულია ჩატარებული ექსპერიმენტებით.

3.3. "Resource efficient and erosion preventive integrated high- and lowland aggregate". VIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS. AGRICULTURAL MACHINERY 2020. 24 - 27 JUNE 2020, VARNA, BULGARIA;

სტატიაში წარმოდგენილია პრინციპულად ახალი კომბინირებული რესურსდამზოგი ანტიკოროზიული აგრეგატი ნიადაგების ღრმად დამუშავებისათვის და ჩატარებულია მისი პარამეტრების ოპტიმიზაცია მსგავსებისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით.

#### 4. გამოქვეყნებული მონოგრაფია.

გერმანიის ცნობილმა გამომცემლობა "LAMBERT"-მა გამოსცა აკად. ჯ. კაციტაძის (თანაავტორი აკად. ზაურ ფუტყარაძე) მონოგრაფია "**Application of modern mathematical methods for optimizing technological processes to increase machine reliability**", გფრ, ბერლინი, 2020, 137 გვ;

მონოგრაფიაში წარმოდგენილია თანამედროვე მათემატიკური მეთოდები ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისათვის მანქანების საიმედოობის გაზრდის მიზნით. მონოგრაფია განკუთვნილია ინჟინერთა, მაგისტრატთა და დოქტორანთა ფართო წრისათვის და განთავსებულია ამაზონის ბაზრობაზე.

#### 6. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

6.1. აკად. ჯ. კაციტაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2020 წლის 24...27 ივნისს დისტანციურ რეჟიმში.

აღნიშნულ კონფერენციაზე აკად. ჯ. კაციტაძე გამოვიდა მოხსენებით- "Resource efficient and erosion preventive integrated high- and lowland aggregate". სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 149-ზე მეტი მეცნიერი.

აკად. ჯ. კაციტაძე იყო აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ასევე პირადად ხელმძღვანელობდა მანქანების სერვისის სექციას.

6.2. მოხსენებით გამოვიდა ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“, თბილისი, 17-18 სექტემბერი, 2020 წელი. **მოხსენების თემა:** "საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მტყუნებები საქართველოს პირობებში მუშაობისას და მათი საიმედოობის ანგარიში".

6.3. მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის ქალაქ პეტროზავოდსკში 2020 წლის წლის 3 მაისს ონლაინ რეჟიმით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით "ТЕОРИЯ. МЕТОДЫ И ТЕХНОЛОГИИ ВОССТАНОВЛЕНИЯ ДЕТАЛЕЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ТЕХНИКИ";

7. აკად. ჯ. კაციტაძე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე "სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობისა და სერვისის პრობლემები საქართველოში" და ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე - "სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების საკითხები";

8. აკად. ჯ. კაციტაძე არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის "Mechanization in Agriculture" და ასევე ჟურნალების „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა



აკადემიის მოამბე“, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, „ახალი აგრარული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომლებიც ტარდება 2021 წელს ბურგასსა და ვარნაში. არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

9. არის „ღირსების ორდენის“ კავალერი და სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

#### **10. წინადადებები:**

10.1. 2021 წელს აკად. ჯ. კაციტაძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე წარადგენს მოხსენებას 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ, ხოლო ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოზე კი - "საქართველოში ტექნიკური ტერმინების გამოყენების პრობლემები".

10.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა გატარდეს შემდგომი ღონისძიებანი:

10.2.1. აიკრძალოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა, რისთვისაც ქვეყნის პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი კანონი;

10.2.2. შეიქმნას აგროსაინჟინრო ნომენკლატურული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და ასევე ანალოგიური განმარტებითი ლექსიკონი;

10.2.3. საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონები: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის შესახებ“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ“ და სხვა საკმდნონდებლო დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მექანიზაციას.



#### **6.3.3.4. აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**



1.

ინფორმაცია 2020 წელს აკად. რევაზ მახარობლიძის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი პრობლემის დამუშავებაში: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემის და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული

## საფუძვლების დამუშავება.“

2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციების კურსს შემდეგ საგნებში:

2.1. „შესავალი სპეციალობაში“;

2.2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიზაციის საფუძვლები“

3. **გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:**

3.1. საქართველოს აგროსამრეწველო დარგის განვითარების სტრატეგია - სართაშორისო ჟურნალი „მექანიკის პრობლემები“, №1 (78), 2020. ინგლისურ ენაზე;

3.2. სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებანი .(ინგლისურ ენაზე) - სართაშორისო ჟურნალი „მექანიკის პრობლემები“, №2 (79), 2020;

3.3. მანქანის ოპტიმალური ენერგოგაჯერებულება სამთო პირობებში ექსპლუატაციის გათვალისწინებით. IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგროსამრეწველო კომპლექსში ინოვაციური ტექნოლოგიები დღეს და მომავალში“, ქ. გომელი, ბელორუსი, 4 ნოემბერი, 2020;

3.4. საქართველოში აგროსაინჟინრო კვლევების პრიორიტეტები. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. კონფერენციის შრომათა კრებული, სსმმ აკადემია, თბილისი, 2020.

3.5. მიწათმოქმედების მექანიკის აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. კონფერენციის შრომათა კრებული, სსმმ აკადემია, თბილისი, 2020;

3.6. შეფუთული სენაჟის საწნებ-საფუთავი დანადგარის თეორიული კვლევის ანალიზი. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“, კონფერენციის შრომათა კრებული, სსმმ აკადემია, თბილისი, 2020;

3.6. **“Применение экономических и энергетических критериев для оценки работы**

**сельскохозяйственных агрегатов”** (Соавтор Шапакидзе Е.Д.), Abstracts of V

*Международная научно-практическая конференция «MODERN SCIENCE: PROBLEMS AND INNOVATIONS»*, ISBN 978-91-87224-07-2, Стокгольм, Швеция., 26-28 июля 2020 года, Стр.23-28;

4. გამზადებულია გამოსაცემად ლექციების კურსი (სახელმძღვანელო) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიზაციის საფუძვლები“.

სახელმძღვანელო შედგება 5 თავისაგან: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიკის საფუძვლები; ავტომატიკის სისტემის ელემენტები; ავტომატიკის სისტემის თეორიისა და საინჟინრო გაანგარიშების ელემენტები; საწარმოო პროცესების

ავტომატიზაციის საფუძვლები; სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ეკონომიკური ეფექტურობა.

ლექციების კურსში გამოყენებულია ავტორის მიერ დამუშავებული მეთოდოლოგია ავტომატიკური რეგულირების სისტემის პარამეტრების ოპტიმიზაციის შესახებ, მათი მდგრადობის კრიტერიუმების საფუძველზე, ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ენერგეტიკული კრიტერიუმის მინიმიზაციის საფუძველზე.

5. გერმანიაში, ქ. საარბრიუკენში **გამომცემლობა „ლამბერტის“ მიერ ინგლისურ ენაზე გამოიცა მონოგრაფია** „მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დინამიკა და პარამეტრების ოპტიმიზაცია (თანავტორი აკად. ზ. ფუტკარადე).

13	საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სამაგისტრო და სდოქტორო კვლევების მდგომარეობის შესახებ.	ნოემბერი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები: ნატო კობახიძე, გიორგი ქავთარაძე	
14	ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2021 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.	დეკემბერი	აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლაშა დოლიძე	
15	ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის გიორგი ქავთარაძის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.	დეკემბერი	აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქავთარაძე	



**6.4.2. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო  
ბანყოფილების მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების  
გეგმა**

№	საკითხების (საკითხის) დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა	მრგვალი მაგიდა	3 მარტი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
2	ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი	გასვლითი სემინარი	21 მარტი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
3	ქართული სატყეო მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებლების აკად. ვ. გულისაშვილისა და პროფ. ს. ქურდიანის გახსენება	გასვლითი სემინარი	9 მაისი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
4	მსოფლიო გარემოს დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა	მრგვალი მაგიდა	5 ივნისი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
5	ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა	მრგვალი მაგიდა	28 ივლისი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
8.	ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება	მრგვალი მაგიდა	18 სექტემბერი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	
9.	საქართველოს „მეტყევის“ დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა	მრგვალი მაგიდა	10 ოქტომბერი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო ბანყოფილება	

10.	ომის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს გარემოზე ზემოქმედების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სხდომა	სემინარი	6 ნოემბერი	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება	
-----	---	----------	------------	---	--

# მ რ

## 6.4.3. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების წევრების 2020 წლის ანგარიშები

### 6.4.3.1. აკადემიკოსი ბიორბი ბაბოშიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნადვილი წევრის, აკადემიკოს გიორგი გაგოშიძის ინფორმაცია 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო – კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

#### 1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით):

2020 წელს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკის ფარგლებში:

1.1. გრძელდება მუშაობა თემაზე: „სახეობათა ცვლის პროცესის დინამიკა მდ. იორის ქალის ტყეებში, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“ (ხელმძღვანელი) – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიური დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგის - დ. შევარდნაძის მონაწილეობით;

კვლევის შედეგად დაზუსტდა ინვაზიური სახეობების–თეთრი (ცრუ) აკაციის, კასპიის გლედინიის, ამორფის, ამერიკული ნეკერჩხლის – არეალები;

1.2. „თბილისის შემოგარენის ტყისშემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“ (მონაწილე) – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე – პრეზიდენტთან, აკადემიკოს გ. ჯაფარიძესთან (ხელმძღვანელი) და „სატყეო საქმის“ მიმართულების დოქტორანტთან გ. ჯინჭარაძესთან ერთად.

შესწავლილი იქნა ქართული მუხისა და მასთან თანამზარდი ტყისშემქმნელი მერქნიანი სახეობების (კავკასიური რცხილა, უხრავი, ჩვეულებრივი იფანი, კავკასიური

ცაცხვი, მინდვრის ნეკერჩხალი, მინდვრის თელა) ბუნებრივი თესლითი და ამონაყრითი განახლებები;

1.3. „ქარსაფარი ზოლების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები გორის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის აგროსავარგულებზე“ (მონაწილე) – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე – პრეზიდენტთან, აკად. გ. ჯაფარიძესთან (ხელმძღვანელი) და „სატყეო საქმის“ მიმართულების დოქტორანტთან გ. ნოზაძესთან ერთად.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სავარგულებზე ადრე გაშენებული ზოლების 85%-დე გაჩეხილი ან ამორტიზირებულია, რის გამოც გამოიკვეთა არსებულის რეკონსტრუქციისა და დანარჩენ ტერიტორიაზე მათი აღდგენის საჭიროება.

## 2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

2.1.1. პროფესორი სრულ სამტატო ერთეულზე, დატვირთვა 500 სთ;

– სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის – „სატყეო საქმე“ – ხელმძღვანელი (ასოც. პროფ. ნ. ლომიძესთან ერთად) – 2020 წ–ს ოქტომბრამდე;

– სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის – „სატყეო საქმე“ – ხელმძღვანელი (ასოც. პროფ. ნ. ლომიძესთან ერთად);

– საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის – „სატყეო საქმე“ – ხელმძღვანელი;

2.2. სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი:

### 2019/2020 სასწ. წლის II სემესტრი

– საცდელი საქმის მეთოდის სატყეო საქმეში ( 5 კრედიტი);

– საველე პრაქტიკა სატყეო საქმეში (16 კრედიტი);

– სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში (5 კრედიტი);

– ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი (5 კრედიტი);

– დენდროლოგია 2 – ფარულთესლოვანები ( 5 კრედიტი);

– მეტყევეობა (5 კრედიტი);

– სატყეო მელიორაცია (5 კრედიტი);

– დენდრომეტრია (5 კრედიტი);

### 2020/2021 სასწ. წლის I სემესტრი

– დენდროლოგია 1 – შიშველთესლოვანები (5 კრედიტი);

– ტყეთმცოდნეობა (5 კრედიტი);

– ტყის კულტივირება და სატყეო სანერგეები (5 კრედიტი);

– სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით (5 კრედიტი);

## 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. „ქარსაფარი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობა და მათი რეაბილიტაციის სატყეო–სამელიორაციო ღონისძიებები დმანისის რიგი აგროფირმების (განთიადი,

- შინდლარი, ბოსლები) მაგალითზე“ (თანაავტორები – გ. ჯაფარიძე, ნ. ლომიძე, რ.ტყემალაძე);
- 3.2. „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების როლი და მნიშვნელობა“ (თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, გ. ქავთარაძე, ლ. დოლიძე);
- 3.3. „გორის მიმდებარე სარკინიგზო დაცვითი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობა და მათი ოპტიმიზაციის ღონისძიებები“ (თანაავტორი – დ. შევარდნაძე);
- 3.4. „კლიმატის ცვლილება და ახალი ინვაზიური მავნებელ – დაავადებები“ (თანაავტორები – რ. ვასაძე, მ. ლობჯანიძე, ნ. ლომიძე);
- 3.5. „ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev) კორომების სამეურნეო მდგომარეობა კახეთში და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები“ (თანაავტორი – მ. სამადაშვილი); ინტერნეტ სამეცნიერო სემინარი – „სატყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები“, კონფერენციის შრომათა კრებული, 20-22 ივნისი, 2020 წ. თბილისი.
- 3.6. „ქართული მუხის (*Quercus iberica*) ნაყოფმსხმოიარობა პანკისის ხეობაში“ (თანაავტორი მ. სამადაშვილი);
- 3.7. „ქართულის მუხის (*Quercus iberica*) ნაყოფმსხმოიარობის კვლევის შედეგები ქვემო ქართლის რეგიონში“ (თანაავტორი ი. კაპანაძე); „საქართველოს საინჟინრო სიახლენი“, შრომათა კრებული, ტომი №1, Vol. 90, 2020 წ
- 3.8. „ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev) გავრცელებაზე გარე კახეთსა და ქიზიყში“ (თანაავტორი – მ. სამადაშვილი); ვ. ერისთავის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო – ტექნიკური კონფერენცია – „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“, შრომათა კრებული, თბილისი, 2020 წ;
- 3.9. „კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა საქართველოს ტყის ეკოსისტემების დაცვით – ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობაზე“ (თანაავტორები – გ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, რ. ვასაძე, ლ. დოლიძე); სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25.09.2020;
- 3.10. „საქართველოს სატყეო სექტორის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები“ (თანაავტორები – გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე, ზ. ტიგინაშვილი, რ. ვასაძე, მ. სამადაშვილი, დ. შევარდნაძე), სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25.09.2020;
- 3.11. „ქართული მუხის (*Q. iberica* Stev) ბუნებრივი თესლითი განახლება კახეთის გრილი ეკოტოპის (*Humidum*) მაყვლის ქვეტყიან (*Quercetum rubosum*) მუხრანებში და მათი ბიომრავალფეროვნების ამაღლების გზები (თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, მ. სამადაშვილი, რ. ვასაძე, ზ. ტიგინაშვილი, ლ. დოლიძე), სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25.09.2020;



3.12. „ქალაქ ხაშურის მიმდებარედ არსებული სარკინიგზო დაცვითი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობა და მათი ოპტიმიზაციისათვის საჭირო ღონისძიებები (თანაავტორები – გ. ჯაფარიძე, დ.შევარდნაძე, რ.ვასაძე, ლ.დოლიძე, ზ. ტიგინაშვილი, მ.სამადაშვილი); სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“,თბილისი, 25.09.2020;

3.13. „აღწარმოების კანონზომიერებების შესწავლა საგარეჯოს წიფლნარებში“ (თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, ლ.დოლიძე, ზ.ტიგინაშვილი, რ.ვასაძე, ზ.ქევეხიშვილი, მ.სამადაშვილი, დ.შევარდნაძე), სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“,თბილისი, 25.09.2020;

3.14. „გლობალური დათბობა და მისი უარყოფითი გავლენა ფლორაზე“(თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, რ.ვასაძე, გ.ჯაბნიძე, დ.შევარდნაძე, ლ.დოლიძე, ზ.ტიგინაშვილი, მ.სამადაშვილი), სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“,თბილისი, 25.09.2020;

4. 2020 წელს აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძის ხელმძღვანელობით დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები:

4.1. აკადემიკოსი გ.გაგოშიძის ხელმძღვანელობით 2020 წ–ს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტსა და აგრარულ მეცნიერებათა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოზე დაცული იქნა:

4.1.1. სამაგისტრო ნაშრომი – „ქარსაფარი ზოლების სამეურნეო მდგომარეობის შესწავლა და ახალი ზოლების გაშენების დაპროექტება გარდაბნის რაიონის ზოგიერთი აგროფირმის (მარტყოფი, ნორიო, საცხენისი) მაგალითზე“ (მაგისტრანტი – ლ. ბერიძე),

4.1.2. სადისერტაციო ნაშრომი – „სარკინიგზო დაცვითი ტყის ზოლების ფიტოსანიტარული მდგომარეობა და მათი ოპტიმიზაციის სატყეო–სამელიორაციო ღონისძიებები თბილისი–ხაშურის მაგისტრალზე“ (დოქტორანტი – დ. შევარდნაძე);

4.1.3. სადისერტაციო ნაშრომი – „ქართული მუხის (Quercus iberica Stev) კორომების სამეურნეო მდგომარეობა კახეთში და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები“ (დოქტორანტი – მ.სამადაშვილი).

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა. დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-3 პუნქტში.

6. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა. მიუთითეთ საკითხი, განხილვის დრო, წინადადების/რეკომენდაციის დასახელება.

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე (07 თებერვალი, 2020 წ.), მოსმენილი იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აკადემიკოს გ. გაგოშიძის მიერ დაისვა საკითხი რეგიონის სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე დაცვითი ტყის ზოლების ინვენტარიზაცია – აღდგენისა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში სატყეო მელიორაციის სამსახურის შექმნის შესახებ;

**7. მიუთითეთ სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.**

7.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

7.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს წევრი;

7.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს წევრი;

7.4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი;

7.5. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის – „სიცოცხლის ხე/დრევეო ჟიცია (საქართველო–პოლონეთი)“ – თანადამფუძნებელი და გამგეობის ხელმძღვანელი;

7.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს – მდივნის მოადგილე;

7.7. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი.

**8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.**

8.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, აკადემიკოს გ.ჯაფარიძესთან ერთად მომზადდა წინადადებები (რეკომენდაციები) სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ – კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას;

8.2. აკადემიკოს გ. ჯაფარიძესთან ერთად მომზადდა დოკუმენტი – „სატყეო დარგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“;

8.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო – კვლევითი ცენტრის წლიური ანგარიშების რეცენზირება;

8.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით, გეგმიური კვლევების ფარგლებში ჩატარდა სავლე გასვლა თბილისის შემოგარენში-ბუნებრივი ტყის ეკოსისტემების ფიტოსანიტარული მდგომარეობისა და სახეობათა ცვლის პროცესის შეფასების მიზნით-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული

მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მეტყვე- სპეციალისტებთან ერთად(აკადემიკოსი გ. გაგოშიძე, ასოცირებული პროფესორი ზ. ტიგინაშვილი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამავე ფაკულტეტის „სატყეო საქმის“ სპეციალობის, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებმა.

9. საკუთხები რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და ა.შ.) თემატიკა, რომელთა ორგანიზებაც სასურველი იქნება აკადემიაში.

9.1. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სატყეო დეპარტამენტის დაფუძნების პერსპექტივისა და უმაღლესი განათლების მქონე მეტყვე-სპეციალისტების აღზრდაში მისი როლის შესახებ“;

9.2. „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის ეროვნულ სააგენტოში, სატყეო მელიორაციის სამსახურის შექმნის აუცილებლობის შესახებ“.

ორივე ღონისძიება შესაძლებელია ჩატარდეს მრგვალი მაგიდის ფარგლებში.



#### 6.4.3.2. აკადემიკოსი რევაზ ჩაბელიშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს – მდივნის, აკადემიკოს რევაზ ჩაბელიშვილის ინფორმაცია 2020 წლს ჩატარებული სამეცნიერო – კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1. სამეცნიერო თემის დასახელება: „ღვარცოფული მოვლენების განვითარების რისკები რაჭის რეგიონში და მათი პრევენციის ღონისძიებები“ (ხელმძღვანელი) – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივნის ლ. დოლიძის მონაწილეობით,

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების როლი და მნიშვნელობა“ (თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, გ. გაგოშიძე, გ.ქავთარაძე, ლ. დოლიძე) – ინტერნეტ სამეცნიერო სემინარის – „სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები“ – შრომათა კრებული, თბილისი, 20-22 ივნისი, 2020;

2.2. „კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა საქართველოს ტყის ეკოსისტემების დაცვით – ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობაზე“ (თანაავტორები – გ.ჯაფარიძე, გ.გაგოშიძე, რ.ვასაძე, ლ. დოლიძე) – ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია – „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“, კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 25 სექტემბერი, 2020 წ.;

### 3. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა.

3.1. 2020 წლის 29 იანვრის პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების, ამავე განყოფილების წევრების (აკადემიკოსების, წევრ – კორესპონდენტებისა და აკადემიის სტიპენდიანტების) მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;

3.2. 2020 წლის 7 თებერვლის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

4. აკად. რევაზ ჩაგელიშვილის სამეცნიეროდა საზოგადოებრივი საქმიანობა.

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.

5.1. მრგვალი მაგიდა (ან სემინარი) თემაზე – „ეროზიული პროცესების განვითარების დინამიკა მთავარი კავკასიონის ქედის რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მონაკვეთის ტყის ეკოსისტემათა ზონის ფარგლებში და მათი პრევენცია“.

5.2. რაც შეეხება მიმდინარე წლის აგვისტოში (1-10 აგვისტო, 2020) განვითარებულ ღვარცოფულ და მეწყერულ პროცესებს, რომელიც უკავშირდება მყინვარების დნობისა და ძლიერი წვიმების განვითარების შედეგს, რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ცენტრალურ კავკასიონსა და შოდაკედელას ქედის მყინვარების დნობასა და ტყის ეკოსისტემების მდგრადობაზე - საკითხი განხილული იქნება 2021 წელს გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ან აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე და მიზანშეწონილია ამ საკითხის შეტანა აკადემიის 2021 წლის სამუშაო გეგმებში.

აღნიშნულ საკითხში განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული იქნება კირტიშოს მყინვარსა და შოდაკედელას ქედის მიმდებარე მყინვარებზე, ტყის ეკოსისტემების მიერ დავცითი ფუნქციების შესრულების ანალიზზე.



### 6.4.3.3. აკადემიკოსი ბიზი ჯაფარიძე



ინფორმაცია აკადემიკოს გივი ჯაფარიძის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1. 2020 წლის ივლისის თვეში აკადემიის საერთო კრების მიერ აკად. გ. ჯაფარიძე არჩეულია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად 5 წლის ვადით.
2. ასევე 2020 წელს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, როგორც ხელმძღვანელი, აკად. გ. ჯაფარიძე მუშაობდა სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, აგრეთვე კომპლექსურ თემაზე: „სატყეო მეურნეობის მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების

პრობლემები საქართველოში“.

როგორც, ცნობილია საქართველოს ტყეები საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40 %-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას. იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. საქართველოს ტყეები, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში ფართო საზოგადოების მონაწილეობასა და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

სატყეო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სრულყოფილად არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; ამ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებს მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედ,

სატყეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე აკად. გ. ჯაფარიძის კვლევის ძირითადი მიზნებია:

- ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას;
- ტყის კოდექსის სრულყოფით შექმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი (ლეგიტიმაციის საფუძვლები) ტყის მართვის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მისაღებად და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის, აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა საქართველოს ტყის კოდექსის მუდმივი სრულყოფა;
- ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული და კვლევებით დადგენილი ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება;
- საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება.

აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება”, რომელიც ორგანიზებული იქნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრებთან ერთობლივად, სადაც აკად. გ. ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი იქნა მოხსენება „საქართველოს სატყეო სექტორის მართვის ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები“

2020 წლის 20-22 ივნისს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ ასევე ორგანიზებული იქნა სამეცნიერო კონფერენცია (ონლაინ რეჟიმში) “სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები”, რომელიც ჩატარდა ილიას უნივერსიტეტთან ერთობლივად.

3. 2020 წელს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების წევრებთან ერთობლივად ჩატარებული იქნა კვლევები შემდეგი თემატიკის ირგვლივ (გეგმიური):

- „თბილისის შემოგარენის ტყისშემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“
- „ქარსაფარი ზოლების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები გორის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის აგროსავარგულებზე“

4. აკად. გ. ჯაფარიძეს სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მიმდინარე წელს გამოქვეყნებულია 10 სამეცნიერო სტატია. მათ შორის:

4.1. გ. ალექსიძე გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი - „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ №1 (43), თბილისი, 2020 წ.;



4.2.გ. ჯაფარიძე, ა.სუპატაშვილი - „ფიჭვის ხმობის მიზეზები თბილისსა და მის შემოგარენში“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ონლაინ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “სატყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები”. კონფერენციის შრომათა კრებული. 20-22 ივნისი, ქ. თბილისი 2020 წ.; გვ. 76-81;

4.3.ჯაფარიძე, გ. გაგოშიძე, რ. ჩაგელიშვილი.- „ქარსაფარი ზოლების მდგომარეობა საქართველოში და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მათი აღდგენის პერსპექტივები“. „ახალი აგრარული საქართველო“ სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი №5(103), სექტემბერი, თბილისი 2020 წ.

4.4.გ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, ლ. დოლიძე, გ. გაგოშიძე, რ. ვასაძე. „გლობალური კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ტყის ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობაზე“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო, სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული, ქ. თბილისი, 25 სექტემბერი 2020 წ.

4.5.გ. ჯაფარიძე-„საქართველოს სატყეო სექტორის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო. “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული, ქ. თბილისი, 25 სექტემბერი 2020 წ.;

4.6.გ. ჯაფარიძე, რ. ვასაძე, გ. გაგოშიძე, - „გლობალური დათბობა და მისი უარყოფითი გავლენა ფლორაზე“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო, სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული, ქ. თბილისი. 25 სექტემბერი 2020 წ.;

4.7.გ. ჯაფარიძე, ა. სუპატაშვილი. – „კლიმატური ცვლილებების გავლენა ტყის ცოცხალ ორგანიზმებზე“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო, სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება” შრომათა კრებული, ქ. თბილისი, 25 სექტემბერი 2020 წ.

4.8.გივი ჯაფარიძე, გიორგი გაგოშიძე, ნინო ლომიძე, რამაზ ტყემალაძე „ქარსაფარი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობა და მათი რეაბილიტაციის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები დმანისის რიგი აგროფირმების (განთიადი, შინდლარი, ბოსღებები) მებაღეობაში“, ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: “საცყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები”, თბილისი, 20-22 ივნისი, 2020, გვ. 7-11;

4.9. გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გიორგი გაგომიძე, გიორგი ქავთარაძე, ლაშა დოლიძე, „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების როლი და მნიშვნელობა“, ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: **“საფეხვეთი კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები”**, თბილისი, 20-22 ივნისი, 2020, გვ. 81-85;

5.2020 წელს აკად. გ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ორგანიზატორი, ასევე როგორც მომხსენებელი:

5.1. ონლაინ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **“სატყეო კვლევის პოტენციალი საქართველოში და პერსპექტივები”**. (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

5.2. ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია **“კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება”**. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო.

5.3. აკადემიის პრეზიდენტობაზე განსახილველად 2020 წელს აკად. გ. ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

5.4. აკადემიის მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;

5.5. ინფორმაცია **ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებრივ რესურსების აკადემიების კავშირის ასამბლეისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპის ქვეყნებში და პერსპექტივები“** მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ.

5.6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის განახლებული თანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ.

5.7. ინფორმაცია **COVID – 19** კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

5.8. 2020 წელს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს წარედგინა წინადადებები, რომელმაც ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონში - საქართველოს ტყის კოდექსში (საქართველოს სატყეო მეურნეობების სტრატეგიის სრულყოფის შესახებ).

5.9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივად დაიგეგმა სამინისტროსა და აკადემიის ერთობლივი მუშაობის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში აისახა.

6. აკად. გ. ჯაფარიძის უშუალო მონაწილეობით აკადემიის შესაბამის დეპარტამენტებთან და აკადემიის აპარატის მუშაკებთან ერთობლივად ხდება აკადემიისა და შესაბამისი დეპარტამენტების მუშაობის ძირითადი მიმართულებების დაგეგმვა და მუშაობის კოორდინაცია, პრეზიდენტობაზე და საერთო კრებებზე განსახილველი საკითხების და საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციების მომზადება - ჩატარება, აკადემიის მიერ შემუშავებული

რეკომენდაციების, ინსტრუქციების, ბროშურების და სხვა სამეცნიერო-საინფორმაციო მასალების გამოცემა ბეჭდური და ელექტრონული სახით და სხვა.

7. როგორც მთავარი რედაქტორის მოადგილე, აკად. გ. ჯაფარიძე აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” მუშაობის ორგანიზაციაში, არის აკადემიის ყოველკვარტალური სარეკლამო - საინფორმაციო ბიულეტენის “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი, რომლის საშუალებით სისტემატურად შუქთება აკადემიის საქმიანობა, აკადემიის პრეზიდენტი სხდომებზე განხილულ ძირითად მნიშვნელოვან საკითხები და ღონისძიებები, მოწინავე გამოცდილება და ტექნოლოგიები, განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, უცხოეთის წამყვან მეცნიერებათა აკადემიებთან თანამშრომლობის საკითხების განზოგადებას, ასევე აგრარული მიმართულებების უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების პრაქტიკული განხორციელების საქმეს.

8. აკადემიის შესაბამის დეპარტამენტებთან და სამეცნიერო განყოფილებებთან ერთობლივად შემუშავებული იქნა აკადემიის 2021 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა და ძირითადი ღონისძიებები, რომელიც დამტკიცებული იქნა აკადემიის პრეზიდენტის მიერ.

9. 2020 წელს აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე განსახილველად სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მომზადებული იქნება:

9.1. ტყეების ინვენტარიზაციის შედეგების განხილვა და ტყეთმომწობის სამსახურის შექმნის პერსპექტივები საქართველოში.

9.2. სატყეო მეურნეობების აღდგენის აუცილებლობა საქართველოში და მათი როლი საქართველოს ტყეების მართვისა და კონტროლის მექანიზმის ოპტიმიზაციის საქმეში.

9.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სატყეო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

10. აკად. გ. ჯაფარიძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საუნივერსიტეტო-სადისერტაციო საბჭოს წევრი. ასევე „სატყეო საქმის“ მიმართულების დოქტორანტურისა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი. რეცენზირებას უწევდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის „სატყეო საქმის“ მიმართულების - საბაკალავრო და სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამებს.



#### 6.4.3.4. აკადემიის სტიპენდიანტი ბიორბი ქავთარაძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სტიპენდიანტის, დოქტ. გიორგი ქავთარაძის ანგარიში 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1. გეგმიური საკვლევი თემები აკადემიაში.

თემა 1. „სატყეო სექტორში არსებული გამოწვევების ანალიზი და მისი გადაწყვეტის რეკომენდაციების დამუშავება“ (აკად. გივი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით). კვლევის ძირითადი ნაწილი დასრულებულია 2019 წელს. 2020 წელს გაგრძელდა სექტორში მიმდინარე პროცესების ანალიზი დინამიკაში

და შემუშავდა დამატებითი რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ კვლევასთან დამუშავებული მოსაზრებები და რეკომენდაციები წარდგენილი და განხილულ იქნა როგორც სსმმ აკადემიაში, ასევე სხვადასხვა მაღალი დონის სექტორულ ფორუმებზე. არის შესაძლებლობა, რომ განახლებული ანალიზი და რეკომენდაციები, ასევე წარმოდგენილ იქნას მსგავს ფორმატში, საჭიროების შემთხვევაში.

თემა 2. „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების დამუშავება“ (აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით).

ცნობილია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია მერქანზე, როგორც ენერგეტიკულ რესურსზე დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა ამ დრომდე გადაუწყვეტელია მნიშვნელოვანი საკითხები, რომელმაც ქვეყანაში უნდა შექმნას მერქნულ ენერგეტიკულ რესურსზე მოთხოვნა-მიწოდების სისტემური მიდგომის დამკვიდრების საფუძვლები, კერძოდ:

- არ არის განსაზღვრული სათბობი მერქნული რესურსის მოთხოვნა მიწოდების ბალანსი;
- ტყის მართვის სახელმწიფო უწყებას დღემდე არ აქვს შემუშავებული მოსახლეობისა და საჯარო დაწესებულებების სათბობი (მათ შორის ალტერნატიული) რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა;
- ამ დრომდე არ არსებობდა სათბობი ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების და მიწოდების სისტემა (არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველიც). მხოლოდ მიმდინარე 2020 წელს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, რომელიც არის ტყის მართვის ძირითადი სახელმწიფო უწყება, დაიწყო ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, რაც გამოიხატა ე.წ. საქმიანი ეზოების მოწყობით საქართველოს

სხვადასხვა რეგიონში და შეზღუდული მასშტაბით მერქნული რესურსის მობილიზებით აღნიშნულ საქმიან ეზოებში, საიდანაც უნდა მოხდეს მოსახლეობაზე გაცემა. სატყეო სააგენტოს მიერ ორგანიზებულად ხე-ტყის დამზადების სამართლებრივი საფუძველი შექმნა ახალმა ტყის კოდექსმა, რომლის ძირითადი დებულებები ძალაში შედის 2021 წლის იანვრიდან. მიუხედავად ამისა სექტორი ჯერ კიდევ შორს არის ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების და მიწოდების სისტემის ჩამოყალიბებისგან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმის პარალელურად დღის წესრიგში დგება პროცესთან დაკავშირებული ახალი გამოწვევები, რომლის სწორად გადაწყვეტის გარეშე, მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას, რომელიც უნდა გახდეს პროცესის სწორი მიმართულებით განვითარების საფუძველი, სჭირდება მაღალ პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება. სმ მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ ჩემთვის, როგორც სტიპენდიანტისთვის შესასწავლად ამ საკითხის განსაზღვრის საფუძველიც ეს იყო.

ანალიზი დაეფუძნა არსებულ კვლევებს, ოფიციალურ სტატისტიკურ თუ სხვა ობიექტურ მონაცემებს და ექსპერტულ ცოდნას, რამაც საშუალება მოგვცა პრობლემის სწორად ფორმულირების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა.

ძირითადი ნაწილი კვლევის დასრულებულია და მზად არის წარდგენილი და განხილული იქნას სსმმ აკადემიაში. კვლევის საბოლოო სრულყოფა და დასრულება მოხდება 2021 წელს.

## 2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

დოქტ. გ. ქავთარაძე აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, 2020 წლის მარტიდან პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

დოქტ. გ. ქავთარაძე უძღვება სპეციალობის შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე - დაცული ტერიტორიები (ძირითადი), ტყის მონიტორინგი და ექსპერტიზა (არჩევითი);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე - სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ძირითადი); ტყის სერტიფიცირება (ძირითადი).

## 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. Aleksidze G, Japaridze G, **Kavtaradze G**, Barjadze Sh. (2020) Invasive Alien Species of Georgia, Chapter in book of INVASIVE ALIEN SPECIES Observations and Issues from Around the World, Vol.3 Issues and Invasions in Europe and the Middle East, Edited by Thammimineni Pullaiah, Michael Lelmini, Editor: Wiley Blackwell;

3.2. **Giorgi Kavtaradze**<sup>1</sup>, Lado Basilidze<sup>1</sup>, Jan Pergl<sup>2</sup>, Elizaveta Avoiani<sup>1</sup>, Besarioni Aptsiauri<sup>1</sup>, Nato Kobakhidze<sup>1</sup> (2020). Invasive woody species and their potential environmental impact on natural riparian and lowland forests of Eastern Georgia (case study of the

Gardabani managed reserve). Book of Abstracts of 11th International Conference on Biological Invasion, Vodice, Croatia, 81;

3.3. **Giorgi Kavtaradze<sup>1</sup>**, Lado Basilidze<sup>1</sup>, Jan Pergl<sup>2</sup>, Petr Vahalik<sup>3</sup>, Elizaveta Avoiani<sup>1</sup> (2020). Distribution Pattern of Invasive Alien Woody Species in Protected Areas of Eastern Georgia (South Caucasus). Book of Abstracts of 11th International Conference on Biological Invasion, Vodice, Croatia, 11;

**4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო**

მუშავდება სახელმძღვანელო „დენდროქრონოლოგია“ სასწავლო და პრაქტიკული გამოყენებისთვის. პროექტის გარემოსდაცვითი პროგრამა-ECOServe „ხის ნაბურღი ნიმუშების ანალიზი, ტყის ეროვნული აღივსება“ ფარგლებში.

**5. დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები.**

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დოქტ. გ. ქავთარაძე ამჟამად ხელმძღვანელობს ორ მაგისტრანტს და ორ დოქტორანტს, ხოლო ერთი სამაგისტრო ნაშრომის დამუშავება დასრულდა და დაცულია მიმდინარე წელს (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

#	ნაშრომის დასახელება	ნაშრომის ავტორი	ხელმძღვანელი/ები	სტატუსი
<b>სამაგისტრო</b>				
1.	აილანთუსის ( <i>Ailanthus altissima</i> (Mill.)) ინტროდუქცია და ინვაზიის პოტენციალი საქართველოში	ნიკოლოზ გუგუტიშვილი	ნანა გოგინაშვილი, გიორგი ქავთარაძე	მიმდინარე
2.	„ბორჯომის ტყეებში მომხდარი ხანძრების ანალიზი დისტანციური ზონდირების გამოყენებით“	ელიზავეტა ავოიანი	გიორგი ქავთარაძე, პეტრ ვაჰალიკი (ბრნოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჩეხეთი)	მიმდინარე
3.	„ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა საქართველოს პირველ ბიოსფერულ რეზერვატებში“	პაკუნა კაპანაძე	გიორგი ქავთარაძე	დასრულებული
<b>სადოქტორო</b>				
1.	„სწრაფმზარდი მერქნიანი მცენარეების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები“	მარგალიტა ბაჩილავა	ნანი გოგინაშვილი, გიორგი ქავთარაძე	მიმდინარე
2.	„კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება ტყის ეკოსისტემაზე“	დიანა ბერია	გიორგი ქავთარაძე, მანფრედ ლექსერი	მიმდინარე



(თბილისის ტყეების მაგალითზე)		(ბოკუს უნივერსიტეტის პროფესორი, ავსტრია)	
------------------------------	--	--	--

**6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.**

- 6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - „საქართველოში სატყეო მეურნეობის მართვის ინტეგრირებული სისტემების ჩამოყალიბების პრობლემები“, 21-30 სექტემბერი, 2019 მოხსენება: „სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობის გამოწვევები და მდგრადი გადაწყვეტის გზები, მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებისთვის“;
- 6.2. NEOBiota2020 - ინვაზიური ბიოლოგიის მე-11 საერთაშორისო კონფერენცია, 15-18 სექტემბერი 2020, ვოდიცე, ხორვატია (ონლაინ); მოხსენება - Invasive woody species and their potential environmental impact on natural riparian and lowland forests of Eastern Georgia (case study of the Gardabani managed reserve);
- 6.3. ონლაინ კონფერენცია: „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2020 წლის 25 სექტემბერი; მოხსენება: მარგალიტა ბაჩილავა, ნანი გოგინაშვილი, გიორგი ქავთარაძე – „მდგრადი აგრომეცყეობის განვითარების პოტენციური საქართველოში კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში“;
- 6.4. ონლაინ სემინარი: სატყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 04 მაისი, 2020; მოხსენება: გიორგი ქავთარაძე - „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ისტორია და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი“;

**7. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა**  
**ცხრილი 2.**

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია/გრანტის #	წლები	როლი პროექტში
1.	გარემოსდაცვითი პროგრამა-ECOserve „ხის ნაბურღი ნიმუშების ანალიზი, ტყის ეროვნული აღიცხვა“.	შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)/გრანტი #18.2062.0-004.00	2019-2020	ხელმძღვანელი

2.	„უცხო, პოტენციურად ინვაზიური მერქნიანი მცენარეების შესწავლა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“	შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი/გრანტი #R-18-3569	2019 -2022	სამეცნიერო ხელმძღვანელი
3.	„კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული ტყის ეკოსისტემაზე (model PICUS v1.5)“	შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი/გრანტი #R-18-2111	2019 -2022	კოორდინატორი

**7.სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.**

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სხდომა 2020 წლის 27 ნოემბერი. საკითხი: ინფორმაცია ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

**8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიის პრეზიდენტის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.**

**2009 წლიდან** - ა(ა)იპ „მეტყვეთა ასოციაცია“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

**2013 წლიდან** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრი;

**2015-2018 წწ.** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, აგრარული მეცნიერებების მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი;

**2016 წლიდან:**

1. სამეცნიერო ჟურნალების: „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“-ს და „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომათა კრებულის“ სარეცენზიო საბჭოების წევრი;
2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, გარემოს დაცვის, დაცული ტერიტორიების და ტყის მდგრადი მართვის კომისიის თავმჯდომარე.

**2018 წლიდან:**

1. FAO-ს ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამის ეროვნული საკონტაქტო პირი (NFPs);

2. საქართველოში სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ჯგუფის წევრი/ექსპერტი (LULUCF სექტორი), რომელიც ხორციელდება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში;
3. საერთაშორისო კვლევითი-საკონსულტაციო კომპანია - UNIQUE forestry and land use GmbH ადგილობრივი კონსულტანტი;

**2018-2019 წწ.**

1. Global Forest Watch (GFW) პროექტის ეროვნული მრჩეველთა საბჭოს წევრი;
2. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDA) პროექტის ტყის მდგრადი მართვის ანგარიშვალდებულების სისტემები კავკასიასა ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ფარგლებში, ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I for SFM) შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი;

**2020 წლის იანვრიდან** - საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**9. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები.**

- 9.1. იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი სატყეო დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის (10.11.2020).



**6.5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება**

**აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი, 5 აკადემიკოსი და ორი სტიპენდიატი.

**აკადემიკოსები:** ცქიტიშვილი ზურაბი, ვასაძე იუზა, პაპუნძე გურამი რევიშვილი თემური, ჩხარტიშვილი ნოდარი; **სტიპენდიატები:** ქიმიის დოქტორი დულაშვილი დარეჯანი, ტექნიკის დოქტორი კაციტაძე ევატერინა.

**განყოფილებაში 2020 წელს ჩატარდა 5 სხდომა.**

**პირველი სხდომა** ჩატარდა 27 იანვარს და განხილული იქნა საკითხები:

1. ინფორმაცია სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

**მეორე სხდომა** ჩატარდა 18 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

2. აკადემიკოს თემურ რევიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მესამე სხდომა** ჩატარდა 23 ივნისს და განხილული იქნა საკითხები:

1. „სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საქართველოში“. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების სტიპენდიატი, დოქტორი დარეჯან დულაშვილი;

2. გამოხმაურება სამეცნიერო პროექტზე „ცხოველური წარმოშობის სურსათისმიერი საღმონელას რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საქართველოში“

**მომხსენებელი:** ქიმიის დოქტორი დ. დულაშვილი; 3. გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მზია ქუთათელაძისა და ამავე ინსტიტუტის ეკოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მარინე თედიაშვილის გამოხმაურება სამეცნიერო პროექტზე „ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენები სასმელ წყალში, როგორც ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების რისკ ფაქტორი“.

**მეოთხე სხდომა** ჩატარდა 26 ნოემბერს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხი:

1. მაღალხარისხოვანი, სპეციალიზებული ქართული ჩაის წარმოების განვითარების შესაძლებლობის და მისი სამეცნიერო უზრუნველყოფის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი თემურ რევიშვილი, ტექნიკის დოქტორი თამაზ მიქაძე

**მეხუთე სხდომა** ჩატარდა 16 დეკემბერს (სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში) და განხილული იქნა საკითხები:

1. სუბტროპიკული ნედლეულისაგან უსაფრთხო პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი გურამ პაპუნძი, ალექსანდრე კალანდია;

2. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ქიმიის დოქტორის, დარეჯან დულაშვილის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

3. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის, ეკატერინა კაციტაძის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.  
 აღსანიშნავია, რომ განყოფილება აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ ღონისძიებებში.



**6.5.1. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების) დასახელება	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ინფორმაცია აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ	იანვარი	სურსათის უვნებლობისა და ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი	
2	აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	იანვარი	აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს- მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
3	აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი გურამ პაპუნძე	
4	აკადემიკოს თემურ რევიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი თემურ რევიშვილი	

	შესახებ			
5	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „რისკის შეფასების“ სტრუქტურის 2019 წლის საქმიანობის შედეგების განხილვა	მარტი	აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	
6	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებისა და შენახვის სტრუქტურის 2019 წლის საქმიანობის შედეგების განხილვა	მარტი	აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	
7	სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საქართველოში	აპრილი	USBA პროექტის ექსპერტი-კონსულტანტი, ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი	
8	ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენები სასმელ წყალში, როგორც ანტიბიოტიკო-რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების რისკ-ფაქტორი	მაისი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფ. მეურნ. სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი ბიოლოგიის დოქტორი მამუკა კოტეტიშვილი	
9	ცხოველური წარმოშობის სურსათისმიერი სალმონელას რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საქართველოში	ივნისი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დოქტორი ლალი ტაბატაძე	



10	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასების დაწყების სისტემური მიდგომის მიზნით, შემუშავებული ინიცირების პროცედურების ასპექტების განხილვა	ივლისი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
11	სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების ინიცირების პროცედურების დოკუმენტის განხილვა	სექტემბერი	USBA პროექტის ექსპერტი-კონსულტანტი, ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი	
12	ვეტერინარიის რისკის შეფასების ინიცირების პროცედურების დოკუმენტის განხილვა	ოქტომბერი	აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	
13	მცენარეთა დაცვის რისკის შეფასების ინიცირების პროცედურების დოკუმენტის განხილვა	ოქტომბერი	მ. ჩუბინიშვილი	
14	ქართული სპეციალიზებული შავი ჩაის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ	ნომბერი	აკადემიკოსი თემურ რევიშვილი, ტექნიკის დოქტორი თამაზ მიქაძე	

15	სუბტროპიკული ნედლეულისაგან უსაფრთხო პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე, ალექსანდრე კალანდია	
----	--	-----------	--	--

## მ რ

### 6.5.2. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემების განვითარების შესახებ	მრგვალი მაგიდა	თებერვალი	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილება	
3	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
4	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო- საკოორდინაციო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

# მ რ

## 6.5.3. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების წევრების 2020 წლის ანგარიშები

### 6.5.3.1. აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გურამ პაპუნძიძის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გურამ პაპუნძიძე აგრძელებდა საქმიანობას სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და ორგანიზაციულ-მეთოდური მიმართულებებით.

გურამ პაპუნძიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის მიმართულების

ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს დამსახურებული მეღვინე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წევრი, ამავე ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი და გამოცემული შრომების რედაქტორის წევრი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აგრარული დარგობრივი კომისიის ხელმძღვანელი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აკადემიკოს გურამ პაპუნძიძის საქმიანობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თემატიკური გეგმის შესრულებაში.

მისი მეთოდური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით მუშავდება სუბტროპიკული ნედლეულის კომპლექსური, უნარჩენო და ნაკლებადნარჩენიანი ტექნოლოგიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ე. წ. არასტანდარტული ნაყოფის, რომლის რაოდენობა 50%-ს აჭარბებს, გამოყენების პერსპექტივა. მის მიერ შეთავაზებულია არასტანდარტული ნაყოფის გამოყენების ალტერნატიული გზა, რაც მდგომარეობს შემდეგში: მეწარმე აფორმებს ხელშეკრულებებს ციტრუსის მწარმოებელ

სუბიექტებთან იმასთან დაკავშირებით, რომ ეს უკანასკნელი ფერმერის ოჯახის წევრების საშუალებით კანგაცლილი მანდარინის გულობს ყოველი დღის ბოლოს შეისყიდის და სპეციალური რეფრეჟერატორული ტრანსპორტის საშუალებით გადააქვთ საწარმოში გადასამუშავებლად. კანგაცლილი მანდარინის გულობში მეწარმეს შეუძლია გადაიხადოს კგ-ში 1,0 ლარამდე. არასტანდარტული მანდარინის ამჟამად მოქმედი წესი, რომელიც ითვალისწინებს მანდარინის ნატურალური წვენებს, რომლის გამოსავლიანობა 38%-ს არ აჭარბებს, ხოლო დანარჩენი 60%-ზე მეტი ე.წ. მეორადი ნედლეულის გამოყენება არ ხდება. რაც შეეხება ჩვენს მიერ შეთავაზებულ ოჯახის პირობებში მანდარინის კანის მოშორებას, ამ შემთხვევაში გამოსავლიანობა თითქმის ორმაგდება და ის 70%-ის ფარგლებშია. მანდარინის გულობიდან შეიძლება დამზადდეს მაღალხარისხოვანი რბილობიანი წვენები. ასევე კონფიტიურები, ჯემები და სხვა უსაფრთხო პროდუქტები. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რბილობიანი წვენების სხვადასხვა სახის ბუნებრივი არომატიზატორების დამატებით საასორტიმენტო სტრუქტურის გაფართოების შესაძლებლობა.

რაც შეეხება კანგაცლილი მანდარინის კანს, ის ჩვეულებრივ პირობებშიც ადვილად შრება და სეზონთაშორის პერიოდში მისგან შეიძლება კომპლექსურად დამზადდეს სამედიცინო პრეპარატი ვიტამინი P და პექტინი. ასევე დაქუცმაცების შემთხვევაში მივიღებთ სხვადასხვა ფრაქციას, რომლის გამოყენება შეიძლება საკონდიტრო მრეწველობაში.

აქვე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას, არასტანდარტული მანდარინის გამოყენების ამჟამად მოქმედ მანკიერ პრაქტიკას. კერძოდ, არასტანდარტულ ნაყოფში ქობულეთის კონცენტრატების ქარხანა იხდის 10 თეთრს, ხოლო სახელმწიფო სუბსიდიის სახით 10 თეთრს. არასტანდარტული მანდარინის 1,0 კგ-ის ღირებულება 20 თეთრი ვერ უზრუნველყოფს მეწარმის ხარჯების დაფარვას. რაც შეეხება ქობულეთის კონცენტრატების ქარხნის მიერ წარმოებულ მანდარინის ნატურალური წვენების კონცენტრატებს, მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ადგილზე სეზონთაშორის პერიოდში მის აღდგენით ნატურალურ წვენებამდე, უალკოჰოლო სასმელების წარმოებით და რეალიზაციით, როგორც ჯარში, ასევე შსს-ს პირად შემადგენლობაში, საავადმყოფოებში, კვების ბლოკებში, ასევე ციხეებში.

აკად. გ. პაპუნძე აქტიურად არის ჩართული აჭარა-გურიის რეგიონში სხვადასხვა ჯიშის ყურძნის გავრცელებასა და მაღალხარისხოვანი, კონკურენტუნარიანი ღვინოების დამზადების საქმეში. კერძოდ, საყურადღებოა, ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან ისეთი ღვინოების დამზადება, როგორცაა ცქრიალა, ნახევრადტკბილი, ლიქიორული და ღვინო ჩალაზე.

აკად. გ. პაპუნძის მიერ უშუალო ხელმძღვანელობითა და რეკომენდაციებით აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშავდება კომერციალიზაციის საშუალო და გრძელვადიანი პროგრამები, რომელიც

ითვალისწინებს ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური საშუალებების ეფექტიან გამოყენებას.

აკად. გ. პაპუნძე აქტიურად არის ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო ცენტრისა და საქართველოს ეროვნული აკადემიის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის აგრარული დარგობრივი კომისიის საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია, ამ ცენტრის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარტნიორული თანამშრომლობის ეფექტური მოდელის ჩამოყალიბება. აჭარაში აგრარული სფეროს სამეცნიერო უზრუნველყოფის მიზნით მან ჩამოაყალიბა ხედვები და მიდგომები სახელმწიფო მიზნობრივი პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

აკად. გ. პაპუნძე უწევს კვების მრეწველობაში დასაქმებული მეწარმეებს ყოველდღიურ სამეცნიერო და პრაქტიკულ კონსულტაციებს, როგორც პირდაპირი, ასევე სატელეფონო მომსახურების საშუალებით.

აკად. გ. პაპუნძე საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული მაგისტრებისა და დოქტორანტების მომზადებისა და დაცვის ორგანიზებაში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და რესპუბლიკური მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სხვადასხვა გამომცემლობებში.



### 6.5.3.2. აკადემიკოსი თემურ რევიშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის აკადემიკოს თემურ რევიშვილის მიერ 2020 წელს ჩატარებული სამეცნიეროკვლევითი, პედაგოგიური მუშაობის და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში

#### 1. თემის დასახელება:

„ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების და ცალკეული ტექნოლოგიური დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა“ (თემის ხელმძღვანელი);

## 2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის “საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“ ფარგლებში ჩაის მწარმოებლების მოკლევადიანი მომზადება-გადამზადებისთვის სასწავლო პროგრამის - „ჩაის წარმოება“ მომზადება აკრედიტაციისთვის.

## 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. „კატეხინების და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ცვალებადობა ჩაის მცენარის კულტივირების და გავლურების პირობებში“ (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, № 2 (41) 2020, გვ. 46 – 54;

პირველად არის შესწავლილი კულტივირების და გავლურების პირობებში მყოფი ქართული (ადგილობრივი) პოპულაციის ჩაის მცენარის ფოთლებში კატეხინების, კოფეინის და გალის მჟავას ცვლადობა. კატეხინების და განსკუთრებით ეპიგალოკატეხინგალატის მაღალი შემცველობის გამო, გავლურების ფაზაში მყოფი მცენარეები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სელექციური მასალის და კატეხინებით მდიდარი, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ჩაის პროდუქტების მისაღებად.

3.2. **Совершенствование системы удобрения чайных плантации.** (თანაავტორობით)

**Международный сельскохозяйственный журнал, №3 (375), 63, с. 29 – 33;**

ნაშრომში მოცემულია ჩაის კულტურის ქვეშ ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობა პლანტაციების რეაბილიტაციის, მოსავლიანობის გაზრდის, ნედლეულის და მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში.

## 4. გამოქვეყნებული მონოგრაფია:

4.1. ჩაის ქიმია, ტექნოლოგია, დეგუსტაცია და მოწყობილობა (თანაავტორობით),

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 180 გვ.;

მოცემულია ჩაის მცენარის დახასიათება, ნედლეულის ქიმიური შედგენილობა და ხარისხზე მოქმედი ფაქტორები, ჩაის კლასიფიკაცია, ძირითადი ტექნოლოგიები და გადამუშავების პროცესში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნები, მზა ჩაის ქიმიური შედგენილობა და დეგუსტაციის საფუძვლები, ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობები.

6. **საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:**

6. 1. **Catechins and Antioxidant Activity in Georgian and Foreign Tea.** (თანაავტორობით), 28th International Online Conference "Functional and Healthy Foods for Longevity: Bioactive Compounds and Biomarkers in Age-Related Diseases". 28-29, August 2020, Functional Food Institute, San Diego, USA;

სხვადასხვა სახის ექსპერიმენტული და კომერციული ჩაის პროდუქტების ექსტრაქტებში შესწავლილია საერთო ფოლიფენოლები, კატეხინები და



ანტიოქსიდანტური აქტივობები. ამ მაჩვენებლების მიხედვით შედარებულია ქართული და უცხოური ჩაის პროდუქტები.

**6.2. „ქართული სპეციალიზებული ჩაის ტექნოლოგია“** (თანაავტორობით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“ შრომების კრებული, ქუთაისი, საქართველო, 20-21 თებერვალი, 2020, გვ. 335-337;

ემღვნება ქართული ჩაის რეაბილიტაციის ღონისძიებების შემუშავებას და მაღალხარისხოვანი, სპეციალიზებული ჩაის წარმოების დასაბუთებას. აღწერილია შავი და მწვანე სპეციალიზებული ჩაის ტექნოლოგიები.

**6.3. „Изменение биологически активных соединений в условиях культивирования и дикорастущем произрастании грузинского чая“** (თანაავტორობით);

**2-я Международная научно-практическая интернет-конференция «Экология, биология и технология возделывания чая», г. Сочи, Россия, 15-17 декабря 2020;**

შესწავლილია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ცვალებადობა ადგილობრივი (ქართული) პოპულაციის ჩაის მცენარის კულტივირებისა და ველურად მზარდი პირობების ფონზე. მიღებულია ახალი მონაცემები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მნიშვნელოვანი რაოდენობით სინთეზის უნარის და ჩაის მცენარის განსაკუთრებული მდგრადობის შესახებ.

**7. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.**

**7.1. საერთაშორისო კომპანია EuroChem - ის მიერ დაფინანსებული პროექტი - “სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ (სალათი, მანდარინი, თხილი, სამემოდგომო ხორბალი) ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა“** (პროექტის ხელმძღვანელი);

**8. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა.**

**2020 წ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე აკად. თ. რევიშვილის მიერ წარდგენილი და განხილული საკითხები:**

**8.1. 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობის და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში, 25 ივნისი, 2020.;**

**8.2. მაღალხარისხოვანი, სპეციალიზებული ქართული ჩაის წარმოების განვითარების შესაძლებლობა და მისი სამეცნიერო უზრუნველყოფა (თ. რევიშვილი, თ. მიქაძე), 27 ნოემბერი, 2020.**

**9. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:**

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი;

- International Agricultural Journal - ის სარედაქციო საბჭოს წევრი;

- რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტი (კონფიდენციალური);

**10. გამოგონება, პატენტი:**

**10.1. საქართველოს პატენტი U 2020 2040Y ჩაის ფოთლის სასხლავი თვითმავალი ტექნიკური საშუალება (სასარგებლო მოდელი) (თანაავტორობით);**

მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია ჩაის პლანტაციების შპალერული გასხვლის პროცესში. იგი შეიცავს სატრანსპორტო საშუალებასთან - მოტობლოკთან დაკიდების სისტემით დაკავშირებულ ბუჩქის სასხლავ აპარატს. აგრეგატს აქვს ჩაის ბუჩქის მიმჭიდროებელი კვანძი.

**12. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:**

მოხსენება საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში თემაზე - „ჩაის წარმოების კომპლექსური უნარჩენო, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგია და დარგის რეაბილიტაციის პრობლემები“ (20 ნოემბერი, 2020).


**13.აკად. თ. რევიშვილის წინადადებები.**

სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების და აკადემიის პრეზიდენტზე განსახილველი საკითხები:

13.1. „გაველურების და კულტივირების პირობებში მყოფი ჩაის მცენარის და მზა პროდუქტების ბიოქიმიური და მაჩვენებლების შესწავლის შედეგები“

(თ. რევიშვილი, ლ. შავიშვილი, ი. ჩხიკვიშვილი), მე-2 ან მე-3 კვარტალი, 2021;

13.2. 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობის და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში (თ. რევიშვილი, მე-4 კვარტალი, 2021).



**6.5.3.3. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის 2020 წლის სამეცნიერო- და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში.

1. 2020 წლის პირველ კვარტალში აკად. ზ. ცქიტიშვილის მიერ თანამედროვე მეცნიერული ნაშრომების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა „კორონავირუსის ეპიდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის რისკის შეფასების განვითარების

კონცეფცია“ (შემდგომში „კონცეფცია“), რომელიც წარედგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. 2020 წლის 28 აპრილს აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მიერ, კონცეფცია პრაქტიკული გამოყენების მიზნით, გადაეგზავნა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პირადად მინისტრს ბატონ ლ. დავითაშვილს (დანართი 1).

2. 2020 წლის 15 ივნისს, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ქ. ხატია წილოსანის მიერ კონცეფციის განხილვის შედეგად რისკის შეფასების ორგანოს დაევალა, კონცეფციით განსაზღვრული კონკრეტულ პრიორიტეტულ საკითხთა შესრულების სისტემური უზრუნველყოფა. (საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ - ზ. ცქიტიშვილი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ო. კაჭარავა მინისტრის მრჩეველი, სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის (შემდგომში რისკის შეფასების ორგანო), და „სურსათის სააგენტოს“ სტრუქტურათა ხელმძღვანელები), (იხ. დანართი 2);

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ საქართველოს კანონის მე-16' მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 23 ივნისს აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილებაში აკად. ზ. ცქიტიშვილის ინიციატივით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სამეცნიერო დისკუსიის ფორმატში, განხილული იქნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული სამეცნიერო პროექტები: „ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენები სასმელ წყალში როგორც ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების რისკ ფაქტორი“ და „საქართველოში ცხოველური წარმოშობის სურსათის სალმონელით დაბინძურების რისკის შეფასებისთვის სამეცნიერო მოსაზრება (იხ. დანართი 3).

4. 2020 წელს აკად. ზ. ცქიტიშვილის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, განხორციელდა „ბეტალაქტამაზების მაკოდირებელი გენები სასმელ წყალში, როგორც ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების რისკ ფაქტორი“-ს სამეცნიერო პროექტის, რისკის შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიების კრიტიკული მიმოხილვა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ადამიანის ჯანმრთელობაზე სურსათისმიერი აგენტების მოსალოდნელი ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება. შეფასების შედეგები გადაეგზავნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს 2020 წლის 09 ნოემბერს(იხ. დანართი 4);

5. 2020 წლის მეოთხე კვარტალში, აკადემიის ინიციატივით, სააგენტოს მხარდაჭერითა და უშუალო ჩართულობით (იხ. დანართი 5), სისტემური დოკუმენტის, „რისკის შეფასებისათვის ინიცირების პროცედურების“ საფუძველზე, (იხ. დანართი 6), ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის სფეროებში, შესაბამისად მომზადდა: ”ცოფზე

ინფიცირების რისკის შეფასება საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან“ და „საქართველოში აღმოსავლური ხილის ბუზის, *Drosophilla suzukii* რისკის შეფასებისათვის“ ინიცირების პროცედურები;

6) აკად. ზ. ცქიტიშვილმა 2020 წლის 4 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო EFSA-ის მიერ ორგანიზებული ვირტუალური რეგიონალური სამუშაო შეხვედრაში (ვორქშოპი) „საერთაშორისო თანამშრომლობა და რესურსები სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების ხელშეწყობისთვის აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში“ (Regional Workshop “International collaboration and resources for promoting food safety Risk Assessment in ENP countries”).

*შენიშვნა: აკადემიის წლიური ანგარიშის ფორმატიდან გამომდინარე აკად. ზურაბ ცქიტიშვილის 2020 წლის ანგარიშში მითითებული დანართების (დანართი 1, 2, 3, 4, 5, 6) გაცნობა შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილებაში - სწავლული მდივანი დოქტ. მ. ბარვენაშვილი.*



#### 6.5.3.4. აკადემიის სტიპენდიანტი დარეჯან დუღაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის სტიპენდიანტის დარეჯან დუღაშვილის ანგარიში 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ

1. 2020 წლის სამუშაო თემატიკას წარმოადგენდა - სურსათისმიერი ზოონოზის რისკის შეფასება. რომელიც, 2019 წლის სამუშაო თემატიკის „სურსათისმიერი ბრუცელოზის რისკის შეფასება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საქართველოში“ გაგრძელებაა. საფრთხეების რანჟირების საფუძველზე შერჩეული აღმიწნული თემა 2019 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის ინიცირების (6.02.2019 №01-25 წერილი) საფუძველზე, სოფლის

მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების და მევენახეობა-მელვინეობის მეთოდურმა სექციამ განიხილა და დასამტკიცებლად წარუდგინა სამეცნიერო საბჭოს, რომლის გადაწყვეტილებითაც დამტკიცდა პროექტი და მისი

განმახორციელებელი ავტორები (შემსრულებლები) - დოქტორი დარეჯან დულაშვილი და მაკა მდინარაძე.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით 2020 წლის განმავლობაში:

- განხორციელდა საქართველოში სურსათში ბრუცელას შემცველობის შესახებ, ვეტერინარული მონიტორინგის, ასევე ეპიდემიოლოგიური მონაცემების დამუშავება და ანალიზი. გამოვლინდა საქართველოში გამოყოფილი Brucella-ს შტამების მნიშვნელოვანი გენეტიკური მახასიათებლები ვირულენტობასთან დაკავშირებით.
- დამუშავდა ბრუცელას, როგორც სურსათისმიერი საფრთხის იდენტიფიცირება და დახასიათება (ადგილობრივი და საერთაშორისო უახლესი სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე).
- განხორციელდა ბრუცელას, როგორც სურსათისმიერი საფრთხის ექსპოზიციის სცენარების დამუშავება, მოდელების დიზაინის შექმნა, და შესაბამისი კონცეპტუალური მოდელების შედგენა - ექსპოზიციის შეფასების მიზნით.
- შეფასდა ბრუცელას სურსათისმიერი სავარაუდო ექსპოზიციის გზები და ალბათობა თვისობრივი მეთოდით, დამუშავებული სცენარების და მოდელების მიხედვით, განხორციელდა განვითარებული სცენარების მიხედვით უარყოფითი ეფექტის გამომწვევი შემთხვევათა ალბათობის შეფასება.
- განხორციელდა საქართველოში სურსათისმიერი ბრუცელას რისკის დახასიათება ექსპოზიციის შეფასების მიხედვით სურსათის, ვეტერინარული და ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე.
- შემუშავდა რეკომენდაციების სამუშაო ვერსია.

1. დოქტ. დ. დულაშვილმა მონაწილეობა მიიღო (და ორგანიზება გაუწია) საერთაშორისო ონლაინ სამუშაო შეხვედრებში, სემინარებსა და ტრენინგებში:

- USDA-RAPDI-ის მიერ ორგანიზებული ხანგრძლივი სასწავლო კურსი - დისტანციური სწავლება „რისკზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემა - რისკის ანალიზის საფუძვლები“ (Risk-Based Food Safety System - Fundamentals of Risk Analysis). 2020 წლის აპრილიდან (მიმდინარე). ვმონაწილეობ როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორის USDA-RAPDI-ის ადგილობრივი ექსპერტი.
- USDA-RAPDI-ის მიერ ორგანიზებული ხანგრძლივი სასწავლო კურსი - დისტანციური სწავლება „ლაბორატორიული ტრენინგი სურსათის უვნებლობაში - ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენები რძესა და რძის პროდუქტებში“ (Laboratory Training in Food Safety - Veterinary Drug Residues in Milk and Dairy Products). 2020 წლის აპრილიდან (მიმდინარე). ვმონაწილეობ როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი და USDA-RAPDI-ის ადგილობრივი ექსპერტი.
- EFSA-ის მიერ ორგანიზებული ვირტუალური რეგიონალური სამუშაო შეხვედრა (ვორქშოპი) „საერთაშორისო თანამშრომლობა და რესურსები სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების ხელშეწყობისთვის აღმოსავლეთ ევროპის

სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში“ (Regional Workshop “International collaboration and resources for promoting food safety Risk Assessment in ENP countries”). 21-22 ოქტომბერი 2019, თბილისი, საქართველო.

(USDA - აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი EFSA - ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს RAPDI - სოფლის და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი)

2. მომზადდა „გამოხმაურება“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილ რისკის შეფასების სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული სამეცნიერო პროექტის ანგარიშზე “საქართველოში ცხოველური წარმოშობის სურსათის საღმონელით დაბინძურების რისკის შეფასებისთვის სამეცნიერო მოსაზრება“ (პროექტის ხელმძღვანელი: მაია მეტრეველი; შემსრულებელი: ლეილა ტაბატაძე; პროექტის განხორციელების პერიოდი: 01.01.2019-31.12.2019).

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის 23 ივნისის სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი რისკის შეფასების სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული სამეცნიერო პროექტები რისკის მმართველებთან, რისკის ანალიზის ორგანიზატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, დოქტ. დ. დულაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია ზემოაღნიშნულ პროექტსა და მასზე „გამოხმაურების“ თაობაზე.





### 6.5.3.5. აკადემიის სტიპენდიატი ეკატერინა კაციტაძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ეკატერინა კაციტაძის 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში.

1. სამეცნიერო საქმიანობა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ს/მ პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების სამსახურში მთავარი სპეციალისტის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების სტიპენდიატის პოზიციებზე.

#### 2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით.

სასწავლო კურსები :

- „ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების ტექნოლოგია“ (2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი, სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსი);
- „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“ (2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი, სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრიატის IV კურსი).

#### 3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. „ვაშლის არასტანდარტული ნედლეულიდან ძმრის მიღება და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება ჯიშების მიხედვით“- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი "მოამბე" , N1(43) გვ.74-79, 2020 წ.

სტატიაში წარმოდგენილია ვაშლის ძმრის დამზადების ტექნოლოგიის მოკლე ინსტრუქცია და ტექნოლოგიური პროცესები; შესწავლილია ჯიშური ფაქტორების გავლენა საბოლოო პროდუქტის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე; მოცემულია ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლების კვლევის შედეგები. საკვლევ ობიექტებად გამოყენებულ იქნა ს/მ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას ბაზაზე არსებული 6 ჯიშის ვაშლის დაბალკონდიციური ნედლეული, რომელიც გადამამუშავდა აღნიშნული ტექნოლოგიით, მიღებულ იქნა ძმრის საკვლევ ნიმუშების 6 ვარიანტი და შეფასდა მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ხარისხიანი ნატურალური ვაშლის ძმრის მიღება შესაძლებელია დაბალკონდიციური ნედლეულის გამოყენებით, ჯიშური ფაქტორები კი გავლენას ახდენს მზა პროდუქტის თვისებებზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებითა ანალიზმა და კომპლექსური მაჩვენებლების კვლევამ ვაშლის ძმრის მისაღებად გამოკვეთა საუკეთესო ჯიშები.

3.2 დამუშავებულია და გადაცემულია გამოსაქვეყნებლად სამეცნიერო სტატია - „**The integrated technology of functional products of grapes**“, რომელიც დაიბეჭდება საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ ჟურნალის „**Annals of Agrarian Science**“ I - ნომერში.

სტატიაში განხილულია სუფრის ყურძნის ოსმოსური გაუწყლოების საფუძველზე მურაბის და კომპოტის მიღების ტექნოლოგია;

აღნიშნულ მეთოდს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრობისა და გაყინვის ტექნოლოგიაში - ნაჩვენებია, რომ მისი გამოყენება მიზანშეწონილია მურაბისა და კომპოტის მისაღებად;

კომპლექსური ტექნოლოგიით მიღებული ყურძნის მურაბის და კომპოტის ფუნქციონალურ ხასიათს განაპირობებს შემდეგი მაჩვენებლები: გაზრდილია ხილის ხვედრითი წილი, მომატებულია ბუნებრივი შაქრის რაოდენობა, შენარჩუნებულია ანტოციანების მნიშვნელოვანი ნაწილი; შაქრის შემცველად გამოყენებულია ყურძნის დეიონიზირებული კონცენტრატი;

შემცირებულია მურაბის კალორიულობა არსებულ ტექნოლოგიასთან შედარებით. მურაბის წარმოდგენილ ტექნოლოგიას აღნიშნული უპირატესობის გარდა გააჩნია ენერგოდამზოგი ეფექტი ხარშვის პერიოდის შემცირების შედეგად.

#### 4. გამოქვეყნებული ბროშურა რეკომენდაციები:

4.1. **"დაბალკონდიციური ვაშლის გადამამუშავების კომპლექსური ტექნოლოგია"**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2020 წ.

ნაშრომში განხილულია ვაშლის გადამამუშავების უნარჩენო კომპლექსური ტექნოლოგია, რითაც შესაძლებელია ერთდროულად მიღებულ იქნას რამდენიმე საინტერესო, სასარგებლო და ნატურალურად ჯანსაღი პროდუქტი: წვენი, ღვინო(სიდრი), სიდრზე დამზადებული დაბალალკოჰოლიანი სასმელი, ძმარი, ხილფაფა, ხილ-კენკრის ჯემი, ბოჭკოვანი ნივთიერებებით მდიდარი ფხვნილი და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ნედლეულად გამოიყენება არასტანდარტული, დაბალკონდიციური და ე.წ ნაქარი ვაშლი. მოცემულია ტექნოლოგიური სქემები, ინსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესების აღწერა და განხორციელების ტექნიკური საშუალებები.

წარმოდგენილი რეკომენდაცია დაეხმარება ფერმერებს და მცირე მეწარმეებს მოახდინონ დაბალკონდიციური ნედლეულის მიზნობრივი გადამამუშავება ხარისხიანი და მარკეტინგულად მიმზიდველი პროდუქციის მისაღებად, ხოლო კვების ტექნოლოგიის სპეციალობის ბაკალავრებს და მაგისტრანტებს - ცოდნის გაღრმავებაში. კვლევები განხორციელებულია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში, ჯიდაურას კვლევით ბაზაზე.

4.2. **„წველების დაკონსერვების მეთოდები და ტექნოლოგია"**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2020 წ.

ნაშრომში მოცემულია ხილ-ბოსტნეულის წველების დაკონსერვების მეთოდები, არსი და ტექნოლოგია. გამახვილებულია ყურადღება პასტერიზაციაზე და პროცესის პარამეტრებზე. განხილულია ტექნოლოგიის გავლენა წველების ფიზიკურ-ქიმიურ და

ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე, იმ უარყოფით გარდაქმნებზე, რასაც განიცდის პროდუქტი დამუშავების დროს. მოცემულია ვაშლის წვენი ქიმიური შედგენილობა და თბური დამუშავების ოპტიმალური პარამეტრები; ფორთოხლის და ჭარხლის წვენების ტექნოლოგია, რეცეპტურა და სტერილიზაციის რეჟიმები.

წარმოდგენილი რეკომენდაცია დაეხმარება აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს, ფერმერებს და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სტუდენტებს ამ მიმართულებით ცოდნის დონის ამაღლებაში.

**5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა** - თემა „ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს დაპროექტება გარდაბნის რაიონში 1 მლნ პირობითი ქილა წარმადობით“, აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი გიორგი ცირეკიძე.

**6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ღონისძიებებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:**

**6.1 ტრენინგი ტრენერებისთვის, ზრდასრულთა სწავლების ტექნიკა - ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრი, 24-27 ნოემბერი, 2020.**

7. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ UNDP-ის მხარდაჭერით „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაციის“ პროექტის ფარგლებში, *ტრენერთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით 2020 წელს გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული*.

**9. სამეცნიერო საზოგადოების, საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, სარედაქციო საბჭოს და სხვ. წევრობა:**

9.1 სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

9.2 აგრარული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი (გამომცემლობა „სამშობლო“);

9.3 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ტრენერი პირველადი პროდუქტების შენახვა-გადამუშავების მიმართულებით.

9.4 ხილ-კენკრის ძმრის ხარისხის შეფასების სადეგუსტაციო კომისიის შემუშავება და ხელმძღვანელობა - კომერციული წარმოების ძმრის პროდუქტების ნიმუშების ხარისხის დადგენა-შეფასება.

**დოქტ. ეკატერინა კაციტაძის ხელმძღვანელობით მუშავდება კვლევითი თემები:**

1. ექსტრაქტების (კონცენტრატები) და ნატურალური საღებავების მიღების პროცესის გამოკვლევა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის დამუშავება ახალი ტექნოლოგიური ხაზის კონსტრუირების საშუალებით.

**თემის მიზანია:** ექსტრაქტების და ნატურალური საღებავების მიღების ენერგოდამზოვი ტექნოლოგიის შემუშავება, შესაბამისი დანადგარის სქემის დამუშავება, აწყობა და პროცესის რაციონალური რეჟიმების დადგენა; მნიშვნელოვანია საბოლოო პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალური შენარჩუნება.

ხილ-ბოსტნეული მალფუჭადი და ამავდროულად სეზონური პროდუქტებია; მათი ნატურალური სახით მთელი წლის განმავლობაში მიღება შეუძლებელია. საუკეთესო გამოსავალია მალფუჭადი მცენარეული ნედლეულის გადამუშავება და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ისეთი პროდუქტების მიღება, როგორცაა წვენები. არანაკლებ მნიშვნელოვანია და აქტუალური ხილ-ბოსტნეულის წვენებიდან კონცენტრატების დამზადება, ანუ მათი შესქელება-კონცენტრირება. კონცენტრატების დამზადება საშუალებას გვაძლევს უხვი მოსავლიანობის წლებში მაქსიმალურად ავითვისოთ ნედლეული (განსაკუთრებით დაბალკონდიციური), გადავამუშაოთ და მზა პროდუქტის სახით შევქმნათ მარაგი ხარისხიანი კონცენტრატისა, რომელსაც თავის მხრივ ფართო გამოყენება აქვს კვების ინდუსტრიაში.

კვლევის გფარგლებში შემუშავდა ახალი მაკონცენტრირებელი მოწყობილობის სქემა და ექსტრემალური ექსპერიმენტების დაგეგმვის თეორიის გამოყენებით განხორციელდა ლაბორატორიული დანადგარის აწყობა. მომზადდა საბაზისო წვენები. ამორთქლებელ აგენტად გამოყენებულია ნახშირორჟანგი CO<sub>2</sub>.

გათვალისწინებულია დანადგარის ლაბორატორიული გამოცდა, ექსპერიმენტების ჩატარება საბაზისო წვენებზე, კონცენტრირების პროცესზე მოქმედი ფაქტორების (თბოფიზიკური, ტექნოლოგიური) დადგენა, მიღებული პროდუქტების ფიტოქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასება, შემუშავებული ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობა დასრულდება 2023 წელს.

2. დადებითი ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე ნივთიერებებით მდიდარი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით თანამედროვე ტენდენციის პროდუქტების მიღების პროცესის გამოკვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება.

**თემის მიზანია:** დიეტური და პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტების, მათ შორის სასმელების მიღების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება; დაბალკონდიციური ნედლეულის გადამუშავების პროდუქტების (ძმარი, სიდრი და სხვ.) მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით, მიღებული პროდუქტების ფიზიოლოგიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების შესწავლა.

უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღ კვებას, რამაც ადეკვატურად გაზარდა მოთხოვნა ორგანიზმისთვის სასარგებლო კომპონენტებით მდიდარ პროდუქტებზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის(WHO-2012) ევროპის რეგიონის სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავდა სურსათის და ჯანსაღი კვების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს კვებასთან ასოცირებული არაგადამდები დაავადებების შემცირებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხო, ჯანმრთელი და მდგრადი საკვების(სასმელის) მოხმარებით.

ამჟამად, საქართველოში თანამედროვე მიმართულების პროდუქტები ფაქტობრივად არ იწარმოება და საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება - მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება.

გასათვალისწინებელია WHO და EU მოთხოვნები ჯანსაღ კვებასთან მიმართებაში. ყურადღებას იმსახურებს ევროპაში არსებული ტენდენციები - ხილის მეტი და შაქრის ნაკლები შემცველობა პროდუქტში (მურაბა, ჯემი, კომპოტი და სხვ.). ნატურალურად ჯანსაღი პროდუქტების, მათ შორის ისეთი უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი სამელების მოხმარება, რომლებიც მიღებულია ხელოვნური არომატიზატორების, საღებავების, კონსერვანტების და შაქრის (საქაროზა) გამოყენების გარეშე.

თემატიკასთან დაკავშირებით დამუშავდა 2 სამეცნიერო სტატია და გამოქვეყნდა 1 ბროშურა-რეკომენდაცია.

## 12. განსახილველი საკითხები.

სურსათთან დაკავშირებული პრობლემებიდან მნიშვნელოვანია ორი გლობალური პრობლემა, რომელიც მწვავედ დგას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში:


- 1.სასურსათო უსაფრთხოების და სურსათის ხელმისაწვდომობის პრობლემა;
2. კვებასთან ასოცირებული არაგადამდები დაავადებების და მათგან გამოწვეული სიკვდილიანობის ზრდა.

*აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, საჭიროა დარგის მეცნიერების, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების, ფერმერების და სახელმწიფო ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევა.*

*მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება დაუბალანსებელი, არაჯანსაღი კვების და არაგადამდები დაავადებების გავრცელების მიზეზშედეგობრივ კავშირებზე. ასევე, საჭიროა საკანონმდებლო კუთხით გარკვეული რეგულაციების შემოღება.*

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დანაკარგების შემცირების კუთხით საჭიროა ყურადღება გამახვილდეს გადამამუშავების კომპლექსურ უნარჩენო ტექნოლოგიებზე, რომელიც შეეხება განსაკუთრებით არასტანდარტული (დაბალხარისხიანი) ნედლეულის კომპლექსური გადამამუშავებას, მიღებული პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და მარკეტინგულად მიმზიდველი პროდუქციის მიღებას, რაც უდავოდ ფინანსურ სარგებელს მოუტანს ფერმერებს და მცირე მეწარმეებს.

საჭიროა, მეტი ყურადღება გამახვილდეს, სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაზე, ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე და საკითხებზე.



## 6.6. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება

### აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში 2020 წელს გაერთიანებული იყო აკადემიის 8 წევრი, მათ შორის 7 აკადემიკოსი და 1 წევრ-კორესპონდენტი. განყოფილებაში ირიცხება აკადემიის ერთი სტიპენდიატი.

განყოფილების წევრები არიან: აკადემიკოსები: ქეშელაშვილი ომარი (აკადემიკოს-მდივანი), ასათიანი რევაზი, კოლუაშვილი პაატა, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი, წევრ-კორესპონდენტი ნიკოლეიშვილი გიორგი (გარდაიცვალა 2020 წლის 24 ნოემბერს) და აკადემიის სტიპენდიატი ჯაბინძე ნატო.

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების საქმიანობა მოიცავს ეკონომიკის, მართვისა და ბიზნესის სფეროს მიმართულეებს.

პერიოდულად მოისმინებოდა განყოფილების წევრთა ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ. სულ ჩატარდა განყოფილების 5 სხდომა.

### პირველი სხდომა ჩატარდა 28 იანვარს და განხილული იქნა საკითხი:

1. ინფორმაცია აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებლები:** განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი, საწავლული მდივანი, დოქტორი რევაზ ლოლიშვილი.

### მეორე სხდომა ჩატარდა 12 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები:

1. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

2. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

3. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უპირატესი განვითარების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია.

### მესამე სხდომა ჩატარდა 29 ივნისს და განხილული იქნა საკითხები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 2019 წლის ანგარიშის რეცენზიის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

### მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 ივლისს და განხილული იქნა საკითხები:



- აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
- სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მოდელი.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

**მეხუთე სხდომა ჩატარდა 16 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები:**

- ნატო ჯაბნიძის 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ
- აქარის ა/რ სოფლის მეურნეობის პერსპექტიული ამოცანების შესახებ

**მომხსენებელი:** სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების წევრები არიან აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრები და საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრები, აქტიურად მონაწილეობენ აკადემიის პრეზიდენტის მუშაობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

#### 6.6.1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების) დასახელება	განხილვის დრო		პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3		4	5
1	ინფორმაცია აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ 2019 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ	იანვარი		ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტ. რევაზ ლოლიშვილი	
2	ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი		აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	
3	თამაზ კუნჭულის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი		აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	

4	სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სრულყოფის შესახებ	თებერვალი		აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	
5	ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი		აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა	
6	მიწის რესურსების მართვა	მარტი		აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა	
7	გივი ჯაფარიძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი		აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
8	საქართველოს სატყეო კოდექსის შესახებ	აპრილი		აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
9	რევაზ ასათიანის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი		აკადემიკოსი რევაზ ასათიანი	
10	აგრომენეჯმენტის სრულყოფის ხედვების შესახებ	მაისი		აკადემიკოსი რევაზ ასათიანი	
11	პაატა კოლუაშიელის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ივნისი		აკადემიკოსი პაატა კოლუაშიელი	
12	სოფლის განვითარების ინოვაციური მიდგომისათვის საართველოში	ივნისი		აკადემიკოსი პაატა კოლუაშიელი	
13	ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	სექტემბერი		აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	
14	გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	სექტემბერი		აკადემიკოსი გიორგი ნიკოლეიშვილი	
15	მარცვლეულის წარმოება – სასურსათო დამოუკიდებლობის გარანტი	ოქტომბერი		აკადემიკოსი პაატა კოლუაშიელი	

16	ნატო ჯაბნიძის ანგარიში 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	ნომბერი		აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე	
17	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის პერსპექტიული ამოცანების შესახებ	ნომბერი		აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე	
18	აკადემიის საერთაშორისო-რეფერირებული შრომათა კრებული „მოამბის“ გამოცემის შესახებ	დეკემბერი		განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	

## მ რ

### 6.6.2. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2020 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული სამეცნიერო კონფერენცია	კონფერენცია	სექტემბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
2	გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	კონფერენცია	ოქტომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	
3	გასვლითი მრგვალი მაგიდა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრში	მრგვალი მაგიდა	ნომბერი	სამეცნიერო განყოფილებები	

# მ რ

## 6.6.3. ეკონომიკის სამეცნიერო ბანყოფილების წევრების 2020 წლის ანგარიშები

### 6.6.3.1. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი



აკადემიკოს რევაზ ასათიანის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში.

1. **საკვლევი თემის დასახელება.** “საქართველოს მელიორაციის პრობლემები და განვითარების პერსექტივები”.

2. **გამოსაქვეყნებელი მონოგრაფია.** გრძელდება მუშაობა მონოგრაფიაზე “საქართველოს მელიორაციის განვითარება”, რომელშიც განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პარამეტრები, სამელიორაციო სისტემების და მელიორირებული მიწების არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები, ძირითადი სარწყავი სისტემების

არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოს რეგიონების მიხედვით, დამშრობი სისტემების (შემკრები კოლექტორები, წყალშემკრები მაგისტრალური არხები) არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში; გარემოს დაცვის ღონისძიებები, საექსპლუატაციო - ტექნიკური ბაზა, დარგის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, კაპიტალური დაბანდებები და ინვესტიციები და სხვა.

3. **გამოსაქვეყნებელი სტატიები.** გამოსაქვეყნებლად მომზადებულია 2 სტატია:

3.1. „ირიგაციისა და დრენაჟის სფეროში ინსტიტუციონალური მოწყობის საერთაშორისო მოდელები“;

3.2. „წყალ და დრენაჟ მომხმარებელთა ორგანიზაციების (წმომ/დმო) ჩამოყალიბების სტრატეგია, განვითარების პერსპექტივები და განხორციელების გზები“.

4. **რეკომენდაციები და რედაქტირება.** აკად.რ. ასათიანის მიერ მომზადებულია საკუთარი რეკომენდაციები და გაეწია რედაქტირება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ მომზადებულ წინადადებას კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისთვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. ასევე, მომზადებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მოდელი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა

5. აკადემიის პრეზიდიუმისა და დარგობრივი განყოფილების/ების მუშაობაში მონაწილეობა. აკად. რ. ასათიანი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, აკადემიის 2 დარგობრივი განყოფილების სხდომებსა (აგრარული ეკონომიკისა და სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების) და სხვა სახის შეხვედრებში; მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოწყობილ რამოდენიმე შეხვედრასა და დისკუსიაში;

6. შპს „საქართველოს მელიორაცია“. აკად. რ. ასათიანის, როგორც „შპს საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელძღვანელობით ჩატარდა 18 სხდომა და განხილულ იქნა 40 - მდე სხვადასხვა სახის საკითხი.



### 6.6.3.2. აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სტუ პროფესორის პაატა კოლუაშვილის 2020 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში

#### 1. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

1.1. Koguashvili P., Chikhladze N., Innovative Approach to the Rural Development in Georgia *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2020, vol. 14, #1 : 160-164. <http://science.org.ge/bnas/vol-14-1.html>, გვ. 160-164, რეფერირება და ინდექსირება: SCOPUS, SCImago Journal & Country Rank, [Google Scholar](#), Researchgate

1.2. Koguashvili P., Ramishvili B., Optimization of Meat Consumption in Georgia in the Context of Worldwide Trends. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2020, vol. 14, #3 : 142-148. <http://science.org.ge/bnas/vol-14-3.html> გვ.142-148;

1.3. კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი., საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. #3, 2020. გვ. <http://eb.tsu.ge/?leng=ge>

რეფერირება და ინდექსირება: ERIH PLUS, EBSCO, [Google Scholar](#);

1.4. კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი., საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1, 2020. <http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2020-03-30>

რეფერირება და ინდექსირება: ERIH PLUS, EBSCO, [Google Scholar](#);

1.5. კოლუაშვილი პ., რამიშვილი ბ., საქართველოში ხორცის მოხმარების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის შეფასება. „ეკონომისტი“, #2, 2020. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon.pdf> გვ.66-75;

1.6. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა აგროსასურსათო სექტორში სახელმწიფოებრივი აუცილებლობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #4, 2020.

რეფერირება და ინდექსირება: ERIH PLUS, EBSCO, [Google Scholar](#);

1.7. კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. რა უნდა გაიზიაროთ იაპონიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამოცდილებიდან. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“. #5, 2020;

1.8. კოლუაშვილი პ., ცოფურიშვილი გ. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ალტერნატიული ხედვა და სტრატეგია. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“. #6, 2020;

1.9. კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. დუშეთის, თიანეთის, წალკის, დმანისის და თეთრიწყაროს მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ეკონომიკური განვითარებისთვის. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“. #5, 2020;

1.10. კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. კოოპერაციული აგროსისაკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ #10, 2020.

## 2. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

2.1. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. წმ.გრიგოლ ხანძთელი, როგორც მმართველი. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2020 წლის 6 ნოემბერი;

2.2. კოლუაშვილი პ., ბაღათურია გ., სახელმწიფო-საჯარო პარტნიორობა აგროსამრეწველო კომპლექსის ინოვაციური განვითარების სფეროში. აკად, პ.გუგუშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“ მასალების კრებული, თბ., 2020 წლის 17-18 ოქტომბერი.

<http://ekonomisti.tsu.ge/doc/2020konf.sabolo.pdf> გვ. 76-81;

2.3. მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაციის თანამედროვე და სოციალური გამოწვევები“, თბილისი, 2020 წლის 26 ოქტომბერი;

კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ., სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნისათვის საქართველოში.

## 3. პედაგოგიური საქმიანობა.

აკად. პ. კოლუაშვილი 2019-2020 წლებში კითხულობდა ლექციებს დოქტორანტურაში შემდეგ დისციპლინებში:

3.1. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარულის პოლიტიკის სტრატეგია;



- 3.2. მიწის მმართველობა;
- 3.3. სოფლის განვითარების პოლიტიკა;
- 3.4. რეგიონის მდგრადი განვითარება.

**4. სამაგისტრო ნაშრომებისა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა.**

მაგისტრანტებმა ნ. ჩიხლაძემ და თ. გვიანიშვილმა აკად. პ. კოლუაშვილის ხელმძღვანელობით დაიცვეს სამაგისტრო შრომები - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებზე და აგრობიზნესის განვითარების საკითხებზე.

დოქტორანტმა დავით მამუკელაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია კოოპერაციის საკითხებზე.

**5. სარედაქციო საბჭოს წევრობა**

აკად. პ. კოლუაშვილი არჩეულია სამეცნიერო ჟურნალების „ეკონომიკა და ბიზნესი“ და „ეკონომისტი“ სარედაქციო საბჭოში;

6. აკად. პ. კოლუაშვილის შრომას „საქართველოში ხორცის მოხმარების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის შეფასება. ჟურნალი „ეკონომისტი“, #2, 2020. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon.pdf> გვ. 66-75., მიენიჭა დოის კოდი.



**6.6.3.3. აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია**



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამაზ კუნჭულიას 2020 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

**1. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.**

1.1. თამაზ კუნჭულია, ზურაბ ბუკია - “კორონავირუსის „კოვიდ-19-ის“ პანდემიის გაკვეთილები აგროსასურსათო სექტორისათვის”. გამომცემლობა „აგრო“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, N2(44), 2020 წელი, გვ. 117-12;

1.2. თამაზ კუნჭულია - „საქართველოს სოფლის მეურნეობის მავალდარგიანობა - სასარგებლო თუ საზიანი“, სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრომრავალფეროვნება“, შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 25.09.2020, გვ. 77-80;

2. თამაზ კუნჭულია - რეცენზია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე; ჟურნალი აკადემიის მოამბე N1(43).

**3. გამოცემულია მონოგრაფია:**

თამაზ კუნჭულია, ზურაბ ბუკია-„საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები“- გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2020 წელი.- გვ. 255;

ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს აგროსასურსათო სექტორში საბაზრო ურთიერთობების დანერგვის პრობლემებისადმი;

4. აკად. თ.კუნჭულიამ მიიღო მონაწილეობა მიმდინარე წლის 25 სექტემბერს ქ.თბილისში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო -პრაქტიკულ კონფერენციაში ,თემაზე: „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება“.

მოხსენების თემა: „საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება-სასარგებლოა თუ საზიანო“, კონფერენციის შრომათა კრებული, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020, გვ. 77-80.



**6.6.3.4. აბაღეშიძის ნაპოლეონ ქარქაშაძე**

აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძის 2020 წლის სამეცნიერ და სხვა საქმიანობის მოკლე ანგარიში



2020 წელს გამოვიდა მინი მონოგრაფია სახელწოდებით - „სტალინი და ეკონომიკა“, რომლის რეცენზიაც გააკეთა აკად. ნ.ჭითანავამ, რამაც წარმოდგენილი შრომა უფრო საინტერესო გახადა.

შრომაში განხილულია იოსებ სტალინის ეკონომიკური მსოფმხედველობა, რომელიც საფუძვლად დაედო სოციალისტური „გეგმიური ეკონომიკის“ მეცნიერულ გააზრებას.

„გეგმიური ეკონომიკის“ პრობლემების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა ვ.ლენინის შრომა „კოოპერაციის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედო კოლექტიური შრომის დამკვიდრებას, რაც შემდეგ

მოგვევლინა კოლმეურნეობების საწარმო ერთეულის სახით.

„გეგმიური ეკონომიკა“ ყველაზე მისაღები ფორმა გახდა წარმოების საშუალებების განსაზოგადოების პირობებში, როდესაც მატერიალურ დოვლათს ქმნიდნენ ადამიანები გაერთიანებული (კოლექტიური) შრომის შედეგად. „გეგმიური ეკონომიკის“ ნაწილი გახდა აგრეთვე, ერთობლივი შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური დოვლათის გადანაწილების წესიც.

სახელმწიფო მეურნეობის განვითარების სტალინური გეგმა, საბოლოო ანგარიშით იღებდა კანონის ფორმას და აუცილებელი იყო შესასრულებლად. გრძელვადიანი გეგმები მოქცეული იყო ე.წ. „სტალინურ ხუთწლედებში“, ანუ შესასრულებლად გათვლილი იყო ხუთ წელზე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, სახელმწიფოში არსებული ყველა სახის რესურსის რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლეოდა. იგი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მაქსიმალურად უზრუნველყოფდა და აქვე იყო მითითებული მისი განხორციელების პრაქტიკული ასპექტებიც.

შედარებისთვის და თვალსაჩინოებისთვის, შრომაში განხილულია ი. სტალინის შემდგომი პერიოდის (ე.წ. ნ. ხრუშჩოვის მმართველობის 10 წელი). მკითხველს, შეუძლია შეადაროს და თავიდანვე გამოიტანოს დასკვნა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ისეთ საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად უდევს განვითარების ეკონომიკური კანონები (სტალინის შემთხვევაში) და პრიმიტიული აზროვნება (ხრუშჩოვის შემთხვევაში), როდესაც დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის შეუქცევადი პროცესი.

ამის ნათელი დასტური გახლდათ ის, რომ ნ. ხრუშჩოვის მმართველობის დროს, სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური გეგმა სანახევროდაც კი ვერ შესრულდა. აკად. ნ. ქარქაშაძემ მოამზადა შრომა (რომელიც გადაეცა აკადემიას) ბუნების დაცვის საკითხებზე სათაურით „ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკა“. ნაშრომში განხილულია ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიზანი, ამოცანები და მათი შესრულების მექანიზმები.

შრომა დაიწერა საერთაშორისო კონფერენციებისთვის, რომელიც განიხილავს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემებს, დღეისთვის არსებული ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე.

აკად. ნ. ქარქაშაძე აგრძელებს მუშაობას ფუნდამენტურ მონოგრაფიაზე „მსოფლიო სოფლის მეურნეობა“, დამუშავებულია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბაზაზე აღმოცენებული, დამკვიდრებული ქვეყნების (მ.შ. საქართველოც) ე.წ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო სამეურნეო წარმოებაში არსებული, ქაოტური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე პრობლემები, მათი დაძლევის, ან შემსუბუქების გზები.

დაიწერა რამოდენიმე საგაზეთო სტატია, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ პრობლემებზე.

**შენიშვნა: 1.** აკად. ნ. ქარქაშაძის მიერ ცალკე გაშუქდება, მსოფლიო პანდემიის პირობებში, აკადემიის „სამეცნიერო საბჭოს“ საქმიანობა;

2. აკად. ნ. ქარქაშაძე აღნიშნავს, რომ მსოფლიო პანდემიის პირობებში, სსმმ აკადემიის ხელმძღვანელობამ შესძლო ადმინისტრაციული პერსონალის უსაფრთხოება, რამაც განაპირობა აკადემიის წევრების შედარებით წარმატებული მოღვაწეობაც.



### 6.6.3.5. აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი



აკადემიკოს ო.ქეშელაშვილის მიერ 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში.

1. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები): სულ გამოქვეყნებულია 1041 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. 228 წიგნი, აქედან, 52 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 136 ბროშურა, 27 მინიატურული პოპულარული წიგნი, 5 დარგობრივ-თემატური ატლასი, 33 გამოცემულია საზღვარგარეთ. გამოქვეყნებულია 275 საგაზეთო სამეცნიერო-პუბლიცი-სტური ნაშრომი. სულ სამეცნიერო და

სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომთა რაოდენობა შეადგენს 1316; (1993 წლამდე გამოქვეყნებულია 278, 2005 წლამდე 329, 2010 წლამდე 440, 2015 წლამდე 605, 2019 წლამდე 908, 2020 წლამდე 1010, 2021 წლამდე 1040 სამეცნიერო ნაშრომი)

2020 წელს გამოქვეყნებულია 30 სამეცნიერო ნაშრომი (2020 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით).

#### 2. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა და საკითხების მომზადება:

1. აკად. ო. ქეშელაშვილი მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის პრეზიდიუმზე განხილულ ყველა საკითხში. პრეზიდიუმის სხდომაზე, აგრეთვე ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე მოსმენილი იქნა მის მიერ მომზადებული საკითხი: “ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ” და მოხსენება: “აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული შრომათა კრებულ „მოამბის“ გამოცემის შესახებ”;

2. აკად. ო. ქეშელაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა ფერმერული მეურნეობების დასახმარებლად სოფლის მეურნეობის გაძღო-ლის რეკომენდაციების ციკლი „სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის შესახებ“, რომელიც ბროშურების სახით გამოიცა მასობრივი ტირაჟით;

3. აკად. ო. ქეშელაშვილმა მოამზადა და გამოიცა მონოგრაფია: “სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური შეფასება” (5.0 ნ.თ);

მონოგრაფია რომელიც ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტობრივ მდგომარეობასა და პროგნოზს, აგებულია სრულიად ახლებურად და ორიგინალურად: იგი ძირითადად ეყრდნობა ციფრების ენას-სტატისტიკურ მასალას მარტივი და რთული ცხრილების სახით, რომელსაც თან ახლავს გრაფიკები, დინამიკური მრუდები და დიაგრამები, მას მოსდევს ანალიტიკური მსჯელობა (ტექსტი), მეცნიერული დასკვნების, კომენტარებისა და განმარტებების ფორმით. გამდიდრებულია მიზნობრივ-თემატური ფერადი სურათებით.

4. ხელმძღვანელობს საერთაშორისო რეფერირებული შრომათა კრებულის „მოამბის“ 2020 წლის 1-ლი და მე-2 ნომრების გამოცემას;

**5. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა, სხვა საქმიანობა:**

5.1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი;

5.2. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულის-„მოამბე“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი;

5.3. აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი;

5.4. გამომცემლობა „აგროს“ ხელმძღვანელი;

5.5. აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდის ხელმძღვანელი;

5.6. ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;

**6. სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:**

აკად. ო. ქეშელაშვილი არის სსმმ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი და საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

**7. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სხდომამ და პრეზიდიუმმა:**

7.1. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულ-„მოამბის“ გამოცემის შესახებ.

**აკად. ო. ქეშელაშვილის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია**

№	შრომების დასახელება	დაბეჭდ ილია თუ ხელნა- წერი	დასახელება, გამომცემლობის ჟურნალის, გამოცემის წელი, ჟურნალის№	ნაბეჭ დი თაბახ ების რაოდ ენობა	შენიშვნა (უჩვენეთ თანაავტორ ი)
1/1011	ბიზნეს-გეგმის შედგენის თეორიულ- მეთოდოლოგიური პოზიციები და ადმინისტრირება	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,8	-
2/ 1012	<i>produqciis masalatevadoba</i>	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,2	-
3/1013	ეკონომიკური ანალიზი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,2	-
4/1014	ინვესტიციები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,1	-
5/1015	თეთრი და შავი პიარი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,1	-



6/1016	კრიპტოვალუტა-„მომავლის ფული“	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №1-2, თბილისი, 2020	0,7	მ.ქეშელაშვილი, ნ.სილიკაშვილი, ომიკო ქეშელაშვილი, ბ. რუსაძე, გივი ჯაფარიძე.
7/1017	სორბლის წარმოების სტრატეგია და პერსპექტივები საქართველოში	დაბეჭდ	ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“, №1, თბილისი, 2020	0,9	გ.ალექსიძე
8/1018	ლექციების ცხრილები სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის	დაბეჭდ	გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020	4.2	–
9/1019	საქართველო ახალ მსოფლიო წესრიგში (ანუ საქართველო გლობალიზაციის წრედში)	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0,5	–
10/1020	დიდი თამაში ბიზნესში	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0.1	–
11/1021	მეგაეკონომიკა (მსოფლიო ეკონომიკა)	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0.1	–

12/1022	ინჟინირინგი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0.1	–
13/1023	ფაქტორინგი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0.1	–
14/1024	სოფლის მეურნეობა კითხვებსა და პასუხებში	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0.3	–
15/1025	მდგრადი განვითარება- მსოფლიო- გლობალური პრობლემა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3-4, თბილისი, 2020	0,5	ბ ალექსიძე, მ.ქეშელაშვი ილი, ნ.სილიკაშვი ილი, ომიკო ქეშე- ლაშვილი, ქ.სილიკაშვი ილი, გივი ჯაფარიძე

16/1026	სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №1(43); თბილისი, 2020	0.8	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე
17/1027	ეკოლოგიურად სუფთა მარცვლეულის წარმოების პროგნოზული პარამეტრები საქართველოში (და ზოგი რამ გენმოდირებულ პროდუქციაზე)	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №1(43); თბილისი, 2020	0.9	–
18/1028	კარტოფილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №1(43); თბილისი, 2020	0.9	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ე.შაფაქიძე, ო.ლიპარტიანი, ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე, დ.ანტონოვა, დ.წიკლაური

19/1029	გლეხი და ფერმერი განმარტება	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №1(43); თბილისი, 2020	0.1	-
20/1030	სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური შეფასება	დაბეჭდ	გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020	5,0	-
21/1031	ზუსტი მიწათმოქმედება (რა არის, ვისთვის და რატომ არის საჭირო?)	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0,3	-
22/1032	სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ახლებური მიმართულებები კონორავირუსის ეპი-დემიის გავლის შემდეგ	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0.5	-

23/1033	პომიდორის მოვლა- მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მომამბე (სამეცნიერო შრომათა კრებულის); №2(44); თბილისი, 2020	1,1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე,
24/1034	კიტრის მოვლა-მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მომამბე (სამეცნიერო შრომათა კრებულის); №2(44); თბილისი, 2020	1,0	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე, ფ.სანაია
25/1035	კომბოსტოს მოვლა- მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მომამბე (სამეცნიერო შრომათა კრებულის); №2(44); თბილისი, 2020	0,8	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე, ე.მოთიაშვი ლი

26/1036	სტაფილოს მოვლა-მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	1,1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე, დ.წიკლაური
27/1037	ბადრიჯნის მოვლა-მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0,7	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე,
28/1038	სუფრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ტექნო-ლოგიური რეკომენდაციები	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0,8	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ა.გიორგაძე, ნ.კაკაბაძე,



29/1039	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ახალ სიმაღლეზე	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0,3	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე ე.შაფაქიძე, ა.გიორგაძე,
30/1040	მევენახეობის მეღვინეობასთან ინტეგრაცია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით	დაბეჭდ	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული); №2(44); თბილისი, 2020	0,6	გონა ალექსიძე



### 6.6.3.6. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა



აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირ.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში აკად. ნ. ჭითანავას მიერ შესრულდა ცენტრის თემატიკით გათვალისწინებული სამუშაო თემაზე „მიწის

რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებანი (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა) - პირველი ნაწილი (თემა გარდამავალია).

ნაშრომში გაანალიზებულია მიწის რესურსების მართვის მდგომარეობა საქართველოში. გამოვლენილია მიწის რესურსების გამოყენებაში მიმდინარე ცვლილებების თავისებურებანი და ტენდენციები. ახსნილია მიწის რეფორმისას დაშვებული შეცდომების გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გარეშე მიწის პრივატიზაციის ჩატარება, სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის კურსის განხორციელება, საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ლიკვიდაცია, პროგნოზირებისა და დაგეგმვის მექანიზმის უგულებელყოფა და ა.შ.

განხილულია მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ისეთი მიმართულებები, როგორცაა: მიწათმოწყობა (მიწის კონსოლიდაცია), მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა, სახელმწიფო პროტექციონიზმი, და ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია შესაბამისი დასკვნები (რეკომენდაციები).

- 2020 წელს (მარტი-ივნისი) გაზეთ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა აკად. ნ. ჭითანავას სტატიების ციკლი, რომელიც მიემდგვნა პანდემიის პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს, კერძოდ, „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“ – „საერთო გაზეთი“ (N10, 25.03.2020), „გარღვევის სტრატეგია“ (N 12, 08.04.2020), „საქართველოში არ არის ზუსტად აღრიცხული მიწის რა ფართობს ვლობთ“ (N13, 22.04.2020), „გვჭირდება გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) განვითარება“ (N16, 03.06.2020). აღნიშნული სტატიების სრული ვერსიები გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში („ივერიონი“, სოფლის მეურნეობის მეცნიერების აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის საიტებზე).
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე (ოქმი N2, 14 ივლისი, 2020 წელი) აკად. ნ. ჭითანავამ გააკეთდა მოხსენება თემაზე: „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების „გარღვევის სტრატეგიის“ კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები“.
- ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“ (N1, იანვარი-ივნისი, 2020 წელი) გამოქვეყნდა აკად. ნ. ჭითანავას სტატია თემაზე: „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში... გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახნაგები“. სტატიაში განხილულია კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული მიმართულებები. ნაჩვენებია მართვის თანამედროვე მეთოდების

კომპლექსურად გამოყენების აუცილებლობა, ქვეყნის რესურსული პოტენციალის მიზნობრივად ამოქმედების გზები და ფაქტორები.

- აკად. ნ. ჭითანავა იუნესკოს მიერ დაწესებული მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.
- აკად. ნ. ჭითანაწილეობა მივიღე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტის მომზადებაში.



### 6.6.3.7. აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ნატო ჯაბნიძის 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში

1.სამეცნიერო-კვლევითი თემის დასახელება: *“აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური შეფასება, პერ სპექტიული ამოცანებისა და პროგნოზული პრიორიტეტების განსაზღვრა“.*

აჭარის სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. რეგიონის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის როლის განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული საკითხი ეხება ამ სფეროს პოტენციალს და პერსპექტივას, კერძოდ, აქვს თუ არა მას სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი აგრარული პროდუქციის მოთხოვნებსა და მისი საექსპორტო ბაზრების განვითარებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენს 336,6 ათას კაცს. ამათგან 149,9 ათასი კაცი სოფლად არის დასახლებული, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 44,6 %-ია, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. შესაბამისად სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს ფერმერთა და აგრომეწარმეთა შემოსავლების უმთავრეს წყაროს, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით.

აჭარის მთავრობის ძალისხმევითა და დახმარების მიუხედავად, ადგილობრივი აგრარული ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულ საქონელს ფასობრივ კონკურენციას ვერ უწევს. ხორციელდება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები და ხდება მათი მიზანმიმართული დაგეგმვა, ორგანიზება, თანამშრომელთა მოტივაცია, მაგრამ სათანადოდ არ ხდება კონტროლი და მონიტორინგი, რაც ამ პროგრამების ეფექტიანობას კითხვის ქვეშ აყენებს.

მიზანშეწონილია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხედვა ძირითადად წარმოდგენილი იყოს „აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში“ და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ითვალისწინებდეს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში:

- ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ზრდას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- დატვირთავს რეგიონს ახალი, სასოფლო-სამეურნეო ფუნქციებით;
- ხელს შეუწყობს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სურსათის უვნებლობას.

უნდა გამოიყოს ზოგიერთი პრინციპული მიდგომა, რომელთა დაცვითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მაღალი ეფექტიანობა აგრარულ სექტორში. ეს პრინციპებია:

1. სახელმწიფო პროგრამები უნდა გამომდინარეობდნენ გრძელვადიანი მიზნებიდან და ტერიტორიების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორებიდან;
2. სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის შედეგები უნდა იყოს რაოდენობრივად გაზომვადი, უნდა იძლეოდნენ საბოლოო პროდუქტის ხარისხის, სახსრების ხარჯვის ეფექტიანობისა და საბოლოო შედეგების გაზომვის შესაძლებლობას.
3. პროგრამებმა უნდა ასახონ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის ყველა სფერო.
4. პროგრამების ეფექტიანობის შეფასება უნდა მოხდეს რეგულირებით, ცვლილებების შესაძლებლობითა და მათი კორექტირებით.

2019-2020 წწ თემატიკიდან გამომდინარე, დოქტ. ნატო ჯაბნიძის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აჭარის ფერმერული თუ კოოპერატიული მეურნეობების ძირითადი ნაწილი ექსპორტზეა ორიენტირებული, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო შიდა აგრარულ ბაზარზე მათ მიერ წარმოებული შედარებით ხარისხიანი, მაგრამ ძვირი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ საქონელს,

შედეგად ჩვენი რეგიონის აგრარული პროდუქციის ექსპორტიორები იძულებულნი არიან საზღვარგარეთ, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით ეძებონ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გზები.

დოქტ. ნატო ჯაბნიძეს მიაჩნია, რომ აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალის შესახებ თორიული ცოდნის გაღრმავება, აჭარის რეგიონში აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტრატეგიული განვითარების საფუძველზე, ხელს შეუწყობს ამ რეგიონში აგრობიზნესის სექტორის განვითარებას. სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის, სურსათზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ზრდას, სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირებას.

დადგენილია, რომ აჭარაში სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვა, რომელიც შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დაიყოს:

- აჭარის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: 1. მეციტრუსეობა; 2. მეხილეობა; 3. მებოსტნეობა; 4. მეცხოველეობა;
- ტრადიციული დარგები: 1. მევენახეობა; 2. მეთევზეობა; 3. მემარცვლეობა; 4. მეფუტკრეობა;
- დამხმარე დარგები: 1. მეჩაიეობა; 2. მებარემუმეობა; 3. მეთამბაქოეობა; 4. სამკურნალო მემცენარეობა.

ამასთან, რეგიონში დარგის განვითარების ტენდენციები შესაძლებლობას გვაძლევს აჭარის სოფლის მეურნეობის ქვესექტორებისა და რიგი კულტურების დაჯგუფება სტრატეგიული განვითარების მნიშვნელობის მიხედვითაც მოვახდინოთ:

1. **ექსპორტზე ორიენტირებული:** მეციტრუსეობა, სუბტროპიკული კულტურები (ხურმა, ფეიჰოა, აქტინიდია, დაფნა), ჩაის ფოთოლი, მეხილეობა (ახალი და გადამუშავებული), თხილი, მეთამბაქოეობა, მეფუტკრეობა.

2. **იმპორტჩანაცვლებაზე და ტურიზმის მოთხოვნაზე ორიენტირებული:** მეხილეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, მეჩაიეობა.

კვლევებიდან და თემატიკიდან გამომდინარე, აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- აჭარის სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება;
- აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოების სტაბილურად ზრდის დინამიკის განსაზღვრა;
- აგრო-სასურსათო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის სტაბილური დინამიკის ჩამოყალიბება;

- ექსპორტის მოცულობის სტაბილური ზრდა და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისების შესაძლებლობები;
  - მსოფლიო და ადგილობრივ ბაზრებზე ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა;
  - საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ორიენტირება, რეგიონის აგროსასურსათო სექტორზე;
  - ტურისტთა რაოდენობის და აგრო, ეკო, სამთო, სამონადირეო ტურიზმის განვითარება;
  - რეგიონის სრული გაზიფიცირება;
  - ადგილობრივი და საერთაშორისო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.
- აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დარგის განვითარების საფრთხეებიც:
- გლობალური ეკონომიკური კრიზისი;
  - ინფლაციის მაღალი დონე;
  - გლობალური დათბობა, კატაკლიზმები, ეკოლოგიური ვითარების გაუარესება;
  - აგრარული პროდუქციის გასაღების ბაზრების მრავალფეროვნების ნაკლებობა;
  - ცხოველთა და მცენარეების დაავადებების მასიური გავრცელება;
  - მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა სურსათის უვნებლობის სისტემის არაეფექტურობის გამო;

## 2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტ. ნ. ჯაბნიძე ხელმძღვანელობს სალექციო კურსებს შემდეგ დისციპლინებში :

- ა) მენეჯმენტი;
- ბ) მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება;
- გ) ოპერაციული მენეჯმენტი.

## 3. დოქტ. ნ. ჯაბნიძის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები“

3.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სახელმწიფო პროგრამების როლი, აგრარული სექტორის ტრანსფორმაციის პროცესში. 21-ე საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია: „ეკონომიკური მეცნიერება სოფლის განვითარებისათვის“ - ლატვია - 12-15 მაისი, 2020 წელი;

3.2. ველურად მზარდი კენკროვნებიდან მიღებული წველების კვებითი ღირებულება და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟურნ. „ეკონომიკური ინოვაციები და მართვა 4“, 2020 წელი.

4. დოქტ. ნ. ჯაბნიძის ხელმძღვანელობით 2020 წელს დაცულია 2 საბაკალავრო ნაშრომი, თემებზე:

4.1. „მომხმარებლის მართვა საცალო რეალიზაციის ობიექტებში“ - სტუდენტი თამუნა შავაძე;



4.2. „მცირე ბიზნესის სტატუსის როლი სამეწარმეო გარემოს მართვაში“ - სტუდენტი ბაჩანა პაპიძე.

5. მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში:

5.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სახელმწიფო პროგრამების როლი, აგრარული სექტორის ტრანსფორმაციის პროცესში. 21-ე საერთაშორისო ინტერნეტ პრაქტიკული კონფერენცია: „ეკონომიკური მეცნიერება სოფლის განვითარებისათვის“ - ლატვია - 12-15 მაისი, 2020 წელი;

5.2. მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის თანამედროვე გამოწვევები.

VIII საერთაშორისო ინტერნეტ სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია: ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და გადასახადის განვითარება სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინოვაციური ტრანსფორმაციის პირობებში - კროპინციკი, უკრაინა -2020 წლის 25 ნოემბერი.

6. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

6.1. 19.09 2020 - საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის (GBDC) კავკასია-პროექტი „აგრობიზნესი ახალგაზრდებისთვის“.

6.2. 09.04.2020 - ვებპანელი „კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული რეცესია, მისი შემაკავებელი ბარიერები და პოსტკორონავირუსული კრიზისის დაძლევა საქართველოში“.

6.3. 15-19. 09.2020 - ისრაელის Mashav-ის ცენტრის ინიციატივით, სასტუმრო „პარაგრაფში“ (შეკვეთილი), ჩატარდა შეხვედრა-კონფერენცია თემაზე: „ბოსტნეული კულტურების წარმოების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე“.

6.4. დოქტ. ნ ჯაბნიძე არჩეულია: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრის ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილების გამგედ;

2. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ: „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრად და საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალ „ხანძას“ რედკოლეგიის წევრად.

6.5. სსმმ აკადემიის სტიპენდიატი, დოქტ. ნატო ჯაბნიძე აგრარულ ეკონომიკაში შეტანილი სამეცნიერო მიღწევებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის 2020 წლის დეკემბერში დაჯილდოებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით.

7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

7.1. შეხვედრა მესათბურე ფერმერებთან ეკონომიკურ თვალსაზრისით მომგებიანი კულტურების წარმოების თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის: „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, სასათბურე მეურნეობის მფლობელი ფერმერებისათვის გავმართეთ შეხვედრა: „ბოსტნეულის წარმოების ეკონომიკური გაანგარიშება სათბურებში“. სადაც დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი ეკონომიკური სარგებელის მოტანა შეუძლია მესათბურეობის სექტორისათვის. როგორც ცნობლია სათბურებში წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისას, ფერმერებს ხშირად შექმნიათ პრობლემები ბაზარზე, არსებული ნამეტი პროდუქციისა და დაბალი ფასის გამო. სწორედ ამიტომ მეწარმეებს ვესაუბრეთ მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტების და უფრო მომგებიან კულტურებზე აქცენტის გაკეთებასთან დაკავშირებით, რომლებსაც დიდი პოტენციალი ექნება სამომავლოდ როგორც ადგილობრივ, ასევე, საექსპორტო ბაზრებთან მიმართებაში.

## **7.2. აჭარის რეგიონში წარმოებული ძირითადი ხეხილოვანი კულტურების კონკურენტუნარიანობის ანალიზი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის: „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებთან გავმართეთ შეხვედრა მსოფლიო და ადგილობრივ ბაზარზე ახალი და მაღალკონკურენტუნარიანი, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების უპირატესობებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ლურჯი მოცვის წარმოების ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ლურჯი მოცვის კულტურა ახალია როგორც საქართველოს, ისე აჭარის აგრარული სექტორისათვის, რომლის დანერგვა პოზიტიურ როლს შეასრულებს ადგილობრივ მოსახლეობაში შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ლურჯი მოცვის ბიზნესი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი წვრილი საოჯახო მეურნეობების, საშუალო და მსხვილი ინვესტორებისათვის ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებად. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე წლიდან წლამდე მოცვზე შენარჩუნებულია მზარდი მოთხოვნა და ფასებიც ძველებურად მაღალი რჩება.



## თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის ეროვნული კოორდინატორები

### 7.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის ეროვნული კოორდინატორის აკად. ნ. ჩხარტიშვილის 2020 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

მევენახეობა-მელვინეობის დარგში კოორდინატორის ფუნქციის შესრულებას აკად. ნ. ჩხარტიშვილი ძირითადად ეწეოდა დისტანციური საშუალებების, უპირატესად - ტელეფონის საშუალებით, იშვიათად ელექტრონული ფოსტით; ადგილებზე - ობიექტებზე შეხვედრებით, აკადემიის კაბინეტებში შეხვედრებით- საუბრებითა და რეკომენდაციების გაწევით. თანამშრომლობა ხორციელდება ანაზღაურების გარეშე - თანამშრომლობის ფორმით; ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საგარეჯოს დეპარტამენტის, სოფ. ჩაილურის ვაზის სანერგე მეურნეობის მეწარმის ზურაბ მჭედლიშვილთან შედეგიანი თანამშრომლობა ვაზის ნერგის წარმოების სფეროში. თანამშრომლობის პროცესში უფრო ხშირად გამოყენებულია ადგილზე ჩასვლა და საუბრები, ასევე ტელეფონით რეკომენდაციების გაწევა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს 2,0 მლნ ცალ ნერგს, მ.შ. 0,5 მლნ-ის ფარგლებში მწვანე ნერგს, რომელიც ქვეყანაში იშვიათად გამოჰყავთ.

მიმდინარეობს მუშაობა უვირუსო, ჯანსაღი სარგავი მასალის ნერგის წარმოების ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ზურაბ მჭედლიშვილი იმსახურებს ხელშეწყობას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან.

შიდა ქართლი, სოფ. ოკამი - ინდ. მეწარმე, ახალგაზრდა მევენახე, ენთუზიასტი ირაკლი ცაბაძე. კავშირის ფორმა- როგორც, ადგილზე - რჩევა-დარიგებებით, ისე სატელეფონო საუბრები.

სამეგრელო - გიორგი ეზურგბაია, სავენახე ადგილის შერჩევა, სატელეფონო რეკომენდაციები და საუბრები. ადგილზე დამხმარედ რეკომენდაცია მიეცა გამოცდილ მევენახეს - ორიდო სართანიას, ურთიერთობა გრძელდება.

გურია - ოზურგეთი, ასკანა, ბახვი, შემოქმედი - კობა კილურაძე. გურული ადგილობრივი პერსპექტიული ვაზის ჯიშების შერჩევა; რეკომენდაციები ნერგის შერჩევაში, სატელეფონო საუბრები. ადგილზე მრჩეველის - ანდრო ვაშალომიძის რეკომენდაციებით სარგებლობა.

ლანჩხუთი - დავით გოგიჩაიშვილი, საკარმიდამო ნაკვეთზე ვაზის ჯიშების შერჩევა და ვაზის დარგვა-ვენახის გაშენებაზე რჩევა-დარიგებები, ნერგების შერჩევა და შექმნა. მოეწყო საკარმიდამო ვენახი. შეხვედრები ჯილაურაში, თბილისში.

გურჯაანი, აკურა: გიორგი ახალკაცი - ადგილზე კონსულტაციები, რეკომენდაციები, ჯიშების შერჩევისა და ვენახის გაშენების სქემებზე, გაშენება-მოვლის ღონისძიებების საკითხებზე.

ყვარელი, კლდეები - დავით მალაზონია, ვენახის წვეთოვანი მორწყვა; თბილისში შეხვედრები, ადგილზე ხარებავების ვენახები. საუბრებისა და შეხვედრების ფორმატით; სისტემა მოქმედებაშია. შეხვედრები გრძელდება.

კახეთი, თელავი, წინანდალი, მეღვინეობა შუმის ღვინის ქარხანა - ნინო ვეფხიშვილი, სისტემტური სატელეფონო კავშირები, საკოლექციო ნარგაობაში ჯიშების გამორჩევის თაობაზე.

მეუფე იოანე - ეკლესია სამებას ტერიტორიაზე, სავენახე ნაკვეთის შერჩევა და ვენახის მოვლა, სატელეფონო საუბრები, ადგილზე შეხვედრები, შედეგები - თვალსაჩინოა. წინადადებები: მუშაობის კოორდინატორის ფორმატის ფარგლებში მუშაობა უდაოდ ეფექტურია;

საჭიროა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების დებულების დახვეწა, დაკონკრეტება, უფლება-მოვალეობების დაზუსტება.

კოორდინატორთა ჯგუფის წევრებთან კონტაქტების თითქმის პრობლემურია; საჭიროა ურთიერთობის ფორმატის სრულყოფა - შეხვედრები აკადემიაში, კოორდინატორთა ჯგუფთა შეხვედრები, საუბრები.



**7.3. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის  
ეროვნული კოორდინატორის, სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის,  
პროფესორ ლევან უჯმაჯურიძის  
2020 წლის სამეცნიერო ანგარიში**

1. შესწავლილია და მზადდება საქპატენტში სარეგისტრაციოდ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ადგილწარმოშობის დასახელების ახალი მევენახეობის მიკროზონა „ოყურეშული უსახელოური“;
2. სახელმწიფო პროგრამის „დანერგე-მომავალის“ ფარგლებში, ახალი ვენახების გაშენების მსურველ ბენეფიციარებს ქვეყნის მასშტაბით გაეწიათ მეცნიერული რეკომენდაციები: ადგილმდებარეობის, ნიადაგის, ვაზის ჯიშების, ფილოქსერაგამძლე საძირების შერჩევის,

- ვაზის ნამყენის დარგვის, გაშენებისა და მოვლის(აგროტექნოლოგიური-ფიტოტექნიკური-მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა) სქემების შესახებ;
3. გენოფონდის გამდიდრების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოძიებულია ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიშების გარკვეული რაოდენობა, გამოყვანილია ვაზის ნამყენი ნერგები და დარგულია საკოლექციო ნაკვეთში;
  4. აშშ დევისის უნივერსიტეტიდან შემოტანილია ვაზის 30 სახეობის 60 ნიმუში - სამეცნიერო,სასწავლო და სადემონსტრაციო მიზნებისათვის; ნიმუშები დარგულია ჯილაურას აკადემიკოს სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელობის ვაზის ეროვნულ საკოლექციო ნაკვეთში;
  5. ჰარმონიზირებული ამპელოგრაფიული თანამედროვე დესკრიპტორების გამოყენებით ისწავლება საკოლექციო ნარგაობებში დაცული ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიშები და ველური ვაზის ფორმები;
  6. RT PCR და ELIZA მეთოდების გამოყენებით ისწავლება ვაზის ვირუსული და ფიტოპლაზმური დაავადებები;
  7. საცდელ-სადემონსტრაციო ბაზებზე განთავსებულ ვაზის ნარგაობაში მავნებელი დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის მიზნით იცდება ადგილობრივი წარმოების ბიოლოგიური პრეპარატები, ამასთანავე ოზონირებული წყალი და ქართული კაოლინი (მაკვანეთისა და დმანისის საბადოებიდან).
  8. საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO) ფინანსური მხარდაჭერით ჯილაურას ბაზაზე დაიწყო ვაზის ქართული კულტურული ჯიშების და ფილოქსერაგამძლე საძირების საბაზისო ნერგების წარმოების პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია ნერგის მწარმოებელი ფიზიკური და იურიდიული პირების საძირე და სანამყენე მომართულების სარგავი მასალით უზრუნველყოფა-საბაზისო სადედეების გაშენებისა და მომავალში სერთიფიცირებული ნამყენი ნერგის წარმოების მიზნით. მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა (მ.შ. ორი სკრინჰაუსი) ინტენსიურად მიმდინარეობს გასამრავლებელი მასალების ტესტირება იტალიისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვირუსოლოგიის ლაბორატორიაში.
  9. მთავრდება მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო კვლევითი დანიშნულების ახალი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, სადაც განთავსდება: სამუზეუმე სივრცე, ქართული მარანი,ამპელოგრაფიული,ენოლოგიური და სხვა ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი,სივრცე მეცნიერ-მკვლევარებისთვის და სხვა.
  10. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისი სამსახურები ჩართულია ქვეყანაში ვაზის კვალიფიციური სანერგეების შერჩევის და რეგისტრაციის პროცესებში;
  11. სისტემატიურ რეჟიმში ტარდება ონლაინ-შეხვედრები მევენახეობა-მელვინეობის კუთხით დაინტერესებულ პირთა ცოდნის ასამაღლებლად;
  12. განხორციელდა მრავალი სატელევიზიო და რადიო ეთერი;
  13. ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტებში (აგარარული,ტექნიკური,კავკასიის საერთაშორისო) ტარდება ლექცია-სემინარები (ბაკალავრები, მაგისტრები).
  14. ცენტრის ბაზებზე არსებულ საცდელ-სადემონსტრაციო ბაზებზე და ლაბორატორიებში სრულდება სამაგისტრო და სადოქტორო სამუშაოები.
  15. ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიები;
  16. გამოიცა სახელმძღვანელო: “ჯილაურას საკოლექციო ნარგაობაში დაცული ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერა” ავტორები: ლ.მამსახლისაშვილი, ლ.უჯმაჯურიძე.



### 7.3. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის ეროვნული კოორდინატორის, აკად. იუზა ვასაძის 2020 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

1. 2020 წლის სამუშაო გეგმის თანახმად ფაროსანასთან წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესაბამისად ჩავატარეთ ექსპედიციური სამუშაოები სამეგრელოს, გურიისა და ზემო აჭარის მეხილეობის ზონებში. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ სამივე რეგიონში ეს სამუშაოები უკვე 3 წელია და განსაკუთრებით ბოლო წელს მიმდინარეობდა მაღალ დონეზე, რაც ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ და დაუღალავი შრომის შედეგად იქნა მიღწეული, რაც დადასტურდა თხილის კულტურის სარეკორდო მოსავლით. განსაკუთრებით სამეგრელო გურიის მუნიციპალიტეტებში (ზუგდიდი, სენაკი, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი) აქედანაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ზუგდიდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების შრომითი საქმიანობა, აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის ფაროსანას წინააღმდეგ მებრძოლი მცენარეთა დამცველთა და ტექნიკურ მუშაკთა, დაუღალავი და შესაშური შრომის შედეგად. სამაგალითო მათი შრომის შედეგი დადასტურდა მიღებული მოსავლებით. აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ მათი დაუღალავი და შესანიშნავი შრომის შედეგად ასევე ხელი შეეწყო სხვადასხვა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების ფაროსანადან დაცვას. ასევე ჩვენს მიერ ჩატარდა 4 მრგვალი მაგიდა, რომლის დროსაც განხილული იქნა მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა, კითხვა-პასუხის საშუალებით. ჩემს მიერ ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდათ ბროშურები და სხვადასხვა ლიტერატურა მცენარეთა დაცვისა და საერთო საკითხებთან დაკავშირებით. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტის შესახებ, რომელიც ეხება მრგვალი მაგიდის ჩატარებას. კერძოდ, როგორც ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა იგი უფრო მარგებელი ხდება მაშინ, როდესაც იგი ტარდება არა მრგვალი მაგიდის ეგიდით, არამედ უშუალოდ ბალებში მუშა-მოსამსახურეთა ან სურვილის მიხედვით თვითონ ადგილობრივი მოსახლის ან მოსახლეთა თხოვნით, სადაც წარმოშობილი საკითხების განხილვას უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მრგვალი მაგიდის დროს. ეს განსაკუთრებით სამეგრელოს და ზემო აჭარის ისეთ ადგილებში, სადაც ბალები წარმოდგენილი არიან ერთეული ძირების სახით საკარმიდამო ნაკვეთებზე.

აქვე მინდა დავადასტურო ასეთი შეხვედრების დადებითი შედეგები აჭარის ა.რ. ხულოს მუნიციპალიტეტში, სადაც ჩატარდა ასეთი 2 შეხვედრა.

2. მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა. მცხეთა-თიანეთის მხარე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით იგი შეიძლება ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ



ტერიტორიებად დაიყოს. პირველს უნდა მივაკუთვნოთ ჩრდილოეთ კავკასიონის მაღალმთიანი და მთიანი მხარე, სტეფანწმინდა, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები - მესაქონლეობის განვითარებით, ხოლო მეორეს მცხეთის მუნიციპალიტეტი მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობისა და მემინდვრეობის მიმართულებით. ამ მხარეში, გამომდინარე მისი ბუნებრივი პირობებიდან, მიწების საგრძნობი სიმცირეა, განსაკუთრებით სტეფანწმინდისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში, რაც თავისთავად ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაფართოებას.

მცხეთა-თიანეთის მხარის ტერიტორიისათვის დამახასიათებელია მცირე კონტურიანობა და კონფიგურაციის სირთულე, განსაკუთრებით სტეფანწმინდისა და თიანეთის მხარისათვის. მუნიციპალიტეტის ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ დუშეთის ბარისახოს, შატილისა და ფასანაურის ზონის ტერიტორიები. ამასთანავე ამ ტერიტორიების უმეტესი ნაწილი დანაწევრებულია ხევებით, ხეობებით, ტაფობებით და სხვ., რაც თავის მხრივ აძნელებს მექანიზაციის სამუშაოების ჩატარებას. მხარეში მრავალწლიანი ნარგავების 41% ექვემდებარება მექანიზაციის გამოყენებით დამუშავებას (მცხეთა, დუშეთი). ეს ფართობები ძირითადად მდინარეების ლიახვისა და არაგვის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე მდებარეობენ.

ხეხილის ბაღები (დუშეთის ზედა მხარე, თიანეთი, სტეფანწმინდა) წარმოდგენილი არიან ერთეული ნარგაობის სახით. რაც შეეხება მცხეთის რაიონს აქ ისინი გვხვდებიან მასიური ბაღების სახით (დილომი, გალავანი, მუხრანი, საგურამო, ნიჩბისი, ახალსოფელი) რაც განპირობებულია მხარეში სასწავლო-საცდელი მეურნეობების სიმრავლით.

ბუნებრივი და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით მეხილეობა მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებში მეტნაკლებადაა განვითარებული. ხეხილი ნარგაობის ტიპები ორნაირია და წარმოდგენილია როგორც მასიური ბაღების (მცხეთა) ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ცალკე ნარგაობათა ერთეული ძირების სახით.

საქსტატის 2014 და 2015 წლის (იურიდიული პირების აღწერა) ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, რომელთა სარგებლობაში 842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% ანუ 734.8 ათასი ჰა საკუთრებაშია, ხოლო 12.8% ანუ 107.5 ათასი ჰა - იურიდიული პირების საკუთრებაში. ამავე აღწერის საფუძველზე მრავალწლიანი ნარგაობის ფართობი ქვეყანაში 109.6 ათასი ჰა-ია. სადაც ხეხილის ბაღებს 59.4 ათასი ჰა 54.2%, ვენახები 33.0-30.8%; ციტრუსების პლანტაციებს 7.4 ჩაის პლანტაციებს 4.6 და სხვა მრავალწლიან კულტურებს 51 ათასი ჰა უკავიათ. რაც შეეხება მცხეთა-თიანეთის მხარეში მრავალწლიანი ნარგავებს ფართობს იგი ამ აღწერით 2014 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირებულია 3.2 ათასი ჰა-თი და 1.5 ათას ჰა შეადგენს. აქ უნდა გავითვალისწინოთ მ/წელი (ასევე წინა 5 წელი) როდესაც მოხდა მრავალწლიანი კულტურების, განსაკუთრებით თესლოვანი კულტურების მასობრივი გაშენება მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში.

ხეხილის ბაღებში ჯიშების სწორად შერჩევასა და განლაგების ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რომელთა სწორად გატარება უზრუნველყოფს მომავალში უხვ მოსავალს. ჯიშები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყონ ნედლი ხილით, როგორც მოსახლეობა, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობა. მხარის ბაღებში, განსაკუთრებით მცხეთის მუნიციპალიტეტში გვხვდება სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი თითქმის ყველა ჯიშში, ასევე მოსახლეობაში ადგილობრივი პერსპექტიული ჯიშები (დუშეთი, თიანეთი).


სასურველი იქნებოდა, მხარეში მეხილეობის განვითარების საკითხთა განხილვის დროს სოფლის მეურნეობის მესვეურებმა, იხელმძღვანელონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. დამუშავებული და დამტკიცებული აგროწესებით. ამ აგროწესების შესაბამისად მხარეში რეკომენდირებულია: თესლოვანი 70%, კურკოვანი 25% და კაკლოვანი და სუბტროპიკული - 5%. თესლოვანი კულტურებიდან: ვაშლი - 80, მსხალი - 15 და კომში 5%. კურკოვნებიდან: ატამი - 30, ქლიავი - 30, ბალი, ალუბალი - 15, ტყემალი - 10 და სხვა დანარჩენი - 15%. კაკლოვნებიდან: კაკალი - 90, თხილი 10%.

საქართველოს ტერიტორიის მთაგორიანი, ძლიერ დანაწევრებული რელიეფი, კლიმატური პირობები და ზოგჯერ ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედება ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას, რის შედეგადაც ირეცხება ნიადაგის ზედა ჰუმუსოვანი ფენა, კლებულობს მისი ბუნებრივი ნაყოფიერება და შესაბამისად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, დროთა განმავლობაში ეროზიული პროცესების შედეგად ნიადაგი უვარგისი ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

რესპიბლიკაში წყლისმიერ ეროზიას განიცდის 205 ათ.ჰა, ხოლო ქარისმიერ ეროზიას 105.5 ათ.ჰა სახნავი ფართობი. უნდა აღინიშნოს, რომ ქარისმიერი ეროზიის გავრცელების ზონაში, ფართობის დიდი ნაწილი განიცდის წყლისმიერ ეროზიასაც. დადგენილია, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლისმიერ ეროზიას ადგილი აქვს 3-5° და მეტი დახრილობის პირობებში იმ ნაკვეთებზე, რომლებიც ათვისებულია ერთწლიანი კულტურებით, განსაკუთრებით სათოხნი კულტურებით.

საქართველოში მრავალწლოვანი კულტურების ქვეშ ფართო მასშტაბით წარმოება სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე განლაგებული მიწების ათვისება. სუსტად და საშუალოდ დახრილ ფერდობებზე (5-10°) ეფექტურ აგროტექნიკურ ღონისძიებად ითვლება მრავალწლოვან მცენარეთა დარგვა. ამ მხრივ დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული საქართველოს მეზღვეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერასების განყოფილებას, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთით მდებარე მეხილეობის მრავალ მეურნეობებში, სადაც მიზანშეწონილად ჩაითვალა 4 მეტრიანი სიგანის ჰორიზონტალური ტერასების მოწყობა ვაზისა და ხეხილის ორ რიგად დასასრგავად, ხოლო სამ რიგად დარგვისათვის

საჭიროა 5.5-6 მ. დატერასებულ ფერდობებზე, ჩამორეცხვის თვალსაზრისით, ტერასის ბერმის გასამაგრებლად საჭიროა დაითესოს მრავალწლიანი ბალახები.



#### 7.4. . სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის ეროვნული კოორდინატორი, აკად. ვაჟა კვალიაშვილი.

#### 2020 წელს გორის და კასპის მუნიციპალიტეტში მეხილეობის მდგომარეობა

შიდა ქართლის რეგიონი, რომელიც აერთიანებს გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის მუნიციპალიტეტებს, კონტინენტალური და მშრალი სუბტროპიკული მეხილეობის დარგის მძლავრი განვითარების პოტენციით ხასიათდება, რაც დასტურდება ცალკეულ ზონებში არსებული თანამედროვე ტიპის ბაღებში მოწეული მაღალხარისხოვანი ვაშლის, მსხლის, კომშის, ვაშლატამას, ატმის, ქლიავის, ბალი/ალუბლის, ტყემლის, გარგარი/ჭერმის, შინდის, მარწყვის, ჟოლოს, მაყვლის, კაკლის, ნუშის, თხილის და სხვა ხილის სიუხვით.

2018 წელს გორის მუნიციპალიტეტში იყო 12664,0ჰა ბაღი და წარმოებული იქნა 145335,0ტ ხილი; კასპის მუნიციპალიტეტში იყო-2276,0ჰა ბაღი და ხილის მოსავალმა შეადგინა -20945,0ტ;

2019 წელს, ძველი ბაღების ამოყრით და ახალის გაშენებით, ზონაში შეიცვალა მსხმოიარე ფარობები და მოსავლიანობის მაჩვენებლები და შესაბამისად იყო: გორში-12500ჰა ბაღი და აწარმოეს 65230,0ტ ხილი; კასპში იყო -2286,0 ჰა ბაღი და წარმოებული იქნა 12232,0 ტ. ხილი.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება ხილის კრეფა-დაბინავების, ნაქარი ხილის (ძირითადად ვაშლის) გადამამუშავებელ საწარმოებში ჩაბარების სამუშაოები. გვალვიანი ზაფხულის და სხვა არახელსაყრელი გარემო-პირობების მიუხედავად, გორში და კასპში ვაშლის მოსალოდნელი მოსავალი 85000 ტონა აჭარბებს; ექსპორტში (რუსეთი) გადატვირთულია 4500 ტ-ზე მეტი ვაშლი;

რეგიონში მოქმედებაშია 66 მაცივარი, რომელთა საერთო ტევადობა 10300ტონაა. მ.შორის გორი-კასპის ზონაში მოქმედებს 51 მაცივარი 8000 ტ. ტევადობით.

გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაბარდა და გადამამუშავდა 4500 ტ-მდე ხილი, მ.შ. გორიდანაა -95% .

გორის მუნიციპალიტეტში არსებობს და მოქმედებაშია 14 ხეხილის სანერგე, რომელთა მუშაობას, სერტიფიცირების და ჯიშების მყნობა-გამრავლების საკითხებს არეგულირებს ს/მ სამინისტროს ს/კ ცენტრი. კასპში (ს.ალაიანი) დროებით მოქმედებს ნუშის მცირე სანერგე.

მისასაღმებელია, რომ სოფ. სკრა (გორი, ყოფილი მეხილეობის ს/სადგურის ბაზა) იბრუნებს ხეხილის მაღალხარისხოვანი ნერგის მწარმოებლის სახელს. ამის საფუძველს იძლევა დღეს მოქმედი 50000 ცალი მაღალხარისხოვანი ნერგის მწარმოებელი (ვ.კაკაშვილი) სანერგე. ასევე საყურადღებოა **ს.ძევერაში** (გორი) არსებული სანერგე (ლ. მუმლაძე), სადაც **ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად** აწარმოებენ **ალვას** ჯიშის 40000 ნერგს.

„კოვიდ-19“ პანდემიის დროს ქ. გორში (33 ჰა-10ათასი ძირი ხეხილი) და **ზონის სოფლებში** (ატენი, წედისი, სკრა, ხიდისთავი, კარალეთი, გარეჯვარი, ყარაღაჯი და სხვ.) მცხოვრებ ცალკეულ მებაღეებთან მქონდა საუბრები ადგილებზე და (როგორც სელექციონერმა) გავუწიე პრაქტიკული დახმარება სხვადასხვა ხეხილის ჯიშების შერჩევის და ნერგის შეძენის, ასევე ბალის გაშენება-მოვლის მხრივ; პირადად დავუმყენე გორელებს და ფერმერებს მათსავე საძირეზე ახალი ჯიშები, გადავეცი სანამყენე ჯიშების კვირტი და შევასწავლე კვირტით და კალმით ხეხილის (და ვაზის მწვანე ყლორტით) მცნობის წესები.

საგულისხმოა გლეხების (ფერმერების) დაინტერესება საადრეო და საგვიანო სიმწიფის პერიოდების კურკოვანი ჯიშების გაშენებით, რაც იმ დროს ბაზარში ხილის მაღალ ფასებში რეალიზაციით არის განპირობებული.

მეხილე ფერმერებთან გეგმიურად საქმიანობენ და ტრენინგებს ატარებენ გარემოს დაცვისა და ს.მ. სამინისტროს სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეები.

ზონის მეხილეობაში დღეს არსებული მდგომარეობა, გარკვეული წარმატების მიუხედავად, შორსაა შესაძლებელი ზღვარისაგან და უკეთესი სამეურნეო შედეგების მისაღებად საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ბაღების და სხვა სას. სამ.კულტურების წარმოებაში არსებულ ხელისშემშლელ ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა:

1. სარწყავი წყლის ნაკლებობა რწყვის პერიოდში; განსაკუთრებით ზონის ჩრდილოეთ მხარეს; ტირიფონის არხიდან წყლის გადაქაჩვის შეწყვეტა ნადარბაზევის ტბაში, საიდანაც ირწყვოდა გორის და კასპის ზონის 5000 ჰა მიწა;

2. აუცილებელია სარწყავი წყლის რეზერვების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება; ნადარბაზევის ტბის შევსება და მასზე დაკიდებული გორის და კასპის სას.სამ სავარგულებისათვის წყლის უწყვეტად მიწოდება. მტკვრის მარჯვენა შენაკად მდინარეებზე საგუბრების მოწყობით წყლის მარაგის ზაფხულის პერიოდში გამოყენება და წვეთოვანი რწყვის ფართოდ დანერგვა.

3. გაბატონებული ქარებისაგან მცენარისა და ნიადაგის დამცავი ქარსაფარი ტყის ზოლების არარსებობა, რის გამოც მცენარის და მიწის გამომშრობი ძლიერი ქარები, ანახევრებს მოსავალსა და მის ხარისხს, ანადგურებს ნარგაობას.

4. ს/ს ტექნიკის სიძვირე და მისი გამოყენების დაბალი დონე;

5. პესტიციდების სიძვირე და უხარისხობა;

6. ს/ს პროდუქციის სარეალიზაციოდ გაძნელებული (ძვირი) ტრანსპორტირება-გლეს სოფლიდან ბაზარზე გასაყიდად ჩატანილ ხილზე (და სხვა პროდუქტზე) ძვირი უჯდება, ხან ვერ ყიდის და უკან, სახლში წაღების ნაცვლად, გრომებად აძლევს, რაც წამგებიანია და პროდუქტის ხელახალი წარმოების სტიმულს უკარგავს მას.

-გლესი (ფერმერი) არ უნდა გაცდეს და არ უნდა მიდიოდეს ბაზარში თავისი პროდუქციის გასაყიდად!

-სოფელში არსებული ხილი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილმა ( შემდგომ სოფლის მიერ არჩეულმა) პირმა (ადრე არსებული კოოპერაციის ან დღეს ღვინის ქარხნების მიერ ყურძნის შესყიდვის მსგავსად) დადგენილ ფასებში უნდა შეისყიდოს მოსახლეობისგან და გაუკეთოს რეალიზაცია ქალაქებში და ბაზრობებზე.

-გლესა და ფერმერს წლის დასაწყისიდანვე უნდა ჰქონდეს რწმენა და გარანტია, რომ მისი შრომა და წარმოებული პროდუქცია სათანადოდ ანაზღაურდება, რაც მისთვის უკეთესად მუშაობის სტიმულია.

7. აუცილებელია ხეხილის ჯიშთაგამოცდის ზონალური სადგურების აღდგენა - და კონტროლის დაწესება სანერგეების მიერ სერტიფიცირებული ნერგის წარმოებაზე, რაც მოსპობს არსებულ ქაოსს ჯიშების მიზნობრივად შერჩევა-გაადგილებაში.

-სანერგეებში, ფაქტობრივად, აღარ, ან მცირედ იწარმოება რეგიონის გარემო-პირობებში ჩამოყალიბებული სხვადასხვა ხეხილის ქართული საწარმოო ჯიშები, რომელთა მოძიება-აღდგენასა და სელექციურად გაუმჯობესებაში მეხილე თაობების დიდი ღვაწლი ძევს. ჯიშთაგამოცდის გაუვლელად მხოლოდ ინტროდუცირებული ჯიშების გაშენებამ შესაძლოა მალე სავალალო შედეგები მოიტანოს. ამიტომ საჭიროა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარკვეული თანაფარდობა დააწესოს ჯიშთა გავრცელება-გაადგილებაში და „გემიური დავალება“ მისცეს სანერგეებს.

8. სოფლად აღარ არიან აგრონომები და კვალიფიციური აგროტექნიკოსები, მც.დამცველები, აგროქიმიკოსები, მექანიზატორები, ზოო და ვეტსპეციალისტები, . ამიტომ საჭიროა სას. სამ. პროფილის ტექნიკუმების და პროფსასწავლებლების აღდგენა, ან სპეციალური, მიზნობრივი, უფასო სასწავლო კურსების მოწყობა მექანიზატორების, მელიორატორების, მც.დამცველების, აგროტექნოლოგების, აგროქიმიკოსების, ზოო-ვეტერინარების და სხვა პროფილის ტექნიკოსების მოსამზადებლად ( გადასამზადებლად) და მოყვარულთათვის.

-სოფლის გადასარჩენად და ასაღორძინებლად მთავრობამ დროულად უნდა მიიღოს დადგენილება სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული საწარმოს ჩამოყალიბების და მისთვის სოფლის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო სავარგულების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რაც ს/მეურნეობის ინტენსიფიკაციის გარანტია.



## 7.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით, აკადემიკოს როლანდ კოპალიანის 2020 წლის ანგარიში

2020 წელს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ თემებზე:

### 1. ბიოეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა.

აღნიშნული საკითხის შესწავლა დაწყებული იქნა 2019 წელს და გაგრძელდა 2020 წელს. კვლევის მიზანს შეადგენდა მეცნიერთა ჯგუფთან (პროფ. ჯ. სანიკიძე, პროფ. ნ. ყიფიანი, პროფ. გ. გეწაძე.) იმერეთის პირობებში შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ციტრუსოვანთა ჰიბრიდული თესლნერგების ბიო-მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა აგროტექნიკის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების ფონზე და პერსპექტიული, შედარებით ყინვაგამძლე, ფორმების გამორჩევა, როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის. აქედან გამომდინარე, პრობლემატურ საკითხთა შორის პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ელიტური სარგავი მასალის გამოყვანას და მის გლეხურ-ფერმერულ მეურნეობაში დანერგვას, როგორც მაღალმოსავლიანი, რეგურალურად მსხმოიარე, ყინვაგამძლე და კარგი ხარისხის ნაყოფის მომცემი ციტრუსოვანთა ბაღების გაშენების საიმედო გარანტს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- 1.1. ბიო-მორფოლოგიური და ფენოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა, როგორც აქტიური ვეგეტაციის, ასევე მოსვენების პერიოდში;
- 1.2. კვლევის პროცესში ციტრუსოვანთა მავნებელ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარება;
- 1.3. მოვლითი სამუშაოები - ნერგების ირგვლივ ნიადაგის გაფხვიერება, მწკრივთაშორისების დამუშავება, მორწყვა, გასხვლა-ფორმირება, სოიას ჩაბარვა მწკრივთა-შორისებში, ვარიანტების მიხედვით მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა ნიადაგში. ზამთრის ყინვებისაგან დაცვის მიზნით სტადიურად ახალგაზრდა ციტრუსოვან მცენარეთა მომზადება და შესაფუთი მასალით შეფუთვა;
- 1.4. საცდელ მცენარეებზე ბიოლოგიური მეთოდების (სიდერაცია და მულჩირება) გამოყენების შედეგების ანალიზი ;
- 1.5. ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური შესწავლა.
- 1.6. ინდივიდუალური გამორჩევა და პერსპექტიული შედარებით ყინვაგამძლე ფორმების გამოყოფა. ტრიფოლიატის თესლნერგების პიკირება ღია გრუნტში, შემდგომში გამოყენება როგორც საძირე მასალა.



სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის მიერ გამორჩეული იქნა ფორმა # 055 ჰიბრიდული თესლნერგი (ლიმონი მეიერი X იჩანგენზისის რთული ჰიბრიდი „კავკასია“); ფორმა # 96 (ლიმონი ვილაფრანკა X ტრიფოლიატა მუტანტი#2); ფორმა # 117 (ლიმონი დიოსკურია X ტრიფოლიატა მუტანტი#2) ფორმა # 274 (ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი X იჩანგენზისის რთული ჰიბრიდი „კავკასია“). გამორჩეული ფორმებიდან აღებული იქნა მასალა ვეგეტაციური გამრავლების მიზნით და სამეცნიერო ჯგუფისა და ტექნიკური პერსონალის მიერ განხორციელდა მათი გამრავლება წინასწარ მომზადებულ საძირე მასალაზე.

**2. მარწყვის ზოგიერთი ჯიშის (ალბიონი, სან ანდრეასი, ქლერი) მოვლა-მოყვანის ინტენსიური აგროტექნოლოგიის შემუშავება იმერეთის პირობებში.**

აღნიშნული საკითხის დამუშავების მიზნით ისწავლებოდა:

2.1. სხვსდასხვა სხის სანერგე მასალის გავლენა მარწყვის მოსავლიანობაზე და საკვლევი ჯიშების ზრდა-განვითარებაზე;

2.2. სუბსტრატის შემადგენელი ნაწილების როლი (პერლიტი+ტორფი)კასეტური ჩითილების გამოყვანაში.

2.3. სარეველების წინააღმდეგ ზოგიერთი სპეციფიკური ჰერბიციდების (პანტერა, სტინგერი, ლინტრელი) გამოყენების შესახებ;

2.4. საკვლევ ნაკვეთზე მოყვანილი მარწყვის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებისა და ორგანოლექტიკური მახასიათებლების განსაზღვრა

**3. მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში.**

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2011 წელს ინტროდუცირებული და დაბა ჩაქვში, ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის სადედე -საკოლექციო ნაკვეთზე გაშენებული მანდარინის ზოგიერთი საადრეო ჯიშის (ივასაკი, ნიჩინანი, კლაუზელინა) აგრობიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა, საუკეთესო, პერსპექტიული ჯიშების გამორჩევა და წარმოებაში დანერგვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

3.1. მანდარინის საკვლევი საადრეო ჯიშების (ივასაკი, ნიჩინანი, კლაუზელინა) ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა.

3.2. .ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის სადემონსტრაციო ნაკვეთზემანდარინის კულტურის ქვეშ არსებული ნიადაგების გამოკვლევა.

3.3. მანდარინის საკვლევი ჯიშების ნაყოფის ბიოქიმიური მახასიათებლების მჟავიანობა, შაქრიანობა, ფენოლური ნაერთები, ანტიოქსიდანტური აქტივობა ) შესწავლა.

3.4. მანდარინის საკვლევი ჯიშების ნაყოფის პომოლოგიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლების შესწავლა.

3.5. მანდარინის საკვლევი ჯიშების სიმწიფის ფაზებისა და მოსავლიანობის შესწავლა- შეფასება.

3.6. ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის (ჩაქვი) არახელსაყრელი ფაქტორებისადმი (ყინვა, გვალვა) საკვლევი ჯიშების შეგუების თავისებურებების შესწავლა.

3.7. მანდარინის საკვლევი ჯიშებიდან შედარებით პერსპექტიული საადრეო ჯიშების გამოვლენა-გამოყოფა და მათი წარმოებაში დანერგვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

**4. თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება-განაშენიანების აგროტექნოლოგიური საფუძვლები ლაგოდების მუნიციპალიტეტის მაგალითზე.**

კვლევის მიზანი არის დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში ინტროდუცირებული ზოგიერთი დეკორატიულ-მერქნიანი მცენარის ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა ლაგოდების ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში და ამით ამ რეგიონის გამწვანებისათვის მცენარეთა ახალი, პერსპექტიული ასორტიმენტის შეთავაზება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ლაგოდების რაიონის აფენის თემის სოფელ ჭაბუკიანში არსებული ვარდის ეთერზეთის მწარმოებელი საწარმოს “Green village”-ს ტერიტორიაზე 2017 წელს დარგული 14 სახეობის (*Magnolia grandiflora* L., *Cinnamomum glanduliferum* Meisn., *Eucaliptus cinerea* F. V. Mueller., *E. viminalis* Labill., *Osmanthus fragrans* Lour., *Nerium oleander* L., *Camelia japonica* L., *Daphne odorata* Reicd., *Ginkgo biloba* L., *Magnolia soulangiana* Soul., *Liriodendron tulipiferum* L., *Liquidamber stiraciflua* L., *Albizia julibrissin* Durazz., *Hidrangea macrophylla* Thunb.), 97 ძირი დეკორატიულ-მერქნიანი მცენარე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მცენარეებზე დაკვირვება, კერძოდ, შესწავლილ იქნა მათი ფენოლოგია და კლიმატურ-ნიადაგურ პირობებთან ადაპტირების ხარისხი. ტერიტორიაზე დარგული საკვლევი მცენარეების უმრავლესობა სწრაფად ვითარდება, მათი გახარების მაჩვენებელიც მაღალი არის. ერთადერთი სახეობა, რომელსაც გაუჭირდა გახარება, აღმოჩნდა ცრუქაფურის ხე (*Cinnamomum glanduliferum* Meisn.). კვლევამ აჩვენა, რომ დარგული 10 ძირიდან პირველ წელს გაიხარა ხუთმა ძირმა. გამხმარი ნერგების ადგილზე ხელმეორედ დარგული მცენარეებიც გახმა. დაკვირვების შედეგად და ობიექტზე მომუშავე პერსონალის გამოკითხვის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ გამხმარი მცენარეების დარგვის ადგილზე ადრე განთავსებული იყო საწვავ-საცხები მასალების რეზერვუარები, საიდანაც ათეული წლების განმავლობაში დაღვრილმა ნავთობ-პროდუქტებმა გამოიწვია ნიადაგის ეკოლოგიურად დაბინძურება, რაც საბოლოო ჯამში დასახელებული სახეობის ხმობის საფუძველი გახდა. ადგილზე ჩატარდა ორმოების გაფართოება და მათში მცენარისათვის ვარგისი ნიადაგის შეტანა, რამაც დადებითად იმოქმედა მესამედ დარგულ ცრუქაფურის ხეებზე. ისინი ამჟამად კარგად ვითარდებიან.



7.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან  
არსებული მარცვლეული კულტურების კოორდინატორის,  
ს.მ. მეცნიერებათა დოქტორის  
ცოტნე სამადაშვილის 2020 წლის ანგარიში

2020 წელი გამოირჩეოდა ექტრემალური პირობებით. მიმდინარე წლის მარტის თვიდან ყველა სამუშაო ტარდებოდა პანდემიის პირობებში. ამიტომ, ყველა დაგეგმილი სამუშაო შესრულდა გრაფიკის დარღვევით და არაორდინალურ პირობებში. მუშაობაში ხელი შეგვიწყო მთავრობის გადაწყვეტილებამ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს შეზღუდვების მოხსნით.

მარცვლეულ კულტურებზე მომუშავე მეცნიერებმა გააგრძელეს კვლევითი სამუშაოები სამეცნიერო კვლევით ცენტრის, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე და წლის ბოლოსათვის წარმოადგენენ ანგარიშებს. განოყიერების ახალ სასუქებზე კას-32 და ჯსსნ-ზე მიღებულია დასკვნები და მალე გამოქვეყნდება მონაცემები მათ წარმოებაში დანერგვაზე. ასევე მომზადდა კულტურათა ბიოწარმოების რეკომენდაცია.

მარცვლეულ კულტურებში გათვალისწინებული გეგმის მიხედვით მომზადებულია ოთხი პრაქტიკული რეკომენდაცია და ერთი ცნობარი.

რეგიონებში ჩატარდა ტრენინგები თავთავიან(ხორბლი, ქერი, შვრია) და ფეტვანიარ(სიმინდის, ღომი) კულტურებზე. ტრენინგები ჩატარდა საგარეჯოში, გურჯაანში, სიღნაღში, დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში, აბაშაში, სენაკში. ტრენინგებს ატარებდა ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოიძე, გ. წერეთელი, ზ. სალარიძე.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფერმერებთან პრაქტიკული კონსულტაციები ონლაინ რეჟიმში. ასობით ასეთი კონსულტაციაა განხორციელებული სხვადასხვა კულტურებზე.

ქართველი მეცნიერები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციებში: ხორბალზე ბონში, დაავადებებზე აგროსიმზე ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

2020 წელს გამოქვეყნებული შრომები და რეკომენდაციები:

1. **T. Samadashvili -The Results of Triticale Selection in Georgia.** XII International Conference of European Akademy of Sciences, Bonn, Germany.st.3-8;

2. ლ. უჯმაჯურიძე და სხვ.- ბიოხორბლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად ორგანული სასუქის „ეკოროსტის“ გამოყენების რეკომენდაცია. ს/მ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „აგრო“ თბილისი, 2020;
3. M. Betsiashvili, -Agro-morphological and biochemical characterization of Georgian common wheat (*T. aestivum*) -*Dolis puri* subspecies- *Annals of Agrarian Science* 2
4. დ. ბედიშვილი, მ. მოსულიშვილი, გ. ჩხუტიაშვილი - საქართველოს ხორბლების მიმოხილვა. საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემია, მოამბე #2(44), თბილისი, 2020, გვ. 14-22;
5. D. Bedoshvilia, M. Mosulishvilibc, G. Chkhutiashvilid , M. Chokhelid , N. Ustiashvilib. I. Maisaiaef - Heritage wheats of Georgia. *Annals of Agrarian Science* 2
6. K. NATSARISHVILI, Z. SIKHARULIDZE, G.i CHKHUTIASHVILI, K. SIKHARULIDZE, T. TSETSKHLADZE - IDENTIFICATION OF HIGH YIELDING WHEAT GENOTYPES UNDER DIFFERENT ENVIROMENTAL CONDITIONS OF GEORGIA. XI International Scientific Agriculture Symposium “AGROSYM 2020” Bosnia, p. 227
7. ც. სამადაშვილი და სხვ. - კლიმატური ცვლილებების პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ცნობარი. გადაცემულია დასაბეჭდად.
8. ლ. ქირიკაშვილი და სხვ. - ჰიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების რეკომენდაცია. ს/მ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020;
9. ც. სამადაშვილი და სხვ. - ხორბლის კულტურის თესვის ვადების რეკომენდაცია სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის. ს/მ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020.



## 7.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მინდვრის კულტურების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის პროფესორ ოთარ ლიპარტელიანის 2020 წლის ანგარიში

საანგარიშო წელს კოორდინატორთა ჯგუფში სამეცნიერო საწარმოო მოღვაწეობას ეწეოდა 5 რეგიონში 11 თანამშრომელი. რეგიონებში წარმოდგენილი იყო მინდვრის კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ქერი, ჭვავი, ლობიო. ბოსტნეულ კულტურებში: პამიდორი, ხახვი, ნიორი. ბაღჩეულ კულტურებში: ნესვი, საზამთრო, კარტოფილი და მზესუმზირა. დასახელებულ კულტურებზე მიმდინარეობს სელექცია და მეთესლეობა. შემოტანილი ჯიშების ინვენტარიზაცია, ფენოლოგიური ფიზიოლოგიური ბიოქიმიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა და უკეთესების გამორჩევა წარმოებაში დასაწერად.

ბოლო წლების განმავლობაში რეგიონების მიხედვით ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილია სიმინდის 7 ახალი ფორმა: წილკანი-1, წილკანი-2, ბექა, კახურა, საბა, ქართული კრუგი მაღალლიზონიანი, შავი სიმინდი; აგრეთვე

გამოყვანილია ხორბლის 2, ქერის 1 და ბოსტნეული კულტურების 3 ჯიში. რეგიონის მონაცემებს ეცნობიან საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლები და ფერმერები. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის ფერმერები წილკნის ბაზაზე ეცნობოდნენ ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე, ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებზე ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების მოვლა მოყვანის და თესლის წარმოების მეთოდოლოგიას. ფერმერებთან და დაინტერესებულ პირებთან აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ წილკნის ბაზაზე ხორბალზე - პროფესორი ცოტნე სამადაშვილი და დოქტორი ნანა ჩხუტიაშვილი, ბოსტნეულ კულტურებზე - აკადემიკოსი გიორგი ბადრიშვილი. რეგიონებში ჩვენი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს თავ-თავიანი კულტურების მეთესლეობა, სიმინდის ნათესებში დანერგილი და დაპატენტებული ჰიბრიდებისა და ჯიშების თესლების მისაღებად საჭირო მეთესლეობითი სამუშაოები, როგორცაა კასტრაცია და სიბსური გამრავლება. მიღებული თესლები გადმოგვაქვს წილკნის ბაზაზე, სადაც ტარდება მათი კონდიციაზე აყვანა და ფერმერებზე მოთხოვნილებისამებრ განაწილება.



#### **7.8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებოსტნეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების სსმ დოქტორის ნატო კაკაბაძის, სსმ დოქტორის ვალერი სუხიშვილის და დარგობრივი ჯგუფის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში**

*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებოსტნეობის კოორდინატორთა ჯგუფი: სსმ დოქტორები: ნატო კაკაბაძე, ვალერი სუხიშვილი, პაშა ვაჩეიშვილი, დალი წიკლაური, დავით ჩაჩანიძე, ფრიდონ სანაია, გოდერძი გოდერძიშვილი, ნანა ალავერდაშვილი, ზაქარია გინტური-* ეწვეიან მნიშვნელოვან მუშაობას ამ დარგის მეცნიერული მიღწევების დანერგვისა და სამეცნიერო მუშაობის განვითარებისათვის.

მიმდინარე 2020 წელს მებოსტნეობის ჯგუფის წევრების მიერ გაგრძელდა ბოსტნეულის, კარტოფილის, პარკოსნების და ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების კვლევა, ჯიშთა გამოცდა, სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაცია. ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მომზადდა ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლი. მებოსტნეობის ჯგუფის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში დისტანციურად, ფერმერთა მობილურ ექსტენციამში, ჩაატარეს ტრენინგები, გამოაქვეყნეს სამეცნიერო სტატიები, ბროშურები, რეკომენდაციები,

მოაწყვეს მინდვრის დღე, პოპულარიზაცია გაუწევს მივიწყებულ კულტურებს, მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში.

**1. ნ.კაკაბაძე** - მიმდინარე 2020 წელს ჩაატარა და ეხლაც აქტიურად ატარებს ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აგროინჟინერინგის ფაკულტეტზე ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში. მოიკვლია და პრაქტიკულად განახორციელა ბოსტნეულის, კარტოფილის, პარკოსნების და ბაღჩეული კულტურების თანამედროვე,ინოვაციური ტექნოლოგიებით მოყვანა. მოამზადა სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლი ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. პარალელურ რეჟიმში მუშაობს კომპანია „მზა ჩითილი“-ს წამყვან აგრონომად და მებოსტნე ფერმერებს და სხვა დაინტერესებულ პირებს უწევს კონსულტაციებს, აძლევს რეკომენდაციებს .მონაწილეობას იღებს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში.

**2. ვ. სუხიშვილი** - აქტიური მონაწილეობას იღებს ბოსტნეულის, ბაღჩეულის, მწვანეხეხულის და მეკარტოფილეობის სახელმწიფო პროგრამის და მატრიცების შედგენაში.ორგანიზებას უკეთებს სამეცნიერო კონფერენციას მებოსტნეობა–მეხილეობის მიმართულებით.ზრუნავს ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე და ცოდნის დონის ამაღლებაზე. რეგიონალურ სატელევიზიო და რადიომაუწყებელში იღებს მონაწილეობას და აშუქებს დარგის განვითარებისათვის აუცილებელ მიდგომებს.ვ. სუხიშვილის მიერ ,დაფუძნებული იქნა კოლეჯი გორში, სადაც წამყვანი მიმართულება იქნება მებოსტნეობა.

**3. ფ. სანაია** - გამოცდა ჩაუტარა ბოსტნეული კულტურების: პამიდორი, კიტრი, საზამთრო, ნესვი, წიწაკა ჯიშებს/ჰიბრიდებს. შეისწავლა ფენომორფოლოგიურ მახასიათებლები, მოამზადა რეკომენდაციები მოსავლიან, მავნებელ-დაავადებათა მიმართ გამძლე ჯიშებზე/ჰიბრიდებზე.

**4. პ. ვაჩეიშვილი** - ჩაატარა სამუშაოები საპარკე და სამარცვლე პარკოსან კულტურებზე, მათ სელექციაზე და პირველად მეთესლეობაზე. აღადგენა და პოპულარიზაცია გაუწია ფერმერებს მივიწყებულ კულტურებზე: ოსპი, მუხუდო, ცერცვი, ცერცველა და ინტროდუქცირებულ კულტურებზე: მაშა ლობიო, ბრინჯა ლობიო.

**5. დ .წიკლაური** - მუშაობს კარტოფილის, სტაფილოს და ჭარხლის პირველად მეთესლეობაზე. მოამზადა რეკომენდაციები ფიტოფტორაგამძლე კარტოფილის ჯიშებზე.

**6. დ. ჩაჩანიძე** - ატარებს ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდას სხვადასვა ბოსტნეულ კულტურებზე და პესტიციდების გამოყენებლად გაზრდის ეკოლოგიურად უსაფრთხო ბოსტნეულის პროდუქციის წარმოებას ბიოსასუქების: ორგანიკა, ფიტოკატანა,ბიოკატანა და სხვ. გამოყენებით, ჩაატარა ტრენინგები ბიომიმართულებით ფერმერთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად.

7. ნ. ალავერდაშვილი - შეიმუშავა ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ტექნოლოგია შიდა ქართლის რეგიონში. მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

8. ზ. გინტური - დაკვირვება აწარმოა ბოსტნეულის მავნებელ-დაავადებებზე შიდა ქართლის რეგიონში. დასახა მათ ჭინაალმდეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები.

9. გ.გოდერძიშვილი- ჩართულია ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებში ყველა ჯგუფის წევრებთან.

ეროვნული კოორდინატორების და ჯგუფის წევრების აზრით, საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად არ ხდება კულტურების გაადგილების ნორმების დაცვა, რის კოორდინაცია შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ფერმერული მეურნეობის მართვის ერთიანმა სისტემამ, თუნდაც რეგიონების და ზონების მიხედვით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბოსტნეული კულტურების ეროვნული კოორდინატორების ჯგუფი კვლავაც გააგრძელებს მუშაობას ამ დარგის განვითარებისათვის.



### **7.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის 2020 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში**

მიწათმოქმედების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის წევრები - სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი ნიკოლოზ კიკნაველიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ბოლღაშვილი, სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი ავთანდილ მუმლაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ზედგენიძე, სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი ზაურ ჯულუხიძე.

მიწათმოქმედების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში წარმოდგენილია:

**„მარცვლეული კულტურების წარმოების სუფსიდირება და საქართველოს მიწათმოქმედების ანტიკრიზისული გეგმა 2021-2027 წლებში“.**

(ანტიკრიზისული გეგმა შეთანხმებულია: სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი ჯუმბერ პატიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა, დოქტორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი, სსმმ აკადემიის, აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი).



ჩვენი მიზანია, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს შემდგომი შვიდი წლის მანძილზე ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში „მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერთა სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამა,“ პროგრამის ფარგლებში პირველ რიგში უნდა განვიხილოთ „მიწათმოქმედების სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა,“ შემდგომი სახელწოდებით „სსიპ. მიწათმოქმედებისა და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტი.“

იმისათვის რომ, ქვეყანაში გაიზარდოს მარცვლეულის ნათესი ფართობების (ხორბალი, ქერი, სიმინდი) ხვედრითი წილი აუცილებელია სახელმწიფოსა და ფერმერს შორის დამყარდეს პირდაპირი ურთიერთკავშირი. ხორბალი, როგორც სტრატეგიული კულტურა უნდა გამოვაცხადოთ პრიორიტეტულად როგორც ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის გარანტი და ყოველ 1 ტონა წარმოებულ სასურსათო ხორბალზე ფერმერს უნდა გადაუხადოთ 40 ლარი, საფურაჟე ხორბლისა და სიმინდის კულტურის შემთხვევაში 20 ლარი, ხოლო ქერის შემთხვევაში 25 ლარი. სათესლე მასალის პირველადი რეპროდუქციის წარმოების შემთხვევაში ყოველ წარმოებულ 1 ტონაზე 80 ლარი. სათესლე მასალის მწარმოებელი ფერმერი აღიარებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის მიერ და განესაზღვროს მკაცრად წარმოების მოცულობა.

მარცვლეული კულტურების სუფსიდირების პროგრამა ერთის მხრივ ხელს შეუწყობს მარცვლეულით ნათესი ფართობების ზრდას, მეორეს მხრივ მესაქონლეობისა და მეფრინველეობის კომპლექსური მეურნეობების განვითარებას.

როდესაც ვსაუბრობთ მარცვლეულის ნათესი ფართობების შესაძლო გაზრდაზე ვგულისხმობთ, რომ ხორბლის ნათესი ფართობი მინიმუმ უნდა აღწევდეს 150 000 ჰა-ს, ქერის ნათესი ფართობი 50 000 ჰა, სიმინდი ნათესი ფართობი 170 000 ჰა. მეთესლეობის რგოლის აღდგენის და ახალი აგროტენოლოგიური ღონისძიებების დანერგვის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია მიღებულ იქნეს 150 000 ჰა-ზე 600 000 ტ ხორბლი, 50 000 ჰა-ზე 150 000 ტ ქერის მარცვლი და 170 000 ჰა-ზე 850 000 ტ სიმინდის მარცვალი, რაც ჯამში მოგვცემს 1 600 000 ტონა მარცვლეულს.

მარცვლეულის ნათესი ფართობების ზრდით არამარტო შესაძლებელია შევამციროთ მარცვლეული კულტურების იმპორტი, არამედ მის პარალელურად შესაძლებელია შევამციროთ გაყინული ქათმის ხორცისა და ზოგადად ხორცის იმპორტი.

საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წელს COVID-19-ის პანდემიის პირობებში, მიიღო იძულებითი ზომები, ქვეყანაში პურის ფასის შენარჩუნების მიზნით და შეიმუშავა „ხორბლის ფქვილის სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამა.“

„ხორბლის ფქვილის სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2020 წლის 1 დეკემბრიდან 31 მარტის ჩათვლით განხორციელდება რეალიზებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის სუფსიდირება.

სუფსიდის მოცულობა შეადგენს ერთ 50 კილოგრამიან ტომარა პირველი

ხარისხის ფქვილზე არაუმეტეს 10 ლარს.

პოტენციურ ბენეფიციარს 2020 წლის 1 დეკემბრიდან უკანასკნელი 90 დღის განმავლობაში რეალიზებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3000 ტონა ფქვილი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯამში 10 000 ტონა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის სუფსიდირება ყოველთვიურად.

ყოფილი მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მის შემადგენლობაში შემავალი საცდელი სადგურების დახმარებით, აწარმოებდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მინდვრის კულტურების ელიტურ და სუპერელიტური სათესლე მასალას. რადგან, ეს დაწესებულებება დღეისათვის აღარ არსებობს, ქვეყნის სათესლე მასალით დაკმაყოფილება ძირითადად იმპორტის საშუალებით ხორციელდება, რაც მუდმივად ქვეყნიდან ვალიუტის გადინებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თავის უფლებამოსილების ფარგლებში იგი იმდენად არის შეზღუდული, რომ სამეცნიერო მიზნების გარდა, ფაქტიურად ვერ აწარმოებს სუპერ ელიტურ და ელიტურ სათესლე მასალას. პრობლემას წარმოადგენს, ის რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრში არსებული კვლევითი-ინსტიტუტები წარმოდგენილია მხოლოდ დეპარტამენტებად ან უბრალოდ სამსახურებად, რის გამოც სრულად ვერ ხორციელდება მიწათმოქმედების მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები. იმისათვის, რომ გაიზარდოს ქვეყანაში მარცვლეული კულტურების წარმოება, აუცილებელია, კერძო ბიზნესს შეუწყოს ხელი პირველადი მეთესლეობის დასაწყებად. რადგან შეუძლებელია გლობალური დათბობის პირობებში კონდიციური სათესლე მასალა მიღებული იქნეს ურწყავ პირობებში. პროექტის ფარგლებში ჩვენ უნდა შევძლოთ იმ ფერმერების დახმარება, ვინც მეთესლეობის პროგრამაში ნებაყოფლობით ჩაერთვებიან და მათი ფართობები შესაძლებლობების და ფარგლებში უნდა აღიჭურვოს პივოტური სარწყავი სისტემებით და პირველივე წელიწადს მივაწოდოთ ელიტური სათესლე მასალა. პივოტური სარწყავი სისტემით უნდა აღჭურვოს ასევე, ქვეყნის მასშტაბით არსებული მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის არსებული სადგურები. პროგრამაში ჩართული ფერმერები, ვალდებულები იქნებიან, შემდგომ წლებში ელიტური სათესლე მასალა შეიძინონ ინსტიტუტიდან ან სამეცნიერო ცენტრის მიერ სერთიფიცირებული მეურნეობიდან (მაგალითად ლომთაგორა) და 10 წლის განმავლობაში მინიმუმ უზრუნველყონ I რეპროდუქციის სათესლე მასალის წარმოება. მოგეხსენებათ, აგროსასურსათო სექტორში ნებისმიერი სახის ინვესტირება არის რისკის შემცველი, თუ კონკრეტულად აღნიშნული მიმართულებით ქვეყანაში არ მუშაობს კვალიფიციურ მეცნიერთა ჯგუფი. ბიზნესმენი, რაც არ უნდა განათლებული და ნაკითხი იყოს, მუდმივად იღრმავებდეს ცოდნას ელექტრონული ჟურნალებითა და ვიდეო გაკვეთილებით, ის აუცილებლად დაასრულებს კრახით, თუ მან თავისი მომავალი საქმიანობა აგროსექტორში დაგეგმა ვირტუალურად მიღებული ცოდნის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ შემდგომი შვიდი წლის მანძილზე ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში უნდა შეიმუშავოს „მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერთა სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამა,“ რომლის ფარგლებშიც პირველ ამოცანად უნდა დაისახოს „მიწათმოქმედების სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა, შემდგომი გარემოების გამო:

1. იულიონ ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების ინსტიტუტში იწარმოებოდა მარცვლეული კულტურების მეთესლეობა.
2. ყოველწლიურად მიწათმოქმედების ინსტიტუტი აწარმოებდა 5000 ტონა ელიტურ სათესლე მასალასა და სიმინდის სხვადასხვა ჰიბრიდებს.
3. მიწათმოქმედების ინსტიტუტში იცდებოდა სხვადასხვა სახის ბოსტნეული და პარკოსანი კულტურები.
4. იწარმოებოდა ასევე: იონჯის, ესპარცეტისა და ხანჭკოლის სათესლე მასალა, რომლითაც მარაგდებოდა საბჭოთა მეურნეობები, მოგვიანებით კოპერაციული წარმოებები და სხვა.
5. როდესაც ინსტიტუტი მუშაობდა წილკანის, მალაროს, ულიანოვკის, გარდაბნის, სართიჭალის, გორის, აჯამეთისა და ნოსირის ექსპერიმენტატულ-საცდელი ბაზებით, ქვეყანაში შემოდიოდა, 5-ჯერ ნაკლები მარცვლეულის სათესლე მასალა.
6. პოსტ-საბჭოთა პერიოდის შემდგომ წლებშიც, 2006 წლამდე ითესებოდა 1,5 ჯერ მეტი მარცვლეული ვიდრე ითესება ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

#### **საშემოდგომო ხორბლის მეთესლეობის 4 წლიანი ციკლი.**

100 000 ჰექტარი ფართობის დამატებით დასათესად (2021-2025 წწ.) წლების მიხედვით გაწეული ხარჯები და მოგება.

#### **2021 წელი.**

1. შემოდგომით ითესება 50 ჰა-ზე 10 ტ. ელიტური თესლი (1 ჰა-ზე 200 კგ);
2. ტექნოლოგიური რუკით 1 ჰა-ზე იხარჯება 1800 ლ;
3. 50 ჰა-ზე იხარჯება 90 000 ლ. (1700 X50);
4. 1 ჰა-ზე მიიღება 3 ტ. თესლი I რეპროდუქცია;
5. 50 ჰა-ზე მიიღება 150 ტ. თესლი I რეპროდუქცია;
6. 1 ტ - ის სარეალიზაციო ფასი 1200 ლ;
7. 150 ტ - ის რეალიზებით მიღებული შემოსავალი იქნება 180 000 (150 X 1200);
8. 50 ჰა-ზე მოგება იქნება 90 000 ლ (180 000 – 85 000);
9. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 1900 ლ (90 000 : 50);
10. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება ნამჯის პრესიდან მიღებული შემოსავალი 10 000 ლარი, საერთო მოგება იქნება 50 ჰა-ზე 100 000 ლარი, 1 ჰა-ზე მოგება იქნება 2000 ლარი;

*1 ციკლი სრულდება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში*

II, III და IV ციკლი საქართველოს მასშტაბით.

**2022 წელი.**

1. შემოდგომით 750 ჰა-ზე დაითესება I რეპროდუქცია;
2. ტექნოლოგიური რუკით 750 ჰა-ზე დაიხარჯება 1 350 000 ლარი (1800 X 750);
3. 1 ჰა-ზე მიიღება 3 ტ. თესლი II რეპროდუქცია;
4. 750 ჰა-ზე მიიღება 2250 ტ. თესლი II რეპროდუქცია;
5. 1 ტ. თესლის სარეალიზაციო ფასი 1 000 ლ;
6. 2250 ტ - ის რეალიზებით მიღებული შემოსავალი იქნება 2 250 000 ლ;
7. 750 ჰა-ზე მოგება იქნება 900 000 ლ (2 250 000 – 1 350 000);
8. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 1200 ლ (900 000 : 750);
9. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება ნამჯის პრესიდან მიღებული შემოსავალი -150 000 ლ. საერთო მოგება 750 ჰა-ზე იქნება 1 050 000 ლ. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 1 400 ლ.

**2023 წელი.**

1. შემოდგომით დაითესება 9000 ჰა-ზე II რეპროდუქცია (1 ჰა-ზე 250 კგ.);
2. ტექნოლოგიური რუკით 9000 ჰა-ზე დაიხარჯება 16 200 000 ლ (1800 X 9000);
3. 1 ჰა-ზე მიიღება 3 ტ. თესლი III რეპროდუქცია;
4. 9000 ჰა-ზე მიიღება 27 000 ტ. თესლი (9000 X 3) III რეპროდუქცია;
5. 1 ტ. თესლის სარეალიზაციო ფასი 800 ლ;
6. 27 000 ტ - ის რეალიზებით მიღებული შემოსავალი იქნება 21 600 000 ლ;
7. 9000 ჰა-ზე მოგება იქნება 5 400 000 ლ. (21 600 000 – 16 200 000);
8. მოგება 1 ჰა-ზე იქნება 600 ლ (5 400 000 : 9000);
9. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება ნამჯის პრესიდან მიღებული შემოსავალი -1 800 000 ლარი, მთლიანი მოგება იქნება 9000 ჰა-ზე 7 200 000 ლარი, მოგება 1 ჰა-ზე იქნება 800 ლარი;

**2024 წელი.**

1. შემოდგომით დაითესება III რეპროდუქციის თესლი 108 000 ჰა;
2. 108 000 ჰა-ზე დაიხარჯება 194 400 000 ლ (1800 X 108 000);
3. 108 000 ჰა-ზე მიიღება მარცვალი 399 600 ტ. (1 ჰა-ზე 3,7 ტ.);
4. 1 ტ. სარეალიზაციო ფასი 550 ლ;
5. 399 600 ტ. რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი იქნება 219 780 000 ლ. (399 600 X 550);
6. 108 000 ჰა-ზე მოგება იქნება (219 780 000 - 194 400 000) 25 380 000;
7. 1 ჰა-ზე მოგება იქნება (25 380 000 : 108 000) 235 ლ;
8. მარცვლეულიდან მიღებულ მოგებას ემატება ნამჯის პრესიდან მიღებული შემოსავალი - 21 600 000 ლ. საერთო მოგება იქნება 108 000 ჰა-ზე (25 380 000 + 21 600 000) 46 980 000 ლარი; 1 ჰა-ზე მოგება იქნება 435 ლ.

**შენიშვნა:** IV რეპროდუქცია აღარ ითესება.

**საშემოდგომო ქერის მეთესლეობის 4 წლიანი ციკლი,**

შემდგომში 25 000 ჰექტარი ფართობის უზრუნველსაყოფად (2021-2025 წწ.)  
წლების მიხედვით გაწეული ხარჯები და მოგება

**2021 წელი.**

1. შემოდგომით ითესება 25 ჰა-ზე ელიტა - 5 ტ. (1 ჰა-ზე 200 კგ.);
2. ტექნოლოგიური რუკით 1 ჰა-ზე იხარჯება 1700 ლარი;
3. 25 ჰა-ზე დაიხარჯება  $25 \times 1700 = 42\,500$  ლ;
4. 1 ჰა-ზე მიიღება 2.2 ტ. თესლი I რეპროდუქცია;
5. 25 ჰა-ზე მიიღება 55 ტ. თესლი I რეპროდუქცია;
6. 1 ტ. სარეალიზაციო ფასი - 1200 ლ;
7. 55 ტ. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი იქნება 66 000 ლ ( $55 \times 1200$ );
8. 25 ჰა-ზე მოგება იქნება - 23 500 ლ ( $66\,000 - 42\,500$ );
9. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 940 ლ. ( $23\,500 : 25$ );
10. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება პრესიდან მიღებული შემოსავალი - 7 975 ლ. საერთო მოგება იქნება 25 ჰა-ზე ( $23\,500 + 7\,975$ ) = 31 475. საბოლოოდ მოგება 1 ჰა-ზე იქნება  $31\,475 : 25 = 1259$  ლ.

I ციკლი სრულდება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში  
II, III და IV ციკლი საქართველოს მასშტაბით.

**2022 წელი.**

1. 55 ტ. თესლი I რეპროდუქცია დაითესება 250 ჰა-ზე;
2. 250 ჰა-ზე დაიხარჯება 425 000 ლ. ( $250 \times 1700$ );
3. 1 ჰა-ზე მიიღება 2,2 ტ. თესლი II რეპროდუქცია;
4. 250 ჰა-ზე მიიღება 550 ტ. თესლი II რეპროდუქცია;
5. 1 ტ. სარეალიზაციო ფასი 1000 ლ;
6. 500 ტ. რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი იქნება 550 000 ლ;
7. 250 ჰა-ზე მოგება იქნება 125 000 ლ. ( $550\,000 - 425\,000$ );
8. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 500 ლ. ( $125\,000 : 250$ );
9. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება პრესიდან მიღებული შემოსავალი - 79 750 ლ. საერთო მოგება იქნება  $646\,250 - 441\,500 = 204\,750$  ლ;  
საბოლოოდ მოგება 1 ჰა-ზე იქნება 819 ლ. ( $204\,750 : 250$ ) = 819 ლ.

**2023 წელი.**

1. 550 ტ. თესლი II რეპროდუქცია დაითესება 2500 ჰა-ზე;
2. 2500 ჰა-ზე დაიხარჯება 4 250 000 ლ. ( $2\,500 \times 1700$ );
3. 1 ჰა-ზე მიიღება 2.2 ტ. თესლი III რეპროდუქცია;
4. 2500 ჰა-ზე მიიღება 5 500 ტ. თესლი III რეპროდუქცია;
5. 1 ტ. სარეალიზაციო ფასი 900 ლ;
6. 5 500 ტ. რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი იქნება 4 950 000 ლ;
7. 2500 ჰა-ზე მოგება იქნება 700 000 ლ. ( $4\,950\,000 - 4\,250\,000$ );

8. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 280 ლ. (700 000 : 2500);
9. თესლიდან მიღებულ მოგებას ემატება პრესიდან მიღებული შემოსავალი - 797 500 ლ. საერთო მოგება იქნება 1 497 500 ლ;
10. საბოლოოდ მოგება 1 ჰა-ზე იქნება 599 ლ. (1 497 500 : 2500) = 599 ლ.

**2024 წელი.**


1. დაითესება 25 000 ჰა-ზე III რეპროდუქცია;
2. დაიხარჯება 25 000 ჰა-ზე 42 525 000 ლ;
3. მიიღება მოსავალი 70 000 ტ. (25 000 X 2.8);
4. 1 ტ. სარეალიზაციო ფასი 700 ლ;
5. 70 000 ტ. რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი იქნება 49 000 000 ლ;
6. მოგება იქნება 6 475 000 ლ. (49 000 000 – 342 525 000);
7. 1 ჰა-ზე მოგება იქნება 259 ლ;
8. მარცვლიდან მიღებულ მოგებას ემატება პრესიდან მიღებული შემოსავალი;
9. საერთო მოგება იქნება 14 450 000 ლ;
10. მოგება 1 ჰა-ზე იქნება 578 ლ. (14 450 000 : 25 000);

**შენიშვნა:** IV რეპროდუქცია აღარ ითესება.

ხორბლისა და ქერის მეთესლეობისათვის I რეპროდუქციის მისაღებად საჭიროა, მშრალი სასაწყობე ფართი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე დიდ გავლენას ახდენს, ეროვნული ვალიუტის მერყეობა, რადგან ჩვენ და სამწუხაროდ, პირველ ეტაპზე ელიტური სათესლე მასალა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკა, სარწყავის სისტემები (სპინკლერები, პივოტური დაწვიმების სისტემები) ჩვენ უნდა შევიძინოთ ძირითადად უცხოურ ვალიუტაში.

მარცვლეულის მეთესლეობის 7 წლიანი პროგრამის განსახორციელებლად დღეის მდგომარეობით საჭიროა მოძიებული იქნეს 425 629 370,6 ლარი (1 \$- 3,29 ლ), რაც წლიურად ჯამში შეადგენს დაახლოებით 60 800 000 ლარს, მაშინ როდესაც 2019 წლის დეკემბრში 1 \$ იყო 2,86 ლარი და პროგრამის ბიუჯეტისათვის სრულიად საკმარისი იყო 370 000 000 მილიონი ლარი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში

	აშშ დოლარი/ლარი		ევრო/ლარი		რუსული რუბლი/ლარი	
	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო	პერიოდის ბოლო	პერიოდის საშუალო
<b>2018</b>	<b>2.6766</b>	<b>2.5345</b>	<b>3.0701</b>	<b>2.9913</b>	<b>0.0386</b>	<b>0.0405</b>
I 19	2.6914	2.6680	3.0203	3.0318	0.0416	0.0404
II 19	2.8687	2.7393	3.2657	3.0772	0.0455	0.0424
III 19	2.9552	2.9194	3.2286	3.2470	0.0459	0.0452
IV 19	2.8677	2.9458	3.2095	3.2616	0.0464	0.0463
<b>2019</b>	<b>2.8677</b>	<b>2.8192</b>	<b>3.2095</b>	<b>3.1553</b>	<b>0.0464</b>	<b>0.0436</b>
I 20	3.2845	2.9267	3.6363	3.2275	0.0412	0.0442
II 20	3.0552	3.1379	3.4466	3.4529	0.0437	0.0437
III 20	3.2878	3.1021	3.8415	3.6233	0.0417	0.0421

ზემოთხსენებული პროგრამა თავისთავად მოიცავს ტექნიკის შეძენას და პირველ სამ წელიწადში სუფსიდირებისათვის გამოყოფილი თანხის 50% გამოყენებულ უნდა იქნეს სათესლე მასალისა და ტექნიკის შესაძენად, კომბაინის შემთხვევაში დასაშვებია იქნება მეორადი ტექნიკის შეძენა არაუმეტეს 1600 ნამუშევარი მოტო საათით, მეორადი ტრაქტორის შეძენის შემთხვევაში ნამუშევარი უნდა ჰქონდეს არაუმეტეს 2000 მოტო საათი. ზემოთ ხსენებული მეორადი ტექნიკა უნდა აკმაყოფილებდეს ორ აუცილებელ, პირობას: 1. ტექნიკა აუცილებლად უნდა იყოს გამართული და მას უნდა გააჩდეს გაწეული მომსახურეობის ჩანაწერების წიგნი; 2. ტექნიკის შემძენი, ვალდებულია 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოს აღნიშნული ტექნიკის სამუშაო მდგომარეობა.



აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, ფინანსების ნაწილის აკუმულირება შესაძლებელია იმ მოკლევადიანი სახელმწიფო პროგრამების გაუქმების შემთხვევაში, რომელთაც სოფლის მეურნეობის გრძელვადიან დინამიურ განვითარებაში არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ:

1. ტექნიკის დახმარების სახელმწიფო პროგრამა (ამ პროგრამის მეშვეობით სამწუხაროდ ტექნიკა ხვდება საქართველოს ორ რეგიონში: კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში);
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების პროგრამა;
3. ხორბლის ფქვილის სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამა;
4. არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის სახელმწიფო პროგრამა;
5. ყურძნის სუფსიდირების სახელმწიფო პროგრამა;

უკანასკნელი სამი პროგრამა არის მხოლოდ სოციალური მნიშვნელობის და დარგის დინამიურ განვითარებას არ ემსახურება.

გარდა ამისა სსიპ. დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო და სსიპ. ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ერთმანეთს უნდა შეერწყას. რადგან, გარემოს დაცვითი კუთხით ტერიტორიების დაცვა თავისთავად გულისხმობს ველური ბუნების დაცვასაც. სსიპ. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტო უნდა შეერწყას ა(ა)იპ. სოფლის განვითარების სააგენტოს, რადგან აღნიშნულ სააგენტოს მუნიციპალურ დონეზე არა თუ სამსახური აქვს არამედ რეგიონალურ დონეზეც არ ჰყავს წარმომადგენელი. აღნიშნული სააგენტოს კორესპოდენციის დამუშავება და შესწავლა რეგიონალურ და მუნიციპალიტეტის დონეზე უწევთ ა(ა)იპ. სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებსა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს. ამ ორი სამსახურის გაერთიანების შემთხვევაში და სსიპ. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს, შემდგომში ა(ა)იპ. სოფლის განვითარების სააგენტოში შემავალ დეპარტამენტს არ მოუწევს მუნიციპალურ დონეზე დამატებითი საოფისე ფართების მოძიება და სამსახურების დამატებითი ავტომატური აღჭურვა, რაც დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

წარმოგიდგინო, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რომელიც შესაძლოა უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცეს, ი. ლომოურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს აღდგენის შემდგომ მეთესლეობის ძირითად ბაზებად.

1. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი - 72.09.45.161 საერთო ფართი 77,17 ჰა. შესაძლებელია 360 გრადუსზე მბრუნავი პილოტური სისტემის დაყენება, რამოდენიმე ფართობის გაერთიანებით.
2. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი - 72.09.45.159 საერთო ფართი 64,3 ჰა. შესაძლებელია სპინკლერული სარწყავი სისტემის მოწყობა და აღნიშნული ფართის გასარწყავება (გადის ელექტ. ხაზები).



15. კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თელიანი - 67.13.38.457 საერთო ფართი 10,44 ჰა. შესაძლებელია სპინკლერული სარწყავი სისტემის მოწყობა და აღნიშნული ფართის გასარწყავება, მდებარეობს მდინარე მტკვრის გვერდით.
16. კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თელიანი - 67.13.38.455 საერთო ფართი 2,33 ჰა. შესაძლებელია სპინკლერული სარწყავი სისტემის მოწყობა და აღნიშნული ფართის გასარწყავება, მდებარეობს მდინარე მტკვრის გვერდით.

*ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეჩინა, ის ძირითადი პერსპექტივები და შესაძლებლობები, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღსადგენად და მარცვლეული კულტურების მეთესლეობის დასაწყებად.*

**გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი   ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა**

1. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika>
2. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533>
3. <http://rda.gov.ge/projects/read/wheat flour subsidy state program/46:parent>
4. <http://maps.reestri.gov.ge/#zoom=15&lat=41.94512&lon=44.35732&layers=00B00000FFTFFFFFFFFFFFFFFFFT0000F> (საჯარო რეესტრის ინტერაქტიული რუკა);



**7.10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
მცენარეთა დაცვის მიმართულების ეროვნული კოორდინატორთა დარგობრივი ჯგუფის  
2020 წლის ანგარიში  
(ეროვნული კოორდინატორები - აკად. გურამ ალექსიძე, ს.ს. მეცნიერებათა  
დოქტორი შაქრო ყანჩაველი)**

მცენარეთა დაცვის ეროვნულ კოორდინატორთა დარგობრივი ჯგუფის შემადგენლობაში არის 11- წევრი, აქედან 1 - აკადემიკოსი, 4 - მეცნიერებათა დოქტორი და 6 - აკადემიური დოქტორი.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრების მიერ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან ერთდ ჩატარდა სა.სამ. კულტურების მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ არსებული ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების დაზუსტება და სრულყოფა, რომლებიც დაფუძნებულია თვითმარელიგურებული მექანიზმების მაქსიმალურ გამოყენებაზე. სისტემებში გაზრდილია მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის ხვედრითი წილი. სისტემებში უპირატესობა ეძლევა მავნე ორგანიზმების ბიოლოგიური რეგულირების ეფექტურობის დადგენას და არა ქიმიური საშუალებების. მეცნიერულადაა დასაბუთებული აღნიშნული სისტემების ეფექტურობა.

დამუშავებულია ისეთი თეორიული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მეცნიერულ დონეს.

განხილული იქნა მცენარეთა იმუნიტეტის საკითხები, კერძოდ კომპლექსური იმუნიტეტი, რომელიც მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის რადიკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს. შემუშავებულია გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სელექციის გზით გამძლე ჯიშის მიღებას და გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

შემოწმებული და დაზუსტებული იქნა ექსპრეს - მეთოდები, რომლის საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს შემოტანილი ახალი პესტიციდების ხარისხი და ვარგისიანობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სერიოზული უარყოფითი შედეგები. აღნიშნული მეთოდების საშუალებით შესაძლებელია დროულად გამოვლინდეს უვარგისი არაეფექტური და ჯანმრთელობისთვის საშიში პესტიციდები.

გადამოწმებული და დაზუსტებულია პესტიციდების გამოყენების ჰიგიენური მოთხოვნები. საკვები პროდუქტების პესტიციდებით დანაგვიანების თავიდან ასაცილებლად შემოღებულია ყველა სამუშაოს ზუსტი აღრიცხვა, რომლებიც პესტიციდებითა და მიკრობიოლოგიური პრეპარატებით ტარდება სასოფლო - სამეურნეო კულტურების ნათესებსა და ნარგავებში.

შემუშავებულია ქვეყანაში შემოტანილი ახალი პესტიციდების კონტროლის მეთოდები, რომელთა საშუალებით შეიძლება სას.სამ. პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის განსაზღვრა და მის საფუძველზე ჰიგიენური ნორმატივების შემუშავება.

დარგობრივი ჯგუფის წევრთა სხდომაზე მოსმენილი და განხილული იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტების მოხსენებები ახალი პესტიციდების რეგისტრაციებისა და გამოცდების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა შემოტანილი და ადგილზე წარმოებული ბიოლოგიური პრეპარატების რაოდენობა და მოხმარება. ექსპერტებს მიეცათ შენიშვნები და მითითებები შემდგომში მუშაობისათვის.

რეკომენდაცია მიეცათ საქართველოში წარმოებულ ახალ ბიოენერგოაქტივატორებს, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია, როგორც მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა, ასევე მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

ჯგუფის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში.

გამოქვეყნებულია 19 - სამეცნიერო შრომა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო გამოცემებში.

გამოცემულია წიგნი - „ფიტოპათოლოგიური ლექსიკონი - ცნობარი“ (ავტორი შ.ყანჩაველი, რედაქტორი აკად. გ.ალექსიძე)

შპს „ბიოაგროს“ (მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი) თანამშრომლებთან ერთად გამოვლენილია ადგილობრივი სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული შტამები, რომლებზედაც შესაძლებელია დამზადდეს ეფექტური ბიოლოგიური პრეპარატები, რაც

წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ.

მიმდინარე წელსაც დარგობრივი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქ.თბილისისა და მისი შემოგარენის მწვანე საფარის ფიტოსანიტარულ მონიტორინგში. გამოვლინდა , როგორც დეკორატიული ასევე ტყის მცენარეთა ძირითადი მავნებელ-დაავადებები. შემუშავებულია მათ წინააღმდეგ ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებები.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებების შესახებ ფერმერებთან ჩატარდა ონლაინ-სემინარები.

წერილობითი პასუხები გაეცა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შემოსულ ფერმერთა შეკითხვებს.

გადაცემულია რამოდენიმე ინტელექტუალური პროდუქცია, მომდევნო წელს წარმოებაში დასანერგად და გამოსაყენებლად.



**7.11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის აკად. ზაურ ჩანქსელიანის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.**

2020 წელს აგრძელება ის საკითხები, რომელიც დაწყებულია 2019 წელს. კერძოდ, გასულ წელს დავგეგმეთ და გვინდოდა რეგიონების მიხედვით ჩაგვეტარებინა შეხვედრები მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტებთან და იმ საკითხებზე სემინარების ჩატარებას ,რაც იმ მუნიციპალიტეტის მიწათმოქმედების ეკოლოგიურ პრობლემებს შეეხება. მაგრამ ინფექციურმა პანდემიამ არ მოგვცა საშუალება.

ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტებთან ონლაინ რეჟიმში დაკავშირების შესახებ. ამისათვის მოვიპოვეთ ლიტერატურული მასალები და ნაწილი მომზადებული

გვაქვს მათთვის მისაწოდებლად ონლაინ რეჟიმში.

აქ გვაქვს ჩამონათვალი იმ საკითხებისა,რომლებსაც ვაპირებთ მივაწოდოთ მათ. ამ საკითხებს მივაწოდებთ ასევე უკვე სხვა რეგიონებსაც ,რა თქმა უნდა ყველა იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ახასიათებთ რეგიონებს ნიადაგურ-კლიმატური და მცენარეული საფარის მიხედვით.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ნიადაგის დაბინძურება ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით .აღნიშნულმა პრობლემამ ეკოლოგთა ყურადღება მიიქცია მისი გლობალური მასშტაბებით გავრცელების გამო. თანამედროვე დონეზე ტრანსპორტის და ქიმიური მრეწველობის განვითარებამ დააყენა საკითხი ნავთობპროდუქტებზე მოხოვნილების გაზრდის შესახებ. ამავე დროს ეს გახლავთ ძალზე სახიფათო დარგი გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით. ყოველწლიურად მილიონობით ტონა ნავთობი იღვრება მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე,ასევე იგი ხვდება ნიადაგში და გრუნტის წყლებში, ხოლო შემდეგ კი აბინძურებს ჰაერს. უმეტესი ნაწილი მიწებისა დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით. ეს პროცესი ყველაზე ძლიერად გამოხატულია იმ რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს მათი მოპოვება და ტრანსპორტირება და ასევე სადაც არის განვითარებული ქიმიური მრეწველობა, რომელიც იყენებს ნავთობსა და ბუნებრივ გაზს. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემას დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ნავთობის შემადგენლობაში აღმოჩენილია 1000-ზე მეტი ორგანული ნივთიერება, მათგან ბევრი არის ინდივიდუალური ტოქსიკანტი. ისინი შეიცავენ 83-87%-ნახშირბადს; 12-14% წყალბადს; 0,5-6%-მდე გოგირდს; 0,2-1,7% აზოტს, 0,005-3,6% ჟანგბადს და უმნიშვნელო რაოდენობის მინერალურ შენაერთებს.

საერთოდ რაც ცნობილი გახდა და საგანგაშოა, საწვავი შეიცავს ტყვიას, რაც ძალზე ტოქსიკურია ადამიანისათვის. ტყვიით დაბინძურება ხდება ტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან, ამიტომ საავტომობილო გზატკეცილების მიმდებარე სავარგულებზე აუცილებლად აღმოჩნდება მცენარეებში და მოსავალში ტყვია. ამის შედეგი იყო ,როცა საზღვარგარეთ გატანილი სანელებლები დაბინძურებული იყო ტყვიით.



## 7.12. აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის პროფ. მაია მელაძის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

### 1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1. საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების აგროკლიმატური რესურსების კვლევა. ქვემო ქართლის აგროკლიმატური რესურსები (2020-2022 წწ.). აგროკლიმატური ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი მელაძე, პასუხისმგებელი შემსრულებელი მაია მელაძე;

1.2. გარემოსათვის უსაფრთხო, ინოვაციური საშუალებებით ბიოთხილის წარმოების ხელშეწყობა. შ.რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი (2020 წ.). ხელმძღვანელი კერესელიძე მ., მოწვეული აგრომეტეოროლოგი მელაძე მ.

## 2. გამოქვეყნებული მონოგრაფიები/სამეცნიერო სტატიები:

2.1 მ. მელაძე, გ. მელაძე. კლიმატის ცვლილება: აგროკლიმატური გამოწვევები და პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოში. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2020, 201 გვ. ISBN 978-9941-26-652-2;

**ანოტაცია:** მონოგრაფიაში განხილულია კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) მშრალი სუბტროპიკული, მთიანი და მაღალმთიანი ზონების აგროკლიმატური ასპექტები. კერძოდ, განსაზღვრულია აგროკლიმატური მახასიათებლების დროში ცვლილების დინამიკა გლობალური დათბობის პირობებში; კლიმატის ცვლილებით გამოწვეული არსებული აგროკლიმატური ზონების შესაძლო ტრანსფორმაცია, რის საფუძველზეც გამოყოფილია ზონები შესაბამისი პერსპექტიული კულტურების გავრცელების მიზნით; მოცემულია გვალვის ტიპები და მათი პროგნოზირება; დადგენილია კულტურების მოწყვლადობა, მათი თესვისა და რგვის ოპტიმალური ვადები; განიხილება ნაყოფების სიმწიფის სითბოთი და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის უზრუნველყოფა; სავეგეტაციო პერიოდში ორი მოსავლის მიღების პერსპექტივა; შემუშავებულია აგრომეტეოროლოგიური და ფენოლოგიური პროგნოზების მეთოდები და სხვა. ნაშრომი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ფერმერებისათვის, აგრეთვე აგრომეტეოროლოგების, აგროკლიმატოლოგების, გეოგრაფების, ბიოლოგების და ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. რეკომენდებულია, როგორც სასწავლო მასალა (დამხმარე სახელმძღვანელო) შესაბამისი მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

2.2 მ. მელაძე, გ. მელაძე. საქართველოს ჰავა. 7.კახეთი (კოლექტიური მონოგრაფია), სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, 2020, 130 გვ. ISSN 1512-0902;

**ანოტაცია:** გამოკვლევულია კახეთის რეგიონის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები: რელიეფი, რადიაციული ფაქტორები, ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები; კლიმატის ძირითადი ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი: ჰაერის ტემპერატურა, ჰაერის სინოტივე, ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარი, ქარი. შეფასებულია რეგიონის კლიმატური რესურსების პოტენციალი: საკურორტო რესურსები, ჰელიოენერგეტიკული რესურსები, ქარის ენერგეტიკული რესურსები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგროკლიმატურ რესურსებს და პროგნოზებს. განხილულია ამინდის საშიში მოვლენები: ძლიერი ქარები, ქარბუქი, ნისლი, წაყინვები.



2.3. M. Meladze, N. Elizbarashvili, N. Sulxanishvili, B. Kalandadze, G. Meladze, T. Gordeziani, T. Gorgodze, T. Donadze, G. Meladze, R. Elizbarashvili, D. Sidamonidze. Main problems of the sustainable development the South Caucasus and processes of transformation of landscapes (ecosystems) of biodiversity. [Journal of Environmental Biology, \(special issue\) Environment, Biodiversity, Geography, JEB vol.41, #2, 2020, Lucknow, India, pp.382-390, DOI:10.22438;](#)

**ანოტაცია:** კვლევა ემდგინება სამხრეთ კავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარების პრობლემებსა და ინდიკატორებს, სადაც შეფასებულია რეგიონის ლანდშაფტის (ეკოსისტემების) თანამედროვე და პერსპექტიული მდგომარეობა. გარემო პირობების განსაზღვრელი გარემო, ლანდშაფტის სტრუქტურა და ფუნქციონირება განისაზღვრება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორებით. ბუნებრივი კრიტერიუმების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი, განსაზღვრული სტრუქტურული, ფუნქციონალური, ეტოლოგიური ან ფიზიოგნომიული თავისებურებები შეიძლება განვიხილოთ შემდეგ ჯგუფებში: 1. პრაქტიკულად უცვლელი, 2. უმნიშვნელოდ შეცვლილი, 3. საშუალოდ შეცვლილი 4. ძლიერ შეცვლილი და 5. პრაქტიკულად ტრანსფორმირებული ლანდშაფტები. ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი ლანდშაფტის უმეტესობა მიეკუთვნება ძალიან ძლიერ შეცვლილ ლანდშაფტების კატეგორიებს.

2.4. M. Meladze, N. Elizbarashvili, L. Niemets, G. Meladze, K. Sehida, M. Lohvynova, D. Sidamonidze Forced migrations of Georgia and Ukraine: Reasons for the emergence, process features, implications for countries. *Visnyk of V.N. Karazin Kharkiv National University, series „Geology. Geography. Ecology”*. N52, 2020, pp.139-155

**ანოტაცია:** განხილულია ცხინვალის რეგიონში (1989-1992 წწ.), აფხაზეთში (1992-1993 წწ.) და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით გამოწვეული შიდა მიგრაციული პროცესები. დევნილების პრობლემების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია მათი ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება და ინტეგრაცია. სახელმწიფოს მხრიდან დროულად და ეფექტურად უნდა მოხდეს კონკრეტულ სიტუაციაზე რეაგირება. საერთაშორისო დახმარება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ აუცილებელია, რომ ეროვნული ძალისხმევა იყოს სისტემური და დინამიური. სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თითოეული დევნილის მატერიალურ დამოუკიდებლობას.

2.5. M. Meladze. Global warming and evaluation of agroecological conditions in Samegrelo - Zemo Svaneti region. The Eighth annual conference in exact and natural sciences, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, 2020, Tbilisi, Georgia;  
<://conference.ens20120.tsu.ge/uploads/5c4afbf6192bdMaia-Meladze-ENG.pdf>;

**ანოტაცია:** ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე, დასტურდება გლობალური დათბობის გავლენა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტენიან სუბტროპიკულ, მთიან და მაღალმთიან რეგიონზე. იგი აშკარად მოქმედებს აქტიურ ტემპერატურათა

ჯამების მატებაზე, სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივებაზე, ატმოსფერული ნალექების ძირითადად შემცირებაზე. გლობალური დათბობის პირობებში გათვალისწინებული მომავლის (2020-2050 წწ.) სცენარი, ტემპერატურის 1°C-ით მატება საკვლევი რეგიონის ზონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს თუ გლობალური დათბობისას ტემპერატურა სცენარით გათვალისწინებულ ტემპერატურაზე მაღალი არ აღმოჩნდება (1-2°C). პირიქით, შეიძლება ხელსაყრელი იყოს ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვის. სადაც, მომავლისათვის 1°C-ით მატებისას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება შესაძლებელი იქნება 100-200 მ-ით მაღლა, ამჟამად არსებულ საბაზისოსთან შედარებით.

2.6. მ. მელაძე, გ. მელაძე. ყინვების გავლენა აგროკულტურებზე კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰმი-ის შრომები, ტ.129, 2020, გვ. 45-51, ISSN 1512-0902

**ანოტაცია:** კლიმატის ცვლილების პირობებში, მომავლის სცენარით (2030-2050 წწ.) შეფასებულია ყინვების ზემოქმედება აგროკულტურებზე. დადგენილია, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები (-15, -17°C) მომავლის სცენარის მიხედვით შემცირებულია -3°C-ით, ხოლო ახალციხეში -1°C-ით, საბაზისოსთან (მიმდინარე) შედარებით, რაც ხელსაყრელია საშემოდგომო კულტურების (ხორბალი და სხვა) და ვაზის ნორმალური გამოზამთრებისათვის. ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ციტრუსოვანი კულტურების დამაზიანებელი-კრიტიკული ტემპერატურები მომავლის სცენარით (2030-2050 წწ.) შემცირებულია -1°C -ით, ხოლო ქედას ტერიტორიაზე -2°C-ით, საბაზისოსთან (მიმდინარე) შედარებით. შედგენილია ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების ალბათობის (%) მრუდები, მუნიციპალიტეტების მიხედვით.

2.7 მ. მელაძე, გ. მელაძე. შიდა ქართლის მთიანი და მაღალმთიანი აგროკლიმატური ზონების ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თსუ, გეოფიზიკის ინსტიტუტი, 2020, გვ. 80-83, ISSN 1512-1976;

**ანოტაცია:** გლობალური დათბობის ფონზე შეფასებულია აგროკლიმატური მახასიათებლები შიდა ქართლის მთიან და მაღალმთიან ზონებში. მრავალწლიური (1948-2017წწ.) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე, ასევე, მომავლის სცენარით (ტემპერატურის 2°C-ის მატება), დადგენილია აღნიშნული ზონების სავეგეტაციო პერიოდების ხანგრძლივობის, აქტიურ ტემპერატურათა ჯამების, ატმოსფერული ნალექების და ჰოვ-ის მატება/კლების ტენდენციები. სცენარით, 2°C-ის მატების გათვალისწინებით გამოყოფილია მთიანი და მაღალმთიანი აგროკლიმატური ზონები შესაბამისი პერსპექტიული კულტურების გავრცელების მიზნით.

2.8. მ. მელაძე, გ. მელაძე. აგრობიომრავალფეროვნების აგროკლიმატური პირობები გლობალური დათბობის გათვალისწინებით სამცხე-ჯავახეთში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის მასალები, 2020, გვ. 86-91, ISBN 978-9941-8-1738-9;

**ანოტაცია:** გლობალური დათბობის ფონზე შეფასებულია აგროკლიმატური მახასიათებლები სამცხე-ჯავახეთის მთიან და მაღალმთიან ზონებში. მრავალწლიური (1948-2017 წწ.) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე, ასევე, მომავლის სცენარით (ტემპერატურის 2°C-ის მატება), დადგენილია აღნიშნული ზონების სავეგეტაციო პერიოდების ხანგრძლივობის, აქტიურ ტემპერატურათა ჯამების, ატმოსფერული ნალექების და ჰიდროთერმული კოეფიციენტების (ჰთკ) მატება/კლების ტენდენციები. სცენარით, 2°C-ის მატების გათვალისწინებით, გამოყოფილია მთიანი და მაღალმთიანი აგროკლიმატური ზონები, შესაბამისი პერსპექტიული კულტურების გავრცელების მიზნით.

### **3. საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები:**

3.1. მ. მელაძე, გ. მელაძე. საერთაშორისო კონფერენცია - „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ მოხსენება: შიდა ქართლის მთიანი და მაღალმთიანი აგროკლიმატური ზონების ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში. თსუ, გეოფიზიკის ინსტიტუტი. 2020 წ., 26-28 სექტემბერი;

3.2. მ. მელაძე, გ. მელაძე. სამეცნიერო კონფერენცია - „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“. მოხსენება: აგრობიომრავალფეროვნების აგროკლიმატური პირობები გლობალური დათბობის გათვალისწინებით სამცხე-ჯავახეთში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2020 წ., 25 სექტემბერი;

3.3. მ. მელაძე, გ. მელაძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო 67-ე სესია - „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემები“. მოხსენება: ყინვების გავლენა აგროკულტურებზე კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. 2020 წ., 28-29 მაისი;

3.4. M.Meladze - The Eighth annual conference in exact and natural sciences. Global warming and evaluation of agroecological conditions in Samegrelo - Zemo Svaneti region. TSU, 2020, 3-7 February.


### **4. პედაგოგიური მოღვაწეობა:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მიმდინარე წელს ხელმძღვანელობს შემდეგ სალექციო კურსებს: აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, ამინდი და კლიმატი, სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, ეკოლოგიის ძირითადი

საფუძვლები, გლობალური ცვლილებები, აგროკლიმატოლოგია (ბაკალავრიატი); ფიტოკლიმატოლოგია (მაგისტრატურა).

**4. ძირითადი სამომავლო სამეცნიერო კვლევები:**

- ✓ რეგიონალურ დონეზე აგროკულტურების მოწყვლადობის შეფასება გლობალური დათბობის პირობებში;
- ✓ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის და აქტიურ ტემპერატურათა ჯამის 10°C-ის ზევით მდგრადი გადასვლის თარიღიდან ტემპერატურის მატებისას მომავლის სცენარები და მათი პროგნოზირების მეთოდების შემუშავება.



**7.13. აკადემიის აგროქიმიკ-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (აგროქიმიკ-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი).**

2020 წლის 17 ივნისს აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების სხდომა მიუძღვნა „გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნას.

სხდომაზე გამოვედი მოხსენებით: „ მსოფლიოს საოცარი და ულამაზესი უდაბნოები“. აღინიშნა, რომ - „არსებობს წარმოდგენა – თითქოს უდაბნო ეს სრულიად უდაბური ადგილია, მაგრამ სინამდვილეში ის არის მკაცრ პირობებთან ადაპტირებული უამრავი ცხოველისა და მცენარის საარსებო გარემო. ზოგიერთი უდაბნო დედამიწაზე უკანასკნელ ხელშეუხებელ ადგილს წარმოადგენს. დედამიწის მოსახლეობის 1/6 ნაწილი უდაბნოს პირობებში ცხოვრობს.

მოხსენებისას წარმოდგენილი იყო ვიდეომასალა მსოფლიოს საოცარი და ულამაზესი უდაბნოების შესახებ.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციის გამო, მიმდინარე წელს, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი (5 დეკემბერი) მიძღვნილი ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება ვერ მოხერხდა, თუმცა აკადემიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით და მოხსენება: „ნიადაგის დეგრადაცია, გამომწვევი მიზეზები და ბრძოლის მეთოდები“.

რეცენზია გაგაკეთე: - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების სამსახურის 2019 წლის სამეცნიერო ანგარიშზე და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფროსის, სოფლის მეურნეობის აკად.დოქტორის ნიკოლოზ კიკნაველიძის

პროექტზე „საქართველოში მარცვლელი კულტურების იმპორტის დინამიკა 2000-2019 წლებში და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის დამოუკიდებლობისათვის 2021-2027 წლებში გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებები“.

– საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს“ გავუწიე კონსულტაცია მათთვის საინტერესო რამდენიმე საკითხზე.

კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღმავლობას:

1. ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებულია, ზოგი ეროზირებული, დაჭაობებული, ძლიერ მჟავე, ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული და ა.შ.; ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე მიწაზე მფლობელობის ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.



#### 7.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის 2020 წლის ანგარიში

ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის მიერ, შედგენილი გეგმის მიხედვით, ჩატარდა ოთხი სხდომა, რომელზეც განხილული იყო აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის კუთხით არსებული პრობლემური საკითხები და მისი სრულყოფის პერსპექტივები.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე, დაკვირვებები ტარდებოდა აჭარის მუნიციპალიტეტების იმ ფერმერულ მეურნეობებში, სადაც გაშენებულია კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების: ლურჯი მოცვის, ჟოლოს, მაცვლის, თხილისა და კაკლის პერსპექტიული და ინტროდუცირებული ჯიშები.

ზემოთ აღნიშნული კულტურების საცდელ მცენარეებზე, ჯგუფთან ერთად ჩატარებული იქნა სამუშაოები, ბიოლოგიურ და სამეურნეო თავისებურებებთან და მოვლა-მოყვანის ინოვაციურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. მთელი წლის განმავლობაში პანდემიის მიუხედავად მიმდინარეობდა ფენოლოგიური დაკვირვებები და ბიომეტრიული გაზომვები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის: „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, სასათბურე მეურნეობის მფლობელი ფერმერებისათვის გავმართეთ შეხვედრა: „ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიებზე“. სადაც დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების აგროტექნოლოგიურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი ეკონომიკური სარგებელის მოტანა შეუძლია მესათბურეობის სექტორისათვის. როგორც ცნობლია სათბურებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისას, ფერმერებს ხშირად შექმნიათ პრობლემები ბაზარზე, არსებული ნამეტი პროდუქციისა და დაბალი ფასის გამო. სწორედ ამიტომ მეწარმეებს ვესაუბრეთ მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტების და უფრო მომგებიან კულტურებზე აქცენტის გაკეთებასთან დაკავშირებით, რომლებსაც დიდი პოტენციალი ექნება სამომავლოდ როგორც ადგილობრივ, ასევე, საექსპორტო ბაზრებთან მიმართებაში.

გვემის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებთან გავმართეთ შეხვედრა, მსოფლიო და ადგილობრივ ბაზარზე, ახალი და მაღალკონკურენტუნარიანი, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების უპირატესობებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ლურჯი მოცვის აგროტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, ლურჯი მოცვის კულტურა ახალია საქართველოში და მათ შორის აჭარის აგრარულ სექტორში, რომლის დანერგვა პოზიტიურ როლს შეასრულებს ადგილობრივ მოსახლეობაში შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ლურჯი მოცვის ბიზნესი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი წვრილი საოჯახო მეურნეობების, საშუალო და მსხვილი ინვესტორებისათვის ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებად. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე წლიდან წლამდე მოცვზე მზარდი მოთხოვნა შენარჩუნებულია და ფასებიც ძველებურად მაღალი რჩება.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, ჩემს მიერ გაკეთებული იქნა დასკვნა-რეცენზიები: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2020 წლის ანგარიშზე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის ანგარიშზე;

- მოვამზადე წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოში მიწის რეფორმებთან დაკავშირებით;

- მოვამზადე სოფლის მეურნეობის განვითარების რეკომენდაციები პანდემიის კრიზისის დროს;

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძნებით (29.06.20 წ. #39/154) დავინიშნე ტექნოლოგიური ფაკულტეტის

აგრონომიული მიმართულების, საბაკალავრო ნაშრომების, დაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.

- 2020 წელს ჩემი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული იქნა ოთხი საბაკალავრო (დავით ზოიძე, ვიოლა დოლიძე, ცირა ფევაძე, გიორგი ტაკიძე) და ერთი სამაგისტრო ნაშრომი (რეზო დოლიძე).

- 15-19. 09.2020 - ისრაელის Mashav -ის ცენტრის ინიციატივით, სასტუმრო „პარაგრაფში“ (შეკვეთილი), ჩატარდა შეხვედრა-კონფერენცია თემაზე: „ბოსტნეული კულტურების წარმოების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე“, სადაც გამოვედი მოხსენებით და ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთ სექციას.

- გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია: ველურად მზარდი კენკროვნებიდან მიღებული წვენების კვებითი ღირებულება და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟურნ. „ეკონომიკური ინოვაციები და მართვა N4“, 2020 წელი.



**7.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათსარგებლობის მიმართულების კოორდინატორის, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანზორ მესხიშვილის 2020 წლის ანგარიში**

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი იქნა მოხსენება: „საქართველოში გატარებული მიწის რეფორმა და ეკონომიური პრობლემები“ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე სიჭინავასთან ერთად. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან, ალექსანდრე სიჭინავასა და დალი სეხნიაშვილთან ერთად მომზადდა მონოგრაფია: „საქართველოში გატარებული მიწის რეფორმა სახელმწიფოს საკუთრებიდან (მონოპოლიდან) კერძო საკუთრებამდე“, რომელიც გაიგზავნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში და გამოქვეყნდა სამარის ფედერალური კვლევითი ცენტრის შრომებში - ტომი პირველი. აღნიშნული მონოგრაფია ითარგმნა ინგლისურად და უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება საერთაშორისო შრომებში. ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ში გამოქვეყნდა ა. მესხიშვილის ნაშრომი მიწების კონსოლიდაციის საკითხებზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაკეთდა მოხსენება: „საქართველოში მიწის რეფორმის შედეგები დამოუკიდებლობის მიღებამდე და მიღების შემდეგ“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის



სამინისტროსთან ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა წინადადებები საქართველოში მიწის ბალანსის წარმოების აღდგენისათვის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა დმანისის, თელავის, ყაზბეგის რაიონებში მიწათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით სამოვრების მდგომარეობისა და გაუმჯობესების საკითხები. პერიოდულად წლის სხვადასხვა პერიოდში საქართველოს მიწის საკითხებზე გაზეთებში - „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“ და „რეზონანსი“, გამოქვეყნდა სტატიები და ინტერვიუები სოფლის მეურნეობის, მიწის ბალანსის აღდგენისა და მიწის კოდექსის მიღების საკითხებზე. ურთიერთობა აქვს საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტთან მიწათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

ვთანამშრომლობ გამომცემლობა ივერიონთან მიწათსარგებლობის საკითხებზე. სიტემატიურად ქვეყნდება ჩემი სტატიები გაზეთში „ბორჯომი“, ყოველწლიურად ქ. ბორჯომში, ბოჯომის რაიონის საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე მონაწილეობას ვღებულობ და ვაკეთებ მოხსენებებს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის პრობლემებზე. რამოდენიმეჯერ გამოვედი ტელევიზია „ობიექტივი“-სა და საზოგადოებრივი ტელევიზიის არხებზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აქტუალურ საკითხებზე. ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შექმნილი კომისიის წევრი, რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ. რამოდენიმეჯერ მომიწია მოხსენების გაკეთება მიწის საკითხებზე. ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. ვკითხულობ ლექციებს: „საქართველოს მიწის სამართლებრივი რეგულირების საკითხები“, ვარ ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ს რედკოლეგიის წევრი. ჟურნალ „აგრარულ-ეკონომიური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ რედკოლეგიის წევრი, შ.პ.ს. „პროფესიონალ კუნსულტანტთა ჯგუფი“-ს მთავარი კონსულტანტი მიწათსარგებლობის საკითხებში. მონიჭებული მაქვს გაეროს ეკონომიური კომისიის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელი სერთიფიცირებული ექსპერტის წოდება უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში. ვარ 15 წიგნის, ერთი სახელმძღვანელოს, ერთი მონოგრაფიის და ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. უკანასკნელ პერიოდში გამოვაქვეყნე წიგნები: „ჩემო ქართულო მიწავ“, „როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა“ და „როცა ქართულ მიწას არ ჰყავს პატრონი“. დაჯილდოვებული ვარ საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენებით, მედლებით და ქების სიგელებით.

**პროფესორმა ანზორ მესხიშვილმა შემოგვთავაზა მოგონება ერთ-ერთ ცნობილ და ღვაწლმოსილ მეტყევეზე, ბატონ ლევან გოცირიძეზე.**

## ლევან გოცირიძის გახსენება

ბატონმა ლევან გოცირიძემ კაცურად იცხოვრა, ღირსეული მამულიშვილივით იმოღვაწა. სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული იყო, რაც ხელს უწყობდა საქართველოს ტყეების ქომაგი, დამცველი და განმშენებელი ყოფილიყო. მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ტყეების მოვლა-პატრონობას მიუძღვნა. სხვადასხვა პერიოდში იყო ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, ბორჯომის ხეობაში გავრცელებული ტყის დაავადებათა - ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ სპეციალური ოპერატიული ჯგუფის უფროსი. ბატონი ლევანი 25 სამეცნიერო შრომის, 5 წიგნის და 4 მონოგრაფიის ავტორია. მისი შრომები შეეხება ბორჯომის ხეობის ტყეების ნიადაგდაცვით, წყალდაცვით, საკურორტო, სარეკრეაციო, სანაკრძალო და აქედან გამომდინარე ეროვნული პარკის, აღკვეთილებისა და ბუნებრივი ძეგლების ტყეების საკითხებს. ბატონ ლევანს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ჩამოყალიბებასა და შექმნის საქმეში. 2020 წელს, გარდაცვალებამდე, ბატონმა ლევანმა მოამზადა აკადემიურ ნაშრომი(მონოგრაფია) „ბორჯომის ხეობაში სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა წარსულში და საკურორტო ტყეების არსებული პრობლემები“ აღნიშნულ ნაშრომში განხილულია წარსულის, აწმოს და მომავლის სატყეო მეცნიერებისა და ტყის მეურნეობის წარმოების საკითხები, მოცემულია ბორჯომის ხეობის ტყეების რესურსებრივი და ბიოეკოლოგიური მდგომარეობა, ხეობის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები ტყის აღდგენასთან დაკავშირებით. მოცემულია ტყეების კვლავწარმოების, გაუტყევებელი ფართობების გაშენების, მავნებელთა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. უმაღლეს დონეზე გაანალიზებულია საქართველოს ტყის ფონდის დინამიკა. აკადემიურად განხილულია ტყის ურთულესი პრობლემები. შრომაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერ მეტყეევებს და მათ წვლილს ბორჯომის ხეობის ტყეების გაუმჯობესებისათვის გაწეულ საქმიანობაში. აღნიშნული ნაშრომი მაგიდის წიგნად უნდა იქცეს მეტყეევების, ბიოლოგების, ეკოლოგებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ სატყეო საქმიანობას. ჩემის აზრით ეს ნაშრომი იმსახურებს წარდგენილი იქნას სახელმწიფო პრემიაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში ძნელად მოიძებნება ოჯახები, რომლებიც თაობების მანძილზე ემსახურებოდნენ ტყეების დაცვასა და გაშენებას. ბატონი ლევანის მამა, აპალონ გოცირიძე, 50 წელი ემსახურებოდა ბორჯომის ტყეებს. იყო ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობისა და ბორჯომის ნაკრძალის დირექტორი. ოჯახის ტრადიციას აგრძელებს ბატონი ლევანის შვილი, ზვიად გოცირიძე და შვილიშვილი ირაკლი გოცირიძე, რომლებიც არიან ბუნების დაცვის აქტიური წევრები. ბატონი ლევანი გარდა სატყეო სამეურნეო საქმიანობისა ის აქტიურად მონაწილეობდა ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო ბორჯომის რაიონის

საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ბორჯომის სატყეო კოლეჯის სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარე. იყო საქართველოდან უცხოეთში გაგზავნილი რამოდენიმე დელეგაციის წევრი.

ბატონმა ლევან გოცირიძემ ცხოვრების საინტერესო, დიდი და მრავალფეროვანი განსაკუთრებული გზა განვლო, ცხოვრების ყველა პერიოდში შეძლო დაეცვა საკუთარი და სხვისი ღირსება. მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ტყეების ჭირ-ვარამით იცხოვრა. სწორედ ამიტომაც საქართველოს მეტყვევთა საზოგადოებამ და ბორჯომის ხეობის მოსახლეობამ სიცოცხლეშივე აღიარა ღირსეულ მამულიშვილად.

#### **ანზორ მესხიშვილი**

ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სერთიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში. სპეციალობით მეტყვევ ინჟინერი.



### **7.16. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების, მეტყვევების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში**

**(ეროვნული კოორდინატორები: აკად. რ. ჩაგელიშვილი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. გ. გაგოშიძე)**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მეტყვევების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის წევრების მიერ 2020 წელს გეგმიურად ტარდებოდა სხდომები საქართველოს ხელისუფლებისა და მეცნიერებათა აკადემიის მიერ განსაზღვრული წესის მიხედვით როგორც ონლაინ რეჟიმში, ისე უშუალოდ აკადემიის სივრცეში;

სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ეროვნულმა კოორდინატორებმა, განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რ. ჩაგელიშვილმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ და აკადემიკოსმა გ. გაგოშიძემ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაში (07 თებერვალი, 2020 წ.), სადაც წარმოდგენილი იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

აკად. გ. გაგოშიძის მიერ დაყენებული იქნა საკითხი როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე აჭარის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის თაობაზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად წარიმართა (22 აპრილი, 2020 წ.), განყოფილების წევრებმა – აკადემიის ვიცე – პრეზიდენტმა, მეტყვევების მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ და ამავე განყოფილების აკადემიკოს – მდივნის მოადგილემ, მეტყვევების მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორმა, აკადემიკოსმა გ. გაგოშიძემ წარადგინეს მოხსენება – „საქართველოში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, საქართველოში პირველად დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „სატყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები“, რომლის ორგანიზებაში და მუშაობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეტყვევების მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორებმა.

მეტყვევების მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხვა წევრებთან ერთად მოამზადეს წინადადებები (რეკომენდაციები) კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისათვის. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინა საქართველოს ხელისუფლებას;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ეგიდით, ქ.თბილისის შემოგარენის ტყისშემქმნელი აბორიგენი და ინტროდუცირებული მერქნიანების კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სახეობათა ცვლის კვლევის ფარგლებში ჩატარდა ერთობლივი სავსელე გასვლა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, მეტყვევების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის გ.გაგოშიძისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ზვიად ტიგინაშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული ფაკულტეტის სატყეო საქმის სპეციალისტის ბაკალავრიატის მესამე, მეოთხე და მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. გ. ალექსიძის ბრძანებით (№37, 20.07.2020 წ.) პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც მიწვეული იქნენ მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორები.

აკადემიკოს გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და აკადემიკოს გიორგი გაგოშიძის მონაწილეობით მომზადებული იქნა დოკუმენტი – „სატყეო დარგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები“ ერთად ონლაინ რეჟიმში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და აგრობიომრავალფეროვნება“. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მეტყვეობის მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორებმა (25 სექტემბერი, 2020წ.), რომლებმაც წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე (24 ნოემბერი, 2020 წ.), ონლაინ რეჟიმში მოსმენილი იქნა საკითხი – „საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების შესახებ“ (მომხსენებლები – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს – მდივნის მოადგილე გ. გაგოშიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები – ნ. კობახიძე და აკად. ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სტიპენდიანტი – გ. ქავთარაძე);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორები, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე და ამავე აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, აკადემიკოსი გ. გაგოშიძე, არჩეულები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს წევრებად (2019 წლიდან დღემდე);



**7.17. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის მიმართულების კოორდინატორის ჯგუფის 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.**

**(მიმართულების კოორდინატორი აკად. ჯემალ გუგუშვილი)**

**2021 და მომდევნო წლებში სამეცნიერო კვლევებისა და ორგანიზაციული საქმიანობის ზოგიერთი მიმართულებები მეცხოველეობაში ( გიული გოგოლი-ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ხორცისა და რძის წარმოების სტექნოლოგიის მიმართულება).**

უმთავრესი პრობლემა, რომელიც დღესდღეობით გვაქვს ზოგადად სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი მეცხოველეობაში, არის:

1. მაღალპროდუქტიული ჯიშების შემოყვანისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ახალი ტექნოლოგიების ქვეყანაში გადმოტანისას დაშვებული ხარვეზები,
2. სანაშენე-სასელექციო მუშაობის მოშლის შედეგად ცხოველთა ადგილობრივი გენეტიკური რესურსების პროდუქტიულობის დაკნინება, და
3. კონკრეტულ დარგში საქმის ორგანიზაცია-მართვაზე, აგრეთვე შიდასამეურნეო საკითხებზე თანამედროვე ცოდნის დეფიციტი და ფერმერთა დაბალი კვალიფიკაცია.

საქმე ის არის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში აგრარულ წარმოებასა და მეცნიერებას შორის დაირღვა კავშირები, რის გამოც დღეს ფერმერი, ძირითადად, საქმიანობს იმ ცოდნა-გამოცდილებით, რომელიც მან მიიღო წინაპრებისგან და/ან დაუგროვდა წლების მანძილზე კონკრეტულ სფეროში მოღვაწეობისას.

ამის გადასაფარად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N 485 დადგენილებით ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში ჩამოაყალიბა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომელთაც დაევალათ ინფორმაციის შეგროვება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი დანერგვის მიზნით, საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით, დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციის გაწევა; და; მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვ. საკითხები;

აგრარულ სექტორში თანამედროვე ცოდნის გავრცელებას და ფერმერთა დახმარებას ემსახურება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული სხვა მიზნობრივი პროექტები და შექმნილი სამსახურები („დანერგე მომავალი“, „აგროდაზღვევა“, „შელავათიანი აგროკრედიტი“, „მექანიზატორი“ და სხვ.), აგრეთვე,

სხვადასხვა საერთაშორისო დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გახორციელებული პროექტები.

აღნიშნული სამსახურები, როგორც წესი ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად და პრაქტიკულად არა აქვთ ერთმანეთს შორის კონტაქტები და არ სარგებლობენ აგრარული პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და რაც მთავარია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დიდი მეცნიერული პოტენციალით; ეს არის იმის მიზეზი, რომ შემუშავებული და განხორციელებული პროექტები, როგორც წესი, არ არის გააზრებული სიღრმისეულად, არ შეესაბამება და/ან წინააღმდეგობაში მოდის კონკრეტული რეგიონის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვ.

ამის მაგალითად შეიძლება მოტანილი იქნას სარძეო მეძროხეობაში მიმდინარე პროექტი, რომელიც მხოლოდ სიმბოლურად თუ ითვალისწინებს შემოყვანილი მსხვილფეხა პირუტყვის ევროპული წარმოშობის მაღალპროდუქტიული ჯიშებისთვის ადგილებზე მათი ბიოლოგიური თავისებურებების შესაბამისი გარემოს შექმნას.

ამასთან ერთად, პრაქტიკულად უყურადღებოდაა მიტოვებული ძროხის ადგილობრივი ჯიშების მომშენებელი წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები, აგრეთვე მეცხოველეობის სხვა დარგები, რომლებშიც დევს ქვეყნის შიგნით არსებული ბუნებრივი რესურსების, მათ შორის 1,941 ათასი ბუნებრივი სათიბ-საძობრების, და 3007.6 ათ. ჰა ტყის, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 43.2%-ის, (მ.შ. ფოთლოვანი, ძირითადად ნაყოფისმომცემი მცენარეებით დაფარული) მასივების ბიომასის ათვისებით ცხოველური პროდუქტების წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი პოტენციალი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- 2018 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცდილი მკვლევარებისგან შექმნილი მობილური ჯგუფების საქმიანობის კიდევ უფრო გაშლა, რომლებიც ადგილებზე კონსულტაციას გაუწევენ როგორც ფერმერებს, ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების სპეციალისტებს.
- სსიპ სოფლის მეურნეობის ს.კ. ცენტრის მიერ 2014 წლიდან დაწყებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი გენეტიკური რესურსების დაცვა-აღდგენა გაუმჯობესებისა და გამოყენების მიმართულებით კვლევების გაღრმავება და შედეგების წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ს.კ. ცენტრის მიერ ინიცირებული პროექტის „მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის აღდგენა“ პროექტის განხორციელების მიმართულებით;





**7.18. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
საკვებწარმოების მიმართულების კოორდინატორის სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა დოქტორის იოსებ სარჯველაძის 2020 წელს გაწეული  
საქმიანობის ანგარიში**

1. მომზადებულია წიგნი „მემცენარეობა“ ფერადი ილუსტრაციებით და გადაცემულია ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს განსახილველად;
2. მომზადებულია საკვებწარმოების დარგის განვითარების პროგრამა - გადაეცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
3. კონსულტაცია გაეწია რამდენიმე ფერმერს საკვებწარმოების აქტუალურ საკითხებზე;
4. დმანისის ბუნებრივ სათიბ-სამოვარზე დაყენებული იქნა სტაციონარული მინდვრის 2 ცდა პროლინგირებულ სასუქებზე, ასევე აგასოლისა და ბიოაქტივის ეფექტურობის დასადგენად; დაწყებულია მინდვრის ცდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუხრანის ბაზაზე;
5. კონსულტაცია გაეწია CENN-ის დაკვეთით პროექტის განხორციელებისათვის „საქართველოში მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“
6. ი. სარჯველაძემ მონაწილეობა მიიღო პროექტში „წალკის მუნიციპალიტეტის საძოვრებზე დასაწყურებლების მოწყობა“;
7. მონაწილეობას ღებულობს კანადური ტექნოლოგიის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს მინდვრის კულტურების მოსავლის მატებას;
8. დაიბეჭდა რეკომენდაცია „ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ეროზია საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“ - ავტორი ი. სარჯველაძე;
9. ვხელმძღვანელობ 2 მასამაგისტრო თემას აგროტექნოლოგიაში.
10. ხელმძღვანელობ 2 დოქტორანტს:  
თემა 1. „ფუტკრის საკვები ბაზის არსებული მდგომარეობის შესწავლა და სანექტრე კონვეიერის სქემის შემუშავება თიანეთის რეგიონისათვის“;  
თემა 2. „სიმინდის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში“.
11. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში
12. გამოცემული იქნა 4 შრომა მ.შ. 1 რეკომენდაცია, მუშაობა მიმდინარეობს სახელმძღვანელოზე „სარეველა და შხამიანი ბალახების მავნეობა მეცხოველეობაში“.



**7.19. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის ტექნ.  
მეცნ. დოქტორის, პროფესორ ედუარდ კუხალაშვილის  
2020 წლის საქმიანობის ანგარიში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო განყოფილების მელიორაციის მიმართულებით დარგობრივი ჯგუფის ანგარიში დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად არის წარმოდგენილი.

საანგარიშო პერიოდის სამუშაო გეგმა შედგენილ იქნა საკოორდინაციო ინსტიტუტის დანიშნულებიდან გამომდინარე და მოიცავს ისეთ ამოცანებს, რომელთა შორის პრიორიტეტი განესაზღვრა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას აგრარული მეცნიერების განვითარებაში და მიღებული კვლევის შედეგების კოორდინაციას მეცნიერებათა აკადემიისთან. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით დაკომპლექტებულია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელთა სამეცნიერო პოტენციალი სრულ შესაძლებლობას იძლევა, განსაზღვროს მეცნიერული პრიორიტეტები და უზრუნველყოს ტექნიკური პროგრესის დანერგვის შესაძლებლობა საინჟინრო მელიორაციის ყველა მიმართულებით. ამასთან ერთად, შეუძლიათ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სადისკუსიო შეხვედრებში, სემინარებში, მრგვალი მაგიდის მოწყობასა და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში.

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, რომლის ლანდშაფტური ინფრასტრუქტურა განმსაზღვრელია სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. მასზეა დამოკიდებული მეურნეობის სახე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განლაგების შესაძლებლობები. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მდგრადობა და წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა სხვადასხვა გარეგანი ზემოქმედების რისკებზე. ხშირად მათი მწყობრიდან გამოსვლის შედეგები და სოფლის მეურნეობის ეფექტურობა კატასტროფით მთავრდება. ლანდშაფტური ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევები, ძირითადად, მასზე ბუნებრივი ანომალიებით, განსხვავებული სტიქიებით არის გამოწვეული. მათი სარეგულაციო ღონისძიებების გამოყენების დონე ვერ პასუხობს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობებს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო განყოფილების მელიორაციის მიმართულების საანგარიშო პერიოდის კვლევის სფეროთა შორის სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ბუნებრივი ანომალიებისაგან მის

მაქსიმალურ დამოუკიდებლობას. შესაბამისად, საკოორდინაციო მიმართულების პრიორიტეტული კვლევები ფართო პროფილის გამო, რომელიც მოიცავს: ირიგაციას, დრენაჟს, სამთო მელიორაციას, ნიადაგის დამარილიანებას და განმარილიანებას, გარემოს დაცვის საფრთხეებს, 2020 წლის სამუშაო გეგმა ლანდშაფტური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის საკითხების აქტუალურობიდან გამომდინარე, ბუნებრივი ანომალიების დარეგულირების პრობლემებზე იქნა ორიენტირებული და სამუშაო გეგმა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: საპატენტო ძიება და მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით ბრტყელი და მრუდწირული სადაწნეო ზედაპირის მქონე ინოვაციური ელასტიური ნაგებობის შექმნა; თეორიული კვლევების ანალოგიაზე დაყრდნობით ინოვაციური მეთოდოლოგიის საპროგრამო ამოცანებთან ადაპტაცია და ახალი მათემატიკური მოდელების გამოყვანა; სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა; კვლევებით მიღებული შედეგების რეიტინგულ გამოცემებში პუბლიკაცია და სხვადასხვა სახის საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში მონაწილეობა; გარემოს დაცვის სწავლება და რეკლამირებაში მრგვალი მაგიდის მოწყობა; საგრანტო კონკურსში მონაწილეობა; აკადემიურ სწავლებაში არსებული პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა, მაგისტრთა და დოქტორანტთა მომზადება; გარემოს დაცვის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მრგვალი მაგიდის მოწყობა.

სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო საანგარიშო პერიოდი გამოირჩევა შესრულებულ ამოცანათა მრავალფეროვნებით და შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

### **სამეცნიერო გრანტები.**

ჰიდრომელიორაციის მიმართულების ძალისხმევით მოპოვებულია და მუშავდება სამი გრანტი:

1. გრანტი AR-18-1244 „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი“. გრანტი განეკუთვნება ინოვაციური კვლევების განხორციელებას და ტექნოლოგიების განვითარების კატეგორიას. გრანტის ხელმძღვანელი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ედუარდ კუხალაშივილი. მთავრდება 2021 წელს. დამფინანსებელი ორგანიზაცია – სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
2. გრანტი – „მოწყვადი ინფრასტრუქტურის თეორიული კვლევა მოსალოდნელი კატასტროფების ფორმირებისას“. გრანტის ხელმძღვანელი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი. გრანტი ეხება მოსალოდნელი კატასტროფების დარეგულირებასა და უსაფრთხო ტრანზიტს, მათი შესაბამისი ზემოქმედების შესაძლებლობებს ინფრასტრუქტურაზე და დარეგულირების ინოვაციური ღონისძიებების შემუშავებას. გრანტის დამფინანსებელია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

3. გრანტი – „აკადემიური შესაძლებლობების განვითარება გარემოს დაცვის სწავლებაში“. ხელმძღვანელი ავსტრიის მხრიდან – ბოკუს უნივერსიტეტის პროფესორი მარგარიტა ჰიმერბაუერი, საქართველოს მხრიდან – პროფესორი ირმა ინაშვილი. გრანტის დამფინანსებელია ავსტრიის განვითარების სამეცნიერო ფონდი. გრანტი მთავრდება 2021 წელს.

### **გამოგონებები, პატენტები.**

ღვარცოფსარეგულაციო საინჟინრო გადაწყვეტებიდან განსხვავებით შემოთავაზებულია მრუდწირული ელასტიური სადაწნეო ზედაპირის მქონე ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი, რაზედაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრის მიერ გაცემულია პატენტი P-2020 წ. გამოგონების ავტორი: გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ნ. გავარდაშვილი.

### **სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.**

1. საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების ინტერნეტ სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაცია და განვითარება კორონავირუსის პანდემიის და მის შემდგომ პერიოდში“, თბილისი, 17–18 სექტემბერი, 2020 წელი. კონფერენციაში მონაწილე პირები: ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი, ნ. ბერაია, ქ. დადიანი, ხ. კიკნაძე, ლ. მასიაია;
2. XVII საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „მასალები და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები – ოპტიმიზირებული ელექტროპოტენციური კონსტრუქციები“, პოლონეთი – ჩესტოხოვა, 4–5 ნოემბერი, 2020 წ., კონფერენციის მონაწილენი: გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ირემაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ნ. გავარდაშვილი, ლ. მასიაია, ქ. დადიანი;
3. VI საერთაშორისო კონფერენცია „ღვარცოფები: საშიშროება, რისკი, პროგნოზირება, დაცვა“, ტაჯიკეთი – დუშამბე, 20–26 სექტემბერი, 2020 წელი, კონფერენციაში მონაწილეობდნენ: გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ირემაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ნ. გავარდაშვილი, ლ. მასიაია, ქ. დადიანი.

### **სტატიები.**

1. ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი ნ. ბერაია, ქ. დადიანი, ხ. კიკნაძე, ლ. მასიაია, „წყალსატევების კვების წყაროთა ჰიდროლოგიური მახასიათებლები და მათი როლი წყლის ინტეგრირებულ მართვაში“, სოფლის მეურნეობის აკადემიის ინტერნეტკონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 2020 წ., გვ. 149–159;
2. გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ირემაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ლ. მასიაია, ქ. დადიანი, „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟის სადინარში მოწყობა“, პოლონეთი– ჩესტოხოვა, 2020 წ., გვ. 10;

3. გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ირემაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ნ. გავარდაშვილი, ლ. მაისაია, ქ. დადიანი, „ინოვაციური ღვარცოფსარეგულაციო ნაგებობა“, „ღვარცოფები: საშიშროება, რისკი, პროგნოზირება, დაცვა“, ტაჯიკეთი – დუშამბე, 2020 წ., გვ.10;
4. ო. ნათიშვილი, ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი, „ბმული ღვარცოფის მოძრაობის მათემატიკური მოდელი“, აგრარულ მეცნიერებებზე ცნობარი, თბილისი, 2020 წ., გვ. 251–257;
5. ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი, ნ. ბერაია, ხ. კიკნაძე, „ღვარცოფთა მდგრადობა და ღვარცოფსარეგულაციო ნაგებობაზე ზემოქმედება“, აგრარული მეცნიერებების ცნობარი, <http://agrscience.gov.ge>, თბილისი #1, 16 გვ.

#### **საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა.**

ჰიდრომელიოაციის მიმართულების თითქმის ყველა წარმომადგენელი დაკავებულია ლექცია–პრაქტიკული მეცადინეობებით და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებას ახდენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე.

#### **სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობა.**

ჰიდრომელიოაციის მიმართულების კოორდინატორების ჯგუფის მიერ მუშავდება 4 სადოქტორო დისერტაცია, რომელთა თემატიკა გარემოს დაცვის საკითხებზეა ორიენტირებული:

1. დოქტორანტი – ნ. ბერაია, თემა – „ბმული ღვარცოფის რისკები და ენერგეტიკული მახასიათებლები“ (ხელმძღვანელი: ე. კუხალაშვილი)
2. დოქტორანტი – ლ. მაისაია, თემა – „ახალი ტიპის ნაგებობაზე ღვარცოფთა ზემოქმედების შეფასება (ხელმძღვანელი: ე. კუხალაშვილი);
3. დოქტორანტი – ხ. კიკნაძე, თემა – „ღვარცოფსადინარში მიმდინარე კალაპოტური პროცესები“ (ხელმძღვანელი: გ. გავარდაშვილი);
4. დოქტორანტი – ქ. დადიანი, თემა – „ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის მდგრადობა და ნაგებობაზე ზემოქმედება“ (ხელმძღვანელი: გ. გავარდაშვილი).

#### **გარემოს დაცვის სწავლებაში მრგვალი მაგიდის მოწყობა.**

გარემოს დაცვის სწავლებაში აკადემიური თანამშრომლობის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფარგლებში მრგვალი მაგიდის მოწყობა გართულდა ქვეყანაში კორონა ვირუსთან დაკავშირებული შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გამო და ამიტომ ის განხორციელდა სემინარების სახით ონლაინ რეჟიმში. აღნიშნულთან დაკავშირებით ეცნობა სტიქიების ზონაში განლაგებული რაიონების მუნიციპალიტეტებს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და მიმართულების წარმომადგენლებს. მოხსენებები და

სემინარები წარმოდგენილ იქნა პროფესორების, ე. კუხალაშვილის, გ. გავარდაშვილისა და დოქტორანტების მიერ. განხილვაში მონაწილეობას იღებდა მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეები. ზუმში ჩართვა ორგანიზებულ იქნა კოდით – 613-832-4812 , საკითხის განხილვის დღედ დაინიშნა 2020 წლის 10–12 ივლისი, სამშაბათი, 12 საათი.

მომხსენებელთა ძირითადი ყურადღება დუშეთის რაიონის მოსახლეობის ინფორმირებას, მასთან კომუნიკაციის დამყარებასა და სამეცნიერო საზოგადოების ახალი მეთოდოლოგიის გაცნობას დაეთმო. წარმოდგენილ იქნა ბუნებრივი ანომალიებით გამოწვეული შესაძლო თანმდევი პრობლემები, არსებული ტრადიციული მდგომარეობის ანალიზი, ბუნების შეუქცევადი პროცესების, არაგანახლებადი ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების ინტენსიური კლების და გარემოს ეკოსისტემებზე მზარდი ანომალური ზემოქმედების გათვალისწინებით დამცავი, გაუმჯობესებული ენერგო და რესურსმზოგი ეკოლოგიურად უსაფრთხო ნაგებობის გამოყენების შესაძლებლობები ღვარცოფსადინარში მიმდინარე კალაპოტურ პროცესებზე. კვლევის სფერო – წყალსატევების მკვებავი წყაროების ტრანსპორტუნარიანობა და მათი საანგარიშო მოდელები.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბუნებრივ ანომალიათა როგორც თეორიული, ისე საველე კვლევები. გამოყვანილია ნაკადის ქცევის და ენერგეტიკული მახასიათებლების საანგარიშო ფორმულები. სამეცნიერო კვლევები ასახულია რეფერირებად რეიტინგულ გამოცემებში სტატიების სახით. სამეცნიერო კვლევის 2020 წლის შედეგები დადასტურებულია სერთიფიკატებით, ხოლო მომდევნო კვლევები დაეთმობა სტიქიების ჰიდროლოგიისა და ჰიდრაულიკის სამშენებლო ნორმებისა და წესების სრულყოფას და მათი ახლით შეცვლას.



**7.20. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების ეროვნულ კოორდინატორთა  
ჯგუფის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.  
(სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების ეროვნული კოორდინატორი  
აკად. თემურ რევიშვილი)**

საანგარიშო 2020 წელს ეროვნულ კოორდინატორთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის “საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“ ფარგლებში, კოლეჯს „ჰორიზონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) გაეწია დახმარება ჩაის წარმოების მიმართულებით სასწავლო პროგრამის შემუშავებაში, მისი შემდგომი აკრედიტაციის მიზნით;
2. გრძელდებოდა მინდვრის ცდები სამ ფერმერულ მეურნეობაში მანდარინის, თხილის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) და ფოთლოვანი სალათის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) ქვეშ საერთაშორისო კომპანია „ევროქიმის“ წარმოებული ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის დადგენის და განოყიერების სისტემის სრულყოფის მიმართულებით. კულტურათა განოყიერების რაციონალური სქემები და ახალი სახის კომპლექსური სასუქები, მოსავლიანობის ზრდის პარალელურად, უზრუნველყოფენ მიღებული პროდუქტების სტაბილურ ხარისხობრივ მაჩვენებლებს (შემსრულებლები: აკადემიკოსები ვალერიან ცანავა და თემურ რევიშვილი, აკადემიური დოქტორები: იზოლდა მამულაიშვილი, ვახტანგ გოლიაძე, დავით აფხაზავა, ეკატერინე გობრონიძე);
3. ტექნოლოგიური ხასიათის საკონსულტაციო დახმარება გაეწია ინდ. მეწარმეს „მანანა კუპრაძე“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), რომელიც აფართოებს ახალი სახის ყვითელი და მწვანე ჩაის წარმოებას. განხორციელდა ნედლეულის ფიქსაციის და თბური გრეხის პროცესების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა და გამომუშავდა ჩაის საცდელი ნიმუშები. მიღებულ პროდუქციას ჩაუტარდა ორგანოლექტიკური ანალიზი (შემსრულებლები: აკადემიკოსი თემურ რევიშვილი, აკადემიური დოქტორები: ბახვა დოლიძე და ეკატერინე გობრონიძე);
4. მონაწილეობა მივიღე საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ-კონფერენციაში, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“ პრეზენტაცია - განხილვა (22 ნოემბერი, 2020).





**თავი 8. ინფორმაცია აკადემიის აბარული ინოვაციების  
კომისიის 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ  
კომისიის თავმჯდომარე – აკად. ალექსანდრე ღიღუშულიძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან აგრარული ინოვაციების კომისიის შექმნა გადაწყდა აკადემიის პრეზიდიუმის 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე, რომელზეც დამტკიცდა კომისიის დებულება. კომისიის შექმნა განპირობებული იყო აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზის ჩატარების და მათი კომერციალიზაციის პერსპექტივების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავების მიზანშეწონილობით. კომისიის ბიუროში შედიან აკად. ა.დიდებულიძე (თავმჯდომარე), აკადემიის ექსპერტი გ.ცოფურაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე) აკად. ნ.ჭითანავა (პრეზიდენტის მრჩეველი), ლ.ჩაიკა (სწავლული მდივანი) და ე.ჭიპაშვილი (ტექნიკური მდივანი), მუდმივი წევრები არიან აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, სხდომებს ესწრებიან მოწვეული წევრები - აგრარული სფეროს მეცნიერები, სამინისტროების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, მეწარმეები, ფერმერები. საანგარიშო პერიოდში შედგა კომისიის ოთხი სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. 2020 წლის 24 იანვარს ჩატარდა აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „ქართული ხორბლის მნიშვნელობა მსოფლიოში და მისი წარმოების სტრატეგია საქართველოში გამოვიდა“ მეცნიერებათა დოქტორი ცოტნე სამადაშვილი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების სამსახურის უფროსი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, თანამომხსენებელი იყო აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი. აღინიშნა, რომ საქართველოს კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა ხორბალი და მსოფლიოში აღწერილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში აღრიცხული და რეგისტრირებულია 14 ბუნებრივი სახეობა, მ.შ. 5 ენდემურია, რომლებიც ხასიათდება უნიკალური თვისებებით, რის გამოც ითვლებიან საუკეთესო გენეტიკურ წყაროდ მსოფლიო სელექციაში. ცენტრში წარმატებით მიმდინარეობს ხორბლის ქართული გენოფონდის მოძიება, აღდგენა, შენახვა და გამრავლება, ცენტრის საცდელ ბაზებზე რეგიონების მიხედვით მრავლდება ხორბლის ქართული ენდემური სახეობები, აბორიგენული და ინტენსიური ჯიშები, რათა პოპულარიზაცია გაუწიოს მათ და დააკმაყოფილოს ფერმერთა მოთხოვნილება. აღინიშნა, რომ მართალია, სამთავრობო დოკუმენტებში მითითებულია ხორბლის კულტურის მოსავლიანობის გაზრდის მოთხოვნა, მაგრამ სასურველია მკაფიოდ იქნეს წარმოდგენილი ხორბლის სტრატეგია, რადგან ქვეყანაში ხორბლის კონკურენტუნარიანობის გაზრდა პირველ რიგში უნდა მიღწეული იქნეს მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის და ახალი აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გამოყენებით, რისთვისაც აუცილებელია თესლის გადამამუშავებელი/დამამზადებელი ინფრასტრუქტურის განვითარება და იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი მასალით, რაც შეუძლებელია მწარმოებლებსა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის გრძელვადიანი, სტაბილური, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების გარეშე.

2. 2020 წლის 26 თებერვალს ჩატარდა კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ინოვაციური ელექტრომაგნიტური

ვიბროძრავების გამოყენება აგრარულ ტექნოლოგიებში“ წარსდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკის და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გელა ჯავახიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბრატორების კონსტრუქციული შესრულების სიმარტივე, მომსახურეობის მოხერხებულობა, სრული ავტომატიზების შესაძლებლობა, მაღალი ენერგეტიკული და საექსპლოატაციო მაჩვენებლები განაპირობებს იმას, რომ აღნიშნული მანქანები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესებში. მომხსენებლის მონაწილეობით დამუშავებული იქნა უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბროძრავები, ამ ძრავებით აღჭურვილი და დაპატენტებული მანქანა-დანადგარების კონსტრუქციები, სხვადასხვა აგროტექნოლოგიურ პროცესებში მათი გამოყენების თეორიული და პრაქტიკული კონცეფციები, შეიქმნა ენერგოდამზოგი მუდმივი დენის შემაგნიტებიანი უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბროამგზნებების ერთფაზა და სამფაზა სქემები, რომლებზეც მიღებულია საქართველოს პატენტები. შექმნილია მაღალმწარმოებლური, მცირეგაბარიტიანი, ენერგოდამზოგი ელექტრომაგნიტური მანქანა-დანადგარები. აღინიშნა შესრულებული სამუშაოების სოფლის მეურნეობაში გამოყენების პერსპექტიულობა და საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი.

3. 2020 წლის 24 ივნისს კომისიის სხდომაზე მოხსენებით: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია - გლეხთა და სოფლად დასაქმებულ სხვა პირთა უფლებების შესახებ და მისი იმპლემენტაციის შესაძლებლობები საქართველოში“ - გამოვიდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი ელენე შატბერაშვილი. აღინიშნა, რომ 2018 წლის 17 ნოემბერს მცირე ფერმერთა მსოფლიო მოძრაობის ძალისხმევით, გაეროს გენერალურმა ანსამბლემ მიიღო ეს დეკლარაცია (დეკლარაციის ინგლისური ტექსტი იხ: <https://undocs.org/en/A/C.3/73/L.30>). 2020 წლისათვის საქართველო არ წარმოადგენს დეკლარაციის მხარეს, თუმცა ამ დოკუმენტის მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაიწყოს მსჯელობა, შეიძლება თუ არა დეკლარაცია იყოს საინტერესო და სასარგებლო ინსტრუმენტი საქართველოში სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის. ხაზგასმული იყო, რომ მცირე, საოჯახო მეურნეობები სასურსათო უსაფრთხოების, კლიმატისა და გარემოს დამზოგავი წარმოებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის გასაღებია. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შეზღუდვის გამო, მცირე მეურნეთა უფლებები მსოფლიოში სისტემატურად ირღვევა - იმ პირთა 80%, ვინც შიმშილობს და უკიდურეს სიდარბეში ცხოვრობს, სოფლის მოსახლეა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სოფლის დაცლა გლეხებისაგან ყოველდღიურობის ნაწილია - მათი ნაწილი ქალაქში გადადის საცხოვრებლად, სხვები ცხოვრების წესს იცვლიან იმის გამო, რომ შრომის სათანადო ანაზღაურება არა აქვთ ან ხელი არ მიუწვდებათ პროდუქტიულ რესურსებზე. „გლეხთა და სოფლად დასაქმებულ სხვა პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების დეკლარაციის მიზანია ხელი შეუწყოს გლეხთა და სოფლად დასაქმებულ სხვა პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4. 2020 წლის 15 ივლისს ჩატარდა კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „აგრობიომრავალფეროვნების დაცვა, კონსერვაცია და შემდგომი გამოყენება. საქართველოს ეროვნული გენური ბანკის შექმნის კონცეფცია“ გამოვიდა სოფლის მეურნეობის დოქტორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი კახა ნადირაძე. მან აღნიშნა, რომ აგრობიომრავალფეროვნება და გენეტიკური რესურსები ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს და ამ მიმართულებით ევროპაში განსაკუთრებით მდიდარია საქართველო, ამიტომ დღეს ძალზე სწრაფად ცვალებად გარემოში აგრობიომრავალფეროვნების რაციონალური გამოყენება წარმოადგენს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს და სამომავლოდ ქმნის ეროვნული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გარანტიებს. კლიმატის ცვლილება, გაუდაბნობა, ნიადაგების ეროზია, პესტიციდების ჭარბი გამოყენება, წყლის დეფიციტი და სხვა ფაქტორები ნეგატიურ გავლენას ახდენენ აგრობიომრავალფეროვნებაზე და არაერთი სახეობა, პოპულაცია, ჯიში თუ ვარიაცია გადაშენების პირასაა. პრეზენტაცია შეეხო საქართველოში აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციას, მის ფორმებს, მეთოდებსა და მეთოდოლოგიებს. მნიშვნელოვანია საქართველოს მიერთება ნაგოიას პროტოკოლთან, რაც აჩენს როგორც ახალ შესაძლებლობებს, ასევე ვალდებულებებს ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის არსებობაზე და სახელმწიფოს მიერ გადასადგმელ აუცილებელ ნაბიჯებზე. პრეზენტაციაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საქართველოში ეროვნული გენური ბანკის შექმნის პრობლემებს. ბანკის პლატფორმა უნდა ეყრდნობოდეს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დოკუმენტების, აგრეთვე „სურსათისა და სოფლის მეურნეობის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ“ (ITPGRFA) საერთაშორისო ხელშეკრულების რეკომენდაციებს. სწორი სასელექციო და სანაშენო საქმიანობით ხომ შესაძლებელია გაუმჯობესებული ჯიშების პრაქტიკაში გამოყენება, რისთვისაც საჭიროა არსებული გენეტიკური რესურსების შეგროვება და კონსერვაცია, რომლებიც შეინარჩუნებენ გენურ მრავალფეროვნებას სამომავლო გამოყენებისთვის. აგრეთვე პრეზენტაცია მიზნად ისახავდა მსმენელებს ზოგადად გააცნოს „გლეხთა და სოფლად დასაქმებულ სხვა პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების დეკლარაცია და ხელი შეუწყოს დიალოგის დაწყებას საქართველოში ამ დეკლარაციის იმპლემენტაციის საკითხებზე.

კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, მოწვეული მეცნიერები და სპეციალისტები, ახალგაზრდა მკვლევარები და სტუდენტები, რომლებსაც სხდომამდე ერთი კვირით ადრე ეგზავნებოდათ მოწვევის წერილები მოხსენებების თანდართული ანოტაციებით. სხდომების შესახებ განცხადებები და განხილული მასალა ქვეყნდებოდა აკადემიის ვებ გვერდზე, კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ აგრარული ინოვაციებისადმი მიძღვნილ კონფერენციებში, ტელეგადაცემებში და სხვა ღონისძიებებში.



თავი 9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2020 წელს მომზადებული ლიტერატურა (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, შრომათა კრებულები, რეკომენდაციები, ბროშურები, საჯარო ლექციები)

8.1. მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები

1. თ. რევიშვილი (თანაავტორობით) – „ჩაის ქიმია, ტექნოლოგია, დეგუსტაცია და მოწყობილობა“ (მონოგრაფია), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 180 გვ.;
2. ჯ. კაციტაძე, ზ. ფუტყარაძე - "Application of modern mathematical methods for optimizing technological processes to increase machine reliability" (მონოგრაფია), „გამომცემლობა „LAMBERT“, გფრ, ბერლინი, 2020, 137 გვ;
3. Bagaturia N.Sh. GEORGIAN WINE SCIENCE. *Wine formation and ageing on the must.* (მონოგრაფია), Lambert, Academic Publishing. Germany, 2020. 181 p.;
4. БАГАТУРИЯ Н.Ш. - „ГРУЗИНСКОЕ ВИНОДЕЛИЕ. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА“, (მონოგრაფია), Lambert, Academic Publishing. Germany, 2020, 241 Стр.;
5. БАГАТУРИЯ Н.Ш. „КРИТЕРИИ ОЦЕНКИ НАТУРАЛЬНОСТИ АЛКОГОЛЬНЫХ И БЕЗАЛКОГОЛЬНЫХ НАПИТКОВ (მონოგრაფია), Lambert, Academic Publishing. Germany, 2020, 164 Стр.;
6. БАГАТУРИЯ Н.Ш. – „ЭФИРНЫЕ МАСЛА ЛЕКАРСТВЕННЫХ И ПРЯНО - АРОМАТИЧЕСКИХ РАСТЕНИЙ. ХИМИЯ, ТЕХНОЛОГИЯ, ПРИМЕНЕНИЕ“, (მონოგრაფია), Lambert, Academic Publishing. Germany, 2020, 377 стр.;
7. БАГАТУРИЯ Н.Ш - „МОЙКА ВИНОГРАДА. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА“. Lambert, (მონოგრაფია), Academic Publishing. Germany, 2020, 77 Стр.;
8. ბალათურია - „საქართველოს კვებისა და ბაღამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების სტრატეგია“ (მონოგრაფია), (თანაავტორი გ. ბალათურია), თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი, 2020 , 22 გვ;
9. ნ. ბალათურია - კვების ინფუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები. ტ.1. (სახელმძღვანელო), თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი, 2020, 331, გვ.;
10. ნ. ბალათურია - „კვების ინფუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები. ტ.II. (სახელმძღვანელო), თბილისი, ციფრული პოლიგრაფიის ცენტრი, შპს „ბენე“, თბილისი, 379 გვ;
11. ნ. ქარქაშაძე - „სტალინი და ეკონომიკა“ (მინი მონოგრაფია), თბილისი, 2020, 102 გვ;
12. თ. ქეშელაშვილი - „სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური შეფასება“ (მონოგრაფია), გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020, 92 გვ;
13. თ. ქეშელაშვილი - „ლექციების ცხრილები სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის“ (მონოგრაფია), გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020, 74 გვ;

14. ი. სარჯველაძე, გ. ქვარცხავა „მემცენარეობა (კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია)“ (სახელმძღვანელო), თბილისი, 2020, 302 გვ.;
15. გ. ქვარცხავა, ვ. უგრეხელიძე „სურსათის ქიმია - რჩეული თავები“, თარგმანი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2020, 850 გვ.;
16. თ. კუნჭულია, ზ. ბუკია-„საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები“ (მონოგრაფია), გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2020 წელი. 255 გვ.;
17. რ. მახარობლიძე, ზ. ფუტყარაძე - „მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დინამიკა და პარამეტრების ოპტიმიზაცია“ ინგლისურ ენაზე (მონოგრაფია), გვრ, ქ. საარბრიუკენი, გამომცემლობა „ლამბერტი“, 2020, 150 გვ.;
18. თ. ურუშაძე - „ნიადაგის საველე კვლევა“ (თანაავტორობით), მონოგრაფია, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2020 წ.;
19. თ. ურუშაძე - „აგრონიადაგმცოდნეობა“, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2020 წ.;

## 8.2. შრომათა კრებულები

1. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „საქართველოს ვეტერინარიის პერსპექტივები კორონავირუსის პანდემიის და მის შემდგომ პერიოდში“. (8-10 მაისი, 2020 წელი); კონფერენციის შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020, 70 გვ.;
2. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „სატყეო კვლევის პოტენციური საქართველოში და პერსპექტივები“ (20-22 მაისი, 2020 წელი). კონფერენციის შრომათა კრებული, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020, 80 გვ.;
3. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები კორონავირუსის პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში“. . 2020 წლის 17-18 სექტემბერს, კონფერენციის შრომათა კრებული, გამომცემლობა „პოლიგრაფი“, თბილისი, 2020, 158 გვ.;
4. სამეცნიერო კონფერენცია (ონლაინ რეჟიმში) - „კლიმატის ცვლილება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება“. კონფერენციის ორგანიზატორი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო, კონფერენციის შრომათა კრებული, გამომცემლობა „პოლიგრაფი“, თბილისი, 2020, 140 გვ.;

### 8.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2020 წელს დაგეგმილი რეკომენდაციები

1. ბიოსორბლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად ორგანული სასუქის “ეკოროსტის” გამოყენება, (რეკომენდაცია), ავტორები: ლ. უჯმაჯურიძე, ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, ა. თხელიძე, მ. ჩოხელი, ნ. ბენდიანიშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2020;
2. როგორ გამოგვევლინოთ აბრეშუმის ჭია (რეკომენდაცია), ავტორი ნ. ბარამიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
3. თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები (რეკომენდაცია), ავტორი ე. შაფაქიძე, რედაქტორი გ. ნიკოლეიშვილი, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
4. თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები (მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები); ავტორები ე. შაფაქიძე, ნ. ბარამიძე, ე. წოწკოლაური, რედაქტორი გ. ნიკოლეიშვილი, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
5. კორონავირუსული ინფექცია ცხოველებში, (რეკომენდაცია), ავტორების თ. ყურაშვილი, ლ. ციციქიშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
6. თუთის ძლიერმოზარდი, უხვმსხმოიარე შერჩეული ჯიშების(ჰიბრიდების) წყლის მიერ ეროზირებულ ფერდობებზე გაშენება, ნაყოფის საკონსერვო (ოჯახური) წარმოებაში გამოყენება, მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა (რეკომენდაცია), ავტორები გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, ს. ბერიძე, რედაქტორი ჯ. გუგუშვილი, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
7. ბოცვრის წარმოშობა და მოშენების თავისებურებანი (რეკომენდაცია). ავტორები ჯ. გუგუშვილი, ზ. ლაშხი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
8. ჰიბრიდიზაციისა და ჯიშთაშორისი შეჯვარების თეორიული საფუძვლები მეცხოველეობაში (რეკომენდაცია), ავტორები ჯ. გუგუშვილი, ზ. ლაშხი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
9. სათიბებ-საძოვრების მართვის ელემენტარული პრაქტიკა (რეკომენდაცია), ავტორები ა. დიდებულიძე, ზ. ბრეგვაძე, რეცენზენტები ბ. კორახაშვილი, გ. ჯავახიშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
10. წველების დაკონსერვების მეთოდები და ტექნოლოგია-პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისთვის, ავტორი ე. კაციტაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
11. დაბალკონდიციური ვაშლის გადამამუშავების კომპლექსური ტექნოლოგია, პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისთვის, ავტორი ე. კაციტაძე, ი. ხორავა, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
12. ხელფენურად გამოზრდილი გარეული ფრინველის ინტროდუქცია – რეკომენდაცია, ავტორი ა. გიორგაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;

13. **ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
14. **ყინვებისაგან დაზიანებული ხეხილის მოვლა**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
15. **ხეხილის გასხვლა-ფორმირება, მათი გაახალგაზრდავება და მექანიკური დაზიანებების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
16. **ხეხილის სარგავი მასალის სტანდარტი**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
17. **ხეხილის საძირეების სტანდარტი**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
18. **ხეხილოვანი კულტურების მორწყვა**, (რეკომენდაცია) – ავტორი: ი. ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
19. **ხორბლის კულტურის თესვის ვადები სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის** (რეკომენდაცია); ავტორები: ც.სამადაშვილი, ზ. ტყეშუჩავა, ნ. ბეგლარაშვილი, თ. ნარიმანიშვილი. რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
20. **ჰიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების რეკომენდაცია**; ავტორები ო. ლიპარტელიანი, ც. სამადაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოძე; რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
21. **ბოცვრის თივთიკის მიღების წესები** (რეკომენდაცია); ავტორი ჯ. გუგუშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;
22. **ბოცვრის ხორცის და ტყავ-ბეწვეულის დამზადების ტექნოლოგია** (რეკომენდაცია); ავტორები: ჯ. გუგუშვილი, ზ. ლაშხი; რედაქტორი ე. შაფაქიძე, გამომცემლობა “აგრო”, თბილისი, 2020;





# აკადემიის იუბილუმი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკატიო აკადემიკოს ბატონ თენგიზ ურუშაძეს 2020 წელს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონი თენგიზ ურუშაძე დაიბადა 1940 წლის 14 იანვარს ქ.თბილისში. 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი და მიენიჭა მეტყევე-ინჟინრის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთლიანად ეზიარა აგრარულ მეცნიერებას.

გაიარა მეცნიერების რთული და შრომატევადი გზა ასპირანტობიდან - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორამდე, პროფესორამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტამდე და შემდეგ საკატიო აკადემიკოსობამდე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრობამდე (აკადემიკოსობამდე).

1967-1982 წლებში ბატონი თენგიზი მუშაობდა სამთო მეტყევეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1982 წლიდან საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში - ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგედ, პროფესორად.

1990 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ინგლისური ენის ფაკულტეტი და მიენიჭა ინგლისური ენის სპეციალისტის კვალიფიკაცია.

1992 წელს ბრძანდებოდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკოლოგიის საკითხებში. 2004-2009 წწ. მუშაობდა ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნიადაგის გეოგრაფიის კათედრის გამგედ. 1995-2006 წწ. იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში და 2007 წელს-რექტორი. 2007-2012 წლებში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ.გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი და 2012 წლიდან დღემდე ბრძანდება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი.

მნიშვნელოვანია ბატონი თენგიზის დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 6 მეცნიერებათ დოქტორი და 20 მეცნიერებათა კანდიდატი. მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებულია 416 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 46 მონოგრაფია და 20

სახელმძღვანელო. ბატონი თენგიზის ძირითადი ავტორობით გამოიცა თბილისის ეკოლოგიური რუქა, ხოლო მთავარი რედაქტორობით - საქართველოს ნიადაგების რუქა. არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტი და ექსპერტი. დიდი წვლილი შეაქვს და მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში.

ბატონი თენგიზი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით და პრემიებით. ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, არის სრული პროფესორი და მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი.

ბატონო თენგიზ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს, მრავალ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



## აკადემიკოსი ვალერიან ცანავა - 85



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ვალერიან ცანავას 2020 წელს დაბადებიდან 85 და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავები შეუსრულდა..

ბატონი ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წლის 25 თებერვალს ქალაქ სოხუმში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე ცანავას ოჯახში. 1953 წელს ქ. სოხუმის N1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიის ფაკულტეტზე, რომელიც 1958 წელს

დაამთავრა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით და სამუშაოდ განაწილებული იქნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961 -1964 წლებში ბატონმა ვალერიანმა გაიარა ასპირანტურაში სწავლების სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოღგოპრუდის საცდელ სადგურში და 1966 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ იგი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს არჩეულ იქნა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე აგროქიმიის განყოფილებაში.

1972-1988 წლებში აკადემიკოსი ვალერიან ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ჩაის მეცნარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები". 1991 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება აგროქიმიის სპეციალობით. 1988-1995 წლებში აკადემიკოსმა ვ. ცანავამ ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე ამავე გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან ვ. ცანავა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ამავდროულად 2006 - 2010 წლებში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

ბატონი ვალერიანი 1992 წელს არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წელს - ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკად. ვ. ცანავას მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების ძირითადი მიმართულებებია:

- აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა ჩაის მეცნარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპი  $^{15}\text{N}$  გამოყენებით;
- აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე და ბიოქიმიურ აქტივობაზე;
- აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.

აკად. ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები, როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი, წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. მრავალწლიანი და მრავალმხრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება, მათი შესატანი დოზები და ფორმები.

აკადემიკოსი ვ. ცანავა ავტორია 210 სამეცნიერო შრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოსი, 2 ტომიანი ლექსიკონის, მიღებული აქვს 6 პატენტი გამოგონებაზე.

დიდია ბატონ ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 20 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. აკად. ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის გარეთ, იგი არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში - ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში და ჩინეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის აკად. ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშისა“ და „ღირსების“ ორდენებით.

ბატონო ვალერიანი ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, არის აგრონომიის სამეცნიერო განყოფილების აქტიური წევრი, ბრძანდება აკადემიის ჩაისა და ციტრუსების მიმართულების ეროვნული კოორდინატორი, არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და აკადემიის მთლიანი შემადგენლობა ულოცავს აკადემიკოს ვალერიან ცანავას საიუბილეო თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას და სიკეთეს, მრავალ წარმატებას და მიღწევებს მეცნიერებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



## აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი - 75



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილს 2020 წელს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავები შეუსრულდა.

აკად. ჯემალ გუგუშვილი დაიბადა 1945 წლის 14 აპრილს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს ზოოტექნიკურ – სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1971 წელს და მიენიჭა სწავლული ზოოტექნიკოსის კვალიფიკაცია.



ბატონმა ჯემალმა 1974 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ზოოტექნიკოსად და შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მის მიერ ინსტიტუტში პირველად იქნა შესწავლილი საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშები: საბჭოური შინშილა, რუსი გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვერცხლისებრი, აგრეთვე აშშ-ში გამოყვანილი კალიფორნიული და ახალზელანდიური თეთრი, როგორც ხალასჯიშიანი მოშენებით, ისე ჯიშთაშორისი მარტივი, რთული, შთანთქმითი და საახალჯიშო შეჯვარებითი ჰიბრიდიზაციით.

1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და იმავე პერიოდში - პროფესორის წოდება; 2013 წლიდან არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტში კათედრის გამგედ, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, უნივერსიტეტის რექტორად; ხელმძღვანელობდა მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს, იყო საერთაშორისო ჟურნალების და ადგილობრივი გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი. არჩეული იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად და არის ნიუ-ორკის აკადემიის წევრი. მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორად, ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სპორტულ ცენტრს, როგორც მისი დირექტორი.

დღეისათვის ბრძანდება განათლების სისტემის წარმომადგენელთა ასოციაციის პრეზიდენტი, აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს წევრი, თურქმენეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი, სომხეთის აკადემიის საპატიო პროფესორი, გარდაბნის საპატიო მოქალაქე.

მნიშვნელოვანია აკად. ჯ. გუგუშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია შვიდი საკანდიდატო დისერტაცია. წარმატებები აქვს სამეცნიერო საქმიანობაში - გამოქვეყნებულია 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი სახელმძღვანელო და 2 მონოგრაფია, 13 რეკომენდაცია; ბრძანდება ბოცვერის ახალი ქართული ჯიშის “პელე” ავტორი. დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, “ღირსების ორდენით” და მედლებით. მიღებული აქვს კემბრიჯის უნივერსიტეტის ჯილდო „21-ე საუკუნის ნაშრომისათვის“, პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის; იგი შესულია საქართველოს ენციკლოპედიაში (II ტომი) იმ მოდვაწეთა შორის, რომლებმაც კვალი დატოვეს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.


ცალკე აღსანიშნავია ბატონი ჯემალის დამსახურება ქვეყნის წინაშე სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით. ბრძანდება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

დიდი მიღწევები აქვს სამწვრთნელო საქმიანობაში, როგორც საფეხბურთო ნაკრებების და კლუბების მწვრთნელი. ბრძანდება საქართველოს თასის ორგზის მფლობელი (“სინათლე”, თბილისი), საბჭოთა კავშირის „მილიონთა“ თასის ორგზის მფლობელი (“სინათლე”, თბილისი), უცხო ქვეყნის (თურქმენეთი) ეროვნული ნაკრების პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატზე, პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი ევროკავშირის ქვეყნებში - საბერძნეთის „იანინა“ (უმაღლესი ლიგა) საბერძნეთის პირველობაზე, ახალგაზრდებს შორის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ევროპის პირველობაზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სტუდენტთა შორის - საქართველოს სტუდენტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს რეგიონალური ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის პირველობაზე საქართველოს სპორტსაზოგადოებათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებზე საფეხბურთო კლუბების - „ზოლოვეტი“ „მორკინალი“, „ვიტ-ჯორჯია“, „ალგეთი“ - მთავარი მწვრთნელი, თურქმენეთის „კოპეტდაკი“-ის მთავარი მწვრთნელი; მოპოვებული აქვს თურქმენეთის საუკეთესო მწვრთნელის წოდება.

ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბრძანდება აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ულოცავს აკად. ჯ. გუგუშვილს ღირსშესანიშნავ თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო, საზოგადოებრივ და სპორტულ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია



აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე – 85



*2020 წლის 15 მაისს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს ნაპოლეონ ქარქაშაძეს.*

ბატონი ნაპოლეონი ომისდროინდელი თაობაა. 1943 წელს შეაღო თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კარები. შემდეგ საქართველოში, იმ დროისათვის ერთ-ერთ ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიაშურა, რომელიც 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა. იგი სიყვარულით იხსენებს როგორც სკოლის, ისე უმაღლესი სასწავლებლის



პროფესორ-მასწავლებლებს “გამიმართლაო” ამბობს, მართლაც იმ ხანად “სასოფლოში” მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები ასწავლიდნენ, მათგან ახალგაზრდა თაობა არა მარტო პროფესიის, არამედ ქვეყნისა და ერის მსახურებასაც სწავლობდა. ბატონი ნაპოლეონი შემდგომ ხშირად ახსენებს თავის აღმზრდელებს, თავის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა თუ სხვა სახის პუბლიკაციებში.

1961 წელს, საქართველოსთვის გამოყოფილი ლიმიტით იგი სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე გაირა აპრობაცია და შემდეგ საქართველოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

თვითონ ბატონი ნაპოლეონი თავის ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს 1956 წელს, როდესაც ქ. ლაიფციგში ჩატარდა მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მან მოხსენება გააკეთა თემაზე: “საქართველო, კულტურული მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანა”. “დიპლომი, რომელიც იქ მივიღე, განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მიმართულებათა” – იგონებს იგი.

ბატონი ნაპოლეონი ოთხი წელი ხელმძღვანელობდა “სასოფლოში” კათედრას, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინსტიტუტო კათედრა გახდა. 1975 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად. ახალგაზრდა კაცისათვის ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლა. ბატონმა ნაპოლეონმა 16 წელი გაატარა აფხაზეთში, მისი რექტორობის დროს აშენდა სასტუმროს ტიპის ოთხი საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის მეურნეობა - “ეშერაში”, ზღვის ნაპირზე სტუდენტური დასასვენებელი კომპლექსი, ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა, რომელსაც ქონდა თანამედროვე საკონფერენციო და სადღეგუსტაციო დარბაზები, კვლევითი ლაბორატორიები. მოხდა ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების მთლიანი გადაიარაღება, გაიხსნა რამდენიმე პრობლემური ლაბორატორია, ფუნქციონირება დაიწყო სადისერტაციო საბჭოებმა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი.

რთულ პერიოდი იყო მაშინ აფხაზეთში, რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტები ანტიქართულ მოთხოვნებს აყენებდნენ, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ამ პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძე სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოების ბრძოლას, ერთიანი ქართული სივრცის შესანარჩუნებლად. მისმა დიდმა ავტორიტეტმა, ბევრი აფხაზი შემოაბრუნა ქართულ პოზიციაზე.

ბატონმა ნაპოლეონმა 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი კვლევის საგანი იყო სსრ კავშირის ჩაის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, რომელშიც საქართველოს გარდა წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის პერსპექტივები. მისი სადისერტაციო შრომის ძირითადი დებულებები მოისმინა სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის წევრ-კორესპონდენტადაც 1990 წლის სექტემბერში დაუსწრებლად აირჩიეს. 1995 წელს იგი აირჩიეს რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1996 წელს გადაიყვანეს ამავე აკადემიის უცხოელ წევრად.

1990 წლის ივლისში, ნაპოლეონ ქარქაშაძე საკონკურსო წესით აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად; ამ თანამდებობაზე მან 14 წელიწადი იმუშავა, ეს იყო საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდი, ცხადია

უჭირდა აგრარულ უნივერსიტეტსაც, რომელმაც სახელწოდება 1991 წელს შეიცვალა მისი ინიციატივით. მიუხედავად პრობლემებისა, ბატონმა ნაპოლეონმა შეინარჩუნა ინსტიტუტის კადრები, გახსნა ახალი სპეციალობები, დამყარდა კონტაქტები ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან, აგრარული უნივერსიტეტი მიიღეს რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, ბატონი ნაპოლეონი არჩეული იქნა საერთაშორისო ორგანიზაცია “იკარდას” თანათამაჯდომარედ, უმაღლესი სკოლების მსოფლიო ასოციაციის (ქ. სანფრანცისკო) ევროპის სექციის პრეზიდენტის წევრად, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, პროფესორად, სან-ფრანცისკოსა და უმაღლესი სკოლების საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად და ა.შ.

1990 წელს საქართველოში აღდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია, რომლის პირველ შემადგენლობაში იგი არჩეული იქნა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის წევრად, ხოლო 2004 წელს იგი ამავე აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ფართოა აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძის სამეცნიერო კვლევის არეალი, იგი 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა 5 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება – მსოფლიო სოფლის მეურნეობაა, ამ პრობლემას მან ორი მონოგრაფია მიუძღვნა. მას გაზრდილი ყავს ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე დაჯილდოვებულია “საპატიო ნიშნის” და “ღირსების” ორდენებით, ხოლო 1984 წელს იგი გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი და ა.შ. მისი ინიციატივით 1992 წელს დაარსდა საქართველოს უმაღლესი სკოლების რექტორთა საბჭო, რომლის პირველი პრეზიდენტიც თავად იყო.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, დღესაც აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიის პრეზიდენტის წევრი, პოპულარული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ცალკე განხილვის თემაა ნაპოლეონ ქარქაშაძის პუბლიცისტიკა და მწერლობა. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი პუბლიცისტური ხასიათის მწვავე სტატიები, იგი ავტორია სამი პოლიტიკური რომანის - “სტალინი”, “ხრუშჩოვი”, “ბრეჟნევი”, ამათგან “სტალინი” რამოდენიმეჯერ გამოიცა მოსკოვში. 2013 წელს მკითხველმა მიიღო მისი სათავგადასავლო რომანი “აკადემიკოსი გისოსებს მიღმა”, რომელმაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრაზიდენტი და მთელი შემადგენლობა გულითადად ულოცავენ ბატონ ნაპოლეონს ამ ღირშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



## საკადემიკოსი თამაზ კუნჭულია - 85



*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საკადემიკოს თამაზ კუნჭულია 2020 წელს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავები შეუსრულდა.*

ბატონი თამაზი 1935 წლის პირველი ივლისის დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, პედაგოგის ოჯახში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ღირსებითა და პატიოსნებით. 1954 წელს სოფელ ჯურუყვეთის საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში,

რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ; იყო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი; 1977-1981 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ანალიზისა და მეცნიერების სექტორის გამგე; 1981 წელს დაინიშნა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარედ და იმავე წელს აირჩიეს საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1985 წელს- საქართველოს კპ ოზურგეთის რაიკომის პირველ მდივნად; 1990 წლიდან ბრძანდება საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის დარგში; 1994-1996 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ ეკონომიკისა და ფინანსების დარგში; 1997-1998 წლებში-სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ გენერალური დირექტორია, 1999-2005 წლებში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ჯერ საფინანსო-ეკონომიკური, შემდეგ სტრატეგიული განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსია, 2005-2008 წლებში მუშაობდა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 2008-2012

წლებში ბატონი თამაზი მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიური დეპარტამენტის უფროსად, 2012 წლიდან- მთავარ სპეციალისტად; 2012 წელს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველად.

ბატონი თამაზი ბრძანდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 200-მდე შრომის, მათ შორის 9 მონოგრაფიისა და 2 გამოგონების ავტორი. მისი სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები“, პირველი ნაშრომია ამ თემისადმი მიძღვნილი საქართველოში, რომელიც წიგნადაა გამოცემული.

კად. თ. კუნჭულიას შრომები და პრაქტიკული საქმიანობა მიძღვნილია აგრარული ეკონომიკის ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების განვითარების პრობლემები, საადგილმამულო რეფორმა, აგრარული სფეროს საწარმოთა პრივატიზება, საგადასახადო სისტემის (ფისკალური პოლიტიკის) სრულყოფა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი აგრარული სფეროს განვითარებაში, მცირე ბიზნესის პრობლემები, სასოფლო - სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის, პროგრამული დაფინანსების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. მისი თანაავტორობით დამუშავებულია საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სურსათის უსაფრთხოების სტრატეგია. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალი სამთავრობო დადგენილებისა და პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტების მომზადებაში; უძღვებოდა რუბრიკას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიწის პრივატიზაციის საკითხებზე; მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“ და მისი რეალიზაციის ღონისძიებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების მომზადებას, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო და 3 სადოქტორო ნაშრომი. დაჯილდოვებულია „ღირსების“ ორდენით. დღესაც ეწევა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას, არის არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ულოცავს აკად. თამაზ კუნჭულიას ღირსშესანიშნავ თარიღებს, უსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია



## აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათიშვილი - 75



*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ნუგზარ ბაღათიშვილს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავები შეუსრულდა.*

ბატონი ნუგზარი დაიბადა 1945 წლის 22 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ ქალაქ გუდაუთაში მოსამსახურის ოჯახში. 1971 წელს წითელი დიპლომით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქალაქ სოხუმში დაკონსერვების ტექნოლოგიის სპეციალობით და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქალაქ

თბილისში საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში, ჯერ ინჟინრის, ხოლო მომდევნო წლებში უფროსი მეცნიერ მუშაკის, სექტორისა და განყოფილების გამგედ; შემდეგ ბრძანდებოდა დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვებარომატკომპლექსის“ გენერალური დირექტორი, ხოლო 2001 წლიდან დღემდე არის საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ბატონმა ნუგზარმა 1979 წელს წამატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1989 წელს კი - სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1991 წელს არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წელს კი - აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

დიდია მისი დამსახურება კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეში. საქართველოს ეთერზეთების მრეწველობაში არსებული ტექნოლოგიები ძირითადად შექმნილი ან სრულყოფილია მის მიერ. წარმატებით მუშაობს კვების მრეწველობის სხვა დარგებშიც (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, საკონსერვო მრეწველობა და სხვა). მნიშვნელოვანია ბატონი ნუგზარის დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში - მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები; ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 370-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია, 36



გამოგონება. მონაწილეობდა სამეცნიერო-საგრანტო პროგრამებსა და პროექტებში, მრავალ ადგილობრივ და საზღვარგარეთის კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, თათბირებში. დაჯილდოვებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემიით, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით, ორი „ღირსების“ ორდენით და აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდებით.

ამჟამადაც აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ულოცავს აკად. ნ. ბალათურიას საიუბილეო თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს, მრავალ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



## აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი - 90



*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს 2020 წელს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლისთავები შეუსრულდა.*

ბატონი ნოდარი 1930 წლის 17 სექტემბერს დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. 1948 წელს სოფელ ჯუმათის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1957 წელს დაიწყო მუშაობა ქედის რაიონის უბნის აგრონომის თანამდებობაზე და იმავე

წელს ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში, მევენახეობის კათედრაზე. 1959 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1960 წლიდან მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრაზე, ჯერ ლაბორანტის, შემდეგ ასისტენტის თანამდებობაზე. 1964 წლიდან - მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ

უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და დირექტორად. იყო ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულის რედაქტორი, საერთაშორისო სპეციალური ჟურნალებისა და მოლდავეთის მევენახეობის ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი. იმავე დროს კითხულობდა ლექციებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც 1974 წელს აირჩიეს მევენახეობის კათედრის გამგედ, დოცენტად, პროფესორად.

ბატონი ნოდარი ბრძანდებოდა თბილისის მევენახეობა-მელვინეობის, ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და სპეციალისტთა გადამზადების ინსტიტუტის რექტორი (1992-2013 წ. წ.), 2007 წლიდან 2019 წლამდე კი - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, შპს „მელვინეობა ხარება“-ს კონსულტანტი, არასაწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგრო“-ს კონსულტანტი (მცხეთის რაიონის სოფელი ჯიდაურა), შპს „მატო მუხრანის“ კონსულტანტი.

1990 წელ აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წელს - ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, 1998 წელს აირჩიეს მევენახეობისა და მელვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონი ნოდარის შრომები და პრაქტიკული საქმიანობა მიძღვნილია ისეთ საკითხებისადმი, როგორცაა: ვაზის ეკოლოგია და მიკროდარაიონება; ვენახებში შრომითი და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დამუშავება; ვაზის კლონური გამრავლებისა და ნამყენის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების სრულყოფა; ვენახში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება; გენოფონდის დაცვა-აღდგენა.

ბრძანდება 235-ზე მეტი სამეცნიერო შრომების, მათ შორის 4 წიგნის, ერთი სახელმძღვანელოს, 10 რეკომენდაციის და 15 გამოგონების ავტორი. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების მომზადებას, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი. ბრძანდება საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტი და ექსპერტი. აქტიურად მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში.

ბატონ ნოდარს მინიჭებული აქვს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია ნამყენის გამოყვანის, ახალშენი ვენახების გაშენებისა და მოვლის პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებისათვის.

დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნის“ და „ღირსების“ ორდენებით, „ღირსების“ და „შრომითი მამაცობისათვის“ მედლებით, უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.


საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გაწეული დიდი ღვაწლისათვის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ცხუმ-აფხაზეთის



მიტროპოლიტმა ილია II ბატონი ნოდარი დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი- „წმინდა გიორგის“ ორდენით. ასევე მიღებული აქვს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის “მადლობის“ სიგელი. დღესაც ეწევა აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ულოცავს ღირსშესანიშნავ თარიღს აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს და უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.*

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



## აკადემიკოსი იუზა ვასაძე - 85



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს იუზა ვასაძეს 2020 წელს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლისთავები შეუსრულდა.

ბატონი იუზა 1935 წლის 27 დეკემბერს დაიბადა ქ. ქუთაისში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ქუთაისის №6 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეხილეობის ფაკულტეტი და მიენიჭა სწავლული აგრონომის

კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს და 1961 წლამდე მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფკომიტეტის თავმჯდომარედ, ალკკ კომიტეტის მდივნად. იმავე პერიოდში, 1961 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომი.

1963-1967 წლებში მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს” სამტრესტის” სისტემაში ბათუმის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინის, ბოლნისის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინისა და ღირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თბილისის ლიქიორის ქარხნის ტექნოლოგის თანამდებობებზე. 1968 წლიდან ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. 1968-1982 წლებში

მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ მუშაკის, საწარმოო განყოფილების გამგის, ფერდობების ათვისებისა და აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგის თანამდებობებზე, გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად. 1982-1992 წლებში იყო მცხეთის მევენახეობის და საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორი; 1992-1996 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე; 1994-1996 წლებში რესპუბლიკური გაერთიანება “სამტრესტის” მმართველი; 1992-2002 წლებში - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ჩრდილო ოსეთში და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2002-2012 წლებში ისევ იწეებს მუშაობას მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, მეხილეობის აგროქტექნოლოგიური კვლევის განყოფილების გამგედ, იყო ამავე ინსტიტუტის სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოების წევრი. 2011 წლიდან დღემდე ბრძანდება “საქართველოს მევენახეთა, მეღვინეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი საწარმოო კავშირის” პრეზიდენტი.

ბატონმა იუზამ გაიარა მეცნიერის რთული და შრომატევადი გზა ასპირანტურიდან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორობამდე, პროფესორობამდე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობამდე (აკადემიკოსობამდე). მის მიერ შესრულებულ სამუშაოებში პირველად საქართველოს პირობებში წარმოდგენილი და გაანალიზებულია თესლოვან კულტურათა მრავალმხრივი ექსპერიმენტული და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ამ კულტურათა დასაბუთებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, რომელზედაც დამყარებულია რესპუბლიკაში ინტენსიური მებაღეობის რაციონალურად გაადგილება მეხილეობის ზონების მიხედვით, აგრეთვე კონკრეტულ რეგიონებსა და ბაღებში მათი ჯიშური შემადგენლობისა და ასორტიმენტის გათვალისწინებით მათი ბიოლოგიური, სამეურნეო და ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით. მის მიერ პირველადაა გამოვლინებული და აღწერილი 20-ზე მეტი პერსპექტიული თესლოვან კულტურათა ადგილობრივი ჯიში, ასევე პირველად იქნა გამოყენებული საქართველოში ჩატარებული სამუშაოების შესაკრებად, დასამუშავებლად და შესანახად ავტომატიზებული ინფორმაციის სისტემა.

მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. ბატონი იუზას ხელმძღვანელობით მომზადებულია 12 მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი.

აკად. ი. ვასაძეს მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 180 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 2 წიგნი, 24 რეკომენდაცია, ბრძანდება 7 გამოგონებისა და 5 პატენტის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. დაჯილდოებული ბრძანდება “საპატიო ნიშნის” ორდენით და “საპატიო ნიშნის” მედლით. ამჟამად ასევე ნაყოფიერად აგრძელებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. არის შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მთელი შემადგენლობა ულოცავს აკად. იუზა ვასაძეს დირშესანიშნავ თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



ღვაწლემოსილი  
მეცნიერის  
ხსოვნა

## ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნა

2020 წლის 24 ნოემბერს მიიმე და ვერაგი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა



დოქტორი, პროფესორი, ყოფილი მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი გიორგი ნიკოლეიშვილი.

გიორგი ნიკოლეიშვილი დაიბადა 1928 წლის 20 აპრილს საქართველოში, ვანის რაიონის სოფელ ტყელვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტზე.

1951-1956 წლებში იგი სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ეკონომიკურ

ფაკულტეტზე. 1956-1959 წლებში მუშაობდა ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სპეცსაგნების მასწავლებლად. დაამთავრა ასპირანტურის სრული კურსი.

გიორგი ნიკოლეიშვილმა 1962 წელს მუშაობა დაიწყო მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; 1967 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ მუშაკის, ხოლო 1981 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდებები. 1963-1969 წლებში არჩეული იყო მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილების გამგედ; 1969-1975 წლებში მუშაობდა ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის დირექტორად, ხოლო შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციის კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე და ასრულებდა ზემოთაღნიშნული განყოფილების გამგის მოვალეობასაც. 1995 წელს აირჩიეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1900-2006 წლებში იყო მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის დეკანი. ხოლო 2007-2010 წლებში ეკავა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობა.

პროფ. გ. ნიკოლეიშვილს გამოქვეყნებული ჰქონდა 190 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 19 მონოგრაფია, სამი სახელმძღვანელო, ერთი დამხმარე სახელმძღვანელო, რამდენიმე სალექციო კურსი, მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია, მრავალი რეკომენდაცია, ინსტრუქცია, მეთოდური მითითება, სასწავლო პროგრამა, ასზე მეტი საგაზეთო სამეცნიერო-პოპულარული სტატია. გ. ნიკოლეიშვილი იყო თუთის დაავადება “ფოთლის სიხუჭუჭისადმი” შეღარებით

გამძლე დარაიონებული თუთის სამი ჯიშის (ოშიმა, ქუთაისური და ქუთაისური-2) თანააგტორი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. ნიკოლეიშვილი ეკუთვნოდა იმ გამოჩენილ მეცნიერ-მოდერნიზატორს, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მებაბრეშუმეობის დარგის მეცნიერულ განვითარებაში. იგი იყო მებაბრეშუმეობის დარგის ეკონომიკის პრობლემების ცნობილი მკვლევარი არამარტო საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

პროფ. გ. ნიკოლეიშვილმა მებაბრეშუმეობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობით კიდევ უფრო ნათლად წარმოადგინა ქართული აბრეშუმის ღირსება და განვითარების პერსპექტივები. მან 2005 წელს მონაწილეობა მიიღო შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის FAO-ს რეგიონალური ორგანიზაციის სიმპოზიუმების საქმიანობაში და საქართველოს სახელით ხელი მოაწერა დამფუძნებელ დოკუმენტებს. 2005 წლიდან 2013 წლამდე იყო მებაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაცია BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში.

განსაკუთრებით ფასეულია მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული “საქართველოში მებაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012–2025 წლების პერიოდისათვის” და მებაბრეშუმეობის საინვესტიციო პროგრამები ხონისა და ვანის რაიონებისათვის, მითითებული პროგრამების საფუძველზე მუშავდება (რაშიც გ. ნიკოლეიშვილი აქტიურად მონაწილეობდა) ქვეყანაში დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც პირველია უკანასკნელ პერიოდში.

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფესორი გ. ნიკოლეიშვილი დაჯილდოვებული იყო “ღირსების” ორდენით, მედლებით და საპატიო სიგელებით. 2016 წელს გ. ნიკოლეიშვილის მიერ მებაბრეშუმეობის საკითხებზე მომზადებულ ორ მონოგრაფიას მიენიჭა აკადემიის პრემია საუკეთესო ფუნდამენტური ნაშრომებისათვის.

ბატონი გიორგის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს აგრარული მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით იგი ძალიან დააკლდება საქართველოში მებაბრეშუმეობის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და დანერგვას, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია



